

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
01სტრუქტურული და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY  
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

№5

2014

ჩ(უაქ) 902(479.22)(066)

5-846

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და  
არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის წინამდებარე შრომათა  
კრებულში ქვეყნდება აღნიშნული ცენტრის მიერ 2013 წლის 15-16  
ივნისს ჩატარებული წმინდა ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი  
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველო და გარე  
სამყარო“ მასალები.

**რედაქტორი:** ელდარ მამისთვალიშვილი

**რედკოლეგია:**

მეუზე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ბუბა კუდავა

ლია მელიქიშვილი

აპოლონ სილაგაძე

გიორგი სოსიაშვილი

ნოდარ შენგელია

დავით ყოლბაძა

**პორტფელი:** მარიკა შერაზადიშვილი

**პომპიულურული უზრუნველყოფა:** გიორგი ყაზიშვილი

ISSN 1512-4657

The Educational Research Center for History and Archaeology of Gori State Teaching University publishes the materials of the international scientific conference "Georgia and Outer World" dedicated to Ekvtime Takaishvili (Ekvtimé the Man of God).

**Editor:** Eldar Mamistvalishvili

**Editorial Board:**

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Aleksidze

Buba Kudava

Lia Melikishvili

Apolon Silagadze

Giorgi Sosiashvili

Nodar Shengelia

David Kolbaia

**Reviewer:** Marika Sherazadishvili

Computer Services provided by Giorgi Kazishvili



ქართველი სწავლული, ფინდანი და ერისკაცი  
ექვთიმე თაყაიშვილი

**THE PROMINENT GEORGIAN SCHOLAR, PUBLIC  
BENEFACITOR AND SAINT EKVTIME TAKAISHVILI**

შინაარსი      სტატიები  
CONTENTS      Articles

ექვთიმე თაყაიშვილი  
Ekvtiime Takaishvili

ლია გაბუნია, მზა ზარნაძე - დოკუმენტური მასალები ექვთიმე  
თაყაიშვილის ცხოვრებიდან 9

*Lia Gabunia, Mzia Zarnadze - THE DOCUMENTARY MATERIALS  
FROM THE LIFE OF EKVTIME TAKAISHVILI*

თამილა გოგოლაძე, ქეთევან ბარბაკაძე - ექვთიმე თაყაიშვილის  
„არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ და მისი  
მნიშვნელობა 17

*Tamila Gogoladze, Ketevan Barbakadze - “ARCHEOLOGICAL  
EXPEDITION IN LECHKHUM-SVANETI IN 1910” BY EKVTIME  
TAKAISHVILI AND ITS IMPORTANCE*

გიორგი გოცირიძე - ექვთიმე თაყაიშვილის ეთნოგრაფიული  
მემკვიდრეობა დროსა და სივრცეში 27

*Giorgi Gotsiridze - THE ETHNOGRAPHIC HERITAGE IN TIME AND  
SPACE BY EKVTIME TAKAISHVILI*

რუსეთში დაუშვილი - ექვთიმე თაყაიშვილი და ქართველი  
სტუდენტები საზღვარგარეთ 39

*Rusudan Daushvili - EKVTIME TAKAISHVILI AND GEORGIAN  
STUDENTS ABROAD*

ნინო სილაგაძე, ნათელა ჯაბუა - ექვთიმე თაყაიშვილი – ქართველი  
ქართული ხელოვნების მოამაგე

*Nino Silagadze, Natela Jabua - EKVTIME TAKAISHVILI – THE  
CARETAKER OF THE ANCIENT GEORGIAN ART* 49

დავით ჩოჩიშვილი - ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობა სკრის  
ხეობაში 67

*Davit Chochishvili - A TRIP TO THE SKRA VALLEY MADE BY  
EKVTIMÉ TAKAISHVIL*

## საქართველოს შუა საუკუნეების ისტორია Medieval History of Georgia

ნინო ბუზიაშვილი - 1715 წლის მროვლის სამწყსოს დავთარი  
*Nino Buziashvili* - THE 1715 PARISH CENSUS BOOK

89

თემო დუნდუა, გორგი ჭუჭუნაშვილი - სამხრეთ-დასავლეთ  
საქართველო ოსმალეთის და ოსმალეთის იმპერიების შემადგენლობაში –  
შედარებითი ანალიზი

100

*Tedo Dundua, Giorgi Zhuzhunashvili* - THE SOUTH-WEST  
GEORGIA INTO THE RUSSIAN AND OTTOMAN EMPIRES –  
COMPARATIVE ANALYSIS

აპოლონ თაბუაშვილი - ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე  
სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი)

112

*Apolon Tabuashvili* - CENSUS BOOKS FOR THE TOWN OF  
TSKHINVALI AND ITS SURROUNDING VILLAGES (THE SECOND  
HALF OF THE 18TH CENTURY)

გურამ კუტალია - დასავლეთის ისტორიის, სარწმუნოების და  
პედაგოგიკის საკითხები ქართველთა ეროვნული თვითშეგნების  
სამსახურში

127

*Guram Kutalia* - THE ISSUE OF THE HISTORY OF THE WEST,  
RELIGION AND PEDAGOGY IN THE SERVICE OF THE NATIONAL  
CONSCIOUSNESS OF GEORGIA

ელდარ მამისთვალიშვილი - მართა მონაზონის წერილი  
იერუსალიმის ქართული მონასტრების მდგომარეობის შესახებ

143

*Eldar Mamistvalishvili* - NUN MARTHA'S LETTER ON THE STATE  
OF THE GEORGIAN MONASTERIES IN JERUSALEM

ზურაბ პაპასქირი - საქართველო-ბიზანტია, საქართველო-რუსეთი.  
ერთი ისტორიული პარალელის გაზრდისათვის

153

*Zurab Papaskiri* - GEORGIA-BYZANTINE EMPIRE, GEORGIA-  
RUSSIA. TO THE UNDERSTANDING OF ONE HISTORICAL  
PARALLEL

გორგი სოსაშვილი - ცხინვალი და ახალგორი ევროპელ  
მოგზაურთა ცნობების მიხედვით (XVIII საუკუნის ბოლოს და XIX  
საუკუნის I მეოთხედში)

**Giorgi Sosiashvili - TSKHINVALI AND AKHALGORI ACCORDING TO THE REFERENCES OF EUROPEAN TRAVELERS (AT THE END OF XVIII CENTURY AND I QUARTER OF XIX CENTURY)**

**კახაბერ ქებულაძე, ივორ პეპელია - XI-XII საუკუნეების საქართველოს საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის კონტურები თანამედროვე გეოსტრატეგიის ჭრილში**

218

**Kakhaber Kebuladze, Igor Kekelia - THE OUTLINES OF FOREIGN-POLITICAL STRATEGY OF XI- XII CENTURY GEORGIA VIEWED IN MODERN GEOSTRATEGY**

**საქართველოს ახალი ისტორია  
Modern History of Georgia**

**მალხაზ მაცაბერიძე - 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია**

228

**Malkhaz Matsaberidze - THE WAR OF FEBRUARY-MARCH, 1921 AND THE ORTHODOX CHURCH OF GEORGIA**

**ალექსანდრე ძლებრიშვილი - ქართულ-ოსური ურთიერთობები XIX საუკუნის ათიან წლებში რუსული წყაროების მიხედვით**

241

**Aleksandre Mgebrishvili - THE GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS IN THE FIRST DECADE OF THE 19<sup>TH</sup> CENTURY ACCORDING TO THE RUSSIAN REFERENCES**

**ლელა სარალიძე - საქართველო-ინგლისის ურთიერთობის ისტორიიდან (1920-1921 წწ) (უცნობი საარქივო დოკუმენტების მიხედვით)**

253

**Lela Saralidze - FROM THE HISTORY OF GEORGIAN- ENGLISH RELATIONSHIP (1920-1921) (ACCORDING TO THE UNKNOWN ARCHIVE DOCUMENTS)**

**ცაცა ჩხარტიშვილი - პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (პრესის მასალების მიხედვით)**

272

**Tsatsa Chkhartishvili - FROM THE HISTORY OF POLAND-GEORGIA RELATIONS (ACCORDING TO PRESS MATERIALS)**

**დოდო ჭუმბურიძე - თურქიზმის ლიდერები და საქართველო მეოცე საუკუნის 10-იან წლებში**

288

**Dodo Chumburidze - THE LEADERS OF TURKISM AND GEORGIA IN THE 10-IES OF THE 20<sup>TH</sup> CENTURY**

**ოთარ ჯანელიძე - 1920-1921 წლების გეოპოლიტიკური რეალობა და საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაცია**

302

**Otar Janelidze - GEOPOLITICAL REALITY IN 1920-1921 AND BOLSHEVIK OCCUPATION OF GEORGIA**

### **საქართველოს უახლესი ისტორია Recent History of Georgia**

**ოთარ გოგოლიშვილი - ევროპა და საქართველო - მიღწევები და პერსპექტივები**

322

**Otar Gogolishvili - EUROPE AND GEORGIA - ACHIEVEMENTS AND PERSPECTIVES**

**Rauf RАДЖАБОВ - ПОЛИТИЧЕСКОЕ И СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ ГРУЗИИ В 2003-2013 ГОДАХ**

333

**Rauf Rajabov - THE POLITICAL AND SOCIAL-ECONOMICAL SITUATION IN GEORGIA IN 2003-2013**

### **მსოფლიო ისტორია World History**

**თეიმურაზ ქარელი - რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფილოსოფია**

361

**Teimuraz Karelis - PHILOSOPHY OF THE RUSSIAN FOREIGN POLICY**

### **პიროვნება ისტორიაში Person in History**

**ოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი - ქართული არქეოლოგის სათავეებთან (დიმიტრი მელვინეთშვერიშვილი)**

384

**Ioseb (Soso) Alimbarashvili - AT THE OUTFALLS OF THE GEORGIAN ARCHAEOLOGY (DIMITRI MEGVINETKHUTSESHVILI)**

## **ლოს გამუნია**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესიონალური  
**მზია ზარნაძე**  
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის  
მუცნიერ-თანამშრომელი

### **დოკუმენტური მასალები ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებიდან**

„წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცი”- ასეთი წოდებით შე-  
რაცხა საქართველოს ეკლესიამ ექვთიმე თაყაიშვილი. დამე-  
თანხმებით - მარადიული სიცოცხლე ერთეულთა ხვედრია.

„მუცნიერების რა დარგში არ უმუშავნია წმინდანს -  
ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ეპიგრაფიკა, ნუმიზმა-  
ტიკა, ფილოლოგია, ფოლკლორისტიკა, ლინგვისტიკა, ხე-  
ლოვნების ისტორია... და ყველგან ჩვენი ერთს ისტორიის  
ანარეკლს, ჩვენს ნაკვალევს ეძებდა”, - წერს ილა მაჩიტაძე  
წიგნში-, „ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი”<sup>1</sup>.

უამრავი კვლევამ მიძლვნილი ბატონი ექვთიმეს პიროვ-  
ნებისა და მისი შემოქმედებისადმი. მათი წამკითხველი უეჭ-  
ველად იფიქრებს, კიდევ რა უნდა დაიწეროს ამ არაჩვეულებ-  
რივი ადამიანის შესახებო, მაგრამ ისიც დიდი საქმე იქნება,  
თუნდაც კიდევ ერთხელ გავიმუშოროთ და საზოგადოებას შე-  
ვახსენოთ ის მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ეპიზოდები,  
რომლებიც აუცილებლად მოითხოვს აღნიშვნას, რამეთუ ეს  
არის კაცი, რომელმაც საქართველოს შესწირა ყველაფერი  
ის, რაც საყვარელი და საუკეთესო გააჩნდა ცხოვრებაში,  
თუმცა, როგორც ერთ-ერთი უბირთაგანი, ნაწამები წავიდა ამ  
ქვეყნიდან. იმ ქვეყანას კი - ზეციურ საქართველოში, აუცი-

<sup>1</sup> ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, 2009 წ., „წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცი”,  
გვ. 12.

ლებლად შარავანდედით შეიმოსებოდა, ის ხომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ახლა კი ჩვენი დაკვირვებანი მისი ზოგიერთი საარქივო წერილის შესახებ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება რამდენიმე საინტერესო წერილი, რომელთა წაკითხვის შემდეგ ვხვდებით, რომ ეს არის უძვირფასესი ხელნაწერი ადამიანისა, რომელიც ასე დაფასებულია შთამომავლობისაგან. ამ წერილების წაკითხვის შემდეგ ნათელი ხდება, რომ იმ ადამიანის საზრუნავი, საფიქრალი და საოცნებო მისი სამშობლო და საამაყო ქართველი ხალხი იყო.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა და ძველნაბეჭდ წიგნთა კოლექციების განყოფილებაში დაცულია სამი წერილი, რომელიც 1915 წლით თარიღდება და მოგვითხრობს იმ პერიოდზე, როცა ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უდგა სათავეში. წერილი, რომელიც 1915 წლის 28 მაისითაა დათარიღებული, არის მიმართვა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარისადმი. მისი შინაარსი ასეთია:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ გადაწყვიტა წელს 9 ივნისს გამართოს აკაკის დღე და წინადადებით მიმართა ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას.

ახლა, როგორც განყოფილების გამგეობის წერილიდან ჩანს, გამგეობას მოუმართავს თქვენი საზოგადოებისათვის ამ საგნის შესახებ. სცნო რა ეს, „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ საბჭო გთხოვთ დაგვდგათ პატივი, მიიღოთ შრომა და იკისროთ ამ საერთო დღის მოწყობა.

თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი

## მდივანი ს. გიორგაძე”<sup>1</sup>

როგორი მზრუნველობა ჩანს ამ წერილში, რა მოკრძალება და პატივისცემაა ამ ბუმბერაზი ადამიანისაგან არა მარტო პოეტ აკაკი წერეთლისადმი, არამედ თვით ადრესატისადმიც. ამ წერილიდან არა მარტო მზრუნველი და საქმინი ადამიანი იყერება, არამედ დიდი სულისა და უბრალოებით შემკული პიროვნება. დიახ! პიროვნება, რაც მრავალგზის, მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაადასტურა ექვთიმე თაყაიშვილმა.

საინტერესოდ ვითარდება მიმოწერა მეორე წერილში, რომლითაც ვგებულობთ, რომ მადლობას უხდის ოუბილეს მომწყობთ იმ გულისხმიერებისათვის, რომელიც ქუთაისმა ჯერ კიდევ აკაკის 50 წლის მოღვაწეობის სიუბილეო დღე-ებში, 1908 წლის 14 დეკემბერს დაგვანახა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ არანაკლები გულისტკივილი და საოცარი პასუხისმგებლობა გამოავლინა:

„საზოგადოების“ საბჭო გულითადს მადლობას მოახსენებს პატივცემულს გამგეობას იმ დიდი შრომისათვის, რომელიც გასწია აკაკის დაბადების დღეს, 9 ივნისს, საღამოს გასამართავად. იმედია გამგეობა შემდეგშიაც არ მოგვაკლებს თვისს ძვირფას შრომასა და დახმარებას. თქვენ მიერ გამოგზავნილი 127 მან. და 50 კაპ. მიემატა აკაკის ფონდს.

საზოგადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი  
მდივანი ს. გიორგაძე”<sup>2</sup>

არქივში მოკვლეული იქნა კიდევ რამდენიმე წერილი. აქედან ერთ-ერთი თარიღდება 1916 წლის 11 მაისით, რომელსაც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება უგზავნის ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს.

<sup>1</sup> ქ.ო.მ. E 5286, N36.

<sup>2</sup> ქ.ო.მ. E 5286, N39.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქუთაისი, ისტორიულად, დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში, მეფე აიეტიდან დაწყებული დღევანდლამდე. აქ დაიწყო ბევრი ეროვნული საქმე. აქ აღიზარდა მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია, რომელმაც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველო და ჩვენი დედაქალაქი თბილისი გადაარჩინა გარუსებას, გათათორებას, გასომხებას და ა.შ., მოკლედ, გადაგვარებას. არქივში აღმოჩნდა ერთი საოცარი წერილი, რომლიდანაც კარგად ჩანს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების შეხედულება იმ ეროვნული სიმდიდრეებისადმი, რომლებიც საფრთხის ქვეშ შეიძლება აღმოჩნილიყო და ამასთან დაკავშირებით მიმართავენ დიდ მეჭურჭლეთუხუცესს, ექვთიმე თაყაიშვილს, რომელსაც ამ საკითხის მოგვარება ევალებოდა როგორც თანამდებობრივად, ასევე ადამიანური პოზიციებიდან. ამასთან, მასში ხედავლენ ნამდვილად „სანდო კაცს”, რომელმაც შემდეგ მთელი საქართველოს განძსა და ქონებას მოუარა და რუდუნებით შემოუნახა თავის ქვეყანას, ქართველ ხალხს, ჩვენს მომავალ თაობას, ამიზომ მისი დავიწყება შეუძლებელია. „წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცის” მოგონება - ჩვენს ეროვნულ ფესტებთან დაბრუნებაა. უსასრულოდ, ბევრჯერ დაბრუნებოდეს ქართველი ერთ თავისი წმინდანებისა და გმირების უკდავყოფასა და ხსენებას. წერილი, რომელზეც ვსაუბრობთ, ასეთი შინაარსისაა:

„გამგეობას სურს მიაქციოს თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ ლაზისტანსა და ტრაპიზონში დღეს თუ ხვალ დაიწყებს მოგზაურობას ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი შმიდტი, რომელსაც პეტროგრადის ისტორიული საზოგადოება გზავნის. ვინაიდან იმ ადგილებში ქართველთა ბევრი სიძველე ინახება, ძლიერ საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენის მხრით თუ მოისურვებთ და საჭიროდ დაინახავთ თქვენგანაც დასახელებულ ადგილებში გაგზავნოთ ერთი პირი, რომელ-

საც ერთი დაუგალება, ყველაფერი დაათვალიეროს, აღწეროს, რაც მოხერხდება წამოიღოს ჩვენი მუზეუმებისთვის (თუ რამე ვიშოვეთ, იმედია, გაყოფაზე არ წავიკიდებით). ამ პირისთვის (ან პირებისთვის) საჭირო იქნება მეფისნაცვლისგან ისეთი საბუთი, რომ მის (ანუ მათ) პიროვნებას არავინ შეეხოს და ხელი შეუწყოს კიდეც მეცნიერულ კვლევა - ძიებაში. ამის-თვის გთხოვთ ამ საგანზე თქვენც მოიფიქროთ და ეს საქმე მოაწყოთ ისე, როგორც სჯობდეს თქვენი შეხედულებით. ჩვენის მხრით გასაგზავნად ვასახელებთ ვუკოლ ბერიძეს, რომელიც თანახმაა ეს საყურადღებო და საჭირო მონდობილობა მიიღოს.

ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი მონდობილობა გუბერნატორის წინაშე აღვძრათ, რადგან დასახელებული რაიონი მას არ ექვემდებარება და არც ჩვენი წესდების ფარგალშია, ასე რომ შუამდგომლობა მეფისნაცვლის წინაშე უნდა აღიძრას და თუ ჩვენგან ქაღალდი ან სხვა რამე საჭირო იქნება, გთხოვთ საჩქაროდ გვაცნობოთ. მანამდე კი თუ საჭიროება მოითხოვს, შუამდგომლობის აღძვრაში დახმარებას გაგიწევთ ჩვენი მარშალი თავადი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე, რომელ-საც, გთხოვთ შინაარსი ამ წერილისა გააცნოთ. ..”<sup>1</sup>

ექვთიმე თაყაიშვილის პიროვნების და ხასიათის წარმომჩენი კიდევ ერთი წერილია დაცული ამავე არქივში, რომელიც ცხადად გვიხატავს, თუ როგორ უფრთხილდებოდა იგი ეროვნულ სიმდიდრეს. წერილი, რომელიც 1916 წლის 15 მარტით არის დათარიღებული, გვაუწყებს:

„ამა წლის 1 მარტის თარიღით ჩვენი საზოგადოების საბჭოს მომართა იმერეთის ეპარქიის სამდვდელოების რწმუნებულთა მიერ არჩეულმა საგანგებო კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს იზრუნოს ქართული გალობის აღდგენის შესახებ. ამ კომისიას განუზრახავს გამოსცეს ფილიმონ ქო-

<sup>1</sup> ქ.ი.მ. E 5286, N12.

რიძის მიერ გადაღებული საგალობლები. ამ საგალობელთა ნოტების ხელნაწერები ამჟამად შეადგენს ჩვენი საზოგადოების საკუთრებას და კომისია გვთხოვს ვათხოვოთ ეს ხელნაწერი ნოტები.

საბჭო თანახმაა ამაზე, მხოლოდ ერთის პირობით: უკეთუ კომისია გადაიღებს პირებს ამ ხელნაწერებიდან, რისთვისაც აღნიშნული ხელნაწერები გამოეგზავნება თქვენი საზოგადოების წიგნთსაცავს, სადაც ივლის კომისიის მიერ საგანგებოდ გამოეზავნილი კაცი ნოტების პირის გადასაღებად. შინ წალება ამ ხელნაწერებისა ან პირდაპირ სტამბაში გადაცემა ასაწყობად ყოვლად შეუძლებელია, რადგან ეს ხელნაწერები უნიკუმია და რომ ვინიცობაა დაიკარგოს, სამუდამოდ დაიღუპება.

გთხოვთ გვაცნობოთ, იტვირთებდა თქვენი საზოგადოება ამ დავალების შესრულებას თუ არა. საზოგადოების თავმჯდომარე: ექვთიმე თაყაიშვილი. მდივანი ს. გიორგაძე.<sup>1</sup>

შემდგომი წერილი 1916 წლის 17 მაისით თარიღდება და მიწერილია ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ და დიდი პოეტის, აკაკი წერეთლის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ეხება. აქ მკვეთრად ჩანს ბატონი ექვთიმეს მორიდებული და მოხათრებული, თავმდაბალი ბუნება. ის კი არ უბრძანებს თანამდებობით დაბალ საფეხურზე მყოფთ, არამედ თხოვნით მიმართავს მათ - „გააკეთეთ ის რაც თქვენთვის უფრო საადვილო და მოსახერხებელია“. ის ყველა ბრძანებასა თუ თხოვნაში ადამიანად რჩება, ყველას ტკივილსა და საქმის სიძნელეს იზიარებს. „საქართველოს სიამაყეს“ უწოდებს აკაკი წერეთლს და უსაზღვროდ წუხს მისი გარდაცვალების გამო. „აკაკის სწორედ ჯავრად ჩაჰყვა სამარეში, ვაი, თუ ქართული ზეპირ-სიტყვიერება დაიკარგოს. რომ ეს არ მოხდეს, ჩვენს საზო-

<sup>1</sup> ქ.ი.მ. E 5286, N13.

გადოებას ანდერძით დაგვიტოვა ამის შესახებ ზრუნვა. როგორც ჩვენს საზოგადოებას, ისე მთელ ქართველ ერს ვალად აქვს, რათა პირნათლად შეასრულოს ეს ანდერძი.

საქართველოს ერის წარმომადგენელნო, აკაკის ცხელარს გაფიცებთ, ნუ უმტყუნებთ ამ ანდერძს, მოგვეხმარეთ, მოგვეცით საშუალება ეს უკანასკნელი ანდერძი მაინც შევუსრულოთ დიდებულ მამულიშვილს. თუ ამდენხანს არ ვუჯერებდით, ახლა მაინც დაგუჯეროთ, ჩემს უბრალო სიტყვას გასავალი არ ექნებაო და ნოტარიუსის წესით მოგმართავ-დათ”<sup>1</sup>.

საარქივო მასალებზე მუშაობისას კიდევ ერთი არაჩეულებრივი მიმოწერის ხილვის ბეჭინიერება გვხვდა წილად. ბატონი ექვთიმე წერილს უგზავნის ქუთაისის ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს. ამ წერილს დართული აქვს მოწერილობა ტრიფონ ჯაფარიძისადმი. საუბარი ეხება პროფესორ შმიდტს და ქართული ექსპედიციის მოწყობას. გვაოცებს მისი ესოდენ დიდი სიფრთხილე იმ ადამიანებისადმი, რომელთა ჩაბმაც უნდა ექსპედიციის მსვლელობაში. სიფრთხილე სპეციალური ხარჯების გამო, ზრუნვა ადამიანების უსაფრთხოებაზე. საოცარია წერილის დასასრულიც, რომელსაც ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „თქვენი მარადის პატივისმცემელი ექვთიმე თაყაიშვილი”<sup>2</sup>.

წერილი, რომელიც 1919 წლის 16 მაისით თარიღდება და ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ეგზავნება, ასეთი შინაარსისაა: „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს. გულითად მწუხარებას გამოვთქვამთ საზოგადოების წევრის და ცნობილი საზოგადო მოღვაწის კირილე ბეჟანის ქე ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო,- რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე

<sup>1</sup> აკაკი სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, 1977 წ., გვ. 150.

<sup>2</sup> ქ.ი.მ. E 5286, N18.

საზოგადო საქმეს შესწირა, და საზოგადო საქმის ბურჯი იყო და საზოგადო საქმის ინტერესით ცოცხლობდა, დასასრულ თავისი მდიდარი და იშვიათი წიგნთსაცავი უკლებლად შეუნახა და გაღმოსცა საისტორიო საზოგადოებას ქუთაისში.

საზოგადოების თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი. მდივანი გიორგაძე<sup>1</sup>.

ასეთი სიტყვები იყო ერთგვარი „მარგალიტები“ ომერთკაცის ბაგეთაგან.

ჩვენ მიერ (გამიზნულად) წერილების ასე დეტალური წარმოდგენა, ვფიქრობთ, მცირეოდენი შტრიხის შეტანა მაინც იქნება ექვთიმე თაყაიშვილის დიდებული პორტრეტის კიდევ უფრო დეტალურად წარმოჩენისათვის.

#### დამოწმებანი:

1. ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, 2009, „წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცი“.
2. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, E 5286, N36.
3. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, E 5286, N39.
4. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, E 5286, N12.
5. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, E 5286, N13.
6. აკაკი სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, 19 77.
7. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, E 5286, N18.
8. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, E 5286, N16.

---

<sup>1</sup> ქ.ო.გ. E 5286, N16.

## თამილა გოვოლაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
სრული პროფესორი

ქეთევან ბარბაქაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

ექვთიმე თაყაიშვილის „არქეოლოგიური ექსპედიცია  
ლეჩეუმ-სვანეთში 1910 წელს“ და მისი მნიშვნელობა

პროფესორი გიორგი ჩუბინაშვილი „საქართველოს მუ-  
ზეუმის მოამბის“ VI ნაწილში გამოქვეყნებულ წერილში -  
„973 წლის ჯვარი იშხანიდან“ - იტყობინებოდა, რომ „1930  
წლის 10 ივლისს, ღამით გასტეხეს და გაძარცვეს ძველი  
ქართული ხელოვნების მუზეუმი, დაარსებული ამ რამდენიმე  
წლის წინათ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხე-  
ლოვნების მუცნიერების კაბინეტთან. ჩვენი ძველი ხელოვნე-  
ბის დაზარალებულ სხვა ძეგლთა შორის, როგორც ჩანს, სა-  
მუდამოდ დაიღუპა ამ წერილის სათაურში დასახელებული,  
973 წლით დათარიღებული, განსაცვიფრებელი ძეგლი ოქ-  
რომჭედლური ხელოვნებისა. ვამბობ: „როგორც ჩანს სამუდა-  
მოდ დაიღუპა“, რადგან გაძარცვის შემდეგ-მიუხედავად ენერ-  
გიული გამოძიებისა - აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ძეგლის სა-  
ცოდავი ნამცვრევები, რომელთა სურათები ქვემოთ იქნება  
მოყვანილი“<sup>1</sup>.

შვიდი წლის შემდეგ პარიზში გამოდის ექვთიმე თაყა-  
იშვილის შრომა - „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩეუმ-სვა-  
ნეთში 1910 წელს“, რომელშიც მოცემულია იშხნის საწინამ-  
ძღვრო ჯვრის სრული აღწერილობა ფოტოებთან ერთად დი-

<sup>1</sup> ჩუბინაშვილი გ., 973 წლის ჯვარი იშხანიდან, საქართველოს მოამბე, VI,  
1930, გვ. 297.

მიტრი ერმაკოვს რომ გადაუღია ამ მოგზაურობის დროს. ე. თაყაიშვილი შენიშნავს, რომ „ჯვარი უნდა გამოიცეს იმ სახით, როგორც ჩვენ გვაქვს გადმოღებული. შემოკლებული სურათები ჩვენი ფოტოგრაფიებიდან, გ. ჩუბინაშვილის სტატიაში, არ არის დამაკაცოფილებელი”<sup>1</sup>.

რომ არა ე. თაყაიშვილის მიერ დიდი გულისფურით შესწავლილი და ფიქსირებული ტაოკლარჯეთის უძველესი ტაძრის, იშხნის საწინამძღვრო ჯვრის აღწერილობა, რომელიც ქართველ სიძველეთა უცნაური „ოდისეის“ წყალობით, ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში დამკვიდრებული ყოფილა 1910 წელს, იგი ვერ მოაღწევდა დღემდე.

აქ მარტო ეს დიდებული ძეგლი იკმარჯებდა საოცარი მაჟულიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის ფასდაუდებელი ღვაწლის დამადასტურებლად. ექვთიმე ხომ მასში საქართველოს სიძველეთა მიმართ ამ ინტერესის აღძვრას დიმიტრი ბაქრაძეს მიაწერს: „მეცნიერული კვლევისათვის ხელის მოკიდება ექვთიმე თაყაიშვილს, მისივე სიტყვებით, გადააწყვეტინა დიმიტრი ბაქრაძემ, სახელგანთქმულმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა, შესანიშნავმა ადამიანმა და მოქალაქემ, ახალგაზრდობის წამქეზებელმა და გამწვრთნელმა, რომელსაც ექვთიმე ხანდაზმულობაშიც შეუწელებელი სიყვარულითა და მაღლიერებით იხსენებდა“<sup>2</sup>. მარი ბროსეს, დ. ბაქრაძის და ე. თაყაიშვილის ხაზს შემდგომში გააგრძელებენ პროფესორები სერგი მაკალათია და იოსებ მეგრელიძე. თავის მონოგრაფიაში ექვთიმე თაყაიშვილზე იოსებ მეგრელიძე გამოკვეთს თავად ექვთიმეს მიერ დასახულ ძირითად მიზანს: „რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეტობა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის, ყოველი ძალ-

<sup>1</sup> თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩეუმ-სვანეთში 1910 წელს, კრებული დაბრუნება, ტ. 2, თბ., 1991, გვ. 61.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 28.

ღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადა-  
სარჩენად; რაც შეიძლება მეტი გამომეტზეურებინა და მისაწ-  
ვდომი გამეხადა მკვლევართათვის. ეს მიმაჩნდა ჩვენი კულ-  
ტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ მაშინ, იმ  
რწმენით, რომ, როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდე-  
ბოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჯე-  
როვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუ-  
ქებდნენ იმ, მართლაცდა გადაუჭარბებლივ, დიად კულტურას,  
რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ  
წარსულში<sup>1</sup>. ამ მიზანს ი. მეგრელიძე „ექვთიმე თაყაიშვილის  
ლის პროგრამას“ უწოდებს და იმოწმებს ამონარიდს: „მუშა-  
ობაში რომ შევედი, - ლაპარაკობს ექვთიმე, - საქართველო  
დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწი-  
რული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისათვისაც, პირდაპირ  
ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, - იმეორებს აზრს, –  
რომ რაც შეიძლებოდა მეტი მომესწრო, ჩემ თანამედროვეთა-  
გან მაინცდამაინც აღარვინ მისდევდა ამ საქმეს ან ჯეროვნად  
ვერ აკეთებდა“<sup>2</sup>.

ი. მეგრელიძე გამოკვეთს იმ ფაქტსაც, რომ „როგორც  
საქართველოს გაბმული, მეცნიერული ისტორიის შექმნის  
პირველობაში ვერაგინ ივ. ჯავახიშვილს ვერ ჩაეცილება, შე-  
იძლება ითქვას, ესენი (ი. ჯავახიშვილი და ე. თაყაიშვილი –  
თ.გ.) საქართველოს ისტორიის შექმნაში ერთმანეთს ავსე-  
ბენ“<sup>3</sup>.

„ექვთიმე თაყაიშვილმა 1889 წლიდან მოყოლებული  
1921 წლამდე სისტემურად, მეტ-ნაკლები გაქანებით, შეძლე-  
ბისამებრ იმუშავა ძველი ქართული კულტურული მემკვიდრე-  
ობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი და ფრიად მრავალ-  
რიცხოვანი ჯგუფის, ხუროთმოძღვრების ძეგლების, უმთავრე-

<sup>1</sup> თაყაიშვილი ე., რჩეული შრომები, ტ. I, თბ., 1968, 49.

<sup>2</sup> თაყაიშვილი ე., რჩეული შრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 380-38..

<sup>3</sup> მეგრელიძე ი., ექვთიმე თაყაიშვილი, 1989, გვ. 50.

სად ეკლესია-მონასტრებისა და მათთან დაკავშირებული მონასტრულობა - წარწერებისა და ინვენტარის და ხშირად აგრეთვე, ჯერ კიდევ იქ დაცული ზელნაწერების შესწავლაზე<sup>1</sup>.

ექვთიმეს მოუვლია საქართველოს შემდეგი მხარეები: გურია, სამეგრელო, ქვემო და ზემო იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ქვემო და ზემო სვანეთი, შიდა ქართლი (თეთრი წყარო, დმანისი, წალკა, მანგლისი), სამცხე, ჯავახეთი, ტაო, თორთუმი, ისპირი, კოლა, ოლთისი. როგორც გლომთათიძე შენიშნავს, ამ დროს ე. თაყაიშვილი „რაციონალურად არჩევდა სავლელ კუთხებს და არ იმეორებდა იმ მარშრუტებს, რომლებიც მის სანდო წინამორბედებს უკვე გაეთელათ“<sup>2</sup>.

ასე გადაუწყვეტია ექვთიმეს სწორედ ლეჩხუმ-სვანეთში არქეოლოგიური მოგზაურობაც 1910 წელს. სამწუხაროდ, ეს მოგზაურობა ვერ გამოიცა თავის დროზე, მხოლოდ 1937 წელს პარიზში დაიბეჭდა პირველად. როგორც გურამ შარაძე შენიშნავდა: „წიგნი იმთავითვე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად და ახლა პირველად ხდება ხელმისაწვდომი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის“<sup>3</sup>.

ლეჩხუმ-სავნეთს ე. თაყაიშვილამდე სწვევიან მ. ბროსე, დ.ბაქრაძე, გრ. პ. უვაროვა. ა. ხახანაშვილსა და თ. უორდანიას რამდენიმე ძეგლი აღუწერიათ ამ მხარეში, მაგრამ სრული და დაწვრილებითი აღწერა, რაც კი შეძლო ექსპედიციამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, ფოტოგრაფი დიმიტრი ივანეს ძე ერმაკოვი, ხუროთმოძღვარი სიმონ გიორგის ძე კლდიაშვილი და ტფილისის პირველი

<sup>1</sup> ლომთათიძე გ., ქართული კულტურის მემატიანე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., საბჭოთა საქართველო, 1990, გვ. 36.

<sup>2</sup> ლომთათიძე გ., ქართული კულტურის მემატიანე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., საბჭოთა საქართველო, 1990, გვ. 38.

<sup>3</sup> თაყაიშვილი ე. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, კრებული: დაბრუნება, ტ. 2, თბ., 1991, გვ. 4.

გიმნაზიის მასწავლებელი ივანე თევდორეს ძე ნიუარაძე (შთამომავლობით სვანი), ექვთიმესავით ასე არვის მოუცია. მისი ჩანაწერები მოგზაურობის პროცესსაც ასახავს, ხუროთ-მოძღვრების ძეგლების სკრუპულოზურ აღწერა - დახასიათებას, დამოწმებულს ფოტომასალით (რაზედაც ე. თაყაიშვილი ნაწილობრივ უკმაყოფილებას გამოთქვამს, რაღაც ვერ მოხერხდა სვანეთისა და ლეჩხუმის ტაძრების შიდა ინტერიერის, ფრესკების გადაღება), იქ დაცულ ხატებსა და ინვენტარს, ეპიტაფიებსა და თვით ტაძრებში დაცულ ხელნაწერებს. სისტემურობა იგრძნობა ყველა აღწერაში და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სადღეისოდ, როცა 70 - წლიანმა ტოტალიტარულმა ეპოქამ შეიწირა ბევრი რამ ტაძრებში სვანებისა თუ ლეჩხუმელების მიერ სასოებით შენახული თუ მუზეუმებში განთავსებული.

„მოგზაურობა“ ოთხნაწილია: I ნაწილში მოცემულია ლეჩხუმის აღწერა (ს. ლაბეჭინა, საირმე, ლაჯანა, ორბელი, ლაცორია, მცხეთა, ქალაქი ცაგერი, ს.ზუბი, ოყურეში, ნაყურალეში, ქვემო აღვი, ნასპერი, ზვამლის ეკლესიის აღწერა), II ნაწილში ქვემო სვანეთია მიმოხილული, მესამეში - თავისუფალი სვანეთი, მეოთხეში – სადადეშქელიანო ანუ სათავადო სვანეთი.

ე. თაყაიშვილი ხშირად მეგზურებსაც ირჩევს (მაგ., მარგიანი - ლეჩხუმის „ბლალოჩინი“, გიგო დიასამიძე (რომელმაც ლაბეჭინასაკენ მიასწავლა გზა). ზოგჯერ უკმაყოფილებასაც გამოთქვამს (ს. კლდიაშვილს დაეკარგაო დღიური - რევული მის მიერ გაზომილი ეკლესიებისა და ციხე - კოშკებისა). ბუნების სურათებზეც ამახვილებს ყურადღებას, მაგალითად: „ორბელი თავი სოფელია ლაჯანურის ხეობაში (ფ. №17510), სადაც სახლობენ თავადნი გელოვანები; აქვე მაღალ კლდეზე აშენებულია დიდი ლამაზი ციხე ორბისა (ფ. №17402). ამ ციხემდის ლაჯანურის კალაპოტი ერთობ ვიწ-

როა, ხოლო ციხის ძირიდან იწყება დიდი ფართო ხეობა<sup>1</sup>; „გზა ლაჯანურას მარცხნა ნაპირით მიდის. ალპანის მახლობლად ლაჯანურაზე ქვის ხიდია და აქედან იწყება ძლიერ ვიწრო, მაგრამ თვალწარმტაცი თავის სილამაზით და სინაზით ხევი ლაჯანურასი, რომელიც გრძელდება შვიდი კილომეტრის მანძილზე. ხოლო შემდევ ორბელის ხიდამდე ერთობ ფართოდ იშლება და ესეც ფრიად ლამაზია. ამ ფართო ხეობის ორივე ნაპირს, ფერდობზე და სერებზე, გაშენებულია უმთავრესი სოფლები, აღნიშნული ვიწრო ხეობა ლაჯანურასი მოგვაგონებს თავის საზოგადო სახით დარიალის ხეობას, მაგრამ, რა თქმა უნდა, მინიატურულად. დარიალის ხეობა თავის მაღალი კლდოვანი მთებით სასტიკია, ეს თავის მწვერე მცენარეობის შემოსილობით ნაზია და კეკლუცი<sup>2</sup>. უფრო ქვემოთ ეთაყაიშვილი ფოტოებზეც მიგვანიშნებს, რომლებზე-დაც სხვადასხვა საინტერესო პეიზაჟია ფიქსირებული. ეს ადგილები დღესაც, მართლაც, თვალწარმტაცია და ზუსტად ესადაგება ე. თაყაიშვილისეულ მხატვრულ აღწერას.

რაც შეეხება ლეჩეუმის სიძველეთა აღწერას, სადღეისოდ ზოგიერთი მათგანის მაგალითზე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა იყო „ექსპედიციის“ დროისათვის 1910 წელს და როგორი სიტუაციაა ახლა.

ქალაქ ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარი ე. თაყაიშვილს „ექსპედიციის“ აღწერებში მეტი სკრუპულობითა აქვს გადმოცემული. გარეგნული იერსახე დღესაც შენარჩუნებულია. ე. თაყაიშვილი არ ასახელებს მისი შექმნის თარიღს, მხოლოდ შენიშნავს, რომ იგი „განუახლებიათ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და ამით დაუკარგავს თავისი ძველი სახე“. ცაგერის სახელმწიფო ისტორიულ – ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის, ნუგზარქობალიანისა და ფონდების მეცნიერი მუშაკის, დავით ქობა-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 37.

ლიანის მინიშნებით, ტაძარი ძველ ფუნდამენტზე აშენდა XIX საუკუნეში. ე. თაყაიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ, როცა 1867 წლისათვის დიმიტრი ბაქრაძეს მოუნახულებია ტაძარი, „შიგნით კიდევ მოჩანდა დაზიანებული ფრესკები და მათ შორის სახე თამარ დედოფლისა და მისი შვილის გიორგისა. წარწერები „თამარ“, „გიორგი“ მაშინ ჯერ კიდევ იკითხებოდა. ეხლა ფრესკების ნაშთი სულ აღარ სჩას“<sup>1</sup>. ასი წლის შემდეგ იყო სავსებით დაკარგულია, არ ჩანს ფრესკის ნაშთებიც. ასევე დაკარგულია ტაძრის სამხრეთით ურთხმელის კარი, რომელზედაც ყოფილა ხუცური წარწერა, მაგრამ ნაწილი განგებ იყო ამოფხეკილი ექვთიმეს დროისათვის. რაც შეეხება ღვთისმშობლის დიდ ხატს ჩჩიოლედს, ასომთავრული წარწერებით, მაცხოვრის, იაკობის, მეორე ღვთისმშობლის ხატს, ნაჭედს, მეთვრამეტე საუკუნის ფერწერულ ხატებს და სხვა საეკლესიო ონვენტარს, ისინი ტაძარში აღარაა. ტაძრის გარშემო სასაფლაოა, ძველი და ახალი ეპიტაფიებით. ე. თაყაიშვილი შეიდ ეპიტაფიას აღნუს-ხავს. ტაძარში ექვთიმეს მონახულების პერიოდისათვის ინახებოდა სახარება, მოოქროვილი, ვერცხლის ყდით, ჟამის წირვა იოანე ოქროპირისა, თთუენი, ლავსაიკონი ანუ მეტაფრასი, კლემაქსი, ტიპიკონი, დაუდგენელია მათი ადგილსამყოფელი.

ცაგერისა და ლენტეზის ეპარქია, მეუფე სტეფანეს ხელმძღვანელობით, ამშვენებს და აახლებს სასულიერო ცხოვრებას. ძველთაგანვე ცნობილი იყო წმინდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავი ცაგერში. იქ ყოფილა ადრე სალოცავი კვირიკაშვილების გვარისა. მეუფე სტეფანეს თაოსნობით ამ ადგილას გაკეთდა სამაროვანი, გამშვენდა საფლავის მიმდებარე ტერიტორია, იმართება სისტემატური „მაქსიმობა“ (მარტის თვეში).

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 55.

ამ რამდენიმე წლის წინ გაიხსნა ლასურიაშის ღვთის-მშობლის შობის მონასტერი სოფლის მკვიდრის თაოსნობით, იკურთხა ლაჯანასა და ორბელის ყველა სახლი და ტაძარი.

ლასურიაშის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებელ ნინო ლაკვებელიანის თაოსნობით მომზადდა პროექტი „უკვდავებას ნაზიარები“, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის ლეჩებუმში ექსპედიციას მიეძღვნა.

ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის დროს ლეჩებუმში აღწერილი 12 ტაძრიდან ყველაზე უკეთ შემონახულია ლაბეჭინის ტაძარი. როგორც თავად ე. თაყაიშვილი აღწერს: „ეპლესია ლაბეჭინისა, ცაგერის შემდეგ, საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს მთელს ლეჩებუმში. აქ წინათ მონასტერი ყოფილა, ეხლა სამრევლო ეკლესია არის, მაგრამ სოფელი ახლოს არ ახლავს. ტაძარი აშენებულია მთის მაღალ სერზე, რომელიც მიჰყვება რიონის მარჯვენა ნაპირს. აქედან თქვენს თვალწინიშელება საუცხოვო პანორამა მწვანით შემოსილი ხეობისა“<sup>1</sup>. ლაბეჭინის ტაძრის ერთი კედელი სადღეისოდ პირვანდელი სახით შენარჩუნებულია, ნაწილი კი აღდგენილ-განახლებული (დ. ქობალიანის ცნობით).

სწორედ ე. თაყაიშვილის წყალობით აღწერილი და ამოკითხული იქნა ლაბეჭინის სახარების წარწერები, რომელიც შემკული ყოფილა უძველესი მინიატურებით და დართული ჰქონია გიორგი მთაწმინდელის ანდერძი.

ლაჯანაში შემორჩენილია ძველთაძველი მთავარანგელოზის ეკლესია, თითქმის იმავე სახით, როგორიც ექსპედიციის მონაწილეებს უნახავთ: „მთავარანგელოზის ეკლესია ამ სოფლის მთაზე მდებარეობს; ჩვეულებრივი სახის არის ოთხკუთხედი, მაგრამ საკურთხეველი გარეთ მომრგვალებული აქვს, ნაშენია უბრალო ქვით... ფრესკებით არ არის შემკობი-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 13.

ლი”<sup>1</sup>. დანგრეულია და თითქმის აღარაა მოღწეული გელო-ვანთა კოშკის ეკლესია, ორბელის ხის ეკლესია და სხვ.

საჭირო და აუცილებელია ე. თაყაიშვილის მიერ აღწე-რილი ტაძრების სრული აღწერა სადღეისოდ, რაც, სავარაუ-დოდ, კიდევ ერთხელ ცხადყოფს დიდი მამულიშვილის ღვაწლს შთამომავლობის წინაშე.

თავად ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისა, 100 წლის წი-ნანდელის გახსენებით, ისევ მისივე სიტყვებით, შეიძლება ასე შევაფასოთ: „სულ იმას ვშიშობდი ყოველ ნაბიჯზე, აი, ეს არ დაიკარგოს. ა, ის არ წახდეს - მეთქი! ვცდილობდი ყვე-ლაფერი ამეწერა, გადმომეღო, ჩამეხატა, რაც შეიძლება მეტი გამომეცა, შემეძინა, შემომეწირვინებინა და საბოლოოდ მუზე-უმი შემექმნა, რომ ეს ყოველივე საიმედოდ ყოფილიყო შიგ შენახული...”<sup>2</sup>.

ერთი ეს „შემონახული“ არის სწორედ მისი „არქეო-ლოგიური ექსპედიცია ლეჩეუმ-სვანეთში 1910 წელს“, რომე-ლიც დღევანდელობას გვაწვდის „შენახულსა“ და ფაქტიუ-რად „დაკარგულს“, მაგრამ მაინც შემონახულს მომავალი თაობებისათვის.

### დამოწმებანი:

1. თაყაიშვილი ე., რჩეული შრომები, ტ. I, თბ., 1968
2. ჩუბინაშვილი გ., 973 წლის ჯვარი იშხანიდან, კრებულში საქართველოს მოამბე, ტ. VI, 1930
3. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩეუმ-სვანეთში 1910 წელს, კრებულში: დაბრუნება, ტ. 2, თბ., 1991.
4. მეგრელიძე ი., ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1989.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 37.

<sup>2</sup> თაყაიშვილი ე., რჩეული შრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 380-381.

5. ლომთათიძე გ., ქართული კულტურის მემატიანე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., საბჭოთა საქართველო, 1990.

***Tamila Gogoladze***

*Gori State Teaching University, Full Professor*

***Ketevan Barbakadze***

*Gori State Teaching University, Associate Professor*

**“ARCHEOLOGICAL EXPEDITION IN LECHKHUM-SVANETI IN 1910” BY EKVTIME TAKAISHVILI AND ITS IMPORTANCE  
RESUME**

Ekvtimé Takaishvili’s contribution to Georgian historiography, ethnography, numismatics and in other spheres is unlimited. He set his goal to collect materials about the history of Georgia for archeologists and preserve the descriptions of antiquities of Georgia for descendants. Among the expeditions held in various parts of Georgia we draw our attention to the expedition of 1910 in Lechkhum-Svaneti which was edited in Paris in 1937. “Archeological Expedition in Lechkhum-Svaneti in 1910” is important in many ways: many of Svaneti historical monuments had been learned but nowadays most of them either do not exists any more or they have reached to our date in changed manner, form the icons, manuscripts and church equipments only descriptions made by E. Takaishvili have been remained. (e.g. Ishkhani Prist cross dated in 973). The behavior of this faithful and devoted scientist inspired the historian-ethnographs of the next generation.

გიორგი გოცირიძე  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

## ექვთიმე თაყაიშვილის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა დროსა და სივრცეში

ერის დიდი მოჭირნახულის, ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქართული ეთნოგრაფიული/ეთნოლოგიური მეცნიერების საფუძვლების შექმნა-ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ფასდაუდებელია. მკვლევრის ამ დამსახურებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გიორგი ჩიტაია - ქართული ეთნოლოგიური სკოლის მესამირკვლე (ჩიტაია 1966). ის საველე ეთნოლოგიური მასალები, რომლებიც მკვლევარს XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ცალკეულ კუთხებსა და მის ფარგლებს გარეთ (ტაო-კლარჯეთი, ანტალია) ჰქონდა შეკრებილი, უნიკალურია და პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს. განსაკუთრებით საყურადღებოა ტრადიციული სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის, წეს-ჩვეულებების, რიტუალების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, სიმბოლიკის რეტროსპექტივა, რომელიც დღეს, დროისა და სივრცის გადასახედიდან, ახლებურ მიდგომას საჭიროებს ეროვნულ მემკვიდრეობაში შესული არქაული კონსტანტების, რელიქტური და რუდიმენტული ელემენტების, სპონტანური და დიფუზიური მოვლენების, მათი რაციონალური და ორაციონალური ნიშნების დასაღენად. ასეთი ანალიზის გარეშე ქართული ეთნოლოგიური წყაროთმცოდნეობის კვლევა არასრულფასოვანია.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ეთნოლოგიაში შედარებითი კვლევის მეთოდის გამოყენება, რომელიც, თავის მხრივ, ისტორიზმის პრინციპს ემყარება და

შემდგომ გიორგი ჩიტაიას მიერ შემუშავებულ კომპლექსურ-ინტენსიური კვლევის მეთოდს დაგდი საფუძვლად.<sup>1</sup> დღეს ევროპელი და ამერიკელი მეცნიერების (ანთროპოლოგების) გარკვეული ნაწილი ამ მეთოდიკას გვერდს ვერ უვლის, თუმცა მიდგომები და სახელწოდებები სხვადასხვაგვარია. ესაა სემიოტიკური, სტრუქტურალისტური, კომპონენტური, სისტემური კვლევის მეთოდები.<sup>2</sup>

ექვთიმე თაყაიშვილისთვის ეთნოგრაფიული მოვლენა ჩეულებრივი ფაქტი როდი იყო. იგი არასოდეს ტოვებდა მას კრიტიკული მიდგომის გარეშე და ყოველთვის ცდილობდა, ის დროსა და სივრცეში განეხილა. ამის შესანიშნავი მაგალითია მისი ერთ-ერთი ნაშრომი „სამი ქრონიკა“, სადაც ის ერთმანეთთან აჯერებს ინფორმაციულ მასალას და წერილობით წყაროში მოცემულ ცნობას. ის ყოველი ისტორიული მოვლენის მიღმა ხედავდა დროსა და სივრცეს, რათა ის რეალობაში, ობიექტურ სინამდვილეში წარმოედგინა. ავილოთ თუნდაც მანუსკრიპტების სისტემაში მოყვანა, სიგელ-გუჯრების ტექსტუალური ანალიზი, მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგება და სხვ.<sup>3</sup>

**კოლექციონერობა.** ექვთიმე თაყაიშვილი გასაოცარი პატ-რიოტიზმის გრძნობით ამჟაღვნებდა სიძველისადმი სიყვარულს, კოლექციებისადმი ინტერესს, ბევრს ზრუნავდა იმაზე, რომ არ დაკარგულიყო ხალხში გაბრული ეროვნული საგანმური, ყოფითი ნივთები. იგი წერდა: „ვის არ შუძლია შეკრიბოს და მოგვაწოდოს ძველი ხელნაწერები, სიგელ-გურჯები, საბრძოლო იარაღები, სამკაულები, ტანსაცმლის ნიმუშები, ნაქსოვები, ფულის ერთეულები, მრავალი სხვა არქეოლოგიური ნივთები. ვის არ შეუძლია ჩაწეროს და მოგვაწოდოს ხალხური ზღაპრები, სიმღერები, სიმღერები,

<sup>1</sup> თაყაიშვილი ექ., რჩეული ნაწერები, I თბ. 1968.

<sup>2</sup> იხილეთ ლ. სტრონის, ა. კლეინის, ი. მურევიჩის, ჯ. გუდის და სხვათა ნაშრომები.

<sup>3</sup> შამილაძე 2012, 412.

გადმოცემები, არაკები, თქმულებები, შელოცვები, გამოცანები. აღწეროს ხალხური ზნე-ჩვეულებები, დაბადებიდან სიკვდილამდე, ქორწილი, ტირილი, გლოვა, ხატობა, დღეობები, გართობათამაშობანი და სხვ. - შენიშნავს, რომ ყველა ეს მასალა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენი ერის, მისი ენის, ზნე-ჩვეულების, კულტურის შესასწავლად, - დაახ, ყველა ქართველს შეუძლია თვალსაჩინო დახმარება გაუწიოს ჩვენს საზოგადოებას“<sup>1</sup>.

უნდა ითქვას, რომ მკვლევრის ასეთ მოწოდებას მაშინ ფუჭად არ ჩაუვლია. მან ხალხში სათანადო გამოხმაურება ჰპოვა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში (რომლის თავმჯდომარეც თავად ექვთიმე თაყაიშვილი იყო) დიდ-ძალი კოლექცია შეგროვდა. მათი სია კრებულ „ძველ საქართველოს“ მესამე ტომშია შეტანილი.<sup>2</sup>

სწორედ საკოლექციონერო საქმიანობა გახდა საფუძველი იმისა, რომ მისივე თაოსნობით თბილისში მოქმედი კავკასიის მუზეუმი ახალი ექსპონატებით, ეთნოგრაფიული იშვიათობებით გამდიდრებულიყო. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთის მოხელეები ამ დიდი ეროვნული საქმის განხორციელებას ხელს უშლიდნენ. ბევრი ნივთი იყარგებოდა და საზღვარგარეთ გაპქონდათ. ბატონ ექვთიმეს მაშინ მხარში ამოუდგა ქართველი მოღვაწე, მკვლევარი და მეცნიერი აღ. სარაჯიშვილი. მათი დიდი ერთობლივი გარჯის საფუძველზე შეიქმნა ქართული მუზეუმი, რომელშიც ეთნოგრაფია განყოფილების სახით იყო წარმოდგენილი. დაწვრილებითი ანგარიში კი ამის თაობაზე წაკითხულ იქნა ბუნებისმეტყველთა კონგრესის ეთნოგრაფთა და ლინგვისტთა სექციაში, საქართვე-

<sup>1</sup> თაყაიშვილი ექ., რჩეული ნაწერები, I თბ. 1968.

<sup>2</sup> თაყაიშვილი ექ., რჩეული ნაწერები, I თბ. 1968; ჩიტაია გ. აკად. ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწობა, თბ. 1966.

ლოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და სომხური ეთნოგრაფიული საზოგადოების გაერთიანებულ სხდომაშე.<sup>1</sup>

**ექსპედიციები:** ექვთიმე თაყაიშვილის ფართო სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს მისი „მოგზაურობები“ ანუ ექსპედიციები წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმიანობას შეალია მან თავისი ცხოვრების დიდი მონაკვეთი ურთულეს და უმძიმეს პირობებში. ეს არის მოგზაურობა რაჭაში, ლერჩხეუშში, სვანეთში, ლაზისტანში, ტაო-კლარჯეთში და სხვ., რომელთა შედეგებიც უნიკალური ინფორმაციის შემცველია, უაღრესად მნიშვნელოვანი და ამ მხრივ მას დროისა და სივრცის განზომილება არ გააჩნია. სამწუხაროდ, ახლა ხშირად ვხვდებით ისეთ პუბლიკაციებს და საჯარო განცხადებებს, სადაც ამის შესახებ არაფერს წერენ, ან თუ წერენ, ძალიან მკრთალად. პირადად მე არაერთხელ მომისმენია, რომ, მაგალითად, ტაო-კლარჯეთის ქართულ მოსახლეობაში (ქართველებით დასახლებულ ამა თუ იმ რეგიონში) პირველად შევეღით, ეს რეგიონი ეთნოგრაფიულ საერთოდ შეუსწავლელია და სხვა. ეს, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულია. მეტიც, ბატონი ექვთიმეს გარდა არც ნიკო მარია მოხსენებული და არც სხვა მეცნიერ-მკვლევრები, რამდენად მცირეც არ უნდა იყოს მათი ღვაწლი ამ საქმეში, პირდაპირი თუ ირიბი მნიშვნელობით. თუმცა, კიდევ კარგი, რომ არსებობს მცირე გამონაკლისები.<sup>2</sup>

ბატონი ექვთიმეს საექსპედიციო პრაქტიკა იმითაც იყო გამორჩეული, რომ ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ველზე არქოლოგთა, ისტორიკოსთა (განსაკუთრებით, ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტთა), ხელოვნებათმცოდნეთა, ეთნოგრაფთა,

<sup>1</sup> საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებათა ოქმები, 1907-1912, თბ., 1914.

<sup>2</sup> შამილაძე ვ. მიმინოშვილი ო. – საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია, თბ. 2009.

ფოლკლორისტთა ერთობლივ მუშაობას, თუმცა ამის საშუალება რეალურად ხშირად არ ეძლეოდა და იძულებული იყო, თავად გა-ეწია ეს დიდი ჭაპანი. თანამედროვე პირობებში კი, როცა საზღვრები გახსნილია, ეს სრულიად შესაძლებელია. მაგრამ აქაც აუ-ცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ყოველი კულტურული ძეგლი თუ რეალია მოცემულ ყოფით გარემოსთან მიმართებაში უნდა შეისწავლებოდეს. ამას მოითხოვდა ექვთიმე თაყაიშვილი და ეს გაითვალისწინეს კიდეც კომპლექსურ-ინტენსური კვლევის დროს ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების სკოლის ფუძემდებლებმა გიორგი ჩიტაიამ და ვერა ბარდაველიძემ, შემდგომში მათმა მოწავეებმა.

შეზღუდული ფორმატის გამო შეუძლებელია, აქ დაწვრილებით შეგვეხოთ ექვთიმე თაყაიშვილის საექსედიციო მუშაობის პარამეტრებსა და შედეგებს, მაგრამ ზოგიერთი მაგალითის მოყვანა და მასზე აქცენტირება მაინც აუცილებლად მიგვაჩნია.

1. ექვთიმე თაყაიშვილს ჰქონდა არაჩვეულებრივი ალლო არტეფაქტების კულტურულ-ისტორიულ და არეალურ სივრცეში გააზრებისა და განზოგადებისა. ერთ-ერთი ასეთი აღმოჩენა იყო სვანეთისა და ყვირილას ხეობაში მუშაობის დროს სასანიდების ეპოქისძროინდელი მინანქრიანი სპილენძის სამფეხა, ფრთო-სანი ცხოველის გამოსახულება.

ეს იყო ლომი, რომელთან ერთადაც მას ხელთ ჰქონდა სვანეთის ხევში მოძიებული საკულტო დროშა „ლემის“ გამოსახულებით. მკვლევარმა წაიკითხა ლემის თავზე ამოტვიფრული წარწერა და ამით დაადგინა ამ დროშის გამოყენების წესი სარიტუალო ჩვეულებებში, რაც უძველესი წარმართული რელიგიური წრმენა - წარმოდგენებიდან მომდინარეობს. ემპირულ მასალაზე დაყრდნობით მოცემული მისი ეს დაკვირვება დღესაც სიცოცხლისუნარიანია და ანგარიშგასაწევი, თუმცა არსებობს განსხვავე-

ბული შეხედულებაც „ლემის“ ქრისტიანიზებულ ფორმატში გა-  
აზრებისა, რასაც შეიძლება ყველა არ დაეთანხმოს.<sup>1</sup>

2. არტეფაქტების ძიების დროს ექვთიმე თაყაიშვილი  
გარკვეულ ყურადღებას უთმობდა ლეგენდების, თქმულებების,  
გადმოცემების ჩაწერას. ერთ-ერთ ასეთ საინტერესო ლეგენდას  
წარმოადგენს ლეგენდა ლეჩეუმის ჩხიკვთა სამების გალავნის  
შესახებ. ბატონი ექვთიმეს აზრით, სამების მთა ზოროასტრიზ-  
მის მიმანიშნებელი ადგილი უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობს  
მოედნის შუაში ამოზიდული ბრტყელი ქვა - „ბომონი“. ძველად  
აქ სახალხო დღესასწაულების დროს მსხვილფეხა საქონელს  
(ხარს) და მამალს სწირავდნენ. რელიგიური ჩვეულების ეს  
ფორმა სინკრეტიზმის ანუ დუალიზმის (ექ. თაყაიშვილი) ნათე-  
ლი გამოვლინებაა, რადგან სამების ჭამარი ქრისტიანული ნაგე-  
ბობაა, ხოლო ბომონი, სამსხვერპლო ქვა - საზორველი, წინა-  
რეკრისტიანული ან, უფრო სწორად, წარმართული ხანის გად-  
მონაშთი. მამლის შეწირვის შემთხვევაში კი, რაც ხშირად ხდე-  
ბა, აჰერა მაზდას კულტის არსებობასთან გვაქვს საქმე, რადგან  
მამალი წმინდა ფრინველია და უძველესი რწმენა-წარმოდგენე-  
ბით გააზრებულია, როგორც აჰერა მაზდას მსახური (ტეილო-  
რი 971, 98). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, სწორი უნდა  
იყოს ის მოსაზრებაც, რომ ქრისტიანული ჭამრების (და არა  
მხოლოდ ქრისტიანულის) აგებაც სწორედ ასეთ საკულტო ად-  
გილზე ხდებოდა (წმინდა ხესთან ან ქვასთან ახლოს), რაც მრა-  
ვალი ხალხის რელიგიურ პრაქტიკაშია დამოწმებული. ჩვენ  
ისიც ლოგიკურად მიგვაჩნია, რომ ასეთ ადგილებზე ხდებოდა  
საზოგადოების (გვარის, ტომის, თემის) თავშეყრა და ასეთ ად-  
გილებს თავისი კუთხური სახელები აქვს: რაჭაში „სანახშო“,  
ოსებში „ნიხასი“, სვანეთში „სვიფი“, ლეჩეუმში „სალაყბო“ და

<sup>1</sup> გუჯევიანი რ; საკრალური დროშები ქართულ ტრადიციაში, კავკასიის  
ეთნოლოგია XII, თბ. 2010,

სხვ. მხოლოდ ერთია უმთავრესი - როცა ხატობა-დღეობაზე საკლავის ანუ სამსხვერპლოს, საწირველის დაკვლა უნდათ, ეს მხოლოდ ტაძრის ეზოში, მოცილებით არის შესაძლებელი და არა თავად ტაძარში. მთაში კი ხატობა-დღეობებზე ეს ტრადიცია, შედარებით არქაული წესების დაცვით, დღესაც ცოცხალია. ფრინველს მაღლა ასწევენ, შეაფრთხიალებენ, ცხვარს კი საამისოდ გამოყოფილ ადგილზე დაკლავენ, ხორცს მოხარშავენ, იქვე იტრაპეზებენ, ტყავსა და თავ-ფეხს დამკვლელს აძლევენ.

3. ექვთიმე თაყაიშვილის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში ძალიან ხშირად შეხვდებით ისეთ უნიკალურ დეტალურად აღწერილ მასალას, რომელიც დღევანდელ ყოფაში პირვანდელი სახით ძალიან იშვიათად თუ საღმეა შემონახული. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება სამონადირეო ტრადიცია, კერძოდ, მიმინოთი ნადირობა მწყერზე, სხვა ფრინველზე, კურდღლელზე და სხვ. ნადირობის ეს წესი საკმაოდ არქაული და მსოფლიოს მრავალ ხალხშია გავრცელებული. ერთი შეხედვით, თითქოსდა მათ შორის განსხვავება არ არის, მაგრამ კავკასია და მათ შორის საქართველო მაინც გამორჩეულია. ამას ჩვენი ძირიდარი ფლორა და ფაუნა განაპირობებს. არსებობს ნადირობისთვის არაერთგვაროვანი ლანდშაფტური ზონები, სამონადირეო ციკლის სეზონური გამორჩეული ხანგრძლივობა და ა. შ.

მიმინო უიშვიათესი ეგზოტიკური ფრინველია და ჩვენში მისი გამორჩეული ადგილობრივი (კოლხური) სახეობა არსებობს, მიმინოთი ნადირობა საქართველოს ყველა კუთხეში იყო გავრცელებული (უფრო დასავლეთ საქართველოში). ექვთიმე თაყაიშვილი აღწერს მიმინოთი ნადირობის სამზადისს, მისი წვრთნისა და გამოყენების ხერხებს. დადგენილია, რომ მიმინოს მოშინაურების, მისი დაჭრის და წვრთნის პერიოდი ზაფხულია, აგვისტოს მიწურული, როცა ქოსმარიობა ანუ ფრინველთა თბილ ქვეშებში გადაფრენის ჟამი დგება და ჩიტები „ირაობას“ ანუ „შეფრთხიალებას“ იწყებენ. ბაზიერი მიმინოს დაჭრას „ლაშოს“

მახის ან ბადის დაგებით იწყებდა. ან კესზე „პედის“ ძაფს დაამაგრებდა, წვერზე კალიას წამოაცვამდა (ისიც მწვანე ფერის – ე. წ. „ირემას“) და ლაუს სამ ფეხზე გამართულ ჩიტბადეზე დგამდა. ციდან მიმინოს მოტყუებას ამით ცდილობდა. მიმინო რომ ბადეს დაინახავდა, ზედ დააფრინდებოდა და ამით თავად გაექმებოდა მახეში. ბაზიერმა ისიც იცოდა, თუ მიმინოს რომელი სახეობა უნდა შეერჩია – „ჯაჯა“, „შევარდენი“, „მარჯანი“, „ფორლაული“, დანარჩენს კვლავ გაუშვებდა. მიმინო ფერითაც შეირჩეოდა. იყო მოშავო, უღალი ანუ მოწითალო, სქესის მიხედვით მამალი („გეზა“), ტანად მოსული, ზრდადამთავრებული. წვრთნის პერიოდი ერთ კვირას მაინც გრძელდებოდა. მიმინოს ფრთებსა და ფეხებს უკრავდნენ, შეფრთხილებას ასწავლიდნენ, მერე მწყერზე მიუშვებდნენ ძალლოთან ერთად და ა. შ. ყველა ეს ეტაპი ბატონ ექვთიმეს დეტალურად აქვს აღწერილი და

ყურადღებას იქცევს მისი თითოეული ნიუანსი, რაც ნადირობის ამ შესანიშნავ და ლამაზ ტრადიციას ასხივოსნებს. ექვთიმე თაყაიშვილი წერს, რომ მიმინო ძველად იმდენად ძვირადირებული, იშვიათი ფრინველი იყო, რომ ბედაურ ცხენშიც კი იცვლებოდა.<sup>1</sup>

**პარხალი.** ექვთიმე თაყაიშვილის საექსპედიციო ჩანაწერების ერთ–ერთ გამორჩეულ ფურცელს – თურქეთში, ძველი ანტალიის ტერიტორიაზე, პარხალში ჩანიშნული მასალა წარმოადგენს. ავტორის ცნობით, პარხალის მცხოვრები ქართველები მესაქონლეობასა და მებაღეობას მისდევდნენ. წინათ პარხალი ცნობილი ყოფილა შალეულის წარმოებითაც. მკვლევარი თავად დასწრებია პარასკევ დღეს მეჩეთის ეზოში გამართულ ბაზრობას, რომელშიც სხვა სოფლებიდან ჩამოსული ლაზებიც იღებდნენ მონაწილეობას. ისინი ვაჭრობდნენ ხის ნაკეთობებით და კონსტანტინეპოლის იაფფასიანი მანუფაქტურით. აქვე ყოფილან თერძები. ისინი საქმიან გარიგებას ახდენდნენ აღმოსავლელ ვაჭრებთან, ყი-

<sup>1</sup> თაყაიშვილი ექ, რჩეული ნაწერები, I თბ. 19 68.

დულობდნენ სიმინდს და სხვა პროდუქტებს, არჩევდნენ საჩუქრებს და სხვ.

ავტორი ნარკვევის ამ ნაწილში წერს, რომ პარხალში, იქ, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ, იმართებოდა ყურძნის აღების დღესასწაული (რთველი), რომელშიც გაშიშვლებული ახალგაზრდები ეროტიულ სცენებს წარმოადგენდნენ, სხეულზე ყურძნის მტევნებს იკიდებდნენ, ფერხულს ცეკვავდნენ და ღრეობდნენ. თვით პარხალში ახალგაზრდებს მოლები ამის გაგეობის უფლებს არ აძლევდნენ, ამიტომ ისინი ქვემო სოფლებში ინაცვლებდნენ. ექვთიმე თაყაიშვილი წერს: გაშიშვლებული ცეკვა კლასიკური ბახუსის (ვაზის/ვაკხანალიის) სცენებს გვაგონებს და, აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, თუ რასთან და რა მოვლენასთან გვაქვს საქმე.

პირველი ეთნოლოგი მკვლევარი, რომელმაც ამას ყურადღება მიაქცია, გიორგი ჩიტაია გახლდათ. ის ვარაუდობდა, რომ ეს რიტუალი აშკარად ეხმაურებოდა ბერძნულ მითოლოგიაში დიონისეს ღვთაებისადმი მიძღვნილ სარიტუალო ორგიებს, მაგრამ, როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ვაზის და ღვინის უძველესი ქვეყნა ვართ, ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი ეს რიტუალი თანდათან დაიკარგა და დღევანდელი რთველის დღესასწაულში მისი პირდაპირი კვალი აღარ ჩანს, თუმცა, ამასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ფაქტი მაგონდება.

კახეთის 1982–1986 წლების ექსპედიციის დროს სოფ. კარდანახში ჩავიწერე მასალა: „რთველი რომ დაიწყებოდა, ზვრებში ახალგაზრდები ჟივილ—ზივილით შევდიოდით, კრეფას დავიწყებდით, ამ დროს ერთი ვინმე შედარებით ზრდასრულ ქალთან მივიდოდა, ხუმრობით ფეხს დაუდებდა და გაზის ძირში დაგორებდა. ატყედებოდა დიდი სიცილი და მხიარულება. ან კიდევ, ბიჭები დაეჭიდებოდნენ ერთმანეთს, ეღლაბუცებოდნენ”... ისიც გამიგია, ყურძნის კრეფის წინ ზვარში პატარა ბავშვის გაყვანაც იცოდნენ. ერთმა ჩემმა ახლობელმა სიზმარი ნახა, ვენახში ფეხ-

მძიმე ქალები დაიარებოდნენ<sup>1</sup>, ვფიქრობ, ეს მართლაც ნაყოფიერების სიმბოლურ აზრს გამოხატავს და შესაძლოა, პარხალში ჩაწერილი მასალის თავისებური ანოლოგიაც იყოს.

ექვთიმე თაყაიშვილი გურიაში ახალი წლის წინ „ცხემლის ჭრის“ საღამოს შესრულებულ „აგუნიას“ გადაძახილსაც აღწერს. „წავლენ მარანზე და ღორის თავს წაიღებენ, საწნახელზე ნაჯახის ყუით დაარაკუნებენ და შემდეგ სიტყვებს ამბობენ: აგუნა—აგუნა, ბახვი გადმოიარე, ასკანა ჩამოიარე, „ან ბახუნას ბალად ჩამოიარე“ და სხვა. ავტორის თქმით, აგუნა ყურძნის ღმერთია, როგორც რომაელებისთვის „ბახუსი“, ბერძნებისთვის დიონისე“. იქნებ სოფლის სახელწოდება ბახვი და ადამიანის სახელი ბახვა, ბახო აქედან მოდის?

რაც შეეხება თვით მევენახეობის (თუ ყურძნის) ღვთაებას, მინდა შემდეგი განვაცხადო: მევენახეობისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით ქართველთა მევენახეობის ღვთაების სახელი დადგენილი არ არის. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. არც რიტუალებშია ამის შესატყვისი რამ დადასტურებული. ზოგი ასეთ ღვთაებად „ბადაგონს“ თვლის, ყურძნის ერთ—ერთი ჯიშის, „ბადაგონის“ გამო, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდია და შემდგომ საგანგებო კვლევას მოითხოვს.

და ბოლოს, ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა ქართული ეთნოლოგიური სკოლის მრავალწლიანი გამოცდილება და მიღწევები ფართო საერთაშორისო მიმოქცევის ფარგლებშია მოქცეული, დარგის სათავეებთან მდგარი დიდი ერუდიტი მკვლევრებისა და პროზელიტების ღვაწლი ფასდაუდებელ მნიშვნელობას იძენს. არის ისეთი კონსტანტები, ემპირიული რელიგიური მოვლენები და ფაქტები, რომელთა

<sup>1</sup> გოცირიძე გ.. კახეთის ეთნოლოგიური ექსპედიცია 1988, რვ. №1.

მოქმედების არეალი ფართოა და ეროვნული მემკვიდრეობის უნიკალურ საგანძურს წარმოადგენს.

ასეთივე უნიკალურია ექვიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე, საკუთრივ ქართული ეთნოლოგიური დარგის წინაშე.

ვიმედოვნებ და მწამს, რომ კვლევა, რომელსაც ბატონი ექვთიმე აწარმოებდა, შემდეგშიც გაგრძელდება და ამ მხრივ არაერთი საინტერესო ნაშრომი შეემატება ქართულ მეცნიერებას.

#### დამოწმებანი:

1. გოცირიძე გ., კანეთის ეთნოლოგიური ექსპედიცია, 1988, რვ. №1.
2. გუჯეჯიანი რ., საკრალური დროშები ქართულ ტრადიციაში, კავკასიის ეთნოლოგია, XII, თბ., 2010.
3. თაყაიშვილი ექ., რჩეული ნაწერები, I, თბ., 1968.
4. მეგრელიძე ო., ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1989.
5. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებათა ოქმები, 1907-1912, თბ., 1914.
6. შამილაძე ვ., მიმინოშვილი ო., საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია, თბ., 2009.
7. ჩიტაძა გ., აკად. ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1966.

**Giorgi Gotsiridze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Associate Professor*

**THE ETHNOGRAPHIC HERITAGE IN TIME AND  
SPACE BY EKVTIME TAKAISHVILI  
RESUME**

Ekvtime Takaishvili's Ethnographical Heritage in time and space Ekvtime Takaishvili's contributions in formation and development of Georgian ethnographical science is invaluable. Ivane Javakhishvili and George Chitaia valued his work as great.

The ethnographical materials founded by the researcher in the Georgian regions and beyond (Tao-Klarjeti) in the beginning of the beginning of the XX century, is unique and has a meaning of the first source.

In this case, it's particulary truethworthy the traditional traditional mode of life, agricultural and spiritual culture traditions and rituals, folk symbols belief-performances retrospective, which today needs new approach to present constants, relict and rudimentary elements. The development perspectivs of the Ethnological source study is unimaginable without such kind of analysis.

Ekvtime Takaishvili's ethnological research methods – conceptual features of historical and comparative method – needs special study, which is important for modern ethnological and Anthropological researches.

რუსულან დაუშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
მიწვეული პროფესორი

## ექვთიმე თაყაიშვილი და ქართველი სტუდენტები საზღვარგარეთ

ექვთიმე თაყაიშვილის, ამ დიდი ეროვნული მოღვაწის საქმიანობა ემიგრაციაში ჯერ კიდევ არაა ბოლომდე შესწავლილი. არც მისი ბიოგრაფიის ემიგრანტული პერიოდის ყველა მომენტია ცნობილი. არადა, დიდი მეცნიერი ემიგრაციაში მრავალ სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ საქმეთა ინიციატორი და მოთავე გახლდათ. იყო 1932 წელს პროფესორ მიხეილ (მიხაკო) წერეთლის ხელმძღვანელობით ბელგიაში ქართული ენის კათედრის შექმნის ინიციატორი<sup>1</sup>, რამაც ბიძგი მისცა ევროპაში ქართული ენის სხვა კათედრების დაარსებას. 1934 წელს გერმანიაში, ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტში დაარსებულ ქართული ენის კათედრას სათავეში პროფესორი ნიკო ნაკაშიძე ჩაუდგა<sup>2</sup>. 1935 წელს ვარშავის უნივერსიტეტში დაარსდა აღმოსავლური ფაკულტეტი. ერთ-ერთ პროფესორად გრიგოლ ფერაძე მიიწვიეს, ქართული ენაში ლექციების წასაკითხად – პროფესორი გიორგი ნაკაშიძე<sup>3</sup>. 1936 წლის ნოემბერში ნეაპოლის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაარსე-

<sup>1</sup> ქართული ენის კათედრა ბელგიის უნივერსიტეტში – ჟურნ. დამოუკიდებელი საქართველო, პარიზი, 1932, N78, გვ. 13.

<sup>2</sup> ქართული ენის შესწავლის საქმე ბერლინში – გაზ. კლდე, ბერლინი, 1934, N2, გვ. 4.

<sup>3</sup> ქართველები ვარშავაში – ჟურნ. დამოუკიდებელი საქართველო, 1934, N9 7, გვ. 16.

ბულ ქართული ენის კათედრას ზელმძღვანელობდა პროფესორი შალვა ბერიძე<sup>1</sup>.

ექვთიმე თაყაიშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ თუ უცხოურ სამეცნიერო გამოცემებთან, სწავლობდა და იკვლევდა ეპროპაში გაფანტულ ქართულ სიძეელებს. 1933 წელს პარიზში მისმა ყოფილმა მოწაფემ, ემიგრანტმა არჩილ მეტრეველმა გამოსცა პატარა, 64-გვერდიანი ბროშურა - „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი”. მეტრეველმა იმ წელს დაიწყო საგამომცემლო საქმიანობა მ. წერეთლის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას” გამოცემით. აპირებდა გამოცემათა მთელ სერიას, მათ შორის, ექვთიმე თაყაიშვილის წიგნების გამოცემას, მაგრამ პარტნიორი ფირმის ფინანსური პრობლემების გამო „ქართული ბიბლიოთეკის” შექმნა ჩაიშალა<sup>2</sup>. ყოფილ ოლთისის ოკრუჟში 1907 წლის, სამუსელმანო საქართველოში, ტაო-ისპირში 1917 წლის, ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წლის, იმერეთში, რაჭაში - გურიაში და სხვა არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშების 6 წიგნად გამოსაცემად 1936 წლის ნოემბერში ექვთიმე თაყაიშვილმა დააარსა „ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდი”<sup>3</sup>.

1937-1938 წლებში ქართული ემიგრაციის მიერ შეგროვილი თანხით ფონდმა გამოსცა მონუმენტური, 440 - გვერდიანი ნაშრომი - „არხეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს” და 88 - გვერდიანი - „არხეოლოგიუ-

<sup>1</sup> ქართული კულტურული მუშაობა ნეაპოლის ინსტიტუტში - ჟურნ. დამოუკიდებელი საქართველო, 1937, N140, გვ.11-12.

<sup>2</sup> არჩილ მეტრეველის წერილი მოსე შანიძისადმი, 1938 წ. 5 XII, თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გივი კობახიძის ფონდი.

<sup>3</sup> თაყაიშვილი ექ. მიმართვა ქართული ემიგრაციისადმი - ჟურნ. დამოუკიდებელი საქართველო, 1936, N129, გვ. 16.

რი ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს". მესამე წიგნი - „არხეოლოგიური ექსპედიცია სამუ-სულმანო საქართველოში, ტაო-თოროთუმ-ისპირში 1917 წელს", რომელშიც შესული იქნებოდა პირველხარისხოვანი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები – იშხნი, ოშკი, ხახული, ოთხ-თა ეკლესია, პარხალი და სხვა, 1939 წლის ბოლოს უნდა დაბეჭდილიყო<sup>1</sup>, მაგრამ ვეღარ მოესწრო, მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო.

ექვთიმე თაყაიშვილი იყო ემიგრაციაში ერთადერთი, პარიზის წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1928 წელს ის შევიდა ეკლესიის დასაარსებლად შექმნილ კომიტეტში, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ელენე აფხაზი, ანასტასია წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, ილამაზ დადეშქელიანი, იოსებ დადიანი, იოსებ კემულარია, იაკობ ხოჭოლავა, დავით სხირტლაძე, ლევან ზურაბიშვილი<sup>2</sup>. 1929 წლის 27 იანვარს მან პარიზელ ქართველებს წმ. ნინოსა და საქართველოს გაქრისტიანებაზე მოხსენება წაუკითხა<sup>3</sup>. ამ ეკლესიამ, მისმა მოძღვარმა დეკანოზმა გრიგოლ ფერაბეგ და მისმა დაარსებულმა ჟურნალმა „ჯვარი ვაზისამ" განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართული ემიგრაციის კონსოლიდაციასა და ეროვნული მენტალიტეტის შენარჩუნებაში.

ექვთიმე თაყაიშვილი წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა ქართველ სტუდენტთა დამხმარე კომიტეტს.

საქართველოს ოკუპაციის დროს საზღვარგარეთ სწავლობდა 200-მდე სტუდენტი. მათგან 84 საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, 1918 წელს, 2.000 კანდიდატიდან იყო

<sup>1</sup> ანგარიში ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა – 1938, N159, გვ. 16.

<sup>2</sup> განცხადება – ჟურნ. დამოუკიდებელი საქართველო, 1929, N38, გვ. 16.

<sup>3</sup> ქართველები საფრანგეთში – ჟურნ. დამოუკიდებელი საქართველო, 1929, N38, გვ. 16.

შერჩეული და ეროვნული მთავრობის მიერ სახელმწიფო ხარჯით საზღვარგარეთ გაგზავნილი. ოკუპაციის შემდეგ ბევრი აღარ დაბრუნდა სამშობლოში და ემიგრაციაში დარჩა. 1921 წლის 19 ივლისს მათ დასახმარებლად პარიზში შეიქმნა „სტუდენტთა საკვალიფიკაციო და დამსმარე საგანგებო კომიტეტი”, რომლის თავმჯდომარედ მიწვეულ იქნა ექვთიმე თაყაიშვილი, მდივნად – საქართველოს ლეგაციის პირველი მდივანი სოსიაპრეტ ასათიანი, წევრებად – სახელმწიფო მინისტრი აკაკი ჩხერიძელი და პროფესორი ზურაბ ავალიშვილი<sup>1</sup>.

კომიტეტმა წერილები დაუგზავნა სხვადასხვა ქალაქებში მყოფ ქართველ სტუდენტთა გამგეობებს. შედგა სტიპენდიაზე წარსადგენ და გაჭირვებულ სტუდენტთა სიები, რომელთა მიხედვით იმ დროისათვის გერმანიაში (ბერლინი, გოტინგენი, ერლანგენი, იუნა, მიუნხენი, ნიურნბერგი, ტიუბინგენი, ფრაიბურგი, ჰაიდელბერგი, ჰალე, ჰამბურგი) სწავლობდა 34 ქართველი, საფრანგეთში (პარიზი, გრენობლი, მარსელი) – 12, ჩეხოსლოვაკიაში (პრაღა, ბრნო) – 43, პოლონეთში (ვარშავა) – 5, ბელგიაში (ბრიუსელი) – 2. სულ 97 სტუდენტი – 92 ვაჟი და 5 ქალი. სიებში მითითებული იყო სტუდენტის დაბადების და საშუალო სასწავლებლის დამთავრების წელი და ადგილი, სად და რომელ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა, რომელი წლიდან, როდის დამთავრებდა, რა სახსრებით არსებობდა - სტიპენდიით, დახმარებით შშობლებისაგან თუ საკუთარი შრომითი შემოსავლით.

სტუდენტთა მდგომარეობის შესწავლის შემდეგ გამოიყო თანხები და კომისია მათ შეძლებისდაგვარად ეხმარებო-

<sup>1</sup> ლევილის სამთავრობო არქივის კატალოგი წიგნში - გ. შარაძე, ერის ისტორიული მეცნიერების დაბრუნება, ქართველ სტუდენტთა დამსმარე საგანგებო კომიტეტი, თბ. 1997, გვ. 531-535.

და.<sup>1</sup> სასწავლებლების დამთავრების შემდეგ სტუდენტთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ნაწილმა კი ემიგრაციაში დარჩენა არჩა. მათ შორის იყვნენ შემდგომში მეცნიერების და კულტურის ცნობილი ემიგრანტი მოღვაწეები: კირილე გეგუა, ალექსანდრე და ივანე ნიკურაძეები, კიტა ჩხენკველი, ნიკოლოზ ჭუშმბურიძე, ბარნაბ გელაზანია, შოთა ნიკოლაძე, კონსტანტინე კობახიძე, გიორგი ჯაყელი, გიორგი ნაკაშიძე, დავით ბერეკაშვილი და სხვები.

ათ წელიწადში ემიგრაციაში წამოიზარდა ახალი თაობა. „ამ მდგომარეობაში ჩვენი მოვალეობაა ემიგრაციის ახალ თაობას მოვუაროთ, - წერდა ე. თაყაიშვილი, - ის დავაყენოთ ჭეშმარიტ გზაზე, გამოვზარდოთ რამდენიმე პირი მაინც, მივსცეთ მას შესაფერი მომზადება, რომ საქმის გაკეთება შეეძლოთ და ღირსეული წარმომადგენელნი გახდნენ ერისა და მათი ბედის ხელმძღვანელნი. არც ერთს დარგში ჩვენ აქ მომზადებული კაცი არა გვყავს. ჩემი ცთა ყოველთვის ასეთი ახალგაზრდობის მომზადება იყო. იქ საქართველოში მიზნათ გვქონდა ახალგაზრდობა გარუსებისაგან დაგვეცო, პატრიოტულად, ქართველად გაგვეწაფა. ამას რამოდენიმეთ მივაღწიეთ, შემთხვევითი არ არის თუ გაიხსენებ, რომ ყველა განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრები ჩვენი სააზნაურო სკოლის შეგირდები იყვნენ, მაგრამ ეს საკმაო არ იყო. პოლიტიკურად დიდი მომზადებული და გამოჩენილი პირები ვერ შევქმნით, უსახსრობის და სხვა მიზეზების გამო. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს, აქ უნდა თავი მოვუყაროთ და გზა მივსცეთ ახალგაზრდებს, მტკიცე ხასიათის პატრონთ, და ყო-

<sup>1</sup> ლევილის სამთავრობო არქივის კატალოგი წიგნში - გ. შარაძე ერის ისტორიული მეცნიერების დაბრუნება, ქართველ სტუდენტთა დამხმარე საგანგებო კომიტეტი, თბ. 1997, გვ. 531-535

ველ დარგში ვიყოლიოთ საკმაო უაღრესად მომზადებული პირები<sup>1</sup>.

საფრანგეთში მყოფმა სტუდენტებმა 1927 წელს შექმნეს ქართველ სტუდენტთა კულტურულ-აკადემიური კავშირი მიხეილ ხუნდაძის თავმჯდომარეობით. საზოგადოების მზრუნველად დაინიშნა საქართველოს მეგობართა საზოგადოების გენერალური მდივანი თელიკო კოკე-ნიკოლაძისა, მდივანი იყო ნიკო ურუშაძე<sup>2</sup>. ასეთი კავშირები შემდეგ სხვა ქვეყნებშიც შეიქმნა. სტუდენტთა კავშირის ინიციატივით ეწყობოდა სხვადასხვა ღონისძიებები, შეხვედრები და ლექცია-საღამოები.

1933 წელს „ლტოლვილთა ოფისის“ დირექტორის მოადგილემ, მდიდარმა ქართველმა და უმდიდრესი ქალის - ბარბარა ჰატენის ქმარმა ალექს მდივანმა, „მშვენიერმა პრინცმა“, როგორც მას პრესა უწოდებდა, გადაწყვიტა სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა. კომიტეტმა მას წარუდგინა სტუდენტთა სია მონაცემებითურთ. ექვთიმე თაყაიშვილი ამის შესახებ ცნობილ მეცნიერს, გრიგოლ დიასამიძეს ამერიკაში სწერდა:

„სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა ალექს მდივნის მოწვევით მისგან დაარსებულს სასტიპენდიო კომიტეტში და თუ ეს საქმე მან შესძლო და ჯეროვნად დააყენა, დიდი საქმე იქნება. კომიტეტს უპვე ქონდა სხდომა და 72 თხოვნაში ამოარჩია კანდიდატები, რომელნიც შეეფერებოდნენ რეგლამენტს თვით მდივნის დასწრებით და მონაწილეობით შემუშავებულს, ესე იგი წესდებას და წარუდგინა მას ამერიკაში მისი თხოვნის მიერ. სიაში სულ 28 კანდიდატია.

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილის წერილი გრ. დიასამიძისადმი წიგნში - გ. შარაძე, ამერიკელი ქართველები, თბ., 1992, გვ. 95-96;

<sup>2</sup> ქართველები საფრანგეთში – გაზ. დამოუკიდებელი საქართველო, პარიზი, 1927, N22, გვ. 4.

ამდენს, რასაკვირველია, სტიპენდიას ვერ მისცემს ჯერ-ჯერობით მაიც, მაგრამ 15-საც რომ დაუნიშნოს, ესეც დიდ საქმედ უნდა ჩაითვალოს. სტიპენდია ჯერხანად მარტო საფრანგეთში მოსწავლეთათვის არის დაწესებული და ამიტომ გერმანელი სტუდენტები სიაში ვერ მოექცნენ, მაგრამ ზოგიერთ პირთათვის, რომელთაც კურსი დაუმთავრებდათ და დოქტორატის თემის დასაწერათ ანუ უკეთესთაგან დასაბეჭდათ თანხა არა აქვთ, ამათვის ცალკე გამოვითხოვეთ საჭირო ფული, და დამაარსებელზე დამოკიდებული იყისრებს თუ არა (ასეთები გერმანიდან ოთხი კაცია: ჩხენკელი, გელაზანია, იმნაიშვილი და წულუკიძეს მეუღლე). ამ რიგათ შენი კანდიდატი დიმიტრი კაკაბაძე ჯერჯერობით სიაში ვერ მოხვდება და მომავალში, რა თქმა უნდა, ვიშვამდგომლებთ, საქმე სტიპენდიის დამაარსებელზე იქნება დამოკიდებული<sup>1</sup>.

მართლაც, კანდიდატთა შორის შეირჩა 15 სტუდენტი. მათ შორის იყვნენ: მიხეილ სტურუა, ლევან ფალავა, შოთა თაქთაქიშვილი, არკადი მამურია, ალექსანდრე და ივანე ნიკურაძეები, მიხეილ ახმეტელი, ბიძინა სიდამონ-ერისთავი, ლეო მუსხელიშვილი და სხვები. სტიპენდია დაენიშნა გოგი ჭაჭიაშვილსაც, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაფულტეტი და სადოქტორო თემა უნდა ჩაებარებინა ცნობილი პროფესორის პაპენისათვის<sup>2</sup>. ალექს მდივანი შანხაიშიც ჩავიდა და იქ მოსწავლე ხარბინელ ქართველ სტუდენტებსაც დაუნიშნა სტიპენდიები.<sup>3</sup> 1935 წელს ალექსი ავტოკატასტროფაში დაიღუპა და სტიპენდიების საქმე ჩაიშალა. კომიტეტს დიდი წვალება და ხვეწნა-მუდარა უხდებოდა სტუდენტთა დასახმარებლად. დაფინანსება ოჯახების, კერძო პირების და მეცნიატების საშუალებით ხდებოდა.

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილის წერილი გრ. დასამიმისადმი, გვ. 95-96.

<sup>2</sup> ქართველები საფრანგეთში – „დამოუკიდებელი საქართველო“, 1933, N114, გვ. 16.

<sup>3</sup> ალექს მდივანი – ურნ. ხამბოძლო, პარიზი, 1935, N17-18, გვ. 58-59.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ქართველ სტუდენტთა დამხმარე კომიტეტმა არსებობა შეწყვიტა, ექვთიმე თაყაიშვილს კი მრავალი თავსატეხი გამოუჩნდა ქართულ განძეულთან დაკავშირებით...

### დამოწმებანი:

1. ალექს მდივანი – ჟურნ. სამშობლო, პარიზი, 1935, 17-18.
2. ანგარიში ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა – 1938, 159.
3. არჩილ მეტრეველის წერილი მოსე შანიძისადმი, 1938 წ. 5 XII, თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გივი კობახიძის ფონდი.
4. ქართული ენის შესწავლის საქმე ბერლინში – გაზ. კლდე, ბერლინი, 1934, 2.
5. განცხადება – ჟურნ. დამოუკიდებელი საქართველო, პარიზი, 1929, 38.
6. თაყაიშვილი ექ. მიმართვა ქართული ემიგრაციისადმი – ჟურნ. – დამოუკიდებელი საქართველო, 1936, 129.
7. თაყაიშვილის ექ. წერილი გრ. დიასამიძისადმი წიგნში - გ. შარაძე, ამერიკელი ქართველები, თბ. 1992.
8. ლევილის სამთავრობო არქივის კატალოგი წიგნში - გ. შარაძე, „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება“, ქართველ სტუდენტთა დამხმარე საგანგებო კომიტეტი, თბ. 1997.
9. ქართული ენის კათედრა ბელგიის უნივერსიტეტში – ჟურნ. დამოუკიდებელი საქართველო, 1932, 78.
10. ქართული კულტურული მუშაობა ნეპოლის ინსტიტუტში – ჟურნ. დამოუკიდებელი საქართველო, 1937. 140.
11. ქართველები ვარშავაში – ჟურნ. დამოუკიდებელი საქართველო, 1934, 97.

12. ქართველები საფრანგეთში – გაზ. დამოუკიდებელი საქ-ართველო, 1927, 22, გვ.4;
13. ქართველები საფრანგეთში – ჟურნ. დამოუკიდებელი საქ-ართველო, 1929, 38, გვ.16;
14. ქართველები საფრანგეთში – ჟურნ. დამოუკიდებელი საქ-ართველო, 1933, 114, გვ.16.

**Rusudan Daushvili**

*Doctor of History, Visiting Professor, Ivane Javakhishvili*

*Tbilisi State University*

**EKVTIME TAKAISHVILI AND GEORGIAN  
STUDENTS ABROAD  
RESUME**

The article deals with some unknown facts of Ekvtime Takaishvili's emigrational biography. The great scientist continued his scientific and social activities in emigration. He was one of the founders of St. Nino Georgian Orthodox Church in Paris. In 1932 at the Brussels University Takaishvili was the initiator to establish the Department of the Georgian Language under the guidance of Mikheil Tsereteli and then, Markoz Tughushi. This initiative was the stimulus to establish the Departments of the Georgian Language in Europe. In 1934 the department was established at the Berlin University under the guidance of Niko Nakashidze, in 1935 – at the Warsaw University under the leadership of Grigol Peradze and Giorgi Nakashidze and in 1936 – at the University of Naples "L'Orientale" under the guidance of Shalva Beridze. Takaishvili traveled to "Muslim Georgia", Lechkhumi-Svaneti, Imereti, Racha and Guria. He published reports of the archaeological expeditions. Ekvtime was a chairman of the "Foundation for the Publication of Georgian Cultural and Archeological Materials" which he formed in 1937. Before

World War II the foundation managed to publish 2 from 6 volumes: in 1937 – “Archeological Expedition in Lechkhum-Svaneti”, in 1910 and 1938 – “Archeological Expedition in Kola-Oltisi and Changli in 1907”.

Ekvtime Takaishvili was a chairman of the committee which was formed to help 200 Georgian students who emigrated after the Soviet occupation in 1921. After the graduation some students returned to their homeland and others decided to stay abroad. The committee also helped new generation which grew up in emigration. It sought for scholarships and found sponsors to finance their education. Many famous prominent figures joined the Georgian emigration.

## **ნინო სილაგაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

## **ნათელა ჯამუშა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

### **ექვთიმე თაყაიშვილი - ძველი ქართული ხელოვნების მოამაგე**

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელი დიდი ხანია დამკვიდრებულია ქართული ისტორიული მეცნიერების სათავეებთან მდგომი კორიფეულის გვერდით. მისი წვლილი დაფასებულია, ხოლო მისი მოღვაწეობა - ყოველმხრივ შესწავლილი და ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის - არასპეციალისტებისათვისაც. მნელია რაიმე ახალი ითქვას ამ მხრივ, თუმცა წინამდებარე სტატიაში შევეცდებით კიდევ ერთხელ წარმოგანიჩნოთ ექვთიმე თაყაიშვილის, როგორც ძველი ქართული ხელოვნების მკვლევრის, მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი.

ქართული ხელოვნება და არქიტექტურა ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო ინტერესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, სადაც მისი საქმიანობა მრავალმხრივ ხასიათს ატარებს. საზოგადოებისათვის ყველაზე მეტად ცნობილია მეცნიერის ის თავდადება, რომელიც საქართველოს ეროვნული საგანძურის გადარჩენასთან არის დაკავშირებული. ექვთიმე თაყაიშვილი მცველად გაპყვა 1921 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მიერ გახიზნულ საუნჯეს, წლების განმავლობაში დიდი ძალისხმევის, მრავალი წინააღმდეგობის დაძლევის ფასად შეინარჩუნა ქართული კულტურის უძვირფასესი ნიმუშები და 1945 წელს პარიზიდან სამშობლოში

ჩამოიტანა. ცხადია, ეს ფაქტი უმნიშვნელოვანესია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლის შეფასებისას, თუმცა ქართული ზელოვნების ისტორიისათვის არანაკლებ ღირებულია მისი პვლევითი და სამეცნიერო მოღვაწეობა. მისი წვლილი მართლაც განსაკუთრებულია, თუ გაყითვალისწინებთ, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა არაერთი უძვირფასესი ნივთი, ძველი ზელოვნების ნიმუში მოიძია და შეისწავლა, მრავალი არქიტექტურული ძეგლი მოინახულა და გამოიკვლია. ამასთან, ზოგიერთის შესახებ მის მიერ გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ სპეციალისტებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა შეიძინა თავად ამ ძეგლების შემდგომში განადგურების ან ძლიერი დაზიანების გამო.

ექვთიმე თაყაიშვილის მეგობარი, დიდი მეცნიერი ნიკო მარი მას „საქართველოს ისტორიის უდიდეს წყაროთმცოდნელ“ მოიხსენიებდა<sup>1</sup>. თუმცა მხოლოდ წყაროთმცოდნეობა არ ყოფილა ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის სფერო - მისი მეცნიერული ნაშრომების მნიშვნელობა სცილდება წმინდა წყაროთმცოდნეობის შედარებით ვიწრო ჩარჩოებს და უფრო განზოგადებულ ხასიათს იძენს. როგორც მართებულად აღნიშნავს გ. ჩუბინაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერული პვლევა-ძიება ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართა: ძველი ქართული წერილობითი და ნივთიერი ძეგლების შესწავლა<sup>2</sup>. სწორედ ამ უკანასკნელმა მიმართულებამ - ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური ძეგლების აღნუსხვამ და შესწავლამ - შეიტანა წვლილი ქართული ზელოვნებათმცოდნეობითი სკოლის ჩამოყალიბებაში.

<sup>1</sup> ჩუბინაშვილი გ., ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ზელოვნების ძეგლები. კრებული აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. თბილისი, 1966, გვ. 120-130,

<sup>2</sup> ჩუბინაშვილი გ., ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ზელოვნების ძეგლები. გვ. 120.

თავის მხრივ, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ქართული ნივთიერი კულტურის პალევა კიდევ იყოფა რამდენიმე მიმართულებად. ძველი ქართული ხელოვნების ძეგლების ცალკეული თუ კომპლექსური კვლევების ფარგლებში მას შესწავლილი აქვს არქიტექტურის, რელიეფის, მონუმენტური ფერწერის, ხატწერის, ჭედურობის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, წიგნის დასურათების ნიმუშები. მისი თვალთახედვის არეში ექცეოდა როგორც წინარექრისტიანული, ასევე შეუასუკუნების ეპოქების სიძველეები. ექვთიმე თაყაიშვილის ბიბლიოგრაფია მდიდარია როგორც ეპოქალური, საკითხების ფართო სპექტრის მომცველი სამეცნიერო ნაშრომებით (მაგალითად, მსხვილი პროვინციების - ტაო-კლარჯეთის, ქვემო ქართლის, სვანეთის, ლეჩეუმის, სამეგრელოს სიძველეების ფუნდამენტური კვლევები), ასევე ოპუსებით, რომლებიც კერძო საკითხებსა თუ ხელოვნების კონკრეტულ ნიმუშებს ეხება (მაგალითად, კონკრეტულ ხელნაწერებს, ხატებს და სხვ.).

თავისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე ექვ. თაყაიშვილმა ინტენსიურად დაიწყო სიძველეთა შეგროვება და მათი მოკლე აღწერა იმ ექსპედიციების ფარგლებში, რომლებსაც აწყობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: გურიაში - აჭ-ში, ლიხაურში, შემოქმედში, იმერეთში - ვანში, უბისაში, კახეთში - თელავში, შეუამთაში, იყალთოში, ასევე ქსნის ხეობაში, თეთრიწყაროს რაიონში, წალკის ზეგანზე და სხვ<sup>1</sup>. უკვე ამ ეტაპზე იგი წარმოგვიდგება, როგორც მეცნიერი, რომე-

<sup>1</sup> 1890-იან წლებს ეპუთენის ექვ. თაყაიშვილის როგორც შედარებით მცირე ფორმატის ნაშრომები ცალკეული ხუროთმოძღვრული, არქეოლოგიური თუ წერილობითი ძეგლების შესახებ (მაგ., აღწერილობა იტრიის ეკლესიისა და ამ ეკლესიის გუარები, თბილისი, 1890; ზემო ჭალის ეკლესიის არხეოლოგიური ნივთები, თბილისი, 1890), აგრეთვე უფრო ფუნდამენტური ნაშრომები (მაგ., საქართველოს სიძველენი, ტ. 1. თბილისი, 1895-1898, რომელშიც გამოქვეყნებულია 431 სიგელ-გუჯარი).

ლიც ინტენსიურად ეწევა საველე სამუშაოებს. ჩვენი ისტორიული საგანძურის მოძიება, დაფანტული ნივთების შეგროვება ექვთიმე თაყაიშვილი ცხოვრების მიზნად იქცა. ამ მიზანმა იგი ჯერ დიმიტრი ბაქრაძის მიერ დაარსებულ საეკლესიო მუზეუმში, შემდეგ კი კავკასიის მუზეუმში მიიყვანა. მის მიერ გამოვლენილ, დაფიქსირებულ, აღწერილ და შესწავლილ უამრავ ნივთს შორის თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა ქრისტიანობამდელი იძერის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კოლექცია - ახალგორის განძი. ძალზე ნიშანდობლივია ამ განძის მოძიების ისტორია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ექვთიმე თაყაიშვილის ენთუზიაზმისა და საქმისადმი თავდადების გარეშე ეს ფასდაუდებელი კოლექციაც, როგორც სხვა ბევრი უნიკალური ნივთი, დაკარგული იქნებოდა შთამომავლობისათვის. განძის აღმოჩენის შესახებ თავად მეცნიერი მოგვითხრობს 1915 წლით დათარიღებულ თავის ერთ-ერთ ნაშრომში<sup>1</sup>. 1908-1909 წლებში მან თბილისის ბაზარსა და ქსნის ხეობის სოფლებში მუზეუმის სახსრებით შეიძინა ცალკეული ძვირფასი ნივთები, დაინტერესდა ამ ფაქტით და შეეცადა გაერკვა მათი წარმომავლობა. დაადგინა, რომ მსგავსი ნივთები დუშტეის მაზრის გამეობის შენობაშიც ინახებოდა და იზრუნა მათ თბილისში ჩამოტანაზე. ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვებით, მის ხელში პირველად ლოტოსის ყვავილების და ფრინველების გამოსახულებებით შემკული ოქროს დისკო მოხვდა (იხ. სურ. 1), შემდეგ - ბაყაყის ფორმის მძივებით შემკული ყელსაბამი. მეცნიერი თავიდანვე მიხვდა, რომ საქმე უნიკალურ აღმოჩენასთან ჰქონდა. პირველადი შესწავლისთანავე დაასკვნა, რომ ძვირფასი ნივთები გაძარცული ეკლესიიდან კი არ იყო, როგორც ეს ეგონა ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ წინარექრისტიანული ეპოქის სამარხეულ ინ-

<sup>1</sup> Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки. вып. V. Тифлис, 1915, сс. 139-146.

ვენტარს წარმოადგენდა. ექვთიმე თაყაიშვილმა შეისწავლა როგორც თავად ნივთები, ასევე მათი აღმოჩენის ადგილიც<sup>1</sup>. ამდენად, დღეს ახალგორის განძის სახელით ცნობილი უნიკალური ნივთების აღმოჩენას და შეკრებას მას უნდა ვუმაღლოდეთ.

წლების მანძილზე წარმოებული დაუღალავი და მიზანმიმართული კვლევა-ძიების შედეგად ექვთიმე თაყაიშვილმა არაერთი სხვა წინარეკრისტიანული თუ შუა საუკუნეების ხანის საყურადღებო ნიმუში მოიძია და სამეცნიერო მიმოქცვაში შემოიტანა. ამავდროულად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოებული საველე სამუშაოების და ექსპედიციების დროს შეისწავლა ათეულობით არქიტექტურული ძეგლი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი, როგორც მკვლევრისა და მოღვაწის მრავალმხრივობას, ფართო ერუდიციას და დიდ შრომისმოყვარეობას.

იმერეთში, გურიასა და ქართლის სხვადასხვა რაიონში მოგზაურობის, ცალკეულ ძეგლებზე მოკლე ცნობების თავის პირველ ნაშრომებში გამოქვეყნების შემდგომ ექვთიმე თაყაიშვილი შეეცადა გეგმაზომიერი ექსპედიციების ორგანიზებას. დაუღალავი მცდელობის შედეგად მართლაც შეძლო საქართველოს სამხრეთში ექსპედიციების მოწყობა 1902, 1907 და, მოგვიანებით, 1917 წლებში. ამ ექსპედიციების შედეგი უაღრესად ღირებული აღმოჩნდა ქართული ხუროთმოძღვრების შემდგომი კვლევისათვის, რადგან ამ დროს დააფიქსირეს და შეისწავლეს ის მნიშვნელოვანი ძეგლები, რომლებიც დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა და ათწლეულების განმავლობაში მიუწვდომელი იყო ქართველი სპეციალისტებისათვის. ამდენად, წლების მანძილზე ამ ექსპედიციების მასალები ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი ძეგლების შესახებ არსებულ მირითად წყაროს წარ-

<sup>1</sup> Чубинашвили Г., Введение. Я. Смирнов. Ахалгорийский клад, Тифлис, 1934, сс. 5-15.

მოადგენდა სხვა რამდენიმე უფრო ადრეულ პუბლიკაციასთან ერთად (გ. ყაზბეგის, ნ. მარის, დ. ერმაკოვის, ა. პავლინოვის ნაშრომები, ფოტოსურათები და სხვ.). საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ამ ძეგლების შესწავლის შესაძლებობა მხოლოდ უცხოელ მეცნიერებს ჰქონდათ.

დღეს, საბედნიეროდ, ქართული სპეციალისტებისათვის თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მატერიალური კულტურის ნიმუშების ნახვა შესაძლებელია, თუმცა თითქმის ერთი საუკუნის შემდგომ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღნუს-ხული ძეგლების ნაწილი აღარ არის შემორჩენილი ან ძლიერ დაზიანებული და სახეშეცვლილია. ამდენად, ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით მოპოვებული მასალა, ექსპედიციების წევრების, არქიტექტორების - ს. კლდიაშვილის და ან. კალგინის, მხატვრების - დ. შევარდნაძის და ლ. გუდიაშვილის, ფოტოგრაფების - ა. მამუჩაშვილის და ე. ლიოზენის მიერ შესრულებული ანაზომები, ნახაზები, ჩანახატები თუ ფოტოები ფასდაუდებელ წყაროდ იქცა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის.

როგორც თავად ექვთიმე თაყაიშვილი მიუთითებს, 1902 წლის ექსპედიციის დროს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ზოგიერთ ძეგლთან ერთად გამოიკვლიეს არტაანის ოლქის ძეგლები კოლას რაიონის გამოკლებით, ასევე ოლთისის და ტაოს ნაწილი (სახელდობრ, ბანას ტაძარი და მის ახლოს მდებარე ეკლესიები). ამ ექსპედიციის მასალები 1907 წელს გამოქვეყნდა.<sup>1</sup>

მეორე, 1907 წლის ექსპედიციის დროს მოინახულეს არტაანის ოლქის კოლას რაიონის ძეგლები, ასევე ოლთისის წინა ექსპედიციის დროს შეუსწავლელი ნაწილი და ჩანგლის ტაძარი. ექსპედიციის მასალები გამოქვეყნდა თბილისის უნი-

<sup>1</sup> Такайшвили Е., Материалы по археологии Кавказа, вып. XII, Тифлис, 1907.

ვერსიტეტის მიერ 1924 წელს გამოცემულ „ქართული ხუროთმოძღვრების აღბომში”, ხოლო ძეგლთა აღწერილობა დაიბეჭდა მოგვიანებით პარიზში გამოცემულ ნაშრომში<sup>1</sup>.

მესამე ექსპედიცია 1917 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს მოწყო. რუსეთის ჯარმა ანატოლია დაიკავა და ექვთიმე თაყაიშვილს კლარჯეთისა და ამიერტაოს გარდა, იმიერტაოს ძეგლების შესწავლის შესაძლებლობაც მიეცა. ქართული ხუროთმოძღვრების ამ უმნიშვნელოვანესი ნიმუშების შესახებ მასალები საგანგებო ნაშრომში გამოქვეყნდა, სადაც განხილულია ისეთი ძეგლები, როგორებიცაა: იშხანი, ოშკი, ექექი, სოხოროროთი, ისი, სუხბეჩი, ოთხთა ეკლესია, მუხლაჯიგილისი და პარხალი<sup>2</sup>.

აღსანიშნავია, რომ ამ ექსპედიციების დროს აღწერილი ძეგლების დიდი ნაწილი სამონასტრო კომპლექსებია, რომლებშიც გაერთიანებულია სხვადასხვა დანიშნულების შენობები – წიგნთსაცავები, საოსტიგნები, სამრეკლოები, სატრაპეზოები და სხვ. ექვთიმე თაყაიშვილი საგანგებოდ განიხილავს თითოეულ მათგანს, ყურადღებას ამახვილებს ასევე ციხეებზე, კამაროვან ხიდებზე, სხვადასხვა ტიპის საერო ნაგებობებზე. ამდენად, საეკლესიო ნაგებობების გარდა, ექსპედიციების მასალები წარმოდგენას გვიქმნის სხვადასხვა ფუნქციის მქონე საერო არქიტექტურულ ძეგლებზეც.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც დღეს განადგურებულია და მის შესახებ ინფორმაცია ექვთიმე თაყაიშვილის წყალობით გაგვაჩნია, კარწახის ტბის მახლობლად მდებარე წყაროსთავის ეკლესია (ე. წ. ჯავახეთის წყაროს-თავი) (იხ. სურ. 2). ამ ძეგლის შესახებ ფაქტობრივი მონაცემები სწორედ 1902 წლის ექსპედიციის დროს მისი აღწე-

<sup>1</sup> თაყაიშვილი ექვ., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს. პარიზი, 1938.

<sup>2</sup> თაყაიშვილი ექვ., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბილისი, 1960.

რის, აზომვის და ფოტოფიქსაციის შედეგად არის შეკრებილი.

წყაროსთავის ტაძარი VI საუკუნეში დიდი ზომის ბაზილიკას წარმოადგენდა. X საუკუნის II ნახევარში ნაგებობა გუმბათიან ეკლესიად გადაკეთდა, თუმცა ექვთიმე თაყაიშვილი ამ გადაკეთების თარიღად XI-XII საუკუნეებს ასახელებს. ექვთიმე თაყაიშვილის 1902 წლის ექსპედიციის დროს გაკეთებულ გეგმაზე კარგად განირჩევა შენობის როგორც სამ ნავად დაყოფილი დასავლეთი მონაკვეთი, ასევე ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართული გუმბათი. ტაძარი ქვის კარგად გათლილი კვადრებით იყო ნაგები. ექვთიმე თაყაიშვილი აღწერისას მიუთითებს ოთხსარკმლიანი რვაწახნაგა გუმბათის ყელის შესახებ, რომელიც თაღნარით იყო მორთული. აღნიშნავს გუმბათის ყელზე ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის რელიეფური გამოსახულებების, ჯვრებისა თუ თავისებური ორნამენტული მორთულობის, ასევე აღმოსავლეთ ფასადზე ჩვილედი ღვთისმშობლის გამოსახულების არსებობას. ორი - ბაზილიკური და გუმბათიანი სამშენებლო ეტაპი, არქიტექტურული და დეკორატიული გადაწყვეტის ხასიათი ადასტურებს წყაროსთავის ტაძრის მნიშვნელობას და მის მაღალ მხატვრულ დონეს.

წყაროსთავის ტაძრის თავდაპირეელი ნაგებობა – სამნავიანი ბაზილიკა - თავისი მასშტაბითა და გეგმარებით ადრეული შუა საუკუნეების ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯუფს განეკუთვნება. ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრების განვითარების ადრეულ ეპოქაში აიგო ასევე კიდევ ერთი ბაზილიკა - ერუშეთის ტაძარი. ამ ძეგლიდან დღეს მხოლოდ მცირე ნაშთებიღაა შემორჩენილი. 1902 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა მოინახულა ერუშეთის ეკლესიაც. ნაგებობა უკვე საკმაოდ დაზიანებული იყო, რაც ექსპედიციის მასალებში დაფიქსირდა. საინტერესოა, რომ ერუშეთის ეკლესია მოხსენიებულია „მოქცევაზ ქართლისაგსო ისტორიულ ქრონიკაში.

ცნობის მიხედვით, წმინდა რელიგიები („ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერხნი დამსჭვალულ იყვნეს უფლისანი, და სამსჭვალნი”) იმპერატორ კონსტანტინეს წარგზავნილებმა საქართველოში ჩამოიტანეს და მცხოვრის გზაზე ნაწილი სწორედ ერუშეთში დატოვეს<sup>1</sup>.

კიდევ ერთი ძეგლი, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია, X საუკუნის მეორე ნახევარში აგებული ექექის ტაძარია (იხ. სურ. 5). ტაო-კლარჯეთის ხეროთმოძღვრების ეს შესანიშნავი ნიმუში თორთუმის ხეობაში, ამავე სახელწოდების ციხის მახლობლად მდებარეობდა. 1917 წლის ექსპედიციის მასალების მიხედვით, ძეგლი ნახევრად თავისუფალი ჯვრის ტიპის ტაძარს წარმოადგენდა. ნაგები იყო ქვის კარგად გათლილი კვადრებით. ფასადებზე შემორჩენილი იყო ქართული და ბერძნული წარწერები. ტაძარს აღმოსავლეთ ფასადზე მარაოსებრი მოტივით მორთული ორი ღრმა ნიში გააჩნდა. რვაწახნაგა გუმბათის ყელს თაღედი შემოუყვებოდა. ტაძრის ექსტერიერი თავშეკავებულად იყო შემკული ორნამენტული მორთულობით და განსაკუთრებულ გამომსახველობას ქვდლის უზადო წყობა ქმნიდა. საგულისხმოა, რომ გუმბათის წრეზე გადასვლისას გამოყენებულ აფრებში დეკორატიული ტრომპები იყო განთავსებული, რაც დამახასიათებელია ამ კუთხის ძეგლებისათვის. ინტერიერი ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის დროს ახალი შეთეთრებული იყო, ამიტომ მოხატულობის არსებობის დადგენა შეუძლებელი გახდა. დღეს, როდესაც ამგვარი მაღალი არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულების ძეგლი აღარ არსებობს, ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის მასალები კიდევ უფრო მეტ ღირებულებას იძენს.

<sup>1</sup> მოქცევად ქართლისად. შატბერდის კრებული. თბილისი, 1979, გვ. 320-365, 323.

ოპიზა ერთ-ერთი უძველესი მონასტერი იყო კლარჯეთში, რომელიც, „ქართლის ცხოვრების” მიხედვით, ჯერ კიდევ V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის დროს დაარსდა<sup>1</sup> და XVI საუკუნეში მნიშვნელოვან საეკლესიო, საოქრომჭედლო და მწივნობრობის კერას წარმოადგენდა. გიორგი მერჩულევ მიუთითებს, რომ VIII საუკუნის 80-იან წლებში, გრიგოლ ხანძთელის კლარჯეთში გამოჩენისას, აქ მხოლოდ ოპიზისა და ანჩის მონასტრები ფუნქციონირებდა<sup>2</sup>. მოგვანებით, IX და X საუკუნეებში, ოპიზაში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა. მთავარ ტაძარს წაგრძელებული ფორმა და ჯვრული გეგმა ჰქონდა. გუმბათს სახასიათო, ქოლგისებური გადახურვა გააჩნდა. ცნობილია ოპიზის საქტიტორო რელიეფები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული. ისტორიული და არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეული ეს ძეგლი დღეს ფაქტობრივად განადგურებულია. დიდებული ტაძრის ადგილზე გზაა გაჭრილი, რომლის ორივე მხარეს მცირე ნანგრევებიღა შემორჩა. ამდენად, 1874 წელს გ. ყაზბეგის მიერ გამოცემული ნაშრომიდან დაწყებული, ოპიზის შესახებ თითოეული პუბლიკაცია და ცნობა უაღრესად მნიშვნელოვანია. მათ შორისაა ექვთიმე თაყაიშვილის 1905 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი<sup>3</sup>, რომელშიც სხვა ძეგლებთან ერთად მოცემულია ინფორმაცია ოპიზის ტაძრის შესახებ (იხ. სურ. 3, 4).

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება. რედ. რ. მეტრეველი. თბილისი, 2008. გვ. 192, სქოლით 16; ქართლის ცხოვრება. ტ. I. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. თბილისი, 1955, გვ. 178. ოპიზის გარდა ქრონიკაში მოხსენებულია კიდევ რამდენიმე სხვა მონასტრის დაარსების ფაქტიც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ინტენსიური სამონასტრო ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ასურელ მამათა მოღვაწეობამდეც მიმდინარეობდა.

<sup>2</sup> გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ქართული მწერლობა, ტ. I, თბილისი, 1987. გვ. 531.

<sup>3</sup> Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки. вып. IV. Тифлис, 1905.

1902 წლის ექსპედიციის დროს ბანას მონახულების შედეგად ექვთიმე თაყაიშვილმა ფრიად საყურადღებო მასალა დაგვიტოვა ადრე შუა საუკუნეების ამ დიდებული ძეგლის შესახებაც. მონუმენტური, წრიულგარშემოსასვლელიანი ტეტ-რაკონქის ეს ბრწყინვალე ნიმუში თავისი მასშტაბით, ტიპო-ლოგიური თავისებურებებით, კონსტრუქციული გადაწყვეტის სპეციფიკით, მხატვრული გამომსახველობით, ადგილმდებარეობის შერჩევის ეფექტურობით გამორჩეულია ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. მართალია, სპეციალისტები არ იზიარებენ ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებას ძეგლის X საუკუნეში აგების შესახებ, მაგრამ დიდად აფასებენ და აღიარებენ მისი ექსპედიციის მასალების მნიშვნელობას, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს არაერთი მაშინ აღნუსხული არქიტექტურული ფორმა თუ დეტალი უკვალოდ არის გამქრალი<sup>1</sup> (იხ. სურ. 6, 7).

სამხრეთ საქართველოში ჩატარებული ექსპედიციების გარდა, როგორც აღვნიშნეთ, ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოგზაურობდა და ცალკეულ რაიონებს რამდენჯერმე უბრუნდებოდა ახალი მონაცემების შეგროვების მიზნით. ასე მაგალითად, 1911-14 წლებში რამდენიმე გასვლა მოაწყო კახეთში, 1910 წელს იმოგზაურა სვანეთსა და ლეჩხუმში, ხოლო 1913 წელს - სამეგრელოში. 1918 წელს მან მოინახულა ქართლის ზოგიერთი რაიონი, გურია და ზემო იმერეთი, 1919-1920 წლებში კი - რაჭა. ეს არასრული ჩამონათვალიც ნათლად მიუთითებს ექვ. თაყაიშვილის დაუღალავ ენერგიაზე, მის მისწრაფებაზე, მოებია და შეესწავლა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები, გაუცნო ფართო საზოგადოებისათვის და შემოენახა შთამომავლობისათვის.

<sup>1</sup> ექვ. თაყაიშვილი. ბანას დიდი მრგვალი ტაძარი; ბანას პატარა ეკლესია; ბანას მღვიმეში დაცული ეკლესია. პარიზი, 1933. გვ. 18-28.

ამრიგად, ექვთიმე თაყაიშვილი იმ გამორჩეულ მოღვაწე-თა რიგს განეკუთვნება, რომლებმაც მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი საქმიანობით უდიდესი წვლილი შეიტანეს ზოგადად ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, კურძოდ კი ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლაში.

#### დამოწმებანი:

1. თაყაიშვილი ექვ., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლობისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს. პარიზი, 1938.
2. თაყაიშვილი ექვ., აღწერილობა იტრიის ეკლესიისა და ამ ეკლესიის გუჯრები, თბილისი, 1890.
3. თაყაიშვილი ექვ., ბანას დიდი მრგვალი ჭაბარი; ბანას პატარა ეკლესია; ბანას მღვიმეში დაცული ეკლესია. პარიზი, 1933.
4. თაყაიშვილი ექვ., ზემო ჭალის ეკლესიის არხეოლოგიური ნივთები, თბილისი, 1890.
5. თაყაიშვილი ექვ., საქართველოს სიმკელენი, ტ. 1. თბილისი, 1895-1898.
6. თაყაიშვილი ექვ., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბილისი, 1960.
7. ჩუბინაშვილი გ., ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ხელოვნების ძეგლები. კრებული — აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, თბილისი, 1966.
8. მოცევად ქართლისათვის. შატბერდის კრებული. თბილისი, 1979.
9. ქართლის ცხოვრება. რედ. რ. მეტრეველი. თბილისი, 2008;
10. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ქართული მწერლობა, ტ. I, თბილისი, 1987;
11. Такайшвили Е.. Археологические экскурсии, разыскания и заметки. вып. V. Тифлис, 1915.

12. Такайшвили Е.. Материалы по археологии Кавказа. вып. XII, Тифлис, 1907;
13. Такайшвили Е.. Археологические экскурсии, разыскания и заметки. вып. IV, Тифлис, 1905;
14. Чубинашвили Г.. Введение. *Я. Смирнов*. Ахалгорийский клад, Тифлис, 1934.

*Nino Silagadze*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor  
Natela Jabua*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor  
**EKVTIME TAKAISHVILI – THE CARETAKER OF  
THE ANCIENT GEORGIAN ART  
SUMMARY***

Ekvtimé Takaishvili is an outstanding representative of the Georgian historiography. The more we study his writings, more details are being revealed about his contributions. Here we have him as art historian.

Ekvtimé Takaishvili focused himself also upon old Georgian fine arts and architecture, so he paved the way for formation of the Georgian school of art history. Both, pre-Christian and Christian antiquities were becoming the subject of his research. His rich bibliography is well packed with writings having global problems discussed in, also, many smaller works deal with minor issues.

Three scientific expeditions were organized by Ekvtimé Takaishvili in 1902, 1907 and 1917 into the Southern Georgian provinces, now partly in Turkey. Many monuments described by him are now either badly damaged, or destroyed. So, his descriptions are still classical.




სურ. 1. აზალგორის განძის ოქროს ნივთები. ძვ. წ. IV ს.



სურ. 2. ჯავახეთის წყაროსთავის ტაძარი. ექვ. თაყაიშვილის ექსპედიციის ფოტო. 1902

სურ. 3. ობიზას ტაძარი. ექვ. თაყაიშვილის ექსპედიციის ფოტო. 1905






სურ. 4. ოპიზას ტაძარი დღეს



სურ. 5. ექექის ტაძარი. ექვ. თაყაიშვილის ექსპედიციის ფოტო. 1917



სურ. 6. ბანას ტაძრის საკურთხევლის ნაწილი. ექვ. თაყაიშვილის  
ექსპედიციის ფოტო. 1917



სურ. 7. ბანას ტაძარი დღეს



დავით ჩოჩიშვილი  
გორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

## ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობა სკრის ხეობაში

შიდა ქართლის, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეების ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა დაკავშირებულია დიდი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის, ვახუშტი ბაგრატიონის სახელთან. საციციანოს აღწერას ვახუშტი ბატონიშვილი სკრის ხეობის აღწერით იწყებს და წერს: “დასავლით გორიჯურისა არს ხევი სკრისა, და მიერთვის სამხრიდამ მტკუარს. ამ ხეობის დასავლით არს ხუედურეთის ხეობა. გამოსდის საცხენისის მთას და მიერთვის სამხრიდამ მტკუარს. და არიან ესე ორნი ხეობანი ვენახოვანი, ხილიანნი“. ვახუშტი წერს, რომ “აქაური ღვინო უმჯობესი ყოვლისა ქართლისა, და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა; პირუტყვთა სიმრავლე თვინიერ, პჰაერი კეთილი და შეძენილი, და მთათა დაპნები ეგრეთი, ვითარცა მთისანი დავსწერენით, ნაყოფითა და პირუტყვითა“<sup>1</sup>.

შიდა ქართლის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი განსაკუთრებით აღნიშნავს აქაური მიწის მოსავლიანობას. ატენის ხეობის პარალელური მდინარე მეძლებას (იგივე სკრა, თუმცა ექვთიმე თაყაიშვილის დროსაც მას უკვე მეძლებას ეძახდნენ), ხეობა ასევე გამოირჩევა მიკროკლიმატით და აქაური ღვინო (ჩინურისა და გორული მწვანის ნაზავი) ნამდვილად არ ჩამოუვარდება ატენურს. მდინარე მეძლება სათავეს იღებს თრიალეთის მთათა განშტოებიდან, გომარეთისა და გალისხევის ქედების ვიწრო ხეობებში ჩამოსული ნაკადულებისაგან.

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეცნისა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძნიშვილის რედ., თბ., 1941, გვ. 344.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ხეობა ჯერ კი-დევ ბრინჯაოს ხანაში ყოფილა დასახლებული. არტქეფაქტები, რომლებიც ამ ხეობაში აღმოჩნდა, საკმაოდ ფასეულია და მოიცავს ქრონოლოგიურ პერიოდს ძვ. წ. II ათასწლეულიდან გვიანანტიკურ და ფეოდალურ პერიოდამდე.

ბუნებრივია, სკრის ხეობა აუცილებლად მოხვდებოდა დიდი მეცნიერის, ექვთიმე თაყაიშვილის ინტერესის სფეროში, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს იმოგზაურა ამ ადგილებში. თავისი მოგზაურობის შედეგებს მკვლევარი აქვეყნებდა ქართულ ჟურნალებში.

ექვთიმე თაყაიშვილი წერს, რომ „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი იძეჭდებოდა სხვადასხვა დროს ჟურნალ „მოაბეში”<sup>1</sup>, მაგრამ შემდეგ ჟურნალის გამოცემა შეფერხდა და ბოლოს კიდეც შეწყდა. ამდენად, ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალის გამოქვეყნება ვეღარ ხერხდებოდა. 1907 წელს მოხერხდა წიგნის დასტამბვა<sup>2</sup>, სადაც დაიბეჭდა იმერეთის, გურიის, ქართლის, კახეთის ისტორიული ძეგლებისა და სხვა სიძველეების აღწერა, აგრეთვე წიგნში გადმოცემულია შენიშვნები ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიისა და გეოგრაფიის ხელთნაწერების შესახებ<sup>3</sup>, აგრეთვე, რუისის სამწესოს დავთარი<sup>4</sup>.

ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ეს მასალა შეკრებილია „1894-1900 წლებში სხვა და სხვა საქართველოს ნაწილებში მოგზაურობის დროს”. კრებულში ცალკეა გამო-

<sup>1</sup> თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ., 1, ტფ., 1907, გვ. 2.

<sup>2</sup> ოგივე.

<sup>3</sup> თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ., 1, ტფ., 1907, გვ. 67-105.

<sup>4</sup> ოგივე, გვ. 127-207.

ყოფილი სკრის ზეობა<sup>1</sup>, სადაც მოგზაური იმყოფებოდა 1896 წელს.

ექვთიმე თაყაიშვილმა 1887 წელს დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტი ისტორია-ფილოლოგის მიმართულებით და გამოცდების წარმატებულად ჩაბარების შეძლევა მიღო კანდიდატის ხარისხი. იგი გამოემგზავრა თბილისში ყოფილი მასწავლებლის, ალექსანდრე ჭიჭინაძის მოწვევით და მუშაობა დაიწყო სათავადაზნაურო სკოლაში. ორი წლის შემდევ ექვთიმე თაყაიშვილი თან ახლდა დიმიტრი ბაქრაძეს მცხეთაში, რათა ტაძრებიდან ხელნაწერები ჩამოეტანათ. სწორედ ეს ხელნაწერები გახდა საეკლესიო მუზეუმის შექმნის საფუძველი. მომავალი მეცნიერისთვის სიძველებთან მუშაობა მიმზიდველი შეიქნა. ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერული და საკვლევი მუშაობა მთელი ძალით გაიშალა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაგრცელებელ საზოგადოებაში”, რომელმაც უკვე ცნობილი პედაგოგი თავისი გამგეობის წევრად აირჩია 1888 წელს.

მოგონებებში ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „იმხანად (1888 წლისთვის, დ. ჩ.) უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემტერიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგისათვის; ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძეგლთა და ღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად”<sup>2</sup>.

ექვთიმე თაყაიშვილი თავის ამ მეცნიერულ ნამოღვა-წარს „აღწერას” (Описание) უწოდებდა, რის შესახებაც ნიკო მარი აღნიშნავდა: „Какое это описание, ведь это настоящее исследование”<sup>3</sup>. ცნობილია, როგორი ენერგიით შეუდგა იგი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების აღწერას. საამისოდ იგი იყენებდა არდადეგებს და არასოდეს

<sup>1</sup> იგივე, გვ. 59-65.

<sup>2</sup> მოგონებები, ჟურნალი „მნათობი”, 1958, №7, გვ. 162.

<sup>3</sup> იგივე, გვ. 172.

უფიქრია დამსახურებულ დასვენებაზე. არაფრად აგდებდა არც მტკივან ფეხს და თავგამოდებით, ენთუზიაზმით ათვალი-ერებდა და აღწერდა ქართული კულტურის ძეგლებს საქართველოს ყველა კუთხეში. ყოველი ექსპედიციიდან მას ჩამოჰქონდა ჩანაწერებით სავსე წიგნაები და რვეულები, თანმხლებ არქიტექტორთა და ფოტოგრაფთა ანაზომები და სურათები. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორი რუდუნებით ეძებდა და აფიქსირებდა დიდი მეცნიერი ქართული კულტურის ძეგლებს, ხელნაწერებს, საეკლესიო ნივთებს..

ექსპედიციები, რომლებსაც მეცნიერი „ექსპურსიებს“ უწოდებს, მას დაუწყია 1889-90 წლებიდან: „საზაფხულო ექსკურსიებზე სიარული დავიწყე 1889 თუ 1890 წლიდან, კარგად მახსოვს, წერა-კითხვის (საზოგადოების) კომიტეტის გამგების წევრი ვიყავი და „კანიკულებზე“ დავდიოდი. ჩვენი შეკვეთი რომ უნდა დაეჭირათ „ეგზამენი“ გიმნაზიაში, ალ. ჭიჭინაძეს მიჰყავდა თავისთან „კანიკულებზე“ და ამზადებდნენ, რომ არ ჩაჭრილიყვნენ. პირველად სურამში წაიკვანეს მოწაფეები და მეც მიმიწვიეს რეპეტიტორად. თავისუფალ დროს სურამის ახლომახლო სოფლებში დავდიოდი, რათა დამეთვალიერებინა, სადმე ეკლესია თუ იყო, ან ოჯახებში რამე ნივთი ან ხელნაწერი“<sup>1</sup>. ამის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილისთვის სიძველეების მოძებნა, აღწერა და გადარჩენა ცხოვრების წესად იქცა. მისი ექსპედიციების შედეგად ქართველი ხალხის მრავალი ისტორიული და კულტურული ძეგლი ფიზიკურად გადარჩა. მან იმოგზაურა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და სწორედ ამ ხანგრძლივი და დაუღალავი შრომის შედეგი იყო 1920 წელს მოწყობილი გამოფენა, სადაც პირველად მოხდა ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალის, ძეგლების ანაზომების, გეგმა-ჭრილების, მოხატულობის ასლების, რელიეფისა და დეკორის მულაჟების

<sup>1</sup> ლომთათიძე გ., ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 2011, გვ. 143.

თავმოყრა და გამომზეურება. ეს გამოფენა იყო დიდი მეცნიერის თავისებური ანგარიში ქართული საზოგადოების წინაშე, რომლის დიდმა ნაწილმა ამ უდიდესი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არც იცოდა.

ექვთიმე თაყაიშვილი იქცა ქართული არქეოლოგის პირველ ქართველ სპეციალისტად. „ასეთებად ვერ ჩავთვლით ვერც დიმიტრი მელინეთუხუცესს, რომელმაც პირველმა გათხარა უფლისციხის რამდენიმე ქვაბი, ვერც ნ. წილისანს, რომელიც თხრიდა კავკასიის სხვადასხვა ადგილებში, ვერც ნ. მარს, რომელიც ძირითადად სომხეთში თხრიდა. თუმცა თვითონ ექვთიმე კი მას მიიჩნევდა პირველ ქართველ არქეოლოგად”<sup>1</sup>.

ცონბილია, რომ ექვთიმე თაყაიშვილი იყო ერთადერთი ქართველი არქეოლოგი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულში, რომელიც არქეოლოგიური კომისიის ოფიციალური დაგალება-ნებართვით თხრიდა საქართველოში<sup>2</sup>. სწორედ ეს კომისია გასცემდა ე. წ. „ღია ფურცელს”, რომელიც იძლეოდა არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმოების უფლებას საქართველოში. სწორედ ამ ღია ფურცლის ძალით უმუშავია მას თბილისის გუბერნიაში, სკრის ხეობაში 1896 წელს.

ექვთიმე თაყაიშვილი სკრის ხეობის შესახებ წერს: “ვიპოვნეთ ორი თიხის კუბო, გრეხილებით შემკობილი და საზოგადოდ ლამაზი ხელობისა... თიხის კუბოები მცხეთაშიც არის ნაპოვნი და ერთი მათგანი ეხლა ინახება კავკასიის მუზეუმში, მაგრამ სკრაში ნაპოვნი კუბონი ხელობით ბევრათ უფრო ლამაზი არიან მცხეთისაზე”<sup>3</sup>. უაღრესად საინტერესოა, ა, რომ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ნამყოფი

<sup>1</sup> იგივე, გვ. 33.

<sup>2</sup> ექვ. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. 1, 1968, გვ. 347.

<sup>3</sup> თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ., 1, ტფ., 1907, გვ. 59.

მეცნიერი, რომლისთვისაც ხელმისაწვდომი იყო თითქმის ყველა სიძველე, სკრაში აღმოჩენილ კუბოებს ადარებს ქართლის დედაქალაქში აღმოჩენილებს და აშკარად საუბრობს მათს უპირატესობაზე. სკრის ხეობაში სხვადასხვა ძველი ნივთები ექვთიმეს მოგზაურობის შემდეგაც მრავლად აღმოჩნდა. ზოგიერთ მოსახლეს მიწაში აღმოჩენილი ქვევრი გადაურჩენია და დღესაც ხმარობს<sup>1</sup>.

ექვთიმე თაყაიშვილის ინტერესი სკრისადმი განაპირობა ამ ხეობის სიახლოებების გორთან და იმანაც, რომ ის შიდა ქართლს აკავშირებდა სამცხე-ჯავახეთთან. გორი, როგორც ცენტრალური სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, თრიალუთსა და ჯავახეთს ორი გზით უკავშირდებოდა: ცენტრალური გზა მიემართებოდა ტანას ხეობის გავლით, სადაც მდინარე ტანას მტკვრის შესართავთან მდებარე წიდი გორს აკავშირებდა მარჯვენა სანაპიროსთან, ხოლო მეორე გზა მიემართებოდა მდინარე მეძლებას ხეობით და შედარებით ნაკლებმიშვნელოვანი იყო. სამაგიეროდ, მეძლებას ხეობიდან გზა გადადიოდა როგორც ტანას, ასევე ძამას ხეობაში. ეს ორივე ხეობა წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალს და მათი დამაკავშირებელი მეძლებას ხეობა მნიშვნელოვანი სტრატეგიული რგოლი უნდა ყოფილიყო გეოგრაფიული არეალის ეკონომიკურ ცხოვრებაში. გორის მიმდებარე ტერიტორიის მაკონტროლებელი არა მხოლოდ გორის დედაციხე იყო, არამედ – გორის პირდაპირ მთაზე აღმართული გორიჯვრის ციხეც, რომელიც მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე იყო მდინარე მტკვრის ხეობაში და აკონტროლებდა მარჯვენა სანაპიროს.

ქართლის გაღმამხარი შეადგენდა მეოთხე ანუ მეუკანავე საღროშოს, სადაც გვიან შუასაუკუნეებში წარმოიქმნა საციციანო, საჯავახო და სათარხნო. სწორედ გაღმამხარში შედი-

<sup>1</sup> ოგივე, გვ. 60.

ოდა სკრაც, მაგრამ ის მალე შალიკაშვილების სამფლობელო გახდა, თუმცა აქ ყმები სხვა წარჩინებულთა გვარის წარმომადგენლებსაც ჰყავდათ. XVII საუკუნის საბუთით ერეკლე I სახლთუხუცეს ქაიხოსრო ციციშვილს ძველი სიგელის საფუძველზე უბოძებს სკრას, სამწევრისს, კარალეთსა და სადგერს.

ვახუშტი ბატონიშვილი საციციანოში შემავალ შემდეგ თემებს აერთიანებდა: ხვედურეთისა და ძამის ხევები, გვერდისძირი და გუჯარეთი<sup>1</sup>. ეს იყო ზემო საციციანო. მის შემადგენლობაში მოითვლიდა ციციშვილების დანარჩენ ადგილმამულებს, მათ შორის იყო სკრის მამულებიც, რომლებიც უშუალოდ ეკვროდა ხვედურეთის ხევს.

მიუხედავად იმისა, რომ სკრაზე უმნიშვნელოვანესი გზები არ გადიოდა, შედარებით უსაფრთხო იყო და, სავარაუდოდ, ყოველთვის სრული დატვირთვით მუშაობდა. ხოლო სამხრეთ საქართველოსთან კავშირების დაკარგვის შემდეგ სკრის ხეობაც ეკონომიკურად სუსტდება. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმ ისტორიულ ძეგლებს ემჩნევა, რომლებიც ხეობაშია შემორჩენილი. სკრის ხეობის გვაიანი შუა საუკუნეების ძეგლები ნაკლები გრანდიოზულობით, ღარიბი დეკორით და სადა მხატვრული ფორმებით გამოირჩევა.

ვახუშტი ბატონიშვილი, როცა საუბრობს საქართველოს წარჩინებულთა გვარებზე, სამცხის დიდებულებს შორის ჯაფელთა საგვარეულოს შემდეგ ახსენებს შალიკაშვილებს: “ხოლო სამცხეს: ჯაფელი, ესე არს აწ ათაბაგი და ფაშა ახალციხისა; შალიკაშვილი, თავდგირიძე...“ და სხვები. ვახუშტი ასევე აღნიშნავს, რომ ეს გვარი სწორედ სამცხიდან ჩამოვიდა: “როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდამ“, ხოლო ცოტა ქვემოთ წერს: “შალიკაშვილი და თაქთაქისშვილი შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხი-

<sup>1</sup> ოგივე, გვ. 344.

დან (ქართლში).“ შალიკაშვილების სამცხიდან წარმომავლობაზე მიუთითებს ექვთიმე თაყაიშვილი თავის “მოგზაურობაში” და აღნიშნავს: „სკრის ხეობა წინეთ ეპუთვნოდათ თავადთ შალიკაშვილებს. შალიკაშვილები ძველი წარჩინებული გვარია სამცხე-საათაბაგოისა. საათაბაგოს გათაორების შემდეგ ერთი შტო შალიკაშვილებისა გადავიდა გურიაში, მეორე კახეთში და მესამე დასახლდა ქართლში და შეიქმნა პატრონი სკრის ხეობისა“<sup>1</sup>.

ექვთიმე თაყაიშვილი წერს, რომ „შალიკაშვილებს სკრის ხეობაში აუშენებიათ თავის სასაფლაოთ პატარა ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა. ეს ერთადერთი ეკლესია არის სკრის ხეობაში აგურით ნაშენი და ქვითვე დახურული.

ეკლესიას დასავლეთის კედლის ზემოთ პატარა სამრეკლო აქვს, რომელზედაც შემორჩენილია ერთი პატარა ზარი, დასავლეთის კედელი გახეთქილია და ეკლესია მიტოვებულია.

კანელი ახალია, ხისა, ახლი მხატვრობით, სიგრძე საყდრისა არის 11 ადლი, განი 8 ადლი. სამხრეთის კარი ამოშენებულია და დარჩენილია დასავლეთის კარი. ფანჯარა სამი აქვს, თითო ყოველ მხარეს, გარდა ჩრდილოეთისა. დასავლეთის კედელში კარის ზემოთ დატანებული ყოფილა, როგორც ეტყობა, ორი მოწითალო თლილი ქვა მხედრულის წარწერით. ორიგე ქვა ჩამოვარდნილია, ერთი სრულად დაკარგულა, ხოლო მეორე ვიპოვეთ საყდრის მახლობლად მდებარე. უკანასკნელ ქვაზე, ცოტა არ იყოს უშნო მხედრულით სწერია:

ოწქ. ჩვენ ფრიად ცოდვლმნ ყველთა  
კცო უნარჩვლმნ თვთ დიდმნ სათბგსა  
მყფმნ სქოვლოში ჩ.მ  
სულმ-ნ რჯულის გულის  
თვის პატრმნ შლკიშვლმნ

<sup>1</sup> თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ. 1, ტფ., 1907, გვ. 60.

ძემან როჭიკისმნ დედის ჩმის  
არგვის ერისთვის ასულის  
ბტნის დრჯნის შლმნ

[აღვაშენე საყდარი ესე]

წარწერა სრული არაა, ვინაიდან ქვა დაკარგულია”<sup>1</sup>. ამჟამად ეს ქვაც, რომელიც ექვთიმეს დახვდა, დაკარგულია. მთლიანად არის დანგრეული აღნიშნული ეკლესიაც, მისგან ფაქტიურად აღარაფერია დარჩენილი.

ექვთიმეს მოგზაურობის დროს საყდარში საფლავები იყო შემორჩენილი, სადაც იკითხებოდა: სოლოლაშვილის ასული მარიამი, მეუღლე ნიკოლოზ შალიკაშვილისა, რომელიც გარდაიცვალა 1830 წლის სეკტემბერში, პარუჩიკი როსტომ შალიკაშვილი, გარდაცვლილი 5 აპრილს 1840 წელს, მისი მეუღლე ბარბარე თუმანიშვილის ასული, გარდაცვლილი 22 აგვისტოს 1874 წელს 60 წლისა, როსტომის ძენი-მიხეილ, ალექსანდრე და დიმიტრი და სხვები<sup>2</sup>.

XVI საუკუნიდან, ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს მიტაცების შემდეგ, იწყება შალიკაშვილების, ავალიშვილების, დიასამიძეთა და სხვა ფეოდალური საგვარეულოების გადმოსახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მათ შორის, შიდა ქართლშიც. სხვა საგვარეულოებთან ერთად შალიკაშვილები მოხსენიებულნი არიან 1516 წელს შედგენილ მცხეთის საკათალიკოსოში შემავალ სამცხე-საათაბაგოს თავადთა სიაში. შალიკაშვილთა სათავადო ღირსება აღიარებულ იქნა ქართლის მეფეების, ლუარსაბ II (1606-1615) და ვახტანგ VI (1703-1724) მიერ 1611 და 1724 წლებში გამოცემული სიგელებით. სამცხიდან მოსული ქართლის თავადები შალიკაშვილები იხსენებიან იმ თავად-აზნაურთა სიაშიც, რომელიც ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე მეორემ 1783 წელს წარუდგინა რუსეთის საიმპერიო მთავრობას.

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიისთვის მიერთების შემდეგ რუსეთის სენატმა სხვა ქართველ თავად-აზნაურთა გვერდით ოფიციალურად აღიარა შალიკოვების (შალიკაშვილების) სათავადო ღირსება, ხოლო მოგვიანებით იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ კვლავ აღიარა ამ გვარის პატივი. შალიკაშვილების ერთი საგვარეულო შტო, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ თავადი ედიშერ ვახუშტის ძე და მისი შვილები – დიმიტრი და დავითი, 1724 წელს ვახტანგ მეექვსეს გაჰყვნენ ემიგრაციაში და ასტრახანში დასახლდნენ.

როგორც ცნობილია, შალიკაშვილების სათავადო მამულები ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა. მისი საზღვრები სხვადასხვა დროს იცვლებოდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სადროშო 15 სათავადოს ითვლიდა და ერთ-ერთი მათგანი შალიკაშვილების სათავადოც იყო, რომელიც საუკუნის I ნახევარში ზემო ქართლის შემადგენლობაში არ შედიოდა. ეს სადროშო, რომელსაც ამილახვრები მეთაურობდნენ, ასრულებდა სამხედრო-ადმინისტრაციულ ფუნქციას. სახელმწიფო-ში აღწერები და ჯარის მობილიზება სწორედ სადროშოების მიხედვით ხდებოდა. მასში შემავალი სათავადოები ვალდებული იყვნენ, საჭიროების შემთხვევაში ჯარიც გამოეყვანათ და გადასახადებიც აეკრიფათ.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღწერილი სკრის ხეობის არქიტექტურული ძეგლები ორ ნაწილად შეიძლება გაყიდოთ-საფორტიფიკაციო და საკულტო. საფორტიფიკაციო ძეგლები-დან აღსანიშნავია სკრის ცილინდრული და კოშკების ე. წ. ზურგიანი კოშკები.

სკრის კოშკი დგას სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, ვაკეზე, სკოლისა და ეკლესიის სიახლოვეს, მამულაშვილების უბანში. ძეგლი თარიღდება XVIII საუკუნით. სკრის კოშკი ცილინდრულია, დაბალი, განიერი და გვიანი შუა საუკუნეების მსგავსი ცილინდრული ნაგებობების ტიპიური ნიმუშია.

ექვთიმე თაყაიშვილს მოგზაურობის დროს კოშკი ზუსტად იმავე სახით დახვედრია, იმ განსხვავებით, რომ ქონგური არ ჰქონდა მონგრეული და მეორე კარიც არ ყოფილა გაჭრილი.

1956 წელს სკრის ხეობაში მორიგი ექსპედიცია იმყოფებოდა, რომელსაც კოშკი ოდნავ შეცვლილი დახვდა. „კოშკს თავდაპირველი სახით არ მოუღწევია, რადგან აკლია კედლის ზედა ნაწილი. ამავე დროს, მოგვიანებით პირველ სართულზე შესასვლელი გაუჭრიათ მისი საწყობად გამოყენების მიზნით. მისი დიამეტრი 10,6 მ., ხოლო სიმაღლე 8,2 მ-ია. კედლების სისქე 2,4 მ. შენობა ორსართულიანია და მთლიანად რიყის ქვითაა ნაშენი“<sup>1</sup>. კარტებისა და სარკმლების დამუშავებაში გამოყენებულია თლილი ქვაც. სამშენებლო მასალა მთლიანად ადგილობრივია. ნაგებობა შედარებით კარგადაა შემორჩენილი და აკლია მხოლოდ ბანის კედლების ზედა ნაწილები. კოშკში შესასვლელი ერთი ყოფილა და შენობის მეორე სართულზე ყოფილა დატანებული, რაც მტრის მიერ კოშკის გარემოცვის შემთხვევაში უფრო საიმედო თავშესაფარი იქნებოდა.

სკრის კოშკს შესასვლელი ჩრდილოეთით აქვს დატანებული. პირველი სართული დამხმარე სათავსო უნდა ყოფილიყო, სადაც დატანებულია ოთხი ღრმა ნიში და ორი მცირე სარკმელი. კოშკში დამატებითი საკვები მარაგის არსებობა აუცილებლობა იყო. სწორედ ამას ემსახურებოდა ეს სართული შიშიანობის დროს. მეორე სართულზე განლაგებულია ღრმა ნიშებში გაჭრილი ცალმაგი და ორმაგი სათოფურები, რაც პირდაპირ მიუთითებს მათს საბრძოლო დანიშნულებაზე. პირველი და მეორე სართულები ერთმანეთს კედელში ჩაშენებული კიბით უკავშირდება. კედლებში კიბის ჩაშენება უაღრესად მოხერხებული არქიტექტურული ნიუანსია და მას ფართოდ იყენებდნენ შუა საუკუნეების არქიტექტურულ პრაქტი-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიისა და კულტურის მეცნიერობა, ტ. 5, გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონები, თბ., 1990, გვ. 84.

კაში<sup>1</sup>; როგორც პირველი, ასევე მეორე სართული თითქმის კონუსური გუბბათოვანი კამარით არის გადახურული. როგორც კედლის წყობის, ისე გადახურვის ტექნიკაში გამოყენებულია დუღაბი, რის გამოც გადახურვა საკმაოდ მტკიცეა.

მიუხედავად კოშკის საბრძოლო დანიშნულებისა, მშენებელს რამდენიმე მხატვრული არქიტექტურული დეკორი მაინც შეუტანია; კოშკის კარი, სარკმლები და სათოფურები ყველგან თაღოვანია, რაც ასევე მხატვრული დანიშნულების კომპონენტი უნდა იყოს. შენობის ბანი საბრძოლო დანიშნულებისაა. მას გარს შემოვლებული აქვს მეომრების ჩასადგომი 1,5 მ. სიღრმის გარსშემოსავლელი. თავდაპირველ შენობაში ამას დაემატებოდა ქონგურებიც, რაც ციხის შედარებით კარგად დაცულობასა და პრაქტიკულობაზე მიუთითებს. სპეციალისტების აზრით, ბანის მსგავსი რაციონალური გადაწყვეტა საქართველოში სხვაგან არსად გვხვდება<sup>2</sup>. 50-იანი წლების ბოლოს კოშკთან ახლოს მცირე ზომის ზარბაზანი უპოვათ, რომელიც გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაუგზვიათ. სკრის კოშკის დანიშნულება წმინდა თავდაცვითი ხასიათისაა და XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში მძიმე პოლიტიკური ვითარების დროს მტრისაგან მოსახლეობის თავშესაფრად არის აგებული. სკრის კოშკი ამჟამად არცთუ სახარბილო მდგომარეობაშია.

მეორე საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელიც დიდმა მოგზაურმა მოინახულა, არის სოფელ კოშკების კოშკი, რომელიც სოფლის თავში დგას. ის ქართლისთვის დამახასიათებელი სადარაჯო კოშკის ნიმუშია. არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის სამხრეთით, მდინარე მეძლებას მარჯვნა ნა-

<sup>1</sup> ზაქარაია პ., სკრის ხეობის რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1959, ტ. 20, გვ. 203.

<sup>2</sup> ოგივე, გვ. 204.

პირას, ფერდობზე. ძეგლი თარიღდება XVII საუკუნით და  
მიეკუთვნება ე. წ. ზურგიანი კოშკების რიგს.

საუკუნეთა მანძილზე, საქართველოს რელიეფის გათვა-  
ლისწინებით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა  
დაცვის საერთო სისტემა, რომელშიც შედიოდა როგორც ინ-  
ფორმაციის გადამცემი სადარაჯო კოშკები, ასევე გოდოლები-  
თა და ციხებურჯებით კარგად გამაგრებული ციხე-კოშკები,  
სადაც მუდმივად იმყოფებოდა შეიარაღებული რაზმი. სადარა-  
ჯო კოშკი წარმოადგენდა ინფორმაციის გადაცემის ერთ-ერთ  
უმთავრეს რგოლს. სოფელ კოშკების სადარაჯო კოშკიც  
მსგავს ფუნქციას ასრულებდა. იგი ისეთ მოხერხებულ ადგი-  
ლასაა აგებული, რომ მისი ბოლო სართულიდან თავისუფ-  
ლად ჩანდა როგორც მდინარე მეძლებას ხეობის სათავე, ასე-  
ვე ქართლის დიდი ვაკის და მდინარე მტკვრის ხეობის გარ-  
კვეული ნაწილი ქალაქ გორის მიდამოებში. რაც მთავარია,  
ამ კოშკის სახურავიდან თავისუფლად ჩანდა თრიალეთის  
მთათა განშტოების ის ნაწილი, რომელზეც აშენებული იყო  
თავდაცვითი სისტემის უმთავრესი კომპლექსი.

სოფელ კოშკების კოშკი პირით, ანუ შედარებით თხე-  
ლი კედლით მდინარისკენ დგას, ხოლო შედარებით სქელი  
ნაწილი მთისკნაა მიმართული. აგებულია ადგილობრივი ნა-  
ტური ქვით, გამოყენებულია დუღაბი. კოშკის თანამედროვე  
სიმაღლე 16,5 მეტრს აღწევს. „მიუხედავად იმისა, რომ მისი  
სართულიანობის ზუსტი დადგენა არ ხერხდება, იგი ექ-  
ვსსართულიანზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, დღევანდელ  
დღემდე სწორედ ექვსმა სართულმა მოაღწია. კოშკის ბაზისი  
წარმოადგენს 6,8X8,1 მ. და ერთი მხრიდან მომრგვალებული  
ტრაპეციის ფორმა აქვს”<sup>1</sup>. ქვები კედლების ქვედა ნაწილში  
დიდი ზომისაა და უკეთესი წყობით გამოირჩევა. კოშკის სამ-  
ხრეთის მხარე მთლიანად დანგრეულია, დაზიანებულია და-

<sup>1</sup> ოგივე, გვ. 206.

სავლეთის კედელიც. ყველაზე უკეთესად შემორჩენილია ჩრდილოეთის კედელი, რომელიც განსაკუთრებული სისქითა და სიმტკიცით გამოირჩევა. კოშკის ცენტრალური შესასვლელი კარგადაა შემორჩენილი. იგი მდებარეობს დასავლეთით, მეორე სართულზე, ხეობის მხარეს, რაც იმის მანიშნებელია, რომ კოშკში კიბით ადიოდნენ. შენობის დანგრევის შედეგად ქვების ნაწილი კოშკის შიგნითაა ჩაყრილი, მაგრამ ჩანს, რომ პირველი სართული დამზმარე სათავსო უნდა ყოფილიყო. მას მხოლოდ ერთი ვიწრო სარკმელი აქვს. ზედა სართულები თავდაცვითი და საცხოვრებელი ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო. მეხუთე სართულის დასავლეთის სწორ კედელში შევრილ აივანზე გასასვლელი კარია. აივანი ხისა უნდა ყოფილიყო, ვინაიდან არც ქვის შეერილები აივნის საყრდენად და არც სხვა მასალა არაა შემორჩენილი. აივანი გადაჰყურებდა ხეობას და მის ვიზუალურ თვალსაწიერში ექცეოდა მთელი ხეობის დასავლეთი მტკვრის ხეობის იმ ნაწილის ჩათვლით, რომელიც მოქცეული იყო მდინარე მეძღვებას მტკვართან შეერთების სამკუთხედში. მეექვსე სართულის კედლებში სათოფურები და განიერი სარკმელია დატანებული. მრავალრიცხოვანი სათოფურების არსებობა გამოწვეული უნდა იყოს მშენებლობის პერიოდში საქართველოში არსებული ძნელბედობითა და მუდმივი შიშიანობით.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, სადარაჯო ზურგიანი კოშკების ეს ტიპი გავრცელებული იყო შიდა ქართლის ტერიტორიის მთიან ნაწილში და ხევში, განსაკუთრებით, განვითარებული შუა საუკუნეების დროს. „მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ასეთი კოშკები ორმოცდაათამდეა დაფიქსირებული, ხოლო მარჯვენა მხარეს კი სოფელ კოშკების სადარაჯო ზურგიანი კოშკი ერთადერთია“<sup>1</sup>. აღნიშნული ორმოცდაათიდან მხოლოდ სამი მიეკუთვნება განვითარებული

---

<sup>1</sup> იქვე.

ფეოდალიზმის ხანას. ეს ფაქტი თავისთავად მიუთითებს აღნიშნული ძეგლის უნიკალურობაზე.

მომდევნო ისტორიული ძეგლი, რომელიც სოფელ კოშკების ტერიტორიაზე დგას და რომელიც დიდმა მოგზაურმა მოინახულა, მდებარეობს სოფლის ცენტრში. ადგილობრივები მას ღვთისმშობელს ანუ ღვთისმშობლის ეკლესიას უწოდებენ. იმას, რომ ეკლესია ღვთისმშობლის სახელზეა აგებული, საკურთხეველის თავზე შემოჩენილ კამარაზე გამოსახული ღვთისმშობლის ფრესკაც ადასტურებს. დღემდე 21 სექტემბერს (ახალი სტილით) დიდი ზარ-ზემით აღინიშნება ღვთისმშობლობა. ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ეს დღეობა სოფელში მის დროსაც აღინიშნებოდა და მასობრივ ხასიათს ატარებდა<sup>1</sup>. პ. ზაქარაია აღნიშნულ ეკლესიას მოიხსენიებს, როგორც შალიკაშვილების ეკლესიას, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ შალიკაშვილები სკრის ხეობაში შედარებით გვიან მოსულები არიან, ხოლო ეკლესიის მთავარი ნაწილი IX საუკუნითაა დათარიღებული და ღვთისმშობლის შობის სახელზეა აგებული. შალიკაშვილების ეკლესიას მკვლევარი იმ მოსაზრებით უწოდებს, რომ მოგვიანებით ეკლესიისთვის თავად შალიკაშვილებს საკუთარი საძვალე მიუშენებიათ და ზედ წარწერაც დაუტანებიათ თავიანთი სახელის უკვდაგსაყოფად: „ქ. ჩვენ ფრიად ცოდვილმან და ყოვლისა კაცის უნარჩევესმან. შალიკაშვილმან. აზირმნ. ედიშერ. აღვაშენე ეკუდერი. არის. ბჭე. ა. შამრეკლო. სე. ჩემის. მონალვაწისა. ფასით. ჩვენთა. ცოდათა საოხად. ა. ჩვენთა მიცვალებულთა: შესანდაობლად. ვინცა. აღმოიკითხვიდეთ. შენდობას. ბრძანებდეთ. ჩვენთა. მიცვალებულთათვის.

ქ. ამას ქვეშ ცოტა რამე გლეხის. აცის. შასაფლო. იყო. ა. ისიც იმათის ნებადართულობით მოვიყიდეთ დისეუმიზეზოთ და ყოვლის კაცის უცილებლად გავასრულოთ.

<sup>1</sup> თაყაიშვილი ე., არხოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ. 1, ტფ., 1907, გვ. 63.

კსა. ტუვ<sup>1</sup>. ამრიგად, წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ წარწერა შესრულებულია 1708 წელს.

კოშკების ღვთისმშობლის ეკლესია სოფლის ჩრდილო განაპირა მომაღლო ბორცვზე მდებარეობს. იგი ორი განსხვავებული ნაგებობისაგან შედგება-ჩრდილოეთით მდებარე შედარებით დიდი ზომის ეკლესია გაცილებით ძველია, ხოლო სამხრეთით მდებარე შედარებით გვიანდელი და მცირე ზომის ეპდერია, რომელსაც კარიბჭე და სამრეკლო ჰქონია. 1920 წლის გორის ცნობილმა მიწისძვრამ ისტორიული ძეგლი საკმაოდ დააზიანა, მთლიანად ჩამოიქცა ცენტრალური კამარა, დაინგრა სამრეკლო.... ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობის დროს ეკლესია მთელი ყოფილა. მკვლევარი მას ღვთისმშობლის ეკლესიად იხსენიებს და წერს: „სკრის წყლის მარცხნა ნაპირზე... არის საკმაოთ დიდი ეკლესია ღვთისმშობლისა. ფერდობი, რომელზედაც ეკლესია არის აშენებული, განგებ გასწორებულია და სამი მხრით ქვის პადელი აქვს ამოყვანილი. საყდარი ფიქალი ქვისაგანაა ნაშენი. კარები ჰქონია სამი-სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით, უკანასკნელი ამოშენებულია<sup>2</sup>.

მოგზაურმა კიდევ ერთი ღვთისმშობლის ეკლესია მოინახულა, რომელიც მდინარე მედლებას მარჯვენა სანაპიროზეა აგებული. შენობა უძრექსად საინტერესო ძეგლია. მასზე გამოსახულია დავითის ვარსკვლავი და აყვავებული ჯვარი. აქვე დატანებულია წარწერა: „ქ სხლი[თა ღთა] ესე ქ-ვ, მე ლომ-მნ დვს-ი ქ მ- ფ-ს “, რომელიც ასე იკითხება „სახელითა ღვთისათა ესე ქვა მე ლომმან დავსდევი ქრისტეს მეუ-

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე.

ფისთათა”<sup>1</sup>. (პ. ზაქარაია ამ წარწერას განსხვავებული ტრანსკრიპციით კითხულობს<sup>2</sup>).

მომდევნო ექლესია, რომელიც დიდმა მოგზაურმა მოინახულა, არის გალისხევის ექლესია, რომელიც მდებარეობს მდინარე მეძლებას მარცხნა მხარეს, ნასოფლარ გალისხევის თავში, ოდნავ მომაღლო ბორცვზე. ექლესია დარბაზულია, ნაგებია ფიქალი ქვით. მისი ზომები შედარებით მოკრძალებულია ( $7,5 \times 5,15\text{მ}$ ) და აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებულ სოფლის სალოცავთა ტიპს მიეკუთვნება. იგი განკუთვნილია მცირერიცხოვანი მრევლისთვის. მსგავსი სალოცავებით მოფენილია მდინარეების ჭანასა და ძამას ხეობები. შესასვლელი სამხრეთითაა და არქიტრავითაა გადახურული. ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობის დროს კამაროვანი გადახურვა ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი, მაგრამ ახლა ჩამონგრეულია. შემორჩენილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში თითო სარკმელი, დარბაზის სწორკუთხა აფსიდი კუთხებში მომრგვალებულია. შენობა ყოველგვარი მხატვრული გაფორმებისგან თავისუფალია. ექლესიის გარშემო შემორჩენილია გალავნის ნაშთები. საკურთხეველთან შემორჩენილია უზეშად მომრგვალებული ნიში. სამშენებლო მასალა მთლიანად ადგილობრივია. ძეგლი თარიღდება გვიანფეოდალური ხანით.

არქიტექტურული ძეგლი-გომართის წმინდა გიორგის ეკლესია დგას მდინარე მეძლებას ხეობაში, შემაღლებულ გორაკზე, მარჯვენა მხარეს. ამჟამად შემორჩენილია სამხრეთ აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ დასავლეთის კედლების კუთხები. შენობა მთლიანად დანგრეულია. 1920 წლის მიწისძვრას, ისევე როგორც მრავალი ძეგლი ქართლში, იგი საფუძვლია-

<sup>1</sup> იგივე, გვ. 64.

<sup>2</sup> ზაქარაია პ., სკრის ხეობის რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი, ს. ჯანაშას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მომბჯ, 1959, ტ. 20, გვ. 229.

ნად დაუნგრევია. ეკლესია დარბაზული ტიპისა ყოფილა, (და-ახლოებით  $10,85 \times 8,5$  მ), ნაგები რიყისა და ნეგლეჯი ადგი-ლობრივი ქვით. შენობას არ შემორჩენია გაფორმების არანაირი დეტალი. ეკლესიას შესასვლელი ჰქონია სამხრეთის მხა-რეს, სარკმელი კი აღმოსავლეთით, საურთხეველში.. ეკლე-სია, ისევე როგორც გალიხევის, რიეთის, მჭადის ეკლესიები, შედარებით მცირერიცხოვანი მრევლისთვის ყოფილა განკუთ-ვნილი. შენობას თავის დროზე აგურის კამაროვანი გადაწურ-ვა ჰქონია. ეკლესიის გარშემო შემორჩენილია გალავნისა და შენობების ნაშთები.

დიდ მოგზაურს ყველაზე მეტად მდინარე მეძლებას ერთ-ერთი განშტოების სათავეში გორაკზე, ტყეში მდგომი ბნელეთის (საბნელეთის) ეკლესია მოსწონებია. სახელწოდება შედარებით გვიანდელია და დაკავშირებულია მის თანამედრო-ვე მდგომარეობასთან - ეკლესია ერთი მხრიდან მთლიანად მიწითაა დაფარული და შენობის შიგნით უკუნი სიბნელეა. ექვთიმე თაყაიშვილსაც ექსპედიციის დროს მსგავსი სურათი დაწვედრია და ვერც ვერავის უთქვაშს, თუ ვის სახელზე იყო აშენებული ეს ძეგლი. მეცნიერი მას უდაბნოდ იხსენი-ებს, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც ზოგადი სახელია. ექვთიმეს დახასიათებით: „უდაბნო საუკეთესო ეკლესია არის მთელ სკრის ხეობაში. ეს ეკლესია წინეთ მონასტერი ყოფილა. თუ მივიღებთ მხედველობაში ბევრ ნანგრევებს, რომელიც ეკლე-სიის გარშემო არის, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ბევრი ბერ-მონაზონი ყოფილა თავის დროს”<sup>1</sup>. ეკლესია სოფელ სკრიდან დაახლოებით 8-9 კილომეტრითაა დაშორებული. პარმენ ზა-ქარაიას მიხედვით, ძეგლი IX-X საუკუნეებით უნდა დავათა-რილოთ. ეკლესია საქართველოში შედარებით იშვიათ, ე.წ. სა-მეკლესოვან ბაზილიკას წარმოადგენს, ნაშენია ადგილობრივი ნატეხი ქვით და მისი პერანგი მთლიანად შირიმის ქვითაა

<sup>1</sup> თაყაიშვილი ე., არხოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ. 1, ტფ., 1907, გვ. 66.

მოპირკეთებული. ეკლესიაც და პერანგიც კარგადა შემორჩენილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკლესია მთლიანად მიწაშია ჩამჯდარი. სახურავზე დიდრონი ხეებია ამოსული, რომელთა უესვთა სისტემა ანადგურებს ძეგლს. მკვლევართა აზრით, აქ ადრე ერთი დარბაზული ეკლესია მდგარა, შემდეგ მისთვის მიუშენებიათ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე თითო უფრო დაბალი, აფსიდიანი ეკლესია (ეპვერი). ორივე მინაშენი ძირითად ნაგებობასთან სიმეტრიულად და პროპორციულადაა განლაგებული. ექვთიმე თაყაიშვილი ფიქრობდა, რომ ეკლესის სამივე ნაწილი ერთდროულად იყო აშენებული<sup>1</sup>. ამ მოსაზრების არგუმენტად მეცნიერი იმას თვლიდა, რომ სამშენებლო მასალა სამივე ნაგებობისთვის ერთი და იგივე იყო. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ სამშენებლო მასალა ადგილობრივია და, ბუნებრივია, მშენებელი სწორედ მას გამოიყენებდა სამივე ნაგებობის ასაშენებლად. შენობა მთლიანად შირიმის ქვის პერანგითაა მოპირკეთებული. პერანგი ნაგებობაზე ერთდროულადაა შემოვლებული. მთავარი შესასვლელი სამხრეთის მხარესაა დატანებული. აქედან ეკლესის სამივე ნაწილში შეიძლება მოხვედრა. შეა დარბაზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოზრდილია და უფრო მაღალჭერიანი კამარითაა გადახურული. კედლების გასწვრივ დასაჯლომებია შემოვლებული. ეკლესის გარშემო შემორჩენილია გალავნის ნანგრევები. წყალი გამოყვანილი ყოფილა მახლობელი ხევიდან.

ამრიგად, დიდი მეცნიერის მიერ სკრის ხეობაში არსებული ისტორიული ძეგლების შესახებ დატოვებული ცნობები უაღრესად ფასეულია. იმ ძეგლებისთვის, რომლებიც ახლაცაა შემორჩენილი და საუკუნეზე მეტი წენის განმავლობაში უფრო დაზიანდა ან საერთოდ განადგურდა, ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობა ერთადერთია. ასევე ფასეულია მეცნიერის მიერ

---

<sup>1</sup> იქვე.

გამოთქმული ვარაუდები და წაკითხული წარწერების მნიშვნელობა, მით უმეტეს, თუ წარწერების ეს ნაწილი დღეისთვის უკვე აღარ არსებობს.

#### დამოწმებანი:

1. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონები, თბ., 1990.
2. ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ციხესიმაგრები, თბ., 1988.
3. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წ. I, თბ., 1964.
4. თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ., 1, ტფ., 1907.
5. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძნიშვილის რედ., თბ., 1941.
6. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.
7. ზაქარაია პ., სკრის ხეობის რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1959, ტ. 20.
8. მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I ნაწ., თბ., 1994.
9. მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, II ნაწ., თბ., 1999.
10. ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.
11. ქს.ე. 2, თბ., 1977.
12. ქს.ე. 6, თბ., 1983.
13. ქს.ე. 9, თბ., 1985.
14. ოთხმეზური გ., შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII ს), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.
15. ჯავახიშვილი ნ., შალიკაშვილები, თბ., 2005.

16. ჩუბინაშვილი გ., სევეროვი ნ., ქართული არქიტექტურის გზები, თბ., 1936.
17. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1970.
18. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 4, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1972.
19. აკად. ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1966.
20. მოგონებები, ჟურნალი „მნათობი”, 1958, №7.
21. მოგონებები, ჟურნალი „მნათობი”, 1959, №2.
22. ლომთათიძე გ., ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 2011.
23. ექვ. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. 1, 1968.

*David Chochishvili*

*Gori State Teaching University, Associated Professor*

**A TRIP TO THE SKRA VALLEY MADE BY**

**EKVTIMÉ TAKAISHVIL**

**RESUME**

The prominent historian and public figure Ekvtimé Takaishvili has done invaluable job in terms of the studies of the past of Georgians. The series of his archaeological expeditions included the studies of the Georgian material antiquities both in Georgia and abroad. With this purpose he made a trip to the Skra Valley in 1890 and described all the monuments he was met on the way; with the help of local residents he visited and described almost every single significant building. The Skra Valley along with its antiquities acquired great importance as it had been resided even since the Bronze Age and was considered to be one of the most important strategic places in Shida Kartli. The Valley was the part of Satsitsiano (a large feudal political unit) and was crossed by the main trade and transit artery.

The Trip to the Skra Valley and the description of the contemporary monuments made by Ekvtimé Takaishvili have

acquired special importance because the 1920 earthquake in Gori caused serious damage or complete destruction of the buildings which he had visited and described before. Moreover, the mentioned description by the great scholar has been considered to be the only source today.

The paper gives a description of the expedition route and also makes comparative characterization of both the past and present condition of the monuments contemporary with Ekvtimé Takaishvili.

## ნინო ბუზიაშვილი

კორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
ისტორიისა და არქეოლოგიის კვლევის ცენტრის  
სპეციალისტი

### 1715 წლის მროვლის სამწყსოს დავთარი

XX საუკუნის დასაწყისში აღ. ციმაკურიძეს ქართლიდან თბილისში ჩააქვს ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის შესახებაც ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს:

„ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი შესანიშნავი წიგნი ა. ციმაკურიძის მიერ ჩამოტანილი ქართლიდან, რომელიც წარმოგვიდგენს დავთარს, ანუ როგორც მას შემდგენელი უწოდებს, მატეანეს რუისის სამწყსოისას“.

სენებული დავთარი 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა „არხეოლოგიურ მოგზაურობათა და შენიშვნების“ I წიგნში.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი თავად აღნიშნავს ამ წიგნის წინასიტყვაობაში, „არხეოლოგიური მოგზაურობა და შენიშვნები“ ისტყვდებოდა სხვადასხვა დროს უკრნალ „მოამბეში,“ ხოლო 1907 წელს გამოიცა ამავე სახელწოდების წიგნი, რომლის I ტომში შევიდა ქართლის, კახეთის, იმერეთის სიძველეების აღწერა. მათ შორის ჩემთვის საინტერესო დავთარი რუისის სამწყსოისა, რომელსაც საკმაოდ ვრცელი ადგილი უკავია წიგნში.

1715 წ 1 აპრილს მროველი ეპისკოპოსის, ორბელის მის ნიკოლოზის ბრძანებით შედგენილი იყო მროველის იგივე რუისის საეპისკოპოსოს სამწყსოს დავთარი.

ცნობილია, რომ რუისის ეპისკოპოსები მროველებად - მარუ-ელებად იწოდებოდნენ. პირველად, მროველი ეპისკოპოსი 506 წელს დვინის საეკლესიო კრებაზე იხსენიება. ამ დროიდან

მოყოლებული, ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის განვითარების საქმეში და აქტიურად იყვნენ ჩაბმული სამეფო კარზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

მროველების სამწყსოს ტერიტორია ეპოქის შესაბამისად იცვლებოდა. XVII-ს. რუისის სამწყსო საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. აღნიშნულ პერიოდში აწყურის საეპისკოპოსო გაუქმდა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ხეობის (ბორჯომის) და სადგერის საეპისკოპოსოებიც მროველის სამწყსოს შეუერთდა. ამასთან დაკავშირებით ვახუშტი შენიშვნავს:

,„სამხრით ურბნისისა არს რუისის მთის ძირს, დაბა დიდი რუისი და ეკლესია ღვთაებისა, გუმბათიანი, დიდი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ რუისისა ზეითის ქართლისა, ლიხ - ტაშისკარამდე, და აწ ესევე მწყესის ხეობასა და სადგერს, ვინაითაგან მაწყურელი არღარა არს.“<sup>1</sup>

დ. ბაქრაძის გადმოცემით, რუისის ეპარქიის გაუქმებამდე 11 წლით ადრე, 1800 წელს მის შემადგენლობაში შედობა 46 სოფელი. მაშინ როცა XVII-ს. დასაწყისში ამ ეპარქიაში 8-ჯერ მეტი სოფელი შედიოდა, რასაც ნიკოლოზ მროველის მიერ შედგენილი სამროვლის 1715 წლის დავთარიც ადასტურებს.

აღნიშნული დავთარი, რომელსაც წიგნად მოიხსენიებს მროველი ეპისკოპოსი გერმანე, 1763 წლამდე შეუკრავი ყოფილა და ძლიერ დაზიანებულა. ამავე წელს მროველ ეპისკოპოსს, გერმანე წინამდლვრიშვილს შეუკრევინებია დავთარი და ლამაზი, შავტყავგადაკრული ყდა გაუკეთებია. ყდის წინ დატანებულ ქალადზე გერმანე წერს:

<sup>1</sup> ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა IV ტ. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 374.

„მე წინამდლვრიშვილმა მროველ მიტროპოლიტმა გერმანემ შეგაკვრევინე წიგნი ესე, ყაფლანიშვილის მაროელისაგან და წერილიყო, წამხდარიყო და გავაკეთებინე. ქ. კსა უნა<sup>1</sup>.

ამ წიგნის გამოცემელი ე. თაყაიშვილი გვაძლევს ვრცელ აღწერილობას დავთრისას და აღნიშნავს, რომ სულ დავთარი შეიცავს ექვს რვეულს. რვეულების სათვალავი ასომთავრულით არის აღნიშნული. თითოეულ რვეულში რვა ფურცელია. მეოთხე რვეულს აკლია ერთი ფურცელი, აგრეთვე ერთი ფურცელი აკლია უკანასკნელ, მეექვსე რვეულს.

ეს ნაკლი, როგორც ჩანს, ყოფილა მროველი გერმანეს დროსაც, ვინაიდან მის მიერ აღნიშნული ფურცელების სათვალავი მხედრული ასოებით სწორია. სულ ნაჩერებია და დღემდის დაცულია 46 ფურცელი. სცნო რა ამ ძეგლის სანდოობა, ე. თაყაიშვილმა მისი გამოქვეყნება საჭიროდ მიიჩნია. „ისტორიული, სტატისტიკური და ოურიდიული მნიშვნელობა ამ დავთრისა ეჭვის გარეშეა და ამიტომ საჭიროთ ვრაცხო მთლად მოვიყვანოთ აქ ეს შესანიშნავი ნაშთი საქართველოს სიძევლისა“ -ო.

როგორც ჩანს, დავთრის პირველი გვერდი, რომელიც შესაგალ ნაწილს წარმოადგენს, ძლიერ დაზიანებულია და გაურჩევიათ რამდენიმე სიტყვა.

ძეგლის შესავალი ნაწილი, პირობითად, შეიძლება რამდენიმე ნაწილადაც კი დავყოთ:

დავთრის დასაწყისი ნაწილი, რომელიც ჩვეულებრივ, იწყება მატეანით ანუ მიგანიშნებს მისი შედგენის დროზე.

ქრისტეს აქეთ. ჩლიე

წელსა აპრილსა ერთსა თვით,

მკვდრეთით აღდგომასა,

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, აღიწერა მატიანე ესე.

<sup>1</sup> არხოლოგიური მოგზაურობა და შენიშვნანი ე. თაყაიშვილი წ. I ტ. ტფ. 1907.

შემდეგ ნიკოლოზ მროველი ყვება იმ ნათესაურ კავშირზე, რომელიც მას ბაგრატიონთა სამეფო სახლთან ჰქონდა.

„ქართველთა მეფედ მეფისა დიდისა გიორგისა და მმის  
მათისა იმერთა და კახთ მეფედ მეფისა .... და მმისა მათისა  
სრულიად სპარსეთის მოსამართლეთ უხუცესისა ლევანი-  
სა, ამა

მეფეთა დედის ძმისწულმა და საქართველოს მოსამართლე  
უხუცესისა

ძემა ორბელის ძემა ნიკოლოზ მროველ ეპისკოპოსმა.... და  
აღვწერე ხელითა..

როგორც ექ. თაყაიშვილი შენიშვნაში შენიშნავს აქ თავდე-  
ბა პირველი გადასული და გაფუჭებული გვერდი ხელნაწერისა.  
დანარჩენი საქმაოდ კარგად არის დაცული, საიდანაც ვიგებთ,  
რომ ეს დავთარი ნიკოლოზ ორბელიანს შეუდეგნია დრამისათვის,  
რათა საყდარს მოსავლის ანგარიში არ დაკარგოდა. შემდეგ, მას  
მოსდევს ვედრება, რომელშიც ჩართულია პავლე მოციქულის  
სიტყვები: „ურთიერთას სიმბიმე იტვირთეთ და სჯული იგი ქრის-  
ტესი აღასრულეთ“, რითაც შენდობას და სულის ცხონებას ითხ-  
ოვს მომავალი მროველი ეპისკოპოსებისაგან. ყველაზე მთავარი  
კი ამ სამწყსოს დავთრის შესაგალში არის ბოლოს დართული  
ვედრება, სადაც იკვეთება დავთრის შედგენის მნიშვნელობა და  
აუცილებლობა.

„ამასაც ვიწვეწები ამ სამწყსოს დავთარს მეფის მოსაქმეს  
ნურავის აჩვენებთ კოდის პურსა და საურზე ქვეყანას გარჯიან. და  
მე არ მიჯობს, მე დრამისათვის ავწერე, საყდარს მოსავლის ანგა-  
რიში არ დაეკარგოს. ღვთის სიყვარულისათვის ამ სამწყსოს მა-  
ტეანეს ნურას მეფის მოსაქმეს ნუ აჩვენებთ, თუ ქრისტე გწამსთ.“

თავად ნიკოლოზ მროველი ამ ძეგლს ხან „დავთარს“ უწო-  
დებს - „ამ სამწყსოს დავთარს მეფის მოსაქმეს ნურავის უჩვე-  
ნებთ“, ხან „მატეანეს“ - „ამ სამწყსოს მატეანეს ნურას მეფის მო-  
საქმეს ნუ უჩვენებთ“.

როგორც ჩანს, დავთარი განსაკუთრებლი მიზნისთვის ყოფილა შედგენილი, რათა საყდარს მოსავალის ანგარიში არ დაკარგოდა.

შესავალშივე, ნიკოლოზ ორბელის ძეს ნათქვამი აქვს: „ამას გარდა ამ საყდრის მამული და ყმა სულ დამიწერია, თარხანი ვინ არის და თარხნობით რა სამსახური ამეს, და მობეგრე ვინ არის და რა ბეგარა ამეს“<sup>1</sup>. აქედან გამომდინარე, ექვთიმე თაყაიშვილს გაუჩნდა მოსაზრება, რომ არსებობდა ცალკე სია თარხანთა და მობეგრეთა რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. „სია თარხანთა და მობეგრეთა განცალკევებით არ მოიპოვება ჩვენამდის მოღწეულ წიგნში. შესაძლებელია, რომ ამგვარი სიაც დართული ჰქონდა ბოლოს ჩვენს წიგნს, მაგრამ აღარ შენახულა“<sup>2</sup>.

ამასთან დაკავშირებით, ივ.ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ ამგვარი სია, ცალკე თარხანთა და მობეგრეთა, არ არსებობდა. მისი შენიშვნით, ექვთიმეს ამგვარი დასკვნის საფუძველს აძლევს თვით ნიკოლოზ მროველის მიერ ნათქვამი - „ამას გარდა დამიწერია“-ო, რასაც ივ. ჯავახიშვილი შემდეგნაირად წენის: „მართლაც, თითქოს ისე გამოდის, რომ დავთარში მთავარი ცნობის გარდა კიდევ ზედმეტი ცნობები უნდა ყოფილიყო შეტანილი მამულებისა და ყმების შესახებ, მაგრამ ნიკოლოზ მროველი არ ამბობს, რომ მას საამისოდ „სია“ შეედგინოს და ეს ცნობები „განცალკევებით“ წერებულიყოს.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ეს ძეგლი, ჩვეულებრივ, ხალხის აღწერის დავთარია, მაგრამ, ამასთანავე, მცხოვრებთა შესახებ ცნობებისთვის ისიც მიუმატებიათ, თუ თარხანი ვინ არის და მობეგრე ვინ და რა სამსახური ედოთ მათ - „თარხანი ვინ არის

<sup>1</sup> არხეოლოგიური მოგზაურობა და შენიშვნანი ე. თაყაიშვილი წ. I ტ. ტფ. 1907 გვ. 128–129.

<sup>2</sup> არხეოლოგიური მოგზაურობა და შენიშვნანი ე. თაყაიშვილი წ. I ტ. ტფ. 1907 გვ. 129.

და თარხნობით რა სამსახური ძეს, და მობეგრე ვინ არის და რა ბეგარა აძეს“<sup>1</sup>.

აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მცხოვრები ვალდებულებისა და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფოდნენ თარხნებად და მობეგრედ, შესაბამისად დავთარშიც ცნობები მაცხოვრებელთა შესახებ ორგვარი ხასიათისა უნდა იყოს. ვინ არის მობეგრე და ვინ თარხანია, დავთარში კი ამის მსგავსი ცნობა არ არის. მხოლოდ ზოგი მოსახლის შესახებ ნათქვამია „საწირავი აძეს“, ზოგან - „მოსახსენებელი აძეს“.

როგორც წესი, ხალხი აღწერის დავთარში თითოეული სოფლის მცხოვრებთა სიის ბოლოს მეკომურთა საერთო რიცხვია.

ძეგლში ორგან პირდაპირ არის აღნიშნული, რომ გადასახად დრამა ნახევარ კოდი კვამლზედა სძეს (სოფ. ფრინევი). „ამათ დრამა კვამლზე ათი კონა სარი სძეს“ (სოფ. არკნითი).

„დრამის მაგიერად კვამლზე თითო შაური, ან კანაფი, ან ტილო“ (სოფ. დაწყევლილი) „დრამა ნახევარი კოდი ძეს კომლზე“ (სოფ. ბერძენაული).

მცხოვრებ მეკომურთა ჯამს გარდა თითოეული სოფლის შესახებ ცნობის ბოლოს თითქმის ყოველთვის ნათქვამია - „დრამას ბოგანო... იღებენ“ ამდენსა და ამდენსო.

სწორედ ამ ცნობაზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი, შესაბლებლად თვლის, გამოვარკვიოთ, თითოეულ სოფელში რომელი მეკომურთაგანი, მეკომურად უნდა ყოფილიყო და რომელი თარხანი, რის საფუძველზეც შეიძლება მობეგრეთა და თარხანთა რაოდენობის გამოთვლა მროველის საეპისკოპოსოს სამწყსოში .

<sup>1</sup> არხეოლოგიური მოგზაურობა და შენიშვნანი ე. თაყაიშვილი წ. I ტ. ტფ. 1907 გვ. 128–129.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, დავთარში ჩაწერილით - „თარხანი ვინ არის და თარხნობით რა სამსახური აძეს და მობეგრე ვინ არის და რა ბეგარა აძეს“, ირკვევა, რომ საქართველოში არსებული გადასახადების სისტემით თარხანს სამსახური სდებია, მობეგრეს კი სამსახურის მაგიერ ბეგარა. აქედან ცხადია, რომ მეკომური, რომლის გვერდითაც აღნიშნულია - „საწირავი აძეს“, თარხანი უნდა იყოს, ხოლო დანარჩენი მეკომური კი, რომელთა შესახებ გვერდით ნათქვამი არ არის, რომ რამე აძევდეთ, ყველანი მობეგრენი უნდა იყვნენ და სწორედ მათ შეეხებათ თითოეული სოფლის ბოლოში მოქცეული ცნობა - დრამას ბოგანო ნახევარ კოდსა და სხვა მთელ კოდს იღებენ-ო<sup>1</sup>.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მობეგრებს ივ. ჯავახიშვილი ორ ჯგუფად ყოფის: „ბოგანოდ“ და „სხვად“. ამ „სხვებში“ ის მოიაზრებს „მემკვიდრე“ მეკომურებს, რომელიც მთელ კოდს იხდიდნენ და, ცხადია, ქონებრივად ეს „სხვები“ ბოგანოზე უფრო მაღლა უნდა მდგარიყვნენ და უფრო შეძლებული იყვნენ, რაკი მათ ქონებრივად, მეტი შესაძლებლობა ჰქონოდათ, ბუნებრივია, რომ დრამაც და ბეგარაც მეტი სდებოდათ, ამგვარად ირკვევა, რომ მცხოვრებნი ორად ყოფილან დაყოფილნი: მემკვიდრე-მეკომურად და ბოგანოდ. ბოგანოზე მაღლა ე.წ. „მემკვიდრე“ მეკომური იდგა და „სხვებად“ წოდებული და მროველის მიერ ნათქვამი „ამას გარდა სულ დამიწერია“-ო, სწორედ აღნიშნულს უნდა გულისხმობდეს.

მაგრამ აქვე სვამს კითხვას, მამულების შესახებ ცნობა სადღა? და აღნიშნავს, რომ მამულების აღმნუსხველ ცნობებად ის უნდა იგულისხმებოდეს, სადაც მეკომურზე წერია - „ამოვარდნილა“ ან არადა „აყრილია“-ო.

თუ თარხანსა და მობეგრეს შორის გასარჩევად არსებობდა გარკვეული საზომი, რომელიც დავთორიდან არ ჩანს, როგორ უნდა

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი თხზულებანი თორმეტ ტომად. IV ტ. ობ., 1996

გაარჩიოს ადამიანმა, რომელი მექომურთაგანი ბოგანოა, რომელი კიდევ „სხვად“, „ანუ“, „მემკვიდრედ“ ითვლება.

მართალია, თითოეული სოფლის აღწერის ბოლოში აღნიშნულია ხოლმე: ბოგანო ნახევარ კოდსა და სხვა მთელ კოდს იღებენ, მაგრამ, რაკი ეს ძეგლი ზალხის აღწერის დავთარია, თითოეულ მექომურს ამის გამო გვერდით გადასახადის რაოდენობა არ უწერია, როგორც ეს შემოსავლის დავთრებშია ხოლმე.

ფრიად საგულისხმოა, რომ სხვა დავთრის აღწერილობისა-გან განსხვავებით, აქ ცნობები თავადაზნაურთა შესახებ ძალიან იშვიათია. სულ იხსენიება სამი მექომური თავადი. სოფ. ფრცაში, სადაც თავად დავთაშვილებს ჰქონდათ მოსახლეობა, ერთი მათგანიც არ არის დასახელებული; სოფ თამარაშენშიც არც ერთი ფალავანდიშვილი არ არის მოხსენიებული, თუმცა ამ სამგვარულოს წევრნი აქ ცხოვრობდნენ; არც სოფ. ავლევში არის მოხსენიებული ერთი ამირეჯიბი მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ამ საგვარულოს სახლის კაცებს უმეტესად იქა ჰქონიათ ბინა. ამ ფაქტს ივ. ჯავახიშვილი იმით ხსნის, რომ თავად—აზნაურობას დრამისა და სამსახურის მაგიერ სხვა გამოსაღები ედო.

ამ „სამწყსოს დავთრის“ მიხედვით, მროველის ეპარქიაში შემავალი სოფლების საერთო ჯამი 84—ია, ხოლო კომლთა რაოდენობა - 1839, მაგრამ ამ ძეგლის გამომცემელს, რუისის სამწყსოს კომლთა რაოდენობა ორი ათასამდე აჰყავს, კომლთა სულადობრივი რაოდენობა კი 10 000 აღემატება-ო.

ამ რიცხვს ექვთიმე თაყაიშვილი, ანაზღაურებს იმ დაკარგული ფურცლების ხარჯზე, რომლებიც დედანს აკლია. ორი ფურცელი შუაში და რამდენიმე ბოლოში.

დგება საკითხი, რომ რუისის სამწყსოში ამდენივე ყმა შედიოდა? ანუ დავთარში რუისის სამწყსოა აღწერილი თუ პირადად საეკლესიო საყმო?

ივ. ჯავახიშვილი შეუძლებლად მიიჩნევს, რომ მროველს ამდენი საკუთარი საეკლესიო ყმა პყოლოდა და 84 სოფელში მხოლოდ მის ყმებს ეცხოვრათ. ეს დავთარი მთელი რუისის საე-

პისკოპოსოს დავთარია, თვით შემდგენელი პირდაპირ ამბობს და ამ ძეგლს „სამწყოს დავთარს“ ეძახის და, მაშასადამე, აქ მთელი სამწყოს მაცხოვრებელნი უნდა იქნენ შეყვანილი. მროველის მთავარი მიზანი იყო, რუისის საეპისკოპოსო ტახტს დანამდვილებით სცოდნოდა, სამწყოსაგან რა შემოსავალი ერგებოდა.

ივ. ჯავახიშვილი ამ „საყდრის ყმაში“ გულისხმობს არა საეკლესიო ან საეპისკოპოსო ყმობას, არამედ სამწყოს კუთვნილებას იმგვარადვე, როგორც, მაგ: ქსნისა და არაგვის ხეობათა მაცხოვრებელნი ქსნისა და არაგვის ერისთავების ყმებად იწოდებოდნენ ხოლმე. ერთგან პირდაპირ დასახელებულია მეკომურ „ჩიკვაძის ყმა“, დავთარი არ არის მხოლოდ საკუთარი ყმების ნუსხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასში ასეთი ცნობა არ შეგვხვდებოდა.

ამრიგად, 1715 წ. მროველის სამწყოს დავთარი წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლს, რომელზე დაყრდნობითაც ხდება XVIII ს. დასაწყისისათვის რუისის-მროვის ეპარქიის ისტორიული პროცესების აღდგენა, მოცემულია ამ ეპარქიის ტერიტორიულ და ოურისდიქციაში შესული სოფლების ნუსხა და ცნობები ამ სამწყოსში შემავალ მცხოვრებთა სოციალურ – ეკონომიკური, მდგომარეობის შესახებ. კარგად ჩანს მროველი ეპისკოპოს – ნიკოლოზის მკეთრად ჩამოყალიბებული როლი ეკლესიის ინტერესების დაცვის საქმეში, მაშინ, როდესაც საეკლესიო ყმების სიას მეფეთა მოხელეებს უმაღლავდნენ, რათა მათ კოდის პური და საური არ აეღოთ. ამასთან დაკავშირებით ძეგლის გამომცემელი ექვთიმე თაყაიშვილი შენიშნავს, რომ ფეოდალურ წეს-წყობილებაში ანტაგონიზმი ფეოდალებსა და მეფეთა შორის ყოველთვის არსებობდა. ეპისკოპოსები საქართველოში მუდმივად ცდილობდნენ, თავიანთი ყმები სახელმწიფო გადასახადებიდან გაეთავისუფლებინათ. ჩვენამდის მრავალ სიგელ-გუჯარს მოუღწევია, რომლებიდანაც ჩანს, რომ ეპისკოპოსებს გა-

მოუთხოვიათ ამა თუ იმ საეკლესიო ყმების თავისუფლება სახელ-მწიფო გადასახადებისაგან.

### **ლიტერატურა:**

1. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, IV ტ., ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ თბ., 1973.
2. თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. I, ტფ., 1907.
3. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, IV ტ., თბ., 1996.
4. უორდანია თ., ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967.

*Nino Buziashvili*

*Gori State Teaching University, Specialist of the Research  
centre of History and Archaeology*

### **THE 1715 PARISH CENSUS BOOK RESUMÉ**

The article concerns “the 1715 Parish Census Book” compiled by Nikoloz Orbeliani, the Bishop of Ruisi (Mrovi) who described the Ruisi episcopacy. The census book was published by Ekvtimé Takaishvili in 1907. It makes us able to partially restore the picture of the 18<sup>th</sup> century Ruisi episcopacy.

As far as you see, the document must have been drawn with a special purpose, namely, it must have aimed not to let the church lose the crop. Moreover, an enclosed entreaty at the end of the introduction of “the parish census book” acquires special importance as it best reflects the importance and

necessity of creation of this document. Hereby the Bishop expresses the wish not to inform the royal authorities about “the parish chronicles” as he carried out the description just because not to let the church lose the crop.

Therefore, the document is considered to be rather valuable reference reflecting the Bishop’s attitude toward the Royal Court and its importance.

## **თუდო დუნდუა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
პროფესორი

## **გორგი შუშუნაშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

### **სამსრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთის და რუსეთის იმპერიების შემადგენლობაში – შედარებითი ანალიზი**

XIX საუკუნის 70-იან წლებში და შემდეგაც ოსმალეთის და რუსეთის იმპერიებს გააჩნდა რამდენიმე საერთო მახასიათებელი:

- 1) ბიზანტინიზმი; ორივე იმპერია თავს რომელის სამფლოს მემკვიდრედ, ანუ აღმოსავლეთ ევროპის ჰეგემონად მიიჩნევს. პირველი, ამ ასპექტით, დეკადანსის გზაზეა, მეორე – სასურველი პროტექტორია.
- 2) კონტინენტური იმპერიალიზმი; ეს მრავალეროვანი იმპერიები ევროპას და აზიას აერთიანებს, აღნიშნულ სისტემებში ევროპული და აზიური პროვინციები სხვადასხვა სტატუსით სარგებლობს. აზიელებს, ამ კუთხით, არ სწყალობენ.
- 3) მეტროპოლისების (აღმოსავლეთ თრაკია და ანატოლია, ერთი მხრივ, და საკუთრივ რუსეთი, მეორე მხრივ) აგროინდუსტრიული ტიპი.
- 4) ორივეგან სახელმწიფო სექტორის მნიშვნელოვანი ზვედრითი წილი (განსაკუთრებით, რუსულ ინდუსტრიაში).
- 5) მოდერნიზაციისაკენ ზომიერი სწრაფვა.  
განსხვავებები კი ასეთი:

- 1) არამეტკვიდრეობითი ავტოკრატია ოსმალეთში და მემკვიდრეობითი მონარქია რუსეთში.
- 2) წოდებრიობის არარსებობა ოსმალთა იმპერიაში; რუსეთის იმპერიაში, პრაქტიკულად ყველგან, წოდებრიობაა.
- 3) კოსმოპოლიტიზმი ოსმალთა იმპერიის ცენტრში და ლოკალური კადრების მცირე ადმინისტრაციული პრიმატი პროვინციებში რუს თავადაზნაურთა პოლიტიკური ჰეგემონიის საპირისპიროდ რუსეთის მთელი იმპერიის ფარგლებში.
- 4) ისლამი ერთგან, მართლმადიდებელი ქრისტიანობა კი სხვაგან, როგორც დიფერენტი ადმინისტრაციული ფავორიტიზმისთვის.

**ქალაქები:** არდაგანი და ართვინი, ოლთუ და იუსუფელი, მიმდებარე მხარეებითურთ, დღეს ქართულ-თურქული მრავალ-მხრივი ურთიერთობების ხიდია. აქაური ეკონომიკურად აქტიური ელემენტი ამ სერვისში აქტიურად არის ჩართული; მისი სოციალური ენა თურქულია, საოჯახო – ქართული. აქ არსებული ქართული არქიტექტურული ძეგლები მაღე თურქეთის მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდება. რაციონალური ურთიერთქმედებისთვის კი აუცილებელია ისტორიის ცოდნა.

XVI საუკუნეში ოსმალებს ქართული სამთავროს, სამცხე-საათაბაგოს, ინკორპორაციისკენ უბიძგა სეფიანებთან დაპირისპირებამ და სურვილმა, შეექმნათ ბუფერი საკუთარი ანატოლიური სამფლობელოებისთვის. ამიერიდან ქართველი ფეოდალები, როგორც სულთნის ზამები და თიმარიოტები, სახელმწიფო მიწით სარგებლობენ და ოსმალთა კარიბჭესაც იცავენ. ეს დე ფაცტო ავტონომია – ჩილდირის ვილაიეთი – დანარჩენ საქართველოსთან ეკონომიკური კონტაქტების წყალობით, ქართულ ენას ინარჩუნებდა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> თედო დუნდუა, აპოლონ თაბუაშვილი. „გურჯისტანის ვილაიეთი“ და ბატონებობის გაუქმება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურმა პრივილეგიამ თავისი ქნა და 1828 წლის 15 აგვისტოს ახალციხესთან მებრძოლ რუსულ არმიას ქართველთა ნაწილმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია.<sup>1</sup> მირითად საქართველოს-თან გაერთიანება ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ რუსეთს ხომ თიმა-რიოტები არ სჭირდებოდა?! სად იყო გარანტია იმისა, რომ ქარ-თველ თიმარიოტებს მათს სარგებლობაში მყოფ მიწებს საკუთრე-ბად დაუმტკიცებდნენ. ამ ხალხს საჯარო ხელისუფლებას ხომ ისედაც ჩამოაცილებდნენ. ეს რუსეთის იმპერიაში მართლმადიდე-ბელი რუსების პრივილეგია იყო.

1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში გამარჯვებულმა რუსეთმა ჩილდირის ვილაიეთის ორი ქართული პროვინცია – სამცხე და ჯავახეთი დაიკავა. თიმარიოტთა ნაწილმა მიწა მამუ-ლად მიიღო, პოლიტიკურად კი – პასიურნი გახდნენ. ისინი კი, ვინც სახასო მიწებს ამუშავებდნენ, კვლავაც იმავე სტატუსს ინარჩუნებენ.<sup>2</sup> ამ მხარეების სამრეწველო-სავაჭრო პოტენციალი

---

ჰუმანიტარულ მუცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება. კლარჯეთისა დიდებულ-თა უდაბნოთა. თბ. 2012, გვ. 134-141.

<sup>1</sup> ოფიციალური წყაროები გვატყობინებს, რომ ახალქალაქის, ახალციხის და აწყურის ციხეების აღებისას რუსეთის ჯარს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა (ახალქალაქის დამცველები თავიანთ ძლიერებას ასეთი ფრაზით გამოხატავდნენ – „ერთი ყარსელი სამ ერებნელის სჯობს, ხოლო ორი ყარსელი ერთი ახალქალაქელის ფასი არ არის“; ახალციხელები კი ამბობდნენ – „მთვარე ჯერ ციდან ჩამოხსენით, და მერე – ახალციხის მეჩეთიდან“). ამ ციხეების გარნიზონებმა კატეგორიული უარი განაცხადეს დანებებაზე და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს მოწინააღ-მდეგებს. იხ. Утверждение русского владычества на Кавказе. Т. 4. Ч. 2. Под ред. генерал-майора В. Потто. Время Паскевича. Турецкая война. 1828-1829 годы. Тиф. 1908, გვ. 59, 86.

<sup>2</sup> თედო დუნდუა, აპოლონ თაბუაშვილი. „გურჯისტანის ვილაიეთი“ და ბატონებმობის გაუქმება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მუცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის

მძლავრი არ იყო; შესაბამისი კლასიც, პოლიტიკური ასპექტით, გაუფორმებელია. ამ მიზეზების გამო ქართველ მუსლიმთა ნაწილმა ქვეყანა დატოვა. ზოგადად, მიმდინარეობდა საქართველოს ისტორიული ეკონომიკური სისტემის რესტავრაცია, რაც, უდავოდ, ყველა ასპექტით დადებითი იყო.

არტაანის/არდაგანის ციხის დაკავება რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის ერთი ეპიზოდია. აქ ქართველებმა, აშკარად, იომეს რუსეთის არმიის წინააღმდეგ.<sup>1</sup> ეს იყო და ეს. სხვა მხრივ ადგილობრივი მოსახლეობა კონკრეტულ ტერიტორიაზე მიმდინარე მძაფრი მოვლენების ინერტული მაყურებელი იყო.

რა მოხდა მაინც ასეთი ოსმალთა იმპერიაში XIX ს. შუა ზანებისთვის, რამაც ქართველ მუსლიმთა პასიურობა განაპირობა?!

1878 წლამდეც საქონელბრუნვა სამუსლიმო და ძირითად საქართველოს შორის მნიშვნელოვანი იყო. დოკუმენტურად და-დასტურებულია, რომ აქაური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება იმდენად აღემატებოდა ადგილობრივ მოთხოვნებს, რომ მისი დიდი ნაწილი ამიერკავკასიაში იყიდებოდა, და ეს ყველაფერი თურქთა მმართველობის დროს ხდებოდა.<sup>2</sup> ჭანებსაც კი 1877 წლისთვის „...დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ, როგორც აჭარი-

---

ინტიუტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება. კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა, გვ. 139-140.

<sup>1</sup> რუსულ სამხედრო კორესპონდენციაში საუბარია არდაგანიდან გასულ მოწინააღმდევეზე, სულ 5000 კაცზე, რომლებიც შავშეთში მოძრაობდნენ. აქ ფაშას და მეომრებს შორის უთანხმოება მომხდარა, ამის გამო, 700 კაცის გარდა, ყველანი სახლებში დაბრუნდნენ. ე.ი. ეს ადგილობრივი მილიცია ყოფილა. იხ. Материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 гг. на Кавказско-Малоазиатском театре. Т. 1. СПб. 1904, გვ. 337. სამხედრო კორესპონდენციაშივე საუბარია რუსების წინააღმდევ საბრძოლველად არტანუჯვეში სახალხო ლაშქრის შეკრებაზე. იხ. Материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 гг. на Кавказско-Малоазиатском театре. Т. 1, გვ. 360.

<sup>2</sup> Эсадзе С. С., Историческая записка об управлении Кавказом. Т. 2. Тиф. 1907, გვ. 260.

საკენ, აგრეთვე გურიას, ქართლს და თვით ტიფლისშიაც<sup>1</sup>. ეკონომიკური ლოგიკა მის ინტენსიუტიკაციას მოითხოვდა სრული ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით. მუსლიმ ქართველთა ინდიფურენტულობა თურქთა მიმართ ამითაც იქნებოდა განპირობებული.

1878 წ. ბათუმის, ართვინის და არტაანის<sup>2</sup> მხარეები უამრავმა ნატურალურმა თურქმა/ოსმალო ყოფილმა ჩინოვნიკმა დატოვა.<sup>3</sup> ე.ი. ადმინისტრაცია ცოტა წნით ადრე სწორედ მათგან კომპლექტდებოდა. მუსლიმ ქართველთა ინდიფურენტულობა თურქთა მიმართ ამითაც იქნებოდა განპირობებული.

XIX ს. 30-იან წლებში სულთანმა თიმარული სისტემა გააუქმა. თიმარიოლებს მიწის სანაცვლოდ პენსია დაენიშნათ, თუმცა

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. ოსმალოს საქართველო. ივერია. №8. 21 აპრილი. 1877, გვ. 11.

<sup>2</sup> რუსთის მიერ დაკავებული ქართველებით დასახლებული ტერიტორიები ორ ოლქში (область) გადანაწილდა: ყარსის და ბათუმის. იხ. ესაძე С. С., Историческая записка об управлении Кавказом. Т. 2, გვ. 256, 258, 260; თაყაშვილი ექვ., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლაოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი. 1938, გვ. 3. ყარსის ოლქში შევიდა შემდეგი ქართული ისტორიული პროვინციები – ორივე ტაო, კოლა, არტაანი, ერუშეთი, ფოცხოვი (ესაძე С. С. Историческая записка об управлении Кавказом. Т. 2, გვ. 261; თაყაშვილი ექვ., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 3; Ведомость о количестве коренного населения Карской области въ 1904 году. Памятная книжка и адресъ-календарь Карской области на 1906 годъ. Карсъ. 1906 г. №1). ბათუმის ოლქში შევიდა შემდეგი ქართული ისტორიული პროვინციები – აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი (ესაძე С. С., Историческая записка об управлении Кавказом. Т. 2, გვ. 260).

<sup>3</sup> გვაქვს პირდაპირი მინიშნება ქალაქ ყარსიდან თურქი ყოფილი ჩინოვნიკების ევაკუაციაზე. იხ. საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1438. ა. 1. ბ. ესაძის მიერ შეგროვებული მასალებიდან. საქმე 712. ემიგრაცია და მიგრაცია ყარსის ოლქში (რუსულ ენაზე). ფურ. 3. რატომ არ უნდა გავრცელდეს ეს მოდელი მთელ ოლქზე?!

მათ შეეძლოთ, ადრე მათსავე სარგებლობაში მყოფი თიმარი მეტკვიდრობითი მულქის (მამულის) სახით შეეძინათ. ამიერიდან აქედან შემოსულ გადასახადებს რეგულარული არმია უნდა შეენახა.<sup>1</sup> თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ XIX ს. II ნახ. და უფრო გვიან, უკვე რუსი იმპერატორის ქვეშევრდომი ბეგებიდან მხოლოდ ზიმშიაშვილები და კიდევ ერთი თუ ორი იხსენიება<sup>2</sup>, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: ქართველი თიმარიოტები მულქის გარეშე დარჩნენ, რუსებმა კი ზოგიერთ მათგანს, ვინც პენსიას იღებდა, მამულები უბოძეს.<sup>3</sup> ოსმალთა მიერ პროვინციებში კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დანერგვამ ადგილობრივი ელიტა ასევე აზარალა – მან ადმინისტრირების პრივილეგიაც დაკარგა. აი, რას წერს გაზეთი „ივერია“ ყოველივე ამასთან დაკავშირებით: „...ხვანთქრის მმართველობაში ახლა ბეგებზე მოიცალა. 1856 წელს ოსმალოს საქართველოს თავად აზნაურთა (ბეგების) თავკაცები სტამბოლს დაიბარეს და გამოუცხადეს, რომ მმართველობას უნდაო საგვარუულო სიგელები და ფარმანები გაშინჯოსო და ახალი წესის დაგვარათ ახალის ფარმანებით შეცვალოსო. ბეგებმა სიხარულით აიღეს მამა-პაპის ქაღალდები, საქართველოს მეფების ბოძებული წერილები და ხვანთქრების ან შაჰების ფარმანები და წარუდგინეს. მოელოდნენ ხვანთქრის წყა-

<sup>1</sup> სვანიძე მ.. თურქეთის ისტორია (1299-2000 წწ.). თბ. 2007, გვ. 289-290, 313.

<sup>2</sup> თაყაიშვილი ექვ., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 17. აღწერს რა ყარსის ოლქის ოლთისის ოკრუების მოსახლეობას, ექვ. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ აქაურთა უმრავლესობა მუსლიმი ქართველია, ბეგები კი ეკუთვნოდნენ ზიმშიაშვილის გვრუულობას (ერთ-ერთი მათგანი ადგილობრივი მოღიცის წევრია).

<sup>3</sup> მაგ. ბათუმის ოკრუები 345594 დესეტინა მიწიდან დიდი ნაწილი სახელმწიფო საკუთრება იყო, მხოლოდ 13500 დესეტინაა კერძო საკუთრებაში. იხ. ბენდიანიშვილი ალ., სამსონაძე მ., ქოქრაშვილი ს., ჭუმბურიძე და, ჯანელიძე ო., რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. თბ. 2008, გვ. 170.

ლობას. ოსმალოს მმართებლობამ რა კი ეს წერილები გამოსტყუა და თავის არხივებში დაჰკეტა, გამოაცხადა თენზიმათის შესანიშნავი სიტყვები: „ყოველი ქვეშევრდომი იმპერიისა, თანაბრათ უნდა და სწევდეს ხარჯსა რაც უნდა წოდებისა და სარწმუნოებისა იყოს.“<sup>1</sup> “როდესაც ოსმალოს მმართებლობამ თენზიმათი გამოაცხადა, რომ ყოველი ქვეშევრდომი ხვანთქრისა თანაბრათ მოხარეენი არიანო, ამ დროიდან მოისპო აზნაურთა უფლება. ბეგებს პენცია მიეცათ და აზნაურნი გათანასწორდნენ გლეხებთან.”<sup>2</sup> მუსლიმ ქართველთა ინდიფერენტულობა თურქთა მიმართ ამითაც იქნებოდა განპირობებული.

მოდით, ვნახოთ, რა მიიღეს მუსლიმმა ქართველებმა რუსეთის იმპერიაში ინკორპორაციის შედეგად:

1. ბეგებმა – ცოტა მიწა და ადგილობრივ მილიციაში გაწევრიანების საშუალება;
2. მოიჯარეებმა – იგივე სტატუსი სახელმწიფო მიწებზე;
3. ხოლო ქართველებმა ზოგადად – დანარჩენი ქართველები.

<sup>1</sup> პეტრე უმიკაშვილი. ოსმალოს საქართველო. აჭარა. ივერია. №13. 26 მაისი. 1877, გვ. 14.

<sup>2</sup> პეტრე უმიკაშვილი. ოსმალოს საქართველო. შავშეთი. ივერია. №18. 30 ივნისი. 1877, გვ. 9.

**Tedo Dundua,**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor*

**Giorgi Zhuzhunashvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor,*

*Associate Professor*

**THE SOUTH-WEST GEORGIA INTO THE RUSSIAN  
AND OTTOMAN EMPIRES – COMPARATIVE  
ANALYSIS  
RESUME**

Georgian principality of Samtskhe-Saatabago was incorporated by the Ottomans in the 16<sup>th</sup> c. as they wished to secure their Anatolian domains while confronting the Safavis. Georgian feudals lost their lands just to receive them back as the state property now in their use instead of military service rendered to sultan. As zaims and timariots, the Georgians also packed the local administration, i.e. of Gürgistan (Childir) Vilayet, maintaining the Georgian language due to the permanent economic links with the rest of Georgia.

These bilingual warriors resisted the Russian army bravely, while assault of Akhaltsikhe on August 15<sup>th</sup>, 1828, during Russo-Turkish war of 1828-1829.

Capture of Artaani/Ardahan fortress while Russo-Turkish war of 1877-1878 again shows Georgians fighting against the Russians. But no other signs of local activities are traced. Why? What made Muslim Georgians so indifferent? What happened in the Ottoman Empire towards the midst of the 19<sup>th</sup> c.?

Even up to 1878 the commodity turnover between Muslim Georgia and Georgia proper was prominent. It is well recorded that South-Western Georgia produced definitely more food than needed just to be sold Northwards, and this was happening while the Ottoman rule. There could be only one way – that is economic reintegration of Georgia. That is also

why the Muslim Georgians were so indifferent towards the Ottomans.

Due to the Russian advance, the sites of Batumi, Artvini and Artaani were left by many Turks from former provincial administration. So, the Turks and not bilingual Muslim Georgians formed the local administration by that time. That is also why the Muslim Georgians were so indifferent towards the Ottomans.

System of the timars was abolished in the 30s of the 19<sup>th</sup> c. Former timariots were offered pension instead of land. Still, there was a possibility for them to buy former timar as mulk, i.e. in hereditary possession, from which they would pay taxes to support new regular army. Only few Georgian begs, i.e. Muslim Georgian nobles, mostly Khimshiashvilis, are mentioned in the 2<sup>nd</sup> half of the 19<sup>th</sup> c. and later, as the subjects of Tsar. That means as follows: Georgian timariots failed to get the mulks. Later, the Russians allotted only some of them, receiving pension, with the lands.

Very feudal in essence, local Muslim élite suffered from the other changes too. Legal equality, now introduced in the Ottoman provinces, cut their privileges at provincial level. That is also why the Muslim Georgians were so indifferent towards the Ottomans.

The Muslim Georgians, what did they receive after being incorporated into the Russian Empire?

1. There was land reserved for some of the former begs and membership in local militia;
2. Peasants remained mostly at the state lands.
3. And all they joined the Christian Georgians.

## რუკები



## ფეოდალური საქართველო




ჩილედორის კლასურითი  
ოსმალეთის იმპერიაში



საბურგავაშვილის  
რესერტის იმპერიაში



კოფილი ნიღბაზეს კლავითი  
რუსეთის იმპერიაში



აპოლონ თაბუაშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასისტენტ-პროფესორი

ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების  
აღწერის დავთრები  
(XVIII საუკუნის II ნახევარი)

ისტორიული ფაქტი და მოვლენა, ზოგადად, კრიტიკულ, ფრთხილ მიღვიმას და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. წყაროთა ისმცირის გამო წარსული ცხოვრების მრავალი ასპექტი ჩვენთვის მთელი სიცხადით ვერ იშლება, რის გამოც, ისტორიული მეცნიერების განვითარების მიუხედავად, ბევრი კარდინალური საკითხის შესახებ შხოლოდ ირიბი მონაცემებით ვმსჯელობთ. თუმცა არსებობს რიგი საკითხები, რომელთა შესახებ ჩვენს სიძველეთსაცავებში დაცული ისტორიული საბუთები ამომწურავ პასუხებს იძლევა. საჭიროა ასეთი ტიპის საისტორიო მასალის გამომზეურება და ფართო საზოგადოებისთვის მიწოდება. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს წარსულის ამსახველი დემოგრაფიული ძეგლები. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ძეგლთა უმრავლესი ნაწილის დაღუპვისდა მოუხდავად, XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს დემოგრაფიული ვითარების შესასწავლად ცოტად თუ ბევრად მასალები მაინც მოგვეპოვება. საჭიროა მხოლოდ მათი გაძოებებისა და შესწავლა“<sup>1</sup>.

სწორედ ასეთი ტიპის საისტორიო წყაროთა რიგს განეკუთხება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული Hd ფონდის

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი I, თბ., 1930, გვ.45.

სამი საბუთი, რომელთა საარქივო ნომრებია 1606, 1611 და 9 324. აღნიშნულ საბუთებში დაცულია შიდა ქართლის 69 დასახლებული პუნქტის, მათ შორის, ქალაქ ცხინვალის მოსახლეობის აღწერის მონაცემები. სამივე ისტორიული დოკუმენტი თარიღდება XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედით.

თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, აღნიშნულ დოკუმენტებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სამივე დავთარში აღწერილი დასახლებული პუნქტების დიდი ნაწილი ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზეა განლაგებული.

დღესდღეობით საქართველოს ეს ნაწილი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ და იქ ხშირია დეზინფორმაციის გავრცელების ფაქტები. ზოგიერთი ისტორიკოსი ყოველგვარ არგუმენტებს მოკლებულ დასკვნებს გვთავაზობს. ცდილობენ დაადასტურონ ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ოსური ეთნოსის განსახლება თითქოს შორეულ წარსულს უკავშირდება.<sup>1</sup> აღნიშნულ სიყალბეს არაერთმა ქართველმა ისტორიკოსმა მიაქცია ყურადღება და ცალსახად მიკერძოებულ მოსაზრებებს მეცნიერული არგუმენტაცია დაუპირისპირა.<sup>2</sup> თუმცა, ვფიქრობთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა, ფართო საზოგადოე-

<sup>1</sup> ამ მხრივ კიდევ უფრო შორს წავდა რუსეთის სახელმწიფო დუმა, რომელმაც 2004 წელს მიიღო რეზოლუცია იმის შესახებ, თითქოს 1774 წელს ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი ერთად შეუერთდა რუსეთის იმპერიას. საკითხის ისტორიოგრაფია იხილეთ: თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოსტორიის საკითხები. თბ., 1997, გვ. 73-123;

<sup>2</sup> იხ.: ლიმოური ნ., ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიის ძირითადი ასპექტები. ცისკარი. №5. თბ., 1992, გვ. 104-115; თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოსტორიის საკითხები. თბ., 1997; თოფჩიშვილი რ., ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში. საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსექტივები. თბ., 2009, გვ. 135-172; მალაშვილი შ., კონფლიქტების ანატომია. თბ., 2011, გვ. 133-161.

ბისათვის ხელმისაწვდომი გახდეს დამატებითი ცნობები. სწორედ ასეთი ტიპის ინფორმაციის შემცველია ჩვენს ხელთ არსებული დავთრები. აღნიშნული დავთრები პირველწყაროს წარმოადგენს XVIII საუკუნის ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების გარკვევისათვის.

განსახილველი დავთრებიდან ორი მათგანი, რომელთა საარქივო ნომრებია 1606 და 1611, წარმოადგენს საკმაოდ მოზრდილ გრაგნილს. დოკუმენტები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და საგვარეულოების ისტორიის თუ ონომასტიკის შესახებ. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის გარკვევის თვალსაზრისით კი აღნიშნულ დავთრებში ზუსტი ცნობებია დაცული და ამ მხრივ მათი ავთენტურობა ეჭვგარეშეა.

ორივე ისტორიული საბუთის ზოგად მიმოხილვას გვთავაზობს აკად. ივანე ჯავახიშვილი 1930 წელს გამოცემულ ნაშრომში „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“. ავტორი აღნიშნავს: „არსებობს ავრეთვე ზემო-ქართლის სადროშოს დავთრის ერთი ნაწილიც... ჯერჯერობით ამ დავთრის ორი ვრაგნილია აღმოჩენილი, რომელიც ორივე ერთმანეთთან უნდა იყვნენ დაკავშირებული...“<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული დავთრებით უსარგებლია. რადგან იმ პერიოდში მათ, სავარაუდოდ, საარქივო ნომრები ჯერ კიდევ არ გააჩნდათ, ავტორი დოკუმენტის აღვილსამყოფელსა და საარქივო ნომერს არ უთითებს, რამაც, სხვა გარემოებებთან ერთად, განაპირობა კიდეც ის ფაქტი, რომ დავთრები დღემდე გამოუქვეყნებელი იყო.

Hd ფონდის საბუთი № 1606 თავნაკლულიც არის და ბოლონაკლულიც. დავთარში აღწერილია დიდი და პატარა ლიახ-

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 34.

ვისა და ფრონების<sup>1</sup> ხეობებში მდებარე შემდეგი დასახლებული პუნქტები: არადეთი, საღოლაშენი, ბრეთი, წვერი, ქვემო ხვითი, ფხვენისი, ზემო ხვითი, ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ქალაქი ცხინვალი, კეხვი, თირის მონასტერი, აჩაბეთი, მდგვრისი, კარბი, თამარაშენი, ქურთა, სვერი, ქემერტი, ძარწემი, რუსთავი, ხეითი, დიცი, მეღვრეჟისი, ერგნეთი.

ფეოდალური ეპოქის საქართველოში დამკვიდრებული არაქტიკიდან გამომდინარე, დავთარში შეყვანილია არა მოსახლეობის სულადობრივი მონაცემები, არამედ კომლის და „თავის“, ანუ სრულწლოვან სამხედროვალდებულ მამაკაცთა რაოდნობა.

დოკუმენტი გვაწვდის ზუსტ ინფორმაციას მემამულე-ფეოდალთა და მათი ყმების რაოდენობის შესახებ. სულ დავთარში თავადაზნაურთა და გლეხთა 540 კომლია შეყვანილი. ყველაზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობდა ცხინვალში – 130 კომლი, დიდი სოფლები ყოფილა თამარაშენი (37 კომლი) და მდგვრისი (36 კომლი). უმეტეს სოფლებში კი 20-მდე კომლი ცხოვრობდა.

დავთრებში აღწერილი ყმების გარკვეული რაოდენობა სამეფო-სახასო საკუთრებას წარმოადგენდა. უმეტეს ნაწილს კი ფლობდნენ სამეფო ოჯახის წევრები და თავადთა შემდეგი საგვარეულოები: მაჩაბლები, ამილახვრები, აბაშიძეები, ავალიშვილები, თაქთაქიშვილები, ხერხეულიძეები, თარხნიშვილები, ბეგთაბეგიშვილები, ფავლენიშვილები. მცირე რაოდენობის ყმები ჰყოლიათ ერისთავს, ორბელიანს, მუხრანბატონს და დავითიშვილს. საკუთარი ყმები ჰყავდათ აგრეთვე ნიქოზელ ეპისკოპოსს, თბილელს და ეკლესია-მონასტრებს – ქვათახევის ღვთისშობლის ეკლესიას, მღვიმის ეკლესიას, წმინდა ევსტათის ეკლესიას,

<sup>1</sup> ფრონების ხეობა მოიცავს სამ მცირე მდინარეს: აღმოსავლეთის (დგანის წყალი), დასავლეთის (ალის წყალი) და შუა (ფცის წყალი) ფრონებს.

მთაწმინდას, თირის მონასტერს და ეჩმიაძინს. დავთარში ასევე შეუვანილია ამ სოფლებში მოსახლე 30-მდე აზნაური.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთარი თავნაკლულია და, შესაბამისად, მისი შედგენის თარიღი მითითებული არ არის. ივ. ჯავახიშვილი დოკუმენტის კონკრეტულ თარიღს არ განსაზღვრავს და ზოგადად მოუთითებს XVIII საუკუნის 70-იან, 80-იან წლებს.<sup>1</sup> აღნიშნული დოკუმენტით უსარგებლია ფეოდალური ხანის ცხინვალის ისტორიის მკვლევარ მიხეილ ცოტნიაშვილს, რომელმაც იგი XVIII საუკუნის 90-იან წლებში შედგენილად მიიჩნია. როგორც ავტორი მიუთითებს, ამის საფუძველს დავთარში მოხსენებული პირები იძლევა, თუმცა მკვლევარი კონკრეტიზაციისაგან თავს იკვებს.<sup>2</sup>

დავთრის შედგენის კონკრეტული თარიღის განსაზღვრის საშუალებას იძლევა მასში მოხსენებული პირის, ოთარ რევაზის ძე ამილახვრისშვილის, თანამდებობა. XVIII საუკუნის 70-90-იანი წლების ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ოთარ ამილახვრისშვილი დავთარში „მინბაშად“<sup>3</sup> არის მოხსენებული. იმავე დავთრის სხვა ნაწილიდან ჩანს, რომ ამილახვრის, ანუ მემარჯვენე სარდლის ტიტულს იასე ამილახვარი ფლობდა. ისტორიულ დოკუმენტებში ოთარი „მინბაშად“ იხსენიება XVIII საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებსა და 80-იანი წლების დასაწყისში. შემდეგ ის დაინიშნა სარდლად და მიიღო ამილახვრის საპატიო ტიტული.<sup>4</sup> წყაროებით დასტურდება, რომ ოთარი ამილახ-

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი, გვ. 34-36;

<sup>2</sup> ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია (ცხინვალი ფეოდალურ ხანაში). ცხინვალი, 1986, გვ. 193;

<sup>3</sup> სამხედრო მოხელე – „ათასისთავი“;

<sup>4</sup> ამილახვრად იწოდებოდნენ მხოლოდ მემარჯვენე სარდლები, რომლებიც ამავდროულად იყვნენ სათავადოს „სახლის უფროსები“. სხვა ამ სახლის

ვრის ტიტულს 1786-1787 წლებიდან ატარებდა. ამდენად, აღწერა უნდა შესრულებულიყო ოთარის სარდლად დანიშვნამდე, დაახლოებით XVIII საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების მიჯნაზე. ცნობილია, რომ ამ პერიოდში, 1781 წელს, ჩატარდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერა<sup>1</sup>. ამდენად, ჩვენს ხელთ არსებული დავთარიც სწორედ 1781 წლით უნდა დათარილდეს.

აღნიშნული დავთარი (Hd-1606) საამილახვროს აღწერის დავთართან ერთად გამოვაქვეყნე 2010 წელს.<sup>2</sup> მისი გამოცემისას გამოვთქვი ვარაუდი, რომ დავთრის ბოლო ნაწილში ზოგიერთი სოფელი, მაგალითად, დიცი, მელვრეკისი და ერგნეთი, სრულად არ იყო აღწერილი. მასში შეყვანილი იყო მხოლოდ ფარსადან მაჩაბლის ყმები.<sup>3</sup> აღწერის ამ თავისებურების შედეგად ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში კომლთა მცირე რაოდენობაა დაფიქსირებული. ეს გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: პრაქტიკულობისათვის ზოგჯერ დასახლებული პუნქტის ერთიანი აღწერის ნაცვლად კონკრეტული თავადის სხვადასხვა სოფლებში მცხოვრები ყმების ამოკრეფილად აღწერა წარმოებდა და გადასახადებიც ამ პრინციპით გაიწერებოდა.<sup>4</sup> ჩვენ ასევე ვივარაუდეთ, რომ

---

წევრი თავადიშვილები ამილახვრისშვილებად მოიხსენებოდნენ. ეს წესი მკაცრად იყო დაცული და მისი დარღვევა წარმოუდგენელი იყო.

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. დემოგრაფიული ძეგლები. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები. წ. I, გვ. 105-247; თავადიშვილი ექვ., ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა. თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ტ. 45, გვ. 35.

<sup>2</sup> იხ.: თაბუაშვილი ა., შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთრები. XVIII საუკუნის II ნახევარი. თბ., 2010, გვ. 5-56.

<sup>3</sup> თაბუაშვილი ა., შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთრები. XVIII საუკუნის II ნახევარი, გვ. 15-17.

<sup>4</sup> მაგალითად, 1783 წელს ფარსადან მაჩაბლის სხვადასხვა ადგილას მცხოვრებ ყმებზე ერთიანად გაიწერა გადასახადი. იხ.: ბერძენიშვილი ნ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. მასალები

დავთრის თავდაპირველ, სრულ ვერსიაში ეს სოფლები აღწერილი იქნებოდა ბოლომდე, მებატონეთა მფლობელობის მიხედვით.

ეს მოსაზრება დადასტურდა მეორე დავთრის (Hd-1611) მოძიების შედეგად – Hd-1606-ში ნაწილობრივ აღწერილი ზოგიერთი სოფელი (ერგნეთი, მეღვრეკისი) აქ სრულად არის აღწერილი და მასში შეყვანილია ის ოჯახები, რომლებიც პირველ დავთარში არ არის დაფიქსირებული. შესაბამისად, დავთარი Hd-1611, Hd-1606-ის გაგრძელებაა და ისიც 1781 წლით უნდა დათარილდეს. ამ მოსაზრებას ადასტურებს მასში მოხსენებული პირების იდენტიფიკაცია (მაგალითად, ოთარ ამილახვრის შვილი აქაც „მინბაშად“ არის მოხსენებული და ა.შ.), ორივე დავთრის ერთი და იმავე ხელით შედგენა და, ასევე, ქაღალდის ზომის იდენტურობა.

Hd-1611-ში აღწერილი სოფლების უმეტესობა იმავე გეოგრაფიულ რეგიონს განეკუთვნება, რომელ არეალსაც მოიცავს პირველი დავთარი (Hd-1606). აღნიშნული დავთარიც თავნაკლულია. მასში აღწერილია 23 სოფელი: წიქარაული, ცხრამუხა, ოსიაური, ბრება, ატოცი, თიღვა, ჭყის უბანი, წირეთი, ძაღინა, შინდარა, ავლევი, მდგვრისი, ბროწლეთი, ერედვი, ერგნეთი, ძევერა, შერთული, მეღვრეკისი,<sup>1</sup> ყელქცეული, კასპი, სამთავისი, ჭალა, ბოლი.

სულ აღწერილია 400-ზე მეტი კომლი. ამ სოფლების დიდი მებატონები იყვნენ: ფალავანდიშვილები, ფავლენიშვილები, ამილახვრები, აბაშიძეები, ამირეჯიბები და ხერხეულიძეები. მცირე რაოდენობის ყმა-გლეხებს ფლობდა დედოფალი, მუხრანბა-

---

შეარჩა და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. წ. III თბ., 1955. გვ. 73.

<sup>1</sup> სოფლების მდგვრისის, ერგნეთის და მეღვრეკისის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი აღწერილია დ-1606-ში. დ-1611-ში შეყვანილია მხოლოდ ის კომლები, რომლებიც პირველ დავთარში არ არის აღწერილი;

ტონი, სინას მთა, მთავარეპისკოპოსი, ვაჭარი ჯულაბაშვილი და სხვ. დავთარში აღწერილი გლეხების უმეტესობა მებატონეების ყმებს წარმოადგენდა, მათი ნაწილი კი სამეფო-სახასო კატეგორიას განეკუთნებოდა.<sup>1</sup> მცირე მებატონეებად გვევლინებიან აზნაურები. დავთარში ოცზე მეტი აზნაურია დაფიქსირებული. აღწერილი სოფლებიდან ყველაზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობდა ძალინასა (65 კომლი) და ერედვში (40-ზე მეტი კომლი).

ვინაიდან ორივე დავთარი ნაკლულია, მასში ფრონეების, დღიდი და პატარა ლიახვის ხეობებში მდებარე ყველა სოფელი არ არის აღწერილი.

ამ ნაკლოვანებას გარკვეულწილად ავსებს ჩვენ მიერ წარმოდგენილი მესამე დოკუმენტი – Hd-9 324. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი ზემოთ აღნიშნული დავთრებისაგან განსხვავდება როგორც შედგენილობით, ასევე თარიღითაც, მასში ჩვენთვის საინტერესო რეგიონის მოსახლეობაა აღწერილი.

დოკუმენტი Hd-9 324 წარმოადგენს მოზრდილ თაბაზს. დასაწყისში აქვს შემდეგი მინაწერი: „ქ~ქს უოც (ქორონიკონსა 478, ანუ 1312+478=1790 წ.) ამ წლისა. სურსათის დავთარის პირი არის. პატარა ლიახვისა და ახალის სახასოს საერისთავისი“. როგორც ვხედავთ, დავთარი თარიღდება 1790 წლით და მასში აღწერილია პატარა ლიახვისა და „ახალი სახასო საერისთავოს“ სოფლები. „ახალი სახასო საერისთავო“ კი ქსნის ერისთავთა ყოფილი მამული იყო, რომელიც ერეკლე II-მ თავის მებატონეებს ჩამოართვა და სამეფო, ანუ სახასო საკუთრებად აქცია. ერეკლე II-მ ქსნის საერისთავო 1778 წელს გააუქმა. საერისთავოს გაუქმების მიუხედავად, ქსნის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელი, როსტომი, ქსნის ხეობის მომიჯნავე ბარის რაიონებში კვლავ ფლობდა გარკვეული რაოდენობის ყმა-მამულს. მისი მფლობელობა ვრცელდებოდა პატარა ლიახვსა და ქსანს

<sup>1</sup> მებატონეთა მითითების გარეშე აღწერილი ყმები სახასო ყმებს წარმოადგენდნენ.

შორის მდებარე ტერიტორიებზე, ე.წ. „გვერდისძირში“ და შიდა ქართლის ზოგიერთ სოფელში. 1790 წელს ერეკლე II-მ როსტომ ერისთავის მამულებიც სახასო საკუთრებად გამოაცხადა.<sup>1</sup> დოკუმენტში მოხსენებული „ახალი სახასო საერისთავი“ სწორედ როსტომ ერისთავისთვის ჩამორთმეულ მამულს და იქ და-სახლებულ ყმა-გლეხებს მოიცავდა.

დავთარში აღწერილია 29 დასახლებული პუნქტი: უფლისციხე, ქვემო ხვითი, ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, ცხინვალი, აწერის ხევი, ერტულა, ბელოთი, დიცი, საცხენეთი, იკორთა, ჭარები, ქსუისი, მერეთი, კუბლითი, არცევი, ფლავი, ფლავისმანი, ჯარიაშენი, აძვი, ახალუბანი, მეჯვრისხევი, სათემო, ქიშნისი, საკორინთლო, რეხა, კარალეთი, მარანა, ტყვიავი.

მცირე გამონაკლისის გარდა, ამ სოფლებში მცხოვრები მოსახლობის აბსოლუტური უმრავლესობა სახასო საკუთრებას წარმოადგენდა.

როგორც აღნიშნეთ, დავთარი კონკრეტული დანიშნულებით არის შედგენილი, რის გამოც გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს: პირველი ხუთი დასახლებული პუნქტის (უფლისციხის, ქვემო ხვითის, ქვემო ნიქოზის, ზემო ხვითის, ცხინვალის) მოსახლეობა დავთარში სრულად არ არის წარმოდგენილი, რადგან იქ მცხოვრებ ყმა-გლეხთა ნაწილი არა ქსნის ერისთავის, არა-მედ სხვა მებატონების საკუთრებას წარმოადგენდა, მათი ყმების აღნუსხვა კი გათვალისწინებული არ იყო. ამავდროულად, უნდა გავითვალისწინოთ დოკუმენტის შედგენის დანიშნულებაც – იგი წარმოადგენს „სურსათის დავთარის პირს“. „სურსათის დავთარ-

<sup>1</sup> თაბუაშვილი ა., სტატისტიკური ცნობები XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლის მოსახლეობის შესახებ (ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის მიხედვით). ივნე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. ობ. 2011, გვ. 292-293.

ში“ კი მხოლოდ გადასახადის გადამხდელები აღირიცხებოდნენ,<sup>1</sup> გადასახადებს კი იხდიდნენ შეძლებული ყმა-გლეხები. ამდენად, დავთარში არ არის წარმოდგენილი ამ სოფლებში მოსახლე გა-დახდისუუნარო გლეხები („ბოგანოები“, „შეუძლებლები“ და „ობ-ლები“), „თარხნები“ (ანუ გარკვეული დამსახურებისათვის გადა-სახადებისაგან გათავისუფლებული, „გათარხნებული“ გლეხები) და აზნაურები.<sup>2</sup> საერთო ჯამში, აღწერის ამ თავისებურების გა-მო, დავთარში არ არის აღრიცხული სრული მოსახლეობის დაახ-ლოებით 20-30%. ამ ნაკლოვანების მიუხედავად, დოკუმენტს მა-ინც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მასში აღნიშნული სოფლე-ბის მოსახლეობის უმრავლესობაა შეყვანილი – 29 სოფლები აღწერილია 317 გადასახადების გადამხდელი კომლი.

როგორც ვხედავთ, დავთრებში აღწერილია დიდი და პატა-რა ლიახვის და ფრონების ხეობების ბარის სოფლების უმრავ-ლესობა. სულ სამივე დავთარაში აღწერილია 69 სოფელი<sup>3</sup> და იქ მცხოვრები 1250-ზე მეტი კომლი. ამ მოსახლეობის სულა-ლობრივი ოდენობის მიახლოებითი გაანგარიშებისათვის საჭი-როა ყურადღება გავაძახვილოთ შემდეგ გარემოებაზე: ტრადიცი-ულად, საქართველოში მიღებული იყო დიდ ოჯახებად ცხოვრე-ბა, რის გამოც ერთ კომლში ხშირად რამდენიმე ოჯახი ერთიან-დებოდა. ჩვენს ხელთ არსებულ დავთრებშიც მრავლად არის და-დასტურებული ერთ კომლში ორი, სამი და მეტი „თავის“, ანუ სრულწლოვანი მამაკაცის არსებობა. ეს კი რამდენიმე ოჯახის

<sup>1</sup> ანალოგიური აღწერის პრაქტიკას ჩვენ სხვა შემთხვევებშიც ვხვდებით. ამ საქოთხოან დაკავშირებით იხილეთ: თაბუაშვილი ა., სტატიისტიკური ცნობები 1794 წლის ხალხის აღწერის დავთრიდან. ქართული წყაროთმცოდნეობა. XIII-XIV. თბ., 2011/2012, გვ. 173-177.

<sup>2</sup> სახასო სოფლებში თავადების არსებობა არ არის სავარაუდებელი.

<sup>3</sup> რვა დასახლებული პუნქტი (დგვრისი, ერგეთი, მელვრეკისი, დიცი, ქვემო ხვითი, ზემო ხვითი, ქვემო ნიქოზი, ცხინვალი) დავთრებში მეორდება, რადგან მოსახლეობის ნაწილი ერთ მათგანშია აღწერილი, ნაწილი – მეორესა და მესამეში.

ერთობლივი ცხოვრებით იყო განპირობებული. დიდ ოჯახებად ცხოვრებას ეკონომიკური მოტივაცია ჰქონდა — გადასახადები კომლობრივად გაიწერებოდა და, შესაბამისად, სახლისკაცების გაყრა ახალი საგადასახადო ერთეულის წარმოქმნას ნიშნავდა. ამდენად, აღწერაში დაფიქსირებულ 1250 კომლში გაცილებით მეტი, მინიმუმ 2000 ოჯახი უნდა იგულისხმებოდეს. თუ ერთ ოჯახზე 5-7 წევრს ვინგარიშებთ, გამოდის, რომ აღნიშნულ 69 სოფელში 10 000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა.

გარდა სტატისტიკური მონაცემებისა, დავთრები ასევე საინტერესო ინფორმაციას იძლევა სოციალური და ეკონომიკური ისტორიის შესახებ. ზოგიერთი პირი მოხსენებულია თავისი პროფესიის მიხედვით. მაგ. „მეჩითე თამაზა“, „ფეიქარი მატუაშვილი ღთისა“, „მექვაბე მასურა“, „მეჩახმახე გოლინაშვილი გასპარა“, „მჭედელი ასლანაშვილი ბერუა“, „მეშარბათე ჩიტიაშვილი გოგია“, „დალაქი უამიერაშვილი ოთარა“ და სხვ. ერთი სიტყვით, რეგიონში განვითარებული ყოფილა ხელოსნობის სხვადასხვა დარგი: საფეიქრო წარმოება, მეჩახმახობა, ოქრომჭედლობა და ა.შ.

დავთარში ასევე დაფიქსირებულია „თოფჩები“, ანუ მეზარბაზნები. როგორც ცნობილია, ერეკლე II-მ XVIII საუკუნის 70-იან წლებში ააგო ზარბაზნების ჩამომსხმელი ქარხანა და შექმნა საველე არტილერია, სადაც, იოანე ორბელიანის ცნობით, 400 მეზარბაზნე, ანუ „თოფჩი“ მსახურობდა.<sup>1</sup> ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ამ რევიონიდან მეზარბაზნები ყოფილან არა მხოლოდ სახასო და სადედოფლო ყმები, არამედ თავადების ყმებიც. ესენი იყვნენ: ფარსადან მაჩაბლის ყმები — ზიმშიაშვილი კა-

<sup>1</sup> Акты собранные Кавказскою Агхеографическою Комиссиею. Т. II. Изданъ подъ редакціею предѣсадателя комиссіи АД. Берже. Тифлисъ 1868, გვ. 288.

ცია და ხალაძე გოგია. მეფე მეზარბაზნეებს ჯამაგირს უხდიდა და „ათარხნებდა“, ანუ გადასახადებისაგან ათავისუფლებდა.

ამავე პერიოდში ერეკლე II-მ მოაწყო ახტალისა და ალა-ვერდის ვერცხლისა და სპილენძის სადნობი ქარხნები. სამეფო კარი ამ საწარმოებში შეგირდებად გზავნიდა გლეხებს, რომლებიც მაღნის წარმოებას სწავლობდნენ. მაღნის მწარმოებლებს „მადანჩები“ ეწოდებოდათ. ისინი შიდა ქართლიდანაც ყოფილან. დავთრებში დაფიქსირებულია „მადანჩები“ – კოკოზაშვილი შიო, მელანაშვილი ტეტია, ბაბუციძე პეტრე და სხვ.

დავთრები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სათავა-დოების ისტორიის მკვლევართათვის, რადგან დეტალური ინ-ფორმაციაა ამა თუ იმ თავადის, მათი ოჯახების წევრებისა და ყმა-გლეხების შესახებ. ბუნებრივია, მასში ძვირფასი ცნობებია დაცული მოსახლეობის საგვარეულოებისა და დასახლებული პუნქტების შესწავლის თვალსაზრისით.

დავთრები ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის აღნიშნული რეგიონის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური კუთ-ვნილების შესახებ – სამოცდაცხრავე დასახლებულ პუნქტში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი იყო. ქა-ლაქ ცხინვალსა და ზოგიერთ სოფელში ქართველებთან ერთად მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ ებრაელები და სომხები. ნი-შანდობლივია ის ფაქტიც, რომ დავთრებში არც ერთი ოსური სოფელი არ ფიქსირდება.

დავთარში შეტანილი გვარების უმეტესობა შვილზე და ძე-ზეა დაბოლოებული. საკმაოდ ბევრია „ხიზნები“, ანუ ამა თუ იმ სოფელს შეხიზნული გლეხები.

როგორც უკვე აღინიშნა, ერთ-ერთი დავთარი შეიცავს ქა-ლაქ ცხინვალის მოსახლეობის აღწერასაც. ცხინვალი გვიანფე-ოდალურ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ქა-ლაქად მოიაზრება. დავთარი გვაწვდის ზუსტ ინფორმაციას ქა-ლაქის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. იმ დროისათვის ცხინვალში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 130 კომლი სახლობდა.

ქალაქში ყველაზე მეტი ყმა მეფის საკუთრებას წარმოადგენდა. ყმათა მფლობელები ყოფილან ბატონიშვილები, დედოფალი, მაჩაბლები, ამილახვრის შვილები, ხერხეულიძეები, ბეგთაბეგიშვილები და სხვ.

აღწერის დაგთარი ზედმიწევნით ზუსტად გადმოგვცემს ქალაქის მოსახლეობის ეთნიკურ სურათს, რომლის მიხედვითაც აქ ცხოვრობენ მხოლოდ ქართული, სომხური და ებრაული ეთნოსის წარმომადგენლები.

#### დამოწმებანი:

1. ბერძნიშვილი ნ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძნიშვილმა, წ. III თბ., 1955;
2. თაბუაშვილი ა., შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთრები. XVIII საუკუნის II ნახევარი. თბ., 2010.
3. თაბუაშვილი ა., სტატისტიკური ცნობები 1794 წლის ხალხის აღწერის დავთრიდან. ქართული წყაროთმცოდნეობა. XIII-XIV. თბ., 2011/2012.
4. თაბუაშვილი ა., სტატისტიკური ცნობები XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლის მოსახლეობის შესახებ (ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის მიხედვით). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის სტუდენტის შრომები. ტ. II. თბ., 2011.
5. ექვთიმე თაყაიშვილი. ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა. თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ტ. 45. თბ., 1951.
6. თოფჩიშვილი რ.. ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში. საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები. თბ., 2009.

7. თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოსტორიის საკითხები. თბ., 1997.
8. ლომოური ნ., ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიის ძირითადი ასპექტები. ცისკარი, N5. თბ., 1992, გვ. 104-115.
9. მალაშვილი შ., კონფლიქტების ანატომია. თბ., 2011.
10. მ. ცოტნიაშვილი. ცხინვალის ისტორია (ცხინვალი ფეოდალურ ხანაში), ცხინვალი, 1986.
11. ხელნაწრთა ეროვნული ცენტრი, Hd-1606.
12. ხელნაწრთა ეროვნული ცენტრი, Hd-1611.
13. ხელნაწრთა ეროვნული ცენტრი, Hd-9324.
14. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. დემოგრაფიული ძეგლები. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები. წ. I. თბ., 1967.
15. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი. თბ., 1930.
16. Акты собранные Кавказскою Ахеографическою Комиссиею. Т. II. Изданъ подъ редакцію предъседателя комиссіи АД. Берже. Тифлісь 1868.

*Apolon Tabuashvili*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor*

## **CENSUS BOOKS FOR THE TOWN OF TSKHINVALI AND ITS SURROUNDING VILLAGES**

**(THE SECOND HALF OF THE 18<sup>TH</sup> CENTURY)**

**RESUMÉ**

The paper deals with the three historical documents dating back to the second half of the 18<sup>th</sup> century which are archived at the National Institute of Manuscripts \_ Hd-1606, Hd-1611, and Hd-9324. All three documents present more than

sixty populated areas in Shida Kartli including the population census books covering the town of Tskhinvali and its surrounding villages. The Books give us considerable information about social-economic, demographic, ethnical history, onomatology and other important issues in connection with the Kartli population of the late feudal period.

The Books are considered to be a valuable source for researchers in the history of satavados as they contain detailed information about tavadis, their family members and serf-peasants. Naturally, they keep considerable information in terms of populated areas and family names of local residents.

The books provide comprehensive information on the ethnic background of the population residing in the mentioned villages. The vast majority in all sixty-nine settlements was ethnically Georgian, only a small number of Jews and Armenians lived together with Georgians in the town of Tskhinvali and several villages; it is also noteworthy that no single Ossetian village is mentioned in the census books.

გურამ კუტალია  
ისტორიულ მუზეუმისათვის დოკტორი,  
პროფესორი

დასავლეთის ისტორიის, სარწმუნოების და პედაგოგიკის  
საკითხები ქართველთა ეროვნული თვითშეგნების სამსახურში

წინამდებარე სტატიაში XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პერიოდიკის მასალებზე დაყრდნობით გაშუქებულია, თუ როგორ გამოიყენებოდა დასავლეთ ევროპის ისტორიის, რელიგიისა და პედაგოგიკის აქტუალური საკითხები ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების სამსახურში.

ეს იყო დოო, როდესაც რუსეთის იმპერიაში მნიშვნელოვანი მოვლენები ხდებოდა, განსაკუთრებით გაძლიერდა მასში შემავალი ერების ბრძოლა თავისუფლებისათვის. ამ დღიდ მოძრაობაში გამონაკლისი არც ქართველები იყვნენ, აქტიურობდნენ არა მარტო „სამოციანელთა“ თაობის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები, არამედ ინტელიგენციის რიგითი წარმომადგენლებიც კი, რომლებსაც ოდნავი შექება მაინც ჰქონდათ ქართულ უკრნალ-გაზეთებთან. იბეჭდებოდა მათი ეროვნული სულის შემძრელი სტატიები და ინფორმაციები, რომლებშიც მრავლად იყო მაგალითები არა მარტო მშობლიური ქვეყნის ისტორიიდან, არამედ ევროპის ხალხთა წარსულის, რელიგიისა თუ პედაგოგიკური ნააზრევის შესახებაც. მართალია, ეს მასალა ყოველთვის როდი მისდევდა ისტორიულ სინამდვილეს და, ამდენად, სერიოზულ კორექტირებასაც საჭიროებს, მაგრამ ქართველ მკითხველს იმის წარმოდგენას კი უქმნიდა, რაოდენ დღიდ ძალის-ხმევის ფასად მოიპოვება თავისუფლება, რაოდენ მასშტაბურ მსხვერპლს მოითხოვს მამულის სამსახური. ერთი სიტყვით,

ქართული პერიოდიკა თავისი პუბლიკაციებით ერთგვარ იდე-ოლოგიურ საფუძველს ამზადებდა, ქართველ ხალხს ეროვ-ნულ თვითშეგნებას უღვიძებდა, თავისუფლების მოპოვების სურვილს უძლიერებდა.

ამჯერად ჩვენ ვისაუბრებთ იმ სატატიებზე, რომლებშიც დამაჯერებლად აისახა შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ცალკეული ხალხების თავგანწირული ბრძოლა დამოუკიდებ-ლობისა და სარწმუნოებრივი თავისუფლების მოპოვებისათ-ვის. ერთ-ერთი ასეთი სტატია, სათაურით - „კლოვისი და რიკულფი“ - უკრნალ „ცისკარში“ 1884 წლის ნოემბერში დაიბეჭდა. ავტორია გიორგი დიდებულიძე.

მართალია, თხრობა აგებულია მხატვრულ სიუჟეტზე, მაგრამ მასში მაინც ვხვდებით არაერთ ცნობას ფრანკთა ბრძოლის შესახებ ერთიანი სახელმწიფოს შექმნისა და ქრის-ტიანობის მიღებისათვის. სტატიაში აღნიშნულია, რომ ფრან-კებმა რომაელები განდევნეს გალიიდან (დღევანდელი საფრან-გეთიდან), თუმცა მათ ხელში კიდევ დარჩა ერთი ქალაქი – სუასონი, რომელსაც მართავდა სიაგრიუსი. გრიგოლ ტურე-ლი სიაგრიუს შეცდომით იმპერატორად მოიხსენიებს, სინამ-დვილეში კი ის მხოლოდ რომაელი სარდალი და სენის მი-დამოებში არსებული მიწების გამგებელი იყო. სტატიის ავ-ტორი ამ შეცდომას, რა თქმა უნდა, არ იმეორებს, თუმცა ერთ უზუსტობას მაინც უშვებს, უთქმელს ტოვებს, რომ არც ფრანკები იყვნენ გალიის მკვიდრნი, მოსულები იყვნენ გერმა-ნიიდან. სტატიაში საუბარია „კლოვისი“ მეფედ არჩევისა და კურთხევის შესახებაც; მეფის არჩევა ტომის ყრილობაზე, მი-სი დიდი სამეფო ფარისა და კოცონის ირგვლივ შემოტარე-ბით ხდებოდა, რაც მთლიანად ჯდება ძველ გერმანელთა (მათ შორის ძველ ფრანკთა) ეთნოგრაფიულ რიტუალებში.

„კლოვისი“, რომელსაც მეფედ ირჩევენ, უნდა იყოს ფრანკთა მეფე ხლოდვიგი (481-511), რადგან მოთხრობაში ლაპარაკია „კლოვისის“ მეფობაში ქრისტიანობის მიღებაზე.

მართლაც, ცნობილია, რომ ხლოდვიგი (3000 ფრანკთან ერთად) რომაული წეს-ჩვეულებით 496 წელს ეზიარა ქრისტიანობას, გახდა კათოლიკე. გიორგი დიდებულიძეს არ ავიწყდება იმის თქმა, რომ მეფე განეკუთვნება მეროვინგების დინასტიას, რომ იგი იყო შთამომავალი „მეროვებისა”, იმ სამხედრო მეთაურისა, რომელიც ფრანკებს მიუძღვდა კატალაუნის ველზე 451 წელს, როცა ებრძოდა ატილას. ამის შემდეგ სტატია, როგორც ვთქვით, კარგავს ისტორიულ პრინციპულობას, ფრანკთა ბრძოლას გალიაში ისე წარმოაჩენს, თითქოს ისინი ათავისუფლებდნენ საკუთარ მიწა-წყალს რომაელთა ბატონობისაგან. სინამდვილეში, ფრანკები იპყრობდნენ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ადრე ეკუთვნოდათ გალებს ან ფრანკებისავე მონათესავე გერმანელ ტომებს. V საუკუნის მიწურულს მათ დაიპყრეს ტიურინგია და ალემანია, 507 წელს იერიში მიიტანეს სამხრეთ გალიაზე, სადაც ვესტგოთების სამეფო იყო. ამრიგად, ხლოდვიგს არავითარი ბრძოლა რომთან (თუ არ ჩავთვლით სიაგრიუსთან ბრძოლას 486 წელს, როცა მან ხელო იგდო სუასონის ოლქი) არ ჰქონია და ვერც ექნებოდა, რადგან ამ დროს რომის იმპერია აღარ არსებობდა, მან არსებობა შეწყვიტა 476 წელს, როცა ოდო-აკრმა ტახტიდან გადააგდო რომულუს ავგუსტუსი.

ასევე საფუძველს მოკლებულია ფრანკთა მიერ კათოლიკობის მიღების ავტორისეული ვერსია, რომლის მიხედვითაც, ხლოდვიგმა ქრისტიანობა მიიღო მისი ერთგული მონადირის - რიკალფის მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ. სინამდვილეში კათოლიკობის მიღება ფრანკებში სხვა გარემოებით იყო განპირობებული. ხლოდვიგი ომს აპირებდა ვესტგოთებთან, რომლებიც არიანელები იყვნენ. ამიტომაც ხლოდვიგი-სათვის ბევრად უფრო მომგებიანი ჩანდა კათოლიკობის მიღება, მას რომის პაპის მხარდაჭერა ექნებოდა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ხლოდვიგმა ასეთი ნაბიჯი მარტო პოლიტიკური მიზნით გადადგა. საქმე ის არის, რომ ამ

დრომდე, კათოლიკობის გავრცელებამდე, ხლოდვიგის ჯარის-კაცებს შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც მზად იყო ქრისტეს სჯულის მისაღებად. ეს. შეუმჩნეველი არც გრიგოლ ტურქელს დარჩენია. „ხლოდვიგი, - წერს იგი, - ხედავდა, რომ ბევრი მისი ჯარისკაცი ბრძოლის დროს გაჰყვირდა: იესო ქრისტე, დამეხმარე მე, რადგან ჩემი ღმერთები უღონონი არიან, ხოლო თუ დამეხმარები, გიწამებ შენ”<sup>1</sup>. ამრიგად, საფუძველი ქრისტიანობის მიღებისათვის არსებობდა და ხლოდვიგმა ეს კარგად გამოიყენა. ერთი სიტყვით, ფრანგების მოქცევა კათოლიკობაზე სულ სხვა ვითარებაში მოხდა, ვიდრე ეს აღწერილი აქვს გ. დიდებულიძეს და მონადირე რიკულფი უფრო მითოლოგიური პიროვნებაა, ვიდრე ისტორიული.

ამგვარად, ვერ ვიტყვით, რომ გრიგოლ დიდებულიძემ არ იცის ფრანგთა ისტორია, მაგრამ ზოგჯერ, როცა ამაზინჯებს ფაქტებს და ამბაფრებს სიტუაციას, ამას იგი შეგნებულად აკეთებს. ამ გზით ავტორი კიდევ უფრო ნათელს ხდის თავის მთავარ სათქმელს, რომელსაც იმპერიული ცენზურის პირობებში პირდაპირ ვერ იტყვიდა: რომაელთა წინააღმდეგ ფრანგების ბრძოლაზე რომ მოგვითხრობს, მასში დებს პატრიოტული სულისკვეთების სიუჟეტს და ამით თავის ერს მამულის ხსნისაენ მოუწოდებს.

პატრიოტულ უდერადობას არც დ. ჯავახიშვილის ის სტატიაა მოკლებული, რომელიც დაბეჭდილია უურნალ „ცისკრის” 1857 წლის ივნისის ნომერში სახელწოდებით – „ყრმათა ჯვრებით გალაშქრება სარწმუნოებისათვის მეცამეტე საუკუნეში”. სტატია მოთავსებულია უურნალის სპეციალურ განყოფილებაში - „სხვადასხვა ამბავი“ და ესება დასავლეთ ევროპის ისეთ ტრაგიკულ მოვლენას, როგორიცაა ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც წინ უძღვდა V ჯვა-

<sup>1</sup> Григорий Турский. История Франков. М., 1987, გვ. 17.

როსნულ ლაშქრობას (1217-1221 წ.წ.). ამ მოვლენას დ. ჯავახიშვილი, მსგავსად გ. დიდებულიძისა, თავისებურ საცერმი ატარებს და ისეთ მომენტებს წარმოაჩენს, რომელთაც, მისი აზრით, ქართველი ხალხისთვის დიდი მიშვნელობა ჰქონდა.

„1212 წელს, - წერს დ. ჯავახიშვილი, - ფრანცია და გერმანია იყვნენ მოწმები იმ დიდი საკვირველებისა, რომელ-საც „მათე პარი“ აგვიწერს. ჯერ, უპირველესად, „მათე პა-რის“ ვინაობის შესახებ, რომელიც ავტორს ამ ამბის მთავარ მემატიანედ ჰყავს გამოყვანილი. საქმეს ართულებს ის, რომ „ბაგშვთა ლაშქრობას აღწერს შუა საუკუნეებისდროინდელი ორმოცდაათზე მეტი ავტორი, აქედან მხოლოდ ოცი ავტორის ცნობას აქვს რეალური მოვლენის ელტერი, რადგან ისინი ან თვითონ იყვნენ მხილველნი ამ მოვლენებისა, ან აღწერილი აქვთ ეს მოვლენები უშუალო მონაწილეთა მონათხრობით”<sup>1</sup>. რადგან ტექსტში მოცემული ცნობები შეესაბამება სინამდვი-ლეს, „მათე პარი“ ამ ოც ავტორთა შორის უნდა ვეძიოთ. ირკვევა, რომ იყო წარმოშობით ინგლისელია, რომელიც შემ-დეგში სენტ-აბატის მონასტერში ბერად მოღვაწეობდა. ასეთი კი იყო მათე პარიზელი, რომელსაც ეკუთვნის თხზულება „დიდი ქრონიკა“, სადაც მოიპოვება ცნობები ბაგშვთა ჯვა-როსნულ ლაშქრობებზე. რაც შეეხება მის სახელს - „მათე პარის“, იგი ან სასულიერო მეტსახელია, ან ფრანგულიდან დამახინჯებით გადმოტანის შედეგი.

მაინც რა იყო ის დიდი „საკვირველება“, რომლის მოწ-მენი გახდნენ საფრანგეთსა და გერმანიაში?

უპირველესად, ეს იყო ბავშვი მქადაგებლის – სტეფა-ნეს გამოჩენა საფრანგეთში. „ყოვლად უცნობი ყმაწვილი, - ნათქვამია „დიდ ქრონიკაში“, - დაიარებოდა ფრანციის ქალა-ქებში და სოფლებში და მშვენიერი ხმით მღეროდა ფრანცი-ცულ ენაზე. ამ სიმღერებში გაისმოდა მოწოდება, რომ ჯვრე-

<sup>1</sup> Заборов М. А. Крестоносцы на востоке. М., 1980, гл. 253.

ბით ხელში გაელაშქრათ მსურველებს პალესტინისაკენ”. ეს ბავშვი იმაში არწმუნებდა თანატოლებს, რომ იგი ღვთის მიერ არის წარმოვლენილი დედამიწაზე და მოუწოდებდა მათ, რომ მიეღოთ მონაწილეობა მუსლიმებისაგან ქრისტეს საფლავის განთავისუფლების საქმეში. ასეთივე მოწოდებით გრძელი მანიაში გამოდიოდა ბავშვთა ლაშქრობის მეორე მქადაგებელი ნიკოლოზი (ნიკოლაუსი), 10 წლის ბავშვი, რომელსაც მონებით მოვაჭრე მამამისი აქეზებდა. ამაზე დუმს როგორც „დიდი ქრონიკის” ავტორი, ისე დ. ჯავახიშვილი. ბავშვთა ლაშქრობას ისინი ღვთაებრივი ელოფერით მოსავენ, რეალური ვითარება კი სხვაგვარი იყო: ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობის წინ საფრანგეთსა და გერმანიაში ვრცელდებოდა ხმები, თითქოს წინა ლაშქრობების მარცხის მიზეზი მხოლოდ მოზრდილი ადამიანების მონაწილეობა იყო, უთვალავი ცოდვის მქონენი ვერ იმარჯვებდნენ მუსლიმებზე, საჭირო იყო უცოდველ ბავშვთა ლაშქრობა, რომლებიც ქრისტეს დახმარებით მიაღწევდნენ მიზანს („მოუშვით ჩემთან ბავშვები” – იოანეს სახარებიდან). „იდეის” სისრულეში მოყვანას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ამ ხანებში დასავლეთ ევროპაში მეტად დიდი იყო ლარიბ ბავშვთა რაოდენობა, რომლებმაც შეადგინეს ძირითადი მასა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისა”<sup>1</sup>. ეს ლაშქრობა უფრო ჯვრებით სვლის ელოფერს ატარებდა, ვიღრე საბრძოლო ლაშქრობისა. ბავშვებს არ გააჩნდათ რაიმე სერიოზული შეიარაღება. „მოლაშქრეებში” მაინცდამაინც არც ასაკობრივი შეზღუდვა იგრძნობოდა, მასში მოზარდებიც მონაწილეობდნენ<sup>2</sup>. ბავშვების შეკრებაში, დ. ჯავახიშვილის მართებული თქმით, ავანტურისტების ხელიც ერია. როცა ისინი შეეცადნენ ათასობით ბავშვის გადაყვანას ხომალდებით, მათი ერთი ნაწილი ზღვაში ამოვარდნილმა ქარიშხალმა იმსხვერპლა, ხოლო გადარჩენილი ხომალდების პატრონებმა ამ ხომალდებ-

<sup>1</sup> Meyer H.E. Geschichte der Kreuzzuge” Stuttgart, 1965, გვ. 131.

<sup>2</sup> Заборов М.А. Крестоносцы на востоке. М., 1980, გვ. 262.

ში მყოფი უმწეო ბავშვები ეგვიპტეში გადაიყვანეს და იქ მუსლიმებს მონებად მიჰყიდეს. „ასე უბედურებით გათავდა გასაკვირველი და სამწუხარო ყრმათა ჯვრებით გალაშქრება, რომელსაც ჰქონდა დიდი გავლენა ადამიანებზე”, - წერს დ. ჯავახიშვილი. ამ მართებულ შეფასებებთან ერთად, დ. ჯავახიშვილის სტატიაში უზუსტობანიც გვხვდება. მაგალითად, როცა ეხება ლაშქრობაში მონაწილე ბავშვების ოდენობას, იგი ასახელებს 100 ათასს, ეს მეტისმეტად გაზვიადებულია, სინაძვილეში მოლაშქრეთა რიცხვი საფრანგეთში 30 ათასს არ აღემატებოდა, გერმანიაში 20 ათასს. ამასთან, ვერ ვიტყვით, რომ ევროპის ყველა მონარქი წსენებულ ლაშქრობას მხარს უჭერდა. ცნობილია, რომ საფრანგეთის მეფე ფილიპ II ოგიუსტმა აკრძალა ეს ლაშქრობა, ხოლო იტალიაში არც კი გაატარეს მისი მონაწილენი. ამაზე დუმს სტატიის ავტორი. იგი ტოვებს სხვა ისტორიულ ნიუანსებსაც და დაშვებული აქვს ზოგიერთი ისეთი უზუსტობაც, რომელსაც ვერ ავხსნით ავტორის მიერ საკითხის ზედაპირული ცოდნით. ასე მაგალითად, როცა იგი წერს: „ყრმანი, რომელთაც ჰქონდათ ჯვრები, ერთიანად გაიძახოდნენ, რომ არა თუ ხმელეთზე ვივლით, ზღვაშიც კი გავალთ სარწმუნოებისა და მამული-სათვისო”, აშკარაა, რომ აქ სიტყვა „მამულის” ხმარება ისტორიული მოვლენის ავტორისუული ინტერპრეტაციის ნაყოფია. ჯვაროსნული ომი არ შეიძლება ყრმათათვის ყოფილიყო მამულისათვის ომი, რადგან აქ ლაპარაკია არა საფრანგეთის ან გერმანიის გათავისუფლებაზე, არამედ პალესტინის ქრისტიანული სალოცავების ხსნაზე. ამ ლაშქრობას მხოლოდ სარწმუნოებრივი საფუძველი შეიძლება ჰქონოდა. ამას ნიშნავს პაპი ინოკენტი III-ის სიტყვებიც, რომელიც მან წარმოთქვა ბავშვების სამზადისის დროს: „ეს ყმაწვილები ნიშს გვიგებენ, ისინი თავს სწირავენ სარწმუნოების გულისათვის”. რა თქმა უნდა, დ. ჯავახიშვილმა მშვენივრად იცის, რომ ინოკენტი III „სარწმუნოების” ქვეშ სულაც არ გულისხმობ-

და მამულს, მაგრამ თვითონ თუ აკეთებს ამას, ეს იმიტომ, რომ, მისი აზრით, ასე სჭირდებოდა ქვეყანას. ასე იმიტომაც იქცევა, რომ ოდითგანვე ქართველებში სარწმუნოებისა და მა-მულის ცნებები გაიგივებული იყო. ერთი სიტყვით, დ. ჯავა-ხიშვილი თავის სტატიას ბევრად უფრო მეტ დატვირთვას აძლევს, ვიდრე ისტორიული ფაქტის ან ნააზრევის გადმოცე-მაა, ოდნავი გადახვევა ცალკეული ფაქტისაგან ან მისი იმ-დაგვარად გააზრება (დროებით მაინც), რომ სიკეთე მოუტა-ნოს მის ხალხს, მას დასაშვებად მიაჩნია. თუ ქართველებში აამაღლებდა ეროვნული თვითშეგნების გრძნობას და განაწყ-ობდა მათ მამულისა და სარწმუნოების თავდადებისათვის, მი-სი მისიაც შესრულებული იქნებოდა, — ასე ფიქრობდა დ. ჯავახიშვილი.

ამ სტატიის გამოქვეყნება ემთხვევა იმ დროს, როდესაც ევროპის ქვეყნებში აღინიშნება ეროვნული მოძრაობის აღმავ-ლობა. ეროვნული თანასწორობა — აი, რა მოთხოვნას აყენებ-დნენ ისინი. ეს პროცესი ეხმანებოდა ქართველი კაცის სუ-ლიერ განწყობილებას და XIX საუკუნის ქართველი ინტე-ლიგენციაც იმას ცდილობდა, რომ ყოველმხრივი მხარდაჭერა გამოეხატა ჩაგრულთა მიმართ. მათი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესებიც. ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც რუსეთივით ხალხთა საპყ-რობილეს წარმოადგენდა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აზვირთდა ეროვნული მოძრაობის ტალღა, განსაკუთრებით აღსანიშნავია კრეტელი ბერძნების ბრძოლა ოსმალების წინა-აღმდეგ. მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ დაიწყო ომი სა-ბერძნეთსა და ოსმალეთს შორის. მთელი პროგრესული კა-ცობრიობის ყურადღება ამ კონფლიქტისაკენ იყო მიპყრობი-ლი, გამონაკლისი არც საქართველო იყო. გაიზარდა ინტერე-სი კუნძულ კრეტის ისტორიული წარსულისადმი, ქართულ პერიოდიკაში სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები კრეტის

მკვიდრ ბერძნთა მდგომარეობაზე, ჩნდება კრეტის ხალხის ისტორიის წარმომჩენი პუბლიკაციებიც.

ერთ-ერთი ამგვარი სტატია 1868 წელს უკრნალ „ცისკრის” მეექვსე ნომრის ფურცლებზე დაიბეჭდა. წერილის ავტორი უცნობია. მხოლოდ ის ვიცით, რომ მას ჰქონდა ფსევდონიმი „წყალტუბოელი”, რომელიც ჯერჯერობით გაშიფრული არ არის.

სტატიაში უპირველესად მოცემულია კუნძულ კრეტის გეოგრაფიული მდებარეობის აღწერა და მისი მოსახლეობის დახასიათება. ავტორი მხოლოდ ამის შემდეგ მოგვითხრობს კრეტის ისტორიას უძველესი დროიდან. ეყრდნობა რა „დაბა-დებას”, ავტორი უარყოფს თეორიას ებრაელების კრეტიდან წარმოშობის შესახებ და ამ კუნძულის თავდაპირველ მოსახლეობად ფილისტიმელებს მიიჩნევს. სტატიაში განხილულია კრეტიზე რომაელთა ბატონობის პერიოდიც, ნათქვამია, რომ იმპერატორ კონსტანტინეს კუნძულზე ახალშენიც კი დაუარ-სებია.

ავტორი შედარებით ვრცლად ჩერდება შუა საუკუნეების ამსახველ კრეტის ისტორიაზე, უპირველესად, ჩერდება არა-ბების შემოსევაზე აბდულ-მელიქ ხალიფას დროს (685–705 წ.წ.), რომელიც მარბიელ ლაშქრობებს აწყობდა არმენიაში, კვიპროსზე; ასევე თავს ესხმოდა კუნძულ კრეტას ბრძოლას სათავეში ედგა ანდრია კრეტელი და წარმატებითაც იგერიებდა არაბთა შემოტევებს.

კრეტელ ხალხს ბრძოლა არც მომდევნო საუკუნეებში შეუწყვეტია. ისინი ვერ ეგუებოდნენ არა მარტო არაბების ბატონობას, არამედ ბიზანტიელების გავლენის ქვეშ ყოფნას, ებრძოდნენ ჯვაროსნებს, ვენეციელებს და გენუელებს. მათი ბრძოლა ხშირად სარწმუნოებრივი ხსიათის მატარებელიც იყო. „წყალტუბოელი” მართებულად წერს: „გარდა სამოქალაქო გავლენის დაკარგვისა, კრეტელ ბერძნებს ავიწროებ-დნენ თავისი სარწმუნოების (მართლმადიდებლობის) გამო;

ვენეციელებმა აღაშენეს კრეტაში რომის საკათოლიკო ტაძარი და მონასტრები, დააწესეს რამდენიმე ეპარქიაც კი. იყო იმისთანა დრო, როცა კრეტელ ბერძნებს უკრძალავდნენ ღვთისმისახურების აღსრულებას. ყველა ამ მიზეზმა გააძლიერა სიძულვილი ბერძნებსა და ვენეციელებს შორის. იმ ძღვომარეობამდე მიიყვანეს ბერძნები, რომ „თათრის უღლის ქვეშ ყოფნა ერჩივნათ”. ამ აზრის შემცველია „წყალტუბოელის” ეს სიტყვებიც: „ლათინთა იმპერიის ბატონობის პერიოდში (1204-1264 წ.წ.), ასევე ვენეციელთა ბატონობის დროს კრეტელი მართლმადიდებლები მეტად შევიწროებულნი იყვნენ. უფრო ადრე არც მართლმადიდებელი ბიზანტიელები ინდობდნენ მათ. ამან გამოიწვია მათი ინდიურენტული დამოკიდებულება ოსმალური საფრთხოსადმი”. „ერთმორწმუნეობამ ვერც სხვა ხალხებს მოუტანა სიკეთე”, – ასკვნიდა ავტორი. ამდაგვარი მსჯელობანი და მინიშნებანი მრავლადაა სტატიაში. შეიძლება ამ მსჯელობების მეცნიერულ ღირებულებებზე გვესაუბრა, მაგრამ ამჯერად ეს არ შეადგენს ჩვენი ინტერესის საგანს. დავკმაყოფილდებით იმის თქმით, რომ ავტორი ამ სტატიის დაბეჭდვით თანადომას უცხადებდა თავისუფლებისათვის მებრძოლ კრეტელ ბერძნებს, ამასთან, ქართველებს იმ აზრს ჩააგონებდა, რომ ამ პატარა ხალხის (კრეტელების) ბრძოლაშიც ბევრი რამ მისაბაძია.

ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები შუა საუკუნეების ევროპულ პედაგოგიკაშიც ეძებდნენ მისაბაძს, ყველაფერ იმას, რაც ქართველების სულიერებას და თვითშეგნებას აამაღლებდა.

ისინი ხედავდნენ, რომ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში რუსეთის იმპერიული ხელისუფლება „პირუთვნელად” და სამხედრო დისციპლინით ატარებდა ჯერ კიდევ ეკატერინე II-ის დროიდან მომდინარე პრინციპს – „სხეულით ქართველი, სულით რუსი”. უმეტესობა სკოლებისა და კომპლექტებული იყო რუსი მასწავლებლებით, რომლებიც,

ძირითადად, სასჯელის მოსახლელად იგზავნებოდნენ საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიაში. ამიტომაც მათი პედაგოგიური ღირსება საეჭვო იყო, და მეორეც, პიროვნება, რომელიც ვერ იღებდა ქართველთა ზნე-ჩვეულებას, ადათებს, რომლისთვისაც უცხო იყო ქართული კულტურა და ქართული ენა, რასაკვირველია, ვერ გახდებოდა ქართველი ყმაწვილის სულიერი მოძღვარი. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს და, საერთოდ, ქართულ სკოლას განსაცდელი დაუდგა, განსაკუთრებით ეს ითქმის რუსი შოვინისტის იანოვსკის პოლიტიკაზე, რომელმაც თავისი „მეთოდური მითითებებით“ ქართული ენა და საქართველოს ისტორია სკოლიდან გააძევა და იქ რუსული ყაზარმული წესები დაამკვიდრა. სკოლა ქართული სულის საწამებელ ადგილად აქცია, მას მიზნად დაუსახა ისეთი თაობის აღზრდა, რომელიც რუსული იმპერიალიზმის დასაყრდენი იქნებოდა საქართველოში. ქართველთმოძულეობის ასეთ პოლიტიკას, ბუნებრივია, ქართველი მამულიშვილები ვერ შეურიგდებოდნენ. სულ მალე „ივერიის“ ფურცლებზე პროტესტის ნიშნად და ქართველთა გასამხნევებლად იბეჭდება დიდი იტალიელი ჰუმანისტის და პედაგოგის მატეო ვეჯიოს (1408-1458 წ.წ.) სიტყვები: „უფრო იოლია მზეს შეაცვლევინოთ გზა, ვიდრე დაბადებით თანდაყოლილი მიდრეკილებანი ბავშვებმა შეცვალონ“. დაბადებიდან კი ადამის ძეს პიროვნული თავისუფლებისაკენ მიდრეკილება დაჰყვება, რომელსაც შემდგომ ეფუძნება ეროვნული თავისუფლება, – წერს სტატიაში „განახლების ეპოქის პედაგოგიური თეორიების“ (დაბეჭდა 1888 წლის 11 მაისს „ივერიაში“, №96) უცნობი ავტორი.

სტატიაში ასევე ვეცნობით რენესანსის ხანის სხვა პედაგოგთა თუ ჰუმანისტთა (ვიტორინო დე ფულტარეს, ასულიო ვერტერიოს, ფრანსუა რაბლეს, ერაზმ როტერდამელის) პედაგოგიურ ნააზრევს და მის ავტორისეულ შეფასებას, მაგრამ ამ მასალას დაწვრილებით ვერ გავაშუქებთ. ამ ნააზრე-

ვიდან და ავტორისეული შეფასებიდან უფრო ისეთ ამონარი-დებს წარმოვაჩენთ, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქართველი ხალხის სულიერებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, მიანიშნებდნენ ქართულ სკოლებში რუსი შოვინისტების თვითხელობაზე.

ასე მაგალითად, უცნობი ავტორი ქართველებისაგან და-ბეჯითებით მოითხოვს, რომ სკოლებში დანერგონ არა იანოვ-სკის „მეთოდური მითითებანი”, არამედ გადმოიღონ ჯერ კი-დევ XV საუკუნეში მოღვაწე ვიტორინო დე ფულტარეს (1414-1447 წ.წ.) სკოლისათვის დამახასიათებელი პროგრე-სული მხარეები, სახელდობრ, მასთან „სკოლის კარი ღია იყო ყველა წილების შვილთათვის, როგორც მდიდართა, ისე ღარიბთათვის. ეს სკოლა იმიტომაც იყო მისაღები, რომ აქ ღარიბთა შვილები „მუქთად” სწავლობდნენ, თანაც სკოლაში არ გამოიყენებოდა ფიზიკური სასჯელის მეთოდი; ვიტორინო თავის მოწაფეებს ზრდიდა არა „ცემა-ტყების” გამოყენებით, არამედ მაგალითებისა და ჩაგონების გზით, ძალიან იშვიათ შემთხვევაში თუ გამოიყენებოდა „ხორცთა სასჯელი”. ამ სიტყვებით სტატიის ავტორი მიანიშნებს იმ აუტანელ მდგო-მარეობაზე, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო XIX საუ-კუნეში რუსული სასკოლო განათლების სისტემისათვის, სკოლებში სწავლების თითქმის ერთადერთი მეთოდი ფიზიკუ-რი დასჯა იყო.

უცნობი ავტორი ქართველთა ყურადღებას ფრანსუა რაბლეს პედაგოგიურ გამონათქვამებსაც მიაპყრობდა, მათ იმა-ში არწმუნებდა, რომ „გარგანტუა და პანტაგრუელის” ფრან-გი ავტორისათვის მიუღებელი იყო „პიროვნული თავისუფ-ლების დამთრგუნველი პედაგოგები”, ისინი, ვინც ბავშვებს წკეპლავდნენ. გაწკეპვლის ამ წესს, - იგონებს რაბლე, - პე-დაგოვები განსაკუთრებით რელიგიური დღესასწაულების წინ მიმართავდნენ და ამას იმ მიზნით აკეთებდნენ, რომ ეს დღე-სასწაულები კარგად დამახსოვრებოდათ ბავშვებს.

გაწკეპვლაზე მოგონება ერაზმ როტერდამელსაც აქვს. მის თანამედროვე ზოგიერთ სკოლას, - ამბობს იგი, - ბავშვების სპეციალური გამწკეპლავებიც კი ჰყავდა. „ცემა-ტყების” ეს მეთოდი მისთვისაც მოუღებელი იყო.

ამგვარად, როგორც უცნობი აგტორი ამბობს, რენესანსის ხანის პედაგოგებისა და პუმანისტებისაგან ქართველებს ბევრი რამის გადმოლება შეეძლოთ, მათ ხანდახან ყური უნდა ათხოვონ ისტორიას, ზოგჯერ უკანაც უნდა მიიხილონ და ზოგიერთი რამ შეითვისონ იმ დიდბუნებოვანი პედაგოგებისაგან, რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდი თაობის საკეთილდღეოდ.

ერთ-ერთ ასეთ დიდბუნებოვან პედაგოგთა რიცხვს, უცნობი ავტორის თანამედროვის, ანთიმოზ ჯულელის აზრით, მარტინ ლუთერიც განეკუთვნება. მან თავის სტატიაში „ლუტერი როგორც პედაგოგი”, რომელიც დაბეჭდილია 1884 წელს შურნალ „ივერიაში” (№5-6) „გადაღმელის” ფსევდონიმით, ის აზრი გამოიქვა, რომ ლუთერს, ამ დიდ რეფორმატორს და პედაგოგს, სურდა მოეხდინა არა მარტო საეკლესიო გარდაქმნები, არამედ დაემყარებინა ქვეყანაზე ძმობა, ერთობა, თანასწორობა და კეთილდღეობა, ე. ი. მას სურდა ის, რასაც თვით მაცხოვარი ქადაგებდა; ლუთერი გერმანელი ერის გაერთიანებისათვის იბრძოდა და ამ საქმეში წარმატების საწინდარს განათლებაში ხედავდა. ლუთერის ეს პოზიცია, ჯულელის აზრით, ასევე მისაღები უნდა ყოფილიყო ქართველებისათვის, იმ ერისათვის, რომელსაც ლუარსაბ თათქარიძები, ტარიელ მკლავაძეები და მედროვე ადამიანები მოსმალებოდნენ. დიახ, ქართველებისათვის ყურადსაღები იყო ლუთერის ეს მოწოდება: „ჩვენ თუ ახალ თაობას აღვზრდით და კეთილ გზაზე დავაყენებთ, იცოდეთ, რომ ქვეყანაზე ძმობა, ერთობა და ბედნიერება დამყარდება და ამის მეტი რაღა უნდა კაცობრიობას!” ერთობა კი საქართველოსათვის როდის არ იყო აქტუალური მოწოდება?

ქართველებისათვის, ჯუღელის აზრით, არანაკლებ საჭირო იყო ლუთერის იმ გამონათქვამების გაცნობაც, რომლებიც მისი ქვეყნის მანკიერებათა მხილებას ეხებოდა. მას გულს უკლავდა ის ფაქტი, რომ მის ქვეყანაში ბევრი იყო მშობლი, რომელიც თავის ბავშვებს ფუფუნებაში აცხოვრებდა, ან კიდევ „დიდი მოწიწებით ლოცულობდა და უხვ შესაწირავს სწირავდა ეკლესიას, მაგრამ დვთის ნამდვილ სამსახურს – შვილის კარგად აღზრდას კი ივიწყებდა”, არ ზრუნავდა მისი განათლებისათვის, სკოლების შექმნისათვის. ასეთ მშობლებს იმის უნარიც არ შესწევდათ, დაენახათ, თუ რა განსაცდელს უმზადებდნენ მათ ქალიშვილებსა და ვაჟებს ის ადამიანები, რომლებიც გერმანიის დიდ ქალაქებში საროსკოპოების გახსნას მხარს უჭერდნენ, იმას ამტკიცებდნენ, რომ ხალხი უკვე მიეჩვია ასეთი სახლების არსებობას და უკეთესიცაა, რომ ახალგაზრდებმა იარონ ასეთ დაწესებულებებში, ვიდრე შეარცხვინონ წესიერი ქალები. „მეტწილად, – წერდა ლუთერი, – ასეთ აზრს გამოოქვამენ გერმანიაში ჩამოსახლებული ადამიანები”, ე.ი. არაგერმანელები, რომლებიც „უხვად სარგებლობენ ამ ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის ლმობიერებით (ზოგჯერ სიბრიყვით, ბრიყვს რა გამოლევს) და ყველა იმ სიკეთით, რისი მოცემაც ჩვენს მიწა-წყალს შეუძლია; ასე მგონია ეს ადამიანები გერმანული საროსკოპოების შექმნის სურვილით იძინებენ და იღვიძებენ, თუმცა თავიანთ ძირძველ ქვეყანაში, საიდანაც მოვიდნენ, ამგვარი სახლების შექმნის გაგონებაც არ სურთ”. ამ ადამიანებს მხოლოდ იმის სურვილი ამოძრავებთ, რომ „აცურაონ ჩვენი ქვეყანა უზნეობის ჭაობში”; „მათგან მომდინარეობს „დროსტარების” იდეაც, მათ შშვენივრად იციან, რომ ადვილია უზნეო და რწმენადაკარგულ ახალგაზრდებთან საერთო ენის გამონახვა და მათი წარმართვა იქითკენ, საითაც მოისურვებ”<sup>1</sup>. ამგვარად, გმობდა

<sup>1</sup> მარტინ ლუთერი, დადგა უამი ჭეშმარიტების ღალადისა და დიდი ცვლილებებისა, თარგმანი და კომენტარები ნ. კალანდიასი და გ.

რა გერმანიაში დაბუდებულ მანკიურ მხარეებს, ლუთერი იმავდოულად მათი გამოსწორების გზებსაც სახავდა, განათლების სწორად წარმართვაში ზედავდა გამოსავალს. ასე იქცეოდა ქართული ინტელიგენციაც, რომლის წარმომადგენელი ანთიმოზ ჯულელი იყო; მანკიურებისაგან თავისი ქვეყნის ხსნას იგი განათლების სწორად წარმართვასა და ლუთერისა თუ სხვა ევროპელი მოწინავე ადამიანების რჩევა-დარიგების გათვალისწინებაში ხედავდა. მხოლოდ ამდაგვარ მიდგომას თუ შეეძლო ქართველების გათავისუფლება (თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც) რუსული მმართველობის იმ დისკრიმინაციული პოლიტიკისაგან, რომელსაც იგი ყველაზე მძაფრად სკოლაში ავლენდა. ეს იყო ბრძოლა ერის მომავლი-სათვის, მისი სულიერი არსებობის შენარჩუნებისათვის. და თუ განათლების იმპერიულმა მანქანამ ქართველ კაცს ვერ დააკარგვინა თავისი ისტორიული სახე, ვერ შეძლო მისი ალაპარაკება „სამხრეთული დიალექტის რუსულზე”, ეს იმი-ტომ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა ინტელიგენციამ ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოიგო.

#### დამოწმებანი:

1. ჟურნალი „ცისკარი”, 1884, №11;
2. Григорий Турский. История Франков. М., 1987;
3. ჟურნალი „ცისკარი”, 1857, №5;
4. Заборов М.А. Крестоносцы на востоке. М., 1980;
5. Meyer H.E. Geschichte der Kreuzzuge” Stuttgart, 1965;
6. ჟურნალი „ცისკარი”, 1868, №6;
7. გაზეთი „ივერია”, 1888, №96;
8. Фемков М.У. История западно-европейской педагогики. М., 1912;
9. ჟურნალი „ივერია”, 1884, №5-6;

10. მარტინ ლუთერი, დადგა უამი ჭეშმარიტების ღალადისა და დიდი ცვლილებებისა, თარგმანი და კომენტარები 6. კალანდიასი და გ. კუტალიასი, თბ., 2012.

**Guram Kutalia**

*Doctor of Historical Science,  
Professor of Gori Teaching University*

**THE ISSUE OF THE HISTORY OF THE WEST,  
RELIGION AND PEDAGOGY IN THE SERVICE OF  
THE NATIONAL CONSCIOUSNESS OF GEORGIA  
SUMMARY**

In the second half of the XIX century the wild –type expression of Russian imperialism dictated to Georgian Intellectuals that it was necessary that the Issues of History, Religion and pedagogic of middle ages Western Europe should be served as raising of Georgian national identity. Georgians started to print the materials expressed these issues in Georgian periodical publications. Often, it was like Ezope language which prepared ideological basis, arouse people's national self-consciousness, forced Georgian people to struggle against Royal dominance. The Georgian reader learnt how much effort is necessary to obtain freedom, that service for motherland requests a lot of victims. Only such approach could make Georgians free (if not completely, then still partially) from humiliating civil restrictions and from discriminative policy, which was expressed by Tsarism mostly at schools. It was a struggle for Nation's future, to maintain its spiritual existence. And if Imperial machine of education could not manage to lost Georgian's historic face, could not make them speak on "Russian language of Southern dialect", then it was due to the fact, that Georgian Intellectuals of the second half of the XIX century won the Struggle for life or death.

**ელდარ მამისთვალიშვილი  
გორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტი,  
სრული პროფესორი**

**მართა მონაზონის წერილი იერუსალიმის ქართული  
მონასტრების მდგომარეობის შესახებ**

1899 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა „საქართველოს სიძღველენის“ პირველ ტომში გამოაქვეყნა წერილი, რომლის ავტორია ვინმე მართა მონაზონი. წერილი მრავალმხრივ საინტერესოა, მაგრამ, ამჯერად, მას განვიხილავ, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციის შემცველ წერილობით წყაროს XVII ს. პირველ ნახევარში იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის შესაწავლად.

იერუსალიმში მოღვაწე ქართველი მართა მონაზონის წერილი გამიზნულია დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ გრიგოლისადმი (წერილის ადრესატის სოციალური მდგომარეობა და სახელი დაქარაგმებულია: „კაზბე გრილს“).

საქმაოდ როგორც გადასაწყვეტად მიმაჩნია გრიგოლის კათალიკოსობის წლები, რაც წერილის ზუსტად დათარიღდებას და ზოგიერთი მომენტის გარკვევას წაადგება. ექვთიმე თაყაიშვილმა გრიგოლის კათალიკოსობა შემოფარგლა 1650-1658 წლებით, რაც დაზუსტებას საჭიროებს.

დღეისათვის დადგენილია, რომ გრიგოლ I-ის წინამორბედი იყო კათალიკოსი მალაქია II გურიელი (1616-1639), მომდევნო კი, მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657). გამოდის, რომ გრიგოლი კათალიკოზობდა 1639 წლის რომელიდაც მონაკვეთში. გელათური გულანი ამბობს: „ქავს: ტკზ: ამა ქავს მიიცვალა გრიგოლ კათალიკოზი და იმავე წელსა ქრისტიანე

და ლვითისმოყვარე მაჭუტაძე კათალიკოზი ბატონი მაქსიმე ეპურთხა კათალიკოზად<sup>1</sup>. მართა მონაზონის წერილში დაცული ერთი ცნობა წინააღმდეგობაში მოდის ქართული წერილობითი წყაროების მონაცემებთან და ამ საკითხის შესახებ არსებულ გამოკვლევებთან. მხედველობაში მაქვს შემდეგი: მართა კათალიკოს გრიგოლს, რომლის საქმიანობით, იერუსალიმის ქართული ეკლესია მონასტრების გადასარჩენად უკმაყოფილოა, ეკითხება: „ბატონი კათალიკოზი მაქსიმე კაცი არ იყო, რომ ნაწილსასუებულ არს მისი სახელი?“.

მაქსიმე სახელის მატარებელი აფხაზეთის კათასლიკოსი სხვა არავინ არის თუ არა ზემოხსენებული მაქსიმე მაჭუტაძე. წერილის ადრესატი კათალიკოსი გრიგოლი, რა თქმა უნდა, წერილიდან გამომდინარე, მართას ჯერ ისევ ცოცხლად ეგულება, მაჭუტაძე მაქსიმე კი მის წინამორბედად, რაც ეწინააღმდეგება დღეისათვის დადგენილ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა რიგს. ის რასაც მართა მონაზონი კათალიკოს მაქსიმეს შესახებ ამბობს სრულ სიმართლეს შეეფერება. იგი ცნობილი იყო, როგორც იერუსალიმის ქართულ მონასტრებზე დაუღალავი მზრუნველი.

არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657) სამჯერ იყო იერუსალიმში და გაჭირვებაში ჩაგარდნილი ქართული სავანეების დასახმარებლად ყოველთვის დიდალი შეწირულობა წაუღია. არქანჯელო კიცხავსა კათალიკოსს იმის გამო, რომ იგი იერუსალიმის სიწმინდეთა დასხმარებლად

<sup>1</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანის მიერ, II (1213 წლიდამ 1700 წლამდე) თფილისი, 1897, 454; ლომინაძე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბილისი, 1954, 132; ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბილისი, 1966, 196-197.

ფულის შოვნისათვის, ზოგჯერ, არასაკადრისს კადრულობდა<sup>1</sup>. და<sup>2</sup>.

ქრისტეფორე კასტელის მიერ სამეგრელოდან რომში გაგზავნილი გაგზავნილი წერილიდან (1642 წლის 30 ოქტომბერი) ვიგებთ მაქსიმე მაჭუტაძის იერუსალიმში მოგზაურობაზე 1641-1642 წლებში<sup>3</sup> (ამავე პერიოდში გამოგზავნილად მიაჩნდა მართას წერილი კ. კეპელიძეს<sup>4</sup>). მაქსიმეს სხვა მოგზაურობის ცნობები არა გვაქვს.

როგორც ითქვა წერილი გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა და მანვე, გაურკვეველი არგუმენტით, დაათარიღა 1650-1658 წლებით. დათარიღებისათვის ამოსავალი იყო, მართას წერილის ადრესატი, აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი, რიგით პირველი. ე. თაყაიშვილის ვარაუდით მისი ზეობის პერიოდი 1650-1658 წლები თავსდება<sup>5</sup>, კ. კეპელიძის მიხედვით კი გრიგოლ I-ის ზეობის წლები 1640-1659 წლები იყო. გრიგოლი მაქსიმე მაჭუტაძეს გადადგომის შემდეგ გაკათალიკოსდა, ე.ი. 1640 წელს<sup>6</sup>. მაქსიმე გარდაიცვალა 1657 წ.<sup>6</sup> იერუსალიმში და, სავარაუდოდ დაიკრძალა წმ. ჯვრის მონასტერში<sup>7</sup>.

<sup>1</sup> არქანელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან აღ. ჭყონიასი. ლ. ასათანის წინასიტყვაობით, თბ., 1938, 119-120.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 188; მაქსიმე მაჭუტაძის შესახებ იხ. ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966, 196-197.

<sup>3</sup> კეპელიძე კ., ნიკიფორე ირბაზი ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1945, 304

<sup>4</sup> საქართველოს სიძველები, I, თბ., 1899, 39.

<sup>5</sup> კეპელიძე კ., ნიკიფორე ირბაზი ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში, 303

<sup>6</sup> ქრონიკები, II, 469.

<sup>7</sup> საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, თბილისი, 2000, 149.

ამგვარად, მოყვანილი მწირი ცნობები არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ კათალიკოს გრიგოლ პირველის ზეობის დრო და რიგი. ვიდრე გრიგოლ პირველის ზეობის დრო არ გაირკვევა, მანამდე სიზუსტის პრეტენზია ვერ გვექნება მალაქია II გურიელისა და მაქსიმე მაჭუტაძის ზეობის ზუსტად განსაზღვრაზე. აქედან გამომდინარე, ვერც მართას წერილის დათარიღება მოხერხდება, მანამ ვიდრე ახალი მასალები არ აღმოჩნდება.

მართა მონაზონის შესახებ სხვა არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია გარდა იმისა, რასაც იგი წერილში აღნიშნავს თავის შესახებ.

წერილის მიხედვით, მართა მონაზონი წმ. ქალაქში იმყოფება. მას გოლგოთაზე დაუდია ბინა. მისი მონათხობიდან ჩანს, რომ იგი ქართლის დედოფალის მარიამს, როსტომ მეფის მეუღლეს არაერთხელ გაუგზავნია იერუსალიმში. იგი არის „საქართველოს ამბის დანატრებული, მართამ დევოფლოს აქთ სისხლის ნთხვით ამ დიდს დავითის ქალაქს და წმიდას იერუსოლამს მავალი. ცოდვისაგან დახშულის პირით მაგათის ტახტისა, და დოვლათისა, და უფროსად ამ წმიდად იორუსოლიმად მოვლინებისათვის მხურვალედ რუდუნებით ცრემლით მტირალი, წმიდა საფლავსა და სისხლ შეწამულს გოლგოთას ძველი. მლოცველი, საბრალო, ხელის დებადცა უღირსი, მონა უფლისა და ერდვულად მადიდებული მავათი, მონაზონი მართა ვკადრებთ...“

მართა მონაზონი ჯეროვნად აფასებს ქართული ეკლესიისა და დიდებულების მიერ გაწეულ ხარჯსა და ამაგს, მაგრამ მისი აზრით, ეს საკმარისი არ არის. მიზნის მისაღწევად აუცილებელია ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის მობილიზება. „ხომ მაგათი სიკეთე დიდი მოვიდა ამ საუფლოს ქვეყნასა? თუ ამასთანა კათალოკოზი ბრძანდებისო, ვინ ქრისტიანი ურჩ იქნების მაგათის ბრძანებისათვის, რასთვის კრებას არ იქმენ ეფისკრპოზნი? რომ ქრისტიანს მოუჭირონ,

ხომ ყველა დამონდების? ვისი შიში აქუთ უფროს უფლისა? ... და ვით<sup>1</sup> მამა უფლისა ამას არ მოგახსენებს? „უკეთუ და-გივიწყო შენ იერუსალიმ, დაივიწყენ მარჯვენეცა ჩემი“ ... ამისთანა რა გასაჭირი არის, რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ? აქაური ამბავი ამ ჩემა შვილმან<sup>2</sup> ვერ ნახა, თუ რა დი-დი გაჭირვება არის მაგისთანა, რომ მონასტერი<sup>3</sup> ასე დაკარგეთ?“

მართა აღწერს იერუსალიმის ქართველთა, მათი ეკლე-სია-მონასტრების სავალალო მდგომარეობას და გამოსთვამს საყვედურს ქართული ეკლესის მესვეურთა, კერძოდ, კათა-ლიკოს გრიგოლის მიმართ, მაშინ როდესაც სანიმუშოდ მიაჩ-ნია კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძის თავდადება. „ბატონი კა-თალიკოზი მაქსიმე<sup>4</sup> კაცი არ იყო, რომ ნაწილ სასუებელ არს მისი სახელი? აგრე იქნება? წამობრძანდით, ამათა აღარ უნდათ ჩვენი კაცი, რომ მონასტრები საქართველო ამათ ჩა-იგდეს ხელად და ჭამენ. რა უანგარიშო საქონელი გამოზი-დეს ჩვენი მონასტრების...“ მართას თქმით, ქართული ეკლე-სია-მონასტრების ქონების დამტაცებლები განსაკუთრებით ჩქარობდნენ, რადგან ხმა გავრცელებულა, ქართველების ვა-ლების დასაფარი ფული მოდის და სავანები კვლავ ქართვე-ლებს დაუბრუნდებათ („ამანათი არის, ხვალ ზეით პატრონები მოვლენ და ეშურებიან“).

იერუსალიმში ერთი გულმხურვალე ქართველი სვიმო-ნიც ჩასულა, რომელიც, სავარაუდოა, მართას ის შვილი უნ-და იყოს, რომელზეც ზემოთ ითქვა. სვიმონი, ქართული მო-

<sup>1</sup> „და ვით“ უნდა იყოს ქრთად და აღნიშნავდეს ბიბლიურ დავითს – წინასწარმეტყველს.

<sup>2</sup> როგორც ჩანს, მართა მონაზონის წერილის საქართველოში ჩამომტანი არის მისი შვილი, რომელსაც წერილის გარდა სხვა მრავალიც უნდა მოეთხოო იერუსალიმის ქართული სავანების გასაჭირის შესახებ.

<sup>3</sup> იგულისხმება წმ. ჯვრის მონასტერი.

<sup>4</sup> დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე, 1639-1657.

ნასტრების ქონების დამტაცებელთა დასაშინებლად ტყუილი ხმების გავრცელებასაც არ ერიდებოდა. მართა წერს: „ახლა ჩემი სვიმონ ოსტატი და ბრძენი შეიქნა, აქაური ანბავი დიაღ კარგად შეიტყო, ამისი ფიქრი ქონდენ, თუ აქ დადგეს, მაგრამ ამანაც კარგად მოიხდინა საქმე, თუ ღმერთი წარუმართენს. ასრე უთხრა, რომ კათალიკოზის შორეს ძმა ვარო და მონასტერს ნუ ეშურებითო, თვარა კათალიკოზი მობრძანდებისო, იმისთვის მოველ, ანბავი შევიტყოვო, მე წინ მოვუძღვებიო. და ახლა ცოტა ნამუსი დაიდვეს“.

მართამ იცის, რომ გავრცელებული ხმა სიმართლეს არ შეეფერება და გრიგოლ კათალიკოსს მოუწოდებს იღონოს რამე რათა მომავალ თაობებს არ დაეკარგოთ წმინდა ადგილები: „ნუ იქთ, ნუ დაუკარგავთ ამ მეუფის სახლს. ყოველი სული ამისთვის კვდების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იშონოს, და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ. ეს წმიდა ადგილი სრულად ქართველის ყოფილა, და ეხლა ლამის რომ სულა გამოვრდეთ. წმიდას საფლავზედ ფრანგნი ჟამს სწირავს. ერთის სიტყვით მისცა ხვანთქარმა და ასრე უბრძანა: „რაც გურჯის ბატონების ზიარეთი და სალოცავი იყოსო, არა კადროთ რამეო“. ხმა დიდი არის მაგ ბატონების და ხათრიც, მაგრამ ერთი ელჩი რომ გამოგზავნოთ სტამბოლს რა იქნება? დიდი სირცხვილი არ არის ეს, რომ პატიოსანი დიდი წმიდა იაკობის მონასტერი სომეხებმა იშონეს: ხვანთქარი მოატყუეს და ახლა სომეხს აქუს“.

როგორც მართა მონოზანის წერილიდან ჩანს, ამ დროს ქართველებს ბეთლემის ტაძარში ჯერ კიდევ ჰქონდათ თავიანთი საკურთხეველი. „ჩვენი სამწირველ ისრევ მორთული არის, თუ არ მოხვალთ, დააქცევენ“ – აფრთხილებს მართა იმათ ვისაც, მისი აზრით, ჯერ კიდევ ხელეწიფებათ ზოგიერთი რამის გადარჩენა წმ. მიწაზე.

მართას წერილში მოყვანილი ეს ცნობა მნიშვნელოვანია, რადგან ჩანს, რომ XVII ს. 40-იანი წლების დასაწყისში

ბეთლემის ტაძარში ჯერ კიდევ ფლობდნენ თავიანთ საკურ-  
თხეველს. ამის აღნიშვნა საჭიროა იმდენად, რამდენადაც, იმა-  
ვე საუკუნის 30-იან წლებში, ბეთლემის ტაძარში უპირატე-  
სობის მოსაპოვებლად ერთმანეთს ექიშპებოდნენ კათოლიკები  
და მართლმადიდებლები და ისინი, სხვათა შორის, ქართვე-  
ლების საკუთრების დაპატრონებასაც ცდილობდნენ და ორივე  
მხარე, ამ დავის დროს, ქართველი ბერების იგნორირებას ახ-  
დენდა<sup>1</sup>.

ამის შემდეგ, მართა მონაზონი წერილში აყალიბებს  
მოქმედების გეგმას და კათალიკოს გრიგოლს სთავაზობს. მი-  
სი აზრით, ჯერ კიდევ შეიძლება ქართული სიწმინდეების გა-  
დარჩენა წმ. მიწაზე. თუ საქართველოდან თუნდაც ერთ ელჩს  
გაგზავნიან სულთანთან, მაშინ ის ქართველებს უკან დაუბ-  
რუნებს ყველაფერს რაც მათ ეკუთვნით. მართა აფრთხილებს  
კათალიკოსს, რომ ფრანგებმა თავიანთი კუთვნილი გოლგო-  
თის ნაწილი უკვე დაიკავეს და მალე ქართველების წილსაც  
დაეპატრონებიან. ასეთი ხვედრი ემუქრება გეთსიმანიასაც, თუ  
არ მოეშველებითო: „ერთი ელჩი გამოგზავნეთ ხვანთქართან,  
ისრევ მოგცემსთ. უსაცილოთ გოლგოთასაც და გესამანიას  
დაიჭირავს ფრანგი, თუ არ მოეშველებით. ამათი კერძო  
გოლგოთა დაიჭირა, ჩვენი ჯერ კარგათ არის“. მას მნიშვნე-  
ლოვან ნაკლად მიაჩნია. რომ წმ. მიწაზე არ არის ჯვრის  
მონასტრის წინამდლვარი – ჯვარისმამა. მართას აუცილებ-  
ლად მიაჩნია საქართველოდან ჯვარისმამის გაგზავნა. მნიშ-  
ვნელობა არა აქვს ის ერისკაცი თუ სასულიერო იქნება,  
მთავარია ისეთი იყოს, რომ წამხდარ საქმეს უშველოს. მარ-  
თა იქვე მიუთითებს, რომ გაგზავნილმა პიროვნებამ სტამ-  
ბოლზე გაიაროს, საპატრიარქოში მივიდეს და სულთნის ვე-  
ზირიც ნახოს. მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად  
ესეც არ კმარა, აუცილებელია საქართველოს პოლიტიკური

<sup>1</sup> იხ. მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 34-36.

გაერთიანება. „ერთი თავი ჯვარის მამა გაიჩინეთ, – წერს მართა. – რომ წამოვიდეს, ან ერის კაცი, ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვეყანას, თვარამ წახდა საქმე, უსათუოდ შავი ზღვით გამოაგზავნეთ კაცი და საპატრიარქოშიდ სტანბოლს მოვიდეს, და იქიდამა ვეზირი ნახოს, თუ ასრე არა იქთ, ეს მონასტრები და იერუსოლიმი დაგეკარგვიან“.

ნიშანდობლივია, რომ 1643 წელს მართას ამ თხოვნის შემდეგ იერუსალიმში ჯვარისმამად გაიგზავნა, რაც უნდა მომხდეარიყო მართა მონაზონის თხოვნის შედეგად. არჩევანი ნიკიფორე ჩოლოფაშვილზე შეჩერდა, როგორც დიდი გამოცდილების საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწეზე. ნიკიფორე ყველაზე კარგად იცნობდა იერუსალიმს (ის 1614-1626 წლებში, თეიმურავ I-ის მიერ დასავლეთ ევროპაში ელჩად გაგზავნამდე<sup>1</sup>, იერუსალიმში იმყოფებოდა) ერკვეოდა იქაურ ამბებმი და მრავალი მხარდამჭერი ჰყავდა, როგორც იერუსალიმელ ქართველებში, ისე ორთოდოქსალურ საპატრიარქოში. იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მან პირველად 13 წელი გაატარა ამ ქალაქში და მეორედ გამგზავრებამდე არა-სოდეს გაუწყვეტია მასთან კავშირი.

მართა იერუსალიმში არსებულ ვითარებაზე დაკვირვებით, კათალიკოსს უწინევს: „ნუ იქთ, სხვას ნუ უყურებთ, თავისის ფეხით იარეთ და, ვინც ბატონები იყოს ან გურიას, ან ოდიშს, ან იმერეთს და ქართლით, პირობა დასდევით და ამგვარად კრება და ვეზირობა ქნით“.

<sup>1</sup> ნიკიფორე ირბაზის ევროპაში მოგზაურობის შესახებ იხ. აკოფაშვილი გ., ქართველი დაბლოძატი ნიკოლოზ ჩოლოფაშვილი – ნიკიფორე ირბაზი, თბ., 1977; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპას არქივისა და წიგნსაცავებში, II, თბილისი, 1985, 141-244; Жордания Г., Гамезардашвили З., Римско-католическая миссия и Грузия, ч. I, Тб., 1994, 401-418; Ватейшвили Д. Л., Грузия и европейские страны. Т. I. Грузия и Западная Европа XIII-XVII века, кн. I, 2003, 245-378; მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბილისი, 2011, 197-312.

მართალია, მართას წერილის ადრესატი კათალიკოსი გრიგოლი არის, მაგრამ იგი, სინამდვილეში, მთელ საქართველოს მიმართავს და აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებს. თუ გაბედულად არ იმოქმედებთ და „თუ იერუსალიმი დაგეკარგვიან, რასლა სჯული და ან რასლა პირჯვრის წერა გებნებათ“.

ჩანს, მაშინდელი ქართული საზოგადოებრიობა გარკვეულ იმედს მართლმადიდებელ რუსეთზე ამყარებდა და მისი დახმარებით ფიქრობდა წმინდა ადგილების განთავისუფლებას. მართას კი მიაჩნია, რომ მიზნის მიღწევა მხოლოდ ოსმალეთზე ორიენტაციით შეიძლება, რადგან რეალური ძალა პალესტინაში მხოლოდ მას გააჩნია. ამიტომაც მართა წერილს ამთავრებს იმ განწყობილებით, რომ იერუსალიმის წმინდა ადგილების დაკარგვა ქართველობის დაღუპვაცაა: „ეს უნდა დაუწეროთ ხვანთქრის წიგნშიდ – ევედრება მართა კათალიკოსს, – რომ ამბავი მოვიდა, იერუსალიმი გაგიცემიათქო, ჩვენი ბერი გავგზავნეთქო და სალოცავი რაც ქართველების არის, ყველა გაგიცემიათქო. ან დაგვათათრე, ან დაგვხოცე, ან სჯულსა და სალოცავს ნუ წაგვართმევთქო“<sup>1</sup>.

მართა მონაზონის წერილი წინასწარმეტყველურია. მართლაც ისე დასრულდა იერუსალიმში ქართული დიასპორისა და მონასტრების ისტორია, როგორც ის არსებული ვითარების ანალიზის საფუძველზე აფრთხილებდა ქართულ საერო და საეკლესიო ხელისუფლებას. XVII საუკუნის დასასრულს წმ. ქალაქში დასრულდა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი რელიგიური და კულტურული ცხოვრება.

<sup>1</sup> საქართველოს სიძველენი, I, 39-42

*Eldar Mamistvalishvili*

*Gori State Teaching University, Full Professor*

**NUN MARTHA'S LETTER ON THE STATE OF THE  
GEORGIAN MONASTERIES IN JERUSALEM  
RESUME**

In 1893, in the first volume of “The Antiquities of Georgia”, Ekvtimé Takaishvili published a letter by nun Martha. The letter is interesting in many ways but this time I consider it to be one of the most important written sources containing considerable information with respect to the condition of the Georgian orthodox churches and monasteries in Jerusalem in the first half of the 17<sup>th</sup> century.

Nun Martha described the poor condition of the Georgian churches and monasteries. Based on the analysis of the existing situation, she warned both secular and religious authorities. The letter by nun Martha is actually prophetic; by the end of the 17<sup>th</sup> century, the religious and cultural life of Georgians in the Holy City was over.

## ზურაბ პაპასქირი

ისტორიის მეცნიერებათა დოკტორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სრული პროფესორი

საქართველო-ბიზანტია, საქართველო-რუსეთი.  
ერთი ისტორიული პარალელის გაზრებისათვის

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ისტორიულად ყოველთვის სხვადასხვა იმპერიების სამიზნე იყო. ფაქტობრივად, არ არსებობს მსოფლიო ისტორიაში მეტ-ნაკლებად ამბიციური ზესახელმწიფო, რომლის სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებში არ მოქცეულიყო კავკასიის რეგიონი და, უპირველეს ყოვლისა – საქართველო. ჯერ კიდევ ქართული სახელმწიფოებრიობის გარიფრაჟზე (ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნა) უძველესი გაერთიანებები (დაიანი-დიაონი, კოლხა-კოლხეთი) მოყვნენ ასურეთისა და ურარტუს იმპერიული ინტერესების არეალში. მოგვიანებით, რეგიონში გაბატონებულ ძალად იქცა აქემენიდური ირანი, რომლის გავლენის სფეროში მოექცა როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთ საქართველო. ალექსანდრე მაკელონელის „აღმოსავლეთზე შეტევისა“ (ერთგვარი ბერძნული „Drang nach Osten“)<sup>1</sup> და აქემენიდური ირანის განადგურების შემდეგ დიდი წნის მანძილზე ქართული პოლიტიკური სამყარო თავდაპირველად ელინისტური სისტემის ნაწილი გახდა, ხოლო ძვ. წ. I საუკუნიდან უკვე რომის რესპუბლიკის გავლენის ქვეშ

<sup>1</sup> გერმანულ გამოთქმას „Drang nach Osten“-ს ქართულად თარგმნიან, როგორც „აღმოსავლეთით ზეწოლას“.

([http://www.wikipeetia.org/Dreng\\_nach\\_Ostenn](http://www.wikipeetia.org/Dreng_nach_Ostenn)), რაც, ჩვენი აზრით, მთლად ადეკვატური არ არის და შინაარსობრივად უფრო შესატყვისად მიგვაჩნია „შეტევა აღმოსავლეთზე“, ან „სვლა აღმოსავლეთისაკენ“.

აღმოჩნდა. ახ. წ. III-VII საუკუნეებში საქართველო-კავკასია რომის (მოგვიანებით ბიზანტიის) იმპერიისა და სასანიდური ირანის პერმანენტული დაპირისპირების ობიექტი გახდა. შემდეგ იყო არაბთა სახალიფო, სელჩუკები, მონგოლები, ოსმალეთი, სეფევილური ირანი და ბოლოს - რუსეთის იმპერია.

ქართული პოლიტიკური ერთეულები, ერთიანი ქართული სახელმწიფო უკვე 3 ათას წელზე მეტია ჩაბმულია ამ უთანასწორო ბრძოლაში მსოფლიო იმპერიებთან და მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებს ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებას. მთელი ამ ხნის მანძილზე საქართველო არაერთხელ მდგარა უმძიმესი განსაცდელის წინაშე. იყო პერიოდები, როდესაც არ არსებობდა ეროვნული სახელმწიფოებრიობა და ქვეყანა უშუალო იმპერიული მმართველობის ქვეშ იყო მოქცეული. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ქართული სახელმწიფოებრიობა მორიგი დიდი განსაცდელი წინაშე დადგა. მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს უქმნის რუსეთის იმპერია, რომელიც ორ საუკუნეზე მეტია, ჯიუტად არ ეხსნება თავის დიდმპყრობელურ იდეას და ვერაფრით ეგუება საქართველოს სწრაფვას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაგან. XX ს. მიწურულისა და XXI ს. დამდევის მოვლენები - „ერთორწმუნე“ რუსეთის „ჯვაროსნული ლაშქრობა“ საქართველოს წინააღმდეგ ბევრ ანალოგიას პოულობს I და II ათასწლეულების მიჯნაზე განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებთან, როდესაც ახლად წარმოქნილ ერთიან ქართულ სახელმწიფოს დაუპირისპირდა ასევე „ერთმორწმუნე“ ბიზანტიის იმპერია.

### I ანალოგია:

X ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XI ს. დამდევს საქართველოში განვითარდა მოვლენები, რომელთა შედეგად, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რეალურად გახდა შესაძლებელი ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა. ამ სახელმწიფოს მესა-

ძირკვლე იყო დაგით III დიდი კურაპალატი, რომელმაც შეამზადა სათანადო სამხედრო-პოლიტიკური ფონი და, რაც მთავარია, დიპლომატიურადაც უზრუნველყო თავისი შვილობილის – ბაგრატ ბაგრატიონის ჯერ 975 წელს ქართლის მმართველად დაყენება, ხოლო 978 წელს კი „აფხაზთა“ (დასავლეთ საქართველოს) მეფედ გამოცხადება. სწორედ ბაგრატ უფლისწულის ქუთაისის ტახტზე აღზევებით დაიწყო მის ირგვლივ დანარჩენი ქართული რეგიონების გაერთიანების პროცესი, რომელიც XI ს. დამდეგს ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნით დაგვირგვინდა.<sup>1</sup>

ბიზანტიის იმპერიას ძალზე გაუჭირდა უშუალოდ მის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან კონსტანტინოპოლის კონტროლიდან გამოსული ძლიერი ქართული სახელმწიფოს არ-სებობასთან შეგუება, რომელიც პერსექტივაში უთუოდ გაუწევდა მეტოქეობას „მეორე რომს“ და, შესაძლოა, წინ აღუდგებოდა ბიზანტიის აგრესიულ გეგმებს აღმოსავლეთში. ამდენად, იმპერიის ხელისუფლება, „რომელიც ამიერკავკასიაზე ბატონობის ძველ რომაულ ტრადიციას არ ეხსნებოდა“<sup>2</sup> და რომელსაც ქართული პოლიტიკური სამყარო არც მეტი, არც ნაკლები, ბიზანტიური „ოიქუმენის“, ანუ ბიზანტიური „თანამეგობრობის“ ნაწილად მიაჩნდა,<sup>3</sup> ბუნებრივია, ვერ დარჩებოდა გულგრილი X ს. 70-იან

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: პაპასქირი ზ., ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგრამარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 14-62.

<sup>2</sup> ბერძნიშვილი ნ., კლასიბრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. – საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II. თბ., 1965, გვ. 24.

<sup>3</sup> ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: პაპასქირი ზ., ქართული პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ (X საუკუნის I ნახევარი). – ისტორიანი სამეცნიერო კრებული, მიღვნილი რომ ძეგლულების დაბადების 70 წლისთვისადმი. გამომც. არტანუჯო. თბ., 2009, გვ. 158-180; Папаскири З., Т. н. «Византийское Содружество Наций» и международное положение

წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების მიმართ, მაგრამ პირველ ეტაპზე (XI ს. 70-80-იან წლებში), როგორც ჩანს, გართულებული საშინაო ოუ საგარეო-პოლიტიკური ძღვომარეობის გამო, იმპერიის ხელისუფლებას არ შეეძლო, რამე ზეგავლენა მოეხდინა გაერთიანების გზაზე ძღვარ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებზე.<sup>1</sup> პირიქით, როგორც ცნობილია, ამ პერიოდში იმპერიის ხელისუფლება, რომელიც ვერაფრით ახერხებდა ამბიციური სარდლის, ბარდა სკლიაროსის უზურპატორული ზრახვების აღაგმვას (ბარდა სკლიაროსის აჯანყება გრძელდებოდა თითქმის 4 წლის განმავლობაში – 976-979 წწ.), იქთ საჭიროებდა დახმარებას, რომელიც აღმოუჩინა კიდეც მაკედო-

---

грузинских политических образований в I половине X столетия. – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press, Швеция. 2011. Т. 5. Вып. 3-4, გვ. 147-168; Papaskiri Z., The Byzantine Commonwealth and the International Status of the Georgian Political Units in the First Half of the 10th Century. – *The Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus* (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®. Sveden. 2011. Vol. 5. Issue 3-4, გვ. 126-144.

<sup>1</sup> ამასთან დაკავშირებით სრულიად მიუღებელია აკად. გ. მელიქიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვით, ბიზანტიის ხელისუფლება თურმე მთლიანად აკონტროლებდა X ს. 70-იან წლებში საქართველოში მიმდინარე გამაერთიანებელ მოძრაობას და დავით კურაპალატის მიერ 978 წელს ბაგრატ ბაგრატიონის „აფხაზთა“ სამეფო ტახტზე დასმა, რომლითაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პროცესი გადამწყვეტ სტადიაში შევიდა, საერთოდ სანქცირებული იყო ოფიციალური კონსტანტინოპოლის მიერ (იხ.: მელიქიშვილი გ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973, გვ. 12-17). ამ თვალსაზრისის კრიტიკა იხ.: პაპასქირი ზ., ერთიანი ქართული..., გვ. 26-38.

ნელთა დინასტიას იმიერტაოს ძლევამოსილმა მმართველმა და-  
ვით III დიდმა კურაპალტმა.<sup>1</sup>

საქართველოს „საქმეებისთვის“ იმპერიამ მხოლოდ 1001  
წელს მოიცალა, როდესაც დავით კურაპალატის გარდაცვალე-  
ბისთანავე ბასილი კეისარი დიდი ლაშქრით გამოცხადდა ტაში  
და 986-989 წლებში ბიზანტიის იმპერატორის წინააღმდეგ მი-  
მართულ აჯანყებაში მონაწილეობის გამო იმიერტაოს ხელმწი-  
ფისათვის თავსმოხვეული „ანდერძის“ საფუძველზე, როგორც  
გარდაცვლილი კურაპალატის „განონიერმა“ მემკვიდრემ, „ჩაიბა-  
რა“ ამ უკანასკნელის მთელი მემკვიდრეობა. იმიერტაოს დაკარ-  
გვა დიდი დანაკლისი იყო გაერთიანების გზაზე შემდგარი ქართუ-  
ლი სახელმწიფოსათვის, თუმცა „აფხაზთა“ მეფის, ბაგრატ III-  
ისა და მისი მამის „მეფეთ-მეფე“ გურგენის ტანდემმა ამ ეტაპზე  
წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედა და მრისხანე იმპერატორს  
სრული ლოიალობა გამოუცხადა. თავის მხრივ, ბასილი II-მაც  
არ ჩათვალა მიზანშეწონილად ურთიერთობების გამწვავება მამა-  
შვილთან, მიღებულით დაკმაყოფილდა და ოფიციალურად ცნო  
ახალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი წესრიგი საქართველო-  
ში. იმპერატორმა ბაგრატ „აფხაზთა“ მეფეს მიანიჭა კურაპალა-  
ტის ტიტული. ამით ბიზანტიის იმპერატორმა ოფიციალურად

<sup>1</sup> დაწვრილ. იხ.: კახაძე მ., ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და  
კულტურულ ცხოვრებაში. თბ., 1954, გვ. 38-41; გიორგი გედრენე. ქრონიკა-  
ფია. – გეორგიკა. ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ.  
ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები და-  
ურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. V. თბ., 1963, გვ. 32-45; ლომიური ნ. იუ., კ  
იстории восстания Варды Склира. – тხუ შრომები, ტ. 67. თბ., 1957, გვ.  
29-31; კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერ-  
თობა 970-1070 წლებში. თბ., 1969, გვ. 36-39; ბაღრიძე შ., საქართველოს  
ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან. თბ., 1984, გვ. 19-  
45; პაპასქირი ზ., ერთანან ქართული..., გვ. 26-31.

აღიარა ბაგრატ III-ის პრიორიტეტი ქართულ პოლიტიკურ სამყაროში.

ისტორიოგრაფიაში სავსებით სამართლიანად არის შენიშნული, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლებისათვის ბიზანტიის საიმპერატორო კარის საკარის-კაცო ტიტულების (კურაპალატის, მაგისტროსის თუ ანტიპათონის) მინიჭება, პირველ რიგში, მიმართული იყო ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცებისაკენ, ხოლო შემდეგ იმპერიის მხრივ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებზე ფორმალური სიუზერნობის შენარჩუნების მიზნებს ემსახურებოდა.<sup>1</sup> თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ კურაპალატის ტიტულს გარკვეული პოლიტიკური დივიდენდები ტიტულის მიმღები ქართველი ლიდერებისათვისაც მოჰქონდა, რადგან, გარდა იმისა, რომ კურაპალატის მინიჭება საიმპერატორო კარის მხრიდან, ზოგადად, ერთგვარი მოფერების ფორმაც იყო,<sup>2</sup> ის მნიშვნელოვანწილად მაღლა სწევდა ამ ტიტულის მატარებლის პოლიტიკურ რეიტინგს და ამყარებდა ამ ტიტულის მფლობელის მემკვიდრეობით უფლებებს ტაო-კლარჯეთში.<sup>3</sup> კურაპალატის ტიტული ერთგვარი „იარღიყო“ იყო „ქართველთა“ სამეფოში პოლიტიკური პირველობის მოპოვებისათვის.

<sup>1</sup> კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა.., გვ. 14.

<sup>2</sup> Obolensky D., *The Principles and Methods of Byzantine Diplomacy*. – XII Congres Internationale D'Etudes Byzantines. Ochride, 1961, Rapports II, გვ. 58; Лордкипаниძე М. Д., Возникновение новых феодальных государств. – *Очерки истории Грузии*, т. II. Тб., 1988, გვ. 323.

<sup>3</sup> ლორთქიფანიძე მ., საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ., 1979, გვ. 173.

1001 წლის შეთანხმება იმ ეტაპზე არც ქართული მხარის-თვის იყო მთლად მიუღებელი. მართალია, კურაპალატის ტიტულის მიღებით ბაგრატ III ფორმალურად აღიარებდა იმპერიის უზენაესობას, რაც რამდენადმე ლახავდა აღზევების გზაზე შედგარი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტს, მაგრამ ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლის ამ ეტაპზე ამგვარი დიპლომატიური მანევრი ჯერ კიდევ აუცილებელი იყო, რათა ბიზანტიის იმპერიას ხელი არ შეეშალა ქვეყნის შიგნით მიმდინარე გამაერთიანებელი პროცესებისათვის. მართლაც, 1001 წელს ბასილი კეის-ართან მიღწეულმა შეთანხმებამ უზრუნველყო კონსტანტინოპოლის ნეიტრალიტეტი და საშუალება მისცა ბაგრატ III-ს, დაეგვირგვინებინა თავისი დიდი მამობილის – დავით III კურაპალატის მიერ გაკვალული საქართველოს გაერთიანების საქმე.

აღნიშნულ მოვლენებს ბევრი რამ აქვს საერთო XX-XXI ს. ს. მიჯნის საქართველო-რუსეთის კონფიდენტაციასთან. 1992-1993 წლებში რუსეთი, ისევე როგორც ბიზანტია XI ს. დამდეგს, ღიად არ გამოსულა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, კრემლმა ოფიციალურად ცნო საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტი 1991 წლის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, ანუ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ჩათვლით, მაგრამ რეალურად ყველაფრი გააკეთა ამ სეპარატისტული რეგიონების დანარჩენი საქართველოსაგან მოსაწყვეტად და მათზე მოსკოვის სრული კონტროლის („მშვიდობისმყოფელის“ სტატუსით) დასამყარებლად. ამ ეტაპზე უფრო შორს რუსეთის ხელისუფლება არ წასულა. ის დაკმაყოფილდა საქართველოს გაწევრიანებით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეობრობაში, რაც უთუოდ ნიშნავდა ურჩი საქართველოს დაბრუნებას რუსულ ორბიტაზე. როგორც ვნახეთ, პრაქტიკულად იგივე მოიმოქმედა ბიზანტიამ, რომელმაც 1001 წელს ასევე აღიარა ერთიანი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი (მართალია, ფორმალურად შეზღუდული, ვინაიდან კურაპალატის ტიტულის მინიჭებით ერ-

თიანი საქართველოს მეფემ ოფიციალურად სცნო იმპერიის სიუზერნიტეტი – ეს თავისი არსით დაახლოებით იგივეა, რაც საქართველოს დსთ-ში შესვლა), ოღონდ იმიერტაოს ძირძველი ქართული რეგიონის გამოკლებით. თუმცა განსხვავება ამ ორ ფაქტს შორის მაინც იყო. თუ ბიზანტიის ხელისუფლება, როგორც უკვე აღინიშნა, „ლეგიტიმურად“ (დავით კურაპალატის „ანდერძის“ საფუძველზე) ისაკუთრებდა მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიას, რუსეთის ხელისუფლება ამ ეტაპზე ოფიციალურად აღიარებდა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას და ცნობდა თბილისის იურისდიქციას სეპარატისტულ რეგიონებზე.

## ანალოგია II

XI ს. დამდეგს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის წარმატებულმა სამხედრო-პოლიტიკურმა აქციებმა (კახეთ-ჰერეთის შემომტკიცება, ძლევამოსილი ლაშქრობა განძაში და სხვ.) ერთორიად აამაღლა ახალი ქართული სახელმწიფოსა და მისი ლიდერის საერთაშორისო ავტორიტეტი და ის რეგიონის ყველაზე ძლიერ ხელისუფლად, ხოლო მისი სამეფო ყველაზე ძლევამოსილ სახელმწიფოდ აქცია.<sup>1</sup> ყოველივე ამან კი შექმნა საკმაოდ მყარი საფუძველი ბიზანტიასთან არსებული ურთიერთობის გადასიჯვისათვის. გაერთიანებული (ძირითადად) ქართული სახელმწიფოსათვის, რომელიც მტკიცედ დაადგა პოლიტიკური აღმავლობის გზას და თვითონ აპირებდა ჰეგემონობას რეგიონში, სულაც არ იყო მისაღები სხვა სახელმწიფოს ვასალის (თუნდაც ფორმალური) როლში დარჩენა. უკვე დადგა დრო, ბიზანტიას „ეგრძნო საქართველოს სიძლიერე, ერთხელ და სამუდა-

<sup>1</sup> Tumanoff C., The Background to Manzikert. – *The Proceedings of the XIII-th International Congress of Byzantine Studies*. Oxford, 1967, გვ. 425; აბდალაძე ა., „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა. თბ., 1982, გვ. 75.

მოდ ელიარებინა მისი სუვერენობა და თანასწორობა“.<sup>1</sup> ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭირო იყო იმპერიასთან 1001 წელს დადგე-ბული ხელშეკრულების რევიზია, რაც გულისხმობდა ბრძოლის დაწყებას დავით კურაპალატის მემკვიდრეობის დაბრუნებისა და კონსტანტინოპოლის პროტექტორატიდან ქვეყნის გამოყვანისათვის. სწორედ ამ ამოცანის გადაჭრა იტვირთა ბაგრატ III-ის მემკვიდრემ, გიორგი I-მა.

ბიზანტიასთან სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაცია, ბუნებრივია, მოითხოვდა საერთაშორისო ვითარების ზუსტ ანალიზს და სათანადო დიპლომატიურ სამჩადისს. გიორგი I-მა სწორად განსაზღვრა გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლის დრო (1014-1018 წლები, როდესაც ბასილი II-ის მთელი ყურადღება გადართული იყო ბულგარეთის კამპანიაზე), შეიჭრა იმიერტაოში და დაიკავა იქაური ციხეები. მან მოიმზრო სომეხი მეფე-მთავრები და ჩართო ისინი თავისი საგარეო-პოლიტიკური გეგმების რეალიზაციაში. ამას საქართველოს მეფე, ძირითადად, დიპლომატიური არხებით ახერხებდა, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ის სამხედრო ძალის გამოყენებასაც არ ერიდებოდა. ასე მაგალითად: თუ ვასპურაკანის სომხეური სამეფოს ანტიბიზანტიურ კოალიციაში ჩართვისათვის გიორგი I-ისათვის საქმარისი გამოდგა დინასტიური ქორწინება ვასპურაკანის მეფის, სენექერიმ არწრუნის ასულ მარიამთან, ანისის სამეფო ტახტზე პროქართული ორიენტაციის პრეტენდენტის ასაყვანად (1017 წელს, გაგიკ I-ის გარდაცვალების შემდეგ) საჭირო შეიქნა საქართველოს მეფის მხრიდან სომხეთის საშინაო საქმეებში სამხედრო ჩარევა.<sup>2</sup> გიორგი I უშუალ-

<sup>1</sup> მესხია შ., ძლევაი საკვირველი. – წგნ.: მესხია შ., საისტორიო ძიებანი, ტ. III. თბ., 1986, გვ. 22.

<sup>2</sup> არისტაკეს ლასტივერტეცი. ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ცაგარეშვილმა ე. თბ., 1974, გვ. 44-45; პაპასქირი ზ., ერთიანი ქართული..., გვ. 107-113.

ოდ იყო დაკავშირებული ბიზანტიის იმპერიაში მოქმედ ანტისახელისუფლებო თპოზიციასთანაც.<sup>1</sup> გიორგი მეფის დიპლომატიის მასშტაბები ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა მის მიერ ეგვიპტის ფატიმიან ხალიფა ალ-ჰაჯიმთან დამყარებულ დიპლომატიურ კონტაქტებში,<sup>2</sup> რომლის მიზანი ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ფართო კოალიციის შექმნა იყო.<sup>3</sup>

მიუხედავად ამგვარი დიდი დიპლომატიური მზადებისა, გიორგი I-მა მაინც ვერ შეძლო დასახული მიზნის მიღწევა და ის ბიზანტიასთან ჭიდილში დამარცხდა, თუმცა, როგორც ჩანს, გიორგი I-ს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ზრუნვა ბიზანტიის წინააღმდეგ ახალი სამხედრო კამპანიის მოსამზადებლად. გამოთქმულია ვარაუდი, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მან ბიზანტიის წინააღმდეგ გამოსვლის ახალი გეგმა შეიმუშავა, რომელშიც ოვსეთის ძლიერი სამეფოს ჩართვა იყო გათვალისწინებულ.

<sup>1</sup> არისტაკეს ლასტივერტეცია. ისტორია., გვ. 50, 54; გიორგი კვდრენე. ქრისტოგრაფია. – გეორგია..., ტ. V., გვ. 46-47; პაპასქირი ზ., ერთანი ქრისტიანული..., გვ. 118-119, 121.

<sup>2</sup> სილაგაძე ბ., იაპია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს.-ის ბოლო მეოთხედსა და XI ს.-ის პირველ მეოთხედში. – ქართული წყაროთხმულობა, ტ. V. თბ., 1986, გვ. 116; ცქიტიშვილი ო., მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის პერიოდში. – მაცენ. #4. თბ., 1968, გვ. 121. იაპია ანტიოქიელის ცნობები უფრო სრულად მოცემულია გ. ბუაჩიძის პუბლიკაციაში. იხ.: ბუაჩიძე გ., ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობიდან იაპია ანტიოქიელის „ისტორიაში“. – ქართული დიპლომატია. წელიწლებული, ტ. 3. თბ., 1996, გვ. 96-116.

<sup>3</sup> სწორედ ასეთი მასშტაბური დიპლომატიური აქციების გამოა მოჩნდებული გიორგი I – აღმოსავლეთში ფართო ანტიბიზანტიური ფრონტის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი – პირველ ქართველ მოღვაწედ, რომელიც შეეცადა საქართველოს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას. იხ.: ცქიტიშვილი ო., მასალები საქართველოს..., გვ. 125; პაპასქირი ზ., ერთანი ქართული..., გვ. 144.

ლი.<sup>1</sup> მაგრამ საქართველოს მეფის ეს მცდელობაც ჩაიშალა. მან ვერც თავი გაითავისუფლა ბიზანტიის დიქტატისაგან და ვერც იმიერტაო დაიბრუნა. ეს კი იყო საქართველოს სამეფო კარის ან-ტიბიზანტიური კურსის სრული კრახი, რომელიც იურიდიულად გააფორმა კიდეც გიორგი I-ის ქვრივმა მარიამ დედოფალმა კონ-სტანტინოპოლში 1028/1029-1030 წლებში<sup>2</sup> დადგებული სამშვი-დობო ხელშეკრულებით „ერთობისა და სიყვარულისათვის“.

ეს მოვლენებიც ძალზე წააგავს XX ს. მიწურულისა და XXI ს. დამდევის საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში შექ-მნილ ვითარებას. მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელ ქართულ სა-ხელმწიფოს ვერაფერი შვება მოუტანა მოსკოვის გეოპოლიტიკ-ურ ფარვატერში ყოფნამ, საქართველოს სახელმწიფომ ორიენ-ტაცია ერთნიშნად დასავლეთზე აიღო და პირველი შედეგი უკვე 1999 წლს მიიღო, როდესაც ეუთოს მე-6 სამიტზე სტამბოლში რუსეთი იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანას, რაც, ძირითადად, აღასრულა კიდეც 2007 წლის მიწურულისათვის.<sup>3</sup> ამავე დროს გააქტიურდა ქარ-თული დიპლომატია საქართველოს ნატოში გაწევრიანების მი-მართულებით, რაც რუსეთის ხელისუფლებისათვის კატეგორი-ულად მიუღებელი იყო. კრემლის ანტიქართული რიტორიკა გან-საკუთრებით გამომწვევი გახდა 2008 წლის თებერვლიდან, რო-დესაც პრეზიდენტი ვ. პუტინი ღიად დაიმუქრა თავისი „домашние заготовки“-ებით იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი კოსოვოს დამოუკიდებლობას ცნობდა. ამასთან, მან პირდაპირ ახ-

<sup>1</sup> პაპასქირი ზ., ერთიანი ქართული..., გვ. 123-138.

<sup>2</sup> ამ ბოლო დროს ეს მოვლენა 1028/1029-1030 წლებით თარიღდება (ნაცვლად ადრინდელი 1030-1031 წლებისა). იხ.: ბუაჩიძე გ., ერთი ეპიზოდი საქარ-თველოსა და ბიზანტიის..., გვ. 104-116.

<sup>3</sup> თუმცა, როგორც ცნობილია, მოსკოვმა ბოლომდე მაინც არ შეასრულა საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულება და არ გაიყვანა სამხედრო ბაზა გუდაუთიდან.

სენა ამ კონტექსტში აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“.<sup>1</sup> სრულიად ცხადი იყო, რომ ამ დროიდან რუსეთის ხელისუფლება ყოველნაირად ეცდებოდა პროვოკაციების მოწყობას საქართველოს მიმართ და მოაწყო კიდევ 2008 წლის აგვისტოში, როდესაც ბ. ივანიშვილის საესებით სწორი შეფასებით, განახორციელა „გაუგონარი აგრესია“<sup>2</sup> სუვერენული სახელმწიფოს მიმართ.<sup>3</sup>

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი თითქმის სრული ანალოგიაა 1021-1022 წლების საქართველო-ბიზანტიის ომისა. ისევე როგორც ბიზანტიამ არ იკმარა იმიერტაოს ტერიტორია და ქვეყნის სიღრმეშიც შემოვიდა, რუსული სამხედრო შენაერთებიც გასცდნენ ცხინვალს და, ფაქტობრივად, მთელი შიდა ქართლი დაიკავეს. უფრო მეტიც, მათ ჯარები დაძრეს აფხაზეთიდანაც და თითქმის მთელი სამეგრელოს ოკუპაცია მოახდინეს. 1021-1022 წლების ომის შედეგად ბასილი II-მ იმიერტაო საბოლოოდ შემოიმტკიცა და იქ ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული – „იბერიის თემი“ შექმნა.<sup>4</sup> მართალია, 2008 წლის ომ

<sup>1</sup> Путин: у России есть домашние заготовки в ответ на отделение Косово. – Новый Регион. Российское информационное агентство. – <http://www.nr2.ru/about/403845.html>.

<sup>2</sup> ანთა მ., ქართველი მილიარდერი სააკაშვილს გამოწვევას უგზავნის. – <http://foreignpress.ge/?p=18486>.

<sup>3</sup> ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოთ, რომ ყოველგვარი სპეციალური იმის თაობაზე, რომ საომარი ოპერაციების ინიცირება თითქოს მოხდა ქართული მხარის მიერ და 2008 წლის ომის გამჩაღებელია მ. სააკაშვილი და მისი მთავრობა, უკეთეს შემთხვევაში, არის პრობლემისადმი სრულიად არაკალიფიციური მიდგომა, ხოლო უარეს შემთხვევაში – კრემლის დანაშაულებრივი ქმედებების „გათეთრების“ მცდელობა, რაც მთლიანად ვ. პუტინის აღვირახსნილ ანტიქართულ პროპაგანდისტულ კამპანიაზე ასხამს წყალს.

<sup>4</sup> იბერიის თემის შექმნის თარიღთან დაკაშირებით ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენ ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ამ ადმინისტრაციული ერთეულის საბოლოო ჩამოყალიბება და იქ

„გამარჯვების“ შედეგად რუსეთმა მთლად იგივე ვერ მოახერხა და ამ ეტაპზე მხოლოდ აფხაზეთისა და ეწ. „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოს სახელმწიფოსაგან „ოფიციალურ“ ჩამოცილებას (ამ სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად აღიარების გზით) დასჯერდა, მაგრამ არის დიდი ალბათობა იმისა, რომ უახლოეს პერიოდში (სავარაუდოდ, ეს სოჭის ოლიმპიადის შემდეგ ფორსირებულად მოხდება) მოსკოვი შეეც-

---

ოფიციალურად კატებანის დანიშნა 1021-1022 წლების საქართველობიზანტიის ომის შემდეგ უნდა მომზდარიყო (Adontz N., Études arméno-byzantines. Lisbonne, 1965, გვ. 170-172; Бартикан Р. М., О феме Иверия. – Вестник общественных наук АН Армянской ССР. № 12, 1974, გვ. 68-79; Юзашян К. Н., Завещание Евстафия Воилы и вопросы фемной администрации «Иверии». – Византийский временник. Т. 36. Л.-М., 1974, გვ. 75; Степаненко В. П., К дискуссии о дате образования фемы Иверия. – Византийский временник. № 44, 1983. გვ. 211-214). განსხვავდული თვალსაზრისი აქვს ვ. არუოუნვა-ფიდანიანს, რომელიც თვლის, რომ „იბერიის“ თემი შეიქმნა 1001 წლის პლო ხანებში – უმუალოდ დავით კურაპალატის გარდაცვალებისა და ბასილი II-ის მიერ იმიერტაოს დაკავების შემდეგ (Арутюнова-Фиданян В. А., Из истории северо-восточных пограничных областей Византийской империи в XI в. – Историко-филологический журнал. № 1, 1972, გვ. 91-101; Арутюнова-Фиданян В. А., Византийские правители фемы «Иверия». – Вестник общественных наук АН Армянской ССР. № 2, 1973, გვ. 63-78; Арутюнова-Фиданян В. А., Еще раз о феме Иверия. – Кавказ и Византия. Ереван, 1979, вып. 1, გვ. 36-55; Арутюнова-Фиданян В. А., Армяно-халкидониты на восточных границах Византийской империи (XI в.). Ереван, 1980, გვ. 100-104, 109-122.). ბოლო დროს, ფაქტობრივად, ამავე შეხედულებას ავითარებს ჯ. სამუშავც (იხ: სამუშავა ჯ., ბიზანტიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის – „იბერიის“ თემის“ დაარსების თარიღისათვის. – სამუშავერო პარადიგმები. კრებული, მიძღვნილი ნათურა კანხაძის 70 წლისთავისადმი. თბ., 2009, გვ. 171-183).

დება, „რეფერენცუმის“ მეშვეობით მიერთოს მიტაცებული ტერიტორიები.

### **შესაძლო ანალიზია.**

ჩვენი მსჯელობების კუთხით ძალიან საინტერესოა ის მოვლენებიც, რომელებიც განვითარდა XI ს. 30-50-იან წლებში, როდესაც ბაგრატ IV თავგამოდებით იბრძოდა ბიზანტიის იმპერიის მიერ მიტაცებული იმიერტაოს დაბრუნებისა და კონსტანტინოპოლის „მფარველობისაგან“ თავის დაღწევისათვის. მან დაარღვია თავისი დედის – მარიამ დედოფლის მიერ კონსტანტინოპოლში დადგებული სამშვიდობო ხელშეკრულება „ერთობისა და სიყვარულისათვის“ და კვლავ შეუტია ბიზანტიას. ეს იმიტომ მოხდა, რომ აღნიშნული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ ცნო ბიზანტიის იმპერიის უზენაესობა და დინასტიური ქორწინებით განამტკიცა „მშვიდობა და ერთობა“ იმპერიასთან, არც ერთი მხარისათვის არ იყო მისაღები. ბიზანტიის იმპერია, რომელიც აშკარად ექსპანსიონისტურ კურსს ადგა აღმოსავლეთის მიმართ და თანმიმდევრულად ახორციელებდა ამას მეზობელ სომხეთში, იძულებული გახდა (ეს უკვე მესამედ, 1001 და 1022 წლების შემდეგ), იურიდიულად ეცნო ბაგრატიონთა მესვეურობით შექმნილი გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს არსებობა და მასზე მხოლოდ თავისი პროტეგტორატის დამყარებით დაგმაყოფილებულიყო. რაც შეეხება საქართველოს სამეფოს, კონსტანტინოპოლის შეთანხმებამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა ის ურთიერთობა საქართველო-ბიზანტიას შორის, რომლის წინააღმდეგ ასე ენერგიულად გამოდიოდა გიორგი I. ე.ი. „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა კვლავ ექცეოდა იმპერიის გარკვეული კონტროლის ქვეშ და, შესაბამისად, საქართველო საერთაშორისო არენაზე კვლავ რჩებოდა ბიზანტიის „ქვეყნად“.

მნელია იმის დადგენა, თუ რამდენად რეალური იქნებოდა ბიზანტიელთა დიქტატი საქართველოს ხელისუფლებაზე. შესაძლებელია, კონსტანტინოპოლი დასჯერებოდა საქართველოს მეფის მიერ იმპერატორის უზენაესობის უბრალო აღიარებას და ტაოს მიწების საბოლოო დაპატრონებას, თუმცა ისიც არ არის გამოსარიცხი, რომ იმპერიის მმართველი წრეები ვარაუდობდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში უფრო აქტიურად ჩარევას და მომავლში მასაც იმავე ბედს უმზადებდნენ, რაც ეწიათ ანისის სამეფოსა და სხვა სომხურ პოლიტიკურ ერთეულებს, როგორც ამას ვარაუდობდა აკად. 6. ბერძენიშვილი.<sup>1</sup> იმავე აზრისაა აკად. მ. ლორთქიფანიძეც, რომელიც ასევე თვლის, რომ ბიზანტიის ხელისუფლება ერთნაირ პოლიტიკას ადგა „სომხურ-ქართული ქვეყნების მიმართ და მათ იმპერიასთან შეერთებას ცდილობდა“.<sup>2</sup> მათგან განსხვავებით, აღ. აბდალაძეს გამართლებულად არ მიაჩნია „X-XI სს-ში საქართველოსა და სომხეთისადმი ბიზანტიის იმპერიის დამოკიდებულებათა ერთ სიბრტყეზე დაყენება“ და ასკვნის, რომ ბიზანტიას საქართველოს დაპყრობა პრაქტიკულად არ შეეძლო და ის მხოლოდ ტაო-კლარჯეთის ხელში ჩაგდებას ლამობდა.<sup>3</sup> ჩვენ უფრო ამ თვალსაზრისისკენ ვიხრებით და ასევე მიგვაჩნია, რომ ბიზანტიის სამპერატორო კარს საქართველოს მიმართ არ უნდა ჰქონოდა შორს მიმავალი მიზნები და მისგან მხოლოდ თავისი უზენაესობის აღიარებას სჯერდებოდა.

ამას გვაფიქრებინებს ის, რომ, როდესაც იმპერიის თითქოს მესვეურებს საქართველოს ანექსიის შესაძლებლობა მიეცათ, მათ

<sup>1</sup> ბერძენიშვილი ნ., ქართული მიწების პოლიტიკური გაერთანება. – საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI. თბ., 1973, გვ. 26-27; საქართველოს ისტორია. დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. I. თბ., 1958, გვ. 146-147.

<sup>2</sup> ლორთქიფანიძე მ., საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან..., გვ. 191.

<sup>3</sup> აბდალაძე აღ., ამიერკავკასიის პოლიტიკური, გვ. 265.

ეს არ განახორციელეს. მხედველობაში გვაქვს საიმპერატორო კარის მიერ ბაგრატ IV-ის შემორიგება XI ს. 50-იან წლებში. იმ ბაგრატისა, რომელმაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაარღვია „ერთობისა და სიყვარულის“ ხელშეკრულება და დაადგა მკეთრად გამოხატულ ანტიბიზანტიურ კურსს, რომელსაც დროგამოშვებით, თითქმის 20 წლის განმავლობაში ატარებდა. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მეფემ არაერთი პრობლემა შეუქმნა იმპერიას აღმოსავლეთში. მათ შორის უთუოდ ყველაზე გამომწვევი იყო ბაგრატ IV-ის აქტიური ჩარევა ე.წ. „სომხეთის საკითხის“ გადაჭრაში 1045 წელს, როდესაც ის გამოეხმაურა ანისის თავკაცთა დიპლომატიურ ინიციატივას და მოინდომა ბიზანტიის გამოძევება ანისის ქვეყნიდან.<sup>1</sup> მაშინ იმპერიის ხელისუფლებამ თავისი კონტრაგენტის – ლიპარიტ ბაღვაშის მეშვეობით მოახერხა ბაგრატ IV-ის ამ ჩანაფიქრის ჩაფუშვა.<sup>2</sup> მიუხედავად ამგვარი რუდუნებისა, ბაგრატ IV-მ მაინც ვერ მიაღწია მიზანს და ის XI ს. 50-იანი წლების დამდეგს იძულებული შეიქნა ხლებოდა ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინოპოლიში, სადაც „საპატიო ტყვეობაში“ სამი წელი გაატარა. და აი, აქ მოხდა ის, რაც ოცწლიანი სამხედრო დაპირისპირების შედეგად ვერ მოახერხა საქართველოს მეფემ. მან ბიზანტიის იმპერატორთან „უმაღლეს დონეზე“ შეხვედრისას შეძლო დაერწმუნებინა იმპერიის ხელისუფლება საქართველოს მეფესთან კონფრონტაციის შემდგომი გაგრძელების სრულ უპერსპექტივობაში. ამ დროიდან პრინციპულად შეიცვალა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ხასიათი

<sup>1</sup> ბიზანტიის ონტერესების შესახებ ანისის სამეფოსადმი დაწვრ. იხ.: ივანე კ. ნ., Грузинские послы в Ани 1045 г. – ბიზანტიონლოგიური ეტიკეტი. თბ., 1978; ივანე კ. ნ., Скилица о захвате Анийского царства в 1045 г. – Византийский временник, т. 41. М., 1980, გვ. 76-91

<sup>2</sup> პაპასქირი ზ., ერთიანი ქართული..., გვ. 160-176; ამის შესახებ იხ. აგრეთვე: აბდალაძე ა., ამიურკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა..., გვ. 23-25

და მათ შორის ფაქტობრივად თანასწორუფლებიანი სამოკავშირეო ურთიერთობა დამყარდა.<sup>1</sup>

სწორედ ბიზანტიის იმპერატორის ეს გადაწყვეტილება იწვევს გაკვირვებას. აზრი იმის შესახებ, რომ ბაგრატ IV-ის შემორიგება განაპირობა ბიზანტიის ხელისუფალთა სურვილმა - საქართველოს მეფის სახით ჰყოლოდა ძლიერი (ვიდრე ლიპარიტი იყო) მოკავშირე სელჩუკთა წინააღმდეგ, დამაჯერებელი არ არის. გასათვალისწინებელია, რომ ლიპარიტი, ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში წასვლის შემდეგ, ფაქტობრივად, მთელი საქართველოს ბატონ-ბატორი შეიქნა. როგორც „მატიანე ქართლისადს“ ქრონიკიდან ჩანს, მან „ითხოვა... ძე ბაგრატისი ვიორგი, მეფედ, რათა მისცეს ივი დედამან მისმან და დიდებულოთა მის ქუფანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუსისა და აკურთხეს მეფედ და მოიყვანეს მზრდელად მისა ლიპარიტ და პატრონად დად ბაგრატისი გუარანდუხტ დედოფალი...“<sup>2</sup> ე. ი. ბაგრატის მიერ „ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხა ზეთისასა“ დატოვებული გიორგი უფლისწული ლიპარიტმა ამჯერად აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიყვანა და რუსის მეფედ აკურთხა, თვითონ კი გურანდუხტ დედოფალთან ერთად მას რეგენტად დაუდგა. ამით ლიპარიტმა მიაღწია დასახულ მიზანს – ქვენიდან გააძევა მისთვის არასასურველი მეფე – ბაგრატ IV და სახელმწიფოს სათავეში მისი ნება-სურვილის აღმსრულებელი მცირეწლოვანი გიორგი II დააყენა. ამით აღსრულდა ბიზანტიის საიმპერატორო კარის დიდი ხნის ოცნებაც – კონსტანტინოპოლიში საპატიო ტყვეობაში მყოფი

<sup>1</sup> პაპასქირი ზ., ერთიანი ქართული..., გვ. 205-210; Папаскири З. В., От Давида до Давида. Из истории международных отношений. 70-е годы X-80-е годы XI вв. Тб., 2001, გვ.. 81-84.

<sup>2</sup> მატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. აუცხიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 304.

ურჩი ბაგრატ IV-ის ნაცვლად, საქართველოში იმპერიისათვის სრულიად მისაღები პოლიტიკური ოჯახი დამყარდა, რომლის სათავეში, ფაქტობრივად, ბიზანტიის უერთგულესი ვასალი ლიპარიტ ბაღვაში დადგა.

ყოველივე ამის შემდეგ გაუგებარი ხდება ბიზანტიის მმართველი წრეების ზრუნვა ბაგრატ IV-ის ხელისუფლების აღდგენისთვის საქართველოში. სრულიად ცხადია, რომ კონსტანტინოპოლიში მიღწეული ეს შეთანხმება ბაგრატ IV-ის გარკვეულ დიპლომატიურ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ და ის, ჩვენი აზრით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს „მზაკვრულ ღონისძიებად“, რომლიდანაც თითქოს „კარგად ჩანდა, რომ კეიისარი საქართველოსაც იმას უმზადებდა, რაც სომხეთის სამეფოს შეამთხვია“ (ნ. ბერძენიშვილი).<sup>1</sup> თუ საიმპერატორო კარს საქართველოს მიმართ („მზაკვრულად“) იგივე ჰქონდა განზრახული, რაც სომხურ სამეფო-სამთავროებს უყო, მაშინ როგორ გავიგოთ ბაგრატის სამშობლოში გამობრუნება და მისი უფლებების სამეფო ტახტზე აღდგენა? განა უფრო აღვილი არ იყო საქართველოს მეფის დატოვება ბიზანტიაში (ანისის მეფე გაგიპ II-სავით) და ლიპარიტ ბაღვაშის მეშვეობით მთელი ქვეყნის სრულად დაპატ-რონება?

ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება არსებოდეს – საქართველოს სახელმწიფოს „ჩაყლაპვა“ არ იყო (თუ იმთავითვე არა, ამ ეტაპზე მაინც) ბიზანტიის იმპერიის სტრატეგიული ამოცანა და ის, მართლაც, სჯერდებოდა ქვეყნის გვირგვინოსანი მეფის მხრიდან უზენაესობის აღიარებას. რასაკვირველია, ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო იდეალური ვარიანტი მსოფლიო ბაზონობის ამბიციის მქონე იმპერიისათვის, რომლის მესვეურები ამ დროისათვის უკვე სვლებოდნენ, თუ რა გეოპოლიტიკური სირთულები შეუქმნა მათს სახელმწიფოს ანისის სომხური სამეფოს

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია.., 1958, გვ. 147.

გაუქმებამ და ბიზანტიასთან შემოერთებამ – იმპერიას მოეშალა ერთგვარი ბუფერი და უშუალოდ აღმოჩნდა სელჩუკთა ექსპანსიის საფრთხის ქვეშ. სწორედ ეს გარემოება გახდა უმთავრესი მიზეზი იმპერიის მმართველი წრეების მხრიდან ბაგრატ IV-ის შემორიგებისა. მათ აშკარად დაინახეს, თურქ-სელჩუკთა დასავლეთის მიმართულებით ძლევამოსილი ლაშქრობების ფონზე, საქართველოს სამეფოსთან – აღმოსავლეთში ერთადერთ ქრისტიანულ სახელმწიფოსთან – შემდგომი კონფრონტაციის სრული უპერსპექტივობა და მასთან კეთილმეზობლური, სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარება ამჯობინეს, რომელიც მოგვიანებით დინასტიური ქორწინებითაც (ბაგრატ IV-ის ასულის, მართა-მარიამის მითხოვება მიხეილ დუკასთვის) იქნა განმტკიცებული. სწორედ მარიამ დედოფალი, რომელიც თითქმის ათ წელს იჯდა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე (ჯერ როგორც იმპერატორ მიხეილ VII დუკას /1072-1078 წწ./, ხოლო შემდგომ იმპერატორ ნიკიფორე ბოტანიატეს /1078-1081 წწ./ თანამეცხედრე)<sup>1</sup> და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა იმპერიის პოლიტიკურ წრეებში, უნდა ყოფილიყო საქართველო-ბიზანტიის კეთილმეზობლური-სამოკავშირეო ურთიერთობების შემდგომი განმტკიცების მთავარი შემომქმედი.

სპეციალურ ლიტერატურაში სწორადაა შენიშნული, რომ უცხოელი პრინცესების გამოჩენას ბიზანტიის ტახტზე თან სდევდა მათ თანამემამულეთა გავლენის ზრდა საიმპერატორო კარზე.<sup>2</sup> შესაძლოა, XI ს. 70-80-იან წლებში მარიამ დედოფლის ირგვლივაც შეიკრიბა თანამემამულეთა ჯგუფი, ერთგვარი „ქართუ-

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ მარიამ ბაგრატიონი იყო ერთადერთი უცხოელი პრინცესა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე XI საუკუნეში. იხ.: Удалъцова З. В., Дипломатия. – წგნ.: Культура Византии. Вторая половина VII-XII вв. М., 1989, გვ. 252.

<sup>2</sup> Удалъцова З. В., Дипломатия, გვ. 252-253

ლი პარტია“, რომლის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმო-  
მადგენელი უნდა ყოფილიყო გრიგოლ ბაკურიანის ძე – პეტრი-  
წონის ქართული სამონასტრო კომპლექსის აღმშენებელი – პი-  
როვნება, რომლის ნამდვილი აღზევება მეტად ნიშანდობლივად  
ემთხვევა მიხეილ VII დუკასა და მარიამ დედოფლის მმართვე-  
ლობის ხანას და რომელმაც უშუალოდ გადასცა „კარის ციხე-ქა-  
ლაქი და მისი მიმდვობი ქვეყანა“ გიორგი II-ს.<sup>1</sup>

ამრიგად, XI ს. 50-იანი წლების II ნახევრიდან სრული  
გარდატეხა მოხდა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებში,  
ამიერიდან საქართველოს სახელმწიფო, ფაქტობრივად, ბიზანტი-  
ის იმპერიის თანასწორუფლებიან პარტნიორად იქცა, რისი და-  
დასტურებაც იყო ბაგრატ IV-ისათვის ჯერ ნოველისიმოსისა და  
სევასტოსის წოდებების, ხოლო მოგვიანებით გიორგი II-ისათვის  
უმაღლესი ბიზანტიური ტიტულის – კესაროსის მინიჭება.<sup>2</sup>

ასეთია ბიზანტიის იმპერიის აგრესიული ქმედებების წინა-  
აღმდეგ ქართული სახელმწიფოს ბრძოლის ზოგადი სურათი.  
როგორც დავინახეთ, მიუხედავად ოფიციალური კონსტანტინო-  
პოლის პერმანენტული მცდელობისა, სრული კონტროლი დაემ-  
ყარებინა საქართველოზე და ექცია ის იმპერიის ყურმოჭრილ ვა-  
სალად, საბოლოოდ, საიმპერატორო კარი მაინც იძულებული  
გახდა (საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუარ-  
ესების გამო, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, მთლიანად უკავშირ-  
დებოდა სელჩუკთა ექსპანსიის გაძლიერებას) უკან დაეხია, ეცნო  
ერთიანი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ტერიტო-

<sup>1</sup> დავთ აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი. – ქრთლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფუხიშვილის, მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 318.

<sup>2</sup> დაწვრილ. იხ.: პაპასქირი ზ., შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არზაზე. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ძღვომარეობა XI ს. 60-80-ააბ წლებში. თბ., 1991, გვ. 37-40; პაპასკირი ვ. ვ., ი. დავითია დავითა..., გვ. 102-103.

რიების გარკვეული ნაწილიც (კარის ციხე-ქალაქი და მისი შემოგარენი) დაებრუნებინა.

ბიზანტიის ხელისუფლებისაგან განსხვავებით, დღევანდელი კრემლის რეჟიმი ჯერ კიდევ შორსაა მოვლენების ადეკვატური შეფასებისაგან და არაფრით არ ეხსნება თავის იმპერიულ სწრაფვას, რადაც უნდა დაუჯდეს, კვლავ დაუუფლოს საქართველო-კავკასიას. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვმა ამ მიზნის მისაღწევად სრულიად მცდარი გზა აირჩია. მან ვერ გათვალა საქართველოს როლი და ადგილი რეგიონის გეოპოლიტიკურ განლაგებაში, გეზი აიღო საქართველოს, როგორც სახელმწიფოს მოსპობაზე და თბილისზე კონტროლის დამყარებით დანარჩენი სამხრეთ კავკასიის შემომტკიცებაზე. სეპარატისტული ამბობებები აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ ამ გეგმის განხორციელების საშუალება იყო. მართალია, რუსეთის ხელისუფლებამ მოცემული გეგმის პირველი ნაწილი თითქოს „წარმატებით“ შეასრულა – „გაიმარჯვა“ მის მიერ პროვოკირებულ ომში და ურჩ საქართველოს დროებით მოსწყვიტა მისი ისტორიული კუთხეები – მაგრამ ვერ მიაღწია მთავარს, ვერ დააჩიქა საქართველო, ხოლო სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ აღიარებით სრულ დიპლომატიურ ჩიხშიც მოექცა. ამიტომაა მიჩნეული 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთის გამარჯვება „პიროსის გამარჯვებად“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ეს ფორმულა ამ მოვლენასთან დაკავშირებით პირველად გამოიყენა აშშ-ს იმქამინდელმა თავდაცვის მდივანმა რობერტ გეიტსმა. რადიოსადგურ „თავისუფლების“ ინფორმაცია: იხ.: *The Georgian Times* (ელექტრონ. ვერსია: <http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=14647&-lang=geo>); პაპასქირი ზ., საქართველო-რუსეთის ომი და აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივები. – წერ.: პაპასქირი ზ., და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფისიდან დარუბანდამდე, თბ., 2009, გვ. 215. აღნიშნული სტატია სრულად იხ. აგრეთვე:

ამჟამად რუსეთი, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაშია. მას სამხრეთ კავკასიაში ჰყავს ერთადერთი მოკავშირე – სომხეთი, იქ განთავსებული რუსული სამხედრო ბაზით, რომლის შენახვა მოსკოვს ძალზე ძვირი უჯდება. აფხაზეთისა და ეწ. „სამხრეთ ოსეთის“ სატელიტი „დამოუკიდებელი სახელმწიფოები“, რეგიონში ზოგადი გეოპოლიტიკური ბალანსის თვალსაზრისით, რუსეთს არათუ არაფერს აძლევს, არამედ საერთოდ წამგებიანია, რაღაც გარკვეულ პრობლემებს უქმნის ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც, ფაქტობრივად, სახეზეა რუსული სახელმწიფოებრიობის კოლაფსის ნიშნები.<sup>1</sup> უფრო მეტიც, ბოლო პერიოდში მოსკოვს სერიოზული პრობლემები შეექმნა თვით აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთშიც“. აფხაზები სულაც არ აღმოჩნდნენ მორჩილნი და კრემლის ნების უსიტყვით შემსრულებელნი. მათ რამდენიმე მიმართულებით განავითარეს იდეოლოგიური შეტევა<sup>2</sup> და აგრძნობინეს რუსეთის ხელისუფლებას, რომ არ აპირებენ საკუთარი „დამოუკიდებლობის“ დათმობას. სხვათა შორის, აფხაზთა ეს უმ-

---

[http://iberiana.wordpress.com/afxazeti/perspektiva/.](http://iberiana.wordpress.com/afxazeti/perspektiva/)

<sup>1</sup> ამ მხრივ მეტად საშიში ვთარებაა დაღესტანში, რომელიც ჩეჩნეთის მოჩვენებითი „მორჯულების“ შემდეგ ყველაზე ცხელი წერტილია „რუსულ“ კავკასიაში. კრიტიკულ ნიშნულს უხდოვდება (მოხდობული სოჭის ოლიმპიადის ფონზე) ვნებათა ღელვა ადიღე-ჩერქეზეთშიც, სადაც მოსკოვს სულ უფრო უჭირს აუხსანა ფედერაციის სამ სუბიექტში გადანაწილებულ ერთი (ადიღურ-ჩერქეზული) მოდგმის ხალხს, თუ რატომ შეიძლება „დამოუკიდებელობა“ ჰქონდეთ აფხაზებსა და ეწ. „სამხრეთ ოსებს“, ხოლო ჩერქეზებს არ ჰქონდეთ ერთიანი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, თუნდაც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

<sup>2</sup> ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: პაპასქირი ზ., აფხაზები კრემლს ძალიან გაუთამამდნენ... – საგენტო პირველი.

[http://www.pirweli.com.ge/old/index.php?option=com\\_content&task=view&id=85955&Itemid=1](http://www.pirweli.com.ge/old/index.php?option=com_content&task=view&id=85955&Itemid=1). აღნიშნული პუბლიკაციის რუსული ვერსია იხ. წიგნში: პაპასკირი ზ., მоя აბხაზია. Воспоминания и размышления. Тб., 2012, გვ. 462-475.

ადურობა და გამომწვევი ანტირუსული გამოხდომები ძალზე აღი-  
ზიანებთ რუს ექსპერტებსა და ანალიტიკოსებს, რომლებიც უკვე  
ღიად საუბრობენ კრემლის კავკასიური პოლიტიკის კრახზე.<sup>1</sup> ამ  
თვალსაზრისით, რად ღირს თუნდაც ერთ-ერთი ცნობილი რუსი  
უკრაშალისტის, ა. ეპიშევის დასკვნა: „А что имеем мы?  
Только лишь военные базы. А для чего они нам, против  
грузин? **Так с Грузией мы воевали из-за абхазов и осетин.**  
**Может быть мы ошиблись? Дешевле было бы дружить с**  
**Грузией и иметь в союзники весь Кавказ“.<sup>2</sup>**

სწორედ როდ „Дешевле было бы дружить с Грузией и  
иметь в союзники весь Кавказ“. დიახ, უკვე რუსი ანალიტიკ-

---

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: Епифанцев А., Абхазия: необъяснимая  
щедрость бытия. Грузинский вопрос. –

<http://www.apn.ru/publications/article22606.htm>; Епифанцев А., Опять  
Абхазия. Как власть делают monoэтничной. – [http://kon-  
budenogo.livejournal.com/343081.html?thread=5344041](http://kon-<br/>budenogo.livejournal.com/343081.html?thread=5344041); Епифанцев А.,  
В Абхазии уже построена классическая этнократия. –  
<http://www.iarex.ru/articles/30547.html>; А. Епишев. Хватит кормить  
Абхазию! – [http://news-ru.blogspot.com/2012/02/blog-post\\_19.html](http://news-ru.blogspot.com/2012/02/blog-post_19.html);  
Глебов А., Записки из «Страны мертвцевов». გამოქვეყნებულია ამ სერიის  
7 წერილი. – იხ.: [http://in-sider.org/politic/item/67-zapiski-iz-strani-  
mertvecov.html](http://in-sider.org/politic/item/67-zapiski-iz-strani-<br/>mertvecov.html); [http://in-sider.org/politic/item/69-zapiski-iz-strani-  
mertvecov-2.html](http://in-sider.org/politic/item/69-zapiski-iz-strani-<br/>mertvecov-2.html); [http://in-sider.org/politic/item/77-zapiski-iz-strani-  
mertvecov-3.html](http://in-sider.org/politic/item/77-zapiski-iz-strani-<br/>mertvecov-3.html); [http://in-sider.org/politic/item/81-zapiski-iz-strani-  
mertvecov-4.html](http://in-sider.org/politic/item/81-zapiski-iz-strani-<br/>mertvecov-4.html); [http://in-sider.org/politic/item/83-zapiski-iz-strani-  
mertvecov-5.html](http://in-sider.org/politic/item/83-zapiski-iz-strani-<br/>mertvecov-5.html); [http://in-sider.org/politic/item/87-zapiski-iz-strani-  
mertvecov-6.html](http://in-sider.org/politic/item/87-zapiski-iz-strani-<br/>mertvecov-6.html); [http://in-sider.org/politic/item/90-zapiski-iz-strani-  
mertvecov-7.html](http://in-sider.org/politic/item/90-zapiski-iz-strani-<br/>mertvecov-7.html); Глебов А., Абхазию по распоряжению президента  
Багапша «зачишают» от русскоязычного населения. –  
<http://www.iapm.ru/showpage.php?id=150&h=9> და ა.შ.

<sup>2</sup> А. Епишев. Хватит кормить Абхазию! – *Новости России*.  
[http://news-ru.blogspot.com/2012/02/blog-post\\_19.html](http://news-ru.blogspot.com/2012/02/blog-post_19.html) (ხაზგასმა ჩვენია  
– ვ.ვ.).

ოსებიც მიხვდნენ ვ. პუტინის სტრატეგიულ შეცდომას. სწორედ საქართველოა მთლიანად „კავკასიის გასაღები“ (ასე იყო ისტორიულად) და არა სომხეთი, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთზე“. სამწუხაროდ, რუსეთის სახელისუფლებო ელიტა ჯერჯერობით ვერაფრით ითვისებს ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას და საკუთარი გაუთვლელი და უგუნური პოლიტიკური კურსის მძევლად რჩება. ოფიციალური მოსკოვის გაუთავებელი მოწოდებები, მსოფლიომ აღიაროს კავკასიაში 2008 წლის აგვისტოს შემდეგ შექმნილი ე.წ. „ახალი რეალობა“, პრაქტიკულად, მთლიანად ბოკოტირებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან და ამ საკითხში რუსეთი სრულ დიპლომატიურ იზოლაციაშია მოცემული.

არათუ წამყვანი სახელმწიფოები, არამედ თვით დსთ-ში შემავალი ისეთი სატელიტი ქვეყნებიც კი, როგორიცაა ბელორუსი და სომხეთი, არ უჭერენ რუსეთს მხარს და ის თითო-ოროლა (ფულით მოსყიდული) დიქტატორული რეჟიმის (ვენესუელა, ნიკარაგუა) და ოკეანეთის ჯუჯა-სახელმწიფოების (ნაურუ, ვანუატუ)<sup>1</sup> „დიპლომატიური თანადგომის“ იმედად რჩება. ამ მხრივ ნიშანდობლივია მეზობელი სომხეთის მაგალითი, რომლის ლიდერ-მა გამომწვევი ანტიმოსკოვური ნაბიჯი გადადგა. მან 2009 წ. ივნისში განსაკუთრებული პატივით მიიღო ერევანში ვიზიტით ჩასული საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელ-საც კრემლი ლიად სდებდა ბრალს ე.წ. „კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულში“<sup>2</sup> და არც მეტი, არც ნაკლები, დააჯილდოვა

<sup>1</sup> ვანუატუს მიერ რამდენიმეჯერ პოზიციის შეცვლა აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ ე.წ. „აღიარების“ საკითხის ირგვლივ ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა ტრაგიკომიკურ სახეს იღებს ს. ლავროვის უწყების დიპლომატიური მანიპულაციები და როგორ წევს ყოველივე ეს დაბლა რუსეთის ავტორიტეტს საერთაშორისო არენაზე.

<sup>2</sup> Россия будет настаивать на привлечении М. Саакашвили к уголовной ответственности за совершенное преступление. Заявление

სომხეთის სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი – დირსების ორდენით,<sup>1</sup> ხოლო ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტისა საქართველოს პრეზიდენტს საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა.<sup>2</sup> აი ეს არის საქართველოს მიმართ გატარებული რუსული იმპერიული პოლიტიკის სრული დისკრედიტაცია და კრაში.

ბუნებრივია, ასეთი სიტუაცია დიდხანს ვერ გასტანს. მართალია, კრემლში ჯერ კიდევ ეიფორიაში არიან და სჯერათ, რომ დღეს თუ ხვალ მაინც მოახერხებენ საქართველოზე სრული კონტროლის აღდგენას, მაგრამ, რაც დრო გადის, ეს იმედები სულ უფრო ილუზიონული ხდება. აშკარაა, რომ ერთადერთი საშუალება, რომლითაც რუსეთი შეძლებს თავისი გავლენის აღდგენას საქართველო-კავკასიაში, ეს ღია სამხედრო აგრძელა და ქვეყნის ანექსიაა. სხვა მექანიზმები საქართველოს რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნებისა, მით უფრო, სოხუმსა და ცხინვალში რუსეთის საელჩოების არსებობის ფონზე, უბრალოდ წარმოუდგენელია. რაც არ უნდა შეცვალოს რიტორიკა საქართ-

---

председателя Совета Федерации Сергея Миронова. –  
<http://www.garant.ru/news/14219;>

<sup>1</sup> მოსკოვისათვის განსაკუთრებით გამაღიზიანებული აღმოჩნდა „ორდენის დებულების“ ის ნაწილი, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ჯილდო ენაჭებათ: „за значительный вклад в дело укрепления мира между народами“. – *Армения наградила Саакашвили орденом Чести.* – <http://news.mail.ru/politics/2689163/>. აღსანიშნავია, რომ სერუ სარგსიანის ეს დემარში რუსულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში შევასდა, როგორც არამეობრული, რუსეთისადმი „შეურაცხმოფელი“ ნაბიჯი, რომელიც „может создать непростую атмосферу в российско-армянских отношениях“. იხ.: **Владимир Гусев:** Наградив Саакашвили Орденом Чести, Армения оскорбила Россию. – *Новости федерации.* 26.06.2009. <http://regions.ru/news/2223706/>, (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

<sup>2</sup> Михаил Саакашвили стал почетным доктором Ереванского госуниверситета. – РИА НОВОСТИ

[http://ria.ru/world/20090625/175404739.html.](http://ria.ru/world/20090625/175404739.html)

ველოს დღევანდელმა (თუ ნებისმიერმა მომავალმა) მთავრობამ რუსეთის მიმართ და რაც არ უნდა დამთმობი გახდეს ის მოსკოვის მიმართ, პრაქტიკულად გამორიცხულია, ოფიციალური თბილისი ოდესმე წავიდეს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის მოშლის იურიდიულ გაფორმებაზე.

ასეთ ვითარებაში არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ რუსეთში გონს მოეგონ და გადასინჯონ თვით რუსეთის ეროვნული ინტერესებისათვის აბსოლუტურად საზიანო კურსი. სავსებით შესაძლებელია, რუსეთის ხელისუფლებამ შეწყვიტოს სეპარატისტული რეგიონებით მანიპულირება, გაწიროს ისინი (როგორც ეს გააკეთა ბიზანტიის სამპერატორო კარმა XI ს. 50-იანი წლების მიწურულს ლიპარიტ ბაღვაშის მიმართ) და ერთიან ქართულ სახელმწიფოსთან თანასწორუფლებიანი სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარების გზით მეტ-ნაკლებად აღიდგინოს თავისი გავლენა კავკასიაში. ეს იქნებოდა სწორი გეოპოლიტიკური გათვლა, რომელიც რუსეთს გაცილებით მეტ პოლიტიკურ (და არა მხოლოდ პოლიტიკურს) დივიდენდებს მოუტანს როგორც ქვეყნის შიგნით (პირველ რიგში, ჩრდილოეთ კავკასიაში), ისე საერთაშორისო არენაზე.

სხვათა შორის, ამის პირველი ნიშნები გამოჩნდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიმდინარე დიპლომატიური ბატალიებისას. იმისათვის, რომ მოსკოვს თანხმობა მიეღო ქართული მხარისაგან და ამით დაეძლია უკანასკნელი ბარიერი მსო-ში გაწევრიანების გზაზე, რუსეთის ხელისუფლებას მოუწია მის მიერვე „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად „აღიარებული“ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „სუვერენიტეტის“ შემლახველი პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება. კერძოდ, კრემლმა 2008 წ. 26 აგვისტოს (სწორედ ამ დღეს მოხდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“

„დამოუკიდებელ“ სახელმწიფო ორგანიზაცია (ცნობა) შემდეგ ოფიციალურ დოკუმენტში პირველად დააფიქსირა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო სასაზღვრო პუნქტებად ფსოუ და როკი, ხოლო აფ-ხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. „სუვერენული სახელმწიფო ობიექტების“ ტერიტორია „სავაჭრო კორიდორებად“ გამოაცხადა, რამაც აფხაზური საზოგადოების პატრიოტულად განწყობილი ნაწილის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია.

ასე მაგალითად, მთავარი ოპოზიციური ძალის – რესპუბლიკური პარტიის „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“ ოფიციალურ განცხადებაში ღიადაა დაფიქსირებული, რომ რუსულ-ქართული შეთანხმება რუსეთის მხო-ში გაწევრიანების თაობაზე „представляет собой серьезную угрозу национальной безопасности Абхазского государства, его реализация способна привести к эскалации напряженности в зоне конфликта, в регионе в целом. Попытка подрыва, от кого бы она ни исходила, независимого статуса Абхазии, ее суверенитета, может быть расценена как серьезное преступление против всего многонационального народа Абхазии. Данное соглашение способно нанести серьезный ущерб развивающимся абхазо-российским отношениям“.<sup>1</sup> აფხაზი ექსპერტები ღიად აცხადებენ, რომ «Двустороннее Соглашение России и Грузии – прецедент, когда фактически впервые после 2008 г. Россией подтверждается право Грузии на мониторинг и контроль нашей границы, а, следовательно, и юрисдикцию над всей абхазской

---

<sup>1</sup> Заявление республиканской партии «Форум Народного Единства Абхазии». – Апсныпресс за 7 ноября

[http://www.abkhaziya.org/news\\_detail.html?nid=30941](http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=30941) (ხაზგასმა ჩვენია – ვ.პ.).

территорией... Грузия продемонстрировала, что торг с Россией в отношении юрисдикции над границами, а, следовательно, и над территорией Абхазии возможен. Впервые после признания Россия фактически дезавуирует юрисдикцию Абхазии над своей границей, а, следовательно, и ее суверенитет...» (ლ. ჭაბია)<sup>1</sup>; „В результате подготовки российско-грузинского соглашения мы оказались предметом серьезного компромисса. Этот шаг России показал, что компромиссы вообще возможны“ (ირიბა აგრბა). აფხაზური ობობიცის აღიარებული ლიდერი რაულ ხაჯიმბა განაწყენებულია იმით, რომ „В соглашении Абхазию называют «торговым коридором», игнорируя название нашего государства“. კიდევ უფრო შორს მიდის ცნობილი აფხაზი საველე მეთაური, „აფხაზეთის გმირი“, ამჟამად სეპარატისტული პარლამენტის – „აფხაზეთის სახალხო კრების“ წევრი ასლაბ კობახია, რომლის კომენტარში ლია მუქარის ტონიც კი შეინიშნება: „Наша страна названа «торговым коридором», который проходит по железной и автомобильной дороге. Не встанет ли вопрос защиты «торгового коридора», если Абхазия не допустит на своей территории его существования? Какая речь может быть о торговле между Россией и Грузией через территорию Абхазии? Может, нам стоит заявить о том, что никакого коридора мы не допустим?“<sup>2</sup>. ცნობილი აფხაზი უკრნალისტი ი. ხაშიგი, აჯამებს რა აფხაზური საზოგადოე-

---

<sup>1</sup> Вступление России в ВТО – выгоды и риски. Абхазская точка зрения. – <http://abkhaz-auto.ru/news/6/586/> (ხაზგახმა ჩვენია – ჭ.3.).

<sup>2</sup> Абхазские эксперты обсуждают последствия для республики российско-грузинского соглашения по ВТО. – <http://apsnypress.info/news/4821.html> (ხაზგახმა ჩვენია – ჭ.3.).

ბის რეაქციას რუსეთის მსო-ში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით რუსულ-ქართული შეთანხმების გამო აღნიშნავს: «Власть втихую матерится, а общественность до предела возмущена. Как же так, даже не предупредив, хотя бы приличия ради, Россия взяла и согласилась в своих договоренностях с Грузией по поводу принятия ее в ВТО обезличить ею же признанную Абхазию до обидного термина «торговый коридор №1».<sup>1</sup>

ეს და სხვა პუბლიკაციები სავსებით არაორაზროვნად მიუთითებს, რომ რუსულ-აფხაზურ „იდილიურ“ ურთიერთობებში აშკარად გაჩნდა ბზარი და, საჭიროების შემთხვევაში (როდესაც ამას რუსეთის ეროვნული ინტერესები მოითხოვს), მოსკოვი ნამდვილად გაწირავს აფხაზეთს (კომიკურ „სამხრეთ ოსეთზე“ რომ არაფერი ვთქვათ) და შეცდება გადასინჯოს თავისი კონფრონტაციული პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ანუ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, დღეს თუ ხვალ მოსკოვი იძულებული გახდება გადასინჯოს საქართველოსთან კონფრონტაციული კურსი, უარი თქვას ე.წ. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მის მიერ დეკლარირებულ ყბადაღებულ „ახალ რეალობაზე“, აღიაროს ერთიანი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და დაამყაროს მასთან კეთილმეზობლური, კონსტრუქციული ურთიერთობა, ისევე როგორც ეს გააკეთა ბიზანტიის იმპერიამ XI ს. 50-80-იან წლებში.

სწორედ მოვლენების ამ სცენარით განვითარება მიგვაჩნია ჩვენ ზემოაღნიშნულ შესაძლო ანალოგიად, როდესაც ვეძებთ ერთგვარ პარალელებს XI საუკუნის საქართველო-ბიზანტიისა და

---

<sup>1</sup> Хашиг И., Застенчивые «коридорные». –

<http://www.ekhokavkaza.com/content/blog/24408769.html>.

XX ს. მიწურულისა და XXI ს. დამდეგის საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს შორის. მომავალი გვიჩვენებს, რამდენად გამართლდება ჩვენი პროგნოზი.

### *Zurab Papaskiri*

*Sokhumi State University, Full Professor*

### **GEORGIA-BYZANTINE EMPIRE, GEORGIA-RUSSIA. TO THE UNDERSTANDING OF ONE HISTORICAL PARALLEL RESUME**

At the edge of 20-21<sup>st</sup> cc. the Georgian state found itself against another great threat. Russian Empire, which persists in her imperial idea and cannot accept the Georgian desire for independence and liberty, still threatens Georgia's sovereignty and territorial integrity. The events of the end of 20<sup>th</sup> c. and beginning of 21<sup>st</sup> c., specifically a "crusade" launched by "coreligionist" Russia against Georgia, are similar in many ways with the political processes that took place at the edge of the 1<sup>st</sup> and 2<sup>nd</sup> Millennia, when the newly unified Georgian state was opposed by "coreligionist" Byzantine Empire. The article pays attention to those analogies and, based on them, gives a supposition that the Kremlin may have to change its policy, which is disastrous, first of all, for the Russian interests. It is possible, that future Russian authorities will stop using the separatist regions, drop their support to them (as it was done by the Byzantine empire in regards to Liparit Baghvashi at the end of 1050's), and establish equal relations with unified Georgian state. Alliance with Georgia will be a correct geopolitical calculation, which will allow Russia to restore some of its influence in Caucasus and give her significant political (and not only political) dividends both inside country (especially in North Caucasus) and on the international arena.

**გიორგი სოსიაშვილი**  
კორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტი,  
სრული პროფესიონალი

**ცხინვალი და ახალგორი ევროპელ მოგზაურთა  
ცნობების მიხედვით  
(XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის I მეოთხედში)**

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ყველაზე მძიმე ფურცელია. როგორც არ უნდა შეფასდეს ეს ფაქტი, სამხედრო თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, რა სახის დასკვნებიც არ უნდა დაიდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკავშირის თუ ევროსაბჭოს მიერ, ერთი რამ ცხადია - რუსეთმა დამოუკიდებელი ქვეყნის მიმართ სამხედრო აგრესია განახორციელა, რომელიც კარგა ხნის დაგეგმილი იყო და მიზნად ისახავდა ცენტრალურ კავკასიაში რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური პლაციდარმის შექმნას. რუსული აგრესია არც გუშინ დაწყებულა და არც დღეს. ჩრდილოედი მეზობელი XIX საუკუნის დასაწყისიდან ამჟამავებდა სხვადასხვა გეგმას, რათა კავკასიაში მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი.<sup>1</sup> XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული 2008 წლის აგვისტოს ომით დამთავრებული, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი მიისაკუთრა. თუმცა, ოკუპაცია ამით არ დასრულებულა, რუსეთი საოკუპაციო ხაზის გადმოწევას კვლავ აგრძელებს. ძალზე საინტერესოა, ის ფაქტი, რომ 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიუ-

<sup>1</sup> ქუშუნაშვილი გ., „ქავგასიის დაპყრობა”, გამოყენებული მეთოდები და საშუალებები (თანამედროვე შეფასებები), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმნიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომათა კრებული VI, თბ., 2012, გვ. 260.

რი ოლქის მოწყობის შესახებ“ თან ერთვის სია იმ ქართული სოფლებისა, რომლებიც აღნიშნულ ოლქს გადაეცა. ამ სიაში ცალკეა გამოყოფილი „ცხინვალის საზოგადოება“, რომელშიც შედიოდა ქალაქი ცხინვალი. დოკუმენტის თანახმად, იმ დროისათვის ცხინვალში 3832 მაცხოვრებელი ყოფილა, აქედან - 1185 ქართველი, ოსი არც ერთი, ხოლო სხვა ეროვნების - 2697.<sup>1</sup> 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტის გაფორმების შემდეგ ბოლშევიკური ხელისუფლების ინიციატივით შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქზე ზოგიერთი უბნების გადამცემი კომისია. არსებობს აღნიშნული კომისიის სხდომის ოქმიც. იგი შედგენილია 1922 წლის 13 აგვისტოს, დეკრეტის გამოცემიდან რამდენიმე თვის შემდეგ. ამ დოკუმენტში აღნიშნულია: „თანახმად სრულიად საქართველოს ცა-კის და სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 20 აპრილის თარიღით და №2-ით გამოცემული დეკრეტის მე-8 წ-ისა, დეტალური დათვალიერების და საზღვრების ხაზის ცხინვალიდან ჩარჩანის წნევლისამდე ადგილობრივი შემოწმებით დავადგინეთ, გადაეცეს სამხრეთ-ოსეთს შემდეგი სოფლები: კალეთი, წნევლისი, ოკონა, თედეტკაუ, იონჯა, ქვათეთრი, გვირგვინა, გაბარათ-კაუ, დიდმუხა, გუდჯაბაური (დოკუმენტში სოფ. გუჯაბაურის სახელწოდება არასწორად არის დაფიქსირებული – გ.ს.), ცხინვალი“. ოქმს ხელს აწერენ კომისიის წევრები: კ. კაკაბაძე, მოწონელიძე, გაგლოვავი.<sup>2</sup> 1922 წლის 20 აპრილს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ გამოცემულ დეკრეტში ნათლად წერია: „მოეწყოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, როგორც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენელი

<sup>1</sup> თოიმე ლ., როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 89.

<sup>2</sup> სოსაშვილი გ., ქართულ-ოსური ურთიერთობა XX საუკუნის I მეოთხედში უცნობი დოკუმენტების მიხედვით, გორის უნივერსიტეტის მეცნიერთურაში საერთაშორისო კონფერენცია, გორი, 2012, გვ. 322.

ნაწილი; აღნიშნული ოლქის ცენტრად იქნეს ქ. ცხინვალი<sup>1</sup>. იბადება კითხვა: თუკი ოლქის ცენტრად ცხინვალი იქნა გამოცხადებული, რატომ მოხდა მისი მიკუთვნება ოლქისადმი დამატებით შექმნილი კომისიის მიერ რამდენიმე თვის შემდეგ? ოლქის შექმნის პროცესში, როგორც ლ. თოიძე აღნიშნავს, „უთანხმოება მოჰყვა სამხრეთ ოსეთის აღმინისტრაციულ ცენტრად ცხინვალის გამოცხადებასა და ოლქისათვის ქართული სოფლების გადაცემას“<sup>2</sup>. მთებულავად იმისა, რომ დეკრეტში საბოლოოდ ოლქის ცენტრად ცხინვალი დაფიქსირდა, მსჯელობა მისი ოლქისადმი მიკუთვნების შესახებ მოძღვნო თვეებშიც გაგრძელდა და, როგორც აღვნიშნეთ, საბოლოოდ 1922 წლის 13 აგვისტოს ცხინვალი რამდენიმე „სადავო“ ქართულ სოფელთან ერთად ოლქის შემადგენელი ნაწილი გახდა. დეკრეტში დაწვრილებით არის საუბარი, თუ სად უნდა გაევლო ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ საზღვარს. ქსნის ხეობაში „საზღვარი“ სოფელ ოძისის ჩრდილოეთით გადიოდა: „გადასჭრის მდინარე ლეჩურს სოფ. საკორინთლოსა და ოძისის ჩრდილოეთით; გადასჭრის მდინარე ქსანს სოფ. ოძისის ზევით და მიებჯინება იფნიანის ქედის მთას“<sup>3</sup>. როგორც ვხედავთ, დეკრეტის ამ ნაწილში ახალგორი ნახსენებიც არ არის, თუმცა, მოგვიანებით უძველესი ქართული ქალაქი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენელი ნაწილი გახდა და მას 1934 წელს ლენინგრადი დაერქვა.<sup>4</sup> ხელოვნურად შექმნილ ოლქში ძალით შეყვანილი სხვა ქართული თემების მსგავსად, ქსნის ხეობის

<sup>1</sup> თოიძე ლ., როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 81.

<sup>2</sup> თოიძე ლ., როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 68.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 82;

<sup>4</sup> ხარაბე კ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 99.

მოსახლეობამაც გამოთქვა უკმაყოფილება და ადმინისტრაციულად კვლავ დუშეთის მაზრაში არჩია ყოფნა, მაგრამ ზელი-სუფლებამ ეს არ გაითვალისწინა.<sup>1</sup> ცხინვალი და ახალგორი, რომლებიც დღევანდელი მდგომარეობით „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ქალაქებად ითვლება, საუკუნეების განმავლობაში დიდ როლს ასრულებდნენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ებრივ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. მათ შესახებ ძვირფას ინფორმაციას გვაწვდის როგორც ქართული, ისე უცხოური საისტორიო წყაროები. ამჯერად ჩვენი დაინტერესების საგანს წარმოადგენს იმ ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერები, რომლებმაც ცხინვალი და ახალგორი XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში მოინახულეს და უაღრესად საინტერესო ცნობები დაგვიტოვეს აღნიშნულ დასახლებათა როგორც გარეგნული იერ-სახის, ისე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, მათი სოციალური მდგომარეობის, სამეურნეო საქმიანობის შესახებ და სხვ. ეპროპელ ავტორთაგან ერთ-ერთი საყურადღებოა 1768-1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში საქართველოში გამოგზავნილი რუსული სამხედრო კორპუსის სარდლის, გენერალ ტოტლებენის ყოფილი ადიუტანტი, კაპიტანი კარლო დე გრაი დე ფუა. დე გრაი დე ფუას ჩანაწერების მიხედვით, საქართველოში ჩამოსული გენერალი ტოტლებენი ცხინვალში ყოფილა დაბანაკებული. დე ფუა, როგორც ადიუტანტი, მას თან ახლდა. მ. ცოტნიაშვილი აღნიშნავს, რომ 1769 წლის 29 აგვისტოს სოფელ ხოდასთან ერეკლე მეორე ტოტლებენს შეხვდა. აქედან გრაფი მეფესთან ერთად წავიდა თბილისში, ხოლო შემდეგ – ცხინვალში<sup>2</sup>. ამ მოსაზრებას გამორიცხავს დე გრაი დე ფუას ცნობა, რომლის მიხედვით, შეხვედრის შემდეგ ერეკლე II თბილისში დაბრუნდა, ხოლო ტოტლებენს

<sup>1</sup> თოიძე ლ., როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 87.

<sup>2</sup> ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986, გვ. 357.

და მის მხლებლებს გზა გაუგრძელებათ შემდეგი მიმართულებით: ანანურიდან ჩასულან დუშეთში, დუშეთიდან - მუხრანში, შემდეგ ლამისყანაში, ლამისყანიდან - მეჯვრისხევში, ხოლო შემდეგ კი ცხინვალში. ფრანგი ადიუტანტი ცხინვალს ქართლში ნანას ქალაქთაგან ყველაზე დიდს უწოდებს: „მუხრანიდან ლამისყანამდე 120 ვერსია. ეს პატარა ქალაქი მთისძირში მდებარეობს და ისევე გაძარცვულ-გაუკაცრიელებულია, როგორც დუშეთი. აქედან მივყდით მეჯვრისხევს, რომელიც ლამისყანიდან 30 ვერსითაა დაშორებული და სადაც ასევე ცუდი მდგომარეობაა. ბოლოს აქედან 40 ვერსის მანძილზე ვიზილეთ ქალაქი ცხინვალი, ყველაზე დიდი ქალაქი, რომელიც ჩვენ შემოგვხვდა. შემდგომში შესაძლებლობა მექნება მოგითხოვთ მის შესახებ, ვინაიდან ჩვენ იქ გამოვიზამორეთ“!<sup>1</sup> როგორც ამ ცნობიდან ჩანს, დე ფუა აპირებდა, ცხინვალის შესახებ საქმაოდ ვრცელი აღწერა დაეტოვა, თუმცა მის რელაციაში ცხინვალის აღწერა არ ჩანს, მან, აღბათ, ვეღარ მოახერხა ამის გაკეთება. რუსული ჯარი ერთხანს ცხინვალში დაბანაკდა, ხოლო მცირე ხნის შემდეგ ტოტლებენი იმერეთის საზღვრებს მიადგა: „საბოლოოდ პირველ აპილს დავიძარით ცხინვალიდან და დავტოვეთ რა მარჯვნივ აბისი, საიდანაც იმერეთს გადავედით, მივეღით სურამში“<sup>2</sup>. რუსებმა შორაპნის ციხეს აღყა შემოარტყეს. ამ დროს სოლომონ პირველმა იმერეთში თურქებისა და დადიანის შემოჭრის ამბავი შეიტყო და იმერეთის მეფე მათ წინააღმდეგ დაიძრა. ტოტლებენმა შორაპნის ციხეს აღყა მოხსნა

<sup>1</sup> დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1985, გვ. 44.

<sup>2</sup> დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1985, გვ. 52.

და ისევ ცხინვალში დაბრუნდა.<sup>1</sup> დე ფუა წერს: „ნოემბრის დასაწყისი იდგა. წვიმა მეტად გვაწუხებდა. საკვების ნაკლებობის გამო თითქმის ყველა ცხენი დაგვეხოცა, ამ დროს გრაფი დაიძრა ცხინვალისაკენ იმ გადაწყვეტილებით, რომ იქ გამოუზამთრა“<sup>2</sup> ტოტლებენმა თავისი აღიუტანტი ერეკლეს-თან გაგზავნა, რათა მისთვის რუსის ჯარის ქართლში გადმოსვლა ეცნობებინა.<sup>3</sup> ერეკლეს ფრანგი ჩინოვნიკისთვის გორში, ხოლო ტოტლებენისთვის თბილისში გამოზამთრება შეუთავაზებია: „განკარგულებას გავცემ თქვა მან (ერეკლე II – გ.ს), რომ ცხინვალში თქვენ არაფერი მოგაკლდეთ. მაგრამ ქალაქი მეტად პატარაა იმისათვის, რომ ყველა დაგიტიოთ. თქვენი ხალხის ნაწილი გორში დააბინავეთ და გრაფს კი ვთხოვდი, რომ ზამთრის ნაწილი თბილისში გაატაროს“<sup>4</sup> მ. ცოტნიაშვილის განმარტებით, რუსის ჯარის დასაბანაკებლად ცხინვალი შემთხვევით არ შერჩეულა: „ცხინვალს მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა ეკავა. აქ გადიოდა ჩრდილო კავკასიიდან ქართლში მომავალი გზა-ბილიკები: როკის, ზეკარის, ბახვანდაგისა და სხვა გადმოსასვლელები“<sup>5</sup> ტოტლებენსა და ერეკლეს შორის უთანხმოება არსებობდა. საქართველოში ჩამოსული ტოტლებენი მცირე ხნის შემდეგ მაშველი ძალების ჩამოსაყვანად ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა და როგორც მისი აღიუტანტი წერს, მოზღვოკიდან დამხმარე ჯართან ერთად, რომელშიც შედიოდა ორენბურგის დრაგუნთა პოლკის ოთხი ასეული, ოთხი ზარბაზანი, 70 არტილერისტი

<sup>1</sup> ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986, გვ. 357.

<sup>2</sup> დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1985, გვ. 46.

<sup>3</sup> იქვე-

<sup>4</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>5</sup> ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986, გვ. 358.

და ჰუსართა ასეული, ცხინვალში დაბრუნდა.<sup>1</sup> გრაფი მეფის დაუკითხავად მოქმედებდა და მისი ნაბიჯები სამეფო ხელი-სუფლების თუ ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. დე გრაი დე ფუას ინფორმაციით, ტოტლებენმა მეფის დაუკითხავად ცხინვალის შემოგარენში არსებული სოფ-ლები გაძარცვა. ტოტლებენის ადიუტანტი წერს: „რამდენიმე დღის შემდეგ მან შეიტყო, რომ რამდენიმე თათარმა ლეკმა ცხინვალს ჩაუარა და რომ ისინი მეზობელ სოფელში გაჩერ-დნენ. ჰუსართა ორი ასეულით იგი ველზე გავიდა ამ თათრების შესაპყრობად. ამ მხარის მებატონე გამოგვეგება იმის განსამარტავად, რომ ეს თათრები სულაც არ იყვნენ მტრები, რომ ისინი ერეკლეს სამსახურში იყვნენ ქირით. ტოტლებენმა სულ არ ათხოვა ყური ამ განმარტებას. იგი თავს დააცხრა ლეკებს და გაულიტა. ისინი ოცდაშვიდ კაცს მოითვლიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ არაფერი გააჩნდათ, გრაფს არ სურ-და, ხელიდან გაეშვა ხელსაყრელი შემთხვევა ძარცვისა. მან მიიტაცა სოფლის მაცხოვრებლების პიტურყვი იმ საბაბით, რომ 24 საათის განმავლობაში ეს საქონელი ლეკებს ეკუთ-ვნოდა. ერეკლემ, რომელთანაც იჩივლეს, დაბეჯითებით მოს-თხოვა ტოტლებენს, აენაზღაურებინა ამ საქონლის საზღაუ-რი, მაგრამ მას არაფრის გაკეთება არ სურდა. ამრიგად, მეფე სოფლის მცხოვრებთა დასაშომინებლად იძულებული გახდა, თავად გაეღო ეს საზღაური“.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ დე გრაი დე ფუას ცნობები ცხინვალის შესახებ მწირია, ის მა-ინც გვეხმარება, წარმოვიდგინოთ იმდროინდელი ქალაქის სა-ხე. ცხინვალი ამ დროს ქალაქური ტიპის დასახლება იყო,

<sup>1</sup> დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1985, გვ. 51.

<sup>2</sup> დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1985, გვ. 52.

სადაც რამდენიმე ათასეულ რუს ჯარისკაცს შეეძლო გამოზამთრება. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ტოტლებენი საქართველოში ჩამოსვლისთანავე ცხინვალში გაემართა. როგორც ჩანს, იგი წინასწარ შედგენილი გეგმით და საგზაო რუკით მოქმედებდა. გრაფმა იკოდა, რომ ცხინვალიდან ადგილი იყო დასავლეთ საქართველოში გადასვლა. არ არის გამორიცხული, რომ ტოტლებენს ცხინვალში მცხოვრებ ქართველ დიდებულებთანაც ჰქონდა კავშირი და რუსებისათვის გამოსაზამთრებელი ადგილი ტოტლებენთან ალიანსში მყოფ დიდგვაროვნებს წინასწარ მოემზადებინათ. ტოტლებენს ქართველ ფეოდალებთან საერთო ენის გამონახვა არ უჭირდა. ცნობილია, რომ მან ერეკლე II-ს სხვა ქართველ წარჩინებულებთან ერთად მაჩაბლებიც აუმსხედრა.<sup>1</sup> საფიქრებელია, რომ ტოტლებენს წინასწარ ჰქონდა მოლაპარაკება ერეკლეს მოწინააღმდეგე ფეოდალებთან, რომელთაც ცხინვალში თავიანთი ყმა-მამული გააჩნდათ\* და ჯარი სწორედ მათს მამულში დააბინავა. დე გრაი დე ფუა თავის რელაციაში ახსენებს ასევე ახალგორს. როდესაც ფრანგი ადიუტანტი ქართლის და კახეთის სადროშოებზე საუბრობს, ის ეხება ქართლის მესამე სადროშოს და განმარტავს: „მესამე სადროშო თავადი ერისთავისაა (იგულისხმება ქსნის ერისთავი – გ.ს.) და აერთიანებს გლეხებს მისი კუთხით მიწებიდან, სხვათა შორის, ქალაქ ახალგორიდან, რომელიც მთლიანად მას ეკუთვნის“.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, დე გრაი დე ფუას საქართველოში ყოვნის დროს ახალგორი ქალაქის სტატუსს ატარებდა. აღსა-

<sup>1</sup> სოსიაშვილი გ., სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005, გვ. 130.

\* ერთ-ერთი ქართული დოკუმენტის მიხედვით, რომელიც დათარიღებულია XVIII საუკუნის 70-80-იანი წლებით, ცხინვალში ყმა-მამულს ფლობდნენ: ხერხეულიძეები, მაჩაბლები, ამილახვრიშვილები და სხვ. ხელნაწერთა ეროვნული ცნოტრი, ფ. დ-1606

<sup>2</sup> დე გრაი დე ფუას ცობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდნ თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1985, გვ. 53;

ნიშნავია, რომ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში, რომელიც ოსმალო მოხელეებისგან არის შედგენილი და ფისკალურ დოკუმენტს წარმოადგენს, ახალგორი სოფლად არის მოხსენიებული. იმ დროისათვის ქანის ერისთავების კუთვნილ სოფელში სულ 50 სახლი ანუ კომლი ყოფილა, ამასთანავე, დასახელებულია 65 კაცი.<sup>1</sup> XVIII საუკუნის მოსახლეობის აღწერებში გამოიყენებოდა ტერმინი „თავი“, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილი კომლში ოჯახის უფროსად მიიჩნევდა. მისი აზრით, კომლში შესაძლებელია რამდენიმე ოჯახიც ყოფილიყო და თითოეული ოჯახის სათავეში „თავი“ იდგა.<sup>2</sup> აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრებში ხშირად ერთ კომლში ორი, სამი ან უფრო მეტი „თავი“ შედიოდა.<sup>3</sup> თუ დავუშვებთ იმ გარემოებას, რომ დავთარში მოხსენიებული ტერმინი „სახლი“ იგივე კომლია, ხოლო წყაროში მოხსენიებული „კაცი“ XVIII საუკუნის აღწერებში გავრცელებული ტერმინის - „თავის“ იდენტურია, მაშინ XVIII საუკუნის I მესამედში ახალგორში 50 კომლს უცხოვრია, სადაც გაერთიანებული ყოფილა 65 ოჯახი. თუ საშუალოდ თითოეულ ოჯახზე 7 სულს ვიანგარიშებთ\*<sup>4</sup>, გამოდის, რომ ახალგორში 1728

<sup>1</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გმოკვლევით და ფაქსიმილებით გამოსაცემად მომზადეს აკად. სერგი ჯიქაშ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 423-424.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი ივ., ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში, ჟურნ. „მოაბე“, IV, 1901, გვ. 10-11.

<sup>3</sup> ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მეგლები, ტ. I, თბ., 1967, გვ. 212-213.

<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში კომლზე საშუალოდ 8.32 მოსახლე, ხოლო მთიან რაიონებში 7.54 მოსახლე იანგარიშებოდა. ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა, XVIII-XX ს.ს., თბ., 1984, გვ. 46.

წლისათვის 455 მოსახლე ყოფილა. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხის მიხედვით, ახალგორში, რომელიც ქალაქის სტატუსს ატარებდა, 140 კომლი ცხოვრობდა.<sup>1</sup> თუმცა, როგორც ვ. ჯაოშვილი აღნიშნავს: „ვ. გამრეკელმა 1770 წლის 5 აპრილის ნუსხაში მოტანილი კომლთა რაოდენობა 10 %-ით გაზარდა იმ კონტინგენტების ხარჯზე, ვინც პრივილეგიურ ფენებს ეკუთვნოდა, ან გამოტოვებულთა რაოდენობა არ იქნებოდა 11-12%-ზე ნაკლები, რადგან ბატონყმური ურთიერთობის პირობებში ყველა, ვისაც ყმები ჰყავდა, ცდილობდა, რაც შეიძლება შემცირებულად ეჩვენებინა მათი რაოდენობა. ასეთი ვითარების გამო ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნუსხაში ნაჩვენები კომლთა რაოდენობა, იმ კორექტივების, გათვალისწინებით, რომლებიც ჩვენ ზემოთ უკვე შევიტანეთ, უნდა გადიდეს 15%-ით მაინც, რაც ეკვივალენტი იქნება პრივილეგიური და გამოტოვებული კონტინგენტებისა“.<sup>2</sup> თუ ვ. ჯაოშვილის ამ თვალსაზრისს გავიაზიარებთ, ახალგორის მოსახლეობა 1770 წლისათვის 200 კომლამდე ყოფილა, ხოლო მოსახლეობა კი დაახლოებით 1400. ცხინვალის და ახალგორის შესახებ ძალზე საინტერესო ცნობები შემოგვინახა გერმანელმა მოგზაურმა იაკობ რაინეგსმა, რომელიც ქართლ-კახეთის მეფის – ერეკლეს კარზე 1778-1781 წლებში იმყოფებოდა. იაკობ რაინეგსი რუსეთის საიმპერატორო კარისათვის სხვადასხვა მიმართულებით საიდუმლო ინფორმაციას აგროვებდა, როგორიც იყო: ქვეყნის გეოგრაფიული აღწერა, სასარგებლო წიაღისეულების დაზვერვა, კავკასიაში გადმოსა-

<sup>1</sup> გამრეკელი ვ., ცქიტიშვილი ზ., 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და სელოვნების სერია. 1973, №1, გვ. 144-145

<sup>2</sup> ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა, XVIII-XX ს.ს. თბ., 1984, გვ. 34.

სავლელი გზების შესწავლა და სხვ. სწორედ ამიტომ მოხვდა ცხინვალი ფრანგულ ენაზე შედგენილ მის ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1782 წლის 6 დეკემბერს ტფილისიდან პოტიომკინს გაუგზავნა. რაინეგსი წერს: „მე რომ კავკასიოდან მივდიოდე საჭიროდ ჩავთვლიდი მომეხსენებინა თქვენი უძალლესობისათვის, თუ რომელია ყველაზე მოსახერხებელი გზები კავკასიონზე ადვილად გადასასვლელად: 1. მოზღვიდან ტარტარდუბამდე თეთრი წყლის გაყოლებით კარდაულამდე, ჯიმითამდე, ტაიოკამდე, ლუმაშვილამდე, ქსილვანამდე და იბერია-გეორგიის საზღვრამდე. ეს გზა ძალიან ხელსაყრელია ამ ორი სამეფოსაკენ გასასვლელად, ოლონდ იმ ადგილამდე, რომელიც მათგან 2-3 ვერსის დაშორებითა, საჭიროა რამდენიმე დაბრკოლების გადალახვა, რომ შესაძლებელი გახდეს ჩასვლა კარასში“.<sup>1</sup> ამ ჩამონათვალში რაინეგსი რამდენიმე გზას ახსენებს და იქვე დასძენს: „6. ტარტარდუბიდან ტიგურამდე, დევლეთამდე (დვალეთი? – გ.ს.), ქსილვანამდე: ეს ყველაზე კარგი გზაა, საჭირობს მხოლოდ ცოტა შეკეთებას, რათა დიდ გზად გარდაიქმნას“.<sup>2</sup> დევლეთი, როგორც რაინეგსის თხზულების ქართულ ენაზე გამომცემელი გია გელაშვილიც ვარაუდობს, ეს იგივე დვალეთი უნდა იყოს და ეს შემთხვევითი არ არის. როგორც ცხინვალს, ისე დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლებს ჩრდილოეთ კავკასიასთან შუა საუკუნეებში არაერთი გზა აკავშირებდა,<sup>3</sup> მათ შორის დვალეთის გზას.<sup>4</sup> რაინეგსი ჩრდილოეთ კავკასიოდან ცხინვალისაკნ მომავალ გზას ყველაზე კარგ გზას უწოდებდა. თხზულებიდან არ ჩანს, მოინახულა თუ არა იაკობ რაინეგსმა ცხინვა-

<sup>1</sup> იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და სამიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 16.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> თოვოშვილი გ., საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1969, გვ. 41.

<sup>4</sup> სოსიაშვილი გ., სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005, გვ. 132.

ლი, მაგრამ მოგზაური იხსენიებს მა, როგორც ქალაქს, სადაც ასახელებს ებრაელთა დასახლებას: „ქართლის ყველაზე ბევრი და მჭიდრო მოსახლეობა ახლაც, ისევე როგორც წარსულში, უნდა ვეძებოთ დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ნაწილის მთისწინეთსა და შეუ მთებში. მთელი ზოლი მრავალტოტიან მდინარე ქსანსა, ლარგვსა და პატარა ლიახვს შორის (ამ უკანასკნელის მარცხენა ნაპირზე ძევს ძველი მაგარი მთის ციხე ბელოთი) უკავიათ სერუს გვარის მრავალრიცხოვან ოჯახებს; ამათ სოფლებში დიდი რაოდენობით არიან ებრაელებიც, რომელთა უმრავლესობა ცხოვრობს ქალაქ ქსილვანში, ანუ ქრც(ხ)ინვალში დიდ ლიახვზე<sup>1</sup>. რაინეგსის მოგზაურობის დროს, როგორც ვხედავთ, ცხინვალი ქალაქური ტიპის დასახლება იყო და აქ ებრაელებიც ცხოვრობდნენ. ცხინვალში ებრაელებს იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილიც. იგი წერს: „ამ ნიქოზის ჩრდილოეთ, დიდის ლიახვის კიდეზედ, არს მცირე ქალაქი ქრცხილვანი, კეთილპაოვანი. მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი. გარემოს წალკოტოვან-ვერახოვანი, საზრდელით მაძღარი“<sup>2</sup>.\* ცხინვალში ებრაულ მოსახლეობას ადასტურებს გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი (ამაზე ქვემოთ შევჩერდებით). ებრაული მოსახლეობის არსებობა ცხინვალში ჯერ კიდევ 1392 წლის მცხეთის სიგელით დასტურდება.<sup>3</sup> ე. მამისთვალიშვილი სხვადასხვა სახის დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ცხინვალში XIV-XVIII საუკუნეებში მრავალი ებრაელი ცხოვრობდა. მკვლევარს მოჰყავს ასევე 1770 წლის

<sup>1</sup> იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გაი გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 149.

<sup>2</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამოფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1956, გვ. 370.

<sup>3</sup> ფორდანია თ., ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 177.

აპრილში შედგენილი ერთ-ერთი ცნობა, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფო კარზე თავად ანტონ მოურავოვისათვის გადა-საცემად შეუდგენიათ და ასახავს ქვეყნის მოსახლეობის რაო-დენობას, მის ეროვნულ შემაღლების, სამეფო შემოსავალს და სამხედრო პოტენციალს. ცნობაში ნათქვამია: ქ. არის ქა-ლაქი ცხილვანისა და ამას შინა მკვიდრობენ მართლმადიდე-ბელნი ქართველნი, სომეხნი და ურიანი, ხიზნით, კომლით შვიდასი“.<sup>1</sup> XIX საუკუნის 30-იან წლებში ცხინვალელ ებრა-რაელებს გერმანელი მოგზაურის – კარლ კოხის ცნობით, ერთი უბადრუეკი სინაგოგა ჰქონდათ.<sup>2</sup> უცხოელი მოგზაურები ცხინვალში მცხოვრებ ებრაელებს უფრო მოგვიანებითაც იხ-სენიებენ. ი. ჩორნი 1870 წლების ცხინვალის შესახებ წერს: „ამ ქალაქის მცხოვრები არიან ებრაელები, სომხები, ქარ-თველები და ოსები ასე 5-6 კომლი, მაგრამ აქაური სტარში-ნას თქმით, ის 6 ოსური კომლი ვალდებულია დასტოგოს ცხინვალი, რადგან არა აქვთ საკმარისი ადგილი, მთავრობას სთხოვეს სხვა ადგილი მისცეს ცხინვალის მახლობლად“.<sup>3</sup> როგორც ე. მამისთვალიშვილი აღნიშნავს: „ცხინვალის ებრა-ულმა მოსახლეობამ საგრძნობლად იმავა XIX ს. მეორე ნა-ხევარში სხვადასხვა ადგილებიდან გადასახლებულთა ხარ-ჯზე“.<sup>4</sup> იაკობ რაინეგის თავის ჩანაწერებში ცხინვალის სა-

<sup>1</sup> მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, ტ. I, თბ., 1994, გვ. 131. აღსანიშნავია, რომ ცხინვალი „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ სოფლად იხსენიება. იხ. სოსიაშვილი გ., ცხინვალი 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კონფერენცია ქართულ-თურქული ურთიერთობები, გორი, 2012, გვ. 67.

<sup>2</sup> K. Koch, Raise durch Rusland nach dem Kaukasischen Istmus in den Jahren 1836, 1837 und 1838, Stuttgart, 1843, p. 61.

<sup>3</sup> მამისთვალიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995, გვ. 132.

<sup>4</sup> იქვე.

ხელწოდების განმარტებასაც გვაძლევს. იგი აღნიშნავს: „იწერება ქრისტოვა და სახელი წარმოსდგება ქრისტოსადან, ნიშნავს კოპიტს, რაც აქ ძალზე ხშირია (რ.) (თუ რცხილას? – გ.ს.).<sup>1</sup> ცხინვალის სახელწოდების ახსნა გერმანელი მოგზაურის მიერ დამაჯერებელია. როგორც მ. ცოტნიაშვილი აღნიშნავს: „გეოგრაფიული სახელი „ცხინვალი“ უნდა მომდინარეობდეს მცენარის სახელ რცხილა-დან და მისგან ნაწარმოებ „რცხილნარიდან“, რომელიც რცხილის ტყის აღსანიშნავად იხმარება. „რცხილას“ ადრეული ფორმა უნდა ყოფილიყო „კრცხილი“, ამას ადასტურებს დღესაც ხმარებაში მყოფი ხევსურული ფორმა კრცხილისა – კირცხილი, მთიულური – კირცხალი, და 1451 წლის სიგელში ნახმარი ფორმა „კრცხილოანი“.<sup>2</sup> იაკობ რაინეგსი თავის ჩანაწერებში მიუთითებს ცხინვალსა და მის მიდამოებში არსებულ სასარგებლო წიაღისეულზე: „დასავლეთ კავკასიის შუაქედის მთელი სამხრეთი მხარე სურამიდან ცხინვალიდან ძაღინიდან ახალგორამდე, ძდიდარი საბადოების გამო გამოკვლევის ღირსია“.<sup>3</sup> იაკობ რაინეგსი მდიდარ საბადოებს აღწერს ასევე ახალგორის ტერიტორიაზე, სადაც, მისი ცნობით, დიდი რაოდენობით ყოფილა მაგნიტური ქვა, რკინის მაღანი და შაბიამანი: „ახალგორთან რკინის მაღნები და ნაპრალები (ხევები) სავსეა რკინის ოქრას მიწით და სისხლას ნაჭრებით. ამ მაგნიტურ რკინაქვაში ხშირად ძევს აგრეთვე შაბიამნის სოლები, რომელთა სისქე ზოგჯერ ორი დოუმია, ხოლო სიგრძე ხუთი დოუმი. გარეთა ფერი უფრო ყავისფერია, ვიდრე თვით მაგნი-

<sup>1</sup> იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გაი გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 149.

<sup>2</sup> ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986, გვ. 33.

<sup>3</sup> იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გაი გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 192.

ტური რკინაქვაა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა შაბიამნიანი მიწა, რომელსაც სარგებლიანად იყენებენ გეორგიაში მღებავები და ტარსიკონის მკეთებლები<sup>1</sup>. რაინდესის ცნობით, ქსნის საერისთავო, კერძოდ კი ახალგორი მდიდარი იყო საძოვრებითაც, რაც ოდითანგვე იძლეოდა მესაქონლეობის განვითარების საშუალებას. რაინდესი წერს: „ახალგორის ჩრდილოეთით არის მაღალი მინდორი (ანუ მაღალი ველი), აქ სავსებით ერთდებიან შუა ქედის უმაღლესი ნაწილის მწერვალები და იშლებიან მწვანე ვაკედ, რომელსაც შვიდი ვერსი სიგრძე და სამი ვერსი სიგანე აქვს. ის წარმოადგენს ცხვრებისა და რქოსანი პირუტყვის საზაფხულო საძოვარს“<sup>2</sup>. ქსნის ხეობის ქვემო წელზე განვითარებული იყო მეურნეობის სხვადასხვა დარგი, მათ შორის მევნახეობა,<sup>3</sup> ხოლო ზედა ნაწილზე კი ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ. როგორც დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს: „ქსნის საერისთავოს გეოგრაფიულ თავისებურებათა გამო მესაქონლეობას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. საერისთავოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, მართალია, მემინდვრეობისთვის ხელსაყრელი არ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, საქონლის საძოვრებისათვის გამოდგებოდა. ცხვრის საზაფხულო იალაღებისთვის საუკეთესო ადგილები იყო ქარჩხის, ჭურთის, უამურის და მაღრან-დგალეთის სანახები, ზამთარში კი საერისთავოს ბარის ზოლში (იკოთი, ოძისი, ლამისყანა, თეზი, მეჯვრისხევი) უხვად იყო საზამთრო საძოვრები“<sup>4</sup>. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რაინდესი ახალგორის ჩრდილოეთით ცხვრის და მსხვილფეხა საქონლის საზაფხულო საძოვრებზე მიუთი-

<sup>1</sup> იქვე, 194.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ჯალაბაძე გ., მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986, გვ. 281.

<sup>4</sup> გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 157.

თებს. რაც შეეხება ზამთრის საძოვრებს, როგორც ჯ. გვასალია აღნიშნავს: „ქსნის ხეობის საზამთრო საძოვრებად გამოყენებული იყო მუხრანისა და შემდეგდროინდელი საამილახვროს საძოვრები: აშურიანი, აღაიაინი, თხოთიწლევის მთა, სხალტბა, გორის მიღმოები და სხვ. ქსნელები საზამთრო საძოვრების სარგებლობისათვის საბალახე გადასახადს იხდიდნენ“.<sup>1</sup> იაკობ რაინეგვის ცნობით, ახალგორის მოსახლეობის დიდ ნაწილს სომხები შეადგენდნენ: „გორის ჩრდილოეთით და შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით კავკასიის მთისწინები გადადიან გრძელ, ნაკლებ განიერ, მაგრამ ნაყოფიერ ველში, სადაც მრავალრიცხოვან ნაკადულებზე ძევს ახალგორი (ახალი გორი), პატარა ქალაქი; მისი მოსახლეობის მეტ წილს ასევე ქრისტიანი სომხები შეადგენენ, რომლებიც თითქმის ყველანი ბამბის, ან ტილოს მქსოველები არიან. ისინი უმთავრესად ამზადებენ სხვადასხვანაირ ბამბის ქსოვილებს და ხელსახოცებს, რომლებსაც ორივე მხარეს მოკლე კვანძიანი ფოჩები აქვს და ბანაობის შემდეგ ტანის გასამშრალებლად იხმარება“.<sup>2</sup> ახალგორში სომხური მოსახლეობის არსებობას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც. მისი ცნობით: „ოძისს ზევით არს მონასტერი ხოფა უგუმბათო დიდშენი კეთილად და აწ ცარიელი. მის ჩრდილოთ არს მცირე ქალაქი ახალგორი, მსახლობელი არიან სომხენი, და სასახლე ქსნის ერისთავისა“.<sup>3</sup> საისტორიო წყაროებში არსებული ცნობები ახალგორის სომხური მოსახლეობის შესახებ შემთხვევითი არ არის. დ. ახლოური თვლის, რომ სომხები ახალგორში

<sup>1</sup> გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვები, თბ., 1983, გვ. 12.

<sup>2</sup> იაკობ რაინეგვის, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 149.

<sup>3</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამოფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1956, გვ. 359.

XV საუკუნეში გადმოსახლდნენ ქალაქ გორიდან და ახალ-გორიც, შესაძლებელია, სწორედ ამიზომ დაარქვეს.<sup>1</sup> ჩვენი აზრით, ახალგორში სომხური დასახლება XV საუკუნეზე ადრე უნდა გაჩენილიყო. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ XV საუკუნეში სომხებმა ახალგორში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია განაახლეს, რასაც მოწმობს ეკლესის დასავლეთ კედელზე დატანილი სომხური წარწერა. იგი 1462 თარიღდება და მოხსენიებულია ტაძრის განმაახლებელი ვინმე ხაჩატური.<sup>2</sup> ჩვენი აზრით, სომხები აქ კარგა ხნის ჩამოსულები იყვნენ, რადგან მათ საკუთარი ეკლესიაც ჰქონდათ. წარწერაში მოხსენიებულმა ხაჩატურმა სწორედ ის სომხური ეკლესია განაახლა, რომელიც მისმა წინაპრებმა (ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე თაობის წინ ჩამოსახლებულმა) ააშენეს. ტაძრის კედელზე კიდევ ერთი სომხური წარწერაა, რომელიც 1693 წლით თარიღდება. წარწერაში აღნიშნულია: „ღმერთო შეიწყალე, ტერ-პეტ-როს ბევრი შრომა მოვიწიე ბაღდასარის მამის არუთინის გვარის მეშვეობით, ვაშენეთ ეკლესია 1693 წელს, ღმერთმა შეიწყალოს ბაღდასარი“.<sup>3</sup> ეს ეკლესია ს. მაკალათიას სომხურ ეკლესიად მიაჩნდა,<sup>4</sup> რასაც დ. ახლოური არ ეთანხმება და თვლის, რომ ს. მაკალათიას ადგილობრივმა სომხებმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს. მისი მტკიცებით, ეკლესია ქართულია და არა სომხური. ჩვენი აზრით, დ. ახლოურის მსჯელობა ამ შემთხვევაში არასწორია, რადგან ქართული მართლმადიდებლური ტაძრის კედელზე ასეთი სახის წარწერის ამოკვეთას და ტაძრის ამშენებლებად თუ განმაახლებლად გრიგორიანული რწმუნის აღმსარებელთა გამოცხადებას ადგილობრივი ერისთავები თუ მართლმადიდებელი მრევლი

<sup>1</sup> ახლოური დ., ახალგორის ისტორია, თბ., 2006, გვ. 41.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 42.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> მაკალათია ს., ქსნის ხეობა, თბ., 1968, გვ. 60.

არ დაუშვებდა. ეჭვსგარეშეა, რომ საქმე გვაქვს სომხურ ტა-  
ძართან, რომელიც 1693 წელს განუახლებიათ ადგილობრივ  
სომხებს. აქ საყურადღებოა ერთი გარემოება – წარწერაში  
აღნიშნულია, რომ ეკლესია ბალდასარის მამის – არუთინის  
გვარის შემწეობით აუშენებიათ. როგორც ჩანს, ახალგორში  
სომეხთა საკმაოდ დიდი დასახლება არსებობდა, რომელსაც  
იმ დროისათვის ტაძრის რეაბილიტაცია მოუხდენია. აღსანიშ-  
ნავია, რომ ქსნის ხეობაში, მუხრანთან ახლოს, სოფ. ციხის-  
ძირში სომხებს იხსენიებს გერმანელი მოგზაური იოჰან ან-  
ტონ გიულდენშტედტი. მისი ცნობით, ციხისძირში სამი პა-  
ტარა ეკლესია ყოფილა, სადაც ორი სომხური და ერთი ქარ-  
თული წარწერა ყოფილა შესრულებული.<sup>1</sup> მუხრანის მიმდე-  
ბარე ტერიტორიაზე სომხური მოსახლეობის არსებობას  
ადასტურებენ ასევე გერმანელი მოგზაურები იაკობ რაინეგსი<sup>2</sup>  
და ედუარდ აიხვალდი.<sup>3</sup> 1774-1781 წლების აღწერის მასა-  
ლებიდან ჩანს, რომ ახალგორში ქართველები და სომხები  
ცხოვრობდნენ. ამ დროისათვის ახალგორში ყმები ჰყავდათ:  
ქსნის ერისთავებს, რატიშვილებს, არღუთაშვილებს, ყაფლა-  
ნიშვილებს და სხვ.<sup>4</sup> სომხების ჩამოსახლება საქართველოში  
დიდი ხნის წინ დაიწყო. როგორც ე. მამისთვალიშვილი აღ-  
ნიშნავს, სომხები XII საუკუნის დასაწყისიდან ცხოვრობდნენ  
გორში.<sup>5</sup> ახალგორის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვი-

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანელი ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 55.

<sup>2</sup> იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანელიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 149.

<sup>3</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 114;

<sup>4</sup> ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ტ. I, თბ., 1967, გვ. 221-223, 243-245.

<sup>5</sup> მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, ტ. I, თბ., 1994, გვ. 175.

ტოვა გერმანულმა მოგზაურმა იოპან ანტონ გიულდენშტედ-ტმაც. იგი საქართველოში XVIII საუკუნის 70-იან წლებში იმყოფებოდა. ქვეყნის სხვადასხვა მხარეებთან ერთად რუსეთის საიმპერატორო აკადემიისგან საქართველოში სამეცნიერო მისით მოვლენილმა მოგზაურმა შილა ქართლიც მოინახულა. მან გარკვეული პერიოდი დაჰყო ქსნის ხეობაში. როგორც თვითონ აღნიშნავს, ანანურში ჩამოსული მეცნიერი ქსნის ხეობაში, კერძოდ, ახალგორში ქსნის ერისთავს – დავითს მიუპატიუებდა: „ანანურში მთხოვა ქსნის ერისთავმა (დავითმა – გ.ს.), საქართველოს ყველაზე მძლავრმა მაგნატმა, მივსულიყავი მის რეზიდენციაში ახალგორში“.<sup>1</sup> დავით ქსნის ერისთავი, როგორც დ. ახლოური აღნიშნავს, ამ დროისთვის ავადყოფილა და ერეკლე II-ს გიულდენშტედტისთვის მისთვის მკურნალობის გაწევა უთხოვია.<sup>2</sup> როგორც ჩანს, ქსნის ერისთავისთვის მკურნალობის გაწევა გიულდენშტედტისათვის ერეკლე II-ს უთხოვია. მკურნალობის სანაცვლოდ მოგზაურს ქსნის ერისთავმა მცველი რაზმი გამოუყო, ახალგორში დააბინავა და როგორც უცხოელი აღნიშნავს: „მე არა მარტო სხვა მხარეშიც ცნობილი შევიქწი, არამედ ამ ბაზონმა (დავით ქსნის ერისთავმა – გ.ს.) ამის შემდეგ ბევრჯერ მომცა მცველი რაზმი 50, 100 და მეტი კაცისაგან, ხშირად საკუთარი მეთაურობით, უძისიღ ზოგი ექსკურსიები შეიძლება ჩაშლილიყო“.<sup>3</sup> გიულდენშტედტი ახლომდებარე თემებს ათვალიერებდა და შემდეგ ისევ ახალგორში ბრუნდებოდა.<sup>4</sup> მიუ-

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 47.

<sup>2</sup> ახლოური დ., იოპან (ანტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში, თბ., 2007, გვ. 7.

<sup>3</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 47.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 49.

ხედავად იმისა, რომ მან ახალგორში კარგა ზანს დაჰყო, ქსნის საერისთავოს ცენტრი სრულყოფილად ვერ აღწერა.

ეს, შესაძლებელია, არც შედიოდა მის ინტერესში. მას უფრო სასარგებლო წიაღისეულებით მდიდარი მხარეები აინტერესებდა. გოულდენშტედტს ახალგორი სოფლად აქვს მოხსენიებული. მას ჩამოთვლილი აქვს ქსნის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლები და იქვე იხსენიებს ახალგორს, სადაც, მისი ცნობით, ციხეც ყოფილა.<sup>1</sup> ახალგორში გოულდენშტედტს რამდენიმე წისქვილი უნახავს: „აქ დავათვალიერე აგრეთვე პატარა წისქვილები, უმეტესობა 24 საათში უქვავს 20 დან 24 კოდამდე ხორბალს, აქედან მეწისქვილე იღებს მხოლოდ ორმოცდამეათედ ნაწილს. თბილისში და საერისთაოში იღებენ მეათედ ნაწილს. დოლაბებს ახალგორში ღებულობენ სარკინეთის ქვასატეხიდან [რომელიც მდებარეობს] მტკვარზე, თბილისის ქვემოთ. რუსულ ფულზე წყვილი ღირს 40 მანეთამდე, მაგრამ მათი გამოყენება შეიძლება ოც წლამდე“.<sup>2</sup> ახალგორში წისქვილების არსებობას ადასტურებს ასევე 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, რომლის მიხედვით, იმ დროს ახალგორში 5 თვალი წისქვილი ყოფილა.<sup>3</sup> ახალგორის წისქვილებიდან შემოსავალს ქსნის ერისთავები იღებდნენ, ხოლო ქსნის საერისთაოს გაუქმების შემდეგ აქ არსებული წისქვილები მარიამ დედოფლის საკუთრება გახდა, რასაც ადასტურებს 1801-1806 წლების დედოფლის შემოსავლის ნუსხა ქართლიდან.<sup>4</sup> ახალგორში წისქვილების არსებობა დასტურდება ასევე 1804 წლის რუ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 275.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 51.

<sup>3</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 424.

<sup>4</sup> ახლოური დ., ახალგორის ისტორია, თბ., 2006, გვ. 132.

სული აღწერითაც.<sup>1</sup> გიულდენშტედტს დაუთვალიერებია ახალგორის შემოგარენი, რომლის შესახებაც წერს: „პატარა მწვერვალები ახალგორის, ქსოვრისის გარშემო და, საერთოდ, ქსანსა და არაგვს შორის, შესდგებიან კირქვის ბრექჩი-საგან და ნაწილობრივ აგრეთვე მერგელის რიყის ქვებისაგან, რომლებიც გამაგრებულ თიხაშია ჩამსხდარი... ქსანზე, ახალგორიდან ლარგვისამდე ზემოთ (დაახლ. 20 ვერსი) არის უფრო სუფთა, მოთეთრო, ნაწილობრივ ფიქალისებრი კირქვა, რომელიც ქსანს უქმნის უმეტესად მხოლოდ ვიწრო, ღრმა ციცაბო ხეობას“.<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობის დროს აღმოსავლეთ საქართველოში ლეკთა თავდასხები ძალზე გახშირებული იყო.<sup>3</sup> მოგზაური აღნიშნავს, რომ ახალგორში მან შეიტყო ლეკთა მიერ მუხრანის გაძარცვა. ის ერთგან მიუთითებს, რომ ქვეყანაში დაღესტნელების გახშირებული თავდასხმების გამო ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II საკუთარ სამეფოში 1000 - კაციანი რაზმით გადაადგილდებოდა. ახალგორიდან გიულდენშტედტი დასავლეთ საქართველოში აპირებდა წასვლას. იმერეთამდე იგი ქსნის ერისთავს უნდა გაეცილებინა.<sup>4</sup> მოგზაური ახალგორიდან ქსნის ხეობაში არსებული გზით პატარა ლიახვის ხეობაში გადავიდა (უკან დაბრუნებისას მან ისევ ამ გზით ისარგებლა),<sup>5</sup> აქედან კი ცხინვალში ჩავიდა. „ერეკლეიდან\* გადაუსხვით დასავლეთით და 1 საათ-

<sup>1</sup> სოსიაშვილი გ., ახალგორის მოსახლეობა XIX საუკუნის დასაწყისში, გორის უნივერსიტეტი, II საერთაშორისო კონფერენცია, გორი, 2009, გვ. 251.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 29.

<sup>3</sup> ალიმბარაშვილი ი., ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011;

<sup>4</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, დასახ. ნამრობი, გვ. 145.

<sup>5</sup> სოსიაშვილი გ., გზები პატარა ლიახვის ხეობაში, უკან. „აღმოსავლეთი და კავკასია”, №5, 2007, გვ. 94.

ში, მთისძირას მდებარე სოფლების არგვისის და ფრისის გავლით, მოვედით ქრცხინვალში, სადაც დავბანაკდით. ეს ადგილი მდებარეობს დიდი ლიახვის მარცხნა ნაპირას, მისი ეკლესია კი დგას მარჯვენა ნაპირზე<sup>1</sup>. ცხინვალს მოგზაური დაბად მოიხსენიებს: „შიდა ქართლის მთავარი ქალაქია გორი და მის მახლობლად მნიშვნელოვანი ადგილია (დაბაა) ქრცხინვალი“.<sup>2</sup> სიტყვა „მნიშვნელოვანი“ აქ შემთხვევით არ გვხვდება. გიულდენშტედტი ცხინვალთან მიმართებაში სხვა ადგილზეც იყენებს ამ სიტყვას. ცხინვალს იგი შიდა ქართლში არსებულ „მნიშვნელოვან ადგილს“ უწოდებს და გორსა და სურამს ადარებს: „რაც შეეხება მოსახლეობას და მის მცირერიცხოვნებას (საუბარია შიდა ქართლზე – გ.ს.), განადგურებათა მრავალ კვალს და მცირედ მოშენებულობას, ამაშიც მთლიანად კახეთს ემსგავსება. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილებია – გორი, ქრცხინვალი და სურამი“.<sup>3</sup> ლიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებულ სოფლებზე საუბრისას გიულდენშტედტი ცხინვალს ქალაქად იხსენიებს: „ქართული მხარე მაღრან-დვალეთი და მეჯვრისხევი მთიანეთის ძირში, რომლებსაც ეკუთვნიან შემდეგი, არა ყველა ქართველებით დასახლებული სოფლები ლიახვის ქვემო დინებაზე, რომელთაც მე ზუსტად ვერ გადმოგცემთ: ამ სოფლებში მოხსენიებული აქვს ქრცხინვალი, ოსურად კრება, რომელსაც ქალაქად სთვლიან“.<sup>4</sup> სიტყვა „კრება“, მოგზაურს, როგორც ჩანს,

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 175. პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფელი, მდებარეობს ცხინვალიდნ 7 კმ-ის დამორჩეთით. იხ. სოსიაშვილი გ., ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 109.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 267.

<sup>3</sup> იქვე გვ. 279.

არასწორად ჩაუწერია ლიახვის ხეობაში ჩამოსახლებული ოსებისაგან. ოსები ცხინვალს „ჭრებას“ უწოდებენ, რაც კი-ლევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ეს სახელი ცხინვალს ჩამოსახლების შემდეგ უწოდეს ოსებმა. ქართლის თავადებიდან მოგზაური ცხინვალში ასახელებს თაქთაქიშვილებს, ხოლო დღიდი ლიახვის ხეობაში – მაჩაბლებს.<sup>1</sup> გიულდენშტედტი ცხინვალში რამდენიმე დღეს გაჩერდა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მას იმერეთის მეფესთან, ვიდრე ის დასავლეთ საქართველოში გაემგზავრებოდა, ორი შიგრიკი გაუგზავნია და სოლომონ I-თან წერილი გაუტანებია.<sup>2</sup> ცხინვალში ყოვნის დროს მას თავის მხლებელთა ცხენებისთვის ნალები შეუძნია: „ქრცხინვალში 48 ნალში გადავისადე ცხრა მანეთი და სამოცი კაპიკი“.<sup>3</sup> საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისათვის გაგზავნილ მოხსენებაში გიულდენშტედტი ცხინვალში ციხეს იხსენიებს: „1772 წლის 3 აგვისტოს გავიარე 30 ვერსი დასავლეთით შუა ალპების თხემზე და დავეშვი ხეობაში, რომელშიც პატარა ლიახვი მიედინება. მას დავყევი 30 ვერსის მანძილზე ქვევით ან სამხრეთით, გავიარე ქართული ციხეები – აწრისხევი, ბელოთი და ერედვი და იქიდან გავუხვიე ქრცხინვალის ციხისკენ, რომელიც დიდ ლიახვზე ძევს“.<sup>4</sup> ციხე-სიმაგრე ქალაქს მნიშვნელოვნად იცავდა, როგორც ირანელების, ისე ლეგების შემოსევების დროს.<sup>5</sup> ერთი პერიოდი ცხინვალის ციხეში რუსი ჯარი ჩადგა. ეს უკავშირდება საქართველოში გენერალ ჭოტლებენის შემოსვლას, რაზეც ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითებდით. ამასთან დაკავშირე-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 227.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 257.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 153.

<sup>5</sup> ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986, გვ. 381.

ბით ჩვენ მიერ მოყვანილ დე გრაი დე ფუას ცნობას ავსებს გიულდენშტედტიც. იგი აღნიშნავს, რომ ტოტლებენს თავისი რაზმები ქართლის რამდენიმე ციხეში ჰყავდა, მათ შორის ცხინვალში.<sup>1</sup> მისი ცნობით, ტოტლებენი თბილისიდან ცხინვალში ერეკლესთან ერთად ჩასულა. „ამ მხარეში თერგზე კობთან, პატარა ველზე, რომელსაც ქართველები ადოს მინდორს უწოდებენ შეხვდა მას (ტოტლებენს – გ.ს.) ერეკლე მეფე, აქედან გრაფი მეფესთან ერთად წავიდა თბილისში და ქრცხინვალში, სადაც სოლომონ მეფეც მივიდა“.<sup>2</sup> მოგზაური ცხინვალში მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე არსებულ ეკლესიას იხსენიებს, რომელიც, ჩვენი აზრით, ზღუდრის გორაზე არსებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია უნდა იყოს. იგი აგებულია XVII საუკუნეში. მასზე დატანებულია ორი ასომთავრული წარწერა, ერთ წარწერაში მოხსენიებულია მარიამ დედოფალი (დადიანი), როსტომ მეფის მეუღლე (XVII ს.), ხოლო მეორე წარწერაში კი ვინმე მიქაელი და იოანე.<sup>3</sup> გერმანელი მოგზაურის ჩანაწერიდან ჩანს, რომ იგი ცხინვალამდე დავით ქსნის ერისთავმა მიაცილა და აქედან

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 227.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 225. ჩვენი აზრით, აქ გიულდენშტედტი ცდება, რადგან ტოტლებენის ადიუტანტი დე ფუა გრაფის ერეკლესთან ერთად ცხინვალში ჩასვლაზე არაფერს გადმოგვცემს.

აღსანიშნავია, რომ ის ცხინვალს მდ. დიდი ლიახვის მარცხნა მხარეს იხსენიებს, ხოლო ეკლესიას კი მარჯვენა მხარეს, როგორც ჩანს, გიულდენშტედტი ქალაქს მდინარის დინების საწინააღმდეგო მხრიდან აღწერს. ზღუდრის წმინდა გიორგის ეკლესია ი. მეგრელიძეს მოხსენიებული აქვს მდ. ლიახვის მარცხნა მხარეს, რაც სავსებით სწორია. მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1983, გვ. 167.

<sup>3</sup> შიდა ქართლი, I, პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მეტვიდრეობა (ცხინვალის რაიონი), 1981-1983 წლების ექსპედიციის მასალები, თბ., 2002, გვ. 222.

იმერეთში ოს მამასახლისთან ერთად გაისტუმრა. ამის შესახებ გიულდენშტედტი მოგვითხრობს: „მან ჩემი თავი გადააბარა ოს მამასახლისს გუფთიდან და გამატანა წერილი ონში მმართველ თავად გიორგი ჯავარიძესთან“.<sup>1</sup> მოგზაური დიდი ლიახვის ხეობიდან თანმხლებ რაზმთან ერთად ფაწის ხეობაში გადავიდა. გზად მიმავალი, ფაწის მარცხენა ნაპირზე იხსენიებს სოფლებს: გვერწერს, კოლალტოს. კოლალტოსთან მოგზაურის რაზმი ზიდზე გადასულა და გაუვლია სოფელი ტამუტა, შემდეგ წახო, რომელიც ფაწის დასავლეთ მხარეზე მდებარეობდა. აქ უნახავს ციხე, რომელსაც, მისი ინფორმაციით, თავადი მაჩაბელი საზაფხულო სადგომად იყენებდა. წახოდან მოგზაური ჩავიდა მდ. ყვირილას სათავეში არსებულ სოფელ წონაში.<sup>2</sup> გზა, რომლითაც ცხინვალიდან რაჭაში გადასასვლელად ისარგებლა გიულდენშტედტმა, იმ დროისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო. გიულდენშტედტი აღნიშნულ გზას ეხება მოკლე მიმოხილვაში, რომელიც მან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ დაწერა. ის აღნიშნავს, რომ 1768 წელს ლეიტანტი ფაბულოვი (გიულდენშტედტის ტექსტის მთარგმნელი და გამომცემელი, გ. გელაშვილი მას აიგივებს ხვაბულოვთან, იმავე ქობულაშვილთან) დიდი ლიახვის ხეობაში, ცხინვალამდე არდონის ხეობიდან ნარის გავლით გადმოსულა, აქედან კი ჯაუკომის (ჯავის)

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 103.

<sup>2</sup> იქვე. როგორც ჩანს, ქსნის ერისთავებს ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ოსებთან გარევეული კავშირი ჰქონდათ. ცნობილია, რომ მათ მაღრანდვალეთზე (დიდი ლიახვის ხეობის ზედა ნაწილი) მიუწვდებოდათ სელი, რაც 1804 წლის ერთი საბუთითაც დასტურდება. იხ. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 75.

გავლით რაჭაში წასულა სოლომონ I შესახვედრად.<sup>1</sup> ეს გზა უფრო მოგვიანებითაც გამოიყენებოდა. სწორედ ამ გზით ის-არგებლა სოლომონ II, როდესაც იგი პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ, სოფ. ვანათში გადმოვიდა იმერეთიდან და მთავარმართებელ ტორმასოეს შეხვდა.<sup>2</sup> პატარა ლიახვის ხეობიდან იმერეთში გადასასვლელ გზას იხსენიებს იულონ ერეკლეს ძის მწიგნობარი იოანე ქართველიშვილი. მისი ცნობით, იულონ ბატონიშვილი ამ გზით გაიხიზნა იმერეთში, როდესაც მის წინააღმდეგ დავით გიორგის ძე ბატონიშვილი პატარა ლიახვის ხეობაში აპირებდა შეჭრას.<sup>3</sup> გიულდენტედტი ლიახვის ხეობაში სხვა გზებსაც ასახელებს, მათ შორის, სტეფანწმინდასთან დამაკავშირებელ გზას: „სტეფანწმინდიდან მიდის ჩვეულებრივი გზა ქუთაისში, ლარგვისის მონასტერზე გავლით (ქსანზე). დაახლოებით – 93 ვერსი. ქრცხინვალამდე დიდ ლიახვზე – 50 ვერსი“.<sup>4</sup> აქ არ ჩანს ამ გზის ზუსტი მარშრუტი, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული სხვა წყაროებით შესაძლებელია სტეფანწმინდიდან ლიახვის ხეობაში გადმომავალი გზის დადგენა. ამ გზით უსარგებლია XIX საუკუნის 80-იან წლებში გაზ. „დროების“ კორესპონდენტს გიორგი ლიახველს (ჩოჩიშვილს), სტეფანწმინდიდან იგი პატარა ლიახვის ხეობაში, სოფელ ვანათში ჩავიდა.<sup>5</sup> სტეფანწმინდიდან გზა პატარა ლიახვის ხეობას უკავშირდებოდა, აქედან კი შე-

<sup>1</sup> გიულდენტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 223.

<sup>2</sup> მაკალათია ს., ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 57.

<sup>3</sup> ქართველიშვილი იოანე, მემუარები, ავთ. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1952, გვ. 86.

<sup>4</sup> გიულდენტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 5.

<sup>5</sup> სოსიაშვილი გ., გზები პატარა ლიახვის ხეობაში, ჟურნ. აღმოსავლეთი და კავკასია, № 5, 2007, გვ. 94.

საძლებელი იყო როგორც ქსნის, ისე დიდი ლიახვის ხეობებში გადასვლა. როგორც გიულდენშტედტი მიუთითებს, ლიახვის ხეობას გზა აკავშირებდა არაგვის ხეობასთანაც. ამ გზას ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილი მმარცველი ლეკებიც იყენებდნენ. „ოლტოზის ახლოს ქსანსა და ნარეკვას შორის, მიდის ჩვეულებრივი გზა ლეკებისა, რითაც ისინი არაგვიდან, მჭადისჯვარზე გავლით, მიღიან მთით ლამისყანამდე და ქრცხინვალამდე“.<sup>1</sup> რაჭაში, კერძოდ, სოფელ სხარტალში გიულდენშტედტი იმერეთის მეფეს, სოლომონ I შეხვდა. როგორც თვითონ აღნიშნავს, აქედან მას ცხინვალში მყოფ რუსეთის საქმეთა ოწმუნებულ ლვოვისათვის წერილი გაუგზვნია: „სხარტალიდან ქრცხინვალში ბ-ნ ლვოვთან მე-27 მოხსენებით გაგზავნილ შიკრიკს მივეცი ექვსი მანეთი“.<sup>2</sup> მისი ინფორმაციით, ცხინვალში ლვოვთან ერთად ყოფილა ერეკლე II: „2 და 3 აგვისტო, ჩემი გამყოლებისა და ცხენების დასვენების მიზნით, გავატარე სამეფო ბანაკში, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისთვის დავწერე რაპორტი, რომელიც მე გავუგზავნე ქრცხინვალში რუსეთის საქმეთა ოწმუნებულს ლვოვს, სადაც ის უნდა ყოფილიყო მეფე ერეკლესთან ერთად“.<sup>3</sup> იმერეთიდან გერმანელი მოგზაური სოლომონ I გამოყოლილი 300 - კაციანი დაცვით (სურამის და შემდეგ სოფ. დირბის გავლით), ცხინვალში ჩავიდა. აქედან ქსნის ხეობაში, კერძოდ, ლარგვისში გადავიდა, სადაც მას ექსპედიციის დანარჩენი წევრები ელოდებოდნენ. მცირე ხნის შემდეგ მოგ-

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 53.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 259.

<sup>3</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 127.

ზაური ლომისის, მღეთის და თერგის ხეობის გავლით ჩრდილოეთ კავკასიისაკენ გაემართა.<sup>1</sup> ცხინვალის და ახალგორის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა გერმანელმა მოგზაურმა ედუარდ აიხვალდმა. იგი კავკასიაში 1825-1826 წ.წ. იმყოფებოდა. მისი თხზულება, რომელიც კავკასიას ეხება, ძალზე ძვირფას მასალას შეიცავს XIX საუკუნის I მესამედის ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესასწავლად. 1826 წლის 5 აპრილს აიხვალდი თბილისში ჩამოვიდა. აქედან მან ორი ექსპედიცია მოაწყო. აპრილ-მაისში მან დასავლეთ საქართველო მოინახულა, შემდეგ კვლავ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა. სურამის გავლით ჩავიდა გორში, ხოლო გორიდან კი ცხინვალში გაემართა: „9 საათზე ჩავედი გორში, მივედი მხარის უფროსთან, მაიორ პეტროვთან, დავისვენე რამდენიმე საათი, ხოლო საღამოსკენ მასთან ერთად ცხინვალში წავედი, რომელიც მდებარეობს აქედან 30 ვერსზე ოსეთის მთებში“.<sup>2</sup> ეჭვს გარეშეა, რომ ამ ადგილას გერმანელი მოგზაური „ოსეთის მთებს“ პირობითად იყენებს. გორიდან 30 ვერსის ანუ 48 კმ-ის მანძილზე დიდი ლიახვის ხეობის სოფლებია (კეხვი, აჩბეთი, ქემერტი, ძარწემი, სვერი), რომლებიც ედუარდ აიხვალდის მოგზაურობის დროს ქართლის ერთ-ერთ სათავადოში – სამაჩაბლოში შედიოდა. ოსეთის მთების ასე ახლოს „გაღმოტანა“ გერმანელი მოგზაურის მიერ განპირობებული უნდა იყოს შიდა ქართლში ჩამოსახლებული ოსების შიდა-მიგრაციული პროცესების ზედაპირული შეფასებით. როგორც რ. თოფჩიშვილი მიუთითებს: „XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში მათი (ოსები – გ.ს.) განსახლების ად-

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 157.

<sup>2</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და სამიებლები დაურთო გა გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 229.

გილები ძირითადად მთიანი ზოლი იყო და არსად ის მთის-წინა ზოლშიც კი არ ჩამოდიოდა<sup>1</sup>. მკვლევრის შეხედულებით, 1814 წლის შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის მასალებზე დაყრდნობით, ოსები დიდი ლიახვის ხეობაში განსახლებული იყვნენ გუფთის ზემოთ.<sup>2</sup> ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1804 წლის რუსული აღწერის მიხედვით, ცხინვალში მცხოვრები 180 კომლიდან (რუსულ აღწერაში შეცდომით არის დაანგარიშებული და მიწერილია 182 კომლი), სულ 12 კომლი ოსი იყო.<sup>3</sup> ედუარდ აიხვალდის ცნობით, დიდი ლიახვის ხეობაში ჩამოსახლებული ოსები თავს ესხმოდნენ და ძარცვადნენ ქალაქ გორის მოსახლეობას: გორიდან 30-ოდე ვერსზე ჩრდილოეთით, ცხინვალის იქითა მხარეს, მთებში ოსები ცხოვრობენ. ახლა მათ ქალაქის მოსახლეობასთან ზავი და მშვიდობა აქვთ, რომლებსაც ადრე გაუთავებლად ძარცვადნენ<sup>4</sup>. მოგზაურის ინფორმაციით, ოსები იმდროისათვის მშვიდად ცხოვრობდნენ და რუსეთის ქვეშერდომები იყვნენ. ედუარდ აიხვალდის ცნობით, ცხინვალს იმდროისათვის სოფლის სტატუსი პქონდა და იგი გორის მაზრის ყველაზე დიდ სოფლად ითვლებოდა, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს ქართველები და სომხები შეადგენდნენ. მათთან ერთად ცხინვალში ცხოვრობდა 30 კომლი ებრაელი და რამდენიმე კომლი ოსი: „წინათ მოინდომეს ცხინვალის ქალაქად გადაქცევა, რადგან ის ყველაზე დიდი სოფელია გორის მაზრაში, მაგრამ თვით მცხოვრებლებმა მოისურვეს თავიანთ ძველ მდგომარეობაში – როგორც სოფელში, დარჩენილიყვნენ; რა თქმა უნდა, ისინი დატოვეს თავისაზე, მაგრამ

<sup>1</sup> თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოსტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 148.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 169.

<sup>3</sup> სცსა, ფონდი 254, № 58, გვ. 14-16.

<sup>4</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 116.

ახლა ნანობენ ამას და ბევრჯერ სცადეს მაღალ ინსტანციებში საქალაქო წყობილების მიღება, მაგრამ უშედეგოდ. ცხინვალში მაშინ 200-მდე სახლი იყო, უმეტესად ქართველებითა და სომხებით დასახლებული. სოფელში, გარდა 30 ებრაული ოჯახისა, ცხოვრობს აგრეთვე 3-5 ოსური კომლი<sup>1</sup> მოგზაური აღწერს ცხინვალის ჰავასაც: „ჰაერი ცხინვალში საოცრად გრილი უნდა იყოს, რაც უეჭველად მთებიდან მომდინარეობს. ზევებიდან, სადაც თოვლი დიდხანს ძევს გამუდმებით უბერავს ცივი ქარი; ამიტომაც ზაფხულობით არასდროს თბილა; უცხოელს ზაფხულშიც კი სითბო ძალზე ზომიერი ეჩვენება“<sup>2</sup>. აიხვალდი გარკვეულ ადგილს უთმობს ცხინვალელ ებრაელთა ცხოვრების აღწერას. მათ თავიანთი სინაგოგაც ჰქონიათ, სადაც რაბინი მსახურობდა. აიხვალდი წერს: „ებრაელები ერთმანეთში ქართულად ლაპარაკობენ და ჰყავთ რაბინი, რომელიც მათ თავიანთ სინაგოგაში თალმუდს უკითხავს. აქ თავიანთი წესიერებით ყველა სომხებისგან გამოირჩევიან უმთავრესად ექვსი ებრაელი, მები ერთი ოჯახიდან, ერთად აქვთ ქონება 20000 ვერცხლის მანეთისა. საერთოდ ებრაელები ქართველებისა და სომხებივით იგივე გადასახადებს იხდიან; წინათ ზოგიერთ ებრაელს ჰყავდა ებრაული წარმოშობის ყმები, ახლა ყველანი ტახტის ქვეშევრდომები არიან და უხდიან მას იგივე გადასახადს. სომხები აქ, ისევე როგორც საქართველოს ყველა ქალაქში, ცხოვრობენ ვაჭრობით და ქალაქებში ქართველებზე მრავალრიცხოვანი არიან“<sup>3</sup>. ებრაელ და სომებ ვაჭრებს ცხინვალსა და მის შემოგარენ სოფლებში სამაოდ წარმატებული ვაჭრობა ჰქონდათ. ისინი ადგილობრივი მოსახლეობისგან გირაოს სახით სახნავ-სათეს

<sup>1</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 235.

<sup>2</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 239.

<sup>3</sup> იქვე გვ. 235.

მიწებს იღებდნენ და მათზე სესხებს გასცემდნენ.<sup>1</sup> ცხინვალში მცხოვრებ ებრაელ ვაჭრებს გაცილებით დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობაში, ვიდრე სომხებს. აიხ-ვალდის ცნობით, ეს გამოწვეული იყო ებრაელთა სამართლი-ანობით.<sup>2</sup> შიდა ქართლში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ოსების მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-რევაზე გერმანელ მოგზაურს საკმაოდ ბევრი ინფორმაცია ჰქონდა. ამის შესახებ იგი წერდა: „ამჟამად ოსები ლაგა-მამოდებულნი არიან მხოლოდ აქაური სამხედრო ძალის სა-შუალებით, რომელთაც ყველგან უდგათ საგუშაგოები. წინათ ოსები ძალზე ხშირად დიდ ჯგუფებად მოულოდნელად გა-მოცვიდებოდნენ მთის ხევებიდან, იჭრებოდნენ სოფელში (ცხინვალში – გ.ს.) აწიოკებდნენ და ძარცვავდნენ, რაც კი ხელთ მოხვდებოდათ. ახლა კი სოფელში (იგულისხმება ცხინვალი – გ.ს.) საკმაო სიმშვიდეა, რადგან სამხედრო ძა-ლა ყველთვის ფეხზე“.<sup>3</sup> მთებში მცხოვრები ოსები ცხინ-ვალში მხოლოდ სავაჭროდ ჩადიოდნენ: „ისინი არიან მშვიდ-ნი, თავს რუსეთის ქვეშვრდომებად თვლიან და თავის მთებს იშვიათად სტოვებზე, თუ არ ჩავთვლით ცხინვალში ჩასვლას იქ რაიმეს შესაძნად ან გასაყიდად“.<sup>4</sup> გერმანელი მოგზაურის ტექსტიდან სრულიად ნათლად ჩანს, რომ ოსები „წინათ“ ცხინვალში არ ცხოვრობდნენ. ისინი მთებში სახლობდნენ და დროდადრო ცხინვალის მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვით ირჩენდნენ თავს. გერმანელი მოგზაურის ცხინვალში ყოფნის დროს ოსები რუსული სამხედრო ძალების იქ ყოფნის გამო იკავებდნენ თავს ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროები-

<sup>1</sup> გაზ. დროუბა, 1867, №42, გვ. 4;

<sup>2</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 231.

<sup>3</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 235.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 244.

საგან. რუსეთის ხელისუფლება საქართველოში ჩამოსახლებული ოსების გასაქრისტიანებლად და მათზე სარწმუნოებრივი გავლენის გასავრცელებლად გარკვეულ ფულს ხარჯავდა. გაქრისტიანების შემთხვევაში ხელისუფლება ოსებს ფულად გასამრჯელოს ურიგებდა: „ხელსუფლება ოსების გასაქრისტიანებლად გარკვეულ ფულად სახსრებს ხარჯავდა. თითოეული მოსანათლი ერთ ვერცხლის მანეთს და ერთ წყრთა ტილოს საპერანგეს იღებდა“.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ოსების გასაქრისტიანებლად ძალ-ღონეს არ იშურებდა, ოს მოსახლეობაში ქრისტიანული რელიგია მაინც ძნელად ვრცელდებოდა.<sup>2</sup> აიხვალდის ცნობით, ცხინვალსა და მის შემოგარენში მყოფი ოსების გაქრიტიანება ცხინვალის ეკლესიაში ხდებოდა. იგი წერს: „ცხინვალის ქართულ ეკლესიაში ნახეს, რომ ღვთისმსახურების დროს თვით მღვდლები ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს და რის გამო? ყველა მათგანს სურდა მიეთვისებინა ვერცხლის მანეთი; ხანდახან ის გადაიზრდებოდა ხელჩართულ ჩხუბში; ზოგჯერ ერთი ან მეორე ასევე ღვთისმსახურების შემდეგ ქუჩაში წოლილა მთვრალი“.<sup>3</sup> ცხინვალთან ახლოს დასახლებული ოსები რუსული გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულები. როგორც ჩანს, ამ დროს ცხინვალში რუსის ჯარი იდგა და დიდი ლიახვის ხეობის ზემო წელზე მცხოვრები ოსები მათთან საგაჭრო ურთიერთობაში იყვნენ ჩაბმულნი, რუს ჯარისკაცებზე ჰყიდდნენ სხვადასხვა სახის პროდუქტს: „ცხინვალის ახლოს ოსები უფრო მშვიდად ცხოვრობენ, რადგან, როგორც რუსების ქვეშევრდომები, რუსთაგან მოგებას ნახულობენ და მათ ყოველი

<sup>1</sup> ეღუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 237.

<sup>2</sup> სოსიაშვილი გ., გზები პატარა ლიახვის ხეობაში, ქურნ. აღმოსავლეთი და კავკასია, №5, 2007, გვ. 43.

<sup>3</sup> ეღუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 238.

სახის სურსათ-სანოვაგეს მიჰყიდიან, როგორიცაა ცხვრები, ხბოები, ყველი, კარაქი და ა. შ. მაგრამ ამავე დროს მათ ცხინვალის ბაზარზე სომხები ხშირად ატყუებენ“<sup>1</sup> სომეხი გადამყიდველების მიერ მთიდან ჩამოსული ოსების მოტყუების ფაქტებს უფრო მოგვიანებითაც ჰქონდა აღვილი. ცხინვალი ამ დროს მნიშვნელოვანი საგაჭრო ცენტრი იყო, სადაც თავს იყრიდნენ დიდი და პატარა ლიახვის ხეობებიდან სავაჭროდ ჩამოსული ოსები<sup>2</sup> აიხვალდის ცნობით, მოუხედავად იმისა, რომ ცხინვალის ბაზარზე ოსებს გადამყიდველი სომხები ატყუებდნენ, „ოსები ამას ყურადღებას არ აქცევენ, ოღონდაც მიიღონ საქონელი, რომელთა შეძენა ცხინვალის გარდა არ-სად შეუძლიათ“<sup>3</sup> აიხვალდის ცნობით, წელიწადში ორჯერ ეწყობა ცხინვალში დიდი ბაზრობა ძველი ეკლესიის გვერდით ფართე, დიდ მოედანზე, სადაც ყოველი მხრიდან მოდიან მყიდველები და გამყიდველები. ჩემი მოსკლის წინა დღეს, კვირას იყო ასეთი წლიური ბაზრობა გამართული. მრავალი ოსი იყო ახლო თუ შორი მთებიდან სოფელში ჩამოსული. თვით ეკლესია ერთ ამაღლებაზე დგას სოფლიდან ორიოდ ვერსზე; ქართველები მის შესახებ ჰყვებიან, რომ ადრე საუკუნეებში აქ შენახული იყო წმინდა გიორგის კბილი, რომელიც ოსებმა იქიდან მოიპარეს. სხვა მხრივ პატარა ეკლესია უმნიშვნელოა და საკმაოდ მოძველებული“<sup>4</sup> ეკლესია, რომელსაც აიხვალდი იხსენიებს, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ზღუდრის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელზეც ზემოთ უკ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 234.

<sup>2</sup> სოსიაშვილი გ., სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005, გვ. 92

<sup>3</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გრა გელაშვილმა, თბ., 2005, გვ.234. როგორც აღვნიშნეთ, ამ გზის მნიშვნელობის შესახებ ჯერ კიდევ იაკობ რაინეგსმა მიაწოდა რუსეთის ხელისუფლებას ინფორმაცია.

<sup>4</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გრა გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 234.

ვე გვქონდა საუბარი. აიხვალდის ცნობას ცხინვალში წლის განმავლობაში ორჯერ გამართული ბაზრობის შესახებ ადასტურებს გაზ. „დროების“ კორესპონდენტი ი. ეფემიაშვილი.<sup>1</sup> მ. ცოტნიაშვილი აღნიშნავს, რომ ცხინვალის ბაზრობას „ზღუდრობა“ ერქვა, რომელიც მაისის თვის პირველი კვირიდან იწყებოდა და მომდევნო ორ კვირა დღეს გრძელდებოდა.<sup>2</sup> გამორჩეული მდებარეობის გამო ცხინვალი რუსული ხელი-სუფლების ყურადღების ცენტრში მოექცა და აქედან ჩრდილოეთ კავკასიაში გზის გადაყვანა დღის წესრიგში დადგა.\* ედუარდ აიხვალდის ცნობით, გენერალ ერმოლოვს სურდა, რომ სამხედრო გზისთვის მიმართულება შეეცვალა. ტფილი-სიდან კობზე გავლით გზა გადადიოდა ვლადიკავკაზში და რადგან ამ გზის მოვლა ძალზე ძვირი ჯდებოდა (ყოველწლიურად მის შესაკეთებლად იხარჯებოდა 30000 ვერცხლის მანეთი), ამიტომ ხელისუფლების ინიციატივით გზას უნდა გაევლო შემდეგი მიმართულებით: თბილისიდან გორზე, შემდეგ კი ცხინვალიდან ონში, რაჭიდან კავკასიონზე ეკატერინოვრა-დამდე. 1824 წელს კავკასიის კორპუსის ერთი ქვედანაყოფი ცხინვალიდან ონისკენ გაემართა. მათი მიზანი კავკასიონზე გადასვლა და მოზღოვები მყოფ ერმოლოვთან შეხვედრა იყო. თუმცა, როგორც აიხვალდი წერს: „მაგრამ გაუთვალსწინებელმა გარემოებამ ის დიდხანს დააყოვნა მოზღოვები და არ მიეცა ამ ქვეგანაყოფთან შეხვედრის საშუალება. ამდენად ამ წელს ეს ცდა განუხორციელებელი დარჩა. ხოლო მომდევნო წელს მოხდა ჩეჩენების აჯანყება, რის გამოც აღნიშნულ გზაზე აღარ უფიქრიათ“.<sup>3</sup>

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპელ მოგზაურთა ცნობები მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ცხინ-

<sup>1</sup> გაზ. დროება, 1867, №42, გვ. 3;

<sup>2</sup> ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986, გვ. 155.

<sup>3</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 237.

ვალისა და ახალგორის შესახებ. მათი ანალიზი დღეისათვის  
ოკუპირებული ქართული ქალაქების ობიექტური ისტორიის  
აღდგენის შესაძლებლობას იძლევა.

*Giorgi Sosiašvili*

*Gori State Teaching University, Full Professor*

**TSKHINVALI AND AKHALGORI ACCORDING  
TO THE REFERENCES OF EUROPEAN TRAVELERS**  
(At the end of XVIII century and I quarter of XIX century)  
**RESUME**

The Russia - Georgia war of August 2008 is the heaviest event in the newest history of our country. As how this fact should be evaluated as by military or political points of view, what kind of conclusions should be put down by the United Nations Organization, European Union or Council of Europe one thing is clear that Russia carried out military aggression against an independent country which was planned a long time ago and aimed to form a military-political springboard of Russia in the Central Caucasus. Tskinval and Akhalgori and also many Georgian villages with them according to the current situation are occupied and considered as the cities of "Republic of South Ossetia". During the centuries the mentioned cities fulfilled a great role in national, economic or cultural life of our country. As Georgian as foreign historical sources give us valuable information about them. This time the object of our interest represents European travelers' records, they were: De Grai De Pua, Jacob Reineggs, Johann Anton Güldenstädt, Eduard Eichwald. They visited to Tskhinvali and Akhalgori in the II half of XVIII century and at the beginning of XIX century and left us the most important information about as outward appearance of the mentioned settlements also about ethnical composition of population, their social condition, economic activities.

**კახაბერ ქემულაძე**

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასისტენტ-პროფესორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი**

**ივორ კაკულია**

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის დოქტორანტი**

## **XI-XII საუკუნეების საქართველოს საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის კონტურები თანამედროვე გეოსტრატეგიის ჭრილში**

საქართველოს უდიდესი მეფე-მხედართმთავრის - დავით IV აღმაშენებლისა (1089-1125 წწ.) და მისი აღმზრდელის - გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის პოლიტიკური მოღვაწეობა იმთავითვე სამი მიმართულებით წარიმართა - რელიგიურ-კულ-ტურული მთლიანობის, ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული ერთიანობის აღდგენის კუთხით. ისინი აქტიურად იბრძოდნენ არაბთა და თურქთა მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის ქართულ სივრცეში დასაბრუნებლად.

პოლიტიკურ მოვლენებში ზუსტი ორიენტირებით შესაძლებელი გახდა ერთს სასიცოცხლო ნიშან-თვისების - ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რაც საბოლოოდ (გიორგი ჭყონდიდელის გარდაცვალების შემდეგ) 1121 წელს დიდგორის ველზე თურქ-სელჩუკებთან გამართული ბრძოლითა და ქართველთა „ძლევა საკვირველით“ დაგვირგვინდა.

წინამდებარე სტატიაში შევეხებით დავითისა და გიორგის ეპოქის საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ისტორიას თანამედროვე გეოსტრატეგიის ჭრილში.

„სახლის სახლს შეერთებას“, დღევანდელი გაგებით - საერთო-კავკასიური „სახლის“ შექმნას, კავკასიის ხალხთა პოლიტიკურ-კულტურულ თანამეგობრობას ითვალისწინებდა ჩრდი-

ლოეთ კავკასიის ხელისუფლებასთან გამართული აქტიური და მნიშვნელოვანი მოლაპარაკება, რომელსაც ყივჩაღთა 4000 ოჯახის საქართველოში ჩამოსახლებისა და სასაზღვრო-სანაპირო ზოლში განსახლებისათვის ხელშეწყობის მიზნით, მეფე დავითის დავალებით და მასთან ერთად, სწორედ გიორგი მწიგნობართუებუ-ცეს-ჭყონდიდელი აწარმოებდა.

დავითის მეორე ცოლი, გურანდუხტ დედოფალი, ყივჩაღთა მთავრის - ათრაქა შარალანისძის ასული იყო. ქართველი მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს ქორწინებაც პოლიტიკური ნიშნით იყო ნაკარნახევი. ასეთი ახლობლობა ერთ-ერთ ხელშეწყობ ფაქტორს წარმოადგენდა ყივჩაღებთან პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესებისა და საერთო-პოლიტიკური ენის გამონახვის საქმეში.

ყივჩაღთა ჩამოსახლებას სამხედრო რეფორმა ითვალისწინებდა - საჭირო იყო ძლიერი ჯარის შექმნა, რომელშიც გაერთიანდებოდნენ „რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი“ სპანი, რომელთა დახმარებით შესაძლებელი გახდებოდა ქვეყნის მომხდურთაგან დაცვა. ყივჩაღთა ყოველ ოჯახს თითო მოლაშქრის გამოყვანა ევალებოდა.<sup>1</sup> წინა აზიის ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო - საქართველო, XI საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული, როცა ახლოაღმოსავლურ ქრისტიანულ ქვეყანასთან - ბიზანტიასთან (დედაქალაქი კონსტანტინოპოლი, „მეორე რომი“), აგრეთვე იმდროინდელ კავკასიასთან, რუსეთთან და ეგვიპტესთან ერთად, ეთნიკურად და ყოფა-ცხოვრების წესით მნიშვნელოვნად განსხვავებული ისლამურ-თურქული გარემოცვის მხრიდან დაპყრობისა და გადაგვარება-გათურქების რეალური საფრთხის წინაშე პირისპირ აღმოჩნდა, გეოპოლიტიკური სტაბილიზაციის აღდგენას და ამ ნაბიჯით ეთნო-

1 ლორთქიფანიძე მ., საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში, დავით IV აღმაშნებული. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკევები, III, თბ., 1979, გვ.226-228; მესხთა შ., ძლევაი საკირველი, წგნ. საისტორიო ძიებანი, III, თბ., 1986, გვ. 36-41.

კულტურული კატაკლიზმისაგან (ისლამიზაცია-თურქიზაციის პროცესი) თავდაცვას დავით მეფე და გიორგი ჭყონდიდელი სწორედ ჩრდილოეთ კავკასიისათვის პოლიტიკური პრიორიტეტის მინიჭებით შეეცადნენ<sup>1</sup>.

„თურქული ტაიფუნისგან“ თავის დაღწევის ამ ახალი, უაღრესად ანგარიშგასაწევი და ოპტიმალური გეგმის განხორციელება მეტად რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი აღმოჩნდა - დარიალის ხეობის („დარიალანის გზა“, „დარიალანის კარი“, „კარნი ოვსეთისანი“, „არაგვის კარი“) გამოვლით საქართველოში ყივჩაღთა შემოსვლას საფრთხე დაემუქრა, რადგან ოვსებმა გზის ჩაკეტვა გადაწყვიტეს. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით ჩრდილოეთ კავკასიაში („იმიერ-კავკასია“) გაემგზავრნენ მეფე დავითი და გიორგი, რომლებსაც ოვსეთში, მორჩილების ნიშნად, მიეგებნენ ადგილობრივი მეფე-მთავარნი. „და აღიხუნეს მძევალნი ორთაგანვე, ოვსთა და ყივჩაყთა, - წერს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, - და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი. და ყო შორის მათსა სიყუარული და მშვიდობა ვითარცა ძმათა... და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთათვის და გამოიყვნა სიმრავლე ფრიად დიდი“<sup>2</sup>.

ამიერ და იმიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკურ-კულტურული თანამეგობრობისთვის დაუცხრომელი ზრუნვა და ამ გზით ისლამური ფუნდამენტალიზმისა და პანთურქიზმის საშიში იდეის წინააღმდეგ გალაშქრება ქართველების (როვორცეთნოსის) და ქართული სახელმწიფოს გადარჩენა-შენარჩუნების საქმეში სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენა აღმოჩნდა, რადგან შენარჩუნდა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე კავკასიურ-ქრისტიანული გარემოცვა, ქართლოცენტრული

1 კეპელია ი., სანაია ა., XII საუკუნის საქართველოს საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის ისტორიიდან. ვაზ. ევრისის მაცნე, №22 (192), 15-22 ოქტომბერი, 2006.

2 „ქართლის ცხოვრება ტ. I, თბ., 1955, გვ. 336.

**კულტურულ-ისტორიული სივრცის დომინანტური პოზიციით  
კავკასიაში<sup>1</sup>.**

საერთო-კავკასიური „სახლის“ ჩამოყალიბების პროცე-  
სისადმი გლობალური და სივრცობრივი მიღებისა ქართული  
მიწა-წყლის გაერთიანებისა და ერთიანი ფეოდალური საქარ-  
თველოს ჩამოყალიბების შემდეგ, X საუკუნის ბოლო მესამე-  
დიდან დაიწყო, რომლის მშენებლობას საძირკველი ჩაუყარა  
ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთმა ძლიერმა და სახელმოხ-  
ვეჭილმა წარმომადგენელმა, ტაოს მეფე დავით III კურაპა-  
ლატმა (961-1001 წწ.) ქართლის ერისთავ იოანე მარუშის-  
ძესთან ერთად<sup>2</sup>. ეს პროცესი თითქმის საუკუნე-ნახევარს, თა-  
მარის (1184-1212 წწ.) ეპოქამდე გაგრძელდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიური სამყაროს ერ-  
თიანობაზე ფიქრს დავით კურაპალატის დროისათვისაც უზვე-  
ლესი ფესვები ჰქონდა და, არქეოლოგიური მონაცემებით,  
სულ ცოტა, 1000-1400-წლოვანი ისტორიით შემოიფარგლე-  
ბოდა. ამაზე მეტყველებს გვიანი ბრინჯაოს ხანაში ჩრდილო-  
ეთ კავკასიის ცენტრალური და დასავლეთი ტერიტორიის  
„კოლხური კულტურის“ არეალში მოქცევა.

საერთო-კავკასიური „სახლის“ ეთნოლოგიურმა კონ-  
ცენციამ ასახვა ჰქოვა XI საუკუნის მემატიანის, ლეონტი  
მროველის თხზულებაში - „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“,  
რომელშიც კავკასიური სამყაროს ერთიანობის დასაბუთების  
ცდა ქართველი და კავკასიელი ტომების მეთაურთა (ეთნარქ-  
ებონიმების) გენეალოგიური სქემის სახითაა მოცემული. ეს  
კონცეფცია, როგორც აღვნიშნეთ, პრატტიკულად განხორცი-  
ელდა კიდეც თამარის მეფობის ხანაში.

გარდა ზემოთ თქმულისა, ქართველთა და იმიერკავკასი-  
ელთა პოლიტიკურ-კულტურულ თანამეგობრობაზე მიუთი-  
თებს ქართული ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა ჩრდი-  
ლდა

1 კეკელია ი., სანაია ა., გაზ. კვრისის მაცნე, №22, 2006 გვ. 2.

2 ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 274-278.

**ლოეთ კავკასიის ტერიტორიაზე** - ხოზიტა მაირამი (სოფელი თლი, დვალეთი), ტყება-ერდი (ქისტეთი), დათუნას ქართული ეკლესია (ხუნზახი); **აგრეთვე ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენა** - ქვის პატარა ჯვარი ხუნზახიდან, „ალოგლოტოგრაფიის“ ანუ სხვა ენაზე წერის პრაქტიკის დამკვიდრება, როცა ჩრდილოკავკასიური (ხუნძური) ენით გადმოცემული ტექსტი ქართული ანბანით იწერებოდა.

ქართველთა და ჩრდილოეთ-კავკასიელთა ხანგრძლივი და მჭიდრო თანაცხოვრების შესწავლის თვალსაზრისით ყურადსაღებია ეთნოლინგვისტური ასპექტებიც. ოდინდელი ისტორიული ერთობის შეგნების (ისტორიული მეხსიერება) და-მადასტურებლად უნდა მივიჩნიოთ „თვისისა“ („ნათესავი“) და უცხოს („სხვა“), ანუ მკვიდრისა და მოსულის გარჩევის ტრადიცია, ეთნიკურ დონეზე დაპირისპირების გამორიცხვა და კონფლიქტების იზოლირება პიროვნულ (ფრატრიულ) ჩარჩოებში, საერთო სამართლებრივი პრინციპების აღიარება ხალხურ სამართალში (მედიატორობის ინსტიტუტი), მეტოქეობის რაინდული კოდექსის დაცვა, ანუ გაფეტიშება ერთმანეთის ღირსებისა და სტუმარმასპინძლობისა და ჭირ-ლხინის თანაზიარობის ჩვეულება, ძმობა-მეგობრობა ან ძმადნაფიცობა (ყონალობის ინსტიტუტი), საერთო დღეობები, საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილის (ხიზანის) მიღების ტრადიცია (შენაყრობის ინსტიტუტი), თემთაშორისი მიგრაციები, სამეურნეო-სამესაქონლეო, სამონადირეო, ხელოსნური კავშირ-ურთიერთობები და სხვ<sup>1</sup>. მკვლევართა აზრით, „კავკასიურ-გეოგრაფიულმა მდგომარეობამ, მისმა გარემოცვამ, იმპერიებისა და მომთაბარე მოთარეშეთა მუდმივმა მუქარამ ობიექტურად ჩამოაყალიბა იმის შეგნება, რომ ურთიერთგაგების, ურთიერ-

1 იხ. არაბული ა., ქურდიანი მ., ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ურთიერთობების ეთნოლინგვისტური ასპექტები, კრ. მახალუხია საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXVI (მიძღვნილი პროფ. ვერა ბარდაველიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი), თბ., 2005, გვ. 63-74;

თინტერესების გათვალისწინების გარეშე არსებობის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა“<sup>1</sup>.

კავკასიის ხალხთა „მმადნაფიცობის“ იდეისადმი ერთგულება არა მხოლოდ შორეულ ისტორიულ წარსულში, არამედ საქართველოს უახლესი ისტორიის გონისაწიგრშიც გამოიკვეთა, კერძოდ, 1918-1921 წლებში, დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის სამწლიან პერიოდში. დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პავლე ინგოროვა 1918 წლს წერდა: „ამ საბედისწერო რეალის გარღვევის პოლიტიკა ჩვენ გვიკარნახებს ახლო კავშირს კავკასიის მთიულებთან, და სამხილად მართლაც არის რეალური პირობები. მთიულებს ჩვენთან აერთებს არა მარტო მძური რასიული ნათესაობა, არამედ საარსებო ინტერესებიც. პანმონგოლიზმის საფრთხე ორმხრივ ელის ქართულ-კავკასიურ რასას. სამხრეთით თურქეთისა, ჩრდილოეთით რუსებისა... ჩვენ აქაც დავაყოვნეთ, იქნებ სამუდამოდ, რომ არა ვთქვათ იმ კულტურული მისის შესახებ, რომელიც ქართველობას ევალებოდა და ახლაც ევალება კავკასიის მთიულეთში... მთიულეთში ბუნებრივი რასიული მიზიდულობა არის ქართველობასთან და თვითონ მთიელების ხელმძღვანელი წრეები იზიარებენ კიდეც ქართულ ორიენტაციას, ვიდრე უიმედო არ გამოდგა ჩვენი პოლიტიკური თვითგამორკვევის ლოდინი. და უნდა ვიცოდეთ, მომავალში ეს კავშირი იქნებ შეუძლებელი გახდეს, რადგან მთიულეთი მეოთხეურად თანდათანობით თურქება, როგორც კულტურულად, ისე ლინგვისტურად და არც ისე შორეულ მერმისში საბოლოოდ გადავგარდება, თუკი იგი უშუალოდ თურქების გავლენის სფეროში მოჰყვება და მაშინ ჩვენი ისტორიის მაგისტრალი დასრულდება კიდეც“<sup>2</sup>.

1 არაბული ა., ქურდიანი მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

2 იხ. ინგოროვა პ., საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. თბ., 1990, გვ. 36-37.

და ბოლოს, გასული საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში, სამოცდათწლიანი კომუნისტური (პოლიტიკური და იდეოლოგიური) მარწუხებიდან თავდახსნილი, დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ დოქტრინაში ერთ-ერთ უძთავოეს მიმართულებად კვლავ რჩებოდა ტრადიციული, მრავალსაუკუნოვანი ქართული გეგმით, საერთო -კავკასიური „სახლის“ მშენებლობა, თანასწორუფლებიან ხალხთა ასევე თანაბარი უშიშროების საფუძველზე, „საერთო ჭერქვეშ“ თანაცხოვრების პრინციპებით.

ევროპულ სამყაროში საქართველოს კვლავ დაბრუნების ძიებასთან ერთად, სწორედ ზემოთ აღნიშნული საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის განვითარებაზე ზრუნვას შეალია თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ...

ჩვენთვის საინტერესო განსახილველ საკითხთან მიმართებაში იმთავითვე მკვეთრად და თვალშისაცემად იკვეთება ერთი უცილობელი ჭეშმარიტება:

კავკასიური სამყაროს ერთიანობის სანუკვარი იდეისადმი ქართველთა გლობალურ-სივრცობრივი მიდგომის დღიდან (ანუ X საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფო ზოგადერებსითი სახელწოდებით - „საქართველო“) მოყოლებული, თითქმის დღევანდლამდე, გამაერთიანებლის კეთილშობილურ და, იმავდროულად, უმთავრეს ისტორიულ როლს ყოველთვის ქართველები ასრულებდნენ. იმიერკავკასიელთა და ქართველთა კულტურულ-პოლიტიკური გაერთიანების გეგმა, უმთავრესად, ქართული „სცენარით“ ხორციელდებოდა<sup>1</sup>...

ასე იყო დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის ეპოქაშიც - მკვიდრ საფუძველზე აღმოცენებულ და

1 ი. ქექელია, ა. სანაია, გაზ. კვრისის მუნიციპალიტეტი, №22, 2006, გვ. 2.

სრულიად რეალურ, დიდ მისიას - საქართველოსა და კავკა-სიის გაერთიანებას მეფისა და მისი აღმზრდელის („მამამბუ-ძე“) ურყევი ნებით ხორცი შეესხა; შეიქმნა მძლავი კავკასი-ური იმპერია, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ნიკოზიი-ლან (ახლანდელ ტუაფსედან 47-ე კილომეტრზე) დარუბან-დამდე (ძველი ჩორი, დღევანდელი დერბენდი) და ოვსეთიდან არაგაწამდე (სამხრეთი სომხეთი).

ნაშრომი გვსურს დავასრულოთ დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის - გრიგოლ რობაქიძის სიტყვებით: „და-ვითის საქართველო ორი ღმერთქართველის - დავით IV-ისა და გიორგი ჭყონდიდელის გულზე შვენვარებს. მე ახლაც ჩამესმის მათი გულთაკუმშვა-კვნესის ტკივილიან-სიხარულია-ნი ხმები, რომელიც თოთოეული ქართველის ნაბიჯის გადად-გმაზე ისმის. ამიტომაც უნდა მოვზომოთ ნაბიჯები ჩვენი, არ ვატკინოთ გული დავით აღმაშენებელსა და გიორგი ჭყონდიდელს, რადგანაც მათზე უდიდესი საქმე დღემდე არა-ვის უქმნია და ისეთ საქართველოს, ეჭ, ვინ იცის, ვინ მოე-წრება კიდევ!“

### დამოწმებანი:

1. არაბული ა., ქურდიანი მ., ქართველ და ჩრდილოკავკასი-ელ მთიელთა ურთიერთობების ეთნოლინგვისტური ასპექტები, კრ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXVI (ეძღვნება პროფ. ვერა ბარდაველიძის დაბადებიდან 100 წლისთავს), თბ., 2005.
2. ონგოროყვა პ., საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. თბ., 1990.
3. ი. კეპელია, ა. სანაია, XII საუკუნის საქართველოს საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის ისტორიიდან. გაზ. ეგრისის მცნე, 22 (192), 15-22 ოქტომბერი, 2006;

4. ლორთქიფანიძე მ., საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში, დავით IV აღმაშენებელი. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979.
5. მესხია შ., ძლევაი საკვირველი, წგნ. საისტორიო ძიებანი, III, თბ., 1986.
6. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955.

**Kakhaber Kebuladze**

*Akaki Tsereteli State University, Assistant Professor, Academic Doctor of History*

**Igor Kekelia**

*Akaki Tsereteli State University, Phd Student of the Georgian History Department*

## **THE OUTLINES OF FOREIGN-POLITICAL STRATEGY OF XI- XII CENTURY GEORGIA VIEWED IN MODERN GEOSTRATEGY RESUME**

The article deals with the Georgian foreign and geopolitical history in the XI-XII century viewed in modern geostrategic.

The aim of the important negotiation with the North Caucasian government dealt with creation of common-Caucasian “House” and political-cultural friendship of the Caucasians . The negotiation was followed by installation of 4000 Kipchaks’ families in the frontier foreshores of Georgia by George Chqondidi, Grand Chancellor of Georgia ordered by King David.

The second wife of David –Gurangukht (Queen) was a granddaughter of Kipchak chieftain Orok Sharagan. For some people, this marriage had a political background in order to improve political relationship with Kipchaks.

A big mission, unification of Georgia and Caucasia was accomplished by the firm will of King and his master (“Fosterage”) and a powerful Caucasian Empire was created. This Empire expanded the territory from Nikopsia (47 km from present Tuapse) to darubandi (old Chori, present Derbendi) and from Ovsetia to Aragatsa (the South Armenia).

## **ძალხაზ მაცაბერიძე**

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სრული პროფესორი,  
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

**1921 წლის თებერვალ-მარტის ომი და საქართველოს  
მართლმადიდებელი ეკლესია**

### **შესავალი**

სტატიაში განხილულია საქართველოს მართლმადიდებელური ეკლესიის პოზიცია 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს, მისი წელი სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. სტატია ძირითადად ეყრდნობა იმდროინდელი პრესის მონაცემებს. სამწუხაროდ, ქართული ეკლესიის საქმიანობას თებერვალ-მარტის ომის დროს ყურადღებას უთმობს მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „საქართველო“, რაც შეეხება ოფიციალურ („საქართველოს რესპუბლიკა“) და სოციალისტური მიმართულების გაზეთებს („ერთობა“, „სახალხო საქმე“), ეკლესიის საქმიანობა ომის პერიოდში, ფაქტობრივად, არ გაუშუქებიათ. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მკეთრად გამოხატული პატრიოტული პოზიცია დაიკავა და მრევლს მოუწოდა, ყველაფერი ეღონა სამშობლოს დამოუკიდებლობის დასაცავად.

### **ბრძოლა თბილისისათვის**

თბილისის მისადგომებთან მიმდინარე მძიმე ბრძოლების დროს ეკლესიებში პარაკლისებს იხდიდნენ ქართული ჯარის გამარჯვებისათვის და მრევლს სიმტკიცისა და ერთიანობისაკენ მოუწოდებდნენ. პარაკლისების შესახებ, რომელშიც საქართველოს

კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე მონაწილეობდა, გაზეთი „საქართველო“ მოყლედ იუწყებოდა:

„18 თებერვალს, სიონის ტაძარში მათმა უწმინდესობამ გადაიხადა პარაკლისი ჩვენი ჯარების გამარჯვებისათვის.

19 თებერვალს სიონის ტაძარში მათი უწმინდესობა, თბილისის სამღვდელოების თანამსახურებით, 11 საათზე გადაიხდის პარაკლისს ჯარების გამარჯვებისათვის.

20 თებერვალს, კვირას, მათი უწმინდესობა შეასრულებს სიონის ტაძარში საღმრთო ლიტურგიას და პარაკლისს თბილისის სამღვდელოების თანამსახურებით. მათი უწმინდესობა ლიტურგიაზე წარმოსთქვას მომენტის შესაფერის სიტყვას“<sup>1</sup>.

20 თებერვალს კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს მიერ წარმოთქმული სიტყვა გაზეთმა „საქართველომ“ 25 თებერვალს გამოაქვეყნა. თუმცა, როდესაც გაზეთი გამოვიდა, ქართულ არმიას თბილისი უკვე დატოვებული ჰქონდა. 20 თებერვალს სიონის ტაძარში გამართულ ლიტურგიაზე წარმოთქმულ სიტყვაში კათალიკოს-პატრიარქმა მრევლს თავდადებისენ მოუწოდა. „სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვა გვიკარნახებს მთელი ჩვენი ენერგიის, ქონების და სიცოცხლის მიტანას მამულის სამსხვერპლოზე“, - განაცხადა პატრიარქმა. მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ შექმნილ ვითარებაში საჭიროა მთავრობის გარშემო გაერთიანება და ყოველგვარი შიდაპარტიული დაპირისპირების, განხეთქილებისა და უსიამოვნების დავიწყება. „მომენტი მოითხოვს, რომ მოხდეს ყოველი ძალების მობილიზაცია. მთავრობა მეთაურობას გვიწევს თავდაცვის საკითხებში და ჩვენც ყველანი მოვალენი ვართ მჭიდროდ გავერთიანდეთ მის გარშემო, დავივიწყოთ პარტიული განსხვავება, ყოველგვარი განხეთქილება, უსიამოვნება, თუ გნებავთ, ცხადი უსამართლობაც. ჯერ მტრის დამარცხება და ჩვენი

<sup>1</sup> გაზ. საქართველო, 19 თებერვალი 1921 წ., №39

დამოუკიდებლობის განმტკიცება, მერე შინაური საქმეების მორიგება“, - ასეთი იყო პატრიარქის პოზიცია.<sup>1</sup>

22 თებერვალს გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოწოდება საქართველოს მოქალაქეებისადმი, რომელშიც გამოთქმულია გამარჯვების რწმენა. პატრიარქმა ფრონტის ზურგში მყოფთ სიმშვიდისა და სიმტკიცის შენარჩუნებისკენ მოუწოდა, რაც ქართულ ლაშქარს გამარჯვებისათვის ბრძოლას გაუადვილებდა. „საყვარელნო, ფრონტის ზურგში მყოფნო! შევინარჩუნოთ სრული დარბაისლობა, გულის სიმშვიდე და ხასიათის სიმტკიცე. ნუ მიეცემით იმ საშიშარ და ცრუხმებს, რომლებსაც ავრცელებენ ხოლმე მხოლოდ ჩვენი მტრები, ხალხში შიშისა, სასოწარკვეთილებისა და არეულობის გამოსაწვევად. ენდეთ ჩემს ჭალარას, როგორც ვერავითარი ძალა ვერ მოგლევს თავის ძირიდან კავკასიონს, თუ არა მიწის ქვეშეთიდან ამოხეთქილი ძლიერება, ისე ვერავითარი ბოლშევიკები და სომეხ-ადერბეიჯანელები ვერას დააკლებენ სახელოვან კახელ-ქიზიყელისა, თუშ-ფშავ-ხევსურ მთიელებისა, უტეხი ქართლელებისა და ამაყ იმერ-ოდიშარ-აფხაზებისგან შემდგარ საქართველოს ლაშქარს, თუ ფრონტის ზურგი მტკიცედ გვექნება დაცული“, - ნათქვამია პატრიარქის მიმართვაში.<sup>2</sup>

23 თებერვალს სამხედრო ტაძრის გალავანში დაკრძალუს თბილისის მისადგომებთან დაღუპული ქართველი მეომრები. „მწირველი იყო ქალაქის სამღვდელოება და კათალიკოზი ლეონიდე“, - მოკლედ იუწყებოდა გაზეთი „საქართველო“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> კათალიკოზის სიტყვა თბილისის მცხოვრებლებისადმი, თქმული სამხედრო ტაძრის ეზოში კვირას თებერვლის 20-ს - გაზ. საქართველო, 25 თებერვალი 1921 წ., №44

<sup>2</sup> სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოწოდება - გაზ. საქართველო, 22 თებერვალი 1921 წ., №41, გვ. 1

<sup>3</sup> სამშობლოსათვის თავდადებულთა დაკრძალვა - გაზ. საქართველო, 24 თებერვალი 1921 წ., №43, გვ. 2.

25 თებერვალს, ქართული ჯარის მიერ თბილისის დატოვების შემდეგ, კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე, საეკლესიო სიწმინდეებთან ერთად, დროებით ქუთაისში გადავიდა. 13 აპრილს დედაქალაქში დაბრუნდა.<sup>1</sup> ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე ახალი ამოცანა იდგა - ზელი შეეწყო საქართველოს განთავისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლისათვის.

### რეპრესიები ეკლესიის წინააღმდეგ

ბოლშევკიური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ საბჭოთა რეჟიმმა გაატარა „საგანგებო მეთოდური ღონისძიებანი, რათა საერთოდ მოესპონ ეკლესია“.<sup>2</sup> საქართველოში დამყარებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ („რევკომმა“) 1921 წლის 15 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კანონგარეშედ გამოაცხადა,<sup>3</sup> დაიწყო საეკლესიო ქონების ჩამორთმევა, ეკლესია-მონასტების დახურვა, სასულიერო პირების დევნა.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ლეონიდე ოქროპირიძე - <http://burusi.wordpress.com/2010/05/14/leonide-okropiridze-2/>

<sup>2</sup> ჯაფარიძე ანანია. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი 4, თბილისი, გამომცემლობა „გუმბათი“, 2012 – 209

<sup>3</sup> საქართველოს რევკომმა №21 დეკრეტით მიიღო დადგენილება „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ“, რომელშიც არა უბრალოდ სახელმწიფოსაგან აცალევებდა, არამედ მთელ ქონებასაც ართმევდა: „არცერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არა აქვს უფლება იქონიოს საკუთრება. მათ არ აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება, საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთხით და“. (საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ პრეზიდიუმის ბრძანებულებათა ქრონოლოგიური გრძებული. 1921-1940 წ.წ. თბ. 1959, გვ. 10-13).

<sup>4</sup> ლეონიდე ოქროპირიძე - <http://burusi.wordpress.com/2010/05/14/leonide-okropiridze-2/>

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პოლიტიკური პარტიებიდან გამოყოფილი ცალკეული ჯგუფები დაადგნენ საოკუპაციო რეჟიმთან თანამშრომლობის გზას, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის კი მიუღებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებასთან - რელიგიის წინააღმდეგ მებრძოლ ანტიეროვნულ რეჟიმთან თანამშრომლობის იდეა. მართლმადიდებლური ეკლესიის წელში გატეხვის, მასზე კონტროლის დამყარების გარეშე ბოლშევკიკური ხელისუფლება საქართველოში თავს მყარად ვერ იგრძნობდა. კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ეკლესია იქნებოდა ის ლეგალური არხი, რომელიც მართალ სიტყვას მიაწვდიდა ხალხს და სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილს გაუღვივებდა.

საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკური რეპრესიების ინსტრუმენტის - „საგანგებო კომისიის“ („ჩეკას“) მიერ მომზადებულ ქვეყანაში არსებული ვითარების საიდუმლო მიმოხილვებში ყოველთვის საგანგებო ყურადღება ეთმობოდა „სამღვდელოების“ საკითხს. მაგალითად, „საქართველოს საგანგებო კომისიის საინფორმაციო ცნობა-მოხსენებაში“, რომელიც 1921 წლის 1-15 მაისის ვითარებას ასახავს, სამღვდელოებასთან დაკავშირებით ნათქვამია: „სამღვდელოება განწყობილია კონტრ-რევოლუციურად და ბევრგან, განსაკუთრებით პროვინციაში უზარმაზარი გავლენით სარგებლობს. ამას ბევრად უწყობს ხელს ქართველი გლეხობის ბნელ მასაში ძველი რელიგიური გადმონაშთების არსებობა, ასევე ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკური მუშაობის არარსებობა“. ჩეკა გეგმავდა მთელი სამღვდელოების „აღრიცხვაზე“ აყვანას, მაგრამ, როგორც ანგარიშშია აღნიშნული, ამას ვერ არ აკეთებდა „ზოგადი პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, რათა არ აღეშფლოთებინა მასები“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Информационная сводка-доклад Чрезвычайной комиссии Грузии за время с 1 по 15 мая 1921 г. - საქართველოს შეს არქივი.

საქართველოს გასაბჭოების პირველ თვეებში საბჭოთა რეჟიმი პოზიციების გამდარებით იყო დაკავებული და თავის რეპრესიულ მანქანას სრული ძალით არ ამუშავებდა. ეს სიტყვისა და მოქმედების გარკვეულ თავისუფლებას იძლეოდა, ოღონდ ყველა ასეთი ადამიანი რეჟიმს მკაცრ აღრიცხვაზე აჰყავდა და მხოლოდ შესაფერისი დროის დადგომას უცდიდა მათს „გასანეიტრალებლად“.

### პანაშვიდები, როგორც ეროვნული პროტესტის ფორმა

თბილისის დაცემის და საქართველოს ოკუპაცია-გასაბჭოების შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დარჩა მტკიცე ეროვნულ პოზიციაზე. საქართველოს ეკლესიებში ბრძოლებში დაღუპული მეომრების დაკრძალვისას ან ორმოც დღეზე გადახდილი პანაშვიდები, ფაქტობრივად, ოკუპანტების წინააღმდეგ მიმართული პროტესტის ფორმად იქცა. იქ შეკრებილი ხალხი არა მარტო პატივს მიაგებდა სამშობლოსათვის დაღუპულებს, არამედ პროტესტს უცხადებდა არსებულ რეჟიმსაც. რაც არ უნდა ემტკიცებინა ბოლშევიკურ პროპაგანდას, რომ ესენი იყვნენ „მენშევიკების მიერ მოტყუებული მუშები და გლეხები“, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხეს არ უქმნიდა, ამის სიყალე და ცინიკურობა, ალბათ, ყველაზე კარგად ასეთ პანაშვიდებზე ჩანდა. გაზეთ „სოციალისტუედერალისტში“ გამოქვეყნებული განცხადებები<sup>1</sup> კი მთელ საზოგადოებას შეახსენებდა სამშობლოსათვის დაღუპული გმირის სახელს. აი, რამდენიმე მათგანი:

<sup>1</sup> „სოციალისტუედერალისტის“ გამოცემის უფლება პქნდათ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზაზე დამდგარ მემარცხენე ფედერალისტებს. ბოლშევიკური რეჟიმი კი დროებით ურიგდებოდა გაზეთის მიერ გამოქვეყნებულ მეტ-ნაკლებად თავისუფალ მასალებს, რომლებიც საბჭოთა მმართველობის კრიტიკასაც შეიცავდა.

„ღრმად დამწუხებული ჯარისკაცები მე-2 ბატ. 2 დივიზიონისა: მიხეილ ახვლედიანი, გიორგი ყანჩაველი, ვასილ ზედვენიძე და ლევან ჩუბინაშვილი აუწყებენ ყველა ამხანაგებს და ნაცნობთ გმირულად დაღუპულ ბათომის ფორტზედ №2 „კახაბერი“ გიგუცა (გრიგოლ) ზაალიშვილის უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, პანაშვიდი ყველ დღეს. ადრესი: დუშეთის ქუჩა, ანანურის შესახვევი №7. საკუთარი სახლი.<sup>1</sup>

„ღრმად დამწუხებული და გულდათუთქული დედა მინადორე, ბიძები: ილიკო და ვასო, ბიცოლები კატო და ლიდია, ძმა გიორგი, მარუსა და ნინო ტურაბელიძები, აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხუთშაბათს აპრილის 28-ს ქ. ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაღუპულის ქბათუმში მარტის 18-ს ქემალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში სტუდენტ ქართ. სახელმწიფო უნივერსიტეტისა შალვა სერაფიონის ძე ტურაბელიძესი“.<sup>2</sup>

„უღრმეს მწუხარებაში მყოფნი გაუბედურებული მშობლები: მამა, მღვიმიტრი ცომაია მეუღლით სალომე ცომაიასი და შვილებით: მიხაკო, პავლე, სოფრომ, გულნარა, თინია და ნუცულასი, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სოფელ ზოდის წმ. გიორგის ეკლესიაში ხუთშაბათს მაისის 5, (ძველით 22 აპრილს) გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, პირველის და მეორესი უსაყვარლესი შვილის და დანარჩენის უსაყვარლესი ძმის. მარტის 18-ს ბათომში თათრებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულის ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტის სტუდენტის კირილე (ბადიში) დიმიტრის ძე ცომაიასი“.<sup>3</sup>

ამ პანაშვიდების ჩატარება კი მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურთა მიერ ხდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ

<sup>1</sup> სოციალისტ-ფედერალისტი, 30 მარტი 1921 წ.

<sup>2</sup> სოციალისტ-ფედერალისტი, 27 აპრილი 1921 წ.

<sup>3</sup> სოციალისტ-ფედერალისტი, 1 მაისი 1921 წ.

პანაშვიდებს იხდიდნენ საქართველოში იმ დროს მოქმედ 1.350 ეკლესიაში, ხოლო ერთადერთ მეტ-ნაკლებად თავისუფალ გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში“ კი მხოლოდ ცალკეული განცხადებები ქვეყნდებოდა. გასაგებია, რომ საბჭოთა რეჟიმისათვის საქართველოს ეკლესია მოუღებელი იყო მისი ეროვნული პოზიციის გამო და რეჟიმის ათეიისტური ღონისძიებები მიმართული იყო არა მხოლოდ რელიგიის, არამედ საქართველოს თავისუფლების იდე-ის წინააღმდეგაც.

8 მაისს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ნამდვილი საპროტესტო აქცია მოუწყო საბჭოთა რეჟიმს. გაზეთ-მა „სოციალისტ-ფედერალისტმა“ 1921 წლის 8 მაისს მე-4 გვერდზე დიდი ასოებით გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

„დღეს 8 მაისს,<sup>1</sup> სრულიად საქართველოს კათალიკოზი ლეონიდი ტფილისის სამღვდელოების თანამწირველობით სამხედრო ტაძარში შეასრულებს ლიტურღიას და პანაშვიდს ტფილისის დაცვის დროს დახოცილთა სულის მოსახსენებლად“<sup>2</sup>? ეს უკვე აღარ იყო რომელიმე კონკრეტული პიროვნების პანაშვიდი, ეს იყო პირდაპირი პატრიოტული აქცია და პროტესტი საქართველოს საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ.

1921 წლის 11 ივნისს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე გარდაიცვალა. 17 ივნისს დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში. საოკუპაციო ხელისუფლების შიში გადალახა ასობით თბილისელმა, საქართველოს სხვადასხვა პროვინციიდან ჩამოსულმა თანამემამულემ, რათა უკანასკნელი პატივი მიეგო განსვენებული პატრიარქისათვის.<sup>3</sup>

<sup>1</sup> გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებაში შეცდომაა - 8 მაისის ნაცვლად „8 აპრილი“ წერია.

<sup>2</sup> სოციალისტ-ფედერალისტი, 8 მაისი 1921 წ.

<sup>3</sup> ლეონიდე ოქროპირიძე - <http://burusi.wordpress.com/2010/05/14/leonide-okopiridze-2/>

## მიმართვა გენუის კონფერენციას

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის საკითხს უშუალოდ უკავშირდება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას წარმოაჩენს 1922 წლის 7 თებერვალს კათალიკოს-პატრიარქ ამბოისი ხელაიას (რომელმაც 1921 წლის ივლისში გარდაცვლილი კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე შეცვალა) მიერ საკათალიკოსო საბჭოს თანხმობით გენუის კონფერენციაზე<sup>1</sup> გაგზავნილი მემორანდუმი, რომლითაც საერთაშორისო საზოგადოებისაგან საქართველოს დეოკუპაციის და დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში მხარდაწერას მოითხოვდა. „1918 წელს ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციასა და რასაკვირველია ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგრელი რუსეთი. მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს, უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილ საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსუკუნოვან ისტორიაში“ - ნათქვამია მიმართვაში. მოთხოვნები კი ორ პუნქტად იყო ჩამოყალიბებული:

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან.

---

<sup>1</sup> 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე იტალიის ქალაქ გენუაში მიმდინარეობდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც ევროპის სახელმწიფოების გარდა, მიწვეული იყო ახლადჩამოყალიბებული საბჭოთა სოციალისტური რუსეთის მთავრობის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელიც იყო შეყვანილი.

2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალ-დაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა.“<sup>1</sup>

გენუის კონფერენციისთვის გაგზავნილ მიმართვას შედე-გად ბოლშევიკური რეპრესიების გაძლიერება მოჰყვა. როგორც კონფერენციის მონაწილე ბუდუ მდივანმა შემდგომ საქართვე-ლოს მთავრობის სხდომაზე განაცხადა, კათალიკოზის სიტყვამ დიდი ვნება მოგვიტანა, რატომ სამართალში არ მივცემთ მასო.<sup>2</sup> საქართველოს ბოლშევიკურმა მთავრობამ კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას არ აპატია მემორანდუმის გაგზავნა, მისი ანტი-ეროვნული პოლიტიკის საქვეყნოდ მხილება და დააპატიმრა. პა-ტიმარს საბჭოთა სასამართლოზე ღირსეულად ეჭირა თავი. მან სასამართლოს ასე მიმართა: „გული ჩემი საქართველოს ეკუთ-ვნის, სული – ღმერთს, გვამს რაც გინდათ, ის უყავით“.<sup>3</sup> 1922 წელს დაპატიმრებული ამბროსი ხელაია 1924 წლის დამლევამ-დე იმყოფებოდა მეტების ციხეში.

## დასკვნა

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აქტიურად ცდილობდა, თავისი წვლილი შეეტანა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საქ-მეში. იგი საზოგადოებას მოუწოდებდა, ყველაფერი ელონა შემო-სული მტრის დასამარცხებლად. საქართველოს დემოკრატიული

<sup>1</sup> კათალიკოს ამბროსი ხელაიას მიმართვა გენუის კონფერენციისადმი - <http://www.orthodoxtheology.ge>

<sup>2</sup> ვარდოსანიძე სერგო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში. თბ., 2001.

[http://library.church.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=390%3A-1921-1932-&catid=47%3A2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=ka](http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=390%3A-1921-1932-&catid=47%3A2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=ka)

<sup>3</sup> კათალიკოს ამბროსი ხელაიას მიმართვა გენუის კონფერენციისადმი - <http://www.orthodoxtheology.ge>

რესპუბლიკის დამარცხებისა და საქართველოს საბჭოური ოკუ-  
პაციის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დარ-  
ჩა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის იდე-  
ის მტკიცე მატარებლად. საბჭოთა რეჟიმის რეპრესიული აპარა-  
ტი მთელი ძალით მუშაობდა ეკლესის გავლენის შესაძლებე-  
ლად და მისი საქმიანობის აღსაკვეთად.

#### დამოწმებანი:

1. კათალიკოსის სიტყვა თბილისის მცხოვრებლებისადმი, თქმული სამხედრო ტაძრის ეზოში კვირას თებერვლის 20-ს - გაზ. საქართველო, 25 თებერვალი 1921 წ., №44, გვ. 1
2. სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოწოდება - გაზ. საქართველო, 22 თებერვალი 1921 წ., №41, გვ. 1
3. სამშობლოსათვის თავდადებულთა დაკრძალვა - გაზ. საქართველო, 24 თებერვალი 1921 წ., №43, გვ.2
4. ლეონიდე ოქროპირიძე -  
<http://burusi.wordpress.com/2010/05/14/leonide-okropiridze-2/>
5. კათალიკოს ამბოოსი ხელაიას მიმართვა გენუის კონფერენციისადმი - <http://www.orthodoxtheology.ge>
6. ვარდოსანიძე ს.,.. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში. თბ., 2001.  
<http://library.church.ge/index.php?option=com-content&view=article&id=390%3A-1921-1932-&catid=47%3A2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=ka>
7. ჯაფარიძე ანანია. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი 4, თბილისი, გამომცემლობა გუმბათი, 2012 – 270 გვ.

***Malkhaz Matsaberidze***

*Ivane Javakishvili Tbilisi State University, Professor, Doctor of Political Science*

**THE WAR OF FEBRUARY-MARCH, 1921 AND THE  
ORTHODOX CHURCH OF GEORGIA  
RESUME**

During the War of February-March, 1921, the Orthodox Church of Georgia expressed a sharp patriotic position and appealed to its parish to take any necessary measure for the defense of independence of its motherland. The thanksgiving services were held in churches for "the victory of our army." At the time of severe battles at gates of Tbilisi, the Catholicon-Patriarch of Georgia, Leonide, delivered a sermon during a liturgy, which called on parish for devotion to the motherland. "Talking care on the prosperity of our nation calls for sacrifice of our entire energy, property and even life," the Catholicon-Patriarch declared.

On February 22, the appeal of the Catholicon-Patriarch of Georgia to the citizens of Georgia was publicized, expressing hope for the victory and urged those being in home front for calmness and courage. According to the words of the Catholicon-Patriarch, this would make the battle of the Georgian army for the decisive victory easier.

The Orthodox Church of Georgia staid on the firm national position after the fall of Tbilisi and occupation-Sovietization of Georgia. The thanksgiving services conducted at churches for the soldiers, who had died in the war, dedicated either to the burial day or the 40<sup>th</sup> day after the death, in essence became a protest movement against the occupants. On May 8<sup>th</sup>, Catholicon-Patriarch of Georgia, Leonide, conducted a special liturgy and church service "for the souls of those, who had died in the defensive war of Tbilisi."

On April 15, 1921, the Orthodox Church of Georgia was declared as out of the law by the Soviet power imposed in Georgia (“Revkom”); As a result of this fact, expropriation of the property of the church was started, some churches and monasteries were closed and priests were continuously pursued. In spite of these facts, the Orthodox Church of Georgia kept its struggle for the freedom and independence of its motherland. On February 7, 1922, the Catholicos-Patriarch of Georgia, Ambrosi Khelaia (who was elected by the synod after the death of Catholicos-Patriarch Leonide, who had died in July 1921) under the consent of the Council at the Catholicos sent a special memorandum to the Genoa Conference. He was referring to the international society for support and asked for assistance in deoccupation of Georgia and restoration of its independence. This appeal was followed by reinforcement of the Bolshevik repressions. In spite of this fact, the Orthodox Church of Georgia kept the idea of independence and uniqueness of the country.

ალექსანდრე მღვმელიშვილი  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
სრული პროფესორი

**ქართულ-ოსური ურთიერთობები XIX საუკუნის ათასნ წლებში  
რუსული წყაროების მიხედვით**

ქართულ-ოსურ ურთიერთობათა საკითხს არაერთხელ შევ-  
ხებივართ და გვითქვამს, რომ ეს ურთიერთობები ოსთა საქართვე-  
ლოში თანაცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე არაერთგვაროვანი  
გახლდათ.

თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ოსთა ძირი-  
თადი განსახლების არეალს კავკასიის მაღალმთიანი ხეობები  
წარმოადგენდა. მაგალითად, XIX საუკუნის 60-იანი წლების ერ-  
თ-ერთი რუსულენოვანი სტატისტიკური მონაცემის მიხედვით,  
თბილისის გუბერნიაში მოსახლე ხალხებს შორის ქართველებ-  
თან ერთად ნახსენები არიან: სომხები, თათრები, რუსები, გერმა-  
ნელები და ებრაელები. ყველა დანარჩენ ხალხთა საერთო რაოდე-  
ნობა კი მხოლოდ 2, 2/3 პროცენტს შეადგენს.<sup>1</sup>

თუ ზემოთ წარმოდგენილ სურათს გავითვალისწინებთ,  
ოსთა საცხოვრებელი ადგილების შესაბამისად, მათი ცხოვრების  
დონე ამ დროისათვის ძალზე დაბალია. ბ. ვორონოვის აზრით,  
ოსები, სიღარიბესთან ერთად, სიძუნწითაც გამოირჩეოდნენ: „Все  
осетины весьма жадны до денег, которая однакоже они  
стараются приобрести не для употребления, не для  
улучшения своего быта, а для хранения в заперти;  
богатый и бедный одинаково ходят почти голые в

---

<sup>1</sup> Воронов Н. И., Сборник статистических сведений о Кавказе, Том I,  
Тифлис 1869, ст. 49.

лохмотьях. Всеобщая бедность царствует между осетинами<sup>1</sup>.

има же азгуборис ცნობით, მთიანი ოსეთის ნიადაგის მცირე-მოსავლიანობამ მიიყვანა მოსახლეობა უკიდურეს სიღარიბემდე. ოსები ყოველთვის განიცდიდნენ ისეთი პროდუქტების სიმცირეს, როგორებიცაა მარილი და პური. მიწა მოსახერხებელია ხორ-ბლის მოსაყვანად, მაგრამ უკანასკნელ ხანებამდე გაუგონარი ფა-სი აქვს: ღირს იმ ცხოველად, რომელიც მასზე დაეტევა. მიწის ნა-წილი, რომელსაც დაიკავებს მწოლიარე ძროხა, ღირს ერთი ძროხა, სხვა - ერთი ცხვარი და ა.შ. ეს მცირემიწიანობა გახ-ლდათ მიზეზი, რომ ოსთა ნაწილი გადასახლდა კავკასიონის მთა-ვარი ქედის სამხრეთ ფერდობზე და ნებაყოფლობით მისცა თავი ქართველი თავადების ყმობას. ამგვარად, დიდი და პატარა ლიახ-ვის, ქსნის, სხვა ხეობებისა და მათი შენაკადების დაკავებით ოსე-ბი გახდნენ თავადი ერისთავებისა და მაჩაბლების ყმები.... ყველა დანარჩენი ოსი დარიბია, თითქმის შიშველი და უკიდურესად ცუ-დად ჩაცმული. ცხოვრობენ მიწურებში, დანგრეულ კოშკებში და მიტოვებულ სიმაგრეებშიც კი. <sup>2</sup>

ოსთა მძიმე სოციალური ფონი განაპირობებდა მათი თანდა-თანობით ჩამოსახლების დასაწყისს საქართველოში, უფრო კონ-კრეტულად, შიდა ქართლის მთიან ზოლში, რაც, ძირითადად, XVIII საუკუნის დამდეგიდან ხორციელდებოდა კუდაროს, უამუ-რის, დიდი და პატარა ლიახვისა და თრუსოს სათავეებში.

<sup>1</sup> Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, Том I, Санкт-Петербург 1871, ст. 288.

<sup>2</sup> Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, Том I, Санкт-Петербург 1871, ст. 287.

XIX საუკუნის რუსულენოვანი წყაროების თანახმად, 1802 წელს ცხინვალის რეგიონში მხოლოდ ქართველები, ებრაელები და სომხები მოსახლეობენ.<sup>1</sup>

ოსთა ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა XIX საუკუნის დამდეგს, რუსეთის ცარიზმის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ. რუს მოხელეთა თვითნებობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩინოვნიკების თავგასულობა, უსამართლობა მძიმე ტვირთად დააწვა აღგიღლობრივებს და, განსაკუთრებით, საქართველოს სამხედრო გზისპირა მოსახლეობას. მათ, ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად, ემატებოდათ ამ გზის გაწმენდის, გაფართოების, რუსული ჯარის ნაწილების სურსათით და სხვა საშუალებებით უზრუნველყოფის გაღდებულებანიც.

რუსული კოლონიზატორული უღლისაგან XIX საუკუნის დასაწყისში იულონ, ფარნაოზ და ალექსანდრე ბატონიშვილების მიერ წამოწყებულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურად ჩაება ოსი მოსახლეობაც. აჯანყებულ ოსთა რაზმები თავს ეს-ხმოდნენ რუსულ სამხედრო შენართებს, საგუშაგოებს და მნიშვნელოვან ზიანს აყენებდნენ.

აღნიშნული მოვლენები სისტემატური განსჯის საგანი ხდება XIX საუკუნის რუსულ ისტორიოგრაფიაში.

ერთ-ერთი რუსი ავტორი ა. სოკოლოვი ჯერ ოსთა დასახა-სიათებლად იძლევა გარკვეულ განმარტებას: „Народ же кроме женщин, старый и малый, около нас толпился, оказывая ко всему удивление, как дикие, а мы должны были соблюдать величайшую осторожность, чтобы они нас не обокрали, по враждебной склонности, и особенному их к тому искусству“<sup>2</sup>, ხოლო შემდეგ დასძენს, რომ ისინი მოსყი-

<sup>1</sup> Акты собранные кавказской археографической комиссией, Том I, Тифлис 1866;

<sup>2</sup> Соколов А., Путешествие мое в имеретию с линии кавказской, Москва 1874, ст. 8.

დულნი არიან ბაგრატიონთა მიერ, რუსული ჯარის ნაწილების საქართველოში შემოსვლის ხელშესაშლელად: „Осетинцы, в горах живущие, по дороге из России в Грузию, были подкуплены Багратионами, с тем, чтобы они препятствовали проходу войск из России в Грузию“ (საუბარი ეხება 1802 წელს - ა. პ.).<sup>1</sup>

XIX საუკუნის ცნობილი რუსი ავტორი ნ. დუბროვინი თავის საყურადღებო ნაშრომში „ამიერკავკასია“ ზემოთ ხსენებული მოვლენების შეფასებისას მიუთითებდა, რომ ბატონიშვილები: ალექსანდრე, იულიონი და ფარნაზი ნათლად ხედავდნენ, პირდაპირი გზითა და ძალით ისინი სასურველ მიზანს - რუსეთის ქვეშევრდომობისგან გათავისუფლებას ვერ მიაღწევდნენ, ამიტომ გადაწყვიტეს, საიდუმლო შეთქმულებებითა და მოსახლეობის მღელვარების გზით რამენაირად დროებითი შედეგისათვის მაინც მიეღწიათ.<sup>2</sup>

„Возстание горцев все более и более усиливалось и распространялось по рекам большой и малой Лиахве...

Царевичи Александр, Иулон и Парнаоз принимали деятельное участие в поддержании этого восстания“. <sup>3</sup>

ბუნებრივია, ამ გამოსვლების დროს შექმნილი ქართველთა და ოსთა რაზმები რუსული რეგულარული ჯარების დამარცხებას ვერ უზრუნველყოფდნენ. აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ რუსთა მხრიდან არაერთი სადამსჯელო ოპერაცია განხორციელდა. იგივე დუბროვინი ზემოხსენებულ ნაშრომში მიუთითებს ოსთა ე.წ. „დამშვიდებისა“

<sup>1</sup> Соколов А., Путешествие мое в имеретию с линии кавказской, Москва 1874, ст. 123.

<sup>2</sup> Дубровин Н., Закавказье (от 1803 – 1806 года), Санкт-Петербург 1866, ст. 357.

<sup>3</sup> Дубровин Н., Закавказье (от 1803 – 1806 года), Санкт-Петербург 1866, ст. 361.

და ფარნაოზ ბატონიშვილის შეპყრობის შემდეგ შვიდ ათეულ ადამიანზე მეტის პასუხისეგებაში მიცემის ფაქტზე.<sup>1</sup>

1801 წლის შემოდგომაზე, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქ-მების შემდეგ, ქართველ ბატონიშვილთა მიერ ქვეყანაში გაშ-ლილმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, მარცხის მიუხედავად, გარკვეული შედეგი გამოიღო. ოსი მოსახლეობის უმრავლესობა მტკიცედ დადგა საქართველოს გვერდით და საკუ-თარი მხარდაჭერა და ერთვულება გამოხატა.

ქართველთა და ოსთა მხარდამხარ ბრძოლა ცარიზმის რუ-სეთის გავლენისაგან საქართველოს გასათავისუფლებლად განსა-კუთრებულ ფაზაში შევიდა იმავე საუკუნის 10-იანი წლების ბო-ლოს.

1810 წლის ივნისის ბოლოს აჯანყდა ცხინვალის ჩრდილო-ეთით მცხოვრები მოსახლეობა, რომელსაც სოლომონ II მიერ ახალციხის საათაბაგოდან ჩამოყვანილი 24 წლის ლეონ (levan) იულონის ძე ბაგრატიონი ჩაუდგა სათავეში. ლეონი კარგად იც-ნობდა ამ მხარეს. იულონ ერეკლეს ძეს ციხესიმაგრე და სამსარ-თულიანი სასახლე ჰქონდა სოფელ ბელოთში, სადაც მისი ოჯახი 1795 წლიდან მუდმივად ცხოვრობდა. ქართლ-კახეთში რუსეთის მმართველობის დამყარებამდე ქსნისა და გვერდისძირის მამულე-ბი იულონის სამფლობელოს წარმოადგენდა, შესაბამისად, ამ მხარის მცხოვრებნი იულონის ქვეშევრდომები იყვნენ. მათ შორის ოსური მოსახლეობაც იყო. 1803 წელს გორის კაპიტან-ისპარავ-ნიკ ენოხინის მიერ ჩატარებული აღწერის მიხედვით, ამ პერიოდ-ში საქართველოს საზღვრებში ოსები კომპაქტურად მოსახლეო-ბენ ძირითადად მდინარეების: დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, ფრონეს, ფცის და არაგის ზემო წელის მთიან ზოლში, ასევე ის-ტორიული დვალეთის ტერიტორიაზე. ერეკლე II და ბაგრატიონ-თა სხვა წარმომადგენლები ოსების ეკონომიკური და კულტურუ-

<sup>1</sup> Дубровин Н., Закавказье (от 1803 – 1806 года), Санкт-Петербург 1866, ст. 372.

ლი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მუდმივად ზრუნავდნენ. ოსებიც ერთგულებით პასუხობდნენ. ეს გამოვლინდა 1810 წელს დაწყებულ აჯანყებაშიც, რომელსაც მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური მიზნები ჰქონდა: ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების დამოუკიდებლობის და ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა. საქართველოში მცხოვრები ოსები უყოფმანოდ ჩაებნენ აჯანყებაში, რითაც ბაგრატიონთა დინასტიისა და ქართული სამეფოს მხარდაჭერა და ერთგულება დაადასტურეს.<sup>1</sup>

გენერალ-მაიორ პოტტოს რედაქციით თბილისში 1902 წელს დაბეჭდილი ერთ-ერთი რუსულენოვანი ნაშრომი საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ქართველთა და ოსთა ანტირუსული აჯანყების შესახებ.

კონკრეტული მოვლენების აღწერამდე ოსთა დასახასიათებლად მოცემულია შემდეგი შტრიხები: „В центральной части главного Кавказского хребта, по обоим его склонам, в ущельях Арагвы, Ксанки, Лиахвы, верховий Терека и Ардона, с незапамятных времен ютились полудикия племена горских хищников, называвшихся общим именем осетин“.<sup>2</sup>

მოცემული წყაროს მიხედვით, მღელვარება და პირველი თავდასხმა ოსთა მხრიდან დაიწყო საქართველოში რუსული ზელისუფლების დამყარებისთანავე: „Теперь, осетины считали уже нас виновниками тягостнаго своего положения и ненависть, которую раньше питали к грузинам, перенесли на русских. Волнения начались с самого

<sup>1</sup> <http://expertclub.ge>

<sup>2</sup> Утверждение русского владычества на Кавказе (под редакцией генерал – майора Потто), Том II, Тифлис 1902, ст. 225.

открытия в Грузии нашего правительства. Осетины нападали на наши войска...“<sup>1</sup>

Монгоме́йло პერიოდის სამხედრო მიმოწერასა და სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით, წარმოდგენილი ნაშრომი იუწყება, რომ 1810 წელს ირანის წაქეზებით საქართველოში ჩამოვიდა რუსთა მიერ დატყვევებული ბატონიშვილი იულონის მემკიდრე ლევანი, რომელიც ბიძასთან, ბატონიშვილ ალექსანდრესთან ერთად იმყოფებოდა სპარსეთში.

გამოირჩეოდა რა რუსების მიმართ აგრესით, ლევანი 1810 წლის 26 ივლისს ეწვია სოფელ კეხვს, საიდანაც დაუკავშირდა ქართველ თავადაზნაურობას და საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლაში მხარდაჭერისაკენ მოუწოდა.

ოსეთში ლევანს ნოყიერი ნიადაგი დახვდა ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ოსებმა მიიღეს იგი, მისცეს თავშესაფარი და აღუთვეს ყოველგვარი დახმარება.

საქართველოს მმართველი გენერალ-მაიორი ახვერდოვი ყველა ზომას მიმართავდა ლევანის მომხრეთა დასაკავებლად და გასანეიტრალუბლად, ხოლო მთავარმართებელი ჭორმასოვი დიდად აფასებდა გატარებულ ღონისძიებებს და ურჩევდა ახვერდოვს, რომ მეამბოხეები არ დაენდო და ამასთან, მეტი სიმკაცრი-საკენ მოუწოდებდა.<sup>2</sup>

ბატონიშვილ ლევანისადმი ოსთა განსაკუთრებულ ერთგულებაზე მიუთითებს შემდეგი სტრიქონები: „Мятеж все более и более распространялся по Осетии. Число сторонников

<sup>1</sup> Утверждение русского владычества на Кавказе (под редакцией генерал – майора Потто), Том II, Тифлис 1902, ст. 226.

<sup>2</sup> Утверждение русского владычества на Кавказе (под редакцией генерал – майора Потто), Том II, Тифлис 1902, ст. 229.

Левана увеличилось настолько, что не оставалось никакой надежды покончить с ним путем подкупа...<sup>1</sup>.

ან კიდევ (amonaridi ტორმასოვის წერილიდან ახვერდოვისადმი): „Эти осетинцы, которые клялись вам быть ревностными исполнителями вашего приказания и непременно поймать Левана, сами теперь сделались главными мятежниками“.<sup>2</sup>

ცხინვალის გარნიზონის გაძლიერების და კაპიტან ვრობ-სკის მიერ ცხინვალის მახლობლად ამბოხებულთა წინააღმდეგ განხორციელებული წარმატებული სამხედრო ოპერაციის შედე-გად დაკავებულ იქნა ამბოხებულ მაჩაბელთა ზოგიერთი წარმო-მაღვენელი და ლიკვიდირებულ იქნა აჯანყებულ ოსთა რვა ათე-ულ წევრზე მეტი. შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლდათ პირველი ფაზის დასასრული.

რუსული მხარის მომავალ მოქმედებათა გეგმა შემდეგი გახლდათ: „Дабы положить предел буйствам волниующихся осетинцев, наказать их строго и достать или истребить Левана, послать в Осетию, под начальством полковника Стала, отряд из 6-ти рот пехоты, двух эскадронов драгун, части казаков и грузинской милиции. Отряд этот должен был двумя колоннами, по ломонасхевскому и джавскому ущельям, войти во внутрь жилищ хищных осетинцев и, силою оружия разсеяв мятежных их толпы, привести в должное устройство и совершенную покорность“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Утверждение русского владычества на Кавказе (под редакцией генерал – майора Потто), Том II, Тифлис 1902, ст. 230.

<sup>2</sup> Утверждение русского владычества на Кавказе (под редакцией генерал – майора Потто), Том II, Тифлис 1902, ст. 231.

<sup>3</sup> Утверждение русского владычества на Кавказе (под редакцией генерал – майора Потто), Том II, Тифлис 1902, ст. 235.

მიუხედავად ოსთა მხრიდან შეუპოვარი თავდაცვისა, აჯანყბულები ვერ უძლებდნენ რუსთა რეგულარული შენაერთების შეტევებს და უკან იხევდნენ. აქვე განხორციელდა მეამბოხეთა ერთ-ერთი აქტიური მონაწილისა და მოთავის, დურმიშხან თუ-სიშვილის ლიკვიდაციაც.

ასეთივე წარმატებული აღმოჩნდა რუსული მხარის მიერ მეორე მიმართულებით წარმოებული საომარი მოქმედებიც.

„Столь же успешны были действия и другой нашей колонны, майора Потлога, которой пришлось в джавском ущелье встретиться более чем с двухтысячным скопищем мятежников, находившихся здесь под личным предводительством самого Левана“<sup>1</sup>.

მეამბოხები დამარცხდნენ. ლევან ბატონიშვილმა მაღალ მთებს შეაფარა თავი.

ლევან ბატონიშვილმა ღირსეული ადგილი დაიმკიდრა XIX საუკუნის დამდევის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

რუსულმა ხელისუფლებამ უმკაცრესი სადამსჯელო ღონისძიებები გაატარა ამბოხებულთა წინააღმდეგ. დაარბიეს, გადაწვეს და გაანადგურეს ორ ათეულზე მეტი სოფელი, უამრავი საგვარეულო კოშკი, ფიზიკურად უსწორდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ა.შ.

რუსებმა დასაჯეს აჯანყებაში მონაწილე ქართველი თავადებიც. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით: „შეიძყრეს მაჩაბელი ლუარსაბ და ბაადურ ბორტიშვილი. მაჩაბელი ლუარსაბ წარგზავნეს პყრობილად რუსეთსა შინა და ბაადურ მოკუდა ციხესა ტფილისისასა პყრობილად, და შთამოართვეს თავიანთი კერძი ყმა

<sup>1</sup> Утверждение русского владычества на Кавказе (под редакцией генерал – майора Потто), Том II, Тифлис 1902, ст. 237.

და მამული და დადგეს სახელმწიფოდ, ვითარცა ჯავახიშვილს და თარხნიშვილებს, ძეთა დემეტრესათა<sup>“1”</sup>.

ამრიგად, XIX საუკუნის 10-იანი წლების მოვლენები ჩვენ მიერ გაშუქებულია იმავე პერიოდის რუსულენოვანი წყაროების მიხედვით. როგორც წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, საქართველოში მცხოვრები ოსები ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართული სამეფო სახლის მიმართ ერთგულებით გამოირჩევიან. ქართველთა მხარდამხარ იბრძვიან ცარიზმის რუსეთის დამპყრობლურ-კოლონიზაციურული პოლიტიკის წინააღმდეგ, აქტიურად არიან ჩართულები საქართველოში წარმოებულ ეროვნულგანმათავისუფლებელ მოძრაობაში და მათში სეპარატისტული განწყობილება არ არსებობს. მიგვაჩნია, რომ მოგვიანებით, თანდათანობით გამოვლენილი ოსთა სეპარატისტული გამოხდომები მავანთა და მავანთა შორსგამიზნული, არაკეთილმოსურნე და მზაკვრული პოლიტიკის შედეგია.

#### **დამოწმებანი:**

1. Воронов Н. И., Сборник статистических сведений о Кавказе, Том I, Тифлис 1869.
2. Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, Том I, Санкт-Петербург 1871.
3. Акты собранные кавказской археографической комиссией, Том I, Тифлис 1866.
4. А. Соколов, Путешествие мое в имеретию с линии кавказской, Москва 1874.
5. Н. Дубровин, Закавказье (от 1803 – 1806 года), Санкт-Петербург 1866.
6. Утверждение русского владычества на Кавказе (под редакцией генерал – майора Потто), Том II, Тифлис 1902.
7. <http://expertclub.ge>

---

<sup>1</sup> <http://expertclub.ge>

*Aleksandre Mgebrishvili*

*Gori State Teaching University, Full Professor*

**THE GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS IN THE  
FIRST DECADE OF THE 19<sup>TH</sup> CENTURY ACCORDING  
TO THE RUSSIAN REFERENCES  
RESUME**

During the entire period of the XIX century, the Ossetians were mostly populated in the Caucasian high mountain valleys. Their severe social disruption caused their early gradual settlement in Georgia, more specifically, in the mountainous zone in Shida Kartli where the rivers of Kudaro, Zhamuri, Truso, Greater and Little Liakhvi take the origins. This process began to be carried out in the beginning of the XVIII century.

The Ossetian people's existing severe conditions further aggravated in the beginning of the XIX century after the annexation of Georgia by the Russian tsarism. The Russian officials' injustice exceeded all expectations. This fact became a heavy burden for local residents, especially for the ones living nearby the Georgian Military Road; in addition to all the other "goodness", they had to participate in the road clearing and broadening works and provide the Russian troops with food and other obligations as well.

All the mentioned circumstances have conditioned certain conflicts over time. Beside the annoyed and displeased Georgians, there were the Ossetians fighting against the Russian forces. Right the Ossetian rebelled troops were those who attacked the Russian military formations and posts with the purpose of liberation of Georgia from Russia. The three princes Alexandre, Iulon and Parnaoz were also actively involved in the struggle. The mentioned events have become the subject of permanent discussions between the Russian references of the 19<sup>th</sup> century.

After the abolition of the kingdom of Kartl-Kakheti in 1801, the Georgian princes expended the national-liberation movement which, despite the loss, had a certain result; the Ossetian people stood firmly beside the Georgians and expressed their own support and loyalty. The Georgians and Ossetians' joint struggle to liberate Georgia from the tsarist Russian influence came into a particular phase in the first decade of the same century.

We have lighted up the events of the first decade of the XIX century according to the Russian sources of the same period. The presented evidences show that the Ossetians living in Georgia were distinguished with special devotion towards the Georgian royal house and its sovereignty; Along with the Georgians they fought against the conquest-colonialist policy of Russia. The Ossetians were also actively involved in the Georgian national-liberation movements and they did not have any separatist attitudes. We believe that later, gradually revealed Ossetian separatist attacks can be considered as a result of certain people's faraway and treacherous policy.

ლელა სარალიძე  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის ისტორიის  
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველო-ინგლისის ურთიერთობის ისტორიიდან  
(1920-1921 წწ.)  
(უცნობი საარქივო დოკუმენტების მიხედვით)

ინგლისის ხელისუფლება დიდი ხნის მანძილზე ოცნებობდა ამიერკავკასიაში დამკვიდრებაზე. ამის რეალური შესაძლებლობა XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალეთმა 1918 წლის 30 ოქტომბერს ინგლისთან მუდროსის დროებით ზავს მოაწერა ხელი, რომლის ძალითაც მოკავშირე ანტანტის ქვეყნებს ბათუმის დაკავების უფლება მიენიჭათ. დაზავებას ანტანტის სახელით ხელი მოაწერა ადმირალმა კალთროპშა, ხოლო ოსმალეთის მხრიდან - პუსეინ რაულმა, ჰიგეტმა და საადულმა. დაზავების XV მუხლის თანახმად: „ამიერკავკასიის რკინიგზის იმ ნაწილში, რომელიც უნდა გადაეცეს მოკავშირეებს დანიშნული იქნებიან მოკავშირეთა ოფიცრები მეთვალყურეებად... მოკავშირეებს აქვთ უფლება დაიკავონ ბათუმი“.<sup>1</sup> 1918 წლის 3 დეკემბერს ბათუმის პორტში ინგლისური კრეისერი „ლივერპული“ გამოჩნდა. ინგლისელების ამიერკავკასიაში გაბატონებას უდიდესი მიზანი ჰქონდა; სტრატეგიულად და გეოგრაფიულად კავკასია აერთიანებდა იმ ხიდს, რომელსაც შა-

---

<sup>1</sup> Ключников Ю., Сабанин А.. *Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях*, часть II, Москва, 1926, стр: 188-189.

ვი ზღვა არაბეთის ზღვასთან უნდა დაეკავშირებინა. ბაქოს ნავთობი, საქართველოს მანგანუმი და სხვა მრავალი წიაღი-სეული სიმდიდრე დიდ ინტერესს იწვევდა ინგლისის მმარ-თველ წრეებში. მუდროსის ზავის პირობების თანახმად, ბრი-ტანეთის გავლენა მთელ ახლო აღმოსავლეთში გავრცელდა.

ინგლისის ხელისუფლება, ისევე როგორც მოკავშირე სახელმწიფოები, მომხრე იყო ერთიანი რუსეთის. იგი, ასევე, არ გამორიცხავდა რუსეთიდან გამოყოფილი დამოუკიდებელი რესპუბლიკების მხარდაჭერასაც. საქართველოს საკითხი მო-კავშირებისთვის ბოლომდე ნათლად არ იყო გარკვეული. ისინი მთელი რიგი პრობლემების წინაშე იდგნენ, როგორი-ცაა - ოსმალეთის იმპერიის დანაწილების საკითხი, ძველი რუსეთის აღდგენა. რუსეთში იმ დროს სამოქალაქო ომი მდგრივარებდა და საბოლოოდ ერთი ხელისუფლება არ იყო ჩამოყალიბებული, თუმცა მთავარი სტრატეგიული აღგილები ბოლშევიკებს ეჭირათ. ინგლისის ხელისუფლება რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომს ხელსაყრელ პირობად მიიჩნევდა, რათა ამიერკაკასია რუსეთისთვის ჩამოცილებინა.<sup>1</sup> მოკავში-რები მეფის რუსეთის აღდგენით იყვნენ დაინტერესებული. ინგლისის ხელისუფლება თავის ძველ მოკავშირეს, მეფის რუსეთს უჭირდა მხარს. მოკავშირეთა საბჭომ გადაწყვიტა, მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია თეორგვარდიელებისთვის, რითაც აშკარა გახდა ანტანტის წევრ სახელმწიფოთა მხრი-დან დიდი და ძლიერი რუსეთის შექმნის სურვილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრო-ბამ პარიზის საზაონ კონფერენციაზე ოფიციალური დელგა-ცია გაგზავნა. დელგაციის წევრებმა დიდი მუშაობა გაწიეს წამყვანი სახელმწიფოების მიერ საქართველოს დამოუკიდებ-ლობის აღიარების საქმეში. 1919 წლის 18 იანვარს დელგა-

<sup>1</sup> Afanasyan Serge, *L' Arménie, L'Azerbaïdjan et la Géorgie de l'independance à l'instauration du pouvoir Soviéтиque 1917-1923*, éd., l'Harmattan, Paris, 1981, p. 68.

ციის წევრები დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ლორდ კერზონს შეხვდნენ. მათ განუმარტეს ინგლისელ მინისტრს, რომ საქართველოს ხელისუფლება ბოლშევიკების წინააღმდეგ აგრესიულ მოქმედებას არ აპირებს, ხოლო თავდაცვის მიზნით საქართველოს სჭირდებოდა ანტანტის დახმარება სურსათით და სამხედრო მასალით.<sup>1</sup>

ცხადია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობას გულისხმობდა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო, საკმარისი გარანტია ვერ იქნებოდა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, ამას წამყვანი სახელმწიფოების მიერ ვერც ქვეყნის ფორმალური ცნობა უშველიდა. საქართველოს სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე, რომელიც ქვეყანას გარეშე მტრებისგან დაიცავდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ინგლისის საოკუპაციო ჯარის ბათუმში ყოფნას უნდობლობით უცქერდა. 1919 წლის 28 აპრილს სოციალისტური პარტიიბის ამსტერდამის კონფერენციამ ქართველი სოციალ-დემოკრატის, ირაკლი წერეთლის, თხოვნით მიიღო რეზოლუცია, რომელიც ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, ამასთანავე, უცხო სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი კონტროლი გამორიცხული უნდა ყოფილიყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ემიგრანტი ქართველი ისტორიკოსი ალექსანდრე მანველიშვილი წერს: „მწუხარებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებმა ინგლისის მიერ გამოწვდილი ხელი ვერ გამოიყენეს, ქართველი სოციალისტები ხედავდნენ საფრთხეს ინგლისის იმპერიალიზმში... მათ ასეთ მოქმედებაზე ევროპის პრესაშიც ბევრი იწერებოდა

<sup>1</sup> საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის მიკროფირების ასლები, საქმე №1483.

და ეს ჩვენს ქვეყანას ახასიათებდა, როგორც მოუმზადებელ ერს დამოუკიდებლობისთვის...<sup>1</sup>

1920 წლის იანვარში ვერსალის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს „დე ფაქტო“ დამოუკიდებლობა ცნო. პარიზში მყოფმა ბრიტანეთის დელეგაციის წევრმა ფორმს ადამსმა ქართულ დელეგაციასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ კავკასიაში ინგლისელებს ნდობით არ ეპყრობიან, რაც მისი აზრით, უსაფუძვლო იყო, რადგან ინგლისის ხელისუფლება იმ პირობით ეხმარებოდა დენიკინს, რომ მან კავკასიის წინააღმდეგ არ იმოქმედოს და, თუ გენერალმა შეტევა განიზრახა, მთელი ანტანტა კავკასიის მხარეს დაიჭერდა.<sup>2</sup>

ამიერკავკასიაში ინგლისის ხელისუფლალთა პოზიციები მნიშვნელოვნად შეირყა. ინგლისის ხელისუფლებამ, დაკარგული ნდობის აღსადგენად, საქართველოში უმაღლესი კომისრის პოსტზე ოლივერ უორდოპი გამოგზავნა. მას დაევალა, ინგლისელებს და ქართველებს შორის არსებული უნდობლობისთვის ბოლო მოელო. საქართველოში გამომგზავრებამდე ო. უორდოპმა პარიზში სამშვიდობო კონფერენციაზე მყოფი ქართული დელეგაციის წევრები მოინახულა. მან ქართველებს განუმარტა, რომ კავკასიიდან ინგლისის ჯარის წასვლის შემთხვევაშიც საქართველოს დამოუკიდებლობას დენიკინის მხრიდან საფრთხე არ მოელოდა. სინამდვილეში დენიკინის აგენტურა საქართველოს ხელისუფლების შევიწროებას აფხაზეთსა და ბათუმის ოლქში ანტიქართული ძალების გამოყენებით ცდილობდა, ხოლო სომხეთ-საქართველოს საომარი შე-

<sup>1</sup> მანველიშვილი ალ., რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სანფრანცისკო, 1984, გვ: 223

<sup>2</sup> მასალები მოხსენებისათვის პარიზის საქართველოს დელეგაციის მუშაობის შესახებ, 1920 წ., საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, პარვარდის უნივერსიტეტის მიკროფირების ასლები, საქმე №1483.

ტაკების დროს მოხალისეთა არმია სომხეთის ინტერესებს იცავდა.

1919 წლის აგვისტოში ბრიტანელებმა ბაქოდან ჯარების ევაკუაცია დაიწყეს. 1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანი ბოლშევიკებმა დაიკავეს. 1920 წლის მასში ბოლშევიკები საქართველოს დაპყრობასაც შეეცადნენ, თუმცა მაშინ ეს ვერ მოახერხეს. ბოლშევიკური აგრესის თავიდან აცილების მიზნით 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ხელშეკრულება დადო. რუსეთი ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ხელშეკრულების V მუხლის მიხედვით, საქართველომ საკუთარი ტერიტორიიდან უცხო ძალების გაყვანაზე ვალდებულება აიღო. უცხო ძალაში ბათუმში მყოფი ინგლისის ჯარი იგულისხმებოდა. ამ ფაქტან დაკავშირებით ა. მანგელიშვილი აღნიშნავს: „...ცხადია, სანამ საქართველოში ინგლისის ჯარები იქნებოდნენ, მათვის საქართველოზე თავდასხმა ადვილი არ იქნებოდა. ბოლშევიკებს ბათუმი აინტერესებდათ და არა სიღნაღი და ზესტაფონი, ხოლო იქ ინგლისელები იყვნენ და ბოლშევიკებს სურდათ ეს ეკალი ქართველების ხელით მოეგლიჯათ... აღნიშნულ მუხლზე ხელის მოწერით საქართველო სჭრიდა იმ ტოტს, რომელზედაც მისდა უნებურად თვითონ იჯდა. ე.ო. თავისი სურვილით უარს ამბობდა დასავლეთის ყოველგვარ დახმარებაზე. მითვე უარყო დასავლეთის ორიენტაცია, რომლისთვისაც ორი წელიწადი მუშაობდა“<sup>1</sup> ამიერკავკასიაში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის მოვალეობის შემსრულებლის, საზღვაო კაპიტან ლუკის განმარტებით, 7 მაისის ხელშეკრულება შეიცავდა „ორაზროვან პუნქტებს, რომლებიც უნდა იკითხებოდეს ისე, თითქოსდა საქართველო იძულებულია გაყაროს მოკავში-

<sup>1</sup> მანგელიშვილი ალ., რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სანფრანცისკო, 1984, გვ: 273-274.

რეები“.<sup>1</sup> 1920 წლის ივნისში ანტანტის უმაღლესმა საბჭომ ინგლისის ჯარების ბათუმიდან ევაკუაციის გადაწყვეტილება მიიღო. 1920 წლის 28 ივნისს ინგლისის წარმომადგენელმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოს ეროვნული მთავრობისთვის გადაცემის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. 1920 წლის ივლისში ინგლისმა ბათუმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გადასცა. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის, ლორდ კერზონის საიდუმლო წერილი-დან ჩანს, რომ მან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, ევგენი გეგეჭკორს განმარტება მოსთხოვა, თუ რა იყო 7 მაისს ბოლშევიკებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნამდვილი მიზეზი, მაშინ როცა ქართველი დიპლომატები მუდმივად აპროტესტებდნენ ბოლშევიკების აგრძელი სახელმწიფოს მიმართ.<sup>2</sup>

1920 წლის 12 ნოემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს, ლორდ კერზონს ოფიციალური წერილით მიმართა და მხარდაჭერა სთხოვა რუსეთ-ოსმალეთის მოსალოდნელი აგრესის თავიდან ასაცილებლად, რაშიც, მისი აზრით, მთავარ როლს ანტანტის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის „დე იურე“ ცნობა შეასრულებდა. წერილში აღნიშნულია: „ჩემი მთავრობა ფლობს ინფორმაციას, რომლის მიხედვით ის უნდა მოემზადოს ბათუმზე ქემალისტების რაზმების შეტევის მოსაგერიებ-

<sup>1</sup> სიორიძე მ., „ბათუმის საკითხის“ ინტერნაციონალიზაცია 1919-1920 წწ., წიგნში: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აარა, ტომი III, ბათუმის ოლქი 1877-1920, ბათუმი, 2008, გვ: 488.

<sup>2</sup> Earl Curzon to Colonel Stokes (Tiflis), confidential, Foreign Office, October 21, 1920, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, აკაკი რამიშვილის არქივი, საქმე №Fo 371/ 6277.

ლად. ქემალისტების მთავრობისთვის, რომელიც მოსკოვის საბჭოთა მთავრობასთან კავშირში მოქმედებს, ეს შეტევა შეადგენს მხოლოდ ერთ ეპიზოდს ანტანტის წინააღმდეგ მათ საერთო ბრძოლაში. ეს მოქმედება მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს: დაიკავოს ის ტერიტორიები, რომელსაც ოსმალეთი ითხოვს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის საფუძველზე. მისი მიზანია, ასევე, გადაეღობოს ევროპას აღმოსავლეთისაკენ მიმავალ დიდ გზაზე, რომლის კარიბჭესაც ბათუმი წარმოადგენს და რომლის ბუნებრივი მეპატრონეც საქართველოა. საქართველოს მთავრობამ მიიღო საჭირო ზომები, რათა მოიგერიოს ეს დარტყმა. საქართველოს რესპუბლიკას დიდი იმედი აქვს, რომ მისი შეიარაღებული ძალები დაიცავენ საკუთარი ტერიტორიის მთლიანობას. იბრძვის რა საკუთარი დამოუკიდებლობის დასაცავად, საქართველოს რესპუბლიკა იმავდროულად იცავს ცივილიზაციის საქმესაც, კერძოდ, დიდი ბრიტანეთის ინტერესებს ამიერკავკასიაში და წინა აზიაში. მისი ეს ბრძოლა ემყარება დიდი ბრიტანეთის დახმარების იმედს... აქამდე, საქართველოს რესპუბლიკას თავისი თავის იმედი ჰქონდა, რამაც საწინააღმდეგო შედეგებამდე მიგვიყვანა. საქართველო იტოვებს უფლებას განაცხადოს, რომ საქართველოში შექმნილი სიტუაცია ანტანტის ინტერესებშიც შედის. საქართველოს რესპუბლიკის ახლანდელი გადაუწყვეტელი მდგომარეობა საერთაშორისო თვალსაზრისით, აქეზებს ქემალისტებს მიზანში ამოიღონ ბათუმი. მეორე მხრივ, ევროპის ორჭოფული დამოკიდებულება საქართველოს საერთაშორისო სტატუსის მიმართ აფერხებს რესპუბლიკის ბრძოლისუნარიანობას.... მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვაუწყო თქვენ აღმატებულებას და ამასთანავე, ბრიტანეთის მთავრობას იმ გადაუდებელი და დაუინებული პირობების აუცილებლობაზე, რა-

საც უნდა მოჰყვეს ბრიტანეთის პოლიტიკის ახალი კურსი საქართველოს მიმართ“.<sup>1</sup>

1920 წლის 28 ნოემბერს წითელმა არმიამ სომხეთის საზღვარი გადაკვეთა და 4 დეკემბერს ერევანში შევიდა. სომხეთის მთავრობა მათ უბრძოლველად ჩაბარდა. ბოლშევიკების აგრესია ევროპელი მმართველებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 1920 წლის დეკემბერში ინგლისის მთავრობა სპეციალური ნოტით, რომელსაც ხელს ლორდ კერზონი აწერდა, შეეკითხა რუსეთის ხელისუფლებას, ხომ არ აპირებდა საქართველოს დაპყრობას. საპასუხო ნოტაში, რომელსაც ხელს აწერდა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი ჩიხერინი, ნათქამია: „„ნოტა პროტესტს აცხადებს წინააღმდეგ იმის მტკიცებისა, თითქოს ბათუმი და საქართველო იმყოფება რუსეთის საფრთხის ქვეშ. ეს არ არის მართალი. ერთადერთი მოსალოდნელი საფრთხე არის საფრთხე ანტანტისა. რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, ანტანტამ კი არა (ანტანტამ 1921 წლის 27 იანვარს აღიარა საქართველოს იურიდიული დამოუკიდებლობა – ლ. ს.). რუსეთის მთელი პოლიტიკა მიმართულია პატარა ერების თვითგამორკვევის სასარგებლოდ, არავითარ მოთხოვნას საქართველოს მიმართ ადგილი არ ჰქონია, გარდა იმისა, რომ ბათუმი არ იყოს დაკავებული მტრის ძალების მიერ. საბჭოთა რუსეთს არ მიუღია და არც აპირებს მტრულ მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ ბათუმის დაკავებით...“<sup>2</sup>

სინამდვილეში, საქართველოს დაპყრობის პირველი გეგმა რუსეთის XI არმიის მეთაურის პეკერის მიერ, სწორედ

<sup>1</sup> Le ministre des affaires étrangères de République Géorgienne, A son excellance le ministre des affaires étrangères de Grande Bretagne, Paris, le 12 novembre, 1920, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთურკა, აკადი რამიშვილის არქივი, საქმე №Fo 371/ 4948.

<sup>2</sup> მანველიშვილი ალ., რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სანფრანცისკო, 1984, გვ. 283;

1920 წლის დეკემბერში დაიწერა. 1920 წლის 18 დეკემბერს სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის, ტროცკისადმი წარდგენილ მოხსენებაში ჰქონდა: „...როგორც უკვე მოგახსენეთ, XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს კრებაზე 3 დეკემბერს, ოპერაციები საქართველოს წინააღმდეგ შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით - თუ ქაზიმ ყარაბექირის ნაწილები დაიცავნ მეგობრულ ნეიტრალიტეტს, რადგან XI არმიას მე-2 კავალერიის კორპუსი რომც შეუერთდეს, რათა მონაწილეობა მიიღოს ამ ოპერაციებში, ჩვენს მეთაურობას არ ეყოლება თავის განლაგებაში საკმარისი ძალები თურქთა წინააღმდეგ უსაფრთხო ბარიერის შესაქმნელად... რაც შეეხება ქართული არმიის და გვარდიის მდგომარეობას, მე აქ არ შევეხები მას, რადგან ამის შესახებ დაწვრილებით მოვახსენე XI არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს 1920 წლის 24 ნოემბერს. მე მხოლოდ გავიმეორებ, რომ, მიუხედავად მათი სისუსტისა და რევოლუციური სულიერი განწყობისა, ქართულ ნაწილებს შეუძლიათ წინააღმდევობის გაწევა... მე მიმაჩნია, რომ ეს შეტევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ფრთხილი მომზადების შემდეგ, რათა თბილისის მოსახლეობაზე თავდასხმა რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს“<sup>1</sup>. აანალიზებს რა ქართველების და თურქების ძალებს, ჰქონდასკნის, რომ საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება მხოლოდ იმ პირობებში შეიძლებოდა, თუ ოსმალეთის ხელისუფლება ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებდა. დოკუმენტიდან ჩანს, როგორ საგულდაგულოდ ეზრადებოდნენ ბოლშევიკები საქართველოზე გასალაშქრებლად. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მომავალში ოსმალების ნეიტრალიტეტიც მოიპოვა და მეგობრობაც, ისევე როგორც ინგლისის ხელისუფლების.

<sup>1</sup> გელაშვილი გ., ბოლშევიკების აგრესია (საქართველოს წინააღმდეგ ბოლშევიკების საომარი გეგმის გამოაშეკარავება), კრებულში – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2 (6), თბილისი, 2009, გვ: 472-476.

1921 წლის 6 იანვარს, როდესაც პარიზში, ანტანტის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარების საკითხი დაისვა, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ კერზონი ამ ფაქტის წინააღმდეგ გამოვიდა და არ-წმუნებდა თავის მოკავშირეებს, რომ ამ შემთხვევაში რუსეთი საქართველოს არ დაინდობდა. მიუხედავად ამისა, 1921 წლის 27 იანვარს მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად ინგლისმა საქართველოს „დე იურე“ დამოუკიდებლობა აღიარა. ამ აღიარებას საქართველოსთვის პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან 1920 წლის დეკემბერში ინგლისმა და საფრანგეთმა, სხვებთან ერთად, უარი განაცხადეს საქართველოს ერთა ლიგაში მიღებაზე, რითაც საქართველო ფაქტიურად გაწირეს. ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები კავკასიის ქვეყნებს განიხილავდნენ, როგორც პოლიტიკურ ერთეულს, რომელსაც რუსეთთან შეთანხმებით უნდა მოეგვარებინა მომავალი პოლიტიკური სტატუსი. ლოიდ ჯორჯი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით ინგლისის-თვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, უარი ეთქვა ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მხარდაჭერაზე და მათთან საგაფრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების გზები მოექმნა. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ კერზონმა განაცხადა; „ასეთი უშედეგო მოქმედება არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ინგლისმა უნდა გადასინ-ჯოს თავისი პოლიტიკა რუსეთის მიმართ“<sup>1</sup>. ბრიტანეთის პრემიერმა ლოიდ ჯორჯმა ჯერ კიდევ 1920 წლის ბოლოს, განუცხადა საბჭოთა ელჩს, რომ ბრიტანეთი კავკასიას რუსეთის გავლენის სფეროდ მიიჩნევდა.

ლოიდ ჯორჯის მთავრობამ ჯერ კიდევ 1920 წლის მეორე ნახევარში დაიწყო რუსეთთან მოლაპარაკება სავაჭრო

<sup>1</sup> ტაბაღლუა ი., საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან (ლექციების კურსი), თბილისი, 1994, გვ. 212;

ხელშეკრულების დასადებად. მართალია, ხელშეკრულებას ხელი 1921 წლის 16 მარტს მოაწერეს, მაგრამ მისი პროექტი ორი თვით ადრე მზად იყო. როდესაც 1921 წელს რუსეთის წითელი არმია თავს დაესხა საქართველოს, რუსეთის ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ ინგლისი ამაში ხელს არ შეუშლიდა. ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, ინგლისი თავის თავს არადაინტერესებულ მხარედ აცხადებდა კავკასიის საქმეებში. ინგლისის უმაღლესი რანგის ხელისუფალთა საიდუმლო მიმოწერებიდან ჩანს, რომ ინგლისის მთავრობა, რომლის უმაღლესი წარმომადგენელი კავკასიაში, სტოკსი ბათუმში იმყოფებოდა, კარგად იყო ინფორმირებული საქართველოში რუსეთის წითელი არმიის მოქმედებების შესახებ.

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე უორდანია ასე აფასებდა ინგლისის ხელისუფლების პოლიტიკას: „...ლოიდ ჯორჯის და კლემანსოს მიმოწერიდან აშკარა გახდა, რომ ვერსალის ზავიდან ორი აზრი ებრძოდა ერთიმეორეს რუსეთის შესახებ. ლოიდ ჯორჯი ყოფილა მომხრე დიდი რუსეთის და მასთან მორიგებით ყველა საკითხის გადაწყვეტის. ეს ტრადიციული პოლიტიკა ინგლისის ლიბერალიზმისა. კლემანსო კი პირიქით, დიდ რუსეთს აღარ ცნობს დროის შესაფერისად და ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნევდა რუსეთიდან გამოყოფილი სახელმწიფოების მფარველობას.“<sup>1</sup>

ევროპის ქვეწებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი აკაკი ჩხენკელი ლორდ კერზონმა პირველად რუსეთთან საგაჭრო ხელშეკრულების დადების მეორე დღეს, 1921 წლის 17 მარტს, მიიღო. როგორც ა. ჩხენკე-

<sup>1</sup> ნოე უორდანიას წერილი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს თბილისში, პარიზი, 9 აპრილი, 1923 წ., საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარგარდის უნივერსიტეტის მიეროფირების ასლები, საქმე №1323.

ლის მემუარებიდან ჩანს, კერზონმა მხოლოდ თანაგრძნობა გამოხატა გაჭირვებაში ჩავარდნილი საქართველოს მიმართ და მწუხარება გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ საქართველოს დელეგაცია არ წავიდა ზოგიერთ დათმობაზე მისი მეზობლების მიმართ სან-რემოში, როცა კიდევ შეიძლებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მდგომარეობის განმტკიცება. ბოლოს მან დააიმედა ქართველი ელჩი, რომ, როცა ახლო აღმოსავლეთის შესახებ საკითხი დადგებოდა დღის წესრიგში, ინგლისის ხელისუფლება კვლავ შეძლებდა საქართველოს დახმარებას.<sup>1</sup>

ა. ჩხენკელის მიღებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ლორდ კერზონმა იმავე დღეს საიდუმლო წერილით აცნობა ბათუმში მყოფ თავის წარმომადგენელს - სტოქსს. წერილში აღნიშნულია, რომ ა. ჩხენკელს სურდა, ინგლისის ხელისუფლებისგან რჩევები მიეღო საქართველოში შექმნილი მდგომარეობასთან დაკავშირებით. კერზონი წერს: „მას (ა. ჩხენკელს - ლ. ს.) გაცნობიერებული ჰქონდა ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც მისი მთავრობა იმყოფებოდა და ცდილობდა, ვითარების შესამსუბუქებლად რაიმე გამოსავალი ეპოვა. მე ვუთხარი მას, რომ ვწუხვარ საქართველოს დამარცხების გამო, რომელსაც არ ჰყავდა კარგი მეგობარი, რაშიც მე გასული ორი წლის მოვლენებმა დამარწმუნა. მე ვიგრძენი, რომ საქართველო გარკვეულწილად დარწმუნებული იყო საკუთარ შესაძლებლობებში. ერთადერთი დაბრკოლება კავკასიაში ბოლშევიკების წინსვლის შესაჩერებლად იყო ძლიერი კავშირი, ან ამიერკავკასიის სამი ქვეყნის კონფედერაცია. მე თავის დროზე შევეცადე, გავლენა მომეხდინა საქართველოს წარმომადგენლებზე. დაახლოებით ერთი წლის წინ ჩემი პირადი

<sup>1</sup> საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის ა. ჩხენკელის მემუარი დიპლომატიური მუშაობის შესახებ საზღვარგარეთ (1921-1922 წწ.), საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარგარდის უნივერსიტეტის მიკროფირების ასლები, საქმე №872.

მდივანი რ. ვანსიტარტი სან-რემოში ეცადა, რათა სტიმული მიეცა საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლებისთვის - მიეღწიათ შეთანხმებისათვის. ეს მოლაპარაკება საქართველოს პოზიციის გამო ჩაიშალა, რადგან საქართველომ უარი თქვა სომხეთისთვის ზღვაზე გასასვლელის მიცემაზე. ამ მთავარი შეცდომით იყო განპირობებული ქართველების სასჯელი<sup>1</sup>. ლორდ კერზონს მხედველობაში ჰქონდა ის ფაქტი, როცა 1920 წლის 12 აპრილს მისი წარმომადგენელი ვანსიტარტი სპეციალურად ჩავიდა პარიზში, შეხვდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების დელეგაციებს და განუცხადა მათ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს არ ჰქონდათ მომავალი, თუ ვერ შეთანხმდებოდნენ. ამიერკავკასიის რესპუბლიკების დელეგაციასთან შეხვედრა-კონსულტაციები 20 აპრილიდან იტალიის საკურორტო ქალაქ სან-რემოში განახლდა, სადაც მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო ბათუმის საკითხს განიხილავდა. ინგლისელები ჩქარობდნენ მიეღოთ საზღვრების გამიჯვნის შესახებ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ხელმოწერილი საბოლოო შეთანხმების ტექსტი. დელეგაციის წევრებთან თათბირს ხშირად ესწრებოდა თვით ვანსიტარტი. ლორდ კერზონი თვლიდა, რომ ბოლშევიზმის „დამყარება ბაქოსა და ბათუმში იქნება საფრთხე სპარსეთისა და ყველა მეზობელი სახელმწიფოსთვის“<sup>2</sup> სან-რემოში, კონფერენციის 22 აპრილის სხდომაზე კერზონმა დააყენა წინადადება, ბათუმის საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე და საქართველოს გამგებლობაში მის გადაცემამდე, გარდამავალ პერიოდში, მოკავშირეთა დამატებითი ძალებით ქალაქის გამაგრების შესახებ. იგი მაშინ გამართლებულად მიიჩნევდა,

<sup>1</sup> Earl Curzon to Colonel Stokes (Batoum), confidential, Foreign Office, March, 17, 1921, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთურკა, აკავი რამიშვილის არქივი, საქმე №Fo 371/ 6269.

<sup>2</sup> ტაბაღუა ო., ბათუმის საკითხი სან-რემოს კონფერენციაზე (1920 წ.), მაცნე (ისტორიის სერია), №3, გვ: 93-94, 1982.

ანტანტის ქედებს გარკვეული სამხედრო რისკი გაეწიათ ბათუმის და, საერთოდ, ამიერკავკასიის შენარჩუნებისთვის. სან-რემოში ამიერკავკასიის რესპუბლიკების ბლოკის შექმნის იდეის ჩაშლის, აზერბაიჯანის გასაბჭოების და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ბოლშევიკებისთვის სასარგებლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ინგლისის ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ ბათუმში მოკავშირეთა სამხედრო ძალის ყოფნა შემდგომში ვითარებას ვერ შეცვლიდა. ამიტომ დიდი ბრიტანეთის მთავრობის კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება ბათუმის დატოვების შესახებ. ინგლისის ხელისუფლება, ეკონომიკური მდგომარეობის გამო, იძულებული გახდა ჯარი გაეყვანა შუა და წინა აზიდდან. ინგლისელი დიპლომატი ა. მური ასე ხსნიდა კავკასიაში შემოსვლის მიზანებს: „დროებითი ზავის შემდეგ ჩვენ აუარებელი ჯარი შევიყვანეთ კავკასიაში... საერთოდ, რატომ მივეღით ჩვენ იქ? ... ჩვენ ეს გავაკეთოთ, რათა გვეცადა ბაქოს ნავთანი ადგილები ხელთ ჩაგვეგდო, მაგრამ ჩვენ არ ვიყავით იმისთვის მომზადებული, რომ მათი გულისთვის გვებრძოლა“.<sup>1</sup>

1921 წლის მარტში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ ოსმალეთის ჯარებისგან ბათუმის გათავისუფლების დროს, ოსმალო ასკარები ინფორმაციას ავრცელებდნენ, რომ ქართველებს ინგლისელების და ფრანგების მაშველი ძალები ეხმარებოდნენ. აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ბოლშევიკებთან ომის პერიოდში ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც დაეხმარა საქართველოს, საფრანგეთის იყო.<sup>2</sup> საფრანგეთის ეს-

<sup>1</sup> ნოზაძე ვ., ევროპა და კავკასია (ბრძოლა ნავთისთვის), გაზეთი – დამოუკიდებელი საქართველო, №52, პარიზი, 1930.

<sup>2</sup> Mamoulia G., Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentales. Le cas de la Géorgie (1921-1945), éditeur Harmattan, Paris, 2009, p. 26.

კადრამ, ადმირალ დიუმენილის ბრძანებით, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას საარტილერიო მხარდაჭერა გაუწია აფხაზეთიდან შემოჭრილი წითელი არმიის ნაწილების მოგერიებაში და მათი პოზიციები გაგრის მისადგომებთან - სოფელ პილენჯივოში (განთიადი), ასევე გუდაუთისა და ახალი ათონის რაიონში, დაბომბა.<sup>1</sup> საფრანგეთი, ასევე, ცდილობდა, ქართველი მეომრები იარაღით მოემარაგებინა.<sup>2</sup> ოსმალების წინააღმდეგ ბათუმისათვის გამართულ ბრძოლებში უცხოეთის სახელმწიფოთა ხომალდებს მონაწილეობა არ მიუღია.

აღსანიშნავია, რომ თვით ანტანტის წევრ სახელმწიფოებს შორის არ იყო ერთგვარი თანხმობა ამიერკავკასიის საკითხთან დაკავშირებით. ინგლისის მოკავშირე საფრანგეთის ხელისუფლება მკაცრად აკრიტიკებდა ბათუმში მყოფი ინგლისის ჯარის უმოქმედობას, რომელსაც წესრიგის ნაცლად მთელ ოლქში ქაოსი შეჰქონდა. საფრანგეთის უმაღლესი კომისარი კავკასიაში შარდინი საკუთარი მთავრობისადმი გაგზავნილ საიდუმლო წერილში შენიშნავს, რომ მათი მოკავშირები (იგულისხმება ინგლისელები - ლ. ს.) რჩებიან ძალიან სუსტები ამ მხარეში, მათ ვერ შეძლეს, ხელი შეეშალათ სომხეთ - საქართველოს ომისთვის.<sup>3</sup> თავის მხრივ, ამერიკის ხელისუფლება, რომელიც უკაყოფილო იყო ინგლისელთა გადაწყვეტილებით - იტალიისთვის გადაეცა ამიერკავკასიის მანდატი, გულდასმით ადევნებდა თვალს ინგლისში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას: საფინანსო კრიზისს, საშინაო

<sup>1</sup> ჩაჩანიძე თ., ფრანგული ესკადრის ოპერაციები საქართველოს სანაპიროსთან, უკრნალი არსენალი, №6, ივნისი, 2006, გვ: 41-42.

<sup>2</sup> Zürrer W., Kaukasien 1918-1921. Der Kampf der Großmächte um die Landbrücke zwischen Schwarzem und Kaspischem Meer, Drost Verlag Düsseldorf, 1978, p. 455.

<sup>3</sup> Afanasyan S., L'Arménie, L'Azerbaïdjan et la Géorgie de l'independance à l'instauration du pouvoirs Soviétiques 1917-1923, éd., l'Harmattan, Paris, 1981, p: 88.

მდგომარეობის უკიდურეს დაძაბულობას, მზარდ ანტიინგლი-სურ მოძრაობას ეგვიპტეში, ინდოეთში, განსაკუთრებით, ახლო აღმოსავლეთის ცენტრალურ და დასავლეთ რაიონებში, ამიერკავკასიაში და ცდილობდა, მოკავშირის ეს არახელსაყრელი პირობები საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად გამოეყენებინა.

ინგლისის მაშინდელი ხელისუფლების უმოქმედობამ უბისგა რუსეთს საქართველოზე თავდასხმისაკენ. ინგლისის ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ რუსეთი მნიშვნელოვანი ნედლეულის წყარო და გასაღების ბაზარი იქნებოდა ინგლისის მრეწველობისთვის. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ლოიდ ჯორჯის პრორუსული პოლიტიკა, რასაც საბოლოო ჯამში საქართველოს დამოუკიდებლობა შეეწირა.

#### დამოწმებანი:

1. მანველიშვილი ალ., რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან ფრანცისკო, 1984.
2. გელაშვილი გ., ბოლშევიკების აგრესია (საქართველოს წინა-აღმდეგ ბოლშევიკების საომარი გეგმის გამოაშკარავება), კრებულში – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2 (6), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009.
3. ნოზაძე ვ., ევროპა და კავკასია (ბრძოლა ნავთისთვის), გაზეთი – დამოუკიდებელი საქართველო, # 52, პარიზი, 1930.
4. ტაბაღუა ი., ბათუმის საკითხი სან-რემოს კონფერენციაზე (1920 წ), მაცნე (ისტორიის სერია), # 3, 1982.
5. ტაბაღუა ი., საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან (ლექციების კურსი), თბილისი, 1994.
6. სიორიძე მ., „ბათუმის საკითხის“ ინტერნაციონალიზაცია 1919-1920 წწ., წიგნში – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტომი III, ბათუმი, 2008.

7. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის მიკროფირების ასლები, საქმე # 1483.
8. ჩახანიძე თ., ფრანგული ესკადრის ოპერაციები საქართველოს სანაპიროსთან, უკრნალი – არსენალი, # 6, ივნისი, 2006.
9. Afanasyan S., L' Arménie, L'Azerbaïdjan et la Géorgie de l'indépendance à l'instauration du pouvoir Soviéтиque 1917-1923, éd. l' Harmattan, Paris, 1981.
10. Earl Curzon to Colonel Stokes (Batoum), confidential, March 17, 1921, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, აკაკი რამიშვილის არქივი, საქმე # Fo 371/16269.
11. Luke to Secretary of State for Foreign Affairs, confidential, August 14 th, 1920, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, აკაკი რამიშვილის არქივი, საქმე №Fo 371/ 4945.
12. Le ministre des affaires étrangères de République Géorgienne, son excellence le ministre des affaires étrangères de Grande Bretagne, Paris, le 12 novembre, 1920, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, akaki rami Svi l i s arqi vi, saqme #Fo 371/ 4948.
13. Mamoulia G., Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentales. Le cas de la Géorgie (1921-1945), éditeur Harmattan, Paris, 2009.
14. Tchenkeli A., Lloyd George, Premiere Ministre de Grange Bretagne, President de la Conference de Londres, Le 8 Mars, 1921, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, აკაკი რამიშვილის არქივი, საქმე №Fo 371/16269.
15. Zürrer W., Kaukasien 1918-1921. Der Kampf der Großmächte um die Landbrücke zwischen Schwarzem und Kaspischem Meer, Drost Verlag Dusseldorf, 1978.

16. Ключников Ю., Сабанин А., Международная политика новейшего времени в договорах нотах и декларациях, часть II, Москва, 1926.

**Lela Saralidze**

*Doctor of History, TSU,*

*Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*

*Senior researcher scientist of the Department*

*of Modern and Contemporary History*

**FROM THE HISTORY OF GEORGIAN- ENGLISH**

**RELATIONSHIP**

**(1920-1921)**

**(According to the unknown archive documents)  
SUMMARY**

The work is based on the new archive documents and it is about the English Interests in Georgia in those years. European leaders considered Caucasian territory as a political unit which would have to solve its problems about political status with Russia. Government of Lloyd George started negotiations about trade Agreement with Russia, In the second half of 1920. Agreement was signed on the 16<sup>th</sup> of March 1921, but project was already made two months earlier. When Red army attacked Georgia in 1921, Russian Government was sure that England would be neutral. According to the one article in the agreements English side says that they are not interested in Caucasus. On the 6<sup>th</sup> of January 1921, On Ententes Supreme Council, in Paris, where the issue of legal recognition of independence of Georgian Democratic Republic was discussed, Minister of Foreign Affairs Lord Curzon was trying to persuade their Allies that if they vote for Georgian Independence, Russia would not spare them. Despite this on the 27<sup>th</sup> January 1921, Georgian independence “De Jure” was

recognized by English Government. According to the secret conversations of England's high-ranking leaders it is clearly visible that English Government was well informed about the actions of Red Army in Georgia, at this time England's highest representative in Caucasus, who was in Batumi at that time, was Colonel Stokes. Lord Curzon officially invited Georgian ambassador in European countries Akaki Tchenkeli on the 17<sup>th</sup> of March 1921, The following day of signing agreement with Russia. Lord Curzon confidentially informed Colonel Stokes who was in Batumi about Akaki Tchxenkeli's visit. English Government thought that economic recovery of Russia would be important source of raw materials and realization area for English Industry. This was the basis of Lloyd Georges pro-Russian politics, which in the end sacrificed the Independence of Georgia.

**ცაცა ჩხარტიშვილი**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ისტორიის დოქტორი, მუცნიერ-თანამშრომელი

**პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან**  
(პრესის მასალების მიხედვით)

ევროპისაკენ სწრაფვა უცხო არ არის ქართული საგარეო პოლიტიკური წარსულისათვის. შესაძლოა, ამ მიმართულებით განხორციელებული ძვრები მცირე მაშტაბისაა, მაგრამ ეს ობიექტური მიზეზებით აიხსნება.

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ორი – დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციის დამაკავშირებელი რეოლის ფუნქციას ასრულებდა. იყო დრო, როდესაც მას „აღმოსავლეთში ქრისტიანობის ბურჯის“ როლი ეკისრებოდა. სამხრეთ კავკასიის ეს პატარა ქვეყანა, პირველ რიგში, თავის თავზე იღებდა აღმოსავლეთიდან წამოსულ ყველა საფრთხესა და განსაცდელს. ფაქტობრივად, ეს იყო კარიბჭე, რომელზედაც უცხო დამპყრობელთა ავანგარდი იღეწებოდა, ამით საქართველო ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა ევროპას, რომელსაც ქართველებთან ბრძოლაში ძალადაშრეტილი მტერი ან საერთოდ აღარ აწუხებდა, ან უტევდა, მაგრამ მნიშვნელოვნად მცირე ძალებით.

რაც შეეხება პოლონეთისა და საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებს, ისინი სწორედ ამ ორი სახელმწიფოს საერთო მტრის – ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში სამზადისს უკავშირდება.

პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობამ უფრო მტკიცე ხასიათი მოგვიანო პერიოდში მიიღო, მით უფრო მძიმე, რომ მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში განვითარებულ-მა მოვლენებმა მათი ბედი ძალზე დაუახლოვა ერთმანეთს.

საქართველოსა და პოლონეთს ურთიერთობების ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ორივე ქვეყანა რუსეთის იმპერიის პროვინცია ხდება. პოლონელი მეამბოხეები სამხედრო სამსახურს მეფის რუსეთის არმიაში იხდიდნენ კავკასიაში, ხოლო უდრევი ქართველები კი იგზაუნებოდნენ ვისლაზე. ისტორიული სინამდვილით გამოწვეულმა დაჩაგრულ—დაბეჩავებული ერის სტატუსმა ბევრი საერთო ინტერესის ჩამოყალიბება განაპირობა ამ ორი დამოუკიდებლობადაკარგული, განსხვავებული ერის ისტორიაში.

ქართულ—პოლონური ურთიერთობის ისტორია მე-15 საუკუნიდან იწყება და დაახლოებით 500 წელიწადს ითვლის. ისტორიაში ბევრი როდია ორი გეოგრაფიულად ასე დაშორებული და ეთნიკურად ასე განსხვავებული ხალხის ამგვარი ურთიერთობის მაგალითები. „ამ ორ ხალხს ხასიათისა და ისტორიული ბედის მსგავსებასთან ერთად საერთო სულიც აახლოებდათ. „დამოუკიდებლობა“ და „თავისუფლება“ ორივე ხალხისთვის ყოველთვის უმთავრესი ცნებები იყო, ხოლო ბრძოლა მათთვის განსაზღვრავდა ეროვნული ყოფის სიღრმისუფლ არს.“<sup>1</sup> სწორედ განსაკუთრებულმა მიზიდულობამ განაპირობა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობები. ამ ურთიერთობათა ხანგრძლივ ისტორიაში იყო სხვადასხვა პერიოდები. ამ ურთიერთობათა ისტორიის ყველაზე დრამატული და დაძაბული ფურცლები მაინც XIX საუკუნეში დაიწყო. XIX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში გადმოასახლეს პოლონელი პატრიოტი ალექსანდრე ხოძკო, რომელმაც თბილისში ორი წელი გაატარა. იგი გაეცნო საქართველოს ისტორიასა და ქართულ ლიტერატურას, შეისწავლა ქართული ენა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ პოლონელმა ხალ-

<sup>1</sup> ანჯერ ვოზნიაკი, ქართველები ვარშავაში (XVII-XXI საუკუნეებში,) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანფერენციის მასალები „პოლონელების 200 წელი საქართველოში“, თბილისი, 2004. გვ. 5.

ხმა გაიცნო შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება “ვეფხისტყაოსანი”. ეს ნარკვევი რუსულად თარგმნა პოლონელმა მთარგმნელმა დუბროვსკიმ. ნარკვევში ლაპარაკია არა მარტო შოთა რუსთაველზე, არამედ მოკლედ გადმოცემულია საქართველოს ისტორიაც.

XX საუკუნის დასაწყისში, 1903 წლისთვის, პოლონეთის უმაღლეს სასწავლებლებში მრავალი ქართველი სტუდენტი იღებდა განათლებას.

ვარშავის კონსერვატორიაში სწავლობდა ქართული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი წარმომადგენელი ანდრია ყარაშვილი. 1910 წელს ვარშავის უმაღლეს სასწავლებელში 50-ზე მეტი ქართველი სტუდენტი იყო.<sup>1</sup>

ზოგიერთმა ქართველმა ემიგრანტმა დიდი როლი ითამაშა პოლონეთსა და ირანს შორის არსებულ დიპლომატიურ კავშირში, რომელსაც მიზნად ჰქონდა ამ ქვეყნის ჩართვა ანტიქართულ კოალიციაში. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ბოგდან გურჯიცკი, რომელიც სამეფო ლაშქრის ასეულის მეთაური იყო, ასევე მისი ძმა – ფარსადანი.

გურამ ზედგენიძის ცნობით, “ბოგდანი პოლონეთის სამეფო ჯარის როტმისტრი ყოფილა ერთხანს, წარმოშობით ქართველი, თავდაპირველად მეფის სამსახურში იმყოფებოდა, მაგრამ მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან პოლონეთში მსახურობდა. 1662 წლიდან მას აქ როტმისტრობა მიუბოძეს და ამ წლებში, სამხედრო კამპანიების დროს, დიდი ვაჟაცობა გამოუჩენია, ისე რომ, 1666 წლის პოლონეთის სეიმის შეკრებილობაზე საკითხი წამოჭრილა მისი დაჯილდოების შესახებ, სახელდობრ, უნდა გამხდარიყო პოლონელი აზნაური, შლიახტის ფეხის სრულფასოვანი წევრი. მაგრამ პოლონელი აზნაურის წოდება მას მხოლოდ 1676 წელს მიანიჭეს. მასთან ერთად პოლონელი „შლიახტიჩი“ გამხდარა, ამავე წელს,

<sup>1</sup> კარბინი რ., „ქართველი ოფიცრები პოლონეთის ჯარში, ვარშავა, 2001, გვ. 99.

მისი ძმა ფარსადანიც. ბოგდანს აგრეთვე მამულები მიებობა ლენჩისკის რაიონში“

ბოგდანის სახელი და გვარი, რა თქმა უნდა, საქართველოში სხვა უნდა ყოფილიყო. გურჯიცები წარმომდგარი უნდა იყოს, როგორც სამართლიანად აღნიშნავს გ. ზედგენიძე, „ქართველის“ აღმნიშვნელი სიტყვიდან, სახელი „ბოგდანი“ კი უნდა წარმოადგენდეს ქართული სახელის თარგმანს. შესაძლებელია, ქართულად მას „ლვითისავარი“ ან „ლვითისო“ ერქვა. რა თქმა უნდა, „ბოგდან გურჯის“ მოღვაწეობა პოლონეთის სამეფო კარზე საქართველო-პოლონეთის ურთიერთობას არ ნიშნავს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ირან-პოლონეთის ურთიერთობა თურქეთის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული და საქართველოს პოლიტიკური ერთეულები ანტიქართული კოალიციის შექმნას ყოველთვის სიხარულით ხვდებოდნენ და, შესაძლებლობის ფარგლებში, პოლონეთის ხელს უწყობდნენ, ბოგდან ქართველის საქმიანობა სამშობლოს სასარგებლოდ უნდა მივიჩნიოთ. <sup>1</sup>

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველომ, პოლონეთის მსგავსად, დამოუკიდებლობა დაკარგა. 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველო, შემდგომში კი დასავლეთ საქართველო ანექსირებული იქნა რუსეთის მიერ. რუსეთის სამსახურში მყოფი ქართველები (სამხედროები და მოხელეები), მოგვიანებით ასევე ვაჭრები, მეწარმეები და სტუდენტები—პოლიტიკური დევნილები ხდებოდნენ და სულ უფრო ხშირად ჩნდებოდნენ პოლონეთის მიწა-წყალზე. XIX საუკუნის II ნახევარში ქართველების რიცხვმა იმატა. მათი უმეტესი ნაწილი ვარშავაში დამკვიდრდა, რომელიც აღმინისტრაციულ, სამხედრო და განათლების ცენტრს წარმოადგენდა. XIX საუკუნის ბოლოს ქართველების უმეტეს ნაწილს პოლონეთის სამეფოში

<sup>1</sup> ზედგენიძე გ., ქართველი დიპლომატი ბოგდან გურჯიცები, შურნალი — მნათობი, 1965, №12. გვ. 166.

კვლავ სამხედროები და მოხელეები წარმოადგენდნენ, რომელთა უმეტესობა თავს ვარშავაში იყრიდა. იმ დროისათვის განათლების ვარშავაში მიღება დიდი პოპულარულობით სარგებლობდა პატრიოტულად განწყობილ ახალგაზრდებს შორის<sup>1</sup>.

XIX საუკუნის 90-იან წლებში პოლონეთში ქართველი სტუდენტების ჯგუფი მოღვაწეობდა, რომლებიც ა. ჯაფარიძის მიერ დაარსებული საქართველოს განთავისუფლების ლიგის წევრები იყვნენ. რუსეთის ხელისუფლებამ ორგანიზაცია გამოამჟღავნა და მათი წევრები დააპატიმრა. მათ შორის დაპატიმრებული იქნა ვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტი, მომავალში ცნობილი ქართველი მწერალი შიო დედაბეროვი (დედაბრიშვილი), ცნობილი, როგორც შიო არაგვისპირელი. ვარშავის ვეტერინარულ ინსტიტუტში, სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად, სწავლობდა ნოე ჟორდანია (1869-1953), რომელიც შემდგომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის პრემიერი გახდა. სწავლის პერიოდში ნოე ჟორდანიამ ჩამოაყალიბა ორი სამეცნიერო წრე: ერთი – ქართულ ენაზე მოსაუბრე ქართველი სტუდენტებისათვის, ხოლო მეორე – რუსულ ენაზე მოსაუბრე ქართველებისა და რუსებისათვის. ცნობილი არ არის ამ სამეცნიერო წრეების სტუდენტების რაოდენობა და არც ის, იყვნენ თუა არა აქ გაერთიანებული სხვა ინსტიტუტის მსმენელები, მაგრამ სავარაუდოა, რომ საუკუნეთა გასაყარზე ვარშავის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტთა რიცხვი ორიოდე ათეულს არ აღმატებოდა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ცინცაძე ი., მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII სს.), თბ., 1966. გვ. 85.

<sup>2</sup> ვოზნიაკი ა., ქართველები ვარშავაში (XVII-XXI საუკუნეებში), ავ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენციის მასალები – პოლონელების 200 წელი საქართველოში, თბილისი, 2004. გვ. 86.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო და პოლონე-თი, თავისუფლების დაკარგვის შემდეგ, ერთი იმპერიის ფარ-გლებში აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ პოლონეთში უფრო ძეტად გამოჩნდნენ ქართველები – სამხედროები, ჩინოვნიკები. თადე-უშ ბობროვსკი თავის მოგონებებში იხსენებს „ვინმე იოსელი-ანს, შემდგომში გენერალს, რომელიც თავად კონსტანტინეს ფავორიტი, დაქორწინდა პოლონელზე, ხოლო მისი ქალიშვი-ლი ცოლად გაჰყვა გვარდიის ოფიცერ ჰელმიცკის“.<sup>1</sup>

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ პოლო-ნეთის მცხოვრებთათვის კარგად იყო ცნობილი რუსული ად-მინისტრაციის მაღალჩინოსანი ორი ქართველის გვარი, გენე-რალი ჰეტრე რომანის ძე ბაგრატიონი, რომელიც იყო ვარშა-ვის რკინიგზის უფროსი. ასევე ცნობილია თავადი ალექსან-დრე იმერეტინსკი. იგი ბაგრატიონთა დინასტიის იმერეთის სამეფო შტოს წარმომადგენელი, მეფე სოლომონ მეორის ბი-ძაშვილი იყო, დაბადებული სანკტ-პეტერბურგში 1837 წლის 24 სექტემბერს. პატარა კორპუსის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ოფიცერი კავალერიაში იწყებს სამსა-ხურს, შემდეგ კი ქართველ გრენადერთა პოლკში გადაჰყავთ. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კავკასიის მთიელთა და-მორჩილებასა და აჯანყებულ პოლონელთა წინააღმდეგ ბრძო-ლაში.<sup>2</sup> მასევე ეკავა პოლონეთის მაღალი თანამდებობები, სა-უკუნის ბოლოს კი ვარშავის გენერალ-გუბერნატორი და ვარშავის ოლქის სამხედრო მმართველი იყო. თავად იმერე-ტინსკის მმართველობის პერიოდს უწოდებდნენ, „იმერეტინ-სკის ერას“. იგი ცნობილი იყო იმით, რომ საზოგადოების მოხიბვლის ნიჭი გააჩნდა. მაგალითად, 1897 წელს, ნიკო-ლოზ მეფის ვარშავაში ჩასვლასთან დაკავშირებით, მან გაა-

<sup>1</sup> ჰენსელი ვ., ტაბაღუა ი., საქართველო გუშინ და დღეს, თბ. 1976, გვ. 399.

<sup>2</sup> საითიძე გ., ქართველები რუსეთის სახელმწიფო საბჭოში (1801-1917 წწ.) თბ. 2008, გვ. 26.

ტარა გარკვეული რეფორმები - ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დამაბრკოლებელი აკრძალვები გააუქმა, შეამცირა ცენზურული შეზღუდვა, შემოიღო კათოლიკური ეკლესიის განვითარებისთვის საჭირო შეღავათიანი პირობები, შეამსუბუქა საზოგადოებრივი, კომუნიკაციული და კულტურული ორგანიზაციების დაარსების პირობები და მეფეს გამოსთხოვა ვარშავაში ადამ მიცვევიჩის ძეგლის დადგმის უფლება, რაც დაემთხვა მგოსნის ას წლისთავს. მართალია, ამ მმართველის მოღვაწეობა დღეს განიხილება, როგორც რუსეთის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული ტაქტიკური სვლები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენერალ ხურკისა და ცნობილი რუსიფიკატორის, აპუხტინის მძიმე რეაქციული მმართველობის შემდეგ თავად იმერეტინსკის პერიოდი პოლონელებისთვის ახალი ეპოქის დასაწყისად იქცა.<sup>1</sup>

ვარშავის ადგილობრივი მმართველობის სამხედრო ნაწილის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი იყო პოდპოლკოვნიკი თავადი სააკაძე.<sup>2</sup> ვარშავასა და მის პროვინციებში მცხოვრებ ქართველ ოფიცრებსა და ჩინოვნიკებზე წერს იან სავინიჩი, ოლგლბანდის ძველ ენციკლოპედიაში კავკასიაზე მთელი რიგი სტატიების ავტორი. ის ცნობილი იყო, როგორც კავკასიის კარგი მცოდნე და თავს ქართველ ემიგრანტთა შთამომავლად თვლიდა.<sup>3</sup>

1921 წელს შეიქმნა საქართველო-პოლონეთის კლუბი, რომლის საბჭოს პრეზიდენტი სერგო ყურულიშვილი იყო.

იგი დაბადებულა 1894 წლის 4 სექტემბერს საქართველოში, საჩხერის რაიონში. მშობლები – ვანო ყურულიშვილი

<sup>1</sup> პეტერები ა., ალექსანდრე იმერეტინსკი, ტ. 30, თბ. 1902.

<sup>2</sup> ვოზნიაკი ა., ქართული ემიგრაციის საზოგადოებები და ორგანიზაციები პოლონეთში, უკრნალი – ახალი პოლონეთი, თბ. 2001, N1 (სპეციალური გამოშვება ქართულ ენაზე) გვ. 101.

<sup>3</sup> ბობროვსკი თ., ჩემი ცხოვრების მოგონებანი, ტ. I, თბ. 1979, გვ. 64-65.

და ეკატერინე ნაზარიშვილი. სერგო პოლონეთში საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918 წელს, კონსულად დაუნიშნავთ. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული საზოგადოების ორგანიზებასა და თაბეჭირობის. მან ვარშავაში ქართულ-პოლონური კლუბი დააფუძნა.<sup>1</sup>

განათლებით სერგო ყურულიშვილი ინჟინერ-არქიტექტორი იყო, იგი იყო აგრეთვე მოყვარული პოეტი და პროზაიკოსი. რედაქტორობდა ჟურნალს „Clos Wschodw“, ბეჭდავდა ფსევდონიმით „ტაიფუნი“, პოლონეთში გამოცემულია მისი ნაწარმოებების რამდენიმე კრებული: „მათრობელა ვარდი“, „ტალღები“, „ნოველები, მოთხრობები და ესეები“. სერგო კარგად მოეწყო პოლონეთში. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მან მოგვიანებით საქართველოდან მმა, ვანო ჩამოიყვანა, - ვკითხულობთ „ოჯახურ მოგონებებში“. ცოლად პოლონელი მოიყვანა. მისი უამრავი მეგობრით გარემოცულ პოლონურ სახლში მუდამ იგრძნობოდა ქართული სული. იგი ტრაგიკულად დაიღუპა - 1925 წლის 25 მარტს ვარშავაში, კომოროვსკის კაფეში მოკლეს. მკვლელი სტეფანე ლებრაუშ ველლიკიერნიკი, მხატვარ ჰალინა სას-ვუიციცკის ეჭვიანი ქმარი იყო. სერგო ამ დროს მხოლოდ 34 წლისა იყო. დაკრძალული იქნა ვარშავაში, მართლმადიდებლურ სასაფლაოზე. კლუბის არსებობის პერიოდში გამოიცა ერთჯერადი ჟურნალი „ამირანი“, რომლის რედაქტორი სერგო ყურულიშვილი იყო. გაზეთი ეძღვნებოდა საქართველოსა და პოლონურ-ქართულ კონტაქტებს.

1922 წელს შეიქმნა პირველი ქართული კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე გახდა სერგო ყურულიშვილი. შემდგომ წლებში კომიტეტს ხელმძღვანელობდნენ: ი. სალაყაა, ა. გოძიაშვილი და კ. იმნაძე. კომიტეტი დახმარებას უწევდა

<sup>1</sup> ყურაშვილი ს., ოჯახური მოგონებები სერგო ყურულიშვილზე, ჟურნალი – ახალი პოლონეთი, 2001, №1. გვ. 115.

ემიგრანტთა ოჯახებს, აწყობდა მეგობრულ შეხვედრებსა და სადღესასწაულო ღონისძიებებს; გამოვიდა ორი გამოცემა - „Pro Georgia”, (1922) და „Pro Patria” (1923), ამას გარდა, შოთა რუსთაველის 750 წლისადმი მიძღვნილი ბროშურა და პარიზში ქართველი ემიგრანტი მოღვაწეების ნაშრომების ფრანგულად თარგმნილი კრებული; დაიბეჭდა სხვა ერთჯერა-დი გამოცემები საქართველოზე; ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით 1823-24 წლებში გამოიღოდა „აღმოსავლეთის ხმა“, რომელშიც, ძირითადად, ქვეყნდებოდა მასალები საქართველო-ზე<sup>1</sup>.

1925 წლიდან ვარშავაში არსებული პოლონეთ-საქართველოს საზოგადოების შესახებაც მცირე რამ არის ცნობილი.

ფაშისტური ოკუპაციის მძიმე პერიოდში ქართველი ემიგრანტები, მიუხედავად პრივილეგირებული პოზიციისა, რითაც ოკუპანტები ცდილობდნენ მათ გადაბირებას, საერთო ჯამში, ლოიალურნი რჩებოდნენ შეძენილი სამშობლოს მიმართ, თუმცა ვარშავის ქართულ დიასპორას არ ასცდა დრა-მატული, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, ტრაგიკული მომენტები, რომლებიც დღემდე იწვევს ღრმა განცდებს. გერმანელების ოკუპანტურმა ხელისუფლებამ საქართველოს კომიტეტს რეორგანიზაცია გაუკეთა და თავის დაქვემდებარებაში მოაქცია. კომიტეტის მართვა დაევალათ გერმანელების ნდობით აღჭურვილ პირებს.<sup>2</sup>

1991 წლის 25 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავისა და საქართველოში პრეზიდენტის არჩევნე-

<sup>1</sup> საითიძე გ., ქართველები რუსეთის სახელმწიფო საბჭოში (1801-1917 წწ.) თბ., 2008, 95.

<sup>2</sup> ვოზნიაკი ა., ქართველები ემიგრაციის საზოგადოებები და ორგანიზაციები პოლონეთში, უკრაინი - ახალი პოლონეთი, თბ., 2001, N1 (სპეციალური გამოშვება ქართულ ენაზე) გვ. 95.

ბის წინა დღეს, ვარშავის დამოუკიდებლობის მუზეუმში მოეწყო გამოფენა - საქართველო-პოლონეთი, რომელმაც თავი მოუყარა პოლონეთის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები ქართველების ჯგუფს, რაც გახდა იმპულსი მომავალი პატრიოტული საქმანობისათვის. ამან გმოიწვია იმავე წლის სექტემბერში ლომბი საქართველო-პოლონეთის საზოგადოების ჩამოყალიბება. ეს საზოგადოება I და II მსოფლიო ომებს შორის არსებული ქართულ-პოლონური კლუბების ტრადიციების გამგრძელებელი აღმოჩნდა. მან თავის რიგებში გააერთიანა პოლონეთში მცხოვრები ქართველები და საქართველოს მეგობარი პოლონელები. მათი სურვილია, პოლონეთის საზოგადოება გაეცნოს საქართველოს ისტორიასა და კულტურას, ხელი შეუწყოს ორი ხალხის სამომავლო კავშირების გაღრმავებას. საქმიანობა მთელ პოლონეთს მოიცავს: ფილიალები აქვს ვარშავასა და პოზნანში, ხოლო რწმუნებულები ჰყავს კრომლინში, ლემბურკსა და ბროცლავში. 1994 წლისათვის საზოგადოება 86 წევრს ითვლიდა, მათი უმეტესი ნაწილი ვარშავაში (30), ლომბი (22), ბილგოშჩიში, კრაკოვსა და სხვა ქალაქებში ცხოვრობდა. უმეტესობას ქართველები ან ქართული წარმოშობის პოლონელები შეადგენდნენ. საზოგადოებას სიცოცხლის ბოლომდე იუჟი არონიშიძე ხელმძღვანელობდა (1998). XX საუკუნის 90-იანი წლების პირველი ნახევარი ითვლება საზოგადოების ყველაზე გამოცოცხლებულ პერიოდად, ორგანიზება გაუკეთდა საქართველოსათვის ჰუმანიტარული დახმარების აქციებს – ეწყობოდა გამოფენები, მეგობრული შეხვედრები, აღწერილი იქნა პოლონეთის სასაფლაოზე დაკრძალული ქართველების საფლავები და ა.შ.

1991-1998 წლებში გამოიცა უურნალ „Pro Georgia”-ს რვა ნომერი, რომლის დამაარსებელი და რედაქტორი დავით ყოლბაა იყო, ხოლო მოგვიანებით - ანჯეი ვოზნიაკი და 1994 წლიდან - ვიოზექ მატერსკი.

90-იანი წლების დასაწყისში ქართველი სტუდენტების წრეში ხანმოკლე დროით ფუნქციონირებდა ანგია კახიანის მიერ დაარსებული საქართველოს სახალხო-დემოკრატიული პარტიის ვარშავის კლუბი, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პერიოდში მოეწყო რამდენიმე დემონსტრაცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად. 1993 წელს ა. კახიანის რედაქტორობით კლუბმა გამოსცა „ჰეროლდის“ ერთადერთი ნომერი, მისი მიზანი იყო პოლონელი მგითხველისათვის საქართველოს საშინაო და საგარეო სიტუაციის გაცნობა.

პოლონეთ-საქართველოს საზოგადოების წევრების ჯუფმა, I და II მსოფლიო ომთაშორის პერიოდში არსებული ქართულ-პოლონური კლუბის ტრადიციებზე დაყრდნობით, 1995 წელს ვარშავაში ჩამოაყალიბა 'საქართველოს კლუბი 1920'. მისი თავმჯდომარეა სერგო ყურულიშვილი, 20-იანი წლების ცნობილი ემიგრანტი მოღვაწის მძისშვილი და სეხნია. კლუბის ძირითად მიზანს წარმოადგენს კონფერენციების, სემინარების ჩატარება, საქართველოში პოლონეთის, ხოლო პოლონეთში საქართველოს შესახებ ცოდნის პროპაგანდის ორგანიზაცია. კლუბი ვარშავაშია, მაგრამ საქმიანობა მოიცავს სრულიად პოლონეთს. ეწყობა შეხვედრები, ვარშავაში მცხოვრები ქართველი მხარეების გამოფენა.

90-იანი წლების მეორე ნახევარში კვლავ შეინიშნება ყველა ქართული ორგანიზაციის აქტიურობის დაკარგვა, ხოლო საქართველოს სახალხო-დემოკრატიული პარტიის ვარშავის კლუბმა მას მერე, რაც მისმა ორგანიზატორებმა დატოვეს პოლონეთი, არსებობა შეწყვიტა. დღესდღეობით ქართული დიასპორა ჩაეფლო ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სიძნელეებში და, ამდენად, ნაკლები დრო რჩება საზოგადოებრივი საქმიანობისათვის. უკანასკნელ წლებში შექმნილ ორგანიზაციებში იყრძნობოდა დიდი გამოცოცხლება. აქ თავს იყრიდნენ პოლონელები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ

საქართველოს კულტურით. განსაკუთრებული აქტიურობით გამოიჩინდა 1999 წლიდან არსებული საქართველოს მოყვარულთა წრე, რომელიც პოლონეთის ხალხთმცოდნეობის საზოგადოების ვარშავის განყოფილებასთან დაუუძნდა. მის წევრებს ვარშავის უნივერსიტეტის ეთნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები წარმოადგენდნენ იუსტინა დობოშინსკას ხელმძღვანელობით. წრე ორგანიზაციას უკეთებს საქართველოსადმი მიღვნილ ფოტოგამოფენებს, ფილმების ჩვენებებს, აღნიშნავს წლისთავებს. მისი ინიციატივით 2000 წლის მაისში მოეწყო სამეცნიერო სესია საქართველოს თემაზე. წრის წევრები არიან მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორები, მათი ნაშრომების უმეტესობა საქართველოს თემას ეძღვნება.

მსგავს ხასიათს ატარებს 2000 წლის აპრილში ვროცლავში დაარსებული წმინდა იეჟის სახელობის პოლონეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება, რომელიც თავისი საქმიანობით სრულიად პოლონეთს მოიცავს. საზოგადოების თავმჯდომარეა ცნობილი ვროცლაველი არქეოლოგი, პროფესორი ბოგუსლავ გედია. მის რიგებში რამდენიმე ათეული წევრია, რომელთა უმეტესობას პოლონელი სტუდენტები წარმოადგენენ. საზოგადოების მიზანია საქართველოს შესახებ ცოდნის და მასთან კონტაქტების გაღრმავება. საზოგადოება ვროცლავში საქართველოს კულტურის ცენტრის გახსნას აპირებს, მიმდინარეობს მცდელობა შენობის შესაძენად.

შედარებით სხვა მიზნები ამოძრავებს ვარშავაში 2000 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბებულ „გადარჩენის“ ფონდს, რომლის დამაარსებელი და თავმჯდომარეა დოროთა პარჟიმიესი. ფონდის სურვილია დაეხმაროს ამიერკავკასიის „პოლონიას“, ამასთან, ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისა და კულტურის შესახებ ცოდნის გაღრმავებასაც ითვალისწინებს.

კავკასიის „პოლონია“ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია. კავკასიაში პოლონელების ყველაზე მრავალრიცხოვნი

ემიგრაცია კოსტუშკოს აჯანყების შემდგომ მეფის რუსეთის რეპრესიებს უკავშირდება.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ, ახალმა ისტორიულმა ეტაპმა საქართველოს პოლონელები-სათვის ახალი შესაძლებლობები დასახა.

1995 წლის 9 თებერვალს პოლიტიკურ გადასახლებულთა და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ემიგრირებულთა შთამომავლებმა შეძლეს გაერთიანებულიყვნენ საქართველოს პოლონელთა თანამეგობრობაში (ამჟამად, 1998 წლის ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ, საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „პოლონია“).

პირველი საერთო კრება გაიმართა ნოემბერში თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მასში ორასამდე ადამიანი მონაწილეობდა. მოწვეულთა შორის იყო თბილისის პეტრე და პავლე მოციქულების კათოლიკური ტაძრის წინამდღვარი ქსენი ადამ ოხალი, საქართველოში ვატიკანის საელჩოს წარმომადგენლები, ეუთოს მისით მოღვაწე პოლონელი დიპლომატები.

ამის შემდეგ „პოლონია“ თავის აკვნად თბილისის უნივერსიტეტს თვლის. „პოლონიის“ პრეზიდენტად აირჩიეს მარია ფილინა. პოლონელთა თბილისში მასპინძლობას ტრადიცია სწორედ მარია ფილინას ბებიის, მარია ზავადას სახლში ჩაეყარა. პოლონეთის ორგანიზაციის შექმნის იდეაც მარინა ფილინას ეკუთვნოდა. თანდათან შეიქმნა ორგანიზაციის სტრუქტურა საკუთარი არქივით, სადაც 1000-ზე მეტი პოლონური ან შერეული წარმოშობის ადამიანის მონაცემებია. კავშირი მუდმივად ავსებს თავის არქივს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პოლონელთა ისტორიის სრულყოფილად აღდგენისათვის. ეს კავშირი, პირველ რიგში,

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ამოცანებს ისახავს მიზნად<sup>1</sup>.

საქართველოსა და პოლონეთს შორის კავშირების გან-მტკიცება ახალ ეტაპზე, XXI საუკუნეში – საქართველოს პოლონელებისათვის მნიშვნელოვანი ისტორიული მისაა.

#### დამოწმებანი:

1. ზედგენიძე გ., ქართველი დიპლომატი ბოგდან გურჯიცკი, ჟურნალი 'მნათობი~, 1965, # 12.
2. ცინცაძე ო., მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII სს.), თბ., 1966.
3. ვოშნიაკი ა., ქართული ემიგრაციის საზოგადოებები და ორგანიზაციები პოლონეთში, ჟურნალი – ახალი პოლონეთი, 2001, # 1 (სპეციალური გამოშვება ქართულ ენაზე).
4. ბობროვსკი თ., ჩემი ცხოვრების მოგონებანი, ტ. I, თბ. 1979
5. ჰენსელი გ., ტაბალუა ო., საქართველო გუშინ და დღეს, თბ. 1976.
6. გ. საითიძე, ქართველები რუსეთის სახელმწიფო საბჭოში (18011917 წწ.) თბ, 2008
7. პიეტკევჩი ა., ალექსანდრე იმერეტინსკი, ტ. 30, თბ. 1902.
8. ბარანოვსკი ბ., პოლონეთის XVIII-XIX საუკუნის საქართველოთი დაინტერესება, თბ. 1982
9. ფურაშვილი ს., ოჯახური მოგონებები სერგო ფურულიშვილზე, ჟურნალი 'ახალი პოლონეთი~, 2001, # 1.
10. ვოზნიაკი ა., ქართველები ვარშავაში (XVII-XXI საუკუნეში), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენციის მასალები – პოლონელების 200 წელი საქართველოში, თბ. 2004

<sup>1</sup> პიეტკევჩი ა., ალექსანდრე იმერეტინსკი, ტ. 30, თბ. 1902, გვ. 18

11. ქველაშვილი თ., პოლონეთი და საქართველო ევროპის 'დიდ საჭადრაკო დაფაზე~ (XV ს-ის II ნახ.), თბ. 2005
12. კარბინი რ., ქართველი ოფიცრები პოლონეთის ჯარში, ვარშავა, 2001, გვ. 99.

**Tsatsa Chkhartishvili**

*Doctor of History, The Javakhishvili Institute of History and Ethnology,*

*Scientific Researcher of The Department of Modern and Contemporary History*

**FROM THE HISTORY OF POLAND-GEORGIA  
RELATIONS**

**(ACCORDING TO PRESS MATERIALS)  
RESUME**

During the millenniums, especially the last two centuries, Polish-Georgian relations became deeply rooted.

And still, the most dramatic and tense period of these relations was the 19<sup>th</sup> century. The authorities of those days „took care” to extend the contacts between these two peoples who had been related with deep friendly ties. After rebellions thousands of Poles were exiled in the Caucasus.

The were assigned to different Caucasian regiments as common soldiers.

The results of the Tsarism's "reforming" activity were unexpected. A kind of spiritual unity established between punished political figures and Georgian intelligentsia. A group of Polish "Caucasian poets" was formed. Exiled Poles became actively involved in the life of the Caucasus.

They introduced better the region of their new habitation to their compatriots and connected links forever with Georgia. At the end of the 19<sup>th</sup> and the beginning of the 20<sup>th</sup> centuries representatives of different social layers and professions used to arrive in Georgia of their own free will.

In fact, Poles had a significant contribution in development of culture and all spheres of science in Georgia.

Georgia by its geopolitical situation was playing a role of connecting link of two Western and Eastern civilizations when it was entrusted with a role of "support of Christianity" in the East. This small country in the South Caucasus was taking on itself any danger and hardship coming from East.

Factually it was a threshold against which an advance-guard of foreign invane-guard of foreign invaders was being crashed. Thus Georgian was serving invaluable service to Europe as enemies exhausted in battles with Georgia were not able to reach Europe or attacked it with significantly little forces.

As for diplomatic relations between Poland and Georgia they are connected to preparation to battle with common enemy of these two States Osman Empire.

დოდო ჭუბბურიძე  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

**თურქიზმის ლიდერები და საქართველო მეოცე საუკუნის  
10-იან წლებში**

თურქიზმი, როგორც იდეოლოგია, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, ოსმანიზმის წიაღში ჩამოყალიბდა. იგი ახალ სტადიაში შევიდა 1908 წლის თურქული რევოლუციის შედეგ. მართალია, თურქიზმის იდეოლოგთა ლოზუნგი იყო - „იმპერიის ყველა ხალხთა ერთიანობა, განურჩევლად რელიგიისა და ეთნიკური წარმოშობისა“, მაგრამ თურქი ხალხის პრიმატი ამ ერთობაში არ ავიწყდებოდათ. ამის მაგალითი იყო „ახალგაზრდა თურქთა ლიდერის, ჯემალ ფაშას სიტყვები: „მე, უპირველეს ყოვლისა, ოსმალო ვარ, მაგრამ არ მავიწყდება, რომ მე ვარ თურქი და არავის არ შეუძლია შეარყიოს ჩემი რწმენა, რომ თურქი ხალხი წამოადგენს დედაბოძს მთელი ოსმალეთის იმპერიისათვის. თურქული კულტურა ემსახურება ოსმალურ ერთიანობას და აძლევს ძალას იმპერიას, ვინაიდან ოსმალთა იმპერია არის თურქთა ქმნილება“<sup>1</sup>.

იმპერიის ყველა არათურქი ელემენტი უნდა ყოფილიყო თურქთა მიერ შთანთქმული და ასიმილირებული, თუ საჭირო გახდებოდა, ძალდატანებითაც კი. ამ მიზანს ემსახურებოდა ახალგაზრდა თურქთა მოღვაწეობა. ამ მხრივ მათ ბევრი გააკეთეს თურქული ენის, როგორც იმპერიის სახელმწიფო ენის

<sup>1</sup> Джемал паша, записки, 1918-1919, Тифлис, 1923, с. 206.

გასავრცელებლად, გააძლიერეს ადმინისტრაციული ცენტრალიზმი, სამხედრო სამსახურის სისტემა და სხვ. სწორედ ამ პოლიტიკის შემდეგ მოხდა ოსმალეთში მოქცეული ქართული სოფლებისა და ქალაქების სრული გათურქება, ისლამიზაცია და დიდი ქართული კულტურის მიღმა ამ ძირძღველი ქართული მოსახლეობის აღმოჩნდა<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა თურქთა მოძრაობაში ქართველი მაჰმადიანებიც მონაწილეობდნენ. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ოთხი მათგანი მეჯლისის დეპუტატად აირჩიეს, ზოგი კი მთავრობის წევრი გახდა. მაშინდელი ქართული პრესის მონაცემებით, სამხედრო მინისტრად ეროვნებით ქართველი - რიზა ფაშა - ღლონტი დაინიშნა. 1909 წლის 6 ნოემბრის სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ორგანო, გაზეთი „დროება“ წერდა: „მოხუცებული ქიამალ ფაშას ნაცვლად მათ დაუნიშნავთ უფრო ახალგაზრდა, განათლებული და გულწრფელი პროგრესისტი ჰასან ფერიმ ფაშა. გავახსენებ მკითხველს, რომ ოსმალეთის ახალი პირველი მინისტრი ჩამომავლობით ქართველია, ბათუმშია დაბადებული“. ოსმალეთის პარლამენტის დეპუტატი იყო აჭმებეგ თავდგირიძე. აღნიშნული მოვლენების შესახებ გადმოგვცემს თვითმხილველი, იმჟამად სტამბოლში მცხოვრები ქართველი იასე რაჭელი<sup>2</sup>.

იმ ორგანიზაციათა რიცხვს, რომლებიც რუსეთში მოქმედებდნენ თურქიზმის გასავრცელებლად, ეკუთვნოდა აჭარაში მოქმედი „სედა მილეთი“, რომელიც თურქი აგენტების მიერ იქნა დაარსებული და რომლის საქმიანობასაც ქართველი პატრიოტები უპირისპირდებოდნენ. ახალგაზრდა თურქებმა თავიანთი აგენტურა შექმნეს აგრეთვე ახალციხე-ახალქალაქის რაიონებშიც. აქ თურქების აგენტურას ხელმძღვანელ-

<sup>1</sup> გიგინეიშვილი ო., თურქიზმი, ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, გამომცემლობა – ცოდნა, თბილისი, 1963, გვ. 66-75;

<sup>2</sup> გაზეთი – დროება, 1909 წელი, 6 ნოემბერი.

ბდა ვინმე ომარ ეფენდი ნემან ზადე. ომარ ეფენდი პირდაპირ აცხადებდა, რომ „მისი სანუკვარი ოცნებაა მუსლიმანთა ბატონობა კავკასიაში“ და რომ „ამისთვის აუცილებელია ქავგა-სიის შესვლა თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში“.

ომარ ეფენდისთან მჭიდრო კაშირი ჰქონდა როტმისტრ გუდიეს, ეროვნებით ინგუშს, „ველური დივიზიის“ ყოფილ ოფიცერს, რომელიც აგრეთვე თურქეთის დაზვერვის აგენტი იყო. ოსმალეთის დავალებით, გუდიემა დატოვა სამხედრო სამსახური, სამუშაოდ პოლიციაში გადავიდა და ომის დასასრულისათვის ფაქტიურად დაეპატრონა ახალციხის მაზრას. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ომარ ეფენდისა და მისი ხალხის დახმარებით გუდიევი, უკვე კომისრის სახით, ახალციხის მაზრის სათავეში აღმოჩნდა და ტყვეობიდან გაქცეულ თურქ ოფიცერთა დახმარებით შექმნა სამხედრო დაჯგუფებები რუსეთის არმიის ზურგში მტრული მოქმედებისათვის.

პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთს არა სულ-თანი, არამედ, პრაქტიკულად, ტრიუმვირატი მართავდა - ენვერ-ფაშას, თალაათ-ფაშას და ჯემალ-ფაშას სახით<sup>1</sup>. აქედან კი მთავარი როლი ენვერს ჰქონდა. ის იყო თავდაცვის მინისტრი და მთავარსარდლის მოადგილე. 1918 წლის მარტში მისი მითითებით შემოიჭრა ოსმალური ჯარი საქართველოში, თალაათ ფაშა შინაგან საქმეთა მინისტრი და „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის თავმჯდომარე, ჯემალ-ფაშა კი საზღვაო მინისტრი და სტამბოლის გუბერნატორი იყო.

ენვერ-ფაშა დაიბადა 1883 წელს სტამბულში, ხელმოკლე თურქულ ოჯახში. ძლიერი ხასიათის, დაუზოგავიც და გულჩივილიც, მასიური მკვლელობების ორგანიზატორიც და ბავშვებისა და ცხოველების მოყვარულიც, - ასე ახასიათებენ მას თანამედროვენი. წერდა ლექსებს, ამბობდა: „სიკვდილს დავენიძლავე, რომ ვერ დამამარცხებსო“. ყველაზე მნიშვნე-

<sup>1</sup> სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია, II ტომი, 1600-1923, თბილისი, 2002.

ლოვანი როლი ოსმალეთის მართვაში ენვერს ჰქონდა. ის იყო თავდაცვის მინისტრი და მთავარსარდლის მოადგილე (მთავარსარდლად ფორმალურად სულთანი ითვლებოდა). გამოდიოდა „დიდი თურანის“ შექმნის იდეით და ამ მიზნის განხორციელებას გერმანიასთან კავშირით გეგმავდა. სურდა მთელი ამიერკავკასიის შეერთება ოსმალეთთან, რამაც მისი მოკავშირე გერმანია შეაშვით და მის საწინააღმდეგოდ განაწყო. ენვერ-ფაშა უპირისპირდებოდა ქემალ-ფაშას (ათა-თურქს), მას პანთურქიზმის იდეით ოსმალეთის იმპერიის აღდგენა სურდა, ათა-თურქი კი დემოკრატიული თურქეთის რესპუბლიკის შექმნის მომხრე იყო. ენვერ-ფაშას კავშირი ჰქონდა ლენინთან (ისევე, როგორც ათა-თურქს), ჩავიდა რუსეთში, სურდა თავისი მიზნებისათვის რუსეთის გამოყენება, მაგრამ მიხვდა, რომ ლენინი თავად აპირებდა მის გამოყენებას, გაიპარა ტაჯიკეთში და შეუერთდა იქ მიმდინარე ანტისაბჭოთა აჯანყებას, დაინიშნა არმიის მთავარსარდლად. რუსეთის ჩეკამ, ფელიქს ძერჟინსკის უშაუალო ბრძანებით, განკარგულება გასცა მის მოკვლაზე. იგი მოკლეს 1922 წელს წითელმა კომანდირებმა აკოფო (იაკობ) მელკუროვმა და გეორგი აგაბეკოვმა. ერთი ვერსიით, ეს მკვლელობა სომხურმა ორგანიზაციამ დაუკვეთა, რომელმაც თურქეთში სომეხთა გენოციდისათვის შურისძიება დაგევმა და შეადგინა დამნაშავე თურქების სია. ამ სიის სათავეში ენვერ-ფაშა იყო. ასეთია ენვერ ფაშას ბიოგრაფია. მას გერმანელები ავანტიურისტს უწოდებდნენ. ენვერი და თალაათ - ფაშა გერმანოფილები იყვნენ, ჯემალ - ფაშა ანტანტის მომხრე, მაგრამ რუსეთი იმდენად ეჯავრებოდათ, რომ 1914 წლის 2 აგვისტოს გერმანია-თურქეთს შორის დადებულ საიდუმლო ხელშეკრულებას უყოფანოდ მიემხრნენ.

1914 წლის 11 ნოემბერს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა ანტანტის სახელმწიფოებს, სულთანმა კი ყველა მუსლიმს „სალვოთო ომისკენ“ მოუწოდა ინგლისის, საფრანგეთისა და

რუსეთის წინააღმდეგ. საღვთო ომის გამოცხადების შემდეგ თურქეთსა და გერმანიას იმედი პქონდათ, რომ ანტანტის სახელმწიფოების ბატონობის ქვეშ მცხოვრები მუსლიმი ხალხები დაიწყებდნენ ბრძოლას კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ, მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა.

1914 წლის ნოემბერში ოსმალეთის არმიამ შეტევა დაიწყო არზრუმის, ოლთისის და ერევნის მიმართულებით და დასაწყისში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. რუსეთის ჯარი იძულებული იყო უკან დაეხია. ოსმალეთის ჯარები უფრო ფართომასშტაბიანი ოპერაციებისათვის ემზადებოდნენ: მათ სურდათ სარიყამიშისა და ყარსის აღება. ამ ოპერაციის განსახორციელებლად ოსმალეთმა 90 ათას ჯარისკაცს მოუყარა თავი რუსეთის 60-ათასიანი ჯარის წინააღმდეგ. ამ ფრონტზე ქართველი მეთაურები და ჯარისკაცებიც მრავლად იბრძოდნენ. მაგალითად, სარიყამიშის ფრონტზე დიდი გამარჯვება მოიპოვა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, რომელმაც „არწივის ბუდე“ წოდებული საბრძოლო ადგილი აიღო და დიდი ჯილდოც დაიმსახურა. ამ ოპერაციის დროს, სარიყამიშთან, ოსმალებმა 70 ათასი ჯარისკაცი დაკარგეს, რუსებმა კი მხოლოდ 20 ათასი. ოსმალეთის არმია ფაქტიურად განადგურდა, ენვერ - ფაშა სტამბოლში დაბრუნდა, სარდლობა კი დაშიდ ჰაფუზ - ფაშას გადაბარა.

რუსეთის არმია ერთდროულ შეტევაზე გადავიდა და აიღო ჯერ ხოფა, 18 იანვარს - არტანუჯი. 1915 წლის მაისში რუსებმა ვანი დაიკავეს. ამის გამო ოსმალეთის სარდლობამ გამოსცა დადგენილება ფრონტის ზონიდან სომეხთა დეპორტაციის შესახებ. ამ მოვლენას მოჰყვა სომეხი მოსახლეობის განადგურება. 1916 წელს რუსეთის არმიამ აიღო მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე არზრუმი, ასევე - ერზინჯანი და ტრაპიზონი. ინგლისმა და საფრანგეთმა გადაწყვიტეს, სამხედრო დესანტი გადაესხათ გალიპოლის ნახევარკუნძულზე, ბოსფორის სრუტის ბლოკირება მოეხდინათ და კონსტანტი-

ნოპოლი დაეკავებინათ, რითაც ოსმალეთს გამოთიშავდნენ იყოდან. ოსმალეთის სარდალი იყო გერმანელი გენერალი ლიმან ფონ სანდერსი. გალიპოლის ბრძოლაში მონაწილეობდა პოლკოვნიკი მუსტაფა ქემალ - ფაშა, რომლის გაბეჭულმა მოქმედებამ განაპირობა ოსმალთა წარმატება. ოპერაციის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ინგლისის მაშინდელი საზღვაო მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, რომელიც ოპერაციის წარუმატებლობისათვის გადააყენეს. ოსმალეთის მიზანი იყო სუეცის არხის ხელში ჩაგდება და ეგვიპტის დაკავება. ეს საქმე ტრიუმვირატის ერთ-ერთ წევრს, ჯემალ - ფაშას დაევალა, რომელსაც 100-ათასიანი არმია ჰქოვდა. მიუხედავად გამოჩენილი სიმამაცისა, ოსმალეთის ჯარმა ვერ გაბედა სუეცის გადალახვა და ეგვიპტეში შეჭრა, თუმცა მათ ინგლისელები რამდენჯერმე დაამარცხეს. 1916 წლის ბოლოსათვის ინგლისი კინტრშეტევაზე გადავიდა და ოსმალეთის ჯარი უკუაგდო პორტ-საიდიდან 80 კმ-ით აღმოსავლეთით. ინგლისელებმა დაიკავეს სინაის ნახევარკუნძული და პალესტინაში შევიდნენ.

1917 წლის დასაწყისში ინგლისის არმია 160-ათასიანი ჯარით შეტევაზე გადავიდა მესოპოტამიის ფრონტზე და ოსმალეთის ჯარები იქიდან უკუაგდო. 17 მარტს ინგლისელებმა დაიკავეს ბალდადი. ამით უსაზღვროდ გაიზარდა ინგლისელების გავლენა არაბულ ქვეყნებზე და დაწყო ამ ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლა ოსმალეთის ბატონობისაგან თავის დასახსნელად.

1917 წლის 31 მარტს სტამბოლში მოხდა შეკრება, რომელსაც ენვერ - ფაშა, თალაათ - ფაშა და გერმანელი სარდალი სანდერსი ესწრებოდნენ. მათ გადაწყვიტეს შექმნათ ახალი სამხედრო დაჯგუფება - „ილდირიმი“ (ელვა), რომელიც ელვისებურად შეუტევდა და აიღებდა ბალდადს. ამ სამხედრო შენაერთში 38 ათასი ჯარისკაცი შედიოდა, თუმცა ვერც ამ შენაერთმა გადაწყვიტა მთავარი მიზანი - აეღო

ბალდადი და დაებრუნებინა პოზიციები აღმოსავლეთში. ინგლისის არმიამ ახალი შეტევით, 1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში, აიღო ქალაქები: გაზი, იაფა და იერუსალიმი. ამით ოსმალეთისა და გერმანიის აღმოსავლური მიზნები საბოლოოდ დასამარდა.

ოსმალეთს ჩამოსცილდა ჰიჯაზი, სამხრეთ პალესტინა, ერაყის ნაწილი, მან 600 ათასი ჯარისკაცი დაკარგა.

თურქები მთელი ობის დროს ოსმალეთის მთავარი მამოძრავებელი მალა იყო. მას სურდა კავკასიის, შუა აზიის, ირანის ნაწილის, რუსეთის მუსლიმანებით დასახლებული რეგიონების დაკავება და თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა. თურქი ისტორიკოსები წერდნენ პანთურქიზმით გაუდენთილ წიგნებსა და სტატიებს. ოსმალო ჯარის ნაწილები ფრონტზე მიდიოდნენ მიზნით, „დაებრუნებინათ დაკარგული თურქული ტერიტორიები კავკასიაში“. ამ ფაქტზე წერდა გაზეთ „სახალხო საქმის“ პუბლიცისტი ი.ტ-ლი. ის იხსენებდა ისტორიკოსისა და განათლების ყოფილი მინისტრის, შუქრი - ფაშას სიტყვებს: საქართველო სამი საუკუნე ჩვენ გვეკუთვნოდა და შემდეგშიც ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს. ვრცელ წერილში, სადაც პანთურქიზმი და პანისლამიზმი ვრცლად არის დახასიათებული, პუბლიცისტი იმ ლექსისაც იხსენებდა, რომელსაც ფრონტზე მიმავალი ოსმალო ჯარისკაცები მღეროდნენ. თურქული ლექსის ქართული თარგმანი ასეთია: „არდაპანსა და ბათუმში როგორც კი რუსს დაინახავ, იქვე ტვინი შეუჭამე. ბათუმს სისხლით შევდებავთ, სოხუმს ცეცხლს წავუკიდეთ, თურქული ჯარით, ერთი დაკვრით, ტფილისს მივადგებით...“<sup>1</sup>. ასეთ დამპყრობლურ სულისკვეთებას კავკასიელი ერების წინააღმდეგობა მოჰყვა.

ჩრდილო კავკასიის განმათავისუფლებელ ბრძოლას ჰაიდარ ბეგ ბამატი ხელმძღვანელობდა. ის ახლოს იმყოფებოდა

<sup>1</sup> გაზეთი – სახალხო საქმე, 1918 წელი, N279.

ოსმალ პოლიტიკოსებთან, კერძოდ, ჰალილ ბეისთან. 1918 წლის 13 მაისს გამოცხადდა ჩრდილო კავკასიის დამოუკიდებლობა. ოსმალებმა იცოდნენ, რომ კავკასიას რუსეთი არ დათმობდა, ასევე ისინი წააწყდებოდნენ გერმანიის წინააღმდეგობას. ასეც მოხდა. თურქი გენერალების თურქიზმით გაუღენთილი იდეები და მათ მიერ საქართველო-სომხეთის წინააღმდეგ წამოწყებული კაპიტანია გერმანიამ ჩაშალა. „ჩვენ გვინდა კავკასიის მუსლიმანებთან მჭიდრო კავშირი, - წერდა საიდუმლო დეპეშაში ენვერ - ფაშა ზექი - ფაშას: - და დავეხმაროთ მათ სახელმწიფო ცხოვრების ორგანიზაციასა და მმართველობაში, რათა დროის განმავლობაში სულ უფრო და უფრო დაუუახლოვდეთ მათ და შევიყვანოთ ისინი ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში“.

ოსმალეთმა ვერ შეძლო თავისი გეგმების განხორციელება. ოქტომბრის ბოლოს ინგლისის არმიას თითქმის მთელი აღმოსავლეთი ეჭირა: სირია, ერაყი. იორდანია, ბეირუთი, დამასკო და სხვ. 1918 წლის 15 სექტემბერს მოკავშირებმა ისეთი საფრთხე შეუქმნეს სტამბულს, რომ გამარჯვებაზე ფიქრიც კი ზედმეტი გახდა. 7 ოქტომბერს ენვერ - ფაშა, თალაათ და ჯემალ - ფაშა გადადგნენ. ახალმა მთავრობამ ანტანტას ზავი სთხოვა. 30 ოქტომბერს მუდროსის ყურეში, ინგლისურ გერ „აგამემნონზე“ ზავი დაიდო, ოსმალეთმა ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს. პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ თურქიზმი შეტევიდან თავდაცვაზე გადავიდა.

საქართველომ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, 28 მაისს დაიდო ხელშეკრულება გერმანიასთან, 4 ივნისს - ოსმალეთთან. ეს იყო კაბალური საზავო პირობები, თუმცა გერმანია დაპირდა ქართველ პოლიტიკოსებს, რომ ოსმალების ამ პირობებისგან გაათავისუფლებდა. ეს დღეები საბედისწერო იყო ისტორიის ავანსცენაზე შემდგარი ქართველი პოლიტიკოსებისათვის. მათ შეუძლებელი უნდა გა-

ეკეთებინათ, ეხსნათ ქვეყანა. მათ უკანასკნელი ძალა, ნიჭი, ენერგია და შესაძლებლობანი გაიღეს მდგომარეობის განსამუხტავად, საქართველოს საკეთილდღეოდ მოვლენების შემოსაბრუნებლად. ამ კრიტიკულ დღეებში ნოე რამიშვილი აკაკი ჩხერიელთან ერთად გადამწყვეტ მისიას ასრულებდა. ამაზე ის საიდუმლო წერილებიც მეტყველებს, რომლებიც მათ თბილისში პარტიულ და სახელმწიფო თანამოაზრებს გამოუგზავნეს. რამიშვილის პირველ, საკმაოდ ვრცელ დეპეშაში საუბარია თურქულ ინტერესებზე, მათს ლიდერებთან ურთიერთობის დეტალებზე. ჩანს, რამხელა ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდათ თურქიზმის ლიდერებს<sup>1</sup>.

მეორე დეპეშაც ორი დღის შემდეგაა გაგზავნილი თბილისში და მასშიც ის დაძაბული სიტუაციაა აღწერილი, რომელიც საქართველოს ირგვლივ იყო ამ დღეებში. ოსმალეთი ცდილობდა ესარგებლა იმით, რომ გერმანიის რეალური მოკავშირე იყო, მის გარეშე გერმანელებს ძალიან გაუჭირდებოდათ, ამიტომ კავკასიაში საკუთარ დაპყრობით მიზნებს ოსმალები აღარც მალავდნენ და მოკავშირესაც აღარ ემორჩილებოდნენ. გერმანია ამის გამო უკავყოფილო იყო, თუმცა რეალურად მაინც იძულებული ხდებოდა გაფრთხილებოდა ოსმალეთან ურთიერთობას, არ დაეძაბა იგი და ინგლისის წინააღმდეგ მცირე აზიის ფრონტზე მარტო არ დარჩენილიყო. „უნდა გამოვტყდეთ, რომ აქ ჰყავთ ორი დივიზია, აღბათ ბაქოსთვის. მოსულნი არიან გალიციის ფრონტიდან. ვერ გაარჩევ გერმანელ-ავსტრიელთაგან. ვშიშობ, რომ ამ ჯარს ვერ გაუძლებენ და საქართველო აკლებული იქნება. აი, აქ მებადება მე ეჭვი: ღირს თუ არა ახალციხის მაზრა იმდენი, რომ მას შეგსწიროთ მთელი ხალხის ეკონომიური განვითარება? რასაკვირველია, სტრატეგიულ საზღვრებს მე ამ შემთხვევაში არ ვთმობ. ამ მხრივ იმედი არის გასცეთ გარკვეული ინ-

<sup>1</sup> სცსსა, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 15.

სტრუქცია, ისე მე ნაბიჯს არ გადავდგამ... ზვალ ელიან ენ-ვერ ფაშას. ახალციხის შეერთება სულ მისი საქმე ყოფილა. ხალილ-ბერ უფრთხის, რომ მისი მოსვლის შემდეგ ჩვენი მდგომარეობა გართულდება“, - ვრცელი დეპეშის ამ ადგილებიდან ჩანს, თუ რა კატასტროფულ სიტუაციაში ჩააგდეს თურქიზმის ლიდერებმა 1918 წლის გაზაფხულ-ზაფხულზე საქართველო, თუმცა აქვე იკვეთება იმედიც, რომ ეს მოვლენა დროებითი იყო და ქვეყნა დაკარგულ ტერიტორიებს გერმანიის დახმარებით დაიბრუნებდა<sup>1</sup>. თურქისტული გეგმები ქართველი პოლიტიკოსებისათვის უცნობი არ ყოფილა. ამიტომ მათი შეშფოთებაც ბუნებრივი იყო<sup>2</sup>.

საინტერესოა გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილი ბათუმის კონფერენციაში ენვერ - ფაშას მონაწილეობის შესახებ. წერილში აღწერილი იყო ოსმალეთიდან ბათუმის კონფერენციაზე მომავალი გემის ეკიპაჟის შემადგენლობა და ეკიპაჟის წევრთა დამოკიდებულება კავკასიის პოლიტიკური მოწყობისადმი. როდესაც 1 (14) აპრილს ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია მთავრობამ უკან, თბილისში გამოიწვია, ტრაპიზონში დარჩნენ დაღესტან-ჩეჩენეთის დელეგატები (ტაპა ჩერმოევი და პაიდარ ბამბატოვი), დარჩა ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის ზოგიერთი წარმომადგენელიც: კერძოდ, მაჭალიანთა კომიტეტის წევრები მამედ გაჯინსკი და ახმედ პეტიონი და საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდენტის წევრი გრიგოლ ვეშაპელი. დარჩენილთა მიზანი იყო, ხელი შეეწყოთ ოსმალეთსა და კავკასიის ქვეყნებს შორის კეთილმეგობრული ურთიერთობის აღდგენისათვის. დელეგაციის თბილისში გამომგზავრებიდან ორი დღის შემდეგ ენვერ-ფაშა მოვიდა ჭრაპიზონში. მას თან მოჰყვნენ გერმანელი სამხედროები გენერალ ციეგტის მეთაურო-

<sup>1</sup> სცსა, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 15, ფ. 6-7;

<sup>2</sup> ჭუმბურიძე დ., ისტორიული პორტრეტები, წერილები, თბილისი, 2012, გვ. 119-133.

ბით. ენვერს ბათუმში სპეციალურად მოჰყავდა სულთნის ბი-  
ძაშვილი ომარ ფარუქი, რომელსაც ქობულეთელი ქართველი  
დედა ჰყავდა. ენვერ-ფაშამ სპეციალურად შეკრიბა გემის ეკი-  
პაჟი, რათა საკუთარი პოლიტიკური მიზნის განსახორციე-  
ლებლად გამოიყენებინა. თავად განუცხადა მგზავრებს: გემით  
გავემგზავროთ, უფრო მეტი დრო დაგვრჩება სასაუბროდო.  
მასთან ერთად ბათუმში წამოვიდნენ ოსმალური არმიის ცნო-  
ბილი მეთაურები – ვეზიბ-ფაშა და რაუფ-ბეი. ორივენი პან-  
თურქისტები და საქართველოს მტრები იყვნენ. ამ ადამიანებ-  
მა გემზე მოლაპარაკება გამართეს როგორც ჩრდილოკავკასი-  
ელ, ასევე ამიერკავკასიის მთავრობაში შემავალ აზერბაიჯა-  
ნელ დელეგატებთან, რომელთაც ისედაც პროოსმალური  
ორიენტაცია ჰქონდათ, მათი თანდასწრებით ისაუბრეს საქარ-  
თველოს წარმომადგენელთან, ეროვნული საბჭოს პრეზიდენტ-  
მისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრ გრიგოლ  
ვეშაპელთან. თუ გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენციას  
უკრიტიკოდ მივიღებთ, „სამი დღის განმავლობაში დელეგა-  
ციას სრული შეძლება ჰქონდა ნათლად გაერკვია ის კეთი-  
ლისმსურველი შეხედულება, რომელიც აქვს ოსმალეთის  
მთავრობას კავკასიის ერთა მიმართ“, მაგრამ ოსმალეთის მა-  
შინდელი „კეთილისმსურველობა“, რა თქმა უნდა, ფანტაზია  
უფრო იყო, ვიდრე რეალობა. გრიგოლ ვეშაპელთან მოლაპა-  
რაკების დროს, რაც მთიელი და თათარი დელეგატების თან-  
დასწრებით ხდებოდა, ენვერ-ფაშამ გადაჭრით განაცხადა,  
რომ მას და მთელი ოსმალეთის მთავრობას, რომელიც გერ-  
მანიასთან შეთანხმებით მოქმედებდა კავკასიაში, არავითარი  
აგრესიული მიზნები არა აქვს საქართველოს ტერიტორიებზე,  
თუ ბრესტ-ლიტვოვსკის ხელშეკრულება იქნება შესრულებუ-  
ლიო. ენვერ-ფაშამ ისიც განაცხადა, რომ ის და მთელი ოს-  
მალეთის მთავრობა მომხრეა საქართველოს სახელმწიფოს  
აღდგენისო. გაზეთი „საქართველო“ და ენვერ-ფაშას სიტყვე-  
ბის გულწრფელობაში დარწმუნებული ეროვნულ-დემოკრატი

გრიგოლ ვეშაპელი ამაოდ ამტყუნებდნენ ევგენი გეგეჭკორს, მიიჩნევდნენ, რომ გეგეჭკორის შეურიგებელი პოზიცია ოსმალეთის მიმართ მცდარი იყო და იგი საფრთხეში აგდებდა მთელი კავკასიის ხალხებს, უმთავრესად კი – საქართველოს. ამ შემთხვევაში არა გეგეჭკორი, არამდე ვეშაპელი და მისი პარტიის ორგანო ცდებდნენ, ოსმალები თავისი მიზნების დიპლომატიურად მიღწევას ლამობდნენ და ქართველი პოლიტიკოსის დაჯერებას ცდილობდნენ. ცბიერმა ენვერმა ეკიპაჟის წევრებს სამი რადიოგრამა გამოაგზავნინა თბილის, ორი მთავრობის სახელზე – თათრების და მთიელების, მესამე კი ეროვნული საბჭოს სახელზე, თავად ვეშაპელის. გრიგოლ ვეშაპელის ტექსტი ფრანგულად იყო დაწერილი და მისი ქართული თარგმანი ასეთი იყო: „თბილისი, საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ოსმალეთის სახელმწიფოს პასუხისმგებელი წარმომადგენელი გულით მონდომილია, რომ აღადგინოს მეგობრული განწყობილება ქართველებთან, მაგრამ მთავრობის ახლანდელი პოლიტიკა ცუდ ბედს უქადის საქართველოს. საჭიროა დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდება ოსმალეთთან“<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, არც ამიერკავკასიის მთავრობის ქართველ წევრებს და არც საქართველოს ეროვნულ საბჭოს მაშინ ვეშაპელის პოზიცია არ გაუზიარებიათ. ეს პოზიცია არც იყო პოლიტიკურად სწორი და ეროვნული ინტერესების შემცველი. მათ არ მიიღეს ენვერ-ფაშას ულტიმატუმი ცალმხრივად, მოკავშირე დიდი სახელმწიფოს – გერმანიის რჩევისა და გარანტიების გარეშე. გერმანიის დამარცხების შემდეგაც ოსმალეთი ცდილობდა საკუთარი მიზნების გატარებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. 1921 წელს, როდესაც საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა, ოსმალეთის ჯარი შემოვიდა აჭარაში. ბათუმისათვის ბრძოლაში თავგანწირვით ჩაებნენ ქართველი მამულიშვილები. გენერალ გიორ-

<sup>1</sup> გაზეთი – საქართველო, 1918 წელი, 7 მაისი.

გი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით ქართულმა ჯარმა განდევნა თურქ ასკერთა რაზმები. საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის კავშირმა ყარსის ხელშეკრულება გამოიწვია 1921 წლის მარტში, რასაც საქართველოსთვის გარკვეული ზიანი მოჰქონდა, მაგრამ საქართველო ამ დროს უკვე აღარ იყო დამოუკიდებელი ქვეყანა, მის საგარეო პოლიტიკას საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობა წარმართავდა.

დღევანდელ თურქეთში თურქიზმი ისე თვალსაჩინო აღარაა, თუმცა ის არ გამქრალა. მოუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნა ნატოს წევრია, მიისწრაფის ევროკავშირისკენ, არის რესპუბლიკური წყობის სახელმწიფო, აյ მაიც იგრძნობა თურქიზმის იდეოლოგიის სიცოცხლისუნარიანობა. ქვეყნაში სახელმწიფო დონეზე მხარდაჭერილია მხოლოდ თურქული კულტურა, ერთი ენა – თურქული და ერთი ერი – თურქები. მხოლოდ უკანასკნელ დროს გამოჩნდა თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ არათურქთა სწრაფვა საკუთარი კულტურისა და ფესვების დაბრუნებისაკენ. ეს ეხება იმ მრავალ-რიცხოვან ქართულ დიასპორასაც, რომელსაც ამ ქვეყნაში, ისტორიული ბედუკულმართობის გამო, ეროვნული სახე მთლიანად დაკარგული აქვს.

### **Dodo Chumburidze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of History Sciences, The chief scientist*

## **THE LEADERS OF TURKISM AND GEORGIA IN THE 10-IES OF THE 20<sup>TH</sup> CENTURY RESUME**

The Turkism as an ideology was formed in the bosom of the Osmanizm at the end of the 19 century. It then moved on to a new phase in 1908 ,the year of Turkish revolution. The main

demand of Turkism was imperial assimilation of all Non-Turkish nations and if necessary even with violent. As a result, "Young Turkish" policy made Muslim Georgian's full assimilation ,who lived in the Ottoman Empire.

In the "young Turkish" organization even Georgian Muslims took part. During World War 1 (1914-1918) Turkish leaders calls became particularly aggressive. Germany's loyal ally ,the Ottoman Empire ,actually considered the conquest of the Caucasus and expansion of the empire's borders. Georgian patriots actively opposed their attempt. In this battle Germany seized Georgian's side.

ოთარ ჯანელიძე  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პოლიტოლოგიის ინსტიტუტი,  
ასოცირებული მკვლევარი

**1920-1921 წლების გეოპოლიტიკური რეალობა და  
საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაცია**

პირველმა მსოფლიო ომმა მრავალი ქვეყნისა თუ ზალ-  
ხის მომავალი ძირფესვიანად შეცვალა. ამ ომმა გადაიყოლა  
რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიისა და ოსმალეთის იმ-  
პერიები და სათავე დაუდო რამდენიმე ახალი სახელმწიფოს  
წარმოშობას. 1917 წლის შემოდგომიდან მსოფლიო პოლიტი-  
კურ რუკაზე რომანოვთა ვრცელი იმპერიის ნაცვლად რუსე-  
თის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოჩნდა, ხოლო  
ოსმალეთის დაგილი 1920 წლის გაზაფხულიდან თურქეთმა  
დაიკავა. 1918 წლის 26 მაისიდან ამ რუკაზე საქართველოს  
დემოკრატიული რესპუბლიკაც იყო აღბეჭდილი. ომმა და  
მისმა შედეგებმა აღრინდელი გეოპოლიტიკური რეალობა სამ-  
ხრეთ კავკასიაშიც თავდაყირა დააყენა. ეს რეგიონი დროებით  
რუსეთის ორბიტიდან გამოვიდა და საერთაშორისო ურთიერ-  
თობათა სისტემაში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხე-  
თის დამოუკიდებელი რესპუბლიკების სახით ჩაერთო.

მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფოს სათავეში  
მოქცეულმა ბოლშევიკებმა სამოქალაქო ომში მდგომარეობა  
თავიანთ სასარგებლოდ გარდატეხეს, კრემლმა გააძლიერა ძა-  
ლისხმევა ყოფილი იმპერიის განაპირა მხარეების და მათ  
შორის, კავკასიის ხელახლა დასაუფლებლად. 1920 წლის  
აპრილში წითელმა არმიამ აზერბაიჯანში საბჭოთა წყობილე-  
ბა დაამყარა. იმავე წლის ნოემბრის ბოლოს აზერბაიჯანის  
ბედი სომხეთმაც გაიზიარა. ახლო აღმოსავლეთისაკენ „მიმა-  
ვალ“ მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას გზად საქარ-

თველოზე უნდა „გაევლო“. ამ გზის დაუფლება კი რუსეთს მხოლოდ საქართველოს გასაბჭოებით შეეძლო.

1921 წელს ვლადიმერ ლენინს ერთგან მოჰყავს საინტერესო გაანგარიშება და აღნიშნავს, რომ, თუ ახლა საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო გამარჯვება 20-30 %-ს შეადგენს, პოლონეთში რევოლუციის გამარჯვებით იგი 40-50 %-მდე, მეტიც - 51 %-მდე გაიზრდება, რადგან პოლონეთი მდებარეობს გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის და უნგრეთის გვერდით<sup>1</sup>. თუ ანალოგიურ გათვლას საქართველოზეც გადმომოვიტანთ, მისი წვლილი საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვებაში სულ მცირე 10-15 %-ით მაინც უნდა ვიანგარიშოთ, რადგან საქართველო მდებარეობს თურქეთისა და ირანის გვერდით, ხოლო აღმოსავლეთი მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის „სასიცოცხლო ძარღვია“. ამაზე არაორაზროვნად მიუთითებდა რსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ კალინინი, როდესაც თანამედროვე სიტუაციის დახასიათებისას აღნიშნავდა: „თბილისმა უნდა ითამაშოს მოსკოვის როლი აღმოსავლეთში, ის უნდა გადაიქცეს მეორე მოსკოვად“<sup>2</sup>. მაშასადამე, ბოლშევიკთა პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველო მოქცეული იყო საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ორბიტაში. საბჭოთა რუსეთს საქართველოში ეკონომიკური ინტერესიც საკმაოდ გააჩნდა და არც მაღავდა, რომ „ბაქო უბათუმოდ არაფერია“.

ამ ფონზე სრულიად არადამაჯერებლად გამოიყურება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რსფსრ-ს ელჩად დანიშნული ცნობილი ბოლშევიკის, სერგეი კიროვის პასუხი თბილისურ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ბორბას“ კორესპონდენტისათვის: მისი სიტყვით, „რაც შეეხება საკითხს - ხომ არ ვაპირებთ ჩვენ გავხადოთ საქართველო

<sup>1</sup> Ленин В. И., Полн. собр. соч. т. 44, ст. 181.

<sup>2</sup> ჯანელიძე ო., 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1990, გვ. 26-27.

„აღმოსავლეთის კარებად“ იმ მხრივ, რომ გადავაქციოთ იგი ჩვენი აღმოსავლეთის პოლიტიკის ცენტრად, ამაზე უნდა განვაცხადო, რომ ასეთი განზრახვა ჩვენ არა გვაქვს. ... ჩვენ არ გვჭირდება ნიღბის აფარება. ჩვენ რომ სხვა ამოცანები გვქონდა დასახული, მაშინ არ დავდებდით შეთანხმებას საქართველოსთან<sup>1</sup>.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაწებებას არ აპირებდა და ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხის ასაცილებლად საშუალებებს დაეძებდა. ხსნის ღუზად თბილისში დასავლური სამყაროს მიერ საქართველოს დე იურედ ცნობა-აღიარება მიაჩნდათ. ჯერ კიდევ გაქარწყვლებული არ იყო ერთა ლიგაში მიღების იმედიც, თუმცა ეს უკანასკნელი სულ უფრო ეფემერული და ილუზორული ხდებოდა.

ისე როგორც საბჭოთა რუსეთი, მოკავშირე სახელმწიფო უობიც საქართველოს პრობლემას საერთაშორისო პოლიტიკის ჭრილში განიხილავდნენ. ისინი ანგარიშს უწევდნენ რეგიონში მოსკოვის რეალურ ინტერესებსა და ძალთა ბალანსს, აფიქრებდათ კავკასიის არასტაბილური ვითარებაც და სხვ.

1920 წლის 16 დეკემბერს ჟენევაში გამართულ ერთა ლიგის სხდომაზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უარი ეთქვა ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში წევრად მიღებაზე (კენჭისყრის მონაწილე 24 სახელმწიფოდან საქართველოს სასარგებლოდ ხმა მხოლოდ 10-მა ქვეყანამ მისცა). მალე საქართველოს სუვერენიტეტი საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, იაპონიამ, ბელგიამ და სხვ. იურიდიულად აღიარეს, მაგრამ ქვეყნის შემდგომ ბედში გადამწყვეტი ერთა ლიგის პოზიცია აღმოჩნდა.

ერთა ლიგის სენებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანწილად სამხრეთ კავკასიის საკითხისადმი ინგლისის მიერ გამოვლენილმა გულგრილობამ განაპირობა. უნდა აღინიშნოს,

<sup>1</sup> მორგოშია ა., კიროვი საქართველოში, თბ., 1960, 77-78.

რომ ლონდონის ამგვარი „დაუინტერესებლობა“ განპირობებული იყო საბჭოთა რუსეთთან ინგლისის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის აღდგენის მისწრაფებით, რომლის დეტალები მოსკოვის დელეგაციასთან 1920 წლის მაისიდან მიმდინარე მოლაპარაკებებზე განიხილებოდა<sup>1</sup>.

თავის მხრივ, ამ მოლაპარაკებებზე დიდ იმედებს ამყარებდა საბჭოთა რუსეთიც, რომელიც ინგლისთან კავშირისა-გან უფრო მეტს მოელოდა, ვიდრე მოსკოვისათვის მეტად აქტუალური საერთაშორისო ვაჭრობის განახლება იყო. ორი ქვეყნის შეთანხმებას პოლიტიკური დატვირთვაც უნდა ჰქონდა, მათ შორის, სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაშიც. შემთხვევითი არ იყო, რომ კრემლი საქართველოს წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედების დაწყებას ინგლისთან ურთიერთობის საბოლოო გარკვევას უკავშირებდა. ამ მხრივ საყურადღებოა ვ. ლენინის ერთი იმდროინდელი დეპეშა ი. სტალინისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „ძალზე ფრთხილად უნდა ავწონ-დავწონოთ, ღირს თუ არა ვიომოთ საქართველოსთან, მერე მისი რჩენა და ინგლისთან კავშირის გაწყვეტის, მეტიც, ახალი ომის რისკი“<sup>2</sup>.

ინგლისთან მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად კრემლში უმჯობესად მიაჩნდათ, რომ ჯერ კიდევ ბათუმში მყოფი მოკავშირეთა სამხედრო ნაწილები აქვთ საქართველოს ხელისუფლებას გაედევნა. „ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, რომ ინგლისელები ბათუმიდან თვითონ ბურუჟუაზიულმა საქართველომ გარეკოს, ვიდრე ჩვენი ჯარები შევიყვანოთ ბათუმში და ჩავებათ ინგლისთან ომში“, - აცნობებ-

<sup>1</sup> История внешней политики СССР 1917-1980 гг. В двух томах, т. 1, М., 1980, ст. 125.

<sup>2</sup>[http://leninism.su/index.php?option=com\\_content&view=article&id=3660:dokumenty-1920-g-noyabr-dekabr&catid=99:v-i-lenin-neizvestnye-dokumenty-1891-1922&Itemid=53;](http://leninism.su/index.php?option=com_content&view=article&id=3660:dokumenty-1920-g-noyabr-dekabr&catid=99:v-i-lenin-neizvestnye-dokumenty-1891-1922&Itemid=53;)

და რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ კარახანი სერგო ორჯონიკიძეს<sup>1</sup>.

1921 წლის 27 იანვარს იოსებ სტალინი სერგო ორჯონიკიძისათვის გაგზავნილ წერილში ხაზგასმით მიუთითებდა: „თუ უნდა დავიწყოთ (საქართველოს ოკუპაცია, - ო. ჯ.), უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა ხელმოწერილი გვექნება ინგლისთან ხელშეკრულება“<sup>2</sup>.

საქართველოს საკითხში მოსკოვის აუჩქარებლობას დასავლეთის სახოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშის გაწევით ხსნიდა ლევ ტროცკიც. მისი სიტყვით, „თავს იმიტომ ვიკავებდით, რომ კარგად ვიცოდით: ბატონი მენშევიკები, თუ მათ ფეხზე დავაჭრდით, იყვირებდნენ დემოკრატიული ცივილიზაციის ყველა ენაზე ...ქართველი მენშევიკი პოლიტიკოსები მთლიანად ინტელიგენტები იყვნენ, ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტების ყოფილი სტუდენტები და არ გვინდოდა მიგვეცა მათვის მარჯვე საბაბი საერთაშორისო და „დემოკრატიული“ ისტერიკისათვის“<sup>3</sup>.

საბჭოთა რუსეთმა დიპლომატიური ძალისხმევით მიაღწია ინგლისის გამოთიშვას კავკასიის საკითხებში ჩარევისაგან, რაც საქართველოსათვის საერთაშორისო იზოლაციას უტოლდებოდა. აღსანიშნავია, რომ ორი სახელმწიფოს გარიგების შესახებ საქართველოში კარგა ხანს ინფორმაცია არ ჰქონიათ. გერონტი ქიქოძის გადმოცემით, „საქართველოს დიპლომატებს ... არ გაუგიათ, რომ დიდი ბრიტანეთის კოლიციური სამინისტროს მეთაური ლოიდ ჯორჯი ლენინის მთავრობას შეუთანხმდა, რომ მისი მთავრობა არ ჩაერეოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ურთიერთობაში“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ირემაძე ა., განთიადის სათავეებთან, თბ., 1984, გვ. 237-238

<sup>2</sup> გაზ. – კომუნისტი, 1989 წ., 10 ივნისი.

<sup>3</sup> Троцкий Л., Между империализмом и революцией. Основные вопросы революции на частном примере Грузии, Тб., 1922, ст. 66-67.

<sup>4</sup> ქიქოძე გ., თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 19.

მას შემდეგ, რაც ინგლისმა სამხრეთ კავკასიის მიმართ პოლიტიკური ინტერესი დაკარგა, ლოიდ ჯორჯმა რეგიონზე მანდატი იტალიის მთავრობას შესთავაზა. ეს იდეა მისაღები აღმოჩნდა იტალიის არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამხედრო და ბიზნესწრეებისათვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამაც განაცხადა, რომ მისი საგარეო პოლიტიკური კურსი „უცვლელი რჩება ანტანტის წარმომადგენლობის მორიგ ცვლილებაში“ და იგი კვლავაც დასავლეთისაკენაა მიმართული; რომ საქართველო მიესალმება იტალიის გამოჩენას რეგიონში და აპირებს მასთან თანამშრომლობას ურთიერთსარგებლიანობის პრინციპთა საფუძველზე. იტალიის პრემიერ-მინისტრის, ვიქტორიო ორლანდოს კაბინეტში დაიგეგმა საქართველოში სამხედრო ექსპედიციის გამოგზავნა, მაგრამ სამთავრობო ცვლილებამ ეს წარმოწყება ჩაშალა<sup>1</sup>.

ზურაბ ავალიშვილის შეფასებით, იმ დროს „იტალია იყო მეტად მოდუნებული და შეღაბული, რომ „გაებედნა“ საქართველოს მანდატის აღება“<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა, იტალიას არ გაუწყვეტია კონტაქტი საქართველოსთან. საქართველოს დე იურედ აღიარების შემდეგ რომბა თბილისში არსებული თავისი პოლიტიკური სააგენტო სრულუფლებიან დიპლომატიურ წარმომადგენლობად - საელჩოდ გარდაქმნა. ეს ფრიად საგულისხმო ნაბიჯი საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერის გამოხატულება იყო, თბილისში დაფუძნდა „იტალია-კავკასიის გამნაღლებელი ბანკი“, განიხილებოდა საქართველოსათვის კრედიტის გამოყოფის, ტყვაპრჩელის ქვანახშირის საბადოს კონცესიისა და სხვა საკითხებიც. აღსანიშნავია, რომ იტალიის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საქართვე-

<sup>1</sup> ჯოჯუა დ., საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1918-1921 წლებში, თბ., 1997, გვ. 55, 110.

<sup>2</sup> ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 282.

ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში მიღება-საც, მაგრამ იტალიას არ გააჩნდა შესაძლებლობა, ეკისრა საქართველოს სამხედრო დახმარება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მოახლოებული აგრესის ვითარებაში.

ამავე პერიოდში სამხრეთ კავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებიც თვალნათლივ გამოიკვეთა. პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი მზად იყო, აელო მანდატი სომხეთზე, რისთვისაც რეგიონში რამდენიმე მისიაც მოავლინა. ამერიკელ ექსპერტებს შეექმნათ აზრი, რომ უმჯობესი იქნებოდა სამხრეთ კავკასიაზე ერთი საერთო მანდატის დაწესება. ამასთან, ცნობილია ისიც, რომ აშშ-ს ხელისუფლება უნდობლად უყურებდა საქართველოს სწრაფვას თავისუფლებისაკენ და არ სცნო მისი დამოუკიდებლობა<sup>1</sup>.

თავის მხრივ, ნოე ჟორდანია მანდატში სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ხელყოფას ხედავდა, თუმცა მოელოდა, რომ სომხეთის ამერიკის მფარველობაში შესვლით საქართველოც ისარგებლებდა. ეს მოლოდინი ფუჭი გამოდგა, რადგან ვილსონის გეგმა თვით აშშ-ს სენატმა არ გაიზიარა და საბოლოოდ უარყო.

ქართველ პოლიტიკოსებს მაინც სჯეროდათ, რომ რუსეთის შემოტევის შემთხვევაში საქართველო დასავლეთიდან გარკვეულ თანადგომას ჰპოვებდა. იმედი უფრო საფრანგეთი-სა ჰქონდათ, რადგან საქართველოს პორტებში მუდმივად იდგნენ ფრანგული ხომალდები, მათ შორის ჯავშნოსანი კრეისერები, სამხედრო ნაღმოსნები და სხვ. ოპტიმიზმს 1920 წლის შემოდგომაზე საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეშვილის პარიზში წარმატებული ვიზიტი და საქართველოში საფრანგეთის კომისრის, აბელ შევალიეს დაპირებაც ასაზრდოებდა, რომ საფრანგეთი დახმარებოდა საქართველოს დე-

<sup>1</sup> ჯანელიძე ო., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და აშშ 1918-1921 წლებში, ანალიზი, 2011, №8, გვ. 33-37.

მოკრატიულ რესპუბლიკას, თუ ეს უკანასკნელი გარეშე მტრის თავდასხმის ობიექტი გახდებოდა<sup>1</sup>.

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენელმა საქართველოში კორპეილიმ თბილისათვის იარაღის მოწოდება იგალდებულა, ხოლო აღმოსავლეთში საფრანგეთის საზღვაო დივიზიონის მეთაურმა, კონტრადმირალმა დიუმენილმა საქართველოს მხარდაჭერის სულისკვეთება გამოხატა. 1921 წლის 13 იანვარს ბათუმის ნავსადგურში ფრანგული ჯავშნოსნის, კრეისერ „ვალდეკ რუსოს“ შემოსვლისას დიუმენილმა განაცხადა: „თუ საქართველომ საფრანგეთს დახმარება სთხოვა, აღმირალი დაუყოვნებლივ მიეშველება საქართველოს“<sup>2</sup>.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მდგომარეობას მაინც არ ეთქმოდა სტაბილური. სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთის შემოღწევის პარალელურად, საქართველოსათვის არასასურველი მიმართულებით იცვლებოდა გეოპოლიტიკური რეალობა მეზობელ ოსმალეთშიც. 1920 წლის 10 აგვისტოს სევრის ცნობილმა ხელშეკრულებამ თვით სახელმწიფო დამოუკიდებლობას საფუძვლები შეურყია. სულთანმა მეჰმედ მეექვსემ, მართალია, ტახტი შეინარჩუნა, მაგრამ ძალაუფლებას არსებითად ანგორაში (ანკარა) ჩამოყალიბებული დიდი ეროვნული კრების მთავრობა დაეუფლა, რომელსაც სათავეში გენერალი მუსტაფა ქემალი (ათათურქი) ჩაუდგა. ქემალმა საბჭოთა რუსეთთან დაახლოების გზა აირჩია, რასაც მოსკოვის შემხვედრი ნაბიჯი მოჰყა.

ძველმა მოწინააღმდეგებმა - რუსეთმა და თურქეთმა, რომლებიც მათ გარშემო შეკრული რკალის გარღვევას და დაშლილი იმპერიების აღდგენასაც ესწრაფოდნენ, საერთო

<sup>1</sup> ჩაჩანიძე თ., ფრანგული ესკადრის ოპერაციები საქართველოს სანაპიროსთან, ფრანგული – არსებალი, 2006, №6, გვ. 40.

<sup>2</sup> მამაცაშვილი გ., საგარეო პოლიტიკის საკითხები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921), თბ., 2013, 250.

ენა და ინტერესები ერთმანეთში გამონახეს. თურქეთი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის იბრძოდა, ამისათვის საჭირო ფულსა და იარაღს კი რუსეთის გარდა ვერავისგან მიიღებდა. თავის მხრივ, მსოფლიო რევოლუციის იდეით გატაცებული ბოლშევიკთა ბელადები, რომლებიც თურქეთს აღმოსავლეთის მიმართულებით სოციალიზმის გაფართოების მნიშვნელოვან ბაზად განიხილავდნენ, მზად იყვნენ, მისთვის დახმარების ხელი გაეწოდებიათ<sup>1</sup>. ასეთ სინამდვილეში რუსეთისათვის დღის წესრიგში დგებოდა თურქეთთან უშუალო სახმელეთო კავშირის უზრუნველყოფა, რის წინაპირობასაც სამხრეთ კავკასიის საბჭოურ ორბიტაში სრულად მოქცევა წარმოადგენდა.

მოლაპარაკების პროცესი საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის ისე დაიწყო, რომ სათანადო ოფიციალური განცხადება არ გამოქვეყნებულა. ურთიერთკავშირის ფაქტის დროზე ადრე გამჟღავნებას მხარეები საგანგებოდ ერიდებოდნენ. ინფორმაცია მოსკოვის ანკარასთან დაახლოების შესახებ ხელს შეუშლიდა როგორც ერთის, ისე მეორის ურთიერთობის მოწესრიგებას დასავლეთთან. არადა, მოსკოვში მიმდინარე შეხვედრების პარალელურად, თურქეთიცა და რუსეთიც ერთმანეთის ზურგსუკან მოლაპარაკებას ანტანტის სახელმწიფოებთანაც აწარმოებდნენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოთა წარმომადგენელი ლევ კრასინი ლონდონში ინგლისის მთავრობასთან სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულების გაფორმებას ცდილობდა, ხოლო ანკარის წარგზავნილი ბექირ სამი ბეი (საგარეო საქმეთა მინისტრი) პარიზში საფრანგეთის ხელისუფლებისაგან სევრის ზაგის პირობების გადასინჯვას ესწრაფოდა.

---

<sup>1</sup> ჯანელიძე ლ., ბათუმის საკითხი რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებსა და 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებაში, წიგნში - ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2011, გვ. 71.

რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების ირგვლივ საქართველოში კონკრეტული ინფორმაცია არ ჰქონიათ. მოსკოვში საქართველოს საელჩომ ვერ შეძლო მოეპოვებინა ზუსტი ცნობები თავისი ქვეყნის საწინააღმდეგო ამ ქმედების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე თბილისამდე მხოლოდ ევროპული უურნალ-გაზეთების გამოხმაურება აღწევდა, თუმცა ინტენსიურად ვრცელდებოდა მოარული ხმებიც „ბოლშევიზმისა“ და „ქემალისტების“ დაახლოების თაობაზე.

ფხიზლობდა ქართული პრესაც, განსაკუთრებით კი ოპოზიციური გამოცემები. ეროვნულ-დემოკრატიულმა „საქართველომ“ და ფედერალისტურმა „სახალხო გაზეთმა“ რამდენჯერმე გამოაქვეყნეს წერილები მოსკოვისა და ანგორის შეხმატებილების შესახებ და მოუწოდეს მთავრობას, მეტი ყურადღება მიექცია ამ ახალი გეოპოლიტიკური გამოწვევისათვის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრ იმდროინდელ ქართველ პუბლიცისტს ეჭვი ეპარებოდა საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის დაახლოების შესაძლებლობაში. მაგალითად, რაფიელ ინგილო მიიჩნევდა, რომ „პოლიტიკასა და ინტრიგებში გამობრძმედილ ბოლშევიკებს ანგარიში ვერ მოუვიდათ: მათ ჯერაც ვერ გაუგიათ აღმოსავლური დიპლომატების „სალტო-მორტალობა“<sup>1</sup>.

აუცილებელია ითქვას, რომ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ერთდროულად მომდინარე საფრთხის შესახებ საქართველოში არსებობდა უფრო საღი და რეალისტური შეხედულებაც. საილუსტრაციოდ ზურაბ ავალიშვილის დასახელებაც იქმარებდა, რომლის სიტყვით, „საქართველო განცალკევებული დარჩა მიყრუებულ ჯვარედინზე, ევროპასა და აზიას შუა, უშუალო მეზობლად საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთი-

<sup>1</sup> გაზ. საქართველო, 1920 წ., 16 ნოემბერი.

სა. ეს ორი ფილაკვანი კი ემზადებოდა საფუძვლიანიდ ამო-  
ეგდოთ კავკასის შუა კედელი”<sup>1</sup>.

რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების პირველი რაუნდი,  
როგორც მას უწოდებენ, მოსკოვის პირველი კონფერენცია  
1920 წლის 24 ივნისს დაიწყო და 24 აგვისტომდე გაგ-  
რდელდა. თურქეთისათვის სამხედრო და ფინანსური დახმარე-  
ბის საკითხი იოლად გადაწყდა, ხოლო შეთანხმება საზღვრე-  
ბის შესახებ ხანგრძლივი განხილვისა და დავის საგნად იქცა.  
ოფიციალურ წყაროებში მითითებულია, რომ „პრობლემის  
კომპრომისული გადაწყვეტის მცდელობას წარმატება არ  
მოჰყოლია“<sup>2</sup>. მთებედავად ამისა, რუსეთ-თურქეთის ხელშეკ-  
რულების პროექტი დელეგაციების ხელმძღვანელების მიერ  
პარაფირებულ იქნა<sup>3</sup>.

რუსეთ-თურქეთის დაახლოებამ შეაშფოთა ანტანტის  
სახელმწიფოები. „მუსტაფა ქემალი უთანხმდება ლენინს და  
ხელს უხსნის ბოლშევკიკებს კავკასიაში სამოქმედოდ თურქე-  
თისათვის იარაღის თავისუფლად მიწოდების მიზნით“, - ატყ-  
ობინებდა დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი კავკასიაში  
ოლივერ უორდრობი ლორდ კერზონს ამასთან დაკავშირე-  
ბით<sup>4</sup>.

მოკავშირე ქვეყნებმა მოინდომეს ქემალის გადაბირება  
და მისი ანტისაბჭოთა კომბინაციაში ჩართვა სევრის ხელშეკ-

<sup>1</sup> ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების  
საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 356

<sup>2</sup> Документы внешней политики СССР, т.2, М., 1958, ст. 727

<sup>3</sup> Шамсутудинов А. М., Советско-турецкая дружба в годы освобо-  
дительной борьбы Турции в 1919-1922 г.г., М., 1960, ст. 3.

<sup>4</sup> Тарасов С., Как Владимир Ленин и Мустафа Кемаль Закав-  
казье <http://pda.regnum.ru/news/1160915.html>;

რულების გადასინჯვის, ასევე თურქეთისათვის სამხრეთ კავკასიაში გარკვეული კომპუნისაციების შეთავაზებით<sup>1</sup>.

მოსკოვ-ანკარის მოლაპარაკებათა ჩაშლა და ქემალთან დაახლოება მისი ინგლისის საწინააღმდევოდ გამოყენების მიზნით, პირველ რიგში, საფრანგეთის ინტერესებში შედიოდა<sup>2</sup>. ოფიციალურმა პარიზმა ლონდონისაგან ფარულად დაიწყო კიდევ მოლაპარაკება თურქეთთან, მაგრამ ინგლისის წინააღმდევობის გამო დასახულ მიზანს ვერ მიაღწია<sup>3</sup>.

თურქეთის ანტანტასთან „შერიგება“ ქართველ პოლიტიკოსებს თავიანთი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდათ. საქართველოს ელჩი თურქეთში სიძონ მდივანი ევროპაში მყოფ აკაკი ჩხენკელს ატყობინებდა: „სრული დარწმუნებული ვარ, თუ საფრანგეთი შეუთანხმდება ოსმალეთს და მას მეგობრად იგულებს, ოსმალეთი დაუყოვნებლივ დაიწყებს მოქმედებას კავკასიიდან რუსების გასადევნად. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოსათვის თურქეთ-საფრანგეთის შეკავშირების სარგებლიანობაში ქართველ ელჩს თავად მუსტაფა ქემალიც არწმუნებდა<sup>4</sup>.

საფრანგეთის შეთავაზება ანკარისათვის სასურველ, თუმცა არასაკმარის დათმობას წარმოადგენდა. თურქებისათვის, რომლებიც საბერძნეთის შეტევას იგერიებდნენ, სასიცოცხლოდ აუცილებელი ჯერ რუსეთის დანაპირები დახმარების მიღება იყო. ამიტომ ქემალი მოსკოვთან მოლაპარაკების გაგრძელების ინიციატივით გამოვიდა. ლენინის მთავრობა მი-

<sup>1</sup> История внешней политики СССР 1917-1980 гг. В двух томах, т. 1, М., 1980, ст. 143-145.

<sup>2</sup> Саакян Р., Франко-турецкие отношения и киликия в 1918-1923 гг. <http://www.genocide.ru/lib/sahakyan/intro.htm>.

<sup>3</sup> Атаев Т., „Армянский вопрос“ теряет актуальность <http://www.echo.az/article.php?aid=26344>;

<sup>4</sup> თოიძე ლ., ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 25-26

ესალმა მოლაპარაკების განახლებას. ამ ფაქტის გამო გიორგი ჩიჩერინი შენიშვნავდა: ჩვენ რომ თურქებისათვის ხელი გვიპრა, მათ ანტანტა ჩაიხუტებდაო<sup>1</sup>.

მოსკოვი ანკარასთან მდგომარეობის გამწვავებას სხვა მხრივაც ვერ დაუშებებდა. საჭირო იყო თურქეთის თუ მიმხრობა არა, ნეიტრალიზება მაინც, რომ რუსეთს სამხრეთ კავკასიაში თავისი მიზნებისათვის უფრო იოლად მიეღწია. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთმა მუსტაფა ქემალთან პარტნიორული ურთიერთობა ჩამოაყალიბა, კრემლში სერიოზულად შეშობდნენ, რომ თურქები მათ დაასწრებდნენ და რეგიონის ხარჯზე ხელს კარგად მოითბობდნენ. ეს მით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ ანკარას თვალი ეჭირა ბათუმზე და იქიდან ინგლისელთა გასვლის შემდეგ გამორიცხული არ იყო, რაიმე მოემოქმედა.

XI წითელი არმიის სარდალი, გენერალი ა. ჰეკერი 1920 წლის 18 დეკემბრით დათარიღებულ საიდუმლო მოხსენებაში კავკასიის რევოლუციური-სამხედრო საბჭოს წევრის, ს. ორჯონიკიძისადმი ხაზგასმით მიუთითებდა: „თურქეთთან მოსკოვის ურთიერთობის წინასწარი მოგვარების გარეშე საშიში იქნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყება”. აუცილებელია შეთანხმება თურქეთის სარდლობასთან და რომ „საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ კიაზიმ ყარაბექირის (ქემალისტური თურქეთის) ჯარები დაიცავნ გარკვეულ მეგობრულ ნეიტრალიტეტს”<sup>2</sup>.

შექმნილი რეალობა მეტ წინდახედულებას მოითხოვდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისგანაც. 1920 წლის ნოემბერში სომხეთში შეჭრილი თურქეთისაგან მოსალოდნელ ოკუპაციას მან ჯარების მობილიზა-

<sup>1</sup>[http://karabah88.ru/history/adr/52\\_ustupka\\_karsa\\_i\\_aradagana\\_est\\_maksim um\\_vozmozhnogo.html](http://karabah88.ru/history/adr/52_ustupka_karsa_i_aradagana_est_maksim_um_vozmozhnogo.html).

<sup>2</sup> საქართველო დაპყრობის 60 წელისთავი, პარიზი, 1981, გვ. 389.

ციით უპასუხა. ქემალმა აშკარა აგრესიისაგან თავი შეიკავა და საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ამჯობინა. თურქეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში პოლკოვნიკ ქიაზიმ ბეის დაეკისრა, საქართველოს ელჩად ანგარაში კი სიმონ მდივანი დაინიშნა.

რწმუნების სიგელის ჩაბარებისას მუსტაფა ქემალმა სიმონ მდივანს განუცხადა: თურქეთსა და საქართველოს საერთო მიზნები აქვთ და ჩვენი სურვილია, რომ საქართველო იყოს ძლიერი და დამოუკიდებელი<sup>1</sup>. ასეთივე აზრს იმხანად თურქელი პრესაც დაბეჭიოთებით ავითარებდა.

მასპინძლები რომ გულწრფელნი არ იყვნენ, მაშინვე შეუმჩნევია ოფიციალურ მიღებაზე მყოფ საქართველოს წარმომადგენლობის წევრს დიმიტრი შალიკაშვილს, რომელიც თავის დღიურში აღნიშნავს: „იქნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ახლა ვჰირდებით თურქებს და ამიტომ ასე კარგად გვეპყრობიან და გვეფერებიან. მაგრამ ხვალ თუ მდგომარეობა შეიცვალა, ისინი იმავე მოფერებით მიგვაჭყლებინ კედელზე“<sup>2</sup>.

მართლაც, თურქეთი, ერთი მხრივ, ნოე ჟორდანიას არ-წმუნებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი განმტკიცება ანგორის ინტერესებშიც შედიოდა, მეორე მხრივ კი მის წინააღმდეგ მოსკოვთან გარიგებას აწარმოებდა.

რუსეთ-თურქეთის მოსკოვის მეორე კონფერენცია მუშაობას 1921 წლის 26 თებერვალს შეუდგა. კონფერენციის გახსნას წინ უძლოდა საბჭოთა რუსეთის თავდასხმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ეს იყო რუსეთის მიერ საქართველოსათვის თავს მოხვეული უთანასწორო ომი,

<sup>1</sup> შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1991, №1, გვ. 56.

<sup>2</sup> შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში, ჟურნ. – თეატრი და ცხოვრება, 1991, №1, გვ. 57.

რომელიც მოსკოვმა დიპლომატიურთან ერთად სამხედრო თვალსაზრისითაც საგულდაგულოდ მოაზადა და ჯარები საქართველოს სხვადასხვა მხრიდან შემოუსია. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ პირველ შემოტევას გაუძლო, იძრძოლა, მაგრამ ქვეყნის დაცვა ვერ შეძლო.

რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებათა ახალი რაუნდის დაწყებამდე ერთი დღით ადრე წითელი არმიის ნაწილებმა თბილისი აიღეს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება გამოაცხადეს.

მიმდინარე მოლაპარაკებათა დასრულებისათვის საქართველოს ბოლშევიკურ ოკუპაციას ხელი არ შეუშლია. გარიგება შედგა: რუსეთ-საქართველოს ომში თურქეთს ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვა, რის საფასურადაც მას ქართული მიწა-წყლის ნაწილი ეთმობოდა.

ანკარის ხელისუფლებამ განსაცდელში ჩავარდნილი მეზობლის უბედურებაზე ხელის მოთბობა სცადა. მან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ბოლშევიკური აგრესიის მოგერიებაში დახმარება აღუთქვა, სანაცვლოდ კი არდაგანისა და ართვინის ოლქების მისთვის გადაცემა მოითხოვა. მუსტაფა ქემალის თვითონვე წერს: „ჩვენი კატეგორიული ულტიმატუმის შედეგად ... ქართველებისაგან მივიღეთ თანხმობა დაგვეკავებინა არდაგანი, ართვინი და ბათუმი<sup>1</sup>.“

საქართველოს მთავრობამ თურქეთის რეალური განზრახვა ვერ ამოიცნო და მისი შეთავაზება მიიღო. ნოე უორდანია დაეთანხმა ულტიმატუმის ფორმით წამოყენებულ თურქთა წინადადებას, მაგრამ ისე, რომ წერილობით შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერია<sup>2</sup>. საქართველოს ხელისუფლების სიტყვიერი თანხმობით, თურქმა ასკერებმა ახალციხე-ახალქა-

<sup>1</sup> Кемаль М., Путь новой Турции, т. III, М., 1934, ст. 119

<sup>2</sup> თოიძე ლ., ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ.

ლაქის მაზრებიც დაიკავეს, ბათუმშიც შემოვიდნენ და მისი მისაკუთრება მოინდომეს. ქალაქის განთავისუფლება საბჭოთა რუსეთთან ომში მარცხგანცდილ და თითქმის დაშლილ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის ნაწილებს ბრძოლით მოუხდათ.

არდაგანისა და ართვინის ოლქების თურქეთის მფლობელობაში გადასვლა, ხოლო ბათუმისა და მისი მიმდებარე სივრცის საქართველოს საკუთრებაში დარჩენა (მისთვის ავტონომიის მინიჭებით) დაფიქსირებულია მოსკოვის ხელშეკრულებაში, რომელიც ოფიციალურად 1921 წლის 16 მარტით არის დათარიღებული, სინამდვილეში კი მას ხელი ორი დღით გვიან მოეწერა. მიზეზს ნათელს ჰუნებრივის საგარეო პოლიტიკის არქივში დაცული გ. ჩიჩერინის 1921 წლის 17 მარტის წერილი ვ. ლენინისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „ყველაფერი მზად არის ხელმოსაწერად, ხელშეკრულებას ხელს მოვაწერთ ხვალ საღამოს. ... დავათარიღებთ 16-ით, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით კრასინის მიერ ინგლისთან ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ“<sup>1</sup>.

სსენებული ხელშეკრულება სხვა მნიშვნელოვანი შეუსაბამობითაც ხასიათდება. მოსკოვმა და ანკარამ საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების ბედი ამ ქვეყნების დაუკითხავად გადაწყვიტეს, რისი უფლებაც მათ არ გააჩნდათ. საერთაშორისო სამართლის ძალით, ხელშეკრულებები უნდა ეხებოდეს მხოლოდ ხელმომწერ მხარეებს და არ უნდა წარმოშობდეს რაიმე ვალდებულებებსა და უფლებებს მესამე პირისთვის, მისი თანხმობის გარეშე, როდესაც მესამე პირი არ არის ამ ხელშეკრულების მონაწილე<sup>2</sup>.

<sup>1</sup> <http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1132-1162.htm#1136>;

<sup>2</sup> Apa Papyan Russo-Turkish Treaty From an International Legal Perspective <http://asbarez.com/94215/russo-turkish-treaty-from-an-international-legal-perspective/>.

განსხვავებით 2008 წლის აგვისტოსაგან, როდესაც და-სავლეთმა შეაჩერა რუსეთის სამზღვო აგრესია, 1920-1921 წლების საერთაშორისო ურთიერთობათა კონიუნქტურა, მოსკოვისაგან საქართველოსათვის თავს მოხვეული ომისადმი და-სავლეთის გულგრილი მეთვალყურეობა და საქართველოს „გეოპოლიტიკური მარტოობა“ დამღუპველი აღმოჩნდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოსათვის - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაუცა. საბჭოთა რუსეთმა მისი ოკუპაცია, შემდეგ კი ანექსია განახორციელა.

#### **დამოწმებანი:**

1. Ленин В. И., Полн. собр. соч. т. 44
2. ჯანელიძე ო., 26 მაისიდან 25 ოქტომბერისაკენ, თბ., 1990
3. მორგოშია ა., კიროვი საქართველოში, თბ., 1960
4. История внешней политики СССР 1917-1980 гг. В двух томах, т.1, М., 1980.
5. [http://leninism.su/index.php?option=com\\_content&view=article&id=3660:dokumenty-1920-g-noyabr-dekabr&catid=99:v-i-lenin-neizvestnye-dokumenty-1891-1922&Itemid=53](http://leninism.su/index.php?option=com_content&view=article&id=3660:dokumenty-1920-g-noyabr-dekabr&catid=99:v-i-lenin-neizvestnye-dokumenty-1891-1922&Itemid=53).
6. ირემაძე ა., განთიადის სათავეებთან, თბ., 1984.
7. გაზ. კომუნისტი, 1989 წ., 10 ივნისი;
8. Л. Троцкий, Между империализмом и революцией. Основные вопросы революции на частном примере Грузии, Тб., 1922.
9. ქიქოძე გ., თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003
10. ჯოჯუა დ., საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1918-1921 წლებში, თბ., 1997.
11. ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925
12. ჯანელიძე ო., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და აშშ 1918-1921 წლებში, ანალიზი, 2011, №8.

13. ჩაჩანიძე თ., ფრანგული ესკადრის ოპერაციები საქართველოს სანაპიროსთან, ჟურნალი „არსენალი“, 2006, №6.
14. მამაცაშვილი გ., საგარეო პოლიტიკის საკითხები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921), თბ., 2013.
15. ჯანელიძე ო., ბათუმის საკითხი რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებებსა და 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებაში, წიგნში - ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2011.
16. გაზ. საქართველო, 1920 წ., 16 ნოემბერი.
17. Документы внешней политики СССР, т.2, М., 1958.
18. Шамсутудинов А. М., Советско-турецкая дружба в годы освободительной борьбы Турции в 1919-1922 г.г., М., 1960.
19. Тарасов С., Как Владимир Ленин и Мустафа Кемаль советизировали Закавказье  
<http://pda.regnum.ru/news/1160915.html>.
20. Саакян Р., Франко-турецкие отношения и киликия в 1918-1923 гг. <http://www.genocide.ru/lib/sahakyan/intro.htm>;
21. Атаев Т., „Армянский вопрос“ теряет актуальность  
<http://www.echo.az/article.php?aid=26344>.
22. თოიძე ლ., ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009.
23. [http://karabah88.ru/history/adr/52\\_ustupka\\_karsa\\_i\\_ar dagan\\_a\\_est\\_maksimum\\_vozmozhnogo.html](http://karabah88.ru/history/adr/52_ustupka_karsa_i_ar dagan_a_est_maksimum_vozmozhnogo.html).
24. საქართველო დაპყრობის 60 წელისთავი, პარიზი, 1981.
25. შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში, ჟურნ. თეატრი და ცხოვრება, 1991, № 1.
26. Кемаль М., Путь новой Турции, т. III, М., 1934.
27. <http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1132-1162.htm#1136>.

28. Ара Папян Russo-Turkish Treaty From an International Legal Perspective

[http://asbarez.com/94215/russo-turkish-treaty-from-an-international-legal-perspective/.](http://asbarez.com/94215/russo-turkish-treaty-from-an-international-legal-perspective/)

*Otar Janelidze*

*Ilia State University, Institute of Politology,  
Associate Researcher*

**GEOPOLITICAL REALITY IN 1920-1921 AND  
BOLSHEVIK OCCUPATION OF GEORGIA  
RESUME**

In the article there is analyzed a geopolitical situation formed in Georgia and around it in 1920-1921, which was conditioned by another penetration of the Soviet Russia in the South Caucasus. It is outlined that after the formation of the Bolshevik regime in Azerbaijan and Armenia, the Kremlin was preparing the same fate also for Georgia.

According to international plans of Bolshevism, Georgia was included in the orbit of the World Proletarian Revolution. In addition, Moscow also had economic interest in Georgia: it was necessary to possess Batumi in order to export oil from Baku. Great significance was given to ensuring of ground connections of Russia to Turkey, which was impossible to obtain without the “occupation” of Georgia.

In the reviewed period sovereignty of Georgian Democratic Republic was legally recognized by France, England, Italy, Japan, Belgium etc, but the League of Nations refused to integrate it in its ranks, which turned out to be fatal for further existence of the country. There were not realized the mandates of the USA for Armenia and of Italy for Georgia. Developing of the plan of sending a military expedition from

Rome to Georgia also failed. All this was equal to isolation of Georgia from the outer world.

The Soviet Russia linked launching of decisive actions against Georgia with the changes of conditions on the international arena in its favor. By means of diplomatic efforts the Kremlin achieved exclusion of England from interfering in Georgian issues. Pragmatic London preferred renovation of trading-economical cooperation with Russia to doubtful perspectives in remote Caucasus.

Moscow gave more attention to the issues of neutralization of Turkey and in exchange for it gave to Ankara millions of golden rubles, arms and ammunition together with certain territories in the South Caucasus.

In February-March of 1921 Turkey gave promises to the Government of Georgia to defend it from Bolshevik occupation on one hand and on the other hand deployed troops not only in Artvin and Ardagan but also Akhaltsikhe-Akhalkalaki Provinces and tried to appropriate Batumi as well. The army troops of Georgian Democratic Republic defeated in disproportional war with Russia had to liberate Batumi from Turks.

Unfavorable international relations in 1920-1921, “geopolitical solitude” of Georgia and noninvolvement of the West in Russo-Georgian war appeared to be fatal for the Democratic Republic of Georgia. It fell. Georgia was first occupied, and then annexed by Russia.

**ოთარ ვოგოლიშვილი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, სრული პროფესორი**

**ევროპა და საქართველო - მიღწევები და პერსპექტივები**

ჩვენ ვართ ძირძველი ევროპელები და ქართველმა ხალხმა თავისი ქმედებებით დაამტკიცა, რომ ღირსია იყოს ევროპული თანამეგობრობის წევრი. ევროპა ქართული მხარის ნებისმიერ წინადადებას განიხილავს და საქართველოს, ეკონომიკური დახმარების გარდა, პოლიტიკური პრიორიტეტების განხორციელებაშიც შეუწყობს ხელს. ევროპა ხელს შეუწყობს ყველა იმ მცდელობას, რომელიც ქვეწის გაერთიანებას ემსახურება და აქტიურად მიიღებს მონაწილეობას იმ ღონისძიებებში, რომლებსაც საქართველო თავის მეზობლებთან განახორციელებს.<sup>1</sup>

ევროპამ კარი გაუღო საქართველოს და დანარჩენი უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. საერთაშორისო თანამეგობრობაში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი თვისობრივად ახალ ეტაპზე ავიდა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ქვეყანას, ითანამშრომლოს ევროპულ სტრუქტურებსა და სახელმწიფოებთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში.

განა ადრეც ასე არ იყო. ჩვენს ქვეყანას როდესაც აგრესორების მხრიდან გასაჭირი დაუდგენდა, დახმარებას სახელმწიფოს მესვეურები ხშირად ევროპისაგან მოელოდნენ. ამიტომაც სტუმრობდნენ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები ევროპის სახელმწიფოებს. გავიხსენოთ ნიკიფორე ჩოლოყაშ-

---

<sup>1</sup> გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა, 19 აგვისტო, 2008.

ვილის მოგზაურობა და მოლაპარაკებები ევროპელ ლიდერებთან. თუგინდ უკვდავი სულხან-საბა ორბელიანის ვიზიტი ევროპაში, სადაც ევროპელი ლიდერები აღფრთოვანებული იყვნენ ამ დიდებული პიროვნებით<sup>1</sup>. ასეთი ვიზიტები ყოველ საუკუნეში იყო. მართალია, რეალური დახმარება ხშირად ვერ ხერხდებოდა, მაგრამ ურთიერთობა ყოველთვის იყო. აქვე არ შეიძლება არ ვთქვათ იმ ოქროს ხანაზე, როდესაც არა მარტო ევროპა, არამედ იმდროინდელი მსოფლიო საქართველოს ანგარიშს უწევდა, როგორც მოწინავე და გამორჩეულ სახელმწიფოს – ეს იყო დიდი დაგითისა და თამარის ხანა. ღმერთმა ქნას, დაბრუნდებოდეს საქართველოს იმდროინდელი სიკაშვაშე და ბრწყინვალება.

2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსულმა იმპერიულმა თავსედობამ გააოგნა მთელი ცივილიზებული სამყარო თავისი ზღვარგადასული აგრესით მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ, პირველები სწორედ ევროპელები იყვნენ, რომლებმაც ხმა აღიმაღლეს ამ სისასტიკის წინააღმდეგ და ქმედით ღონისძიებებით აიძულეს იმპერიალისტები, შეჩერებულიყვნენ. გავიხსენოთ საფრანგეთის პრეზიდენტ სარკოზის, გერმანიის კანცლერ მერკელისა და სხვათა ვიზიტები საქართველოში. ევროპელმა ლიდერებმა, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპის ლიდერებმა, რომლებმაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ საკუთარ თავზე გამოსცადეს რუსული იმპერიალისტური აგრესის სუსტი, მთელი სიმკაცრით მოითხოვეს სანქციების დაწესება რუსეთის წინააღმდეგ.<sup>2</sup>

საზოგადოებას კონფლიქტის დაწყებისთანავე გაუჩნდა კითხვები, თუ რას მოიმოქმედებს ევროპა რუსული იმპერიალისტური ამბიციების მოსათოკად. ზოგს მიაჩნდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ უნდა განხორციელდეს ღია დიპლომატიური წნევის პოლიტიკა, ხოლო ზოგი მიიჩნევს, რომ საქარ-

<sup>1</sup> მენაბდე ლ., ვახტანგ VI, თბ., 1963.

<sup>2</sup> გაზეთი – ახალი თაობა, 18 აგვისტო, 2008;

თველომ ბევრი გააკეთა ბალკანურში, ერაყსა და ავღანურში ნ ა ტ ო - ს მხარდასაჭერად, ამიტომ საქართველოს მიზოვება ძნელბედობის უამს გამართლებული არ იქნება. რუსეთის მიმართ უვროპამ და ამერიკამ უნდა განახორციელონ ძალის პოლიტიკა. რუსეთმა უნდა იგრძნოს, რომ ბოროტება დაუსჯელი არ დარჩება. ბევრი კი თვლის, რომ რუსეთის ოლიგარქიული მილიონები გასათეთრებლად ევროპასა და ამერიკაში მიედინება, ამიტომ, თუ ამ გზას გადაუკეტავენ, მაშინ იმპერიალისტები სულ სხვა ხმაზე დაიწყებენ საუბარს.<sup>1</sup>

ევროპამ გასარკვევად თქვა: „საქართველოში შექმნილი ვითარება მხოლოდ ამ ქვეყნის პრობლემა არ არის. ვითარების სტაბილიზაციისა და მშვიდობის დასამყარებლად ევროპამ და მასთან ერთად მთელმა მსოფლიომ უნდა იზრუნონ. მშვიდობის დამყარების დოკუმენტი მხოლოდ დოკუმენტად არ უნდა დარჩეს. რეალურად უნდა ვიმოქმედოთ და საქართველო არ მივატოვოთ“<sup>2</sup>.

2008 წლის აგვისტოს მბიმე დღეებში ევროპა საქართველოს დახმარებას არათუ სთავაზობდა, არამედ აქტიურად იყო ჩართული ომამდე და ომის შემდეგაც ჩვენს სამშობლოში მიმდინარე პროცესებში. ევროპამ პირველსავე დღეებში დაიწყო ამ აგრესიაზე საუბარი. მეორე დღესვე ევროპელმა ლიდერებმა დაიწყეს სერიოზული განცხადებების გაკეთება, სერიოზული დაწოლა დიპლომატიური არხებით. ასე რომ, ევროპამ გააკეთა ყველაფერი სიტუაციის დასარეგულირებლად. ეს ნამდვილად კარგია და საქართველომ ეს კურსი უნდა გააგრძელოს. ევროპის მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია.

საინტერესოა ევროპარლამენტის დადგენილება, რომელშიც ნათლად არის გამოაშკარავებული რუსეთის აგრესიული სახე: „რუსეთს საკუთარი საქციელი აშორებს იმ პრინციპე-

<sup>1</sup> გაზეთი – კვირის პალიტრა, 25 სექტემბერი, 2008.

<sup>2</sup> გაზეთი – 24 სათო, 2 სექტემბერი, 2008.

ბისაგან, რომლებიც ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ეხება. როდესაც არის მცდელობა დაიპყრო და გაანადგურო მეზობელი, პატარა ქვეყანა, როდესაც ბომბავ მის ქალაქებს და უსწორდები მშვიდობიან მოსახლეობას, როდესაც მიწასთან ასწორებ მის ინფრასტრუქტურას და გსურს ეს ინფრასტრუქტურა ისე გამოიყვანო მწყობრიდან, რომ შემდეგ მისი აღდგენა დიდხანს ვერ მოხერხდეს, როდესაც ანადგურებ მეზობელი ქვეყნის სამხედრო მრეწველობას, სწორედ ეს ხდის რუსეთს იზოლირებულს დანარჩენი ცივილიზებული სამყაროსაგან. რუსეთის სამხედრო ქმედება შეუთავსებელია იმ სამშვიდობო როლთან, რომელის მას აკისრია და ასევე კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პრინციპებთან. ევროპის მხრიდან რეაგირების გარეშე არ დარჩება რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ”<sup>1</sup>.

ევროპა მიიჩნევს, რომ მომავალში რეგიონში სამშვიდობო პროცესი მისი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა წარიმართოს. იგი კატეგორიულად მოითხოვს რუსეთისათვის მედიატორის როლის ჩამორთმევას. ევროპა კარგად აცნობიერებს იმას, რომ, თუ ისინი ახლა საქართველოს მიატოვებენ ამ ძნელბედობის ჟამს, შემდეგ სხვების ჯერი დადგება და რეალურად მთელი აღმოსავლეთი ევროპა ცივი ომისდროინდელ ვითარებას დაუბრუნდება. ევროპამ უნდა შეასრულოს წამყვანი და უმნიშვნელოვანესი როლი, რათა უზრუნველყოს თავისუფლება და კეთილდღეობა რეგიონში. მართლაც, ევროპამ გამოგზავნა საქართველოში მონიტორინგის ჯგუფი, რომელმაც დაიწყო რეგიონში სიტუაციის გაკონტროლება. ევროპული დელეგაციები, რომლებიც ხშირად ჩამოდიან საქართველოში, თანადგომას უცხადებენ ქართველ ხალხს. ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები, სადაც განიხილეს რეგიონის პრობლემები.

<sup>1</sup> გაზეთი – რუსეთი, 28 აგვისტო, 2008.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი - აგვისტოს იმ მბიმე დღეებში თვით ევროპის სახელმწიფოების დედაქა-ლაქებში მიმდინარეობდა საქართველოში შექმნილი მდგომა-რობის მკაცრი განხილვა. მაგ., გერმანიის კანცლერმა მერ-კელმა მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლია-ნობას და მოითხოვა ქვეყნის ტერიტორიიდან რუსული ჯარე-ბის გაყვანა. ასეთივე პოზიცია დააფიქსირა ინგლისის პრემი-ერ-მინისტრმა და მოსკოვის ქმედებები არანორმალურად მო-ნათლა. როდესაც მოსკოვმა საქართველოს ორი სეპარატის-ტული რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხა-და, პოლონეთის ტრაგიკულად დაღუპულმა პრეზიდენტმა კა-ჩინსკიმ ამ ქმედებას ამორალური უწოდა და განაცხადა, რომ მოსკოვს ეს ნაბიჯი ძვირად დაუჯდება, რადგან თვით მის ტერიტორიებზე მალე შეიქმნება დამოუკიდებელი სახელმწი-ფოები, რადგან რუსეთის იმპერიაში მყოფი კავკასიის ავტო-ნომიური ერთეულები ასევე მოითხოვენ, სავსებით კანონიე-რად და სამართლიანად, დამოუკიდებლობას. ევროკომისიის თავმჯდომარემ, ბაროზომ არაორაზროვნად განაცხადა, რომ ევროპა არასოდეს დაუჭირს მხარს სეპარატისტებს და თვით მოსკოვს ბუმერანგივით დაუბრუნდება ეს ქმედება, ამიტომ კრემლის მესვეურები უნდა დაფიქრდნენ და უკანვე წაიღონ ეს არასწორი გადაწყვეტილება<sup>1</sup>.

საქართველო არის ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა და, ბუ-ნებრივია, კავშირები ამ მიმართულებით სულ ვითარდება. ქართველები აქტიურად მონაწილეობენ ევროსაბჭოს საპარ-ლამენტო სესიების მუშაობაში და სხდომებზე ილაშქრებენ ყოველგვარი რუსული ავანტიურის წინააღმდეგ. რაც უფრო გადის დრო, ევროკავშირის, ევროსაბჭოსა და ნატო - ს საქმიანობის ჰარმონიზაციის საკითხი სულ უფრო მეტ უღე-რადობასა და აქტუალობას იძენს, რაც ჩვენი ქვეყნისათვის

<sup>1</sup> გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა, 5 სექტემბერი, 2008.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ევროპა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო პოლიტიკაში და შეუძლია, ზემოქმედება მოახდინოს სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის დამყარების პროცესზე.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის უმთავრეს მიზანს სწორედ ევროპაში ინტეგრაცია უნდა წარმოადგენდეს. მიზნის მისაღწევად საქართველო ცდილობს, ევროსტუქტურებში გაწევრიანებით განვითარებულ მსოფლიოს დაუახლოვდეს, ევროპული სამყაროს სრულუფლებიან წევრად იქცეს. ევროინტეგრაციის გზაზე სახელმწიფოს ორიენტირი, ცხადია უმაღლესი წერტილის მიღწევა უნდა გახდეს, უმაღლეს წერტილად კი ევროკავშირის წევრობა უნდა მივიჩნიოთ, რადგან მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი გაერთიანება, რომელიც სახელმწიფოთა ერთობას ამ ორგანიზაციაზე მეტად უსვამს ხაზს. აქედან გამომდინარე, საქართველო-ევროპის თანამშრომლობას ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ევროპული ინტეგრაციის „საზომად“ ჩვენი ქვეყნისა და ევროპის ურთიერთობისას საქართველოს მიერ მიღწეული წარმატებები თუ პრობლემები ან წარუმატებლობები უნდა მივიჩნიოთ.<sup>1</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში გაწევრება არ უნდა იქცეს სახელმწიფოსთვის თვითმიზანი, რადგან ევროპაში ინტეგრაცია ევროკავშირში გაწევრების გარეშეც არის შესაძლებელი (შვეიცარია, ნორვეგია), თუმცა მისი კრიტიკუმების დაკმაყოფილებას, რეკომენდაციების გათვალისწინებას და სხვადასხვა მოთხოვნის ეფექტურ შესრულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ევროინტეგრაციის გზაზე: „ევროკავშირი საქართველოსათვის შუქურად უნდა იქცეს, ჩვენი ქვეყანა მის მიხედვით უნდა მოძრაობდეს და არა მის უშუალო მიღწევაზე ოცნებობდეს.“

<sup>1</sup> გრიშიკაშვილი ა., გარდამავალი ეკონომიკური ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია, თბ., 2005.

ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოსათვის – საქართველოსათვის ევროპული ინტეგრაციის მოღწევები წარმოადგენს მიმზიდველ მაგალითს, რადგან ევროპის მიზანია, ხელი შეუწყოს დემოკრატიისა და მშვიდობის განვითარებას, მოქალაქეთა კეთილდღეობას და დოკლათის სამართლიან განაწილებას.

ევროპისა და მისი სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის წარმატება მნიშვნელოვნად განპიროვნებულია მისი მუშაობის მექანიზმით. ის ქვეყნები, რომლებიც შეადგენენ ევროკავშირს, დამოუკიდებელი სუვერენული ქვეყნებია, მაგრამ ისინი აერთიანებენ თავ-თავიანთ სუვერენიტეტს, რათა მიაღწიონ ისეთ ძლიერებას და მსოფლიო გავლენას, რომლებსაც ცალ-ცალკე ვერც ერთი მათგანი ვერ მიაღწევდა. რეალობაში სუვერენიტეტის გაერთიანება ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების თავიანთი უფლებამოსილების ნაწილს სახელმწიფოები გადასცემენ მათ მიერვე შექმნილ ევროპულ ინსტიტუტებს, რაც მიზნად ისახავს საერთო ინტერესის კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა ევროპულ დონეზე დემოკრატიულად მიღების შესაძლებლობას.

დღეს ევროპასთან ინტეგრაციას ხელს უშლის და შემაფერხებელი ფაქტორია შიდა და გარე კონფლიქტების არსებობა, რადგან საქართველოს ევროპა ერთიანი კავკასიის ფარგლებში განიხილავს და დასავლეთში სრულფასოვანი ინტეგრაცია ამ კონფლიქტების მოგვარების გარეშე შეუძლებელია.

რომელი სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, კავკასიაში არახელსაყრელი საინვესტიციო გარემო ჩამოყალიბდა, რაც რეგიონის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს. გარდა აღნიშნული კონფლიქტებისა, უარყოფით როლს ასრულებს სასამართლო სისტემის არაეფექტური ფუნქციონირება, რაც გამოიხატება იმაში, რომ საინვესტიციო დავების მოგვარება პრაქტიკულად შეუძლებელია. სამწუხაროდ, სასამართლო რეფორმა საქართველოში არც ისე წარ-

მატებული აღმოჩნდა. ევროპელი ექსპერტები ითვალისწინებენ აგრეთვე ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალ დონეს.

ერთ-ერთ უდიდეს პრობლემად რჩება დემოკრატიული და გამჭვირვალე სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება, რაც ევროკავშირის მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს.

საქართველო საკმაოდ ღარიბია რესურსებით, რომლითაც ევროპული სახელმწიფოები შეიძლება დაინტერესდნენ. მაგალითად, აზერბაიჯანი საკმაოდ ეფექტურად სარგებლობს ამ რესურსით.

არასამთავრობო სექტორი ევროინტეგრაციის კუთხით ნაკლებად აქტიურია და საქართველოში სულ რამდენიმე ამგვარი არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს. ზოგადად, არასამთავრობო სექტორის განვითარება ევროპის მნიშვნელოვან მოთხოვნასაც წარმოადგენს და საზოგადოებრივ განვითარებაში დიდ როლს ასრულებს.<sup>1</sup>

ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობის თვალსაზრისით, აუცილებელია ევროსტრუქტურებთან უფრო აქტიური თანამშრომლობა როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო დონეზე და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის მისიის მონიტორინგის შედეგად შემოთავაზებული რეკომენდაციების შესრულებას. ასევე - ყოველწლიური რაპორტების დაწვრილებით გაცნობას და მათ საფუძველზე არსებული რეკომენდაციების გათვალისწინებას. საქართველომ მომავალში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გათვალისწინებით უნდა დასახოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ჩვენს მომავალს, რადგან აღნიშნული სამეზობლო პოლიტიკა კავკასიის

<sup>1</sup> ხმალაძე პ., ხმალაძე ი., საქართველოს მსოფლიო მუსურნეობაში ინტეგრირების პრობლემები და მათი დაძლევის გზები, საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში (შრომების კრებული), ტ. V, თბ., 1999.

სახელმწიფოებისათვის ევროპასთან ურთიერთობის ერთა-დერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, პლურალიზმის განმტკიცება, მასმედიის დამოუკიდებლობა, უსაფრთხო ბიზნესგარემოს შექმნა, რეგიონალური თანამშრომლობა, საქართველოში მიმდინარე საპრივატიზაციო პროცესის გამჭვირვალობის წახალისება, კორუფციასა და სიღარიბესთან ბრძოლის გააქტიურება და კონფლიქტებისა და რეფორმების მონიტორინგი – აი, ის ძირითადი მოთხოვნები, რომელთა შესრულებასაც ევროპა საქართველოს ავალ-დებულებს და ევროპასთან მომავალი თანამშრომლობა სწორედ ამ მოთხოვნების შესრულებაზე იქნება დამოკიდებული. ასევე ევროპა მიიჩნევს, რომ აუცილებელია ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა, რომლის გარეშეც პოლიტიკური და სოციალური საკითხების მოგვარება კიდევ უფრო გართულდება, ვინაიდან ეკონომიკის განვითარებაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. საქართველომ დღეს ბევრი უნდა გააკეთოს იმი-სათვის, რომ ნაკლებად დაზარალებული გამოვიდეს იმ ეკონომიკური კრიზისიდან, რომელიც ჯერ კიდევ სახეზეა მთელ მსოფლიოში და რომელმაც ბევრი წამყვანი ქვეყანა გააკოტრა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ძალიან გაუჭირდება, რადგან პატარა ქვეყნები უფრო ზარალდებიან ასეთ სიტუაციებში.

დასაწყისში ვახსენე, რომ საქართველოს ჩსნა ევროპა-შია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მომავალი ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობაზე იქნება დამოკიდებული. ევროპამ კონფლიქტის პირველსავე დღეებში თავი გამოიჩინა და ჩვენი ქვეყნისადმი დახმარების გაწევით შეძლო ვითარების დარეგულირება. ევროპა მომავალშიც გააკეთებს ყველა-ფერს იმისათვის, რომ რეგიონში სუფევდეს მშვიდობა. რა თქმა უნდა, ჩვენზეც ბევრია დამოკიდებული. ჩვენს საქმეს სხვები არ გაგვიკეთებენ. ჩვენ უნდა შევძლოთ საერთო ენის

გამონახვა როგორც ჩვენს მოჯანყე რეგიონებთან, ასევე მეზობლებთანაც. შუამავლობას ამ საქმეში ევროპელები ნამდვილად გაგვიწევენ. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ევროპელების დახმარებითა და შუამავლობით უენევაში შედგა დიალოგი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სეპარატისტული, მოჯანყე რეგიონების წარმომადგენლები. იმედია, ასეთი შეხვედრები ევროპელების დახმარებით მომავალშიც გაიმართება და, შესაძლებელია, რაღაც პოზიტიურ შედეგსაც მივაღწიოთ. ფაქტი კი ნამდვილად ერთია – საქართველოს მომავალი ევროპაშია და ქვეყნის მთელი ძალისზევა აქეთკენ უნდა იყოს მიმართული.

#### **დამოწმებანი:**

1. გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა, 19 აგვისტო, 2008.
2. მენაბდე ლ., ვახტანგ VI, თბ., 1963.
3. გაზეთი – ახალი თაობა, 18 აგვისტო, 2008.
4. გაზეთი – კვირის პალიტრა, 25 სექტემბერი, 2008.
5. გაზეთი – 24 საათი, 2 სექტემბერი, 2008.
6. გაზეთი – რეზონანსი, 28 აგვისტო, 2008.
7. გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა, 5 სექტემბერი, 2008.
8. გრიშიკაშვილი ა., გარდამავალი ეკონომიკური ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია, თბ., 2005.
9. ხმალაძე კ., ხმალაძე ი., საქართველოს მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირების პრობლემები და მათი დაძლევის გზები, საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში (შრომების კრებული), ტ. V, თბ., 1999.

*Otar Gogolishvili*

*Batumi Shota Rustaveli State University, Full Professor*

**EUROPE AND GEORGIA - ACHIEVEMENTS AND  
PERSPECTIVES  
RESUME**

Georgia had great troubles during the conflict of August, 2008. The Russian neo-empire began a direct aggression against Georgia. A lot of civilians were killed and lots of civil buildings were destroyed as a result of the Russian neo-imperialism.

On those difficult days Georgia was supported by Europe. From the very beginning Europe immediately required from Russia to stop this act of aggression and the military action. The direct support of the European leaders, including their arrival in Tbilisi on those days, took a great part in bringing to a halt the active part of the Russian aggression.

**Рауф РАДЖАБОВ,  
главный редактор Информационно - аналитического  
агентства «3rd View», политический аналитик**

**ПОЛИТИЧЕСКОЕ И СОЦИАЛЬНО-  
ЭКОНОМИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ ГРУЗИИ  
В 2003-2013 ГОДАХ**

**ВВЕДЕНИЕ**

В настоящее время Южно-Кавказский регион в целом и Грузия в частности находятся в центре внимания основных геополитических акторов: ЕС, Турции, США, Российской Федерации (РФ), Исламской Республики Иран (ИРИ), НАТО и ОДКБ.

Задачи стратегии США в регионе «Большого Кавказа» были концептуально сформулированы в специальном заявлении Государственного Департамента США, распространенном в ноябре 1999 года в день подписания Стамбульской декларации и других документов Стамбульского саммита ОБСЕ. В нем, в частности, указывалось на необходимость, во-первых, обеспечить независимость и территориальную целостность Грузии, Республики Армения (РА) и Азербайджанской Республики (АР); во-вторых, сдерживать ИРИ до тех пор, пока официальный Тегеран не начнет проводить прозападную политику или в стране не будет установлен другой режим; в-третьих, предотвратить дестабилизацию на Кавказе, особенно на Северном Кавказе; в-четвертых, обеспечить доступ к энергоресурсам стран, расположенных на «Шелковом пути». Официальная Москва обеспокоена тем, что развитие энерготранспортного проекта ЕС «Южный коридор» вне РФ будет угрожать ее энергетической безопасности. По

мнению российских экспертов, масштабные поставки углеводородов из Каспийского региона рассматриваются американской стороной как фактор, способный изменить конфигурацию взаимоотношений экспортеров и импортеров нефти и газа, в частности, изменить это соотношение не в пользу РФ и стран Ближнего Востока.

Таким образом, Грузия, которая не обладает собственными запасами нефти и газа, как АР, играет важную роль в регионе Южного Кавказа. В geopolитическом и геостратегическом отношении Грузия может считаться одним из ведущих государств Южного Кавказа. Статус Грузии определяется географическим положением, широкими внешними связями нынешнего грузинского руководства в США и ЕС. Контролируя граничащий с Турцией стратегический район Черноморского побережья, и закрывая с запада выход РА к Черному морю, Грузия является плацдармом для выхода США, НАТО и ЕС к Каспийскому морю.

По мнению американских политиков и экспертов, Грузия – это граница между НАТО и «Новым шелковым путем». «Новый шелковый путь» - это проект, который объединит все трубопроводы, автомобильные и железные дороги, аэропорты и коммуникационные системы на всем протяжении от Центральной Европы до Китая.

Однако, настоящее и будущее Грузии неотделимо и от успехов или неудач в геоэкономическом и geopolитическом развитии Южно-Кавказского региона, и обеспечения его безопасного и стабильного развития. В трех странах Южного Кавказа стремление официальной Москвы взять под контроль пути транспортировки каспийских энергоресурсов воспринимается как контроль над всеми странами и регионом в целом. Так, РА могла бы успешно конкурировать с Грузией, но нерешенность Карабахского конфликта блокирует на среднесрочную

перспективу участие официального Еревана в региональных энерготранспортных проектах. В частности, Карабахский конфликт блокирует азербайджано-армянское сотрудничество в направлении развития энерготранспортного проекта «Южный коридор», что выгодно всем странам региона. Правда, США и ЕС дали понять, что РА может получить доступ к участию энерготранспортного проекта «Южный коридор», если официальный Ереван займет более конструктивную позицию в переговорном процессе по разрешению Карабахского конфликта. Тем более, что руководство АР в принципе не против прокладки коридора через РА, т.к. это дало бы официальному Баку возможность обеспечивать энергетические нужды Нахичевани, т.е. без помощи ИРИ.

В настоящее время, руководство АР неодобряет транспортировку грузов через Грузию в РА, и хотя РА получает грузы через грузинские порты Батуми и Поти, официальный Тбилиси вынужден с этим считаться. А перевозки грузов в РА из РФ и Центральной Азии по железной дороге через АР вообще невозможны.

Если говорить о вопросах энергобезопасности, то АР и Грузия более близки и скоординированы друг с другом, и вектор их развития – это ориентация на западные рынки и западную систему. В то время как РА по многим причинам находится под влиянием РФ. Поэтому роль Грузии – это надежное выполнение транзитной функции на Южном Кавказе в рамках проекта «Новый шелковый путь». И вполне закономерно, что в экономическом отношении США, ЕС, Турция рассматривают АР и Грузию вместе, а РА – отдельно.

Вместе с тем, имеются нижеследующие направления эффективной реализации долгосрочных интересов АР, Грузии и РА на Южном Кавказе в сфере энерготранспортной диверсификации. Во-первых, ЕС

целесообразно уступить российской сфере влияния в РА, но усиливать влияние в АР и Грузии. Подобный подход способствовал бы с одной стороны, экономической интеграции ЕС с АР и Грузией, а с другой, трансформировал регион Южного Кавказа из закрытой в открытую систему с привязкой к еврозоне и Центрально-азиатскому региону (ЦАР). Так, развитие ресурсов ЦАР и ровная поставка их на рынок через Грузию могли бы стабилизировать европейский энергетический баланс, сделать цены более предсказуемыми, гарантировать снабжение ЕС, и обеспечить сбалансированное социально-экономическое развитие, как ЕС, так и АР и Грузии, а также ЦАР. Поэтому энергетические ресурсы АР и ЦАР представляют собой огромный потенциал для ЕС. Кроме того, через Грузию также перевозят узбекский хлопок и казахстанскую руду и зерно.

Во-вторых, Грузия может и должна заключать двусторонние соглашения со всеми странами Южного Кавказа, в том числе и с РА, по модели европейских соглашений ЕС с РФ и Украиной, а также программы «Восточного партнерства».

В-третьих, официальный Тбилиси способен проявить активность, поддерживая и участвуя в формировании единой системы взаимоотношений между ЕС и Южно-Кавказскими государствами в тех направлениях, где ставятся на карту интересы США и ЕС, прежде всего энергетическая безопасность и экономическое развитие. Тем более, что игнорируемым фактом при превращении энергоресурсов АР и каспийского бассейна в стратегическую экономическую и политическую ценность, как для региона Южного Кавказа, так и для ЕС, США, РФ, Турции, Китая и ИРИ является то, что ни одна из сторон одна не в состоянии эффективно играть на глобальном энергетическом рынке. В частности, опыт Норвегии,

Саудовской Аравии, ОАЭ указывает на три условия, которые должны быть реализованы, чтобы нефтегазовые залежи эксплуатировались и успешно были доставлены на мировой рынок. Во-первых, политическая стабильность, во-вторых, безопасность и рентабельная по стоимости транспортировка, в-третьих, позитивный инвестиционный климат. В принципе, Грузия отвечает всем вышеуказанным требованиям.

## **ПОЛИТИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ ГРУЗИИ В 2003-2012 г.**

### **§1 Обострение политической обстановки в Грузии накануне «революции роз» и приход к власти Михаила Саакашвили**

Характерными чертами переходного периода в Грузии (90-е годы 20 века) стали полное разобщение политических элит, территориальное размежевание, гражданская война, развал экономики, глубокий политический кризис и катастрофический рост преступности. Начиная с середины 1991 года наиболее острой проблемой, стоящей перед правительством Грузии, стали межэтнические отношения. Сразу же после окончания войны в Югоосетинской Автономной области (АО) в начале августа начался новый вооруженный конфликт на территории Абхазской автономной республики (АР).

Падение правительства Звиада Гамсахурдия и последовавшие за ним вторые выборы, проводившиеся на многопартийной основе (11 октября 1992 год), создали предпосылки для объединения политических элит.

Вместе с тем, гражданская война в Абхазии и западной Грузии была не единственным фактором, который препятствовал успешному развитию процесса

трансформации страны. Объединение политических элит, произошедшее в ходе борьбы против З.Гамсахурдиа, распалось вместе с самим этим режимом.

Главной и наиболее общей предпосылкой к революции «роз» стало недовольство управлением страной Эдуардом Шеварднадзе. Негодование населения страны было вызвано накопившимися претензиями к правительству, связанными с тяжёлым социально-экономическим положением в Грузии и коррупцией среди государственных служащих. Общественно-политическая ситуация осложнялась сепаратизмом этнических меньшинств, выразившимся в де-факто независимом существовании Абхазии и Южной Осетии. Негативные эмоции в грузинском обществе вызывал и отказ Э.Шеварднадзе от силового урегулирования конфликтов в Абхазии и Осетии, ведь все попытки грузинского правительства решить вышеуказанные конфликты мирным путем наталкивались на российское «нет».

Политический и социально-экономический кризис в Грузии достиг своего пика накануне президентских выборов 2 ноября 2003 года. Основной мотив революции «роз» - фальсификация парламентских выборов 2 ноября 2003 года. В ходе бескровной революции «роз» Э.Шеварднадзе сложил полномочия, и руководство страной перешло к оппозиционерам во главе с Михаилом Саакашвили.<sup>1</sup>

Политическим блокам Э.Шеварднадзе «За Новую Грузию» и Аслана Абашидзе «Союз за демократическое обновление Грузии» противостояли «Объединённое народное движение» М.Саакашвили и «Демократы Бурджанадзе», возглавляемые бывшими спикерами грузинского парламента Нино Бурджанадзе и Зурабом

---

<sup>1</sup> Гусейнова А. Г., Статья: Смена власти в Грузии в 2003 г. Журнал – *История и ее проблемы*, №4, 2010 г.

Жвания, скончавшегося 8 февраля 2005 года при загадочных обстоятельствах.

Парламентские выборы в Грузии были проведены 2 ноября 2003 года и, по официальным данным, завершились победой Э.Шеварднадзе и его союзников, но оглашённые результаты не были признаны международными наблюдателями и противниками Э.Шеварднадзе. М.Саакашвили демонстративно заявил, основываясь на данных социологических опросов, о своей победе, и его утверждения поддержала наблюдательная группа «Международного общества справедливых выборов». Опираясь на представленные данные, М.Саакашвили выдвинул требование провести новые парламентские выборы и призвал грузинских граждан выйти на улицы и поддержать его.

К середине ноября 2003 года в столице Грузии Тбилиси начались массовые демонстрации, затронувшие впоследствии другие города и посёлки страны. Толпы людей молодёжной организации «Кмара» скандировали свои лозунги, многие общественные организации, например, Институт свобод Грузии, также проявили завидную активность в массовых протестах.

Вместе с тем, правительство Э.Шеварднадзе получило поддержку со стороны президента Абхазии А.Абашидзе. Протесты оппозиции достигли своего пика 22 ноября, в первый день заседания нового грузинского парламента, легитимность которого была поставлена под сомнение. В тот же день оппозиционеры во главе с М.Саакашвили с розами в руках (откуда и пошло название революции) вошли в здание парламента, прервали выступавшего с речью Э.Шеварднадзе и вынудили его покинуть зал в сопровождении телохранителей. Затем президент ввёл в стране чрезвычайное положение и призвал на помощь войска и полицию в районе своей

резиденции в Тбилиси. Однако даже элитные подразделения полиции отказались поддержать его. Вечером 23 ноября в день Святого Георгия в Грузии, Э.Шеварднадзе провёл встречу с оппозиционными лидерами М.Саакашвили и З.Жванией, чтобы обсудить сложившуюся ситуацию на собрании, устроенном российским министром иностранных дел Игорем Ивановым. После встречи Э.Шеварднадзе объявил о своей отставке. Это вызвало настоящую эйфорию на улицах Тбилиси. Более 100 тысяч митингующих отмечали победу с фейерверками и рок-концертами. Чуть позднее Верховный Суд Грузии аннулировал результаты парламентских выборов. Внеочередные президентские выборы были назначены на 4 января 2004 года, на которых победил лидер революции «роз» М.Саакашвили (96% голосов), принявший присягу президента 25 января 2004 года. 28 марта 2004 года были проведены и новые парламентские выборы, на которых победу одержали «новые демократы», поддерживаемые М.Саакашвили. Кстати, избирательный барьер преодолело лишь объединение во главе с М.Саакашвили, З.Жванией и Н.Бурджанадзе.

После победы «революции роз», власти Аджарии ввели на территории республики чрезвычайное положение, запретив все предвыборные акции сторонников М.Саакашвили в преддверии парламентских выборов, намеченных на 28 марта 2004 года. Но, М.Саакашвили бескровно сместил в Аджарии российского ставленника А.Абашидзе. Следует отметить, что в составе Грузии Аджария действительно имела широкие права. С 1999 года она не осуществляла налоговых отчислений Тбилиси. Таможня Сарли на границе с Турцией также не подчинялась Тбилиси, являясь одним из важнейших источников аджарских доходов. При этом аджарские

пограничники контролировали границу не только с Турцией, но и сообщение с Грузией.

Вместе с тем, «революция роз» не решила социальные проблемы страны. Правда, новое руководство Грузии ускорило приватизацию оставшихся объектов собственности, включая морские порты Батуми и Поти, железную дорогу, электровагоностроительный завод. Однако, произошло дальнейшее ухудшение экономического положения Грузии: возросло число безработных, а также на 20-30 % выросли цены на потребительские товары. Кроме того, революция «роз» не снизила темпов исхода грузинского населения из страны в РФ в поисках средств выживания. Более того, количество желающих покинуть страну возросло. Рождаемость сократилась в три раза по сравнению с 1990 годом, а смертность возросла в 3,2 раза. Численность населения Грузии сократилась с 5,40 млн. в 1989 году до 3,09 млн. в 2003 году. Новая грузинская власть так и не выстроила сбалансированные взаимоотношения с РФ.<sup>1</sup>

### ***Парламентские выборы 2012 года и победа оппозиции***

По итогам парламентских выборов в Грузии от 1 октября 2012 года правящая партия «Единой национальное движение» (ЕДН) проиграла оппозиционному движению «Грузинская мечта» во главе с Бидзиной Иванишвили.

Можно утверждать, что поражение партии действующего президента Грузии М.Саакашвили было предрешено непрекращающимися митингами и демонстрациями, охватившие практически всю страну (за исключением двух регионов, где проживают азербайджанцы и армяне), а самое главное – студенческими объединениями. Иными словами, с одной

---

<sup>1</sup> Томас де Вал «Выбор Грузии: какой курс избрать в период неопределенности?», М., 2011 г., с. 13-14.

стороны, активная часть грузинской молодежи более не является традиционным избирателем ЕНД, а с другой, грузинское общество впервые на Южном Кавказе наглядно продемонстрировало механизм легитимной смены власти в стране через парламентские выборы. Вместе с тем, легитимная смена власти в Грузии сопровождается и преемственностью власти.

В частности, в ходе многочисленных переговоров генсека НАТО Расмуссена со всеми высокопоставленными лицами официального Тбилиси затрагивались такие вопросы, как вступление Грузии в Североатлантический альянс, продолжение политики грузинского правительства по реформированию страны, а также предстоящие в стране президентские президентские выборы.

Внутриполитическая ситуация в Грузии и расклад политических сил в стране в конфигурации «власть-оппозиция» кардинально изменились. И сегодня однозначно спрогнозировать победу правящей партии «Грузинская мечта» на президентских выборах не представляется возможным. Более того, доподлинно неизвестно будущее самого М.Саакашвили в системе государственной власти Грузии.

Можно констатировать, что лишь после окончательных итогов президентских выборов в Грузии официальный Брюссель привнесет конкретику в вопрос членства Грузии в НАТО. Кроме того, в США и НАТО учитывают, что пока Грузией управляет М.Саакашвили, между Кремлем и официальным Тбилиси потепления во взаимоотношениях не будет. Тем более, что в 2012 году в Кремль возвратился личный враг М.Саакашвили – Владимир Путин. Для Запада самый важный результат заключается в том, чтобы премьер-министр Грузии Б.Иванишвили осуществлял внешнеполитический курс в рамках стратегии США-НАТО.

Вместе с тем, США-НАТО, вне зависимости от итогов президентских выборов в Грузии, будут и дальше стремиться к укреплению своих позиций в Грузии. Ведь обратимость данной геополитической ситуации приведет к уходу НАТО из региона Южного Кавказа, а также к значительному стратегическому ослаблению США в этом регионе со всеми вытекающими последствиями. А этого Запад допустить не может и не собирается.

## **СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ ГРУЗИИ В 2003-2010 г.**

### **Социально-экономическое положение Грузии после «революции роз»**

После «революции роз» 2003 года новое руководство Грузии во главе с президентом М.Саакашвили смогло договориться о значительном увеличении иностранной помощи. В 2004-2006 годах объём зарубежной помощи составил примерно 1,1 млрд. долларов (25 % от ВВП Грузии 2004 года).

После назначения в 2004 году министром экономического развития Грузии предпринимателя Кахи Бендукидзе получили новый импульс социально-экономические реформы. К.Бендукидзе заявил, что «Грузия должна продать все, кроме совести». Была проведена крупная налоговая реформа – из 20 налогов осталось 7: подоходный налог, социальный налог, НДС, налог на прибыль, налог на имущество и акцизы по некоторым товарам типа сигарет, а также налог на игорный бизнес. Кроме этого была объявлена налоговая амнистия на весь период до 2004 года. На торги были выставлены крупнейшие предприятия страны, в частности, Зестафонский завод ферросплавов, «Чиатурмарганец», Руставский металлургический

комбинат, Марнеульский горно-обогатительный комбинат, Потийский морской порт. В 2007 году государственная Грузинская железная дорога была передана в управление британской компании Parkfield Investment, но позже это решение было отменено.

Эти мероприятия стали одним из факторов, способствовавших значительному росту иностранных инвестиций и ВВП страны. Другими факторами роста экономики Грузии являлись: адаптация к сложившейся ситуации, рост экспорта и денежных переводов трудовых мигрантов, иностранные вложения в транзитный нефтепровод. Закономерно, что в 2006 году ВВП Грузии вырос на 8,6 %, а в 2007 году – на 12,4 %. По данным на 2007 года рост ВВП в среднем за 5 лет составил 9,7 %. К 2007 году величина ВВП Грузии составила 65 % от докризисного уровня, объём производства добавленной стоимости в промышленности – 48 % от докризисного уровня, отрицательный торговый баланс – 40 % ВВП, дефицит платежного баланса – 20 % ВВП (один из самых больших в мире). Дефицит счета текущих операций финансировался в основном благодаря переводам мигрантов и иностранной помощи. Большой отрицательный торговый баланс свидетельствовал о неустойчивости экономического роста.

К 2007 году экономика Грузии, сильно зависящая от внешнего финансирования, получила структуру, далекую от основ, которые обеспечивают устойчивое развитие. Согласно отчету ЕС, опубликованному в апреле 2008 года, экономический рост в Грузии в последнее перед отчетом время был обеспечен в основном за счет расширения финансового сектора и притока иностранного капитала.

По мнению ряда независимых экономистов, грузинское «экономическое чудо» основывалось не на собственном производстве, а на внешних вливаниях. В

Грузии не был решен ряд основных проблем развития страны: создание продуктивного бизнеса, расширение числа рабочих мест в частном секторе экономики, возвращение людей, выехавших из страны, демократизация уровня образования и науки.

Закономерно, что развившийся с начала 2008 года мировой экономический кризис негативно отразился на экономике Грузии. С весны 2008 года возникли проблемы с финансовыми ресурсами, упала инвестиционная активность, сократилось потребление. И в октябре 2008 года западные страны объявили о выделении Грузии 4,55 млрд. долларов финансовой помощи в течение 2008-2010 годов, из которых 2,5 млрд. долларов – долгосрочный низкопроцентный заем, а 2 млрд. долларов – грант.

По итогам 2008 года ВВП увеличился на 2,1 %, приток прямых иностранных инвестиций уменьшился на 22 % (до 1,56 млрд. долларов). В октябре 2009 мнению, благодаря реформам и либеральной открытости экономики Грузия выдержала сочетание этих факторов, притом что, по мнению М.Саакашвили, одного лишь кризиса хватило, чтобы разрушить экономику многих стран Восточной Европы. Позже М.Саакашвили назвал «чудом», что экономика Грузии вообще не обрушилась. Однако, по мнению ряда независимых экспертов, никакого «чуда» не произошло, а основную роль в предотвращении коллапса грузинской экономики сыграла выделенная Грузии иностранная помощь в 4,55 млрд. долларов.

Именно потому по итогам 2009 г. ВВП Грузии опустился всего на 3,8 %, что считалось не большим снижением в мире. К сравнению: Украина –14,8 %, РФ –7,8 %, РА –14,2 %. Причем заметная часть этого падения связана с последствиями российско-грузинской войны. Промышленное производство за тот же год упало на 8,5 %, приток прямых иностранных инвестиций

сократился в 2 раза (до 658 млн. долларов). Уже в 2010 году рост ВВП Грузии составил 6,4 %, что является высоким показателем в мире. К сравнению: РА 2,6 %, РФ 4 %, Украина 4,2 %..

В июне 2010 года в парламент Грузии был направлен проект нового Налогового кодекса, в котором, в частности, предусматривалось, что предприниматели с оборотом до 30 тысяч лари в год не будут облагаться налогами, предприятия с оборотом до 200 тысяч лари будут платить только налог с доходов по ставке 3 или 5 %, предусматривалось также увеличение налоговой нагрузки по ряду позиций.

По мнению доктора экономических наук Джорджа Берулава, наблюдавшийся в последние годы в Грузии экономический рост имел низкое качество, в частности, он не был связан с инвестициями в высокотехнологичные отрасли промышленности или с инновациями, ни с ростом числа рабочих мест, ни с ростом масштабов деятельности средних и малых компаний. Иностранные инвестиции в основном направлялись в отрасли, которые не ориентированы на экспорт, а инвестиции в технологии и инновации оставались на низком уровне. Низкое качество экономического роста означает, что в будущем его будет сложно поддерживать.

Одним из важных источников поступления денежных средств в Грузию считаются грузины, проживающие в РФ и странах ЕС. Так, по данным Национального Банка Грузии (НБГ), в 2005 году объем денежных переводов из-за рубежа в Грузию составил около 390 млн. долларов, в 2006 году – 526 млн. долларов (из них из РФ – 365 млн. долларов), в 2007 году – 866 млн. долларов (из них из РФ – 545 млн. долларов), в 2008 году – 1,002 млрд. долларов (из них из РФ – 634 млн. долларов), в 2009 г. – 842 млн. долларов (из них из РФ – 450 млн. долларов).

До 2003 года госбюджет Грузии имел значительный дефицит. К 2007 году вследствие сокращения госрасходов и улучшения налогового администрирования госбюджет был сбалансирован. По данным на 2008 г., доходы от транзита давали около 47 % поступлений в госбюджет Грузии. Госбюджет Грузии на 2009 год был запланирован в размере 6,25 млрд. лари (3,9 млрд. долларов). Доходы госбюджета Грузии на 2010 год были запланированы в размере 5,17 млрд. лари, расходы – 5,46 млрд. лари, дефицит – 935 млн. лари.

По данным на 31 декабря 2009 года совокупный внешний долг Грузии равнялся 8,6 млрд. долларов США, что составляло 80,3 % ее ВВП. Из этого долга на долг госсектора приходилось 2,7 млрд. долларов, НБГ – 0,9 млрд., банковского сектора – 1,6 млрд., компаний – 2,1 млрд., других секторов – 1,3 млрд.

Внешняя торговля Грузии характеризуется отрицательным торговым балансом, импорт в несколько раз превышает экспорт. Грузии не удалось перейти на экспортноориентированный путь развития, объемы ее экспортов невелики, и сконцентрированы в нескольких сегментах: металлом, необработанное золото, алкоголь и фрукты.

Основные статьи экспорта Грузии в 2009 году: ферросплавы – 11,5 %, необработанное золото – 10,3 %, легковые автомобили – 6,9 %, орехи – 6,2 %, металлом черных металлов – 5,6 %, медная руда и концентраты – 5,5 %, удобрения – 5,3 %, спирт – 4,8 %, вино – 2,8 %. Экспорт автомобилей из Грузии в основном является реэкспортом, т.е. экспортом ранее импортированных в Грузию автомобилей. Основные покупатели в 2009 году: Турция (20,0 %), АР (14,7 %),

Канада (10,4 %), РА (7,9 %), Болгария (7,3 %), Украина (7,4 %), США (3,3 %).<sup>1</sup>

Основные статьи импорта Грузии: топливо, транспортные средства, оборудование, зерно и других пищевые продукты, фармацевтические препараты. Основные поставщики в 2009 году: Турция (18,0 %), Украина (9,6 %), АР (8,6 %), Германия (6,9 %), РФ (6,6 %), США (5,1 %), Китай (4,0 %), Болгария (3,5 %).

За первый квартал 2010 года в госбюджет страны поступило 76 млн. долларов, что составило всего 6% от прогнозируемого годового объема инвестиций – около 1,2 млрд. долларов. Фактический показатель инвестиций за первый квартал этого года – на 40% меньше аналогичного показателя годичной давности. Крупнейшими инвесторами Грузии явились Турция – 26,8% всех инвестиций, Чехия – 26,1%, Египет – 23,8% и Япония – 20,7%. Грузинские эксперты считают, что одной из основных причин низкого уровня притока инвестиций являются периодически делаемые властями, в том числе президентом Грузии, заявления о возможной новой угрозе безопасности Грузии со стороны РФ.

Среднегодовая инфляция в Грузии в ноябре 2010 года в сравнении с аналогичным показателем 2009 года, достигла 10,5%. По информации Национальной службы статистики Грузии, это самый высокий за последние 2 года показатель. Ежемесячная инфляция в ноябре, в сравнении с октябрём 2010 года, составила 1,1%, что ниже показателя октября (2%). Средняя инфляция за период с января по ноябрь 2010 года в сравнении с аналогичным периодом прошлого года также была самой высокой за последние 2 года и достигла 6,7%. Ставка монетарной политики в Грузии в 2010 году составляла 7,5% и НБГ продолжает

---

<sup>1</sup> [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=146&lang=eng](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=146&lang=eng)  
Экономика Грузии. Индексы.

ужесточение монетарной политики и потому принял решение о поэтапном повышении резервной нормы привлеченных в иностранной валюте средств до 15%. Совокупные депозиты банковского сектора Грузии на 1 ноября 2010 год, в сравнении с аналогичным периодом прошлого года, выросли на 1,4 млрд. лари и достигли 4,6 млрд. лари (около 2,6 млрд. долларов). По информации НБГ, коэффициент долларизации депозитов на 1 ноября 2010 год составил 73,6%. Доля депозитов в долларах США в общем объеме депозитов в иностранной валюте была 68,2%, что на 7,8% ниже показателя аналогичного периода прошлого года. Доля депозитов в евро также уменьшилась с 23,1% (на 1 ноября 2009 год) до 19,5% (1 ноября 2010 год). Средневзвешенная процентная ставка на депозиты на 1 ноября 2010 год составляла 7,9%, на депозиты в национальной валюте она была выше – 10,3%, на депозиты в иностранной – 7,3%. На 1 ноября 2010 года на банковском рынке Грузии функционировало 19 коммерческих банков, в том числе 14 банков с участием иностранного капитала в уставном капитале и 2 – филиалы иностранных банков.<sup>1</sup>

Прибыль банковского сектора Грузии в январе-октябре 2010 года достигла 121,4 млн. лари (около 70 млн. долларов). По информации НБГ, это самый высокий за последние несколько лет показатель. Прибыль в октябре достигла 26,1 млн. лари. Начиная с сентября 2008 года и по январь 2010 год коммерческие банки несли убытки. Размер убытков в январе-октябре 2009 года достиг - 82,2 млн. лари (47 млн. долларов). Совокупные активы коммерческих банков Грузии в октябре 2010 г., в сравнении с сентябрем, уменьшились на 0,4% и составили 9827,5 млн. лари (5583,8 млн. долларов), что объясняется укреплением курса

---

<sup>1</sup> Журнал \_ Центральная Азия и Кавказ. Том 13, Выпуск 1, Швеция, 2010, с. 154-157.

национальной валюты – лари. При этом собственные средства банковского сектора (акционерный капитал) достигли 1722,8 млн. лари (немногим менее 1 млрд. долларов). Участие иностранного капитала в уставном капитале грузинских комбанков составляет 80,5%.

По официальной информации Национальной службы статистики Грузии, внешнеторговый оборот Грузии с Украиной неуклонно растет и постепенно догоняет, а по некоторым показателям и перегоняет, объемы торговли Грузии с АР. Так, по объемам импорта своей продукции в Грузию Украина уже обогнала АР. Импорт продукции из Украины в Грузию в январе-ноябре 2010 года составил 499 млн. долларов. Это на 126 млн. долларов превышает показатель аналогичного периода прошлого года и на 106 млн. долларов больше, чем было импортировано в Грузию из АР. Первое место по объемам внешнеторгового оборота с Грузией несколько лет подряд стабильно занимает Турция. В январе-ноябре 2010 года внешнеторговый оборот Грузии с этим государством составил 961 млн. долларов, что на 34 млн. долларов больше показателя аналогичного периода прошлого года. При этом экспорт грузинской продукции в Турцию за последний год уменьшился на 22 млн. долларов (189 млн. долларов), но импорт вырос на 56 млн. долларов и достиг 772 млн. долларов. АР по суммарному показателю внешней торговли с Грузией стоит на втором месте – 612 млн. долларов, что на 127 млн. долларов превышает показатель аналогичного периода прошлого года. Украина стоит на третьем месте – 587 млн. долларов, что на 149 млн. долларов больше показателя января-ноября 2009 года. Внешнеторговый оборот Грузии в январе-ноябре 2010 года (без учета неорганизованной торговли) составил 5 883 млн. долларов, что на 19% выше показателя аналогичного периода прошлого года. В том числе экспорт увеличился

на 37%, (1 394 млн. долларов), импорт - на 15% (4 489 млн. долларов). Отрицательное сальдо внешнеторгового баланса составил 3 095 млн. долларов. Госдолг Грузии составляет 3 млрд. долларов, т.е. 45% от ВВП. Даже по оптимистическим прогнозам нынешнего грузинского правительства, в 2013 г. примерно 22-23% бюджетных доходов пойдет на погашение внешнего долга.<sup>1</sup>

## МЕЖНАЦИОНАЛЬНЫЕ КОНФЛИКТЫ В ГРУЗИИ

Процессы в Грузии, как, впрочем, и на всем пространстве Южного Кавказа, интересны и для Азербайджана. Чтобы правильно оценить военно-политическую ситуацию в Грузии и ее влияние на региональные процессы, необходимо рассмотреть следующий вопрос: какое место в регионе занимает или стремится занять это государство?

Оптимальное место Грузии в регионе – это трансформация страны в транзитный центр между «Севером и Югом» и «Западом и Востоком». Действительно, геостратегическое расположение Грузии позволяет ей осуществлять транзит как азербайджанской, так каспийской нефти и ресурсов Центральной Азии на Запад и транспортировку товаров с Запада в обратном направлении. Помимо этого, наиболее удобные коммерческие маршруты между РФ и Турцией, РА и ИРИ могли бы пройти через Грузию. Занять это важное геостратегическое место Грузии мешает внутренняя нестабильность. Поэтому официальный Тбилиси стремится взять под свой контроль всю государственную границу Грузии и минимизировать ущерб бюджету страны, наносимый незаконными действиями

---

<sup>1</sup> Журнал \_ Центральная Азия и Кавказ. Том 13, Выпуск 1, Швеция, 2010, с. 157-164.

контрабандистов. Данная тенденция наблюдается и на границе между Грузией и АР, в районе Красного моста.

Перед правительством Грузии стояла стратегическая задача – создать боеспособную армию. Подобная армия обязана обеспечить суверенитет Грузии, охранять трубопроводы и транспортные артерии, бороться с террористами, обеспечивать безопасность перевозок грузов на Черном море и т.д. Но, РФ в 2008 году решилась одним ударом «медвежьей лапы» лишить Грузию настоящего и будущего. Иными словами, грузино-российская война в августе 2008 года наталкивает на мысль, что Кремль решил показать всему мировому сообществу: Кто истинный хозяин на Кавказе!<sup>1</sup>

Соглашение по прекращению огня, подписанное в 2008 году, обусловили начало обсуждения о «безопасности и стабильности» – Женевские дискуссии, на которых сопредседательствуют ЕС, ОБСЕ и ООН, при участии Грузии, России, США и представителей Абхазии и Южной Осетии. Были созданы рабочие группы по вопросам безопасности и гуманитарным проблемам.

Прошедший 26-27 марта 2013 года 23-й раунд Женевских переговоров по безопасности и стабильности на Кавказе предсказуемо завершился безрезультатно. Так, РФ и Грузия в очередной раз продемонстрировали диаметрально противоположные позиции в отношении формата документа по неприменению силы. И можно утверждать, что, несмотря на начавшееся в текущем году потепление во взаимоотношениях между РФ и Грузией, Женевские переговоры обречены на провал. И поэтому официальный Тбилиси намерен самостоятельно инициировать диалоговый процесс с Абхазией и Южной Осетией.

---

<sup>1</sup> Раджабов Р., Статья – Кто истинный хозяин на Кавказе! <http://www.warandpeace.ru/ru/news/view/26135/>

В частности, если Кремль требует от официального Тбилиси подписать соглашение о неприменении силы с Абхазией и Южной Осетией, то грузинское руководство, поддерживаемое США, НАТО и ЕС, убеждено в том, что ни Абхазия, ни Южная Осетия не являются самостоятельными сторонами конфликта, и потому они не могут быть подписантами вышеуказанного соглашения.

Закономерно, что Грузия предлагает РФ взять на себя обязательства о неприменении силы в отношении официального Тбилиси. Тем более, что, по мнению грузинской стороны, официальный Тбилиси уже взял на себя обязательство не применять силу для восстановления своей территориальной целостности, ссылаясь на заявление президента страны Михаила Саакашвили в Европарламенте 23 ноября 2010 года. Более того, 7 марта 2013 года Парламент Грузии в резолюции «Об основных направлениях внешней политики» подтвердил обязательство о неприменении силы с целью деоккупации территорий и восстановления единства страны, декларированное М.Саакашвили в ходе его выступления перед Европарламентом.

Однако, Кремль, во-первых, считает, что Грузия обязана юридически оформить свой отказ от применения военной силы в отношении Абхазии и Южной Осетии, во-вторых, не признает себя стороной конфликта и не считает возможным подписать российско-грузинское соглашение.

Символично, что на этом фоне официальный Тбилиси де-юре и де-факто заручился поддержкой со стороны Турции и АР. Так, 28 марта 2013 года в Батуми главы МИД АР, Грузии и Турции подписали межотраслевую программу действий на 2013-2015 годы. Иными словами, АР, Турция и Грузия формируют geopolитическую ось «Анкара-Баку-Тбилиси», что усиливает, в том числе, и позиции официального Тбилиси,

как в рамках Женевских переговоров, так и грузино-российских переговоров.

Вывод: официальный Тбилиси намерен активно продвигать мирный процесс разрешения грузино-абхазского и грузино-югоосетинского конфликтов. В частности, на должность Государственного министра по реинтеграции назначен Паата Закареишвили (эксперт, в разных форматах долгие годы занимавшийся соответствующей проблематикой и поддерживающий связь с коллегами из Абхазии и Южной Осетии). Иными словами, официальный Тбилиси продемонстрировал Сухуми и Цхинвали, что правительство премьер-министра Грузии Б.Иванишвили отказывается от прежней позиции М.Саакашвили, заключающейся в том, что грузино-абхазский и грузино-югоосетинский конфликты не являются самостоятельными процессами, а лишь производными элементами грузино-российского противостояния.

И П.Закареишвили уже озвучил ряд инициатив, свидетельствующих о готовности в одностороннем порядке сделать ряд шагов, направленных на повышение доверия между конфликтующими сторонами. Так, правительство Б.Иванишвили приняло решение об изменении названия Министерства по реинтеграции. В настоящее время лишь М.Саакашвили намеренно тормозит его осуществление, т.к. термин «реинтеграция» вызывает неприятие со стороны Абхазии и Южной Осетии, что препятствует для прямых контактов Тбилиси с Сухуми и Цхинвали.

Кроме того, в Тбилиси начата работа над смягчением положений Закона «Об оккупированных территориях» и подзаконных актов, что облегчит доступ в Абхазию и Южную Осетию международных организаций и их представителей. Следовательно, может быть

модифицирована и Государственная стратегия Грузии в отношении оккупированных территорий и План действий к ней.

Кстати, намечается легализация выданных в Абхазии и Южной Осетии документов, удостоверяющих личность их носителя, что сделает возможным не только свободное передвижение по всей территории Грузии для владельцев таковых, но и получение ими медицинской помощи, образования и т.д.

В контексте безрезультатно прошедшего в Женеве 26-27 марта 2013 года 23-го раунда переговоров по безопасности и стабильности на Кавказе целесообразно рассмотреть настоящие и будущие подходы США и ЕС к грузино-абхазскому и грузино-югоосетинскому конфликтам. Ведь именно Запад не позволяет официальному Тбилиси смягчить позицию Грузии в отношении формата документа по неприменению силы.

Можно констатировать, что США и ЕС будут и впредь поддерживать суверенитет и территориальную целостность Грузии в международно-признанных границах на всех уровнях (в том числе и в рамках Женевских переговоров).

Более того, США и ЕС, несмотря на «косовский» прецедент, не позволят руководству Российской Федерации (РФ) увеличить количество государств (5), признавших независимость Абхазии и Южной Осетии. К примеру, угрозы США принять ответные меры прозвучали в адрес Доминиканской Республики и других реальных или потенциальных государств, готовых де-юре признать независимость Абхазии и Южной Осетии.

Поэтому можно утверждать, что жесткая критика Западом российской позиции в отношении признания Абхазии и Южной Осетии, а также в рамках Женевских переговоров будет лишь нарастать.

Можно предположить, что ввиду бесперспективности Женевских переговоров, Запад расширит рамки признания международного характера вооруженного конфликта именно между РФ и Грузией, а не Грузией и Абхазией и Южной Осетией. Иными словами, США и ЕС, признав действия РФ в августе 2008 года и ее военное присутствие в грузинских регионах, как оккупация грузинских территорий, потребуют от Кремля выполнить 6 пунктов соглашения (в том числе, доступ Миссии наблюдателей ЕС (МНЕС) к абхазской и югоосетинской сторонам административных разделительных линий).

Дело в том, что и в Вашингтоне, и в Брюсселе считают, что, во-первых, резкий отказ Сухуми допустить наблюдателей ЕС в Гальский район, во-вторых, приостановка Абхазией механизма предотвращения инцидентов и реагирования на них, инициированного во время Женевских переговоров и направленного на предотвращение абхазо-грузинских инцидентов, угрожающие безопасности Грузии, исходит от Кремля.

Закономерно, что США и ЕС не откажутся от признания гуманитарных и правовых основ, обеспечивающие право на достойное и безопасное возвращение внутренне перемещенных лиц (ВПЛ) и беженцев, а также не примут политику официальной Москвы на искусственное демографические изменения на территории Абхазии и Южной Осетии.

Поэтому отказ беженцам со стороны Абхазии и Южной Осетии в праве возврата на места своего проживания будет лишь компрометировать в глазах международной общественности российскую позицию в рамках Женевских переговоров. Более того, именно данный фактор обнуливает попытки Кремля легитимизировать Абхазию и Южную Осетию с правовой и гуманистической точки зрения.

В этой связи следует отметить, что незакрепленное юридически в рамках Женевских переговоров одностороннее обязательство Грузии не применять силу в отношении Абхазии и Южной Осетии, направлено на получение юридически закрепленного аналогичного обязательства со стороны РФ. В противном случае, США и НАТО, в свете растущей концентрации российской военной мощи на Северном Кавказе, Черном и Каспийском морях и усиления военного присутствия РФ в Абхазии и Южной Осетии, увеличат военно-техническую помощь Вооруженным силам (ВС) Грузии. И проведение американо-грузинских военных учений в акватории Черного моря тому наглядное свидетельство (в эти дни в Грузии завершаются грузино-американские военные учения «Agile Spirit-2013». В учениях приняли участие около 400 морских пехотинцев США и солдаты 23-го батальона 2-й пехотной бригады Грузии). Правда, и РФ не осталась «в долгу» Западу и инициировала крупномасштабные маневры в акватории Черного моря.

Вывод: во-первых, США и ЕС интенсифицируют свою стратегию «вовлечения Абхазии и Южной Осетии», реализуя при этом политику их непризнания. В частности, в Брюсселе считают, что путем вышеуказанного вовлечения Абхазии ЕС получит, с одной стороны, возможность увеличить зоны своего влияния на Сухуми, а с другой, рычаги воздействия на абхазское руководство, обеспечив Абхазии альтернативные перспективы российскому доминированию, что позволит в итоге мирно решить абхазо-грузинское противостояние. Во-вторых, в свою очередь и Сухуми продолжит усилия по вовлечению ЕС в Абхазию, что позволит Сухуми изменить текущий статус-кво, когда Абхазия всецело зависит от РФ.

В-третьих, в случае успеха ЕС в Абхазии, официальный Брюссель трансформируется в эффективного и

востребованного медиатора на всем Южном Кавказе со всеми вытекающими из этого геополитическими, геоэкономическими и геостратегическими последствиями, как для стран региона, так и региональных держав (РФ, Турция и ИРИ).

## ЗАКЛЮЧЕНИЕ

Анализируя опыт Грузии в построении независимого демократического государства и рыночной экономики, можно сделать следующие выводы: Переход к демократии не является простым, однородным процессом и не всегда, особенно на первом этапе, приводит к стабильности и прогрессу в экономической сфере. Более того, «демократия, особенно новая, не всегда стабильна, всегда возможно ее перерождение в авторитарный режим, и даже относительно развитая страна может столкнуться с экономическим спадом»<sup>7</sup>.

Грузия является прекрасным примером этого: будучи одной из наиболее богатых республик бывшего Советского Союза, через четыре года она оказалась в числе самых бедных стран региона. Лишь в 1994 г. в экономике Грузии начала проявляться признаки улучшения. При содействии Международного Валютного Фонда (МВФ) грузинское правительство остановило гиперинфляцию, произвело либерализацию экономики, ввело стабильную и свободно конвертируемую валюту и сформировало новые рыночные институты. Национальный Банк Грузии стал независимым органом с четко определенными функциями и ответственностью за их выполнение. Министерство финансов начало контролировать исполнение бюджета. Государственные расходы были резко снижены. Была упрощена налоговая система, а налоговые ставки снижены. В

результате осуществления реформ прекратился экономический спад, и началось восстановление экономики.

Тем не менее, перед Грузией все еще стоят серьезные экономические проблемы.

Важность той роли, которую сегодня играет Грузия в зоне Южного Кавказа, не в последнюю очередь определяется особенностями региональной политики Тбилиси. Грузинское руководство и вся современная грузинская политическая элита стремятся играть роль политического лидера региона, предлагая себя в качестве стратегического союзника и проводника региональных интересов западных стран. Именно по этой причине любые общественно-политические и социально-экономические процессы в Грузии важны с точки зрения их влияния не только на ситуацию в республике, но и в Кавказском регионе в целом.

В geopolитическом и геостратегическом отношении Грузия сегодня может по праву считаться одним из ведущих государств в зоне Южного Кавказа. Ее статус определяется географическим положением, богатым историческим наследием, высоким уровнем культуры и образования населения, широкими внешними связями.

#### **Список использованной литературы:**

1. Гусейнова А., Статья: «Смена власти в Грузии в 2003 году», Журнал «История и ее проблемы» №4, 2010 г.
2. Томас де Вал «Выбор Грузии: какой курс избрать в период неопределенности?», Москва 2011, С. 66.
3. «Центральная Азия и Кавказ», Журнал, Том 13, Выпуск 1, Швеция 2010 г. С. 204.
4. Статья «Кто истинный Хозяин на Кавказе!»  
<http://www.warandpeace.ru/ru/news/view/26135/>

5. [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=146&lang=eng](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=146&lang=eng)
6. Раджабов Р., Статья: «Кто истинный хозяин на Кавказе!» <http://www.warandpeace.ru/ru/news/view/26135>
7. Исмаилов Э., Папава В. «Центральный Кавказ: от geopolitiki к геоэкономике», Швеция 2006 г.

თემურაზ ქარელი  
იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პოლიტიკოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

### რესენტის საგარეო პოლიტიკის ფილოსოფია

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა საზოგადოებრივი ურთიერთობების ურთულესი სფეროა, რომლის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მის რეალურობაზე, მიზანსწრაფულობასა და თანმიმდევრულობაზე. ყველა ეს მახასიათებელი პოლიტიკის თეორიის შემუშავების ეტაპის საფუძველია, რაც, საბოლოო ანგარიშით, დოქტრინის, კონცეფციის, კონკრეტული პროგრამის, მიმოხილვების და ა.შ. ფორმას იღებს. მაგრამ, რაოდენ სრულყოფილი და დაცვეწილიც არ უნდა იყოს თეორია, პრაქტიკული პოლიტიკა ყოველთვის მისგან განსხვავებული იქნება, რადგან ვერც ერთი თეორია ვერ გაითვალისწინებს ყველა იმ კონკრეტულ პრობლემას, რომელსაც ცხოვრება წამოჭრის. იმავდროულად, „კარგ თეორიაზე უფრო პრაქტიკული არაფერია“ და ვისაც კარგი სტრატეგია არა აქვს, ის სხვათა სტრატეგიით ცხოვრობს. რეალური ფუნდამენტური თეორიის გარეშე პრაქტიკა ბრმაა, გამუდმებით „ცდისა და შეცდომების“ მეთოდის დიქტატს ექვემდებარება.

საგარეო პოლიტიკის პრობლემებზე ხედვების სისტემაში, რომელებსაც ოპერაციონალურ კოდთან აიგივებენ, ორჯერ გამოყოფენ: ფილოსოფიურს და ინსტრუმენტულს. ფილოსოფიური ხედვა მოიცავს აზრებს საგარეო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების ფუნდამენტური ბუნების შესახებ; მოწინააღმდეგის აღქმის სტერეოტიპებს; წარმოდგენებს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის ზოგად პერსპექტივებზე და ა.შ. ინსტრუმენტული ხედვა პოლიტიკური ლიდერის ხედვებია სწორ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, სა-

გარეო პოლიტიკური მიზნების ყველაზე ეფექტური მიღწევის საშუალებებზე.

ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ პროცესებზე უდიდეს გავლენას ახდენს მისი გარე სამყაროს, სახელმობრ, რეგიონის ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის საგარეო პოლიტიკის ევოლუცია, რომლის სიღრმისეული კვლევა-ძიება ჩვენი სახელმწიფოებრიობის დამკაიდრებისა და სტაბილური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა. სტატიის მიზანია რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის „ფილოსოფიის“, სახელმობრ, მისი კონცეფციების განხილვა და შედარება. რუსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ისტორიაში საგარეო პოლიტიკური კონცეფციის ოთხი დოკუმენტია ცნობილი - 1993 წ. და 2000 წ. კონცეფციები და ამ უკანასკნელის 2008 და 2013 წლების ახალი რედაქციები.<sup>1</sup>

საგარეო პოლიტიკის კონცეფცია პოლიტოლოგებს საგარეო პოლიტიკის უამრავი თემის, პროგნოზის თუ სცენარის აგების საშუალებას აძლევს. პუტინის საგარეო პოლიტიკური დოქტრინის განხილვა აუცილებლად მოითხოვს მისი გადაწყვეტილებების, გამოსვლების და სტატიების ანალიზსაც, რომლებიც, როგორც წესი, წინ უძლოდა ზემოაღნიშ-

---

<sup>1</sup> Концепция внешней политики Российской Федерации. *Дипломатический вестник*. — 1993. — № 1-2. — გვ. 3-23; Концепция внешней политики Российской Федерации. — *Дипломатический вестник*. — 2000. — № 8. — გვ. 3-11; Концепция внешней политики Российской Федерации. (с изм., внесенными Концепцией внешней политики РФ, утв. 12.07.2008 № Пр-1440) - <http://kremlin.ru/acts/785> - <http://kremlin.ru/acts/785>; Концепция внешней политики Российской Федерации. Утверждена Президентом Российской Федерации В.В.Путиным 12 февраля 2013 г. - [http://www.mid.ru;brp\\_4.nsf/newsline/6D84DDEDED7DA644257B160051BF7F](http://www.mid.ru;brp_4.nsf/newsline/6D84DDEDED7DA644257B160051BF7F)

ნულ კონცეფციებს. ასევე გასათვალისწინებელია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველწლიური მიმოხილვებიც, რომლებსაც ეს უწყება 2007 წლიდან აქვეყნებს.

### **თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკის ევოლუციის სათავეებთან: კონცეფცია - 1993**

„ცივი ომის“ დასრულებას მსოფლიო არენაზე ძალთა განლაგებაში კარდინალური ცვლილებები მოჰყვა, მოხდა საერთაშორისო ურთიერთობების მთელი სისტემის სერიოზული რესტრუქტურიზაცია. რუსეთის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების წინაშე არცთუ მარტივი კითხვები დადგა: მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სისტემა ბიპოლარულიდან მულტიპოლარულად იქცა, მართლა გახდა თუ არა მსოფლიო უსაფრთხო და რა ხარისხით? რა უნდა გაკეთებულიყო იმისთვის, რომ „ცივი ომის“ რეციდივები აღარ განმეორებულიყო? რა პრინციპებზე უნდა აგებულიყო ურთიერთობა ახლო და შორი საზღვარგარეთის ქვეყნებთან და შემდგომ, მთლიანობაში, რუსეთის საგარეო პოლიტიკა? რა საფუძველზე და ვის მიერ უნდა განსაზღვრულიყო რუსეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები საგარეო-პოლიტიკურ სფეროში, მათი ცხოვრებაში განხორციელების ოპტიმალური გზები და მეთოდები? ამის გარდა, წარმოიშვა საბჭოთა კავშირის მიმართ საგარეო პოლიტიკის მემკვიდრეობითობის პრობლემა: იყო თუ არა საჭირო ასეთი მემკვიდრეობითობის შენარჩუნება და, თუ საჭირო იყო, რაში უნდა გამოხატულიყო ის. ამ კითხვებზე პასუხი არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მრავალი სხვა ქვეყნის თანამედროვე განვითარებისთვის სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენდა.

თუ გავაანალიზებთ წინა ასწლეულის 90-იანი წლების დასაწყისის რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკას, უნდა ითქვას, რომ ფორმითაც და შინაარსითაც ის იყო ცვალებადი რეალიებისადმი იძულებითი შეგუება და, იმავდროულად, ასახავდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე რუსეთის სამომავლო

განვითარებასთან დაკავშირებით ბრძოლის ყველა პერიპეტიას, ეს იყო ბრძოლა ელიტის და ხელმძღვანელობის მეტოქე ფრაქციებს შორის და ბრძოლა თავად საგარეო პოლიტიკის მომავლისათვის.<sup>1</sup>

რუსეთის ახალი საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ინტენსიური ძიება დაიწყო მალევე, სსრკ-ს დაშლისა და რუსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, წარმოქმნის შემდეგ. რუსეთის ხელისუფლების აღმასრულებელი სტრუქტურების პარალელურად საგარეო პოლიტიკურ დოქტრინაზე მუშაობდნენ წარმომადგენლობით ორგანოშიც. 1992 წ. ოებერვლის დამლევს გამოქვეყნდა პარალელური, უფრო ზუსტად, ალტერნატიული, რუსეთის უმაღლესი საბჭოს საგარეო პოლიტიკის კონცეფცია. რ. ხასბულატოვის კონცეფციის შინაარსი ბევრ რამეში ემთხვეოდა პრეზიდენტის დოქტრინის მთავარ დებულებებს. მაგრამ პ. ელცინის და რ. ხასბულატოვის კონცეფციებში აშკარად ჩანდა განსხვავებაც, რაც ნათლად მიანიშნებდა ხელისუფლების ორ შტოს შორის არა მხოლოდ უთანხმოებაზე, არამედ სერიოზულ დაპირისპირებაზეც. მაგალითად, უმაღლესი საბჭოს კონცეფციაში აქცენტი კეთდებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის იმ მიმართულებებზე, რომლებიც, ტრადიციულად, წარსულში საბჭოთა კავშირს ახსიათებდა. აღმასრულებელი ხელისუფლების კონცეფცია, პირიქით, ამჯობინებდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ორიენტაციას აშშ-ს და დასავლეთის სხვა ქვეყნებზე.

იმ პერიოდში რუსეთის იდენტობის ძიებისას, იდეურ დებატებსა და პრაქტიკულ პოლიტიკაში გაჩნდა „ევრაზიელობის“ იდეაც, რასაც მოჰყვა მწვავე კამათი იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ახალი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა, რაში მდგომარეობდა რუსეთის ჭეშმარიტი ინ-

<sup>1</sup> Ли Ен Квон, Внешняя политика России в 1990-е годы: Проблемы и тенденции, М., 1999, გვ. 44.

ტერესები, მთლიანობაში რომელ იდეებს უნდა განესაზღვრა რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების, სახელდობრ, მისი საგარეო პოლიტიკის სფერო. ეს დავა დაიწყო მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ონსტიტუტში (МГИМО) კონფერენციაზე. საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი და პოლიტიკურ საკითხებზე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო მრჩეველი სერგეი სტანკევიჩი საპირისპირო პოზიციებიდან განსაზღვრავდნენ რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებას. მომდევნო წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის „პროამერიკულობა“ და „პროდასავლურობას“ ქვეყნის შიგნით დასაყრდენი არ ჰქონდა და ამჯობინეს მრავალვექტორული და მრავალხასიათობრივი საგარეო პოლიტიკა. ეს გარემოება გათვალისწინებულ იქნა რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე უფრო მაღალ ეტაპზე მუშაობისას. ამგვარად, იდეები, რომლებსაც საწყის ეტაპზე რუსეთის საგარეო პოლიტიკა ეფუძნებოდა, 1992 წლის დამლევს ჩამოყალიბდა. რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია შეიმუშავა საგარეო საქმეთა სამინიტრომ. მომზადებული დოკუმენტის საგარეო პოლიტიკის საბჭოზე განხილვის შემოკლებული სტენოგრამა გამოქვეყნდა უკრანალში «Международная жизнь». <sup>1</sup>

1993 წლის აპრილის ბოლოს, ბორის ელცინის განკარგულებით, დამტკიცდა დოკუმენტი სახელწოდებით: „რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ძირითადი დებულებები“, რომელიც გამოქვეყნდა „Дипломатический вестник“ - ის სპეციალურ (№1-2) გამოშვებაში. მას შემდეგ რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა მისი ნორმების შესაბამისად ტარდებოდა. მთლიანობაში, რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრინციპულ მიმართულებას წარმოად-

<sup>1</sup> Дискуссия о том, какий быть внешней политике России. (1993). - Международная жизнь. №2, с. 5-22.

გენდა მის მიერ „ველიკაია დერჯავას“ სტატუსის მოპოვება, რასაც საფუძვლად ედო აზრი, რომ ცივი ომის დასრულება ავტომატურად არ ნიშნავდა სტაბილიზაციას მსოფლიო არენაზე და არსებით როლს კვლავაც სამხედრომალისმიერი ფაქტორები ასრულებენ.

კონცეფციაში ხაზგასმულია, რომ არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თანამშრომლობა დასავლეთის წამყვან განვითარებულ სამრწვეველო ქვეწებთან. ფედერალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს, რომ გეოგრაფიული მდებარეობით, თავისი ისტორიული გამოცდილებით რუსეთი ევრაზიული სახელმწიფოა და მის გრძელვადიან ინტერესს შეესაბამება დასავლური და აღმოსავლეთაზიური მიმართულებების წონასწორობის პოლიტიკა და არა მათი ერთმანეთთან დაპირისპირება. ამგვარად, რუსეთის ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური მიმართულებები სულ უფრო სტრუქტურირებული ხდებოდა.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის დამკვიდრების თავდაპირველი პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის საკითხზე კონსენსუსის არარსებობა. მთავარი დისკუსია გაჩაღდა გეოსტრატეგიული კურსის ორი მიმართულების - დასავლეთევროპულისა და აზია/წყნარი ოკეანის - ორ გარიანტს შორის არჩევანზე. ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ელიტის ნაწილში საგარეო პოლიტიკის ხასიათით გამოწვეული უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. იმ დროის პრეზიდენტის საბჭოს წევრმა ანდრანიკ მიგრანიანმა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხასიათი ითხო კატეგორიით გამოხატა: ფაციუცი, იმპროვიზაცია, არაკომპეტენტურობა და ამის შედეგად აქეთ-იქით ხტომა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Мигранян Ан., Внешняя политика России: катастрофические итоги трех лет. Пора сделать паузу, поменяв и политику и министра. - *Независимая Газета*, 1994 г. 10 декабря, №237 (913).

ვლადიმირ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სხვა ქვეყნებთან მოსკოვის ურთიერთობის სტილი საგრძნობლად შეიცვალა. რუსეთის პოლიტიკა კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას სულ უფრო აქტიური, უფრო თანმიმდევრული და პრაგმატული ხდებოდა.

**კონცეფცია - 2000.** 2000 წლის 28 ივნისს პრეზიდენტმა ვ. პუტინმა რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ახალი რედაქცია დამტკიცა.<sup>1</sup> ამ დოკუმენტში მოცემული იყო მსოფლიოს განვითარების ტენდენციების და კანონზომიერებების შეფასება, განსაზღვრულია რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები. არსებოთად ამ დოკუმენტში მოცემული პოსტულატები რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის მოდევნო რედაქციების საფუძველი გახდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაცია ატარებს დამოუკიდებელ და კონსტრუქციულ საგარეო პოლიტიკას. ეს პოლიტიკა ეფუძნება თანმიმდევრულობას და განჭვრეტადობას, ურთიერთმომგებან პრაგმატიზმს, ის მაქსიმალურად გამჭვირვალეა, ითვალისწინებს სხვა სახელმწიფოთა კანონიერ ინტერესებს და გამიზნულია ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებაზე. აღნიშნულია, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის განმასხვავებელი ნიშანია მისი დაბალანსებულობა.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს შორის გლობალურ დონეზე დასახელებულია საერთაშორისო ურთიერთობებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მარეგულირებელი როლის შენარჩუნება და გაძლიერება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაეროს რეფორმირება გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ვეტოს უფლების ურყევობიდან უნდა გამომდინარეობდეს. კონცეფციის თანახმად, რუსეთი შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარების ქმედით ინ-

<sup>1</sup> Концепция внешней политики Российской Федерации. — Дипломатический вестник, 2000, № 8, с. 3-11.

სტრუმენტად თვლიდა საერთაშორისო მშვიდობისმყოფელობას და, გაეროს წესდების პრინციპებთან მკაცრი შესაბამისობით, მისი სამართლებრივი საფუძვლების გაძლიერებას. ამრიგად, ამ კონცეფციიდან კარგად ჩანდა, რომ მშვიდობისმყოფელობის და უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლების შენარჩუნებით რუსეთი თავისი გავლენის კონტროლის მექანიზმებს იცავდა.

რეგიონში რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად გამოცხადდა კეთილმეზობლური ურთიერთობების და სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება დათ მონაწილე სახელმწიფოებთან. კონცეფცია 2000-ში, ტრადიციულად, მნიშვნელოვნად ჩაითვალა ურთიერთობები ევროპის ქვეყნებთან. დოკუმენტის მიხედვით, რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიზანს ევროპის მიმართულებით წარმოადგენდა საერთოევროპული უსაფრთხოების და თანამშრომლობის სტაბილური და დემოკრატიული სისტემის შექმნა. აშშ-თან მიმართებით პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა თანამშრომლობა განიარაღების, შეიარაღებაზე კონტროლის და მასობრივი მოსპობის იარაღის გაუვრცელებლობის, ასევე, ყველაზე საშიში ლოკალური და რეგიონული კონფლიქტების თავიდან აცილების და მოგარების პრობლემებთან დაკავშირებით. დოკუმენტის მიხედვით რუსეთის საგარეო პოლიტიკაში სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის მქონედ ითვლებოდა აზია. აზიაში რუსეთის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ცხადდებოდა მეგობრული ურთიერთობების განვითარება, პირველ რიგში, ჩინეთთან და ინდოეთთან. ამგვარად, რუსეთის საგარეო პოლიტიკა გლობალურ ხასიათს ინარჩუნებდა. მის პრიორიტეტებს შორის კვლავაც რჩებოდა ურთიერთობები თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების და რეგიონების უმრავლესობასთან.

2007 წლის 10 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი პროგრამული სიტყვით გამოვიდა მოუნპე-

ნის 43-ე საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც უსაფრთხოების საკითხებს იხილავდა. მაშინვე მსოფლიო საზოგადოებრიობამ ეს გამოსვლა შეაფასა, როგორც დასავლეთისათვის ცივი ომის ოფიციალური გამოცხადება და ფულტონში ჩერჩილის სიტყვის ანალოგიად აღიქვა. ასეა თუ ისე, პუტინის გამოსვლა მართლაც შევიდა ისტორიაში, როგორც შემობრუნების წერტილი საერთაშორისო პოლიტიკაში, მან სათავე დაუდო რუსეთის უფრო აქტიურ საგარეო პოლიტიკას, რაც, საბოლოო ანგარიშით, საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოს ომით გამოიხატა. ზოგიერთმა ექსპერტმა დაიწყო გამოთქმის - „ახალი ცივი ომი“ - გამოყენება. რა იყო რუსეთის პრეზიდენტის ამ გამოსვლის კვინტესენცია? პუტინმა გაილაშქრა ერთპოლუსიანი მსოფლიოს იდეის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ხედვას. რუსეთის პრეზიდენტმა მსოფლიოში დაძაბულობისათვის ბრალი დასდო დასავლეთს, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც, მისი აზრით, თავის სამართლებრივ ნორმებს და მორალურ-პოლიტიკურ ღირებულებებს სხვა ქვეყნებს ძალით ახვევდა თავს. „არავინ უკვე თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს, იმიტომ რომ არავის არ შეუძლია ამოეფაროს საერთაშორისო სამართალს, როგორც ქვის კედელს“, - აღნიშნა რუსეთის ლიდერმა. დასავლეთის რეაქცია პუტინის გამოსვლაზე ძალზე ნეგატიური იყო.

2007 წლის მარტში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვა გამოაქვეყნა.<sup>1</sup> მიმოხილვაში, ბუნებრივია, გარკვეული

<sup>1</sup> Обзор внешней политики Российской Федерации, 2007. 431-27-03- - [http://www.mid.ru/brp\\_4.nsf/0/3647DA97748A106BC32572AB002AC4DD](http://www.mid.ru/brp_4.nsf/0/3647DA97748A106BC32572AB002AC4DD)

შემდგომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ასეთ ანგარიშებს ყოველწლიურად აქვეყნებს.

ადგილი საქართველოსაც ეთმობოდა.<sup>1</sup> იქ ეწერა, რომ „საქართველოს ხელისუფლებისა და პირადად მისი მეთაურის, მიხედვილ საკაშვილის პოლიტიკა ეთნიკურ ნაციონალიზმზეა აგებული და დასავლურ ქვეყანათა, უწინარესად კი, აშშ-ს დახმარებით სარგებლობს. თბილისი ატარებს ისეთ ხაზს, რომელიც არსებული სამშვიდობო და მოლაპარაკების ფორმატის ნგრევისკენაა მიმართული, რის შედეგადაც სიტუაცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ირგვლივ კიდევ უფრო იმახება. საქართველოს იმედი აქვს, რომ შეძლებს, ამ პრობლემებისადმი საერთაშორისო საზოგადოებას უფრო მეტი ყურადღება მიაქცევინოს, „გაყინული კონფლიქტების“ თემატიკაში ჩართოს ევროატლანტიკური სტრუქტურები და ამით დააჩქაროს დარეგულირება საკუთარი პირობებით, ანუ, საბოლოო ჯამში, შთანთქას აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.“ ამასთან, დოკუმენტის შემდგენლები აღნიშნავდნენ, რომ ქართული მხარე არ წყვეტს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ანტირუსულ კამპანიას, თუმცა ბოლო დროს ცეცხლი აშკარად შენელებულია. საქართველო ცდილობს, თავის მიზნებში გამოიყენოს საერთაშორისო ორგანიზაციების პოტენციალი, „ცდილობს რა, რუსეთს აჰკიდოს პასუხისმგებლობა თავის ყველა, საგარეო თუ საშინაო ხასიათის პრობლემებზე, და ამით გაამრავლოს ქვეყნის შიგნით „ქანჩის მოჭერა“, პოლიტიკურ ცხოვრებაში ავტორიტარული ტენდენციების გაძლიერება.“ ასეთი შეფასების დამადასტურებელია რუსეთის საკითხზე სამმარივი კომისიის 2006 წლის ივლისის მოხსენების დასკვნებიც, - ნათქვამია დოკუმენტში, - სადაც, სახელდობრ, აღნიშნულია, რომ „საქართველო შორსაა იმისგან, რომ იყოს დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შუქურა, იგი იმყოფება ძალზე სუსტ და არასტაბილურ მდგომარეობაში და მას მარ-

<sup>1</sup> იქვე, იხ.: ამ მოხსენების ქვეთავის - „საგარეო პოლიტიკის გეოგრაფიული მიმართულებები. დსთ სივრცე“ მე-10 პუნქტი.

თავს უკიდურესად ექსცენტრული ხელმძღვანელობა“. ავტორთა აზრით, „დასავლეთი არ უნდა ახალისებდეს მცდარ აზრს, რომ საქართველოს პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებით“. საგარეო საქმეთა სამინისტრო ურჩევდა რუსთის ხელისუფლებას „ტფილის-თან მიმართებაში პრინციპული ხაზის გატარებას“. მაგრამ მთავარი აქ „იმ ქმედებათაგან თავის დაზღვევაა, რომლებიც ზიანს აყენებს ქართველი ხალხის გრძელვადიან ნაციონალურ ინტერესებს.“ მიმოხილვის ავტორთა აზრით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს. ამასთან რუსეთმა თანმიმდევრულად უნდა დაიცვას ის თეზისი, რომ „კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის მოხვეჭას პრეცედენტული ხასიათი უნდა ჰქონდეს.“

დოკუმენტში საქართველო მაშინაცაა ნახსენები, როცა შემდგენლები რუსთისა და ნატოს შორის არსებულ ურთიერთობებზე საუბრობენ და ამ ურთიერთობათა გართულებაში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ადანაშაულებენ. როგორც მიმოხილვის ტექსტიდან ირკვევა, ამ „გართულების“ არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნატო კვლავაც მიიღოს აღმოსავლეთისკენ და დაჩქარებული ტემპით ცდილობს თავის რიგში უკრაინისა და საქართველოს მიღებას. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნავდნენ, რომ ნატოს ურთიერთობას განსაკუთრებული ადგილი უკავია რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. ამასთან, მოსკოვი თვლის, რომ „აღნიანსი კვლავაც რჩება იმ გეოპოლიტიკურ და ძალოვან ფაქტორად, რომელიც ჩვენს საზღვრებთან უსაფრთხოების სფეროზე სერიზულ ზეგავლენას ახდენს.“

მიმოხილვის უმეტესი ნაწილი ამერიკის საგარეო პოლიტიკის განქიქებას წარმოადგენდა, თანაც - ზოგჯერ ისე, რომ საკუთრივ ადრესატი დასახელებული არც იყო. ნართაულად ვაშინგტონსვე ბრალდებოდა „დასავლური გავლენის სფეროს ზრდის გზით მსოფლიო პოლიტიკაში გამყოფი ხა-

ზების შენარჩუნება.“ ეს მიმოხილვა პუტინის მიერ 2007 წლის 10 თებერვალს მიუნკენში წამოყენებულ თეზისთა გადამღერება იყო. პუტინის დოქტრინის საფუძველია - ამერიკული დომინირების მიუღებლობა, დომინირებისა, რომელსაც რუსეთი თავის მზარდ ენერგეტიკულ ილაჯსა და ინტელექტუალურ ლიდერობას უპირისპირებს.

**კონცეფცია - 2008.** 2007 წლის მიუნკენის გამოსვლაში პუტინმა ევროპელ მმართველ ელიტას ამერიკაზე შეტევა აუწყა. ეს შეტევა ნიშნავდა შემობრუნებას - ევროპაში ინტეგრაციის პოლიტიკიდან (ხაზგასმით ვამბობ - კრემლისეული პირობებით) საწინააღმდეგო მხარისაკენ და დასავლეთან ბარიერების აღმართვისაკენ. 2008 წელს რუსეთის პრეზიდენტი გახდა დ. მედვედევი. მედვედევის მმართველობაც ერთგვარი პაუზა იყო და დაწყებული ტენდენცია ვერ შეაჩერა. მედვედევიც მიუნკენის ხაზს ატარებდა, 2008 წლის აგვისტოში პატარა საქართველოზე რუსეთის „ძლევამოსილი“ გალაშქრება ანდა იუშჩენკოს მისამართით მუქარებიც ხომ ამის დასტურია.

2008 წლის ივლისში გამოქვეყნდა რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ახალი რედაქცია. ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში, მაგრამ კონცეფცია-2008 უხალისოდ აღიარებდა ახალ გამოწვევებს, თანაც უფრო სტილისტურად. მაგალითად, ვეღარ ნახავთ სიტყვას „დერჟავა“, სამაგიეროდ გაჩნდა - „თანამედროვე მსოფლიოს ერთერთი გავლენიანი ცენტრი“. მემკვიდრეობა იგრძნობაო, - ასე კონცეტუალურად გვმოძღვრავდნენ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი მოხელეები. ქართული ანდაზის არ იყოს - „გინდ გახიე, გინდ გაფხრიწე - ორივე ერთია“. დოკუმენტით რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზნები და ამოცანები უცვლელი რჩებოდა.

**კონცეფცია - 2013.** რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს რუსეთის პრეზიდენტი. წინასაარჩევნო კამპანიის დროს პუტინმა თავისი პროგრამა გადმოსცა შვიდ სტატიაში. პუტინის ერთ-ერთი საპროგრამო სტატია - „რუსეთი და ცვალებადი მსოფლიო“ - გამოქვეყნდა 2012 წლის 27 თებერვალს გაზეთში „მოსკოვსკიე ნოვოსტი“.<sup>1</sup> რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ახალი რედაქცია ემყარებოდა 2000 წელს რუსეთის დიაბლომატიის მიერ შემუშავებულ საბაზო პრინციპებს. ახალი რედაქცია<sup>2</sup> მოცულობით ორჯერ უფრო დიდია წინა რედაქციაზე, მასში პუნქტობრივად არის გაწერილი ძირითადი დებულებები (სულ 104 პუნქტია). რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები არ შეცვლილა. ეს პრინციპებია: გამჭვირვალობა, წინასწარი განვირება, პრაგმატიზმი, ყოველგვარი კონფრონტაციის გარეშე ეროვნული ინტერესების მიღწევებსა და დაცვაზე გამიზნულობა.

კონცეფციის პროექტის ავტორები ძირითადად ეყრდნობოდნენ პუტინის საპროგრამო სტატიას „რუსეთი და ცვალებადი მსოფლიო“. ერთ-ერთ ასეთ დებულებას წარმოადგენს თეზისი იმის შესახებ, რომ რუსეთს თავისი საგარეო პოლიტიკის აგება უწევს უაღრესად არასტაბილურ (ტურბულენტურ) მსოფლიოში, პრობლემათა უმრავლესობა მომდინარეობს სხვა სახელმწიფოთა შიდა საქმეებში დასავლეთის, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ს ჩარევის მცდელობიდან. ახალ კონცეფციაში ეს თეზისი დეტალურად არის დამუშავებული.

<sup>1</sup> Путин Вл., Россия и меняющийся мир. - <http://mn.ru/politics/20120227/312306749.html>

<sup>2</sup> Концепция внешней политики Российской Федерации. Утверждена Президентом Российской Федерации В.В.Путиным 12 февраля 2013 г. – [http://www.mid.ru;brp\\_4.nsf/newsline/6D84DDEDED7DA644257B160051BF7F](http://www.mid.ru;brp_4.nsf/newsline/6D84DDEDED7DA644257B160051BF7F)

დოკუმენტის ავტორებს მსოფლიო 2008 წელთან შედარებით წარმოუდგენიათ, როგორც გაცილებით „არასტაბილური“ და „არაპროგნოზირებადი“. ამ ვითარების განმაპირობებელი ფაქტორები აღწერილია მეორე განყოფილებაში - „თანამედროვე მსოფლიო და რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა“. ეს ფაქტორებია: პირველი - გლობალური კრიზისი, რომელიც „გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში სიღრმისეული ძვრების უმძლავრესი კატალიზატორია“. არასტაბილურობის მეორე ფაქტორია - დასავლეთის ჩარევა სხვა სახელმწიფოების საქმეებში, როდესაც, როგორც „არაბული გაზაფხულის“ შემთხვევაში, „ლირებულებათა საკუთარი შკალის სხვებისთვის თავსმოხვევის მცდელობებს“ შეიძლება მოჰყვეს „საერთაშორისო ურთიერთობებში ქაოსსა და უმართაობისაკენ დაქანება“. მესამე ფაქტორი - გაეროს როლის შერყევა - ვლინდება ისეთ მცდელობებში, როგორიცაა „კრიზისების რეგულირება გაეროს უშიშროების საბჭოს ფარგლებს მიღმა ცალმხრივი სანქციების და ძალისმიერი ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენების გზით“, „მისი რეზოლუციის თვითნებური წაკითხვა“, „კანონიერი რეფიმების დამხობისკენ მიმართული კონცეფციების რეალიზაცია“. მეოთხე - ტრანსასაზღვრო გამოწვევების და მუქარების გაძლიერება, სადაც ერთ-ერთ საკანძო პუნქტად პირველად არის დასახელებული „მუქარები საინფორმაციო სივრცეში“. არასტაბილურობის მეხუთე ფაქტორია - „საერთაშორისო ურთიერთობების რეიდეოლოგიზაციის ტენდენცია“:

ეველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, კონცეფციის ავტორებს გამოაქვთ დასკვნა: „გლობალური ტურბულენტურობის და სახელმწიფოთა მზარდი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში პერსპექტივა არა აქვს ცალკეული „სიმშვიდისა და უსაფრთხოების ოზისების“ აგების მცდელობას. იმავდროულად, რუსეთს ენიჭება „უნიკალური, საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული როლი გამარტონასწორებელი

ფაქტორისა საერთაშორისო საქმეებში და მსოფლიო ცივი-ლიზაკის განვითარებაში“. რუსეთის ამ ზემისის შესაბამისად, რუსეთი ააგებს კიდეც თავის საგარეო პოლიტიკას.

კონცეფციის ავტორთა აზრით, რუსეთს უნდა ჰქონდეს რამდენიმე საკანონო მიზანი. პირველი - დაეხმაროს მსოფლიო ეკონომიკის გადარჩენას, რისთვისაც „რუსეთს განზრანული აქვს აქტიურად შეუწყოს ხელი სამართლიანი და დემოკრატიული გლობალური სავაჭრო-ეკონომიკური და სავალუტო-ფინანსური არქიტექტურის ფორმირებას“ - რაც აშკარა მინიშნებაა მსოფლიო სარეზერვო ვალუტების დივერსიურიკაციის შესახებ რუსეთის ფედერაციის მიერ ლობირებულ იდეაზე. მეორე მიზანია - ბრძოლა შიდა საქმეებში ჩარევასთან. ამისათვის მოსკოვი ეცდება „მიაღწიოს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების პატივისცემას“, მაგრამ „თითოეული სახელმწიფოს ეროვნული, კულტურული და ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით“. ხოლო ინტერნეტში - წინააღმდეგობას გაუწევს ამ მიზნებისთვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას. მესამე მიზანია - გაეროს „უალტერნატივობის“ შენარჩუნება და, მაშასადამე, იმის დაუშვებლობა, რომ „დაცვის პასუხისმგებლობის“ კონცეფციის საბაბით (როგორც ეს ლიბიაში იყო) „ხორციელდებოდეს სამხედრო ინტერვენცია და ჩარევის სხვა ფორმები“.<sup>1</sup>

ამ ამოცანების რეალიზაციას რუსეთი აპირებს „რბილი ძალის“ დახმარებით. ეს ტერმინი პუტინმა პირველად გამოიყენა თავის საპროგრამო სტატიაში, ხოლო შემდეგ - რუსეთის დიპურკუსისადმი ივლისის მიმართვაში. ახალ კონცეფციაში პირველად არის მოცემული მისი, ასე ვთქვათ,

<sup>1</sup> ამ პოზიციის კრიტიკა იხ.: ქარელი თ., სამხედრო ძალის გამოყენება ათასწლეულთა მიჯნაზე. კრებულში - რუსეთი, რევიონული კონფლიქტები და სამხედრო ძალის გამოყენება. (2008) პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. (რედ. თემურაზ ქარელი), თბ., გვ. 5-11.

„რუსული“ განმარტება - „საგარეო პოლიტიკური ამოცანების კომპლექსური ინსტრუმენტარი სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობაზე დაყრდნობით, საინფორმაციო-კომუნიკაციური, ჰუმანიტარული და სხვა კლასიკური დიპლომატიის აღტერნატიული მეთოდები და ტექნოლოგიები“. ასეთი „რბილი ძალის“ დახმარებით მოსკოვი იმედოვნებს შექმნას „ქვეყნის ობიექტური სახე“, ხოლო მასთან აერთად გააუმჯობესოს თავისი საგარეო პოლიტიკის „ინფორმაციული თანხლება“. ამისთვის გათვალისწინებულია „ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობების“, აგრეთვე, საზღვარგარეთ „მრავალმილიონიანი რუსული დიასპორის“ პოტენციალის გამოყენება. საზღვარგარეთ მცხოვრებ „თანამემამულებს“ კონცეფციაში განსაკუთრებული როლი ეკისრებათ, ხოლო ე.წ. „როსსოტრუდნიჩესტვო“ პირველად არის მოხსენიებული იმ სტრუქტურებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში.

აქცენტები შეცვლილია მეოთხე განყოფილებაშიც - „რეგიონული პრიორიტეტები“. რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის აბსოლუტურ პრიორიტეტად დასახელებულია ინტეგრაცია პოსტსაბჭოთა სივრცეზე. კონცეფციაში დიდი ფურადლება ეთმობა დსტ-ს, საბაჟო კავშირს, ევრაზესს (და სამომავლო ევრაზიურ ეკონომიკურ კავშირს), კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას და სამოკავშირეო სახელმწიფოს და ბელორუსიას (რომელიც ფაქტურად ამოვარდნილი იყო წინა კონცეფციაში). რუსეთი იმედოვნებს „ჩართოს გალრმავებულ ინტეგრაციულ პროცესებში“ უკრაინაც.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ცალსახა პრიორიტეტად რჩება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოებრიბიბის განვითარება, მათი საერთაშორისო პოზიციების გაძლიერება. მდგრადი უსაფ-

რონების „უზრუნველყოფა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება“<sup>1</sup>. საქართველოსთან ურთიერთობას რაც შეეხება, რუსეთი სამხრეთ კავკასიაში, უფრო კონკრეტულად კი ჩვენს ქვეყანაში მის მიერ შექმნილი „ახალი რეალობის“ მისი გადასახლიდან გაანალიზებასა და მასთან შეგუებას გვირჩევს. და მხოლოდ ამის ფონზე, საქართველოს ხელისუფლების მზაობიდან გამომდინარე, მასთან ურთიერთობის ნორმალიზაციას შესაძლებლად მიიჩნევს.<sup>1</sup>

რუსეთის ფედერაციის პრიორიტეტებს შორის მეორე ადგილი უკავია ევროკავშირს - განსაკუთრებით გამოყოფილია უკიზო რეჟიმის მიღწევის ამოცანა. ევროკავშირში უმნიშვნელოვანეს პარტნიორებად დასახლებულია: გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები - ესე ივი, ის სახელმწიფოები, ვისთანაც რუსეთი აქტიურად თანამშრომლობს გაზის სფეროში. შემდეგ საუბარია ეუთოსთან, ნატოსთან, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებთან, ბალტიის რეგიონის ქვეყნებთან და ბალკანეთთან ურთიერთქმედებაზე.

ამის შემდგომ დგება აშშ-ს რიგიც. მისგან რუსეთის ფედერაცია მოითხოვს „ბირთვული შეკავების რუსეთის ძალების წინააღმდეგ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის არამიმართულობის სამართლებრივ გარანტიებს“, აგრეთვე „საერთაშორისო სამართლის ნორმების, მათ შორის, სხვა სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვას“. ჩინეთი და ინდოეთი ნახენებია აშშ-ს შემდეგ, მათთან „მეგობრული ურთიერთობების“ განვითარება რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ „უმნიშვნელოვანეს“ მიმართულებად არის წარმოდგენილი. აზია/წყნარი ოკეანეთის რეგიონი გამოცხადებულია „ყველაზე დინამიურად განვითარებად გეო-

<sup>1</sup> ტყეშელაშვილი ე., რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია. ამბიციური ნოსტალგიისა და პრაგმატულობის ნაზავი. ტაბულა, 2013, აპრილი, №124, გვ. 70-72.

პოლიტიკურ სივრცედ, სადაც თანმიმდევრულად ინაცვლებს მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის სიმბიმის ცენტრი“.

და ბოლოს პატარა ინტრიგა. რომელი წლის კონცეფ-  
ციიდანაა ეს ბოლო წინადაღება: „საგარეო პოლიტიკის თან-  
მიძღვრული განხორციელება ხელსაყრელ პირობებს შექმნის  
რუსეთის ფედერაციის ხალხთა ისტორიული არჩევანის რეა-  
ლიზაციისათვის სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატი-  
ული საზოგადოების, სოციალურად ორიენტირებული საბაზ-  
რო ეკონომიკის სასარგებლოდ?“ პასუხი - ის ზუსტად ერ-  
თნაირია, გნებავთ 2000, გნებავთ 2008, გნებავთ 20013  
წლებისათვის. ეს არის მემკვიდრეობითობის ჰიმნი.

მოკლედ რომ ითქვას, 2013 წლის დოკუმენტის სიახ-  
ლე მის შინაარსში კი არა, კრემლის უკვე არსებულ კურ-  
სხე აქცენტირებაშია. ე.წ. „განახლებული“ რუსეთის ფედერა-  
ციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის შესახებ კომენტა-  
რებში ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა უწყების მაღალჩინოსანი  
მოხელეები განახლების ფაქტსა და რუსეთის საგარეო პო-  
ლიტიკის „შემობრუნებაზე“ მიუთითებენ. სინამდვილეში კი  
საუბარია მხოლოდ დიდი ზნის ტენდენციების სიტყვიერ და-  
ფორმატებაზე. პუტინისეული შემობრუნება დაიწყო თბილი-  
სის ვარდებისა (2003 წ.) და კიევის ნარინჯისფერი რევო-  
ლუციების (2004 წ.) შემდეგ. სწორედ ამ შოკისმომგვრელმა  
მოვლენებმა ჩააფიქრა კრემლის მესვეურნი და დასავლეთისა-  
გან გასამიჯნად სანგრების თხრა დააწყებინა. ასე რომ, პუ-  
ტინმა კონცეფციაში ის ხაზი წარმოჩნდა, რომელსაც ცხრა  
წელიწადი აფორმებდა. განახლებული კონცეფციის არსი შემ-  
დეგშია - მოსკოვი აუწყებს მსოფლიოს: დასავლეთის მზე ეს-  
ვენება და ფსკერზე ეშვება; რუსეთი „სტაბილურობის კუნძუ-  
ლი“ და განსაკუთრებული „ცივილიზაციაა“, რომელიც არა-  
ვის მისცემს მის შიდა პროცესებზე ზეგავლენის ნებას; მოს-  
კოვი ააგებს თავის გალაქტიკას სხვა მეზობელი სახელმწი-  
ფოებისგან. კონცეფციას სიტყვიერ ჩენჩოს თუ მოვაცილებთ,

აშკარა ხდება, რომ მოსკოვი ღიად ამბობს: ჩვენ შევაკავებთ დასავლეთს და მის გავლენას არა მხოლოდ ჩვენზე, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეზეც. კონცეფციის კითხვისას კრემლის არააღეკვატურობის შთაბეჭდილება იქმნება. რუსეთი ხომ სტაგნაციის განიცდის. ხელისუფლება კორუფციას ვერ უმ-კლავდება. მსოფლიოში ინტერესი რუსეთის მიმართ დაღმა ეშვება. და ამ დროს კრემლისული კონცეფცია ძლევამოსილ დერეგაციზე საუბრობს, რომელიც აპირებს, მთელ მსოფლიოს თავისი „ფასეულობითი ორიენტირები“ შესთავაზოს! იქნებ კრემლი სხვა ქვეყანაზე ლაპარაკობს? რა უნდა იყოს ეს კრემლისული „ფასეულობები?“ კორუფცია - როგორც სახელმწიფოს მშენებლობის საშუალება? ძალადობა - როგორც საზოგადოების კონსოლიდაციის ინსტრუმენტი? ან იქნებ მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმი - როგორც ახალი იდეოლოგია?

არა მგონია, კონცეფციის ავტორებს ადგილი და დრო სრულიად არ ესმოდეთ. უფრო ვფიქრობ, ამ კონცეფციას ორი ამოცნა აქვს: პირველი, ჩვეულებისამებრ, ძალის მირაჟის და იმიტაციის შექმნა და მეორე - მოსახლეობაში რისკებისა და მსოფლიო მუქარის წინაშე შიშის დანერგვა, მტრებისაგან ალყაშემორტყმული ქვეყნის სახის გაძლიერება. საბჭოთა პროპაგანდას განა ეს ფუნქცია არ ჰქონდა?! როგორც ითქვა, კონცეფციაში არის ცნება „რბილი ძალა“. ზოგიერთმა რუსმა ე.წ. პოლიტოლოგმა აიტაცა ეს ცნება და განაცხადა, რუსეთმა გავლენის დასავლურ ინსტრუმენტებს მიმართაო. მაგრამ მოდით დავფიქრდეთ: ნუთუ რუსეთს აქვს გავლენის არაძალისმიერი არგუმენტები, რომლებიც მას ასე მიმზიდველ სახელმწიფოდ აქცევდა? რუსეთის გავლენა ოთხ ფაქტორს ეფუძნება - ბირთვულ იარაღს, ნედლეულს, იარაღით ვაჭრობას და არაგანჭვრეტად უნარიანობას. დავუმატოთ ამას უშიშროების საბჭოში „ვეტოს“ უფლებაც, რასაც ასე ელოლიავება და გააფთრებით ებრძვის ამ ორგანიზაციის რე-

ფორმირებას. „რბილი ძალა“ მოიცავს, პირველ რიგში, საინფორმაციო, ჰუმანიტარულ, ზოგადსაკაცობრიო და სხვა საზოგადოებაზე ზემოქმედების მექანიზმებს. მათ უნდა შექმნან მიმზიდველი რუსეთის სახე. ამის რა საფუძველი აქვთ ჩვენს ჩრდილოელ სამეზობლოში? გაცილებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ კრემლი ამბობს: ჩვენ წინააღმდეგობას გავუწევთ სხვა სახელმწიფოების მიერ თავიანთი „რბილი ძალის“ გამოყენების მცდელობასთ. აი, ეს უკვე სერიოზული რამ არის. საუბარია იმაზე, რომ გზა გადაუღობო „უფლებადამცველ კონცეფციებს“, რომელსაც დასავლეთი იყენებს; ეს სხვა არაფერია, თუ არა გარედან ნებისმიერი ლიბერალური გავლენის აღსაკვეთად რუსეთის ჩაკეტვა.

#### დამოწმებანი:

1. ტყეშელაშვილი ე., რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია. ამბიციური ნოსტალგიისა და პრაგმატულობის ნაზავი. – ჭაბულა, 2013, აპრილი, № 124, გვ. 70-72.
2. ქარელი თ., სამხედრო ძალის გამოყენება ათასწლეულთა მიჯნაზე. - კრებულში: რუსეთი, რუსომბული კონფლიქტები და სამხედრო ძალის გამოყენება. (2008) პოლიტოლოგის ინსტიტუტი. (რედ. თეიმურაზ ქარელი), თბ., გვ. 5-11.
3. Георгий А., Холодная война снова может стать реальностью. Российско-американские отношения переживают не лучшие времена. *Независимая Газета*, 1998, 17 июня.
4. Путин В., Россия и меняющийся мир. - <http://mn.ru/politics/20120227/312306749.html>.
5. Внешняя политика России: 1991-2000. М., 2001.
6. Глава разведслужб США: «Москва играет мускулами» - 28.02.2007  
[http://newsvote.bbc.co.uk/mpfpps/pagetools/print/news.bbc.cj.uk/hi/russian/international\\_6402000/6402681.stm](http://newsvote.bbc.co.uk/mpfpps/pagetools/print/news.bbc.cj.uk/hi/russian/international_6402000/6402681.stm)

7. Дискуссия о том, какой быть внешней политике России. (1993). *Международная жизнь.* №2. С. 5-22.
8. Концепция внешней политики Российской Федерации, *Дипломатический вестник*, 1993, № 1-2.
9. Концепция внешней политики Российской Федерации. — *Дипломатический вестник*, 2000, № 8.
10. Концепция внешней политики Российской Федерации. (с изм., внесенными Концепцией внешней политики РФ, утв. 12.07.2008 № Пр-1440) - <http://kremlin.ru/acts/785> - <http://kremlin.ru/acts/785>
11. Концепция внешней политики Российской Федерации. Утверждена Президентом Российской Федерации В. В. Путиным 12 февраля 2013 г. - [http://www.mid.ru/brp\\_4.-nsf/newsline/6D84DDEDEDDBF7DA644257B160051BF7F](http://www.mid.ru/brp_4.-nsf/newsline/6D84DDEDEDDBF7DA644257B160051BF7F)
12. Ли Ен Квон. Внешняя политика России в 1990-е годы: Проблемы и тенденции М., 1999, с. 44.
13. Мигранян Андраник. Внешняя политика России: катастрофические итоги трех лет. Пора сделать паузу, поменяв и политику и министра. - *Независимая Газета*, 1994 г., 10 декабря, №237 (913).
14. Обзор внешней политики Российской Федерации. 2007.-431-27-03-2007 -[http://www.mid.ru/brp\\_4.nsf/0/3647DA-97748A106BC32572AB002AC4DD](http://www.mid.ru/brp_4.nsf/0/3647DA-97748A106BC32572AB002AC4DD)
15. Указ о мерах по реализации внешнеполитического курса Российской Федерации 7 мая 2012 года. - <http://news.kremlin.ru/acts/15256/print>

***Teimuraz Karelj***

*Ilia State University, Institute of Politology, Researcher*

**PHILOSOPHY OF THE RUSSIAN FOREIGN POLICY  
RESUME**

In the new concept Putin tries to declare the following: Western Sun is going to set and drown, Russia is „an island of stability” and „unique civilization” that won’t let anyone interfere in its internal affairs. In fact, Russia says that it will deter the West and its influence not only from Russia but also from the post Soviet territory.

While reading the new concept of foreign policy, Russia seems to be inadequate. The country is in the period of stagnation. Government is unable to deal with the corruption. Interest towards Russia is declining. In such situation Russia presents its concept of a powerful „derjava” and offers the world its „values”. What are these Kremlin values? Corruption –as a means of building of a new state or violence as a means of the consolidation f the society; or may be Orthodox fundamentalism as a new ideology.

It is doubtful that the authors of the concept are not aware of the on going process. This concept has two aims: the first aim is to imitate a threat and create mirage of power; and second- to implement fears and strengthen the image of a country surrounded by enemies. Did not the Soviet propaganda have the same aim?

The concept suggests the idea of the soft power. Russian so called experts picked up the idea and declared that Russia will continue pursuing an active and constructive policy in international affairs using western instruments. But can it be said that Russia has non violent resources of influence to make it an attractive country? Russian influence is based on four factors: Nuclear weapons, raw materials, arm trade and its unpredictable capacity.

Generally, „Soft power” involves not direct influence but influence through subtle and indirect means such as media, as well as humanitarian and universal mechanisms. They must create positive image of the country but does it have resources to do this in its neighborhood?

In dealing with global hot spots, Russia promises to make an active use of so-called “soft power practices” in its foreign policy. At the same time Russia threatens to oppose the use of „soft power“ from the other countries. This is something very serious. It means that Russia will block „the concept of human rights protection” used by the west and lock Russia to prevent any liberal influence from the outside.

**თოსებ (სოსო) აღიმბარაშვილი  
კორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტის  
ასისტენტ-პროფესორი**

**ქართული არქეოლოგიის სათავეებთან  
(დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი)**

ქართული არქეოლოგიის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით: ნიკო მარს, ექვთიმე თაყაიშვილს, მოგვიანებით - გიორგი ნიორაძეს, ოთარ ლორთქიფანიძეს, გიორგი ლომთათიძეს, ოთარ ჯაფარიძეს და სხვებს, თუმცა, დარგის პიონერად მაინც დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი ითვლება.

საერთოდ, ძველი და ღირებული ნივთების შეგროვები-სადმი ინტერესი ბევრად ადრე გაჩნდა და, როგორც წესი, მათი თავმოყრა, ძირითადად, სამეფო კარზე ხდებოდა. მაგ., ვახტანგ VI-ს „სალაროში“, ხაზინასთან ერთად, შენახული ჰქონია მიწაში ნაპოვნი ძველი მონეტები და იარაღ-საჭურველი, მაგრამ მას უფრო საკოლექციო დანიშნულება ჰქონდა, მელვინეთხუცესიშვილმა კი გათხრები სამეცნიერო მნიშვნელობით დაიწყო. რამდენადაც ეს დარგი საქართველოში ჯერ კიდევ განვითარებული არ იყო, გ. ლომთათიძე დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილს „მოხალისე არქეოლოგს“ უწოდებდა<sup>1</sup>.

დიმიტრის სიძეველეებისადმი დაინტერესება მნიშვნელოვნად განაპირობა ცნობილ ფრანგ ქართველოლოგთან, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ მარი ბროსესთან სიახლოვემ, რომელსაც დამწყები არქეოლოგი საქართველოში მოგზაურობისას (1847-1848 წწ.) გაეცნო. მათ ერთად ინახულეს გორისა და დუშეთის მაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი (ურბნისი, რუისი, აჭენი, გორიჯვარი, ცხინვალი, შინდისი, ნიქოზი, ტბეთი, თირი, წუნარი, ბორცვის-

<sup>1</sup> ქურნ. მნათობი, 1959, N7, გვ. 116.

ჯვარი, აჩაბეთი, საბაწმინდა, იკორთა, კორინთა, ყანჩაეთი, წირქოლი, ლარგვისი, ოძისი, ქსოვრისი, ღართისკარი, მჭა-დიჯვარი, წილკანი და სხვ.)

ბროსეს პეტერბურგში წასვლის შემდეგ მეღვინეთხუცე-სიშვილმა ქართული სიძველების კვლევა დამოუკიდებლად გააგრძელა და მოპოვებულ მასალას სისტემატურად უგზავნი-და ფრანგ მეცნიერს იმპერიის დედაქალაქში.

საციციანოსა და გორის მაზრის შესახებ დიმიტრის მი-ერ პეტერბურგში გაგზავნილ მასალებს მარი ბროსე აღტაცე-ბაში მოუყვანია: „მადლობა ღმერთსა დაიწყო ქართველმა კაცმა სიყვარულისაგან მამულისა და მეცნიერების გულის-თვის თვითონ თვალებით გაშინჯვა და ძუელთა მოსახსენე-ბელთა საქართველოსათა! გაგიმარჯვის, მიამა დიდათ რომ საციციანოსი და გორის მაზრის დასავლეთისა ეს ნაწილი გივლია, რომელი მე არ მინახავს. უთუოდ ბევრი გიშოგნია იქა ღირსი ხსოვნისა ზედწერილობანი საყდრებისა და მონას-ტერთა, ნუ დააგვიანებთ, აკადემიასთან პირდაპირ გაგზავ-ნეთ“<sup>1</sup>.

სხვა წერილში ბროსე ახალგაზრდა მეცნიერს გარჯას უწონებს: „თქვენ კარგი მოყმე ჭაბუკი ბრძანდებით, მეცნიე-რება და მამული გიყვართ, სახელი გექნებათ ამისთანა ძიებე-ბის გამო“<sup>2</sup>. საქებარ სიტყვებს ბროსე დიმიტრისადმი გამოგ-ზავნილ არაერთ წერილში ხაზგასმით იმეორებს<sup>3</sup>.

მარი ბროსეს რეკომენდაციით, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის წი-ნაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა დიმიტრი მეღვინეთხუცე-

<sup>1</sup> ზელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი N9.

<sup>2</sup> ყებანეიშვილი ს., აკად. მარი ბროსეს წერილები გორელ მოღვაწე დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილისადმი, გორის ისტორიულ-ეთნოგრა-ფიული მუზეუმი, 59 44, გვ. 6.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 4-5, 11, 12, 18.

სიშვილს არქეოლოგიური მოგზაურობის გაგრძელების ნებართვა მიეღო. გარკვეული წინააღმდეგობების შემდეგ, 1849 წლის სექტემბერში, მოგზაურობისა და კვლევითი მუშაობის ჩატარების შესახებ გუბერნატორისაგან დასტური მიღებულ იქნა და მარი ბროსექ დიმიტრის სპეციალური მარშრუტი შეუდგინა შემდგომი მუშაობის წარმართვისათვის.

სამწუხაროდ, მეღვინეთხუცესიშვილს ბროსეს რეკომენდაციით ვორონცოვის მიერ კვლევებისათვის გამოყოფილი 200 მანეთი მალე გამოლევია და იძულებული გამხდარა, გორში დაბრუნებულიყო. უსახსრობით ხელფეხშეკრული და საქმის კეთების სურვილით გულანთებული ახალგაზრდა ძალიან წუხდა უმოქმედობას: „მე მსურს რაც საქართველოში ძველი ეკლესიაა, თუ მონასტერი, ჯვარი, ხატი და რაზეც ძველი წარწერილობაა, ყველა აღვწერო თვითოეულად და წარწერებიც ეგრეთ გადმოვიდო ...მე ჩემს თავს და შრომას არ დავზოგავ, მაგრამ ღონისძიება არა მაქს, როგორც აქამდე ვიარე საკუთარის ჩემის ხარჯით, კიდევ ისე ვიარო უცნობსა და შორს ალაგებშიო“, - სწერდა იგი ფრანგ მეცნიერს<sup>1</sup>.

მეღვინეთხუცესიშვილისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მარი ბროსეს პეტერბურგში ისტორიულ-ფილოლოგიური სექციის სხდომაზე მოხსენება წაუკითხავს, რასაც დიდი ინტერესი გამოუწვევია და დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი 1849 წელს ამ სამეცნიერო მოხსენებისათვის სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით დაუჯილდოებიათ<sup>2</sup>.

ბროსეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ დიმიტრი არქეოლოგ-მაძიე-

<sup>1</sup> ხანთაძე შ., დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, კრებულში: საისტორიო მოაზე, თბ., 1952, გვ. 9, წერ. № 2.

<sup>2</sup> გამჭრელიძე გ., დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი (1815-1878), ჟურნ. ძიებარი, 1999, №4.

ბელთა რიგებში მიეღოთ და იგი, მართლაც, აკადემიის მაძი-ებლად ჩაურიცხავთ<sup>1</sup>.

წარმატებამ დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილს „ფრთხი შეასხა“. იგი ბროსეს სთხოვდა, შუამდგომლობა გაეწია შესა-ბამის პირებთან, რათა ქართლში მოგზაურობის ნებართვა დროულად მიეღო და დაწყებული საქმე არ შეფერხებულიყო: „ვითხოვ მიშუამავლოთ, დამერთვას ნება კიდევ ვიარო ექვს თვეს აპრილიდგან. უეჭველია, რომ ბევრს კარგ ანბებს ვი-შოვნი ამ წიგნებისათვის და ზოგიერთ სასიამოვნო პრედანი-ებს, ისე მოთხრობას ხალხთა შიგა და შიგ სხოლიობებში ჩა-უმატებ“, - ნათქვამია 1848 წლის 28 დეკემბერს გაგზავნილ წერილში<sup>2</sup>.

როგორც მომდევნო წერილებიდან ირკვევა, მარი ბროსე მელვინეთხუცესიშვილს სთხოვდა სამთავისის ტაძარში ხელ-მეორედ მისვლას, იქ ორი წარწერის ამოკითხვას და აშური-ანში ილარიონ სამთავრელის ლავრის ნახვას. ბროსეს ასევე სურვილი ჰქონია, მელვინეთხუცესიშვილს ახალციხის საფა-შოსა და სომხეთში ემოგზაურა, ასევე გამგზავრებულიყო ათონის მთაზე.

დიმიტრის, მართლაც, ხელახლა დაუთვალიერებია სამ-თავისის ტაძარი და უცნობი წარწერებიც აღმოუჩენია. ახალი რაპორტით მარი ბროსე ფრიად კმაყოფილი ჩანს: „დაურკებე-ლი ქება უნდა თქვენი შრომისა ... ბევრი რამ არის ღირსი ხსოვნისა თქვენს რაპორტშიო“, - აღნიშნავს ფრანგი მეცნიე-რო<sup>3</sup>.

ბროსეს რეკომენდაციით 1852 წლის ივლისში დიმიტრი უფლისციხის გამოკვლევას იწყებს. ბროსე დეტალურ ინ-

<sup>1</sup> დოდაშვილი რ.,, მარი ბროსე - ქართული მწერლობის მკვლევარი, გვ. 41.

<sup>2</sup> ხანთაძე შ.,, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 9, წერ. №2.

<sup>3</sup> ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი №11.

სტრუქციებს აძლევს დამწყებ არქეოლოგს საჭირო მოქმედების შესახებ: „ზომით უნდა მოხაზოთ საყდრები, ერთი კლდეში ამოკვეთილი, მეორე ქვაზედ ამოყვანილი: დარბაზები, სახლები, დუქნები, რუები, წისქვილები, რაც არის ხელოვნების დანარჩომი ეს ყველა გადმოხაზეთ, წერილი თუ საღმე იპოება გადასწერეთ და ყველასი მოთხრობა და განმარტება დაწერეთ რუსულ ენაზე: მე ყოველთვის მზადა ვარ შეგეწიო წიგნით და სიტყვითო“<sup>1</sup>.

დიმიტრის, მართლაც, შეუდგენია შესასწავლი არქეოლოგიური ძეგლის გეგმა-ნახაზი და მისი შესწავლა ზედაპირული დაზვერვით დაუწყია.

1852 წლის 23 ივლისს მას უნახავს უფლისციხე და მისი მიმდებარე ტერიტორიები: დუქანი, ბაზარი, მოედნები, ქუჩები, სულ 60-მდე დამხმარე ნაგებობა. თვით ძეგლი დიმიტრის ძალზე მძიმე მდგომარეობაში დაზვედრია, როგორც თვითონ წერს: „ერთიმეორეს ზედა სახლები ზოგნი სავსეა საქონლის დრემლით და მწყემსთაგან გაშავებულნი ცეცხლის კვამლითაო“<sup>2</sup>. აღმოუჩენია და გადმოუწერია წარწერები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც საკმაოდ რთულ, ძნელად მისადგომ და სიცოცხლისათვის არცთუ უსაფრთხო ადგილას ყოფილა.

მელვინეთხუცესიშვილმა 1852 წლის აგვისტოში დაწვრილებითი ანგარიში გაუგზავნა მარი ბროსეს არქეოლოგიური ძეგლის მდგომარეობის შესახებ.

საპასუხო წერილში ბროსე აღტაცებას არ მალავს დიმიტრის ნამუშაკევის გამო: „დიდად მესიამოვნა აღწერა უფლისციხისა, თუმცა ვიცოდი, რომ ბევრი ძიება გიქნია და ძვირფასი სიძველე გიშოვია იქა, მაგ დიდიხან უგულებელყოფილს და დაგდებულს ქალაქსა შინა. ამას გარდა ამხანაგნი ვიყავით მოგზაურობის დროს ერისთავიანთ მამულში, განგიგ-

<sup>1</sup> ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი №16.

<sup>2</sup> ხეც, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი №31, გვ. 1-6.

რძელებია სიარული ჩემგან უნახულ ადგილებში და ისეთი კარგი რამ წარწერილები მოგიგროვებია, რომ თქვენზედ დიდი იმედი მქონდა მეგობარ ყოფილთა ძიებების დროსაც და მას უკანაც შეეფერებოდა დაუკიწყებლობა ჩვენ შორის. გული ვერ მოგატყუებს, მე ყოველთვის მზად ვიყვა და ახლაცა შემწე ყოფად თქვენთა და თქვენებურთა რაც ძალი მექნება“<sup>1</sup>.

აღნიშნულთან დაკავშირებით ბროსე პეტერბურგიდან თბილისში მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს სწერს ვრცელ წერილს ფრანგულ ენაზე და სთხოვს, თარგმნონ იგი რუსულად და დაბეჭდონ გაზეთ „კავკაზში“, რათა ქართველებს შორის გაღივებულიყო დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილისადმი მიბაძვის სურვილი<sup>2</sup>.

თუმცა, ბროსესა და მეღვინეთხუცესიშვილის კარგ წამოწყებას ყველა „ხალისით“ არ ხვდებოდა. ბიუროკრატიული აპარატის გამო ძალზე ხშირი იყო დაფინანსების დაგვიანება და დიმიტრის საკუთარი მწირი ხარჯებით უხდებოდა გათხრების წარმოება. იმდროინდელი უგზოობის პირობებში, წვიმიანი ამინდის შემთხვევაში თითქმის შეუძლებელი ხდებოდა გადაადგილება.

გარდა ბუნებრივი ხელისშემშლელი პირობებისა, მეღვინეთხუცესიშვილისათვის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი იყო შესაბამისი ტექნიკის არარსებობაც (ფრესკების, წარწერების გადმოღების თვალსაზრისით). „თუ შეიძლებოდეს ერთი დაგეროტია<sup>3</sup> ანუ სხვა მსუბუქი მაშინა მიბოძეთ, რომ სადაც კარგი ალაგები და შენობა ვნახო, ცხადად გად-

<sup>1</sup> წეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი №17.

<sup>2</sup> ნიკო ხუციშვილი, „მარი ბროსეს მეცნიერული მემკვიდრეობა გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე“, კრებულში: ვორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, II, თბ., 2002, გვ. 141.

<sup>3</sup> დაგეროტია ფოტოაპარატის წინამორბედია და 1824 წლიდან იყო მოქმედებაში. სახელი მიიღო ფოტოგრაფიის „მამის“ ლუი დაგერის საპატიოსაცემოდ. იგი უნებატივო ფოტო იყო, რომელსაც პირდაპირ იღებდნენ კასეტით, რომელიც თავსდებოდა კამერის მექანიზმის კამერაში.

მოვილო მხატვრობით და მოგართო, რომლითაც დაარწმუნოთ ზოგიერთი, რომ მართლა საქართველო ტყუილად არ შეგყვარებიათო“, - სწერდა დიმიტრი ბროსეს<sup>1</sup>.

1852 წლის აგვისტოში მეღვინეთხუცესიშვილი უფლის-ციხეში ისევ მიემგზავრება კავკასიის იმდროინდელ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვთან, გრაფ სოლოგუბთან, დოქტორ ანდრეევსკისთან და სხვა მაღალი დონის ჩინოვნიკებთან ერთად. უფლისცინის სიძველეებს მეფისნაცვალზე მაღალ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და დიმიტრისათვის მათი აღწერა და მისთვის წარდგენა დაუვალებია.

დაფინანსების მიღებისთანავე, აგვისტო-ოქტომბერში, დიმიტრი უფლისციხის არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს.

მეღვინეთხუცესიშვილი აღნიშნავს, რომ უფლისციხე ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლია და მეტი ყურადღება სჭირდება. იგი აქამდე მხოლოდ დოუბუამ აღწერა და მისი ჩანაწერებიც არასრულყოფილია<sup>2</sup>, ამიტომ მთელი სერიიზულობით შესდგომია ძეგლზე მუშაობას. უამრავი გამოქვაბულიდან დიმიტრი უფლისციხეში მნიშვნელოვნად 12-ს მიიჩნევს. მას შესასწავლი ნაგებობების გეგმა გაუკეთებია, საფუძვლიანად დაუთვალისერებია ქალაქის კარიბჭე („Ворота“) და გალავანი, არხები, ქუჩები, დუქნები, კიბეები, მაგრამ ეს ყველაფერი ყოფილა დამტკრეული და უწესრიგოდ მიმოფანტული, მიუგნია ძველი სასაფლაოსათვის, რომელსაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია: „როდესაც დგახარ სასაფლაოსთან, გრძნობ, რომ შენიანებში ხარ, გესმის რამდენი ნაღველი, უბედურება და მღელვარება გაუკლია აქაურობასო“<sup>3</sup>. საკუთარი ხარჯით ადგილობრივი მოსახლეობა დაუქირავებდა და მათი დახმარებით თავდაპირველად გაუთხრია დი-

<sup>1</sup> ხანთაძე შ., დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 10, წერ. №2.

<sup>2</sup> გაზ. კავკაზ, 1852 გ. №43, გვ. 1-2; №66, გვ. 1.

<sup>3</sup> კავკაზ, 1852 გ. №43;

დი დარბაზი დაახლოებით ოთხი მეტრის სიგრძეზე, სადაც აღმოჩენილა სვეტის ფრაგმენტები და კერამიკის ნატეხები. დარბაზის გვერდზე უნახავს დიდი ქვევრები და გაუთხრია რამდენიმე სამარხი. იგი მიიჩნევს, რომ დარბაზი და მიმდებარე ნაგებობები წარჩინებული პირის სასახლეს წარმოადგენდა და, ადგილობრივების გადმოცემით, თვით უფლოსს ეკუთვნოდა. დიმიტრი აღნიშნავს, რომ ამ ოთახიდან მართლაც ზელისგულივით ჩანს მტკვრის ხეობა, გამოყოფილია სხვა ნაგებობებიდან, მოიცავს 8 ოთახს და აქვს საკუთარი შესასვლელი.

3 ოქტომბერს იგი ოკით ჩაშვებულა გვირაბში. მქოდრი მოსახლეობა მტკიცედ ყოფილა დარწმუნებული, რომ მასში ავი სულები ბუდობდნენ, იქ ძვირფას განძს ინახავდნენ და ქრისტიანებს შესვლა ეკრძალებოდათ. მეღვინეთზუცესიშვილს, მართლაც, დიდი ძალისხმეული დასჭირვებია, როგორმე დაერწმუნებინა ერთ-ერთი ადგილობრივი, დახმარებოდა გვირაბის ნახვაში. იგი თავით-ფეხებამდე შეიარაღებულა და ხანჯლით ხელში მისულა, თუმცა, რა თქმა უნდა, არავითარი განძი და ავი სულები მათ იქ „არ დახვედრიათ“<sup>1</sup>.

ფაქტია, რომ დიმიტრი კვლავაც აგრძელებდა უფლისციხის შესახებ წერილების გამოქვეყნებას, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა მასალები დაკარგულია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს წერილის ბოლოში სტატიის ავტორის კომენტარი: „მეღვინეთზუცესიშვილი შეგვპირდა, რომ უფლისციხის შესახებ კიდევ მოგვაწვდის მასალებსო“<sup>2</sup>, ამიტომ აღნიშნულ საკითხზე გარკვეულ წარმოდგენას მხოლოდ გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი ზემოხსენებული მოკლე ანგარიშები გვიქმნის.

მეღვინეთზუცესიშვილის „ნამუშაკევით“ ვორონცოვი ფრიად კმაყოფილი დარჩენილა. მეფისნაცვლისავე დავალებით, უფლისციხეში დიმიტრის სწვევიან ცნობილი მწერალი პლა-

<sup>1</sup> Кавказ, 1852 г. №70;

<sup>2</sup> Кавказ, 1852 г. №70.

ტონ იოსელიანი და გამოჩენილი მხატვარი - გაგარინი, რომელსაც იქვე გაუკეთებია უფლისცინის ჩანახატი. სამეული გორიდან თბილისისკენ ტივით წამოსულა, გზადაგზა ჩერდებოდა და გაგარინი მტკვრის ხეობის პეიზაჟებს ხატავდა<sup>1</sup>.

ვორონცოვს მეღვინეოთხუცესიშვილისათვის ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება უთხოვია<sup>2</sup>, მაგრამ მაღლე გრაფი პეტერბურგს გაიწვიეს და გათხრებიც შეჩერებულა.

მეღვინეოთხუცესიშვილის არქეოლოგიური მოღვაწეობა მხოლოდ უფლისცინის გათხრებით არ დასრულებულა. სახელმწიფო სამსახურიდან 1859 წელს დიმიტრი დაკავებული ყოფილა გორის მაზრის ხიდისთავის უბანზე საბატონო გლეხების (ყმების) აღწერით. სოფელ კავთისხევში მისთვის უჩვენებიათ მიცვალებულის აკლდამა ძვირფასი სამარხეული ინვენტარით. აკლდამის აღწერილობას იგი მარი ბროსეს უგზავნის, მაგრამ უსახსრობის გამო სამარხეული ინვენტარის შეძენას ვერ ახერხებს.

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ცნობილი პედაგოგისა და დიმიტრის შთამომავლის, ქეთევან ჯავახიშვილის<sup>3</sup> მოგონებები, რომელშიც იგი წერს: „ძია დიმიტრისთან ბევრი არქეოლოგები მოდიოდნენ და მოგზაურობდნენ ქართლში ისტორიული ძეგლების შესასწავლად“<sup>4</sup>. იგი იქვე აკონკრეტებს, თუ ვინ იყენებ ეს არქეოლოგები: ზეიდლიცკი, კარგანოვი, გრაფინია უვაროვა, გრაფი სელივანოვი და სხვები. აღწერილია, როგორ გეგმავდნენ ისინი ხიდისთავ-

<sup>1</sup> ხეც, დიმიტრი მეღვინეოთხუცესიშვილის პირადი საარქეოლოგო ფონდი, №25.

<sup>2</sup> ხანთაძე შ., დიმიტრი მეღვინეოთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 25, წერ. №14

<sup>3</sup> ქეთევან ჯავახიშვილი იყო დიმიტრის დის - ნინო მედვინეოთხუცესიშვილის (იოსებ მამაცაშვილის მეუღლის) შვილიშვილი;

<sup>4</sup> გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბ. 59 44; საბ. 7555, რვეული 1, 2, 3, 4;

ში დიმიტრის ბინაზე და აწყობდნენ ექსკურსიებს ატენის სი-ონში, ურბნისში, რკონის მონასტერში და სხვაგან<sup>1</sup>.

მეღვინეთხუცესიშვილს, როგორც არქეოლოგს, მუშაო-ბაში ხელს უწყობდა ისიც, რომ ხატვა-ხაზვა კარგად ეხერ-ხებოდა და მარი ბროსეს, ნანახ-აღწერილის გარდა, გრაფი-კულ ჩანახატებსაც უგზავნიდა. დიმიტრის ამ თვისებას ბრო-სე ხაზვასმით აღნიშვნავდა („თქვენ მხაზველობისა მცოდნე ბრძანდებით“, - სწერს ერთ წერილში ქართველ მეგობარს<sup>2</sup>. მის პირად არქივში არაერთი ასეთი ჩანახატია, მათ შორის ქართული, ბიზანტიური, არაბული, დავით აღმაშენებლისეული ზედწერილობის მქონე მონეტები და სხვ<sup>3</sup>.

*Ioseb (Soso) Alimbarashvili*

*Gori State Teaching University, Assistant Professor*

**AT THE OUTFALLS OF THE GEORGIAN  
ARCHAEOLOGY  
(DIMITRI MEGVINETKHUTSESHVILI)  
RESUME**

The article consists of details of the life one of the most famous Archaeologist - Dimitri Meghvinetkhutsesishvili, his relations to the member of the St. Petersburg Academy of Sciences Marie Brosset and in 1847 their joint journey in the provinces of Gori and Dusheti.

The article also includes Uplistsikhe excavation details by Dimitri Meghvinetkhutsesishvili and the Government's opinion of his scientific activity.


<sup>1</sup> გიემ, 7555, რვეული 1, გვ. 19-22;

<sup>2</sup> ხეც, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი №16;

<sup>3</sup> ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი №42.

It should be noted that the important part of the article based on Meghvinetkhutsesishvili personal archives of the National Centre of Manuscripts and unpublished materials to the Gori Historical - Ethnographic museum.

### ფოტო-დანართები



დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის  
მიერ შესრულებული უკლისცინის  
ჩანახატი

მელვინეთხუცესიშვილის მიერ  
უფლიციხეში მიპვლეული და  
გადმიღებული წარწერის ფოტო-